საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
აკ. წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# აკ. წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის

# შ რ ო მ ე ბ ი

## ტ. XV

ქუთაისი 1956

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები

## ტ. XV

ქუთაისი 1956

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაიბეჭდა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის
სამეცნიერო საბჭოს დადგენილებით

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР
Кутаисский Государственный Педагогический Институт
им. А. Цулукидзе

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ТРУДЫ

## КУТАИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО ПЕДАГОГИЧЕСКОГО ИНСТИТУТА ИМЕНИ А. ЦУЛУКИДЗЕ

## Т. XV

КУТАИСИ 1956

Печатается по постановлению Ученого совета
Кутаисского Педагогического Института

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სარჩევი

გვერდი

1. გ. ჩხეიძე. რუსეთის პირველი რევოლუცია და სოციალისტური რევოლუციის ახალი, ლენინური თეორია . . . . . . . . . . . . . . . . . . 1—19

2. გ. ცხაკაია. მახიზმის ლენინური კრიტიკის მნიშვნელობის საკითხისათვის . . . . . . . . . 21—44

3. გ. სანიკიანი. შრომის ნაყოფიერების თეორიის საკითხისათვის . . . . . . . . . . . . . . . 45—62

4. შ. გვენეტაძე. ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოებისა და დეპოს მუშათა 1900 წლის აგვისტოს გაფიცვა . . . 63—85

5. გ. ჯიბუტი. სუბსუმციის თეორია და მისი კრიტიკა . . . . . . . . . . . . . . . . . 87—98

6. ვ. გულუა. მსჯელობა, როგორც ლოგიკის საგანი 99—108

7. ბ. ურიდია. ე. წ. არასილოგისტური დასკვნების პირობით-კატეგორიულ სილოგიზმზე დაყვანის თეორიის შესახებ . . . . . . . . . . . . 109—115

8. კ. აფრიდონიძე. 1903 წლის ივლისის საყოველთაო გაფიცვა ჭიათურაში . . . . . . . . . 117—130

9. დ. ჯანელიძე. რუსეთ-ირანის ვაჭრობა მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში . . . . . . . . . . 131—138

10. ა. გოგუაძე. აკაკი წერეთელი და გაზეთი „შრომა" 139—146

11. ი. კუბლაშვილი. ბოსნიის 1908—1909 წ.წ. კრიზისის მომზადების საკითხისათვის . . . . . 117—172

12. ა. ბოჭორიშვილი. კანონზომიერების საკითხისათვის ფსიქოლოგიაში . . . . . . . . . . 173—221

13. შ. ჩხარტიშვილი. განწყობის ილუზიები აბსოლუტურ ოდენობაზე . . . . . . . . . . . 223—241

14. მ. ზარქუა. ეგრეთწოდებული ფსიქოლოგიზმის შესახებ თ. მ. დოსტოევსკის შემოქმედებაში . 243—261

15. ლ. ტოროშელიძე. ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტი . . . . . . . . . . . . . . . . . 263—283

16. გ. როგავა. ხანმეტობისა და ჰაემეტობის საკითხისათვის . . . . . . . . . . . . . . . . 285—293

17. პ. ჯაჯანიძე. გურული კილოს მორფოლოგიის საკითხები . . . . . . . . . . . . . . . . 295—309

18. დ. გეწაძე. სტატიკური ვნებითის -ე სუფიქსის შესახებ ძველ ქართულში . . . . . . . . . 311—316

19. დ. მაჭავარიანი. მიერ და გან თანდებულთა სინტაქსური მონაცვლეობისათვის ქართულში . 317—332

20. კ. მეძველია. დასების საკითხისათვის მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში . . 333—386

21. ნ. მაისურაძე. „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ადგილის დაზუსტებისათვის . . . . . . . . . . 387—393

22. თ. ნიჟარაძე. ალ. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩას“ სწავლებისათვის . . . . . . . . . . . . 395—419

23. ქ. კილასონია. ა. ი. პოლეჟაევის პოემის „საშკა“ ზოგიერთი მოტივის შესახებ . . . . . . . . 421—432

24. შ. რევიშვილი. მარქსი და ჰერვეგი . . . . . 433—450

25. გ. ხაჟალია. კონფორმულ ასახვათა თეორიის ერთი მიახლოებითი ფორმულის შესახებ . . . 451—466

26. ვ. სულავა. ფერმის გაზის ფლუქტუაციის შესახებ 467—472

27. მ. ვაშაკიძე. პოლიარიზაციის ხარისხის მდგომარეობის შესწავლა რამდენიმე გარეგალაქტიკური ნისლოვანედისა და კირჩხიბისმაგვარი ნისლოვანედის გამოსხივებაში . . . . . . . . 473—487

28. გ. დევდარიანი. ტექტონიკისა და რელიეფის ურთიერთობის მაგალითები დასავლეთ საქართველოს დეპრესიაში . . . . . . . . . . . . 489—496

29. ლ. ქელიძე, ვ. ბრეგვაძე. ჩუნეშის ბენტონიტური თიხის მჟავური და თერმული აქტივაციის საკითხისათვის . . . . . . . . . . . . . . . . 497—507

30. ი. სალინაძე. ეკლარის საშენი კირქვის საბადოს მოკლე დახასიათება . . . . . . . . . . . . . . 509—517

31. ა. გოცირიძე. გლუკოზის გავლენა ტალღისებრივი ტეტანუსის მიმდინარეობაზე . . . . . . 519—533

32. ვ. აფრიდონიძე. მთამსვლელობის ისტორიის საკითხისათვის . . . . . . . . . . . . . . . . 535—550


## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია


33. გ. კოკოჩაშვილი. დოც. არჩ. ჯანაშვილი, „ხერხემლიანთა ზოოლოგია“, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამოცემა, თბილისი, 1956 . 551—558

34. თ. ახვლედიანი. ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი 1951—1955 წ.წ. . . . . . . . . . . . 559—590



ეროვნული ბიბლიოთეკა

ОГЛАВЛЕНИЕ

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. Г. М. Чхеидзе. Первая русская революция и новая, ленинская теория социалистической революции . . . . . . . . . . . . . . 1—19

2. Г. Г. Цхакая. К вопросу значения ленинской критики махизма . . . . . . . . . . 21—44

3. Г. С. Саникиани. К вопросу теории производительности труда . . . . . . . . . . . . 45—62

4. Ш. С. Гвенетадзе. Забастовка рабочих Тбилисских главных мастерских и депо закавказских железных дорог . . . . . . . . . . . 63—85

5. Г. А. Джибути. Теория субсумции и ее критика 87—98

6. В. Д. Гулуа. Суждение, как предмет логики . 99—108

7. Б. И. Уридия. О теории сведения т. н. несиллогических умозаключений к условно-категорическому силлогизму . . . . . . . . 109—115

8. К. Г. Авридонидзе. Июльская всеобщая стачка 1903 года в Чиатури . . . . . . . . 117—130

9. Д. В. Джанелидзе. Русско-иранская торговля во II половине XVIII века . . . . . . . . 131—138

10. А. В. Гогуадзе. Акакий Церетели и газета „Шрома“ . . . . . . . . . . . . . . . . . . 139—146

11. Н. И. Кублашвили. К вопросу о подготовке Боснийского кризиса 1908—1909 г. г. . . . 147—172

12. А. Т. Бочоришвили. К вопросу о закономерности в психологии . . . . . . . . . . . . 173—221

13. Ш. Н. Чхартишвили. Иллюзия установки на абсолютную величину . . . . . . . . . 223—241

стр.


14. М. Б. Заркуа. К вопросу о т. н. психологизме в творчестве Ф. М. Достоевского . . . . . 243—261

15. Л. П. Торошелидзе. Кутаисский народный университет . . . . . . . . . . . . . . . . 263—283

16. Г. В. Рогава. К вопросу о префиксах ს и ჰ в древнегрузинском языке . . . . . . . . 285—293

17. П. П. Джаджанидзе. Вопросы морфологии гурийского диалекта . . . . . . . . . . . . 295—309

18. Д. О. Гецадзе. О суффиксе -ე статического пассива в древнегрузинском языке . . . . . 311—316

19. Д. П. Мачавариани. О синонимическом употреблении послелогов მიერ (mier) и გან (gan) в грузинском . . . . . . . . . . . . . . . 317—332

20. К. Н. Медзвелия. К вопросу о дасах в грузинской литературе XIX века . . . . . . . . 333—386

21. Н. Л. Мансурадзе. К уточнению одного места поэмы „Витязь в тигровой шкуре“ . . . . . 387—393

22. Т. М. Нижарадзе. Преподавание произведения А. Казбеги „Хевисбери Гоча“ . . . . . . . 395—419

23. К. А. Киласония. О некоторых мотивах поэмы А. И. Полежаева „Сашка“ . . . . . . . . 421—432

24. Ш. И. Ревишвили. Маркс и Гервег . . . . 433—450

25. Г. Я. Хажалия. Об одной приближенной формуле теории конформных отображений . . . 451—466

26. В. А. Сулава. О флуктуации газа Ферми . . 467—472

27. М. А. Вашакидзе. Изучение состояния степени поляризации в излучении нескольких внегалактических туманностей и крабовидной туманности . . . . . . . . . . . . . . . . 473—487

28. Г. С. Девдариани. Взаимоотношения тектоники и рельефа в западно-грузинской депрессии 489—496

ეროვნული ბიბლიოთეკა


стр.

29. Л. А. Челидзе, В. А. Брегвадзе. К вопросу о кислотной и термической активации Чунешской бентонитовой глины . . . . . . . . . 497—507

30. И. А. Сагинадзе. Экларское месторождение строительного известняка . . . . . . . . . . 509—517

31. А. М. Гоциридзе. Влияние глюкозы на течение волнообразного тетануса . . . . . . . 519—533

32. В. М. Апридонидзе. К вопросу истории альпинизма . . . . . . . . . . . . . . . . . . 535—550


## Критика и библиография


33. Г. В. Кокочашвили. доц. А. Т. Джанашвили, „Зоология позвоночных", издание научно-методического кабинета Министерства просвещения Грузинской ССР, 1956 г. . . . . . 551—558

34. Т. И. Ахвледиани. Кутаисский Государственный Педагогический Институт им. Ал. Цулукидзе 1951—1955 г. г. . . . . . . . . . . . 559—590

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XV, 1956.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XV, 1956.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ჩხეიძე

# რუსეთის პირველი რევოლუცია და სოციალისტური რევოლუციის ახალი, ლენინური თეორია *

რუსეთის პირველი სახალხო რევოლუცია დიდმნიშვნელოვანი ეტაპის დასაწყისია რუსეთისა და საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში. ამ რევოლუციამ, თავისი დამარცხების მიუხედავად, ძირფესვიანად შეარყია თვითმპყრობელური წყობილება რუსეთში და ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასს და ღარიბ გლეხობას გაუადვილა გამარჯვების მოპოვება დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციაში.

იმპერიალიზმის ეპოქის პირველი სახალხო რევოლუცია, რომელმაც რუსეთში იფეთქა, ამავე დროს დასაწყისი გახდა იმ უდიდესი პოლიტიკური ძვრებისა, რასაც ადგილი ჰქონდა ევროპაში მუშათა მოძრაობის აღზევებისა და აზიაში ჩაგრული ხალხების ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის სახით.

XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში შესამჩნევი იყო, რომ რევოლუციური მოძრაობის ცენტრი თანდათანობით დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ინაცვლებდა და რუსეთი ხდებოდა მომავალი რევოლუციის გაჩაღების კერად. ამის შესახებ არა ერთხელ მიუთითებდნენ მარქსი და ენგელსი.

მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლებს კ. მარქსსა და ფრ. ენგელსს, რომლებიც სიცოცხლის უკანასკნელ წლებში განსაკუთრებულ დაინტერესებას იჩენდნენ რუსეთის საკითხით, არ დასცალდათ მომსწრენი ყოფილიყვნენ იმ უდიდესი სახალხო რევოლუციისა, რომელმაც იფეთქა 1905 წელს. რუსეთი გახდა არა მარტო გრანდიოზულ რევოლუციურ მოძრაობათა ცენტრად, არამედ აგრეთვე

---

* წაკითხულია მოხსენებად ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო სესიაზე 1955 წლის 6 დეკემბერს. იბეჭდება ზოგიერთი შესწორებით.

სოციალისტური რევოლუციის ახალი თეორიისა და ტაქტიკის სამშობლოდ.

რუსეთის პირველი რევოლუციის მოვლენათა მეცნიერული ანალიზის შედეგად ვ. ი. ლენინმა გაამდიდრა მარქსიზმი სოციალისტური რევოლუციის ახალი თეორიით.

აღნიშნული ნაშრომის მიზანს შეადგენს მოკლედ გავაშუქოთ რუსეთის 1905—1907 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდის ნაშრომებში ვ. ი ლენინის მიერ დამუშავებული ძირითადი თეორიული წინამძღვრები, რომელთაც ემყარება სოციალისტური რევოლუციის ახალი, ლენინური თეორია.

* * *

ვ. ი. ლენინმა დაამსხვრია მეორე ინტერნაციონალის პარტიებში გაბატონებული მცდარი შეხედულებები და მარქსიზმის ისტორიაში პირველად მოგვცა ახლებური გაგება იმპერიალიზმის ეპოქაში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის თავისებურებების, მისი მამოძრავებელი ძალებისა და მასში პროლეტარიატის ტაქტიკის საკითხებზე.

1905—1907 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია დაიწყო რუსეთში განვითარებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში, რაც იმითაც უნდა აიხსნას, რომ რუსეთში კაპიტალის კონცენტრაციის დონე მაღალი იყო და პროლეტარიატი უფრო ორგანიზებულ ძალას წარმოადგენდა, ვიდრე დასავლეთის ბურჟუაზიულ რევოლუციაში. რუსეთის პირველი რევოლუციის რიგი თავისებურებები, რაც განასხვავებს მას დასავლეთ ევროპის წინა ბურჟუაზიული რევოლუციებისაგან, აიხსნება იმით, რომ ეს რევოლუცია მიმდინარეობდა იმპერიალიზმის ეპოქაში, როდესაც კაპიტალიზმი აღარ წარმოადგენდა პროგრესულ ძალას, და მიემართებოდა დაღმავალი ხაზით.

ვ. ი. ლენინმა დაამტკიცა, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მამოძრავებელი ძალები რუსეთში შეიძლება ყოფილიყვნენ მხოლოდ პროლეტარიატი და გლეხობა. რუსეთში ბურჟუაზია უკვე აღარ წარმოადგენდა რევოლუციურ კლასს და არ ეკუთვნოდა რევოლუციის მამოძრავებელ ძალთა რიცხვს. რუსეთის ბურჟუაზია კონტრრევოლუციური იყო. ლენინი ხედავდა, რომ ანტაგონიზმი პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის უფრო ღრმა იყო რუსეთში, ვიდრე დასავლეთის ბურჟუაზიული რევოლუციების დროს, და ამიტომ ჯერ კიდევ 1905 წლის დასაწყისში წერდა:

„Поэтому буржуазия будет больше бояться пролетарской революции и скорее бросится в объятия реакции“[1].

ერთ-ერთ ძირითად ტაქტიკურ დებულებას, რომელიც წითელი ზოლივით გავლებულია რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდის ლენინის ნაშრომებში, კერძოდ, წიგნში „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“, წარმოადგენს პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლის დასაბუთება ბურჟუაზიულ რევოლუციაში, რაც ამავე დროს აუცილებელი პირობაა სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლისათვის.

მარქსთან და ენგელსთან ჩვენ ვხვდებით პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეის ძირითად მონახაზებს. ლენინმა გაამდიდრა რა მარქსიზმი სოციალისტური რევოლუციის ახალი თეორიით, თანმიმდევრული სისტემის სახით ჩამოაყალიბა დებულება ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ და სოციალისტურ რევოლუციებში პროლეტარიატის ჰეგემონიის შესახებ.

რუსეთის პროლეტარიატის მსოფლიო ისტორიული როლის წინასწარგანჭვრეტა ლენინმა მოგვცა ჯერ კიდევ ადრე, 1894 წელს, ნაშრომში „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ“. „...რუსი მუშა, — წერდა ლენინი, — აღსდგება და სათავეში ჩაუდგება ყველა დემოკრატიულ ელემენტს, დაამხობს აბსოლუტიზმს და წაიყვანს **რუსეთის პროლეტარიატს (ყველა ქვეყნის პროლეტარიატთან ერთად) აშკარა პოლიტიკური ბრძოლის პირდაპირი გზით ძლევამოსილი კომუნისტური რევოლუციისაკენ**“[2].

ეს იყო მარქსისტული მსოფლმხედველობის შემდგომი განვითარება, რუსი მარქსისტების სამოქმედო პროგრამის მეცნიერული განსაზღვრა, რუსეთის მუშათა კლასისათვის ერთადერთი სწორი გზის ჩვენება.

პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეის დასრულებული ფორმულირება ლენინმა მოგვცა წიგნში „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“. ამ ნაშრომში განადგურებულ იქნა მენშევიზმის გამცემლური ტაქტიკა, რომელიც ამცირებდა პროლეტარიატის როლს ბურჟუაზიულ რევოლუციაში, და დასაბუთებულ იქნა, რომ რუსეთის პროლეტარიატს გააჩნდა ყველა

---

[1] Ленинский сборник, V, изд. 2-е, გვ. 440.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. I, გვ. 356.

შესაძლებლობა გამხდარიყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევო-
ლუციის ხელმძღვანელი. ლენინი კატეგორიულად [illegible] რომ რევოლუციის ბედი იმაზეა დამოკიდებული, შეასრულებს მუშათა კლასი ბურჟუაზიის ხელისშემწყობის როლს, თუ — სახალხო რევოლუციის ხელმძღვანელის როლს.

რას ემყარებოდა ვ. ი. ლენინი, როდესაც ასაბუთებდა პროლეტარიატის ჰეგემონობის იდეას? უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ კაპიტალიზმისა და მუშათა მოძრაობის განვითარების შედეგად რუსეთის პროლეტარიატი უდიდეს რევოლუციურ ძალად იყო გადაქცეული და მას გააჩნდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაჩინო გამოცდილება. რუსეთში არსებულ ყველა კლასთაგან პროლეტარიატი ყველაზე მოწინავე კლასს წარმოადგენდა და მას შეეძლო გამოსულიყო დემოკრატიისათვის თანმიმდევრული მებრძოლის როლში. პროლეტარიატის ბრძოლას სათავეში ედგა მოწინავე რევოლუციური პარტია — ბოლშევიკების პარტია. მარქსისტული თეორიით შეიარაღებული რუსეთის პროლეტარიატი პოლიტიკურად განვითარებული კლასი იყო. აი რატომ უნდა გამხდარიყო იგი მასების პოლიტიკური ბელადი.

ლენინის აზრით, პროლეტარიატს მხოლოდ მაშინ შეეძლო გამოსულიყო რევოლუციის ბელადის როლში, თუ ის შეძლებდა გლეხობის ფართო მასების მიმხრობას და თავის მხარეზე გადაყვანას. რუსეთის გლეხობა მთელი თავისი ძირითადი ინტერესით დაკავშირებული იყო რევოლუციასთან და ეს გარემოება პროლეტარიატს უადვილებდა დაერწმუნებინა გლეხთა მასები, რომ მხოლოდ რევოლუციას შეეძლო გაეტარებინა რადიკალური აგრარული გარდაქმნები.

აზრი იმის შესახებ, რომ მომავალ რევოლუციაში პროლეტარიატისათვის აუცილებლად მხარი უნდა დაეჭირა გლეხობას, გასული საუკუნის 50-იან წლებში გამოთქმული იქნა მარქსისა და ენგელსის მიერ. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია მარქსის სიტყვები 1856 წლის 16 აპრილს ენგელსისადმი გაგზავნილი წერილიდან: „გერმანიაში ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, რომ გლეხთა ომის რაიმე მეორე გამოცემით ზურგი გაემაგროს პროლეტარულ რევოლუციას. მაშინ ჩინებულად იქნება საქმე“[1].

მარქსისა და ენგელსის შრომებში ამ აზრმა ვერ ჰპოვა შემდგომი განვითარება, ხოლო მეორე ინტერნაციონალის ოპორტუნისტებმა

[1] კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, რჩ. ნაწ., ტ. II, გვ. 549.

სრულიად დაივიწყეს მარქსის თვალსაზრისი გლეხობის შე[illegible] ნიშნული საკითხის საფუძვლიანი დამუშავება მოუხდა ვ[illegible]

იძლეოდა რა 1905 წლის რევოლუციის მამოძრავებელი ძალების შეფასებას, ლენინი პროლეტარიატის ერთგულ მოკავშირედ თვითმპყრობელობის დამხობის საქმეში თვლიდა გლეხობას. ნაშრომში „ორი ტაქტიკა“ ნათქვამია, რომ რუსეთის რევოლუციის ნამდვილი გაქანება სწორედ მაშინ დაიწყებოდა, როდესაც ბურჟუაზია ზურგს შეაქცევდა რევოლუციას, ხოლო აქტიურ რევოლუციონერად პროლეტარიატთან ერთად გამოვიდოდა გლეხობა. ჯერ კიდევ 1905 წლის მარტში დაწერილ სტატიაში „პროლეტარიატი და გლეხობა“, აქცევდა რა განსაკუთრებულ ყურადღებას სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამოკიდებულების საკითხს გლეხთა მოძრაობისადმი, ლენინი მოითხოვდა ყველა პარტიული ორგანიზაციისაგან, ყველა პროპაგანდისტისა და აგიტატორისაგან, აღნიშნული საკითხის განხილვას დღის წესრიგის უახლოეს რიგში. აი რატომ აყენებდა ლენინი მთელი პრინციპულობით საკითხს, რომ პარტიის მესამე ყრილობას მიეღო რეზოლუცია გლეხთა მოძრაობისადმი მხარის დაჭერის შესახებ, რადგანაც ეს მოძრაობა მიმართული იყო არსებული, თვითმპყრობელური წყობილების წინააღმდეგ და, საერთოდ, ბატონყმობის ყველა ნაშთის წინააღმდეგ.

ხედავდა რა გლეხობაში რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის უნარს, ლენინი მასში სამ ფენას გაარჩევდა: სოფლის პროლეტარიატი, საშუალო გლეხობა და გლეხური ბურჟუაზია. საჭირო იყო გლეხობის ამ სხვადასხვაგვარი ელემენტების ფხიზლად აღრიცხვა, რადგანაც მათი საერთო თვისებები დემოკრატიულს ხდიდა გლეხთა მოძრაობას. ამასთან ერთად, ცნობილია, რომ პროლეტარიატისა და გლეხური ბურჟუაზიის ინტერესები ერთმანეთს არ ემთხვეოდნენ და სოციალისტური რევოლუციის დროს პროლეტარიატს მოკავშირედ გამოადგებოდა გლეხობის უღარიბესი ფენები — სოფლის ნახევრად პროლეტარული ელემენტები.

პარტიის მესამე ყრილობის რეზოლუციაში „გლეხთა მოძრაობისადმი დამოკიდებულების შესახებ“ პროლეტარიატის პარტიის ამოცანად დასახულია გლეხთა მოძრაობის რევოლუციურ-დემოკრატიული შინაარსის გაწმენდა ყოველგვარი რეაქციული მინარევისაგან, გლეხთა რევოლუციური თვითშეგნების განვითარება და მათი დემოკრატიული მოთხოვნების ბოლომდე მიყვანა.

ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის სინამდვილედ გადაქცევა დამოკიდებული იყო პროლე-

ტარიატისა და გლეხობის ერთობლივ მოქმედებაზე პოლი-ტიკური ძალაუფლების დასაპყრობად იმ პირობით, რომ ლიბერა-ლური ბურჟუაზია იზოლირებული იქნებოდა და დემოკრატიული მოძრაობის ხელმძღვანელობას პროლეტარიატი შეინარჩუნებდა. ასეთი იყო ბოლშევიკური პარტიის სახელმძღვანელო გეზი, რომე-ლიც მოწონებულ იქნა პარტიის მესამე ყრილობის მიერ.

ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლის დასაბუთება იყო ერთ-ერთი აუცილებელი პირობა სოციალისტური რევოლუციის ახალი თეორიის შექმნისა-თვის.

ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში ტაქტიკის საკით-ხებში მარქსისტული პარტიის ეს ახალი გეზი არსებითად განსხვავ-დებოდა მარქსისტულ არსენალში მანამდე არსებულ ტაქტიკურ გეზთაგან. ძველი ტაქტიკური გეზის მიხედვით, ბურჟუაზიულ რევო-ლუციაში ხელმძღვანელი როლი ბურჟუაზიის ხელში რჩებოდა, პროლეტარიატი ძალაუნებურად მის ხელშემწყობს წარმოადგენდა, გლეხობა კი ბურჟუაზიის რეზერვს შეადგენდა. ლენინის მიერ შე-მუშავებული ახალი გეზის მიხედვით, პროლეტარიატი ხდებოდა ბურჟუაზიული რევოლუციის ხელმძღვანელ ძალად, ბურჟუაზია იზოლირებული უნდა ყოფილიყო, გლეხობა კი პროლეტარიატის რეზერვად იქცეოდა.

1905—1907 წლების რევოლუციის მთელმა მსვლელობამ ცხადყო ამ ახალი გეზის სისწორე. რუსეთის პროლეტარიატი ამ რევოლუ-ციაში გამოდიოდა, როგორც ყველა მშრომელის სასიცოცხლო ინტერესების თანმიმდევრული გამომხატველი, როგორც საერთო დემოკრატიული მოძრაობის ხელმძღვანელი ძალა. ამრიგად, რუსე-თის რევოლუციის ერთად-ერთი ბელადი რომელსაც შეეძლო მიემ-ხრო რუსეთის რევოლუციური ძალები მეფის თვითმპყრობელობაზე იერიშის მისატანად, იყო პროლეტარიატი. მხოლოდ პროლეტა-რიატს შეეძლო დაერაზმა თავის გარშემო ქვეყნის რევოლუციური ელემენტები და მიეყვანა რევოლუცია ბოლომდე.

იდეამ პროლეტარიატის ჰეგემონობის შესახებ თავისი ოსტა-ტური გამოყენება ჰპოვა რუსეთში, პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისა და პროლეტარიატის დიქტატურის სახით.

პროლეტარიატის ჰეგემონობის ლენინურმა იდეამ თავისი პრაქ-ტიკული გამოყენება ჰპოვა, აგრეთვე, ევროპისა და აზიის სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მაგალითზე. პროლეტარიატის ჰეგემონო-ბის ლენინური იდეა სახელმძღვანელო დებულებას წარმოადგენს,

აგრეთვე, ყველა სხვა ქვეყნის კომუნისტებისა და პროლეტარიატისათვის, რომელთა წინაშეც გადაუდებელ ამოცანად დგას სოციალისტური წყობილების განხორციელება.

* *
*

სოციალისტური რევოლუციის ახალ თეორიაში, რომელიც ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რევოლუციის გამარჯვებისათვის მშრომელთა ბრძოლის გზებისა და საშუალებების საკითხს.

ვ. ი. ლენინი სთვლიდა, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ამოცანების განხორციელების საქმეში გადამწყვეტი როლი უნდა ეთამაშა შეიარაღებულ აჯანყებასა და დროებითი რევოლუციური მთავრობის ორგანიზაციას.

წინააღმდეგ მენშევიკებისა, შეიარაღებული აჯანყება ლენინს იმ დროისათვის მიაჩნდა თვითმპყრობელობის დამხობისა და დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის ძირითად საშუალებად, ხოლო დემოკრატიული რესპუბლიკა იქნებოდა პირველი საფეხური სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

სთვლიდა რა შეიარაღებულ აჯანყებას ძირითად და გადამწყვეტ საშუალებად რესპუბლიკისათვის ბრძოლაში, ლენინმა მარქსისა და ენგელსის სიკვდილის შემდეგ პირველმა წამოაყენა შეიარაღებული აჯანყების, როგორც ბრძოლის ახალი საშუალების, პრაქტიკულად განხორციელების ამოცანა. ლენინი მიუთითებდა, შეიარაღებული აჯანყება ძლევამოსილად რომ დაგვირგვინდეს, იგი უნდა ემყარებოდეს რევოლუციური გზით 8 საათიანი სამუშაო დღის დაუყოვნებლივ განხორციელებას და სოფლად თვით გლეხთა ინიციატივით მემამულეთა მიწების დაპყრობას. ამ ახალი ტაქტიკური საშუალების გამოყენებამ გამოიწვია ცარიზმის ძალაუფლების აპარატის პარალიზება და ხელი შეუწყო მასების აქტივობისა და შემოქმედებითი ინიციატივის გაღვივებას, რასაც შედეგად მოჰყვა რევოლუციური საგაფიცვო კომიტეტების შექმნა ქალაქად და გლეხთა რევოლუციური კომიტეტებისა — სოფლად, რომელთაგან პირველნი შემდეგში განვითარდნენ მუშათა დეპუტატების საბჭოებად, ხოლო მეორენი — გლეხთა დეპუტატების საბჭოებად.

შემდეგ ლენინმა მიუთითა მასობრივი პოლიტიკური გაფიცვების გამოყენებაზე, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ქონდა აჯანყების დაწყებისა და თვით მისი მსვლელობის პროცესში. მასობრივი პოლიტიკური გაფიცვები — ეს იყო ახალი, მეტად მნიშვნელოვანი იარაღი

პროლეტარიატის ხელში, რომელიც მანამდე უცნობი იყო [illegible] სტული პარტიების პრაქტიკაში, ხოლო შემდეგ კი მან [illegible] უფლება მოიპოვა.

ამასთან ერთად, საჭიროა აღინიშნოს, რომ აჯანყების საკითხს ლენინი განიხილავდა ყოველ მოცემულ პერიოდში შექმნილ კონკრეტულ ვითარებასთან დაკავშირებით. ვ. ი. ლენინი ყოველთვის როდი თვლიდა აუცილებლად შეიარაღებული აჯანყების გამოყენებას. ბრძოლის ამა თუ იმ ფორმის გამოყენება, ეს იქნება შეიარაღებული აჯანყება თუ პარლამენტური ფორმა, დამოკიდებულია ამა თუ იმ ქვეყნის კონკრეტულ ისტორიულ პირობებზე. ვ. ი. ლენინი წერდა: „...მარქსიზმი მოითხოვს ბრძოლის ფორმების საკითხის უეჭველად ი ს ტ ო რ ი უ ლ განხილვას. ამ საკითხის ისტორიულ-კონკრეტული ვითარების გარეშე დაყენება იმას ნიშნავს, რომ დიალექტიკური მატერიალიზმის ანაბანისა არა გაგეგებოდეს რა“[1].

ამრიგად, ბრძოლის ერთადერთ ფორმად არ შეიძლება მივიჩნიოთ არც შეიარაღებული აჯანყება და არც მშვიდობიანი გზა.

როგორც ვ. ი. ლენინი შენიშნავდა, მუშათა კლასი, რა თქმა უნდა, ამჯობინებდა მშვიდობიანად აეღო თავის ხელში ძალაუფლება, მაგრამ უარის თქმა ძალაუფლების რევოლუციურ დაპყრობაზე პროლეტარიატის მხრივ — ეს იქნებოდა უგუნურება და სამარცხვინო დათმობა ბურჟუაზიისადმი.

ისტორიული განვითარების მთელი მსვლელობა ადასტურებს მარქსიზმ-ლენინიზმის თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ ქვეყნების გადამწყვეტი უმრავლესობისათვის პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების მოპოვების კანონად, მთავარ გზად აღიარებულია შეიარაღებული აჯანყება, ხოლო რაც შეეხება მშვიდობიან გზას, იგი წარმოადგენს მშრომელთათვის ხელსაყრელ გამონაკლისს და შეუძლებელია რევოლუციის მშვიდობიანი გზის შესაძლებლობის უგულებელყოფა.

როგორც აღვნიშნეთ, სოციალიზმის მისაღწევად არ არსებობდა სხვა გზა, გარდა დემოკრატიული რესპუბლიკისა. როგორც ლენინი მიუთითებდა, ვისაც სურდა წასულიყო სოციალიზმისაკენ სხვა გზით და არა პოლიტიკური დემოკრატიზმის გზით, ის აუცილებლად მივიდოდა უაზრო და რეაქციულ დასკვნებამდე, როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური მხრივ. პროგრამა მაქსიმუმის განხორ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 11, გვ. 242.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციელება უშუალოდ არ შეიძლებოდა, რადგანაც სოციალიზმი ჯერ კიდევ უცხო იყო ხალხის დემოკრატიულად განწყობილი მასებისათვის, ჯერ კიდევ სათანადოთ დარაზმული არ იყვნენ პროლეტარები.

მეტად საინტერესოა დემოკრატიული რესპუბლიკის დახასიათება, რომელსაც ჩვენ ვხვდებით ლენინის სტატიაში „სამი კონსტიტუცია ანუ სახელმწიფოებრივი წყობილების სამი წესი“, რომელიც დაწერილია 1905 წლის ივლისში. იმ დროს, როდესაც ლენინისათვის ჯერ კიდევ ცნობილი არ იყო საბჭოები, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმა, მის მიერ მოცემული დემოკრატიული რესპუბლიკის ანატომიის დახასიათება ასეთია: არ არსებობს არავითარი მეფე, არც ზედა პალატა. არსებობს ერთი რესპუბლიკური პალატა, რომელიც ირჩევა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი საარჩევნო სისტემის საფუძველზე ფარული კენჭისყრით. პოლიციას და მოხელეობას არ გააჩნია არავითარი დამოუკიდებელი ხელისუფლება, ისინი ხალხის მორჩილებაში იმყოფებიან. მთელი ხელისუფლება ხალხს ეკუთვნის, ხალხი თვითონ უნდა გაძღოლოდა თავის საქმეს. ხალხს უნდა ებრძოლა სოციალიზმისათვის და შეექმნა ისეთი წესრიგი, რომელშიც აღარ იქნებოდნენ მდიდრები და ღარიბები, როდესაც წარმოების ძირითადი საშუალებანი ყველა მშრომელის საკუთრებად გადაიქცეოდა.

პროლეტარიატის ბრძოლის ინტერესები სოციალიზმის გამარჯვებისათვის მოითხოვდა თვითმპყრობელური წყობილების დამხობას და მის შეცვლას დემოკრატიული რესპუბლიკით. დემოკრატიული რესპუბლიკა შეიძლებოდა მიღწეული ყოფილიყო შეიარაღებული აჯანყების გზით, რომლის ორგანო იქნებოდა დროებითი რევოლუციური მთავრობა. ამრიგად, ერთადერთ ხელისუფლებად, რომელიც უნდა შექმნილიყო ცარიზმზე რევოლუციის გადამწყვეტი გამარჯვების შედეგად, ლენინს მიაჩნდა პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ დემოკრატიული დიქტატურა.

მაშასადამე, რევოლუციის ძირითადი საკითხის — სახელმწიფო ძალაუფლების საკითხის—ახლებური გადაწყვეტა ვ. ი. ლენინის მიერ იმაში მდგომარეობდა, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას, რომელშიც მთავარ ხელმძღვანელ ძალას პროლეტარიატი წარმოადგენდა, უნდა გამოეწვია არა ბურჟუაზიის დიქტატურა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა წინანდელ ბურჟუაზიულ რევოლუციებში, არამედ პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-

დემოკრატიული დიქტატურა, რომლის პოლიტიკური ორგანო უნდა ყოფილიყო შეიარაღებულ ხალხზე დაყრდნობილი დროებითი რევოლუციური მთავრობა.

სოციალისტური რევოლუციის ახალი, ლენინური თეორიის გაგებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საკითხს დროებითი რევოლუციური მთავრობის შესახებ. პროლეტარიატის პარტიას აუცილებლად უნდა განესაზღვრა თავისი დამოკიდებულება დროებითი რევოლუციური მთავრობისადმი, გაერკვია ამ მთავრობაში მონაწილეობის ზუსტი პირობები.

დროებითი რევოლუციური მთავრობის წინაშე, ლენინის აზრით, უშუალოდ არ იდგა სოციალისტური გარდაქმნები, იგი დემოკრატიული ამოცანების განხორციელებით უნდა შემოფარგლულიყო, ე. ი. ცხოვრებაში გაეტარებინა პარტიის პროგრამა მინიმუმი. მაგრამ ეს დემოკრატიული გარდაქმნები მოამზადებდნენ პირობებს სოციალიზმის ამოცანებზე გადასვლისათვის.

დროებითი რევოლუციური მთავრობის როლის ასეთი გაგება ლოგიკურად გამომდინარეობდა დემოკრატიულ გადატრიალებასა და სოციალისტურ გადატრიალებას შორის არსებული განსხვავებიდან, რომელსაც ვერ ამჩნევდნენ მენშევიკები.

წინააღმდეგ მენშევიკებისა, ლენინს დასაშვებად მიაჩნდა სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენელთა მონაწილეობა დროებით რევოლუციურ მთავრობაში. პარტიის სპეციალური რწმუნებულები იდგომებოდნენ მუშათა კლასის ინტერესთა სადარაჯოზე და შეებრძოლებოდნენ კონტრრევოლუციის ყოველგვარ ცდებს. პლეხანოვი, მარტოვი და სხვა მენშევიკები კი უარყოფდნენ სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობას დროებით რევოლუციურ მთავრობაში და ემხრობოდნენ საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ძველ ტაქტიკას „ქვემოდან" მოქმედების აუცილებლობის შესახებ, თავდაცვის ტაქტიკას, რომელიც გამომუშავებული იყო რევოლუციის წაზღვავების პერიოდში. რევოლუციის განვითარების ახალი ეტაპისათვის ლენინმა შეიმუშავა ახალი ტაქტიკა, რაც გამოიხატებოდა „ქვევიდან", ე. ი. მასების მხრიდან, გარედან, მოქმედების შეხამებაში „ზევიდან", დროებითი რევოლუციური მთავრობის შიგნიდან, მოქმედებასთან. „პოლიტიკური რეაქციის ხანგრძლივმა ეპოქამ,— წერდა ლენინი, — რომელიც ევროპაში თითქმის განუწყვეტლივ მეფობს, პარიზის კომუნის დროიდან, ერთობ შეგვათვისა მხოლოდ „ქვევიდან" მოქმედების აზრს, ერთობ შეგვაჩვია, ვხედავდეთ მხოლოდ თავდაცვითს ბრძოლას. ახლა კი, უეჭველია. ჩვენ ფეხი შევ-

დგით ახალ ეპოქაში; დაიწყო პოლიტიკურ შერყევათა და რევოლუციების პერიოდი. ისეთ პერიოდში, როგორსაც რუსეთი განიცდის, შეუწყნარებელია ძველ შაბლონს დავჯერდეთ. უნდა გავაჩაღოთ ზევიდან მოქმედების იდეის პროპაგანდა, უნდა ვემზადოთ ძლიერესად ენერგიული, შეტევითი მოქმედებისათვის, უნდა შევისწავლოთ ასეთი მოქმედების პირობები და ფორმები"[1].

დროებით რევოლუციურ მთავრობაში სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენელთა მენშევიკურ უარყოფას ლენინი თვლიდა ანარქისტული პოლიტიკის გამოვლინებად.

ასეთი იყო ვ. ი. ლენინის მიერ საკითხის გადაწყვეტა შეიარაღებული აჯანყებისა და დროებითი რევოლუციური მთავრობის შესახებ, რომელიც აცამტვერებდა მენშევიკების მიერ შემუშავებულ „რევოლუციის სქემას".

* * *

სოციალისტური რევოლუციის ახალი, ლენინური თეორიის ძლიერესად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გაზრდის თეორია. ეს თეორია, რომელიც ლენინმა ჩამოაყალიბა 1905 წლის რევოლუციის პერიოდში, გახდა ბოლშევიკური პარტიის სახელმძღვანელო გეზად.

ლენინი არ დაკმაყოფილდა ბოლშევიკებისა და მენშევიკების ტაქტიკის დახასიათებით „...აკრიტიკებდა რა მენშევიკების ტაქტიკას, ის ამასთან ერთად ამხილებდა საერთაშორისო ოპორტუნიზმის ტაქტიკას, ხოლო ასაბუთებდა რა მარქსისტების ტაქტიკას ბურჟუაზიული რევოლუციის პერიოდში და ერთმანეთისაგან განასხვავებდა რა ბურჟუაზიულ რევოლუციასა და სოციალისტურ რევოლუციას, — მან ამასთან ერთად ჩამოაყალიბა საფუძვლები მარქსისტული ტაქტიკისა ბურჟუაზიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლის პერიოდში"[2].

ვ. ი. ლენინი გენიალურად სჭვრეტდა რა რუსეთში მოვლენათა განვითარების მთელ მსვლელობას, რევოლუციის პერსპექტივებს როდი ზღუდავდა დემოკრატიული ამოცანების განხორციელებით. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვება, დემოკრა-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 9, გვ. 21.

[2] საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, მოკლე კურსი, გვ. 81.

ტიული რესპუბლიკის დამყარება და პროლეტარიატის პარტიის პროგრამა მინიმუმის განხორციელება ლენინს მიაჩნდა [illegible] პირველი ნაბიჯების გადადგმად, აუცილებელ წინასწარ [illegible] რომლის შემდეგაც უნდა დაწყებულიყო პროლეტარიატისა და ექსპლოატირებული მასების ბრძოლა სოციალისტური რევოლუციისათვის, ბურჟუაზიული რევოლუცია უნდა გადაზრდილიყო სოციალისტურ რევოლუციაში. მოგვცა რა რუსეთის რევოლუციის განვითარების სწორი ანალიზი, ლენინმა მასში დაინახა ორი სოციალური ომი. პროლეტარიატს უნდა დაერაზმა ქვეყნის მთელი დემოკრატიული ძალები ფეოდალიზმთან ბრძოლისათვის და იმავდროულად უნდა ეწარმოებინა ღარიბი გლეხობის ორგანიზაცია ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს იმას ნიშნავს, რომ ლენინს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული და სოციალისტური რევოლუცია წარმოდგენილი ჰქონდა როგორც ერთი მთლიანი ჯაჭვის ორი რგოლი, რადგანაც რუსეთის ცარიზმსა და დასავლეთის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ინტერესებს შორის არსებობდა ერთიანობა, ამიტომ ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ ნიშნავდა ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგაც. ცარიზმის წინააღმდეგ მიმართული რევოლუცია აუცილებლად უნდა გადაზრდილიყო რევოლუციად იმპერიალიზმის წინააღმდეგ, პროლეტარულ რევოლუციად.

რომ რევოლუცია რუსეთში აუცილებლად პროლეტარული გახდებოდა, ამ აზრს გამოთქვამდა ვ. ი. ლენინი 1905 წლის რევოლუციის დასაწყისშივე: „Наше дело, социал-демократии, толкать буржуазную революцию как можно дальше, никогда не забывая главного нашего дела: самостоятельной организации пролетариата“[1].

ცარიზმის დამხობა როდი ნიშნავდა რევოლუციის დამთავრებას. მას უნდა მიეღო პერმანენტული ხასიათი. რევოლუციის განვითარების მსვლელობაში გაიზრდებოდა პროლეტარიატის პოლიტიკური თვითშეგნება და ორგანიზებულება სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის.

ბურჟუაზიულსა და სოციალისტურ რევოლუციებს შორის თანაფარდობის ახალი გეზი, ახალი თეორია ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტურზე გადასვლის შესახებ თავის განთქმულ წიგნში „ორი ტაქტიკა“ ლენინმა შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: „პროლეტარიატმა ბოლომდე უნდა გაატაროს

[1] Ленинский сборник, V, изд. 2-ое, გვ. 440.

დემოკრატიული გადატრიალება, შეიერთოს გლეხობის მასა, რათა ძალით დათრგუნოს თვითმპყრობელობის წინააღმდეგობა და გააქარწყლოს ბურჟუაზიის მერყეობა. პროლეტარიატმა უნდა მოახდინოს სოციალისტური გადატრიალება, შეიერთოს მოსახლეობის ნახევრად პროლეტარული ელემენტების მასა, რათა ძალით გატეხოს ბურჟუაზიის წინააღმდეგობა და გააქარწყლოს გლეხობისა და წვრილი ბურჟუაზიის მერყეობა“[1].

სოციალისტური რევოლუციის ამ ახალი თეორიის უფრო ნათელსაყოფად ლენინი სპეციალურად უბრუნდება აღნიშნულ საკითხს 1905 წლის სექტემბერში სტატიაში „სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულება გლეხთა მოძრაობისადმი“: „...დემოკრატიული რევოლუციიდან ჩვენ მაშინვე დავიწყებთ გადასვლას და სწორედ ჩვენი ძლიერების, შეგნებული და ორგანიზებული პროლეტარიატის ძლიერების დაკვალად, დავიწყებთ გადასვლას სოციალისტურ რევოლუციაზე. ჩვენ განუწყვეტელი რევოლუციის მომხრენი ვართ. შუა გზაზე ჩვენ არ შევჩერდებით“[2].

ამრიგად, ლენინის ახალ თეორიაში პოლიტიკური თავისუფლებისა და რესპუბლიკისათვის ბრძოლა მჭიდროდ იყო დაკავშირებული სოციალიზმისათვის ბრძოლის ინტერესებთან, ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან ყველა მშრომელის სრული განთავისუფლებისათვის ბრძოლის ინტერესებთან. რუსეთის პროლეტარიატი ვერ დაკმაყოფილდებოდა წვრილ-წვრილი დათმობებით, იგი მიისწრაფოდა ყოველგვარი ბურჟუაზიული და მემამულური ხელისუფლების სრული დამხობისაკენ. ეს ნიშნავდა იმას, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული და სოციალისტური რევოლუციები რუსეთში იმდენად დაუახლოვდნენ ერთმანეთს, რომ პირველი უნდა გადაზრდილიყო მეორეში.

ამასთან ერთად, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტურზე გადასვლისათვის რუსეთის რევოლუციას 1905 წელს გააჩნდა უფრო ხელსაყრელი ეკონომიური და პოლიტიკური პირობები, რომლებიც, როგორც ი. ბ. სტალინი შენიშნავდა, განსხვავდებოდა დასავლეთის პირობებისაგან რევოლუციურ გადატრიალებათა დროს. და-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 9, გვ. 110.

[2] იქვე, გვ. 226.

სავლეთში რევოლუციები მიმდინარეობდა კაპიტალიზმის მანუფაქტურული სტადიის დროს, როდესაც კლასობრივი წინააღმდეგობანი ჯერ კიდევ სათანადოთ არ იყო გამწვავებული, პროლეტარიატი შედარებით სუსტი იყო და ჯერ კიდევ არ ჰყავდა თავისი საკუთარი პარტია. რუსეთში 1905 წლის რევოლუცია დაიწყო კაპიტალიზმის განვითარების მანქანურ პერიოდში, როდესაც კაპიტალიზმის წინააღმდეგობები უფრო ღრმა იყო, პროლეტარიატს გააჩნდა ბრძოლის უფრო მეტი გამოცდილება და ჰყავდა თავისი საკუთარი პარტია.

ლენინური თეორიით ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურში გადაზრდის შესახებ დამსხვრეულ იქნა მეორე ინტერნაციონალის ყალბი თვალსაზრისი ბურჟუაზიულ-დემოკრატიულსა და სოციალისტურ რევოლუციებს შორის ხანგრძლივი ინტერვალის შესახებ, რომელიც გამორიცხავდა ქალაქისა და სოფლის ნახევრად პროლეტარული მასების შესაძლებლობებს და სოციალისტურ რევოლუციაში პროლეტარიატს ბურჟუაზიის წინააღმდეგ სტოვებდა მარტოდმარტო, უმოკავშიროდ.

ლენინური თვალსაზრისი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურში გადაზრდის შესახებ, ძირშივე ეწინააღმდეგებოდა და უარყოფდა კონტრრევოლუციურ, ტროცკისტულ-მენშევიკურ თეორიას „პერმანენტული“ რევოლუციის შესახებ.

ცნობილია, რომ 1905 წელს ლენინური თვალსაზრისის წინააღმდეგ აშკარად გამოვიდნენ პარვუსი და მასთან ერთად ტროცკი „პერმანენტული“ რევოლუციის თეორიით. „პერმანენტული“ რევოლუციის ტროცკისტული თეორია ნიშნავდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური კავშირის მენშევიკურ უარყოფას, რასაც შემდგომში მოჰყვა პროლეტარიატის როლისა და პროლეტარიატის დიქტატურის უარყოფა. რუსეთის გლეხობის რევოლუციური უნარის შეუფასებლობა ნიშნავდა პროლეტარიატის ძალისა და უნარის შეუფასებლობას, რომელიც სათავეში ედგა რუსეთის გლეხობას. „პერმანენტული“ რევოლუციის ტროცკისტული თეორიის მომხრეები ხსნას ხედავდნენ მხოლოდ საერთაშორისო ასპარეზზე, რადგანაც გლეხობას სთვლიდნენ კონტრრევოლუციურ ძალად და გარდუვალად მიაჩნდათ გლეხობის გალაშქრება პროლეტარიატის წინააღმდეგ.

პერმანენტული რევოლუციის იდეა, რომელიც პირველად მარქსის მიერ იქნა შემუშავებული XIX ს. ორმოციანი წლების დასასრულს, ნიშნავდა რევოლუციური მდგომარეობის გახანგრძლივე-

ბას და დაგვირგვინებას პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების ხელში აღებით, რის შედეგად რევოლუციის ცეცხლი უნდა დაწყებულიყო ყველა ქვეყანაში. მარქსი როდი მოითხოვდა, რომ გერმანიაში რევოლუციის საქმე დაწყებულიყო პირდაპირ პროლეტარული ხელისუფლებით, როგორც ეს ყალბად ჰქონდა წარმოდგენილი იუდა ტროცკს, რომელიც 1905 წელს აყენებდა ლოზუნგს „უმეფოდ, ხოლო მთავრობა მუშური“.

წინააღმდეგ კონტრრევოლუციური „პერმანენტული“ რევოლუციის თეორიის ავტორებისა, მხოლოდ ლენინმა აღადგინა სიმართლე მარქსის მიერ გამოთქმული პერმანენტული რევოლუციის იდეისა, შეიმუშავა თეორია ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის შესახებ, რომელიც წარმოადგენს მარქსის პერმანენტული რევოლუციის თეორიის განსახიერების ერთ-ერთ ფორმას.

მოძღვრება ბურჟუაზიულ-დემოკრატიულიდან სოციალისტურზე გადასვლის შესახებ სამართლიანად ითვლება სოციალისტური რევოლუციის ახალი, ლენინური თეორიის ქვაკუთხედად. ამ თეორიის უდიდესი მნიშვნელობა საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში შემდეგნაირადაა მოცემული: „ეს იყო ახალი თეორია სოციალისტური რევოლუციისა, რომელსაც განახორციელებს არა იზოლირებული პროლეტარიატი მთელი ბურჟუაზიის წინააღმდეგ, არამედ პროლეტარიატი — ჰეგემონი, რომელსაც ჰყავს მოკავშირეები მოსახლეობის ნახევრადპროლეტარული ელემენტების სახით, მილიონობით „მშრომელი და ექსპლოატირებული მასების“ სახით“ [1].

ასეთი იყო რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში ლენინის მიერ შემუშავებული ტაქტიკური გეგმა. ამ გეგმის ღირსება, როგორც ი. ბ. სტალინი მიუთითებდა, ის იყო, რომ იგი, პირდაპირ და გადაჭრით აყალიბებდა რა პროლეტარიატის კლასობრივ მოთხოვნებს რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ეპოქაში, აადვილებდა სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლას, შეიცავდა პროლეტარიატის დიქტატურის იდეის ჩანასახს.

1905 წლის რევოლუციის მთელმა მსვლელობამ რუსეთში დაადასტურა სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიის სისწორე, ხოლო 1917 წლის ოქტომბრის დიდი სოციალისტური რე-

---

[1] საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, მოკლე კურსი, გვ. 93.

ვოლუცია წარმოადგენს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულიდან [illegible] ალისტურ რევოლუციაზე გადასვლის ლენინური თეორიის [illegible] ტიკულად განხორციელების ყველაზე ცოცხალ მაგალითს.

მართალია სოციალისტური რევოლუციის ეს ახალი თეორია, რომელიც ლენინმა შეიმუშავა 1905 წელს, ჯერ კიდევ არ იძლეოდა უშუალო დასკვნას ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ, მაგრამ ის შეიცავდა ყველა ძირითად წინამძღვარს ასეთი დასკვნისათვის.

რომ ასეთი დასკვნა გაკეთებულიყო, ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ თეორიულ წინამძღვრებთან ერთად საჭირო იყო მონოპოლისტური კაპიტალიზმის ულრმესი ეკონომიური და პოლიტიკური ანალიზი, რაც ლენინმა განახორციელა პირველი იმპერიალისტური ომის პერიოდში.

* * *

შემოქმედებითი მარქსიზმის უბადლო ოსტატმა ლენინმა იმპერიალიზმის მეცნიერული ანალიზის საფუძველზე აღმოაჩინა კაპიტალიზმის ეკონომიური და პოლიტიკური არათანაბარი განვითარების კანონი, შეისწავლა ამ კანონის მოქმედების ხასიათი იმპერიალიზმის ეპოქაში და დაასაბუთა თეორია ყველა ქვეყანაში ერთდროულად სოციალიზმის გამარჯვების შეუძლებლობისა და ერთ, ცალკე აღებულ ან რამდენიმე კაპიტალისტურ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ.

სოციალისტური რევოლუციის ამ ახალი თეორიით ცალკეული ქვეყნების პროლეტართა წინაშე გადაიშალა უდიდესი პერსპექტივა ბურჟუაზიული წყობილების დამხობისა და საზოგადოების სოციალისტური ორგანიზაციის მოსაწყობად. ეს თეორია საფუძვლად დაედვა კომუნისტური პარტიის მთელ მოღვაწეობას როგორც ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში, ასევე სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგაც.

სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიით ხელმძღვანელობენ ევროპისა და აზიის სახალხო დემოკრატიული ქვეყნების მშრომელები, რომლებმაც კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობით თავი დააღწიეს იმპერიალისტურ ჩაგვრას და იწყეს სოციალისტური საზოგადოების შენება.

სოციალისტური რევოლუციის ახალმა, ლენინურმა თეორიამ თავისი შემდგომი განვითარება ჰპოვა საბჭოთა კავშირის კომუნის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტური პარტიის XX ყრილობის მუშაობაში. თანამედროვე საერთაშორისო განვითარების ძირეული პრინციპული საკითხებიდან, რომლებიც XX ყრილობამ გადაწყვიტა, ერთ-ერთი უაღრესად დიდმნიშვნელოვანი საკითხია სოციალიზმში სხვადასხვა ქვეყნების გადასვლის ფორმების შესახებ.

წინააღმდეგ ბურჟუაზიული იდეოლოგებისა, რომლებიც ამტკიცებენ, რომ სოციალისტური რევოლუცია მუდამ დაკავშირებულია სისხლისმღვრელ სამოქალაქო ომებთან, მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ ყველა ქვეყანაში და ყველა პირობებში არ არის აუცილებელი სოციალისტური რევოლუცია განხორციელდეს შეიარაღებული აჯანყების გზით.

ახალ ვითარებასთან დაკავშირებით, როდესაც მსოფლიო სოციალისტური სისტემა დაწკვიდრდა, განმტკიცდა და ვითარდება, ხოლო კაპიტალისტური სისტემა კრიზისულ მდგომარეობაშია და საგრძნობლად დასუსტდა, სავსებით შესაძლებელია, რომ ცალკეული ქვეყნებისათვის სოციალისტური რევოლუციის ამოცანები გადაიჭრას მშვიდობიანი გზით.

ის ფაქტი, რომ სოციალიზმმა გაიმარჯვა საბჭოთა კავშირში და იმარჯვებს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, ქმნის უფრო ხელსაყრელ პირობებს სხვა ქვეყნებში სოციალიზმზე გადასვლისათვის.

ამასთან ერთად, არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ჯერ კიდევ კაპიტალიზმი ძლიერია და სადაც მის ხელშია ძლიერი სამხედრო-პოლიციური აპარატი, იქ გარდუვალია გაბატონებული კლასების სერიოზული წინააღმდეგობა. ასეთ ქვეყნებში სოციალიზმში გადასვლა იწარმოებს მწვავე კლასობრივი, რევოლუციური ბრძოლის გზით.

სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორია, რომლის უდიდესი ცხოველმყოფელი ძალა დადასტურებულია ისტორიული განვითარების მთელი მსვლელობით, წარმოადგენს სახელმძღვანელო გეზს მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის კაპიტალიზმზე სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების უზრუნველსაყოფად.

(შემოვიდა რედაქციაში 20. III. 1956)



მარქსის სახ. საქ. სახელმწიფო
საჯარო
ბიბლიოთეკა

Г. М. ЧХЕИДЗЕ

# ПЕРВАЯ РУССКАЯ РЕВОЛЮЦИЯ И НОВАЯ, ЛЕНИНСКАЯ ТЕОРИЯ СОЦИАЛИСТИЧЕСКОЙ РЕВОЛЮЦИИ

## Резюме


В результате научного анализа событий первой русской революции В. И. Ленин обогатил марксизм новой теорией социалистической революции.

В. И. Ленин разбил ошибочную точку зрения, господствовавшую в партиях II Интернационала и впервые в истории марксизма дал новое понимание особенностей, движущих сил и тактики пролетариата в буржуазно-демократической революции в эпоху империализма.

В. И. Ленин последовательно, в систематизированном виде сформулировал положение о гегемонии пролетариата в буржуазно-демократической и социалистической революциях. Ленин обосновал идею необходимости союза пролетариата и крестьянства, что стало руководящей установкой большевистской партии.

Обоснование руководящей роли пролетариата в буржуазно-демократической революции было одним из необходимых условий для создания новой теории социалистической революции.

В новой теории социалистической революции важное место занимает вопрос о путях и средствах борьбы трудящихся за победу революции.

Считая вооружённое восстание основным средством для свержения самодержавия и создания демократической республики, Ленин вместе с тем рассматривал вопрос восстания в связи с создавшимися конкретными условиями и не всегда считал необходимым его применение.

В результате решительной победы революции над царизмом должна была быть создана революционно-демократическая диктатура пролетариата и крестьянства, политическим органом которой было бы временное революционное правительство. Большевики считали возможным участие представителей социал-демократии во временном революционном правительстве.

Краеугольным камнем новой, ленинской теории социалистической революции является теория перерастания буржуазно-демократической революции в социалистическую, которой была

разгромлена ложная точка зрения II Интернационала [illegible]ном интервале между буржуазно-демократической и социалистической революциями. Она коренным образом противопоставлялась и отрицала также контрреволюционную троцкистскую теорию „перманентной“ революции.

Новая теория социалистической революции, созданная Лениным в 1905 году, пока еще не давала непосредственного вывода о возможности победы социализма в одной стране, но она содержала все основные предпосылки для такого вывода. К этому выводу Ленин пришёл в 1915 году, что является дальнейшим развитием новой теории социалистической революции.

Ленинская теория социалистической революции легла в основу всей деятельности коммунистической партии как в борьбе за победу Октябрьской социалистической революции, так и после ее победы. Этой теорией руководятся трудящиеся народно-демократических стран Европы и Азии, которые под руководством коммунистических и рабочих партий освободились от империалистического гнета, приступили к строительству социализма.

Новая, ленинская теория социалистической революции нашла свое дальнейшее развитие в работе XX съезда коммунистической партии Советского Союза. Из основных принципиальных вопросов современного международного развития, решённых XX съездом, одним из важнейших является вопрос о формах перехода различных стран к социализму.

В связи с новой обстановкой, когда укрепляется и развивается мировая социалистическая система, а капиталистическая система находится в кризисном состоянии и значительно ослабла, вполне возможно, чтобы для отдельных стран задачи социалистической революции были решены мирным путем.

Ленинская теория социалистической революции, огромная, животворящая сила, которой подтверждается всем ходом исторического развития, представляет собой руководящую установку для трудящихся всего мира в деле окончательной победы социализма над капитализмом.

---

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XV, 1956.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XV, 1956.
ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ცხაკაია

# მახიზმის ლენინური კრიტიკის მნიშვნელობის საკითხისათვის

პარტიის XX ყრილობამ ახალი ამოცანები დააყენა იდეოლოგიური მუშაობის დარგში. ყრილობა მოითხოვს მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემოქმედებითად განვითარებას კომუნიზმისათვის პრაქტიკული ბრძოლის პროცესში, ახალი ისტორიული გამოცდილებისა და ცოცხალი სინამდვილის ფაქტების განზოგადების საფუძველზე, ამასთანავე შეუნელებელი ბრძოლის წარმოებას ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამოვლინებათა წინააღმდეგ.

იდეოლოგიური ბრძოლის ფრონტზე ფილოსოფიას ერთ-ერთი გადამწყვეტი უბანი უკავია. შემთხვევითი არ არის, რომ რეაქციული წრეები თავის სამსახურში ფართოდ იყენებენ ბურჟუაზიულ სოციოლოგებს, ფილოსოფოსებს — აძლევენ რა მათ დაკვეთას ყოველნაირად „შეალამაზონ" კაპიტალისტური ნაგებობა. თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ იდეოლოგიური მომსახურება გაუწიოს იმპერიალიზმის ბნელ ძალებს სოციალიზმთან, სოციალისტურ სისტემასთან ბრძოლის საქმეში.

თანამედროვე პირობებში იდეალიზმი კაპიტალისტური სამყაროს გახრწნისა და კულტურის დეგრადაციის გამოხატულებას წარმოადგენს. რეაქციის იდეოლოგთა მიერ იგი გამოყენებულია პროგრესული იდეების და, პირველ რიგში, მარქსიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

აღსანიშნავია, რომ ბურჟუაზიას, რომელმაც კარგა ხანია, რაც ამოწურა თავისი შემოქმედებითი ძალები, აღარ შეუძლია შექმნას რაიმე ახალი, ორიგინალური სისტემა. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ამჟამად იდეალიზმის სხვადასხვა სამოსელში გამოწყობილ უამრავ მიმდინარეობათა არც ერთ წარმომადგენელს არსებითად არც ერთი ახალი არგუმენტი არ წამოუყენებია თავისი

„სისტემის“ „დასაბუთებისათვის“. მათი „არგუმენტაც[illegible] განმეორებაში მდგომარეობს.

მ. კორნფორტი თავის წიგნში „მეცნიერება იდეალიზმის წინააღმდეგ“ სავსებით სწორად შენიშნავს, რომ თანამედროვე იდეალიზმის ისეთი „ფილოსოფოსების“ მოძღვრება, როგორიც არიან რასელი, კარნაპი, დიუი, ჩეიზი და სხვ., არსებითად ბერკლის, იუმისა და მახის შეხედულებათა ეკლექტურ კომპილაციასა და უბრალო განმეორებას წარმოადგენს.

იმპერიალისტურ ბურჟუაზიას მარქსიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მთავარ იარაღად გამოყენებული აქვს ბერკლის, იუმის, კანტის დახავსებული აზრები და მახისტური სუბიექტურ-იდეალისტური თვალსაზრისის მეცნიერების „ახალი მიღწევების“ ყალბ ინტერპრეტაციაზე დაფუძნებული, შეკეთებული და შეკოწიწებული გამოცემა.

ანადგურებდა რა მახიზმს, დიდი ლენინი ჯერ კიდევ მაშინ, 1909 წელს, მიუთითებდა ხუცობისა და სუბიექტური იდეალიზმის გაძლიერებულ გავრცელებაზე სწორედ ამერიკის შეერთებულ შტატებში. ლენინი წერდა: „აი კიდევ იმის მაგალითი, თუ როგორ იყენებენ სინამდვილეში რეაქციული ბურჟუაზიული ფილოსოფიის ფართოდ გავრცელებული მიმდინარეობანი მახიზმს. უახლესი ამერიკული ფილოსოფიის „უკანასკნელ მოდას“ წარმოადგენს პრაგმატიზმი... ფილოსოფიურ ჟურნალებში თითქმის ყველაზე მეტს სწერენ პრაგმატიზმზე. პრაგმატიზმი დასცინის როგორც მატერიალიზმის, ისე იდეალიზმის მეტაფიზიკას, აქებ-ადიდებს ცდას და მხოლოდ ცდას, ერთადერთ კრიტერიუმად პრაქტიკას აღიარებს, იმოწმებს პოზიტივისტურ მიმდინარეობას საზოგადოდ, ეყრდნობა სპეციალურად ოსტვალდს, მახს, პირსონს, პუანკარეს, დიუჰემს და ამბობს, რომ მეცნიერება არ არის „რეალობის აბსოლუტური ასლი“, და... სრულიად არხეინად ყოველივე ამიდან ღმერთი გამოჰყავს პრაქტიკული მიზნებისათვის, მხოლოდ პრაქტიკისათვის, ყოველი მეტაფიზიკის გარეშე, ცდის საზღვრების სრულიად გადაულახავად... განსხვავება მახიზმსა და პრაგმატიზმს შორის მატერიალიზმის თვალსაზრისით ისევე უმნიშვნელო და მეათეხარისხოვანია, როგორც ემპირიოკრიტიციზმსა და ემპირიომონიზმს შორის“ [1].

ამხილა რა მახისტური ფილოსოფიის იდეური ფესვები და რეაქციული არსი, ვ. ი. ლენინმა გვიჩვენა, რომ ეს მოდური „ახალი“ ფილოსოფია ბერკლის სუბიექტური იდეალიზმისა და კანტისა და

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 14, გვ. 436.

იუმის აგნოსტიციზმის შეფერადებულ განმეორებას წარ[illegible] ლენინმა გვიჩვენა, რომ ემპირიოკრიტიციზმის კლასობ[illegible] მთლიანად განისაზღვრება იმით, რომ იგი ფიდეისტებს სამსახურს უწევს, საერთოდ, მატერიალიზმისა და, კერძოდ, ისტორიული მატერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

შემთხვევითი არ არის, რომ თავის უკვდავ შრომაში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" ლენინი გამანადგურებელ კრიტიკას მიმართავს მახიზმის წინააღმდეგ, ეს იმიტომ, რომ სწორედ მახიზმი წარმოადგენს ტიპიურ რეაქციულ ფილოსოფიურ მიმდინარეობას კაპიტალიზმის ლპობის ხანაში. სავსებით ცხადია, რომ მახიზმის ლენინური კრიტიკა მთლიანად და სავსებით ძალაშია თანამედროვე რეაქციული ბურჟუაზიის ფილოსოფიის დახასიათებისთვისაც, ვინაიდან თანამედროვე იდეალისტური სკოლები და მიმართულებანი, სახელწოდებათა განსხვავების მიუხედავად, იმავე ადგილს ტკეპნიან, რასაც მახიზმი.

ისე როგორც მახმა, ავენარიუსმა და მათმა მიმდევრებმა პრინციპულად იოტის ოდენადაც კი ვერაფერი დაუმატეს ბერკლის, იუმის, კანტის თვალსაზრისს, თანამედროვე პოზიტივისტურმა ფილოსოფიამაც, რომელიც ამჟამად სხვადასხვა სახელწოდებათა სამოსელში გვევლინება, როგორიცაა: „ლოგიკური პოზიტივიზმი", „ლოგიკური ემპირიზმი", „ემპირიული რეალიზმი", „ნეომახიზმი", „სემანტიკური ფილოსოფია", „პრაგმატიზმი" და ა. შ., მხოლოდ იმავ სოფისტურ ხერხებს მიმართა, რასაც მიმართავდა მახიზმი, და ამ უკანასკნელთან ერთად იმავ სუბიექტური იდეალიზმის პოზიციაზე დარჩა, რასაც ამ 250 წლის წინათ ბერკლი ადგა.

ისევე, როგორც მახიზმი პარაზიტობდა მეცნიერების მიღწევებზე და ფაქტიურად იბრძოდა მეცნიერების წინააღმდეგ, ასევე თანამედროვე იდეალიზმი წარმოადგენს მეცნიერების შეურიგებელ მტერს და იგი გადაჭრით თეოლოგიის მხარეზე დგას. ისე, როგორც მახიზმი ცდილობდა მიეჩქმალა თავისი კლასობრივი შინაარსი იმ დეკლარაციით, რომ თითქოს ის ძლევს იდეალიზმისა და მატერიალიზმის „ცალმხრივობას" და მათზე „მაღლა" დგას, ასევე თანამედროვე იდეალისტების ლაყბობა ფილოსოფიის არაპარტიულობაზე, „ზეკლასიურობაზე" და ა. შ. მხოლოდ ძველთაძველი ფანდებია, რის მიღმა იმალება ბურჟუაზიის პარტიული ინტერესები.

როგორც ავენარიუსი, ისე მახი და მათი მიმდევრები ხაზს უსვამენ, რომ მათი ფილოსოფია სრულიად ახალი თვალსაზრისია, რომ ეს „ახალი თვალსაზრისი" წყვეტს ყოველგვარ კავშირს ძველ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტაფიზიკურ მიმართულებებთან. ეს „ახალი“ ფილოსოფია არც იდეალიზმია და არც მატერიალიზმი. მახის დახასიათებით [illegible] (ე. ი. „ახალი ფილოსოფია“ — გ. ც.) უარყოფს სამყაროს გათიშვას მატერიად და სულად, იგი აღადგენს ადამიანის პირვანდელ აზრს სამყაროს შესახებ, რომელიც ერთია და სუბიექტ-ობიექტის წინააღმდეგობის გარეშეა. შეგრძნებათა შინაარსი ამოწურავს სამყაროს. შემეცნების მიზანია სამყაროს წმინდა აღწერა, რაც საბოლოო ანგარიშში ნიშნავს შეგრძნებათა აღწერას „ყოველგვარი მეტაფიზიკისა და ჰიპოთეზების დახმარების გარეშე“. წმინდა ცდა, ავენარიუსის აზრით, წარმოადგენს იმას, რაც უშუალოდ მოცემულია აღქმაში. ყველაფერი ის, რაც უშუალოდ არ არის მოცემული აღქმაში, უნდა უკუვაგდოთ, როგორც გამოგონილი, შეთხზული, ჩვენ მიერ ცდაში შეტანილი. ასე, მაგალ., მიზეზობრივი კავშირი მთლიანად უკუგდებულ უნდა იქნას: იგი არასოდეს წმინდა ცდაში, უშუალო აღქმაში არ არის მოცემული. აქ არსებითად ავენარიუსი მხოლოდ იუმის აზრებს იმეორებს. თვით ახსნის მომენტი მეტაფიზიკურობის მაჩვენებელია, აღწერა და არა ახსნა — ასეთია ამ „ახალი“ თვალსაზრისის პრინციპი. ავენარიუსი თვლის, რომ მატერიალიზმი და იდეალიზმი ახსნის პრინციპების შემცველნი არიან, ამდენად ისინი ეწინააღმდეგებიან წმინდა ცდის პრინციპს. სინამდვილეში კი ემპირიოკრიტიციზმის ანალიზი ნათელყოფს, რომ იგი სუბიექტურ-იდეალისტური მიმართულებაა. ნაცვლად მატერიალიზმზე და იდეალიზმზე „მაღლა“ დგომისა, ნაცვლად იმისა, რომ ეს „ახალი“ თეორია ფილოსოფიისა და მეცნიერების ახალი სიტყვა იყოს, იგი ბერკლის ფილოსოფიის განმეორებას წარმოადგენს.

ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებული რეალობის აღიარება, მახისა და ავენარიუსის აზრით, თურმე წმინდა ცდის საზღვრების გადალახვას ნიშნავს. საგანი თავისთავად ცნებაა, რომელიც შეიქმნა წმინდა ცდის დამახინჯების საფუძველზე. ე. წ. „ინტროექციის თეორია“ იმის „დასაბუთებისათვის“ არის წამოყენებული, რომ საგნების თავისთავად არსებობის აღიარება სამყაროზე თითქოს „ბუნებრივი თვალსაზრისის“ დამახინჯებას წარმოადგენს. ამგვარად, საგანი თავისთავად მოიხსნა, როგორც სრულიად ზედმეტი, და დარჩა მხოლოდ „შეგრძნებათა მასა“. ნივთი, რეალური საგანი და შეგრძნებათა კომპლექსი ერთმანეთს გაუთანასწორდა.

მახისათვის, როგორც ფიზიკოსისათვის, განსაკუთრებით მწვავედ უნდა დასმულიყო კითხვა ფიზიკის ობიექტის შესახებ. რადგა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარჩა ფიზიკას საკვლევ ობიექტად, თუ ფიზიკური პროცესი [illegible] არა ფიზიკური, არამედ ფსიქიკური. მახის პასუხი მარ[illegible] ზიკასაც, ისევე როგორც ფსიქოლოგიას, საქმე შეგრძნებებთან აქვს მახის აზრით, მეცნიერების ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ: 1. გამოიკვლიოს წარმოდგენათა შორის არსებული კავშირის კანონები (ფსიქოლოგია). 2. აღმოაჩინოს შეგრძნებათა შორის არსებული კავშირის კანონები (ფიზიკა). 3. განმარტოს შეგრძნებათა და წარმოდგენათა შორის არსებული კავშირის კანონები (ფსიქოფიზიკა). განსხვავება ფიზიკასა და ფსიქოლოგიას შორის არსებობს, მაგრამ ამ განსხვავების საფუძველი ობიექტური, საგნობრივი კი არ არის, არამედ სუბიექტურია, ჩვენს თვალსაზრისზეა დამოკიდებული. ჭეშმარიტი, მატერიალისტური თვალსაზრისი ამ საკითხზე ცნობილია. სავსებით ცხადი უნდა იყოს, რომ. თუ ფიზიკური პროცესი ნამდვილად ფსიქიკურია, ამაოა ფიზიკისა და ფსიქოლოგიის განსხვავება იმის საშუალებით, რომ თითქოს ერთი და იგივე ობიექტი შეისწავლებოდეს ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული თვალსაზრისით.

მახი და მისი მიმდევრები ხშირად აფრთხილებენ მკითხველს, რომ ე ლ ე მ ე ნ ტ ი არ უნდა იქნეს არეული შ ე გ რ ძ ნ ე ბ ა ს თ ა ნ, მაგრამ საკმარისია ანალიზი გავუკეთოთ ე ლ ე მ ე ნ ტ ი ს იმ განსაზღვრებას, რასაც მახიზმი იძლევა, რომ ცხადი გახდეს ამ მტკიცების მთელი უსაფუძვლობა. ვ. ი. ლენინი გენიალურად აღნიშნავს, რომ სიტყვა შ ე გ რ ძ ნ ე ბ ი ს სიტყვა ე ლ ე მ ე ნ ტ ი თ შეცვლა საქმეს ვერ შველის და „ცალმხრივობისაგან“ ვერ ათავისუფლებს მახიზმს, რომელიც ისევე „ცალმხრივი“ იდეალიზმია, როგორც ბერკლის იდეალიზმი.

რა არის ელემენტი? — სვამს კითხვას ლენინი და უპასუხებს: ელემენტი ან შეგრძნებაა და მაშინ მახის თეორია იდეალიზმია (სუბიექტური), ანდა ელემენტი არ არის შეგრძნება და მაშინ ამ ახალ სიტყვას არავითარი აზრი არა აქვს. ელემენტი არ არის სხეული, ნივთი. მახი გარკვეულად უარყოფს ამ აზრს. ნივთები, სხეულები არ წარმოადგენენ სამყაროს ელემენტებს და. თუ ელემენტი არ არის ობიექტურად არსებული რამ, როგორ შეიძლება იგი დამოუკიდებელი იყოს ნერვული სისტემისაგან, ადამიანის ორგანიზმისაგან? ელემენტი შეგრძნებაა. მისი სხვანაირად გაგების შესაძლებლობა გამორიცხულია.

მახიზმი გამომდინარეობს იქიდან, რომ: 1. ყოველგვარი ცოდნა უნდა უნდა ემყარებოდეს ცდას, ემპირიულ საფუძველს. მაგრამ

-ცდა“, რომელზედაც მახისტები თავიანთ სისტემას აგებენ, [illegible] ხანია, რაც იდეალისტური სისტემების ნილაბს წარმოადგენს. [illegible] სფერო განსაზღვრულია მხოლოდ ჩვენი შეგრძნებებით, თვითონ ეს შეგრძნებები წარმოადგენენ ერთადერთ რეალობას. გამოდის, რომ შემეცნებას საქმე აქვს არა ობიექტურ რეალობასთან, არა ობიექტურად არსებულ სამყაროსთან, ამ სამყაროს კანონზომიერებათა შესწავლასთან, არამედ მხოლოდ გრძნობად მონაცემებთან, შეგრძნებათა კომპლექსებთან.

2. ერთადერთ რეალობად აცხადებს რა შეგრძნებებს და შეგრძნებათა კომპლექსებს, ამით მახიზმი ფარგლავს ჩვენი შემეცნების ჰორიზონტს, მიჯნავს მოვლენებს ამ მოვლენათა არსებისაგან. ამით იგი გადაჭრით უარყოფს ობიექტური სამყაროს შემეცნების შესაძლებლობას, გადაჭრით აღიარებს აგნოსტიციზმს.

3. მახიზმი გადაჭრით დგება რა სუბიექტური იდეალიზმის პოზიციებზე, წინააღმდეგობაში ვარდება ბუნებისმეტყველებასთან, უარყოფს მეცნიერებას და ფართოდ უღებს კარს ფიდეიზმს

4. ამრიგად, მახისა და ავენარიუსის პრეტენზია მათ მიერ იდეალიზმისა და მატერიალიზმის „ცალმხრივობის“ გადალახვის შესახებ მათი რეაქციული თვალსაზრისის შენიღბვის ცდაა.

5. ფაქტიურად მახიზმი წარმოადგენს ბურჟუაზიული ფილოსოფიის რეაქციული მხარეების კონცენტრაციას. ობიექტური სინამდვილის არსებობის უარყოფა, გარესამყაროს გამოცხადება მხოლოდ ჩვენ შეგრძნებებად, კანონზომიერების უარყოფა ბუნებასა და საზოგადოებაში, მეცნიერების ნაცვლად რელიგიის ქადაგება — აი, მახიზმის ძირითადი სამკაული.

მახიზმის მიზანი ერთადერთი მეცნიერული მსოფლმხედველობის — დიალექტიკური მატერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაა. ეს მიზანი სავსებით შეესატყვისება მომაკვდავი კლასის, ბურჟუაზიის მოთხოვნას. ამით უნდა აიხსნას ის გულმოდგინეობა, რასაც იჩენდნენ და იჩენენ რეაქციის მსახურნი მახიზმის მიმართ.

თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფია ცდილობს შემეცნების თეორია გამოიყენოს დიალექტიკური მატერიალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. გვიჩვენა რა ნამდვილი სახე რუსი მახისტებისა, რომლებიც მარქსიზმის ნიღაბს ეფარებოდნენ, ვ. ი. ლენინი თავის წიგნში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ წერდა: „ჩვენი მახისტები, რომელთაც სურთ მარქსისტები იყვნენ, მარქსიზმს მიადგნენ სრულიად განსხვავებულ ისტორიულ პერიოდში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიადგნენ ისეთ დროს, როცა ბურჟუაზიული ფილოსოფ[illegible] კუთრებით დახელოვნდა გნოსეოლოგიაში“ [1].

სიმძიმის ცენტრის გადატანა გნოსეოლოგიაზე, რასაკვირველია, შემთხვევითი არ არის, დღეს, როდესაც მეცნიერებამ გიგანტური ნაბიჯები გადადგა წინ, ბურჟუაზიული ფილოსოფია იძულებულია „ცნოს“ მეცნიერების მიღწევები, მაგრამ იმ პირობებით, რომ გნოსეოლოგიურად „გადაამუშაოს“ მეცნიერების მონაპოვარი. აზრი ამ „გადამუშავებისა“ იმაში მდგომარეობს, რომ მეცნიერების მიღწევები გამოაცხადონ არა ობიექტური სინამდვილის ასახვად, არა ბუნების ობიექტური კანონების შეცნობად, არამედ რაღაც პირობით სიმბოლოებად, მოხერხებულ აღნიშვნებად და ა. შ.

ვ. ი. ლენინმა ბოლომდე ამხილა მახისტური იდეალისტური გნოსეოლოგიის ნამდვილი არსი. მან შესაძლებლობა მისცა მარქსისტებს სწორად გამოიცნონ და ამხილონ იდეალიზმის ყოველგვარი გამოვლენანი, რა რიგ არ უნდა შეიცვალოს მან ფორმა და სახე.

ლენინი დაწვრილებითს ანალიზს უკეთებს მახისტების მიერ განზრახ შემოღებულ ყოველ ახალ სახელწოდებას, მიმართულს იქითკენ, რათა დაფარონ მათი თვალსაზრისის კლასობრივი არსი. საკითხების გადახლართვა, მშრალი სქოლასტიკა, მოჩვენებითი მეცნიერული ფრაზეოლოგია და სოფისტიკა ფართოდ ერის გამოყენებული მათ მიერ, რათა სიტყვათა ამ კორიანტელში ჩუმად შემოაპარონ მისტიკა და რელიგია.

ვ. ი. ლენინი მათ პირდაპირ უსვამს კითხვას: რომელია პირველადი და რომელია მეორადი, არის თუ არა შეგრძნება, წარმოდგენა, ცნება ობიექტურად არსებული გარესამყაროს ასახვა, თუ გარესამყარო დაიყვანება შეგრძნებებამდე და წარმოდგენებამდე. ამ საკითხის გადაწყვეტის ორი გზა არსებობს, მიუთითებს ლენინი, ხაზი მატერიალისტური და ხაზი იდეალისტური და არავითარ იეზუიტურ გამომგონებლობას არ შეუძლია მათი ძირეული დაპირისპირების მიჩქმალვა.

ვ. ი. ლენინმა გვიჩვენა რა ემპირიოკრიტიციზმის ნამდვილი არსი, ახალი დებულებებით გაამდიდრა და განავითარა მარქსისტული შემეცნების თეორია. მან ხაზი გაუსვა, რომ დიალექტიკური მატერიალიზმის შემეცნების თეორიას საფუძვლად უდევს გარესამყაროს არსებობის აღიარება და ამ ობიექტური რეალობის ასახვის აღიარება ადამიანის გონებაში. შეგრძნებები და ცნებები წარმო-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 14, გვ. 420.

ადგენენ საგნებისა და ბუნების მოვლენების გამოხატულებას, ანარეკლს, ასახვას ჩვენს აზროვნებაში. დიალექტიკური მატერიალიზმის სწორედ ეს გამოსავალი დებულება იწვევს ყველაზე უფრო გაშმაგებულ და მრავალრიცხოვან თავდასხმებს იდეალიზმის ბანაკიდან. თანამედროვე იდეალიზმის ყველაზე უფრო გავრცელებული სოფისტური ხერხი ობიექტური რეალობის უარსაყოფად იმაში მდგომარეობს, რომ აიგივებენ ადამიანის სუბიექტურ განცდებს და შეგრძნებებს ობიექტურ სინამდვილესთან, სთქვეფენ მათ ერთიმეორეში, ე. ი. ფაქტიურად არ ცნობენ ობიექტური სამყაროს არსებობას შეგრძნებათა გარეშე. ამ ხერხს მიმართავდნენ უწინ მახისტები, ამავე ხერხს მიმართავენ თანამედროვე იდეალიზმის წარმომადგენლები. ასე მაგალითად: ე. წ. „ლოგიკური ემპირიზმის“ (ნეოპოზიტივიზმი) წარმომადგენლები მოითხოვენ, რათა მოვახდინოთ ცნების შინაარსის ლოგიკური ანალიზი და შემოწმება. საკითხავია, რა შედეგებამდე მივყავართ ამ „ანალიზს“ და „შემოწმებას?“ — აღმოჩნდება, რომ საგანია ის, რაც მის შესახებ არის ცნობილი. გარკვეული კომენტარიების შემდეგ ეს დებულება ასეთ შინაარსს იღებს: რეალობა არის ის, რაც გაიაზრება ცნებებში. არსებობს თუ არა რეალობა შეგრძნებათა გარეშე? ეს თითქოს ღია საკითხია. იმ საგნის რეალურ არსებობაზე, რომელიც ჩემს შეგრძნებებში არ ყოფილა მოცემული, შეუძლებელია რაიმეს თქმა. უფრო ლოგიკურია უარვყოთ შეგრძნებათა გარეშე რეალობის არსებობა. ცხადია, აქ ბერკლის იმ დებულების უბრალო განმეორებასთან გვაქვს საქმე, რომლის თანახმად, არსებობა უდრის აღქმას, „საგნების არსებობა ნიშნავს მათს ათვისებას“. მახისა და ავენარიუსის კვალდაკვალ თანამედროვე იდეალისტები მატერიალიზმს მეტაფიზიკად აცხადებენ. ასე მაგალითად, პოზიტივიზმის ერთ-ერთი წარმომადგენელი აიერი თავის ამოცანად, თვლის „უარყოს მეტაფიზიკა“. ჩემი ამოცანაა, წერს იგი, უარვყო მეტაფიზიკური თეზისი, რომლის თანახმად, ფილოსოფია თითქოს გვაძლევს რეალობის ცოდნას, რაც „სცილდება მეცნიერებისა და ჯანსაღი აზრის ფარგლებს“.

უახლესი პოზიტივისტები (ისე, როგორც თავის დროზე მახისტები) აცხადებენ იმის პრეტენზიას, რომ მათი თვალსაზრისი წარმოადგენს მატერიალიზმისა და იდეალიზმის „ცალმხრივობის გადალახვას“, ამის მისაღწევად კი საჭიროა სავსებით მოიხსნას კითხვა სამყაროს რეალობისა თუ არარეალობის შესახებ. პოზიტივისტი კარნაპი წერს: „Мы отвергаем тезис о реальности

ეროვნული ბიბლიოთეკა

физического мира, однако мы отвергаем его не как ложный, а как не имеющий смысла, точно так же, как отвергаем его идеалистический антитезис. Мы не утверждаем и не отрицаем эти положения, мы отвергаем вопрос в целом“[1].

სად არის ლოგიკა? მას შემდეგ, რაც უარყოფილია თეზისი ფიზიკური სამყაროს რეალობის შესახებ, რაღა აზრი აქვს განცხადებას იმის შესახებ, რომ იგი (ე. ი. ფიზიკური სამყაროს რეალობა) უარყოფილია არა როგორც მ ც დ ა რ ი, არამედ როგორც აზრს მოკლებული; ან როგორ შეიძლება ის, რაც ა რ ა მ ც დ ა რ ი ა, ამავე დროს უაზროც იყოს და, ბოლოს, საკითხის დღის წესრიგიდან მოხსნა რა უფლების ძალით ნიშნავს საკითხის გადაწყვეტას?

ჩვენთვის ნათელია ამ დაბნეულობის მიზეზი: კარნაპი გულმოდგინეობას იჩენს, რათა დამალოს თავისი სუბიექტურ-იდეალისტური თვალსაზრისი. ფაქტი ერთია: მიუხედავად ლოგიკური ემპირიზმის მტკიცებისა, რომ ის მატერიალიზმზე და იდეალიზმზე მაღლა დგას, მისი წარმომადგენლების მიერ ცდის, შეგრძნების, აღქმის ცნება იდეალისტურად არის გაგებული და სწორედ ეს ძირითადი პრინციპი განსაზღვრავს ამ მიმართულების სუბიექტურ-იდეალისტურ ხასიათს. მთელი „სინამდვილე“ გ რ ძ ნ ო ბ ა თ ა მ ო ნ ა ც ე მ ე ბ ი ს ა გ ა ნ შენდება, ამტკიცებენ ლოგიკური ემპირიზმის წარმომადგენლები. გრძნობათა მონაცემები კი, ნამდვილად, სხვა არაფერია გარდა შეგრძნებებისა. აიერი „გადააკეთებს“ ამ გამოთქმას და ამბობს: „გრძნობადი შინაარსები“. კარნაპი „უფრო შორს მიდის“ და ხმარობს გამოთქმას: „ატომარული“ ფაქტები. მაგრამ საქმე სიტყვებში როდი მდგომარეობს. რაღაა ბოლოსდაბოლოს „გრძნობათა მონაცემები“, „გრძნობათა შინაარსები“, „ატომარული ფაქტები“? — მახის ტერმინი რომ ვიხმაროთ, ეს ენის ცნობილი „ელემენტებია“, რომელთაგანაც „შენდება“ მთელი სამყარო. როგორც ვხედავთ, აქ მახიზმის სოფიზმის უბრალო განმეორებასთან გვაქვს საქმე. ვ. ი. ლენინმა ბრწყინვალედ დაამტკიცა, რომ ე. წ. ელემენტები ნამდვილად შეგრძნებებს წარმოადგენენ. მახიზმის კრიტიკის მაგალითზე ვ. ი. ლენინმა მთელი სიზუსტით გვიჩვენა, რომ ის, ვინც შეგრძნებებს ეყრდნობა და

[1] ციტირებულია მ. კორნფორტის წიგნიდან „В защиту философии против позитивизма и прагматизма“, გვ. 173—174.

მხოლოდ მათ არსებობას აღიარებს, ის ვერ გაექცევა სუბიექტურ იდეალიზმსა და აგნოსტიციზმს. „შეიძლება, — წერს ლენინი, — შეგრძნებიდან გამოვიდეთ და სუბიექტივიზმის ხაზით სოლიფსიზმისაკენ წავიდეთ („სხეულები შეგრძნებათა კომპლექსები ანუ კომბინაციებია“). და შეიძლება წავიდეთ ობიექტივიზმის ხაზით, რომელსაც მატერიალიზმისაკენ მივყავართ“ [1].

ლოგიკური ემპირიზმის წარმომადგენლები სწორედ სუბიექტივიზმის ხაზს ადგანან. პოზიტივისტი რასელი სავსებით ეთანხმება იუმს, თვლის რა, რომ ჩვენი შეხედულება ფიზიკურ სამყაროზე დამყარებულია „პოსტულატებზე“, რომ გარემოსთან ბიოლოგიური შეგუების ვითარებაში ჩვენ გვიმუშავდება რწმენა გარესამყაროს არსებობის შესახებ. ჩვენი შეგნებისაგან დამოუკიდებლად, ობიექტურად არსებულ რეალობაზე ლაპარაკი თურმე იმას ნიშნავს, რომ გავსცილდეთ უშუალო ფაქტებს, ვაღიაროთ რაღაც შეუცნობელი „ნივთი თავისთავად“ და დავდგეთ „მეტაფიზიკურ“ თვალსაზრისზე. რა რიგ არ უნდა შენიღბონ პოზიტივისტებმა თავიანთი პოზიციები, ისინი უკან უბრუნდებიან მახის იმ დებულებას, რომ „ქვეყნიერების ნამდვილი ელემენტები არიან არა საგნები (სხეულები), არამედ ფერები, ხმები, წნევანი, სივრცენი, დროებანი (რასაც ჩვენ ჩვეულებრივ შეგრძნებებს ვუწოდებთ)“. სხეულები შეგრძნებათა კომპლექსებია. მაგრამ თუ სხეულები შეგრძნებათა კომპლექსებია, აქედან „აუცილებლად გამომდინარეობს, რომ მთელი სამყარო მხოლოდ ჩემი წარმოდგენა ყოფილა. თუ ასეთი დებულებიდან გამოვალთ, შეუძლებელია სხვა ადამიანების არსებობა ვცნოთ, გარდა თავის თავისა: ეს პირწავარდნილი სოლიფსიზმია. თუმცა მახი, ავენარიუსი, პეცოლდტი და კომპ. სოლიფსიზმს უარყოფენ, სინამდვილეში ისინი მას თავს ვერ აღწევენ, თუ აშკარა ლოგიკური უაზრობანი არ ჩაიდინეს“ [2].

მახი თავს ესხმის რა მატერიალიზმს, სთვლის, რომ ამ პოზიციებიდან (ე. ი. მატერიალიზმის პოზიციებიდან) სრულიად აუხსნელი რჩება შეგრძნების ხასიათი, მისი ბუნება და არსი. იგი „ადვილად“ ხსნის შეგრძნების არსს იმით, რომ ფსიქიკური და ფიზიკური გამოცხადებულია როგორც იდენტურნი და თითქოს მათ შორის განსხვავება მხოლოდ ჩვენს თვალსაზრისზეა დამოკიდებული. მახისტი ბოგდანოვი უახლესი პოზიტიური ფილოსო-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. 14, გვ. 150.

[2] იქვე, გვ. 38.

ფიის დიდ მიღწევად აღიარებს იმას, რომ „უახლესი“
ფიის მიერ „ფიზიკური ცდის“ ელემენტები აღიარებული
„ფსიქიკური“ ელემენტების იდენტურად. „აი სად არის ბოგდანოვის ყველა ფილოსოფიური ბედუკუღმართობის დასაბამი, — წერს ლენინი, — რომელიც მას აერთებს ყველა მახისტთან“ [1].

ფაქტიურად მახის დებულებას იმეორებს რასელი თავის წიგნში „მატერიის ანალიზი“, სადაც წერს, რომ მისი აზრით მატერია ნაკლებ მატერიალურია და სული ნაკლებ სულიერია, ვინემ ამას ჩვეულებრივ გულისხმობენ.

ფიზიკურისა და ფსიქიკურის სრული გაიგივება ნიშნავს იმას, რომ ერთადერთ „რეალობად“ გამოვაცხადოთ ფსიქიკური. ეს თვალსაზრისი არაფრით არ განსხვავდება ბერკლის თვალსაზრისისაგან.

ერთის მხრივ, თუ ფსიქიკურისა და ფიზიკურის გაიგივებას იდეალიზმამდე მივყავართ, მეორეს მხრივ, მათი აბსოლუტური ურთიერთდაპირისპირებაც იმავე შედეგამდე მიგვიყვანს. ფიზიკურისა და ფსიქიკურის მეტაფიზიკური დაპირისპირება შეუძლებელს ხდის ცნობიერების არსის, მისი სპეციფიკის, მისი აღმოცენების და განვითარების მეცნიერულ ახსნას. ის ფაქტი, რომ ცნობიერება მაღალორგანიზებული მატერიის თვისებაა, რომ იგი მატერიის განვითარების გარკვეულ საფეხურზე წარმოიშვა, უკვე მიუთითებს იმაზე, რომ უაზროა მსჯელობათა მათი აბსოლუტური დაპირისპირების შესახებ; ასეთ დაპირისპირებას ორი დამოუკიდებელი სუბსტანტიის აღიარებამდის — დუალისტურ თვალსაზრისამდე მივყავართ.

უდიდესი გნოსეოლოგიური მნიშვნელობა აქვს ვ. ი. ლენინის დებულებას, რომ ცნობიერებისა და მატერიის დაპირისპირებას აზრი აქვს მხოლოდ შეზღუდულ ფარგლებში, ძირითადი გნოსეოლოგიური საკითხის ფარგლებში, თუ რა ვცნოთ პირველადად და რა მეორადად. ამ საზღვრებს იქით, როგორც ვ. ი. ლენინი წერს, მოცემული დაპირისპირების შეფარდებითობა ეჭვს გარეშეა.

იდეალიზმის სოფიზმი იმაში მდგომარეობს, რომ შეგრძნებას აცხადებს ტიხრად, რომელიც ცნობიერებას სთიშავს გარესამყაროსაგან. მიჩნეულია რა შეგრძნება ერთადერთ რეალობად, უარყოფილია ის ფაქტი, რომ შეგრძნება ცნობიერების უშუალო კავშირია გარესამყაროსთან, რომ შეგრძნება გარე-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 60.

განი გაღიზიანების ენერგიის გარდაქმნაა ცნობიერების ფაქტად.

სავსებით ცხადია, რომ გრძნობად ათვისებათა ხასიათი დამოკიდებულია არა მარტო გარეგანი ობიექტებისაგან, არამედ აგრეთვე ჩვენი გრძნობის ორგანოების თავისებურებებისაგანაც. სწორედ ამიტომ ადამიანურ შეგრძნებებში მოცემულია არა მარტო ობიექტური შინაარსი, არამედ რაღაც სუბიექტურიც. შეგრძნება წარმოადგენს სუბიექტური და ობიექტური მომენტების ერთიანობას. მახიზმის მთელი სოფისტიკა მიმართულია იქითკენ, რომ შეგრძნება „გაწმენდილ“ იქნას მისი ობიექტური შინაარსისაგან. ამ თვალსაზრისის „მოქნილ ფორმებში“ შემოპარებას ემსახურება შეგრძნების ნაცვლად „ელემენტის“ „აღმოჩენა“. როგორც ვ. ი. ლენინი გენიალურად შენიშნავს, თუ ელემენტი შეგრძნებაა, მაშინ შეუძლებელია „ელემენტის“ არსებობა ვცნოთ თუნდაც ერთი წუთით ჩემი ნერვების, ჩემი შეგნების დამოუკიდებლად, ხოლო თუ „ელემენტი“ არ არის შეგრძნება, ამ შემთხვევაში მას სრულიად არავითარი აზრი არა აქვს.

შეგრძნება, აღქმა გრძნობად მასალას აწვდიან აზროვნებას, ამის გარეშე აზროვნება შეუძლებელია. ორივე მომენტი: გრძნობადი საფეხური და აბსტრაქტული აზროვნება აუცილებელია შემეცნების პროცესისათვის. აზროვნების საშუალებით ჩვენ მივდივართ იქიდან, რაც უ შ უ ა ლ ო დ მოცემულია, იქითკენ, რაც უ შ უ ა ლ ო დ არ არის მოცემული.

აზროვნების მატერიალური სუბსტრატი ტვინია. ბუნებისმეტყველების და, კერძოდ, ფიზიოლოგიის განვითარება მთელი სიზუსტით ცხადყოფს ამ დებულების ჭეშმარიტებას. მაგრამ მახიზმი, რომელიც ბუნებისმეცნიერების „უახლეს“ მიღწევებს „ეყრდნობა“, ამ პუნქტშიაც გადაჭრით ემიჯნება ბუნებისმეცნიერებას. მახი და ავენარიუსი გადაჭრით უარყოფენ იმას, რომ ტვინი აზროვნების ორგანოა.

შემთხვევითი როდია, რომ რეაქციული ფილოსოფიის წარმომადგენლები ერთხმად უარყოფენ ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების შესწავლის შესაძლებლობას. ფსიქიკური პროცესების კანონზომიერების შესწავლა მხოლოდ მატერიალისტური მსოფლმხედველობის ბაზაზე შეაძლება. მაგრამ საქმე იმაშია, რომ რეაქციის მსახურთა მიზანს ობიექტური სინამდვილის მეცნიერული ახსნა როდი შეადგენს. პირიქით, ისინი მეცნიერების წინააღმდეგ იბრძვიან. მეცნიერების ობიექტური კანონები მიუთითებენ კაპიტალიზმის აუცილებელ დაღუპვაზე, კაპიტალისტური საზოგადოების შეცვლაზე სოცი-

ალისტური საზოგადოებით. რეაქციის მსახურთათვის მეცნიერების ასეთი აუცილებელი დასკვნა მეტად არასასურველი განაჩენია. აქედან გამომდინარეობს მათი პოზიციაც: ებრძოლონ მეცნიერებას, უარყონ მისი დასკვნები, მიჩქმალონ კანონზომიერების ობიექტური ხასიათი.

ცოცხალი ჭვრეტა შემეცნების დიალექტიკურ პროცესში წარმოადგენს პირველ საფეხურს, გარესამყაროსთან ჩვენი ცნობიერების კავშირის უშუალო რგოლს. შეგრძნებიდან აზროვნებაზე გადასვლა ხდება დიალექტიკურად. ეს დიალექტიკური გადასვლა ნიშნავს მოვლენის ასახვიდან მოვლენის არსის ასახვაზე გადასვლას.

მოვლენის არსის, მოვლენათა შინაგანი კანონზომიერების ასახვა მოითხოვს მეცნიერულ აბსტრაქციას, დროებით კონკრეტულისაგან განყენებას, სინამდვილიდან ერთგვარ „უკან დახევას", მაგრამ თვით ეს „უკანდახევა" დიალექტიკური პროცესია. ამ „უკანდახევას" ჩვენ ვიყენებთ იმისათვის, რომ ღრმად შევიჭრათ მოვლენის არსში. „Мышление, восходя от конкретного к абстрактному, не отходит — если оно правильное... от истины, а подходит к ней. Абстракция материи, закона природы, абстракция стоимости и т. д., одним словом все научные (правильные, серьезные, не вздорные) абстракции отражают природу глубже, вернее, полнее"[1].

შემთხვევითი არ არის, რომ რეაქციის მსახურნი უგულებელყოფენ მეცნიერულ აბსტრაქციათა მნიშვნელობას. სემანტიკოსი ჩეიზი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ, რაც უფრო მაღალი რიგის აბსტრაქციას მივმართავთ ჩვენ, მით უფრო ვშორდებით ობიექტისაგან, და საბოლოო ჯამში საქმე ნამდვილად რეალურ საგნებთან კი არ გვაქვს, არამედ უბრალო რწმენასთან ამ საგნების არსებობის შესახებ. გამოდის, რომ ადამიანები მხოლოდ გულუბრყვილოდ გულისხმობენ გარესამყაროს არსებობას. საკითხავია, რით განსხვავდება ეს „უახლესი" თვალსაზრისი ჰიუმის თვალსაზრისისაგან?

იგივე ჩეიზი თავს ესხმის რა „უკანონო აბსტრაქციას" (რომელსაც ადამიანები ობიექტური რეალობის არსებობის აღიარებამდე მიჰყავს), იძლევა „აბსტრაქტულ ტერმინთა" მთელ სიას, რომლებიც ამოღებულ უნდა იქნან ხმარებიდან, როგორც უშინაარსონი და არაფრის მთქმელნი. ასეთებია მაგ.: სამშობლო, ნაცია, კონსტიტუცია, კანონი, პროგრესი, კომუნიზმი, თავისუფლება, შრომა, კაპიტალი, ექსპლოატაცია, ფაშიზმი და ა. შ.

[1] В. И. Ленин. Философские тетради. 1947, გვ. 146.

თურმე ადამიანები შეცდომით გულისხმობენ ამ „უკანონო აბსტრაქციების“ ქვეშ რაიმე შინაარსს. ლაპარაკი კაპიტალის ბატონობაზე, ექსპლოატაციაზე — ცარიელი ფრაზებია, უკანონო აბსტრაქციის შედეგია. თვით ისეთი სიტყვა, როგორიცაა „ფაშიზმი“, თურმე რაიმე შინაარსის შემცველი არ არის; ყოველივე ამ ჩმახვის მორალი ასეთია: აზრი არა აქვს კაპიტალიზმის, ექსპლოატაციის, ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. თურმე დიდ შეცდომას უშვებს კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშათა კლასი, როდესაც ის იბრძვის „არ არსებული“ ექსპლოატაციის წინააღმდეგ, კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

აზროვნების რეალური ბუნების დამახინჯების ცდას წარმოადგენს აზროვნებისა და ენის დაპირისპირება, მათი ორგანული ერთიანობის უარყოფა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა სემანტიკური ფილოსოფია. აღსანიშნავია, რომ პრინციპიალური განსხვავება მახიზმსა და სემანტიზმს შორის არ არსებობს. თუ მახისტები უმთავრესად გრძნობადი შემეცნების ფალსიფიკაციას ახდენდნენ, სემანტიკოსები მთლიანად ღებულობენ რა მახისტურ სუბიექტურ-იდეალისტურ თვალსაზრისს, ფალსიფიკაციის ძირითად ობიექტად ენას იღებენ.

სემანტიკური ფილოსოფიის წარმომადგენლები წყვეტენ ენას აზროვნებისაგან, წყვეტენ მას სინამდვილისაგან. ენა მათთვის პირობითი ნიშნების ერთობლიობაა. სემანტიკოსების „უახლესი გამოკვლევები“ „ადასტურებენ“, რომ სიტყვა მიუთითებს არა რეალურ საგნებზე, მათს თვისებებზე და მიმართებებზე, არამედ ორგანიზმის მდგომარეობაზე. ადამიანები სარგებლობენ რა ენით „ახდენენ თავიანთ ორგანულ მდგომარეობათა გარეთ გატანას“ და ამ უკანასკნელს მიიჩნევენ რა რეალობად — ხდებიან სიტყვათა მონებად. ჩეიზი აღფრთოვანებით აცხადებს, რომ სემანტიკამ მას აუხილა თვალი და უჩვენა ნამდვილი მიზეზი კაცობრიობის ყოველგვარი უბედურებისა, რაც თურმე „ლინგვისტურ ქაოსში“ მდგომარეობს.

კარნაპი მთელ „თეორიას“ თხზავს, რათა იგივე დაამტკიცოს; არსებობს მსჯელობით ორი კლასი, — განმარტავს ის, — ერთი მხრით, არსებობს მსჯელობა ფაქტებზე, რომელიც ცდაში უნდა დამტკიცდეს, და, მეორე მხრივ, არსებობს მსჯელობა, რომელიც დაკავშირებულია ენის ანალიზთან. პირველი სახის მსჯელობას იგი უწოდებს „მსჯელობას ობიექტებზე“, მეორეს — „ლოგიკურ მსჯელობას“.

ფილოსოფიური მსჯელობანი არიან მსჯელობანი არა ობიექტებზე, არამედ ლოგიკური მსჯელობანი. ლოგიკურ, ანუ ფილოსო-

ფიურ მსჯელობას არ შეიძლება ჰქონდეს რაიმე მიმართება ობიექტებთან, იგი შეეხება მხოლოდ სიტყვა — სიმბოლოს, [illegible] ეხება და არა იმას, რასაც ენა ეხება. მას საქმე მხოლოდ სიმბოლოებთან და ამ სიმბოლოთა მიმართებებთან აქვს. ძიება იმისა, თუ რას აღნიშნავს სიმბოლო, რა კავშირია სიმბოლოსა და საგანს შორის — ეს მეტაფიზიკური ამოცანაა. კარნაპი, წყვეტს რა ენას აზროვნებისაგან, ხოლო, მეორე მხრივ, უარყოფს რა აზროვნების მიმართებას ფაქტიურ სინამდვილისადმი, გადაჭრით დგება სუბიექტური იდეალიზმისა და აგნოსტიციზმის პოზიციებზე.

ენა განაპირობებს წინსვლას გრძნობადი შემეცნების საფეხურიდან აბსტრაქტული აზროვნებისაკენ. განზოგადება სიტყვის დამახასიათებელი ნიშანია. ლენინი წერს: „ენაში არის მხოლოდ ზოგადი“[1]; „ხოლო ზოგადი არის აზრი“[2]. სიტყვა რომ ერთ კონკრეტულ ფაქტს გამოხატავდეს, მაშინ ენა დაკარგავდა თავის ფუნქციას — გაგებინების ფუნქციას.

დებულება იმის შესახებ, რომ ენა აზროვნების უშუალო სინამდვილეა, ერთი მხრივ, მიუთითებს იმაზე, რომ აზრი არ შეიძლება არსებობდეს ენის გარეშე, მაგრამ, მეორე მხრივ, მიუთითებს იმაზე, რომ არ შეიძლება მათი გაიგივება.

სიტყვა ენის განვითარების შინაგანი კანონზომიერების საფუძველზე ისტორიულად ჩამოყალიბებული მორფოლოგიურად გაფორმებული ბგერათა კომპლექსია, რომელშიც ფიქსირებულია ესა თუ ის ცნება. სინამდვილე აისახება ცნებაში, მაგრამ ვინაიდან ამ ცნებაში ასახულს ჩვენ სიტყვებით გამოვთქვამთ, ამიტომ სიტყვა სინამდვილეს გამოხატავს.

იდეალისტური სისტემის ლენინური კრიტიკა მოითხოვს, რათა ბოლომდე გამოვამჟღავნოთ ამ სისტემების სოციალური არსი, კლასობრივი ბუნება. სემანტიკური ფილოსოფია იარაღია იმპერიალისტური ბურჟუაზიის ხელში ხალხთა მასების მოსატყუებლად. რეაქციის მსახურნი სემანტიკურ ფილოსოფიას იყენებენ იმისათვის, რათა მშრომელთა ყურადღება ჩამოაცილონ კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანას.

თანამედროვე იდეალისტურ მოძღვრებათა რეაქციული არსის მხილებისა და განადგურების საქმეში ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს ჭეშმარიტების მახისტური გაგების კრიტიკას და იმ დასკვნებს,

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ფილოსოფიური რვეულები, გვ. 283.

[2] იქვე, გვ. 284.

რასაც ვ. ი. ლენინი იძლევა თავის გენიალურ ნაშრომში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“. ვ. ი. ლენინი მთელი სიცხადით გვიჩვენებს, რომ მოძღვრება ობიექტური ჭეშმარიტების შესახებ განუყრელად დაკავშირებულია ფილოსოფიის ძირითადი კითხვის მატერიალისტურ გადაჭრასთან. ობიექტური რეალობის უარყოფა ამავე დროს ობიექტური ჭეშმარიტების უარყოფასაც ნიშნავს. მახისტებს და თანამედროვე პრაგმატისტებს ობიექტური რეალობისა და მასთან ერთად ობიექტური ჭეშმარიტების უარყოფა აკავშირებს ერთმანეთთან. მახისტები უარყოფენ რა ობიექტურ რეალობას, უარყოფენ ობიექტურ ჭეშმარიტებასაც, მაგრამ უარყოფენ რა ობიექტურ ჭეშმარიტებას, უარყოფენ აბსოლუტურ ჭეშმარიტებასაც. ვ. ი. ლენინმა გვიჩვენა, რომ შემეცნების განვითარების ისტორიულ პროცესში ადამიანი წვდება ობიექტურ ჭეშმარიტებას და, ამდენად, ასე თუ ისე, აბსოლუტურ ჭეშმარიტებასაც.

აბსოლუტური ჭეშმარიტება ჩვენს ცნობიერებაში ობიექტური რეალობის ადექვატური ასახვაა და ამის გამო არასოდეს არ შეიძლება მისი უარყოფა. ადამიანს არ შეუძლია მთლიანად, საბოლოოდ, ერთბაშად მისწვდეს აბსოლუტურ ჭეშმარიტებას, იგი მასთან მიდის თანდათანობით, დაახლოებით, შეფარდებით. ვინაიდან შეფარდებითი შეიცავს აბსოლუტურის მომენტს, სწორედ ამიტომ აბსოლუტური ჭეშმარიტება შეფარდებით ჭეშმარიტებათა ჯამისაგან შედგება.

შემეცნების ისტორიულ პროცესში ხდება ჩვენი ცოდნის დაზუსტება და ვინაიდან შემეცნების ისტორიული პროცესი დაუსრულებელია, ჩვენი ცოდნის დაზუსტების პროცესიც დაუსრულებელია. ერთის მხრივ, არ არსებობს მოვლენები და საგნები, რომელთა შეცნობა არ შეიძლებოდეს, მეორეს მხრივ, ბუნება არ შეიძლება შემეცნებულ იქნას აბსოლუტურად ისე, რომ მომავალში შესამეცნებელი არაფერი არ დარჩეს. კაცობრიობას პრაქტიკულად არ შეუძლია მთლიანად ამოწუროს აბსოლუტური ჭეშმარიტება. აბსოლუტური ჭეშმარიტების ამოწურვა შეუძლებელია იმიტომ, რომ თვით ბუნება ამოუწურავია როგორც მთელში, მთლიანში, ისე მის ნაწილში. ეს იმას არ ნიშნავს, რომ აბსოლუტური ჭეშმარიტება წარმოადგენს რაღაც მიუწვდომელ იდეალს, რომლისაკენ ადამიანი მხოლოდ მიისწრაფვის და ვერ წვდება კი. დიალექტიკური მატერიალიზმი პრინციპულად უარყოფს ასეთ თვალსაზრისს, როგორც წმინდა წყლის აგნოსტიკურ თვალსაზრისს. ყოველი მეცნიერული თეორია, მეცნიერული აღმოჩენა შემცველია აბსოლუტური ჭეშმა-

რიტებისა. ყოველი მეცნიერული აღმოჩენა და თეორია ერთსა და იმავე დროს წარმოადგენს აბსოლუტურ ჭეშმარიტებას, რამდენადაც იგი სწორად ასახავს ობიექტურ სინამდვილეს, და შეფარდებით ჭეშმარიტებას, რამდენადაც იგი დაახლოებით ამოსწურავს ამ ობიექტურ სინამდვილეს. ჩვენი ცოდნის შეფარდებითობის დიალექტიკურ-მატერიალისტურ გაგებას არაფერი აქვს საერთო რელატივიზმის იდეალისტურ-მეტაფიზიკურ გაგებასთან. იდეალისტური რელატივიზმის რეაქციული არსი იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ ცნობს მეცნიერული ცოდნის ობიექტურ ხასიათს, არ ცნობს სარწმუნოდ ადამიანის ცოდნას გარესამყაროზე და ამდენად სუბიექტივიზმსა და აგნოსტიციზმში გადადის. რელატივიზმის პრინციპს, -- წერს ლენინი, — „დიალექტიკის უცოდინარობის დროს აუცილებლად იდეალიზმისაკენ მივყევართ“ [1].

იდეალისტური რელატივიზმის უარყოფა არ ნიშნავს რელატივიზმის უარყოფას საერთოდ. მატერიალისტური დიალექტიკა უეჭველად შეიცავს რელატივიზმს, მაგრამ არ დაიყვანება რელატივიზმამდე. ჩვენ ვცნობთ ჩვენი ცოდნის შეფარდებითობას იმ აზრით, რომ ვცნობთ ობიექტური ჭეშმარიტების არსებობას და ჩვენი ცოდნის საზღვრების მიახლოებას ამ ჭეშმარიტებასთან.

ვ. ი. ლენინი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ არ არსებობს აბსტრაქტული ჭეშმარიტება, რომ ჭეშმარიტება ყოველთვის კონკრეტულია. გვიჩვენებს, რომ მოვლენის აბსტრაქტული განხილვა ნიშნავს იმ რთული კავშირების უარყოფას, რაც რეალურად არსებობს ბუნებასა და საზოგადოებაში. სწორედ ამიტომ არ შეიძლება არსებობდეს რაიმე „უნივერსალური“ ჭეშმარიტება. ჭეშმარიტება, რომელიც არ ითვალისწინებს კონკრეტულ პირობებს.

მარქსიზმის აღმოცენებამდის ჭეშმარიტების ობიექტური კრიტერიუმის საკითხი არ იყო გადაჭრილი არა მარტო იდეალისტური ფილოსოფიის, არამედ მატერიალიზმის მიერაც. მხოლოდ მარქსიზმის კლასიკოსებმა მოგვცეს ჭეშმარიტების კრიტერიუმის მეცნიერული დასაბუთება, რაც შემეცნების თეორიაში რევოლუციური გადატრიალების მომასწავებელია. მარქსიზმის კლასიკოსებმა, პირველად ფილოსოფიის ისტორიაში, დაამტკიცეს, რომ ადამიანთა საზოგადოებრივ-ისტორიული პრაქტიკა ცხადდება არა მარტო შემეცნების საფუძვლად, არამედ ჭეშმარიტების კრიტერიუმადაც.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 392.

შემთხვევითი არ არის, რომ მახისტები ენერგიულად ილაშქრებენ შემეცნების თეორიაში პრაქტიკის შეტანის წინააღმდეგ. „შეგრძნებათა ანალიზში“ მახი საკმაოდ ვრცელ მსჯელობას მიმართავს იმ დებულების „დასამტკიცებლად“, რომ პრაქტიკას არაფერი აქვს საერთო შემეცნების თეორიასთან, რომ პრაქტიკის სფერო გამიჯნულია შემეცნების სფეროსაგან და რომ ისინი არც საჭიროებენ ერთიმეორეს.

„აზროვნების ეკონომიის“ პრინციპი, რომელსაც მახიზმი აყენებს როგორც ჭეშმარიტების კრიტერიუმს, წმინდა წყლის სუბიექტურ-იდეალისტური პრინციპია. ვ. ი. ლენინი გენიალურად არკვევს, რომ „აზროვნების ეკონომიის“ პრინციპი ფაქტიურად აპრიორიზმის თვალსაზრისს შეიცავს. თუ შეგრძნებებში არ გვეძლევა ობიექტური რეალობა, მაშინ საიდან უნდა გაჩნდეს „ეკონომიის“ პრინციპი, თუ არა სუბიექტიდან? შეგრძნებანი ხომ არავითარ „ეკონომიას“ არ შეიცავენ, მაშასადამე ეს პრინციპი აღებულია არა ცდიდან, არამედ წინ უსწრებს მას, წარმოადგენს ცდის ლოგიკურ პირობას. „აზროვნების ეკონომიის“ პრინციპის მიხედვით, „ეკონომიურია“ მთელი სამყარო გამოცხადდეს მხოლოდ ჩემ შეგრძნებებად. სასტიკად აკრიტიკებს რა აღნიშნულ თვალსაზრისს, ლენინი წერს: „რომელი „აზრია“ უფრო „ეკონომიური“, რომ ატომი განუყოფელია, თუ რომ იგი დადებითი და უარყოფითი ელექტრონებისაგან შესდგება?... ადამიანის აზროვნება მაშინაა „ეკონომიური“, როცა იგი სწორად ასახავს ობიექტურ ჭეშმარიტებას და ამ სისწორის კრიტერიუმია პრაქტიკა, ექსპერიმენტი, ინდუსტრია. მხოლოდ ობიექტური რეალობის უარყოფისას, ე. ი. მარქსიზმის საფუძვლების უარყოფისას, შეიძლება სერიოზულად ლაპარაკი აზროვნების ეკონომიაზე შემეცნების თეორიაში“[1].

პრინციპულად მახისტურ თვალსაზრისს იცავენ თანამედროვე პრაგმატისტები. პრაგმატისტი დიუი ცდილობს რა მიჩქმალოს საკუთარი მსოფლმხედველობის იდეალისტური არსი, თავის შეხედულებას ნათლავს როგორც „უაღრესად ნატურალისტურს“. მისი „ნატურალიზმი“ იმდენად შორს მიდის, რომ იგი „ეკამათება“ კიდევაც იდეალიზმს იმის გამო, რომ იდეალისტური თვალსაზრისი აზროვნებას სთიშავს ადამიანური პრაქტიკისაგან.

ცოდნის დანიშნულება, განმარტავს იდეალიზმის „საწინააღმდეგოდ“ დიუი, მდგომარეობს იმაში, რომ მისი საშუალებით ჩვენ

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 209.

ვაღწევთ პრაქტიკულ წარმატებებს. აზროვნება განსაზღვრავს ჩვენი მოქმედების წესებს მაქსიმალურ პრაქტიკულ წარმატებების მოსაპოვებლად. მაგრამ აქ უკვე ირკვევა, რომ მხოლოდ ეს პრაქტიკული სარგებლიანობა არის ჩვენი ჭეშმარიტი ცოდნის დამახასიათებელი.

ჭეშმარიტი მსჯელობანი ობიექტური სინამდვილის სწორ ასახვებს კი არ წარმოადგენენ, არამედ „გამომგონებლობით" ხერხებს, რომლებიც ჩვენს მოქმედებას წარმართავენ გარკვეული მიზნების მიღწევისაკენ. მსჯელობათა ჭეშმარიტება განისაზღვრება იმით, თუ რამდენად ვაღწევთ მათი საშუალებით სასარგებლო შედეგს. ეს „ნატურალისტური" თვალსაზრისი მთავრდება იმ საგულისხმო აღიარებით, რომ ობიექტური რეალობა არც არსებობს, რომ ჭეშმარიტება ობიექტური რეალობის სწორი ასახვა კი არ არის, არამედ ჩვენი მოქმედების წარმართვაა დასახული მიზნის უკეთ მისაღწევად.

პრაგმატიზმის რეაქციონური არსი ნათელია: იგი ცდილობს თეორიული „გამართლება" გამოუნახოს იმპერიალისტთა ავირაზნილ საქმიანობას. ყოველგვარი დებულება ჭეშმარიტია, თუ ის სასარგებლოა დასახული მიზნის მისაღწევად. ატომური იარაღის გამოყენება, მძარცველური ომები, უსასტიკესი ექსპლოატაცია — ყველაფერი ეს თურმე წარმატებაა და „ბატონ იმპერიალისტთა" საქმიანობა კი — ჭეშმარიტი და კანონიერი.

* * *

დაიცვა და შემდგომ განავითარა რა მარქს-ენგელსის მატერიალისტური თეორია, ვ. ი. ლენინმა გვიჩვენა, რომ დიალექტიკური მატერიალიზმი განუყრელად დაკავშირებულია არა მარტო მატერიის როგორც ობიექტური რეალობის აღიარებასთან, არამედ აგრეთვე მატერიის განვითარების კანონზომიერების აღიარებასთან, რომ მატერიის განვითარება მისთვის დამახასიათებელი ობიექტური კანონების საფუძველზე ხდება. ობიექტური კანონზომიერების აღიარება განუყრელად დაკავშირებულია ობიექტური რეალობის აღიარებასთან. ვ. ი. ლენინი სავსებით იწონებს ფეიერბახის პოზიციას, როდესაც ის (ე. ი. ფეიერბახი) ობიექტური კანონზომიერების, მიზეზობრიობის, აუცილებლობის უარყოფას ფიდეიზმის მიმართულებას აკუთვნებს.

ვ. ი. ლენინმა გამოამჟღავნა მეცნიერების კანონების ობიექტურობის უარყოფის კლასობრივი შინაარსი. მეცნიერების კანონების ობიექტურობის უარყოფა, მეცნიერებიდან კანონების გან-

დევნა, — წერდა ლენინი, — ნამდვილად მხოლოდ რეალობის კანონების შემოპარებაა. ბურჟუაზიას არ ძალუძს მოვლენებს უყუროს პირდაპირ, ობიექტურად, მეცნიერული თვალსაზრისით, ვინაიდან ისტორიული პროცესის ობიექტური კანონზომიერება მიმართულია მის წინააღმდეგ, ვინაიდან ეს კანონზომიერება მიუთითებს ბურჟუაზიული წყობილების გარდაუვალ დაღუპვაზე. შემთხვევითი არ არის, რომ თანამედროვე რეაქციული ბურჟუაზია ზურგს აქცევს მეცნიერებას. ბურჟუაზიას, — წერდა ლენინი, — „ყოველი თეორია სძაგს და თანამედროვე ისტორიის ყოველგვარი კლასობრივი ანალიზისა ეშინია“ [1].

ბურჟუაზიის იდეოლოგები ცდილობენ ჩაუნერგონ ფართო მასებს მეცნიერებისადმი ურწმუნოების გრძნობა. ამით უნდა აიხსნას მათი საერთო ლაშქრობა მეცნიერების წინააღმდეგ, მისი კანონების წინააღმდეგ. როგორც სხვა საკითხებში, ისე კანონზომიერების საკითხშიაც თანამედროვე რეაქციული ბურჟუაზიის იდეოლოგებმა არსებითად ვერაფერი ვერ დაუმატეს მათი წინაპრების „არგუმენტაციას“ მეცნიერების წინააღმდეგ.

ავენარიუსმა უბრალოდ განიმეორა ჰიუმის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ჩვენ ცდა არაფერს არ გვეუბნება აუცილებლობისა და მიზეზობრიობის ობიექტურად არსებობაზე. იგი სთვლიდა, რომ აუცილებლობა მხოლოდ „შედეგთა ლოდინის ალბათობის ხარისხია“. მახი განმარტავდა, რომ მიზეზობრიობის ჰიუმისეული კრიტიკა ძალაში რჩება, რომ გარდა ლ ო გ ი კ უ რ ი ს ა სხვა რაიმე აუცილებლობა, მაგალითად, ფიზიკური, — არ არსებობს. უერთდება რა მათ, იუშკევიჩი ბუნების კანონებს ემპირიოსიმბოლოებად აცხადებს, ხოლო ბოგდანოვი კი — „საშუალებებად მოვლენების შემეცნებითი შეკავშირებისათვის“. უწოდებს რა ყველა ამ ფორმულას „კანტიანურ-მახისტურს, ლენინი წერს: „კანტიანურ-მახისტური ფორმულა: „ბუნებას ადამიანი უკარნახებს კანონებს“ — ფიდეიზმის ფორმულაა“ [2].

ანადგურებს რა მახიზმს, ლენინი წერს, „სამყარო მატერიის კანონზომიერი მოძრაობაა და ჩვენს შემეცნებას, როგორც ბუნების უმაღლეს პროდუქტს, მხოლოდ ამ კანონზომიერების ა ს ა ხ ვ ა შეუძლია“ [3].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 12, გვ. 241.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 197.

[3] იქვე, გვ. 207.

მეცნიერების კანონები წარმოადგენენ ბუნებისა და საზოგადო-ების ობიექტურ მოვლენათა არსებითი კავშირების გამოხატულებას. კანონი მოვლენათა არსებითი კავშირების, მათი არსებითი მიმართებების ასახვაა. ვ. ი. ლენინი განმარტავს, რომ კანონი არის *მიმართება არსებითთა* შორის. კანონი, როგორც მოვლენათა ურთიერთობა, გამოხატავს მიზეზობრიობას, აუცილებლობას, კავშირს. კანონზომიერება ახასიათებს თვითონ ბუნებას და ჩვენი აზროვნება ასახავს ამ ობიექტურად არსებულ კანონზომიერებას.

ბუნების მოვლენათა კავშირი არსებობს ობიექტურად, იმისდა დამოუკიდებლად, შევიცნობთ თუ არა ჩვენ მას. ამ კავშირებს ჩვენი შემეცნებითი უნარი კი არ ქმნის, როგორც ამას კანტი ფიქრობდა, არამედ იგი ობიექტურად არსებული კავშირია. ანადგურებდა რა მახიზმს, ვ. ი. ლენინი განმარტავდა, რომ ბუნების აუცილებლობის აღიარება და იქიდან აზროვნების აუცილებლობის გამოყვანა მატერიალიზმია, ხოლო აუცილებლობის, მიზეზობრიობის, კანონზომიერებათა და სხვათა აზრებიდან გამოყვანა — იდეალიზმი.

დიდი ლენინი გვასწავლიდა, რომ ბუნების ობიექტური კანონზომიერების უარყოფა ნიშნავს მეცნიერების უარყოფას, რასაც აუცილებლად მივყავართ ფიდეიზმამდე, ღმერთის აღიარებამდე. სწორედ ამ გზით მიემართებიან თანამედროვე იდეალიზმის იდეოლოგები „წინ“ ღმერთისაკენ. ასე, მაგალითად, ფიზიკოსი-იდეალისტი შრედინგერი თავის წიგნაკში „რა არის სიცოცხლე ფიზიკის თვალსაზრისით“ წერს, რომ უდიდესი, რაც შეუძლია მოგვცეს ბიოლოგმა, ეს არის დამტკიცება „ღმერთისა და სულის უკვდავების არსებობისა“. იდეალისტ-ფიზიკოსი ბორი და მისი თანამოაზრენი უარყოფენ ობიექტური მიზეზობრიობის არსებობას მიკროსამყაროში და იქამდეც კი მიდიან, რომ ელექტრონებს მიაწერენ „ნების თავისუფლებას“.

როგორც აღნიშნულია, მახიზმის ერთ-ერთ ტიპიურ განსახიერებას თანამედროვე იდეალიზმში წარმოადგენს ე. წ. ლოგიკური ემპირიზმი. მეცნიერების კანონები, თანახმად ლოგიკური ემპირიზმისა, არ ასახავენ ობიექტურ პროცესებს. კანონი მხოლოდ ლოგიკური შედეგია იმ წინამძღვრისა, რასაც ჩვენ პირობითად ვღებულობთ, როგორც გამოსავალ წერტილს. ლოგიკის კანონებს არაფერი აქვთ საერთო მატერიალურ სინამდვილესთან, ისინი ბუნებიდან კი არ გამოიყვანებიან, არამედ აპრიორული არიან მის მიმართ. თვით აზროვნების კანონები გაგებულია როგორც პირობითი რამ; აზროვნება თვითონ ქმნის წესებს. თუ კანტთან აპრი-

ორის ცნება განმარტებულია, ყოველ შემთხვევაში მაინც ისეთ-რამედ, რაც აუცილებლობის მატარებელია, ლოგიკური ემპირიზმის თვალსაზრისით კი თვით ის წესები, რომლებიც აპრიორულნი არიან მოვლენის მიმართ და „აწესრიგებენ“ მოვლენას, თვითონ მოკლებული არიან რაიმე აუცილებლობას და პირველ საწყისებში უბრალო პირობითობას ემყარებიან. ისე როგორც მახი და მახისტები, ასევე თანამედროვე ლოგიკური ემპირიზმის წარმომადგენლები აბსოლუტური რელატივიზმის თვალსაზრისზე დგანან. ამ თვალსაზრისიდან კი მთელი აუცილებლობით გამომდინარეობს ობიექტური რეალობის, ჭეშმარიტების, კანონზომიერების უარყოფა.

კანონზომიერებისა და, საერთოდ, მეცნიერების უარყოფას ქადაგებს ამერიკის შეერთებულ შტატებში ფრიად გავრცელებული რეაქციულ-იდეალისტური მიმართულება, რომელიც პერსონალიზმის სახელწოდებით გამოდის. მახისა და ავენარიუსის მსგავსად, პერსონალისტები ცდილობენ სკუთარი ინტერესებისათვის გამოიყენონ ის ყალბი დასკვნები, რომლებსაც აკეთებენ ახალ მეცნიერულ აღმოჩენებთან დაკავშირებით „ფიზიკური იდეალიზმის“ წარმომადგენლები. ბუნების კანონზომიერებას ისინი აიგივებენ მათემატიკურ ფორმულებთან, ხოლო ამ ფორმულებს კი თვლიან უბრალო სუბიექტურ აღნიშვნებად. ვ. ი. ლენინმა თავის წიგნში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ ბოლომდე ამხილა „ფიზიკური იდეალიზმის“ ნამდვილი სახე და გვიჩვენა მისი ანტიმეცნიერული და რეაქციული არსი.

მრავალ იდეალისტურ მიმართულებათა შორის, რომლებიც დღეს სხვადასხვა სახელწოდებათა სამოსელში გამოდიან, არ არსებობს რაიმე არსებითი განსხვავება. ერთი მიზანი განსაზღვრავს ამ მიმდინარეობათა არსებით ერთგვაროვნებას — იდეური სამსახური გაუწიონ რეაქციულ ბურჟუაზიას.

ბურჟუაზიული ფილოსოფიური სისტემები მუდამ წარმოადგენდნენ და წარმოადგენენ ბურჟუაზიის იდეურ იარაღს თავისი ბატონობის განსამტკიცებლად და შესანარჩუნებლად, მშრომელი მასების სულიერად დასამონებლად, ფართო მასების ცნობიერების დასაბნელებლად. ამ მიზნის მისაღწევად ბურჟუაზია მალავს თავისი ფილოსოფიის პარტიულ ხასიათს. ბურჟუაზიული ფილოსოფია ჩვეულებრივ გვევლინება „ობიექტივიზმის“, „არაპარტიულობის“, „ზეკლასიურის“ ფორმაში. „ობიექტივიზმი“ და „არაპარტიულობა“ მხოლოდ მოჩვენებითობაა, რის მიღმა იმალება ბურჟუაზიის პარ-

ტიული ინტერესები. ბურჟუაზიული ობიექტივიზმი ნიშნავს [illegible] ტალისტური სინამდვილის დამახინჯებული სურათის [illegible]

მარქსისტული ფილოსოფიის პარტიულობა ნიშნავს თეორიაში პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების აშკარა გამოხატვას. ვ. ი. ლენინმა გვიჩვენა, რომ შემეცნების პროცესი, მიმართული საზოგადოებრივი ცხოვრების შესწავლისაკენ, ვერ მოგვცემს სინამდვილის სწორ ასახვას, თუ ამ პროცესში ორგანულად არ არის ჩაქსოვილი კომუნისტური პარტიულობის პრინციპი.

ვ. ი. ლენინი, განიხილავს რა კრიტიკულად ემპირიოკრიტიციზმს, დაასკვნის, რომ „ოთხი თვალსაზრისით უნდა მიუდგეს მარქსისტი ემპირიოკრიტიციზმის შეფასებას"; ჯერ ერთი -- საჭიროა ამ ფილოსოფიისა და დიალექტიკური მატერიალიზმის თეორიული საფუძვლების შედარება; ეს შედარება გვიჩვენებს ემპირიოკრიტიციზმის რეაქციულობას, რომელიც იდეალიზმისა და აგნოსტიციზმის ძველ შეცდომებს ფარავს ახალი სიტყვებითა და ოინებით. მეორე — უნდა გამოირკვეს ემპირიოკრიტიციზმის ადგილი სხვა თანამედროვე ფილოსოფიურ სკოლებს შორის. მახმა და ავენარიუსმა კანტით დაიწყეს, მაგრამ მისგან მატერიალიზმისაკენ კი არ წავიდნენ, არამედ ჰიუმისა და ბერკლისაკენ. მესამე — მხედველობაში უნდა მივიღოთ მახიზმის უეჭველი კავშირი უახლესი ბუნებისმეტყველების ერთი დარგის ერთ სკოლასთან. ახალი ფიზიკოსების უმცირესობა ახალი ფიზიკის კრიზისის ზეგავლენით, რამაც თვალსაჩინოდ გამოაშკარავა ჩვენი ცოდნის შეფარდებითობა, დიალექტიკის უცოდინარობის გამო რელატივიზმის გზით იდეალიზმისაკენ დაქანდა. მეოთხე — ემპირიოკრიტიციზმის გნოსეოლოგიური სქოლასტიკის უკან არ შეიძლება არ დავინახოთ პარტიათა ბრძოლა ფილოსოფიაში, რომელიც საბოლოო ანგარიშში თანამედროვე საზოგადოების მტრული კლასების ტენდენციებსა და იდეოლოგიას გამოხატავს. მებრძოლი პარტიები არსებითად მატერიალიზმი და იდეალიზმია.

დიდი ლენინის მიერ წამოყენებული ეს ოთხი პრინციპი სახელმძღვანელოა თანამედროვე რეაქციული ფილოსოფიის განხილვისას, მით უმეტეს, რომ დღეს გაბატონებული მიმართულება ამერიკასა და ინგლისში ისევ მახისტური და პრაგმატისტული სუბიექტური იდეალიზმი და აგნოსტიციზმია.

(შემოვიდა რედაქციაში 15. IV. 1956).

ეროვნული ბიბლიოთეკა

Г. Г. ЦХАКАЯ

# К ВОПРОСУ ЗНАЧЕНИЯ ЛЕНИНСКОЙ КРИТИКИ МАХИЗМА

В своем гениальном труде „Материализм и эмпириокритицизм“ В. И. Ленин подверг уничтожающей критике философскую концепцию махизма. Показав подлинную сущность эмпириокритицизма, В. И. Ленин развил и обогатил новыми положениями марксистскую теорию познания.

В. И. Ленин подчеркнул, что в основе теории познания диалектического материализма лежит признание внешнего мира и отражение его в человеческой голове.

Современная реакционная, идеалистическая философия с особым ожесточением нападает на основное положение марксистского философского материализма — признание объективного существования материи.

Наиболее распространенный софистический прием современного идеализма в отрицании объективной реальности заключается в том, что обычно отождествляют субъективные переживания и ощущения человека с объективной реальностью. „Ощущение принимается „за перегородку, стену, отделяющую сознание от внешнего мира, — не за образ соответствующего ощущению внешнего явления, а за „единственно сущее“[1]. Иначе говоря, они стремятся доказать, что никакого объективного мира вне ощущений нет, что ощущения и есть единственная реальность. К этому приему прибегали раньше махисты, к чему же прибегают в настоящее время представители современного идеализма?

Подобно махистам, и современные позитивисты не сумели ничего нового добавить к „аргументациям“ Беркли против материализма.

Естественно, что данная Лениным уничтожающая критика махизма и по сей день сохраняет актуальное значение, так как бесчисленное множество современных идеалистических школ и течений, несмотря на различие наименований, топчется на том же самом месте, на котором стоял махизм, и служит тем же классовым интересам.

---

[1] В. И. Ленин, Сочинения, 4 изд., т. 14, стр. 40.

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XV, 1956.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XV, 1956
ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. სანიკიანი

## შრომის ნაყოფიერების თეორიის საკითხისათვის

მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომია გვასწავლის, რომ მატერიალური დოვლათის წარმოება ადამიანთა საზოგადოების არსებობისა და განვითარების საფუძველია. იმისათვის, რომ ადამიანთა საზოგადოებამ იარსებოს, გამრავლდეს, განავითაროს თავისი კულტურა, ის უნდა აწარმოებდეს მატერიალურ დოვლათს — საზრდოს, ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, სათბობს, წარმოების იარაღებს, საცხოვრებელ ბინებს და სხვ. ეს მატერიალური დოვლათი, რომელსაც მოიხმარს ადამიანთა საზოგადოება, ბუნებაში მზამზარეულად კი არ მოიპოვება, არამედ მას ადამიანები ქმნიან მატერიალური წარმოების პროცესში.

მატერიალური დოვლათის დასამზადებლად საჭიროა, ერთი მხრივ, წარმოების საშუალებები, ხოლო, მეორე მხრივ, ადამიანები, რომელთაც მოქმედებაში მოჰყავთ წარმოების საშუალებები და ახორციელებენ მატერიალური დოვლათის წარმოებას. წარმოების საშუალებები და ადამიანები, ალებულნი ერთ მთლიანობაში — წარმოების პროცესში, განაპირობებენ მატერიალური დოვლათის შექმნას.

მარქსიზმი საზოგადოებრივ წარმოებას განიხილავს როგორც ერთიან მთელს, რომელსაც აქვს ორი მხარე: მწარმოებლური ძალები (საზოგადოების დამოკიდებულება ბუნების ძალებისადმი, რომლებთან ბრძოლაში ის მოიპოვებს არსებობისათვის საჭირო აუცილებელ მატერიალურ დოვლათს. და წარმოებითი ურთიერთობანი (ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულება წარმოების პროცესში).

მწარმოებლური ძალები წარმოების ყველაზე რევოლუციური მხარეა. მისი ცვლილება ადამიანთა წარმოებით ურთიერთობათა, ადამიანთა ეკონომიურ ურთიერთობათა ცვლილებას იწვევს. თავის მხრივ, ადამიანთა წარმოებითი ურთიერთობანი როდი ასრულებენ

პასიურ როლს. ვითარდებიან რა მწარმოებლური ძალების განვითარებასთან ერთად, ისინი გავლენას ახდენენ მწარმოებლური ძალების განვითარებაზე, აჩქარებენ ან ანელებენ მას.

საზოგადოების მწარმოებლურ ძალებს შეუძლიათ შეუფერხებლად განვითარდნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოებითი ურთიერთობანი შეესაბამებიან მწარმოებლური ძალების მდგომარეობას. ახალი წარმოებითი ურთიერთობანი ყველგან და ყოველთვის გასაქანს აძლევენ მწარმოებლურ ძალთა განვითარებას.

კაპიტალიზმის განვითარების განსაზღვრულ საფეხურამდე ბურჟუაზიული წარმოებითი ურთიერთობანი შესაბამისობაში არიან მწარმოებლურ ძალთა ხასიათთან, რაც აპირობებს კაპიტალიზმის სწრაფ განვითარებას ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ. მაგრამ ეს შესაბამისობა არ არის მყარი, მუდმივი. იგი დროებითია და მას შეუსაბამობა ცვლის. თვით წინამონოპოლისტური, ანუ აღმავალი კაპიტალიზმის ეპოქაში ჭარბი წარმოების ეკონომიური კრიზისები ამჟღავნებენ მწარმოებლურ ძალებსა და წარმოებით ურთიერთობათა შორის აშკარა შეუსაბამობას, კონფლიქტის, შეჯახების გარდუვალობას. იმპერიალიზმის ეპოქაში ეკონომიური კრიზისები კიდევ უფრო მწვავე ხასიათს ატარებს და შეუსაბამობაც მწარმოებლურ ძალებსა და წარმოებით ურთიერთობათა შორის მუდმივი, ქრონიკული ხდება.

თანამედროვე კაპიტალიზმის წარმოებით ურთიერთობათა საპირისპიროდ, რომელნიც მწარმოებლური ძალების განვითარების ბორკილებს წარმოადგენენ, სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობანი უზრუნველყოფენ მწარმოებლური ძალების სწრაფ ზრდას. სოციალიზმის დროს წარმოების საზოგადოებრივ ხასიათს შეესაბამება წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი სოციალისტური საკუთრება, ამის გამო სოციალისტურ საზოგადოებაში წარმოებით ურთიერთობებსა და მწარმოებლურ ძალებს შორის არის სრული შესაბამისობა.

წარმოიშვა და განვითარდა რა გარკვეული მწარმოებლური ძალების ბაზაზე, სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობანი, თავის მხრივ, მათი შემდგომი განვითარების მძლავრი მამოძრავებელია. მწარმოებლურ ძალებს არ მიუღია ისეთი მძლავრი განვითარება არც ერთ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციაში, როგორც სოციალიზმის დროს. ამიტომ არის, რომ მხოლოდ სოციალისტური წყობილება ქმნის ხელსაყრელ პირობებს საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდისა და მშრომელთა მატერიალური

ბიბლიოთეკა

და კულტურული მდგომარეობის სისტემატური გაუმჯობესებისა-თვის.

შრომის ნაყოფიერების გადიდება შესაძლებლობას იძლევა სამუშაო დროის ერთეულში გამოშვებულ იქნას მეტი პროდუქცია; იგი გამოიხატება იმაში, რომ ცოცხალი შრომის წილი პროდუქტში მცირდება, ხოლო წარსული შრომის წილი შეფარდებით იზრდება, ამასთან საერთო ჯამი შრომისა, რომელსაც პროდუქციის ერთეული შეიცავს, მცირდება. საზოგადოებრივი თვალსაზრისით, შრომის ნაყოფიერება იზრდება მის ეკონომიასთან ერთად, მათ შორის როგორც ცოცხალი, ისე განივთებული შრომის ეკონომიასთან ერთად მთელი საზოგადოების მასშტაბით. კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ ნამდვილი ეკონომია არის სამუშაო დროის დაზოგვა და ეს დაზოგვა იგივეა, რაც შრომის მწარმოებლურობის განვითარება.

კ. მარქსმა, პირველმა განსაზღვრა რა მეცნიერულად შრომის ნაყოფიერების ეკონომიური შინაარსი, ხაზგასმით აღნიშნა, რომ შრომის ნაყოფიერების გადიდება შეუძლებელია ისე, თუ არ განხორციელდა ცვლილება შრომის საშუალებებში ან შრომის მეთოდში, ანდა ორივეში ერთად. მაშასადამე, შრომის ნაყოფიერების ზრდა შეუძლებელია ისე, თუ არ მოხდა რევოლუცია შრომის საწარმოო პირობებში, ე. ი. მის წარმოების წესში და თვით შრომის პროცესში. „შრომის მწარმოებლური ძალის გადიდებად ჩვენ... ვგულისხმობთ შრომის პროცესში მომხდარ საერთოდ ყოველგვარ ცვლილებას, რომლის გამო ამა თუ იმ საქონლის წარმოებისათვის საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დრო მცირდება, მაშასადამე, შრომის უფრო ნაკლები „რაოდენობა ძალას იძენს სახმარი ღირებულების უფრო მეტი რაოდენობის საწარმოებლად“ [1].

რადგან შრომის ნაყოფიერების გადიდება დაკავშირებულია შრომის პროცესში, წარმოების იარაღებში მომხდარ ცვლილებასთან, ხოლო წარმოების წესის ცვლილება და განვითარება იწყება მწარმოებლური ძალების და, უწინარეს ყოვლისა, წარმოების იარაღების ცვლილებიდან და განვითარებიდან, ამიტომ შრომის ნაყოფიერების გადიდებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვების საქმეში.

ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ „შრომის ნაყოფიერება, ეს, საბოლოო ანგარიშში, ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გასამარჯვებლად.

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, 1954, გვ. 399.

კაპიტალიზმმა შექმნა შრომის ნაყოფიერება, რომელიც გაუგონარი იყო ბატონყმობის დროს. კაპიტალიზმი შეიძლება საბოლოოდ დამარცხდეს და კიდევაც დამარცხდება საბოლოოდ იმით, რომ სოციალიზმი ქმნის შრომის ახალ, გაცილებით უფრო მაღალ ნაყოფიერებას“[1].

შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელი გადიდება წარმოადგენს საზოგადოების წინსვლის მძლავრ ფაქტორს. იგი გამოხატავს მწარმოებლური ძალების განვითარების დონეს. უნდა აღინიშნოს, რომ ყოველ მოცემულ ეპოქაში საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება დამოკიდებულია არა მარტო მწარმოებლური ძალების განვითარების დონეზე, არამედ, აგრეთვე, არსებულ წარმოებით ურთიერთობებზე და მოცემული საზოგადობრივ-ეკონომიური ფორმაციის ძირითადს ეკონომიურ კანონზე.

კაპიტალიზმის დროს, უდიდესი მოგების მიღების მიზნით, წარმოებაში დასაქმებული თვითეული მუშის შრომის ნაყოფიერების ზრდა მიიღწევა შრომის მეტისმეტი ინტენსიფიკაციის გზით. შრომის ინტენსიურობის გადიდება კაპიტალიზმის დროს იწვევს მუშის დაუძლურებას, სასიცოცხლო ენერგიის გამოფიტვას, მის ნაადრევ სიკვდილს. ეს პროცესი აძლიერებს მუშათა კლასის აბსოლუტურ და შეფარდებითს გაღატაკებას. მანქანა კაპიტალიზმის დროს, როგორც ეს საყოველთაოდ ცნობილია, წარმოადგენს მუშათა კლასის ექსპლოატაციის მძლავრ საშუალებას და მთელი ის სარგებლიანობა, რასაც მანქანის გამოყენება იძლევა, მიდის კაპიტალისტის სასარგებლოდ. მანქანის გამოყენებამ, საერთოდ, მუშის შრომის შემსუბუქება უნდა გამოიწვიოს; მისი კაპიტალისტური გამოყენება კი მუშის შრომის პირობების გაუარესებას იწვევს. მანქანის გამოყენებამ, საერთოდ, მუშის სამუშაო დროის შემცირება უნდა გამოიწვიოს; მისი კაპიტალისტური გამოყენება კი საშუალებაა სამუშაო დღის გახანგრძლივებისათვის.

წინააღმდეგ კაპიტალიზმისა, სოციალისტური წყობილება, განაპირობებს რა საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების სწრაფი და განუწყვეტელი ზრდის შესაძლებლობასა და აუცილებლობას ტექნიკის მუდმივი სრულყოფისა და განვითარების ბაზაზე, იძლევა საზოგადოების მწარმოებლური ძალების მძლავრი განვითარების ფართო სარბიელს. საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელი ზრდა შეპირობებულია სოციალისტური წარმოების წესითა და სო-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 499.

ციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის მოქმედებით, რომე-ლიც განსაზღვრავს სოციალისტური წარმოების ყველა ძირითად მხარესა და ყველა მთავარ პროცესს.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ მხოლოდ კომუნისტურ საზოგა-დოებას შეუძლია უზრუნველყოს, კაპიტალიზმთან შედარებით, შრო-მის მაღალი ნაყოფიერება, რომელიც ემყარება მოწინავე ტექნიკის გამომყენებელი მშრომელი ხალხის ნებაყოფლობით, შეგნებულ, გაერ-თიანებულ და თავდადებულ შრომას, მათ დაინტერესებას სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

ვ. ი. ლენინმა პროლეტარიატის გამარჯვების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად წამოაყენა ბრძოლა შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის. „ყოველ სოციალისტურ რე-ვოლუციაში, მას შემდეგ, რაც გადაჭრილია პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დაპყრობის ამოცანა... პირველ რიგში აუცილებლად დგება კაპიტალიზმზე უფრო მაღალი საზოგადოებრივი წყობის შექმნის ძირითადი ამოცანა, სახელდობრ: შრომის ნაყოფიერების გადიდება, ამასთან დაკავშირებით (და ამისათვის) კი — მისი უმა-ღლესი ორგანიზაცია“ [1].

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა კომუნიზმის მშე-ნებლობის თავის პრაქტიკულ მოღვაწეობაში ყოველთვის ხელმძღვა-ნელობდნენ და ხელმძღვანელობენ ვ. ი. ლენინის იმ მითითებით, რომ შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელ გადიდებას პირველხარისხო-ვანი მნიშვნელობა აქვს ახალი საზოგადოებრივი წყობილების გა-მარჯვების საქმეში.

* * *

სოციალიზმის დროს შრომის ნაყოფიერების გადიდების უდი-დესი შესაძლებლობანი არსებობს. საბჭოთა ქვეყანას გააჩნია შრო-მის ნაყოფიერების გადიდების ისეთი რეზერვები და ფაქტორები, რომლებიც მიუღწეველია მეურნეობის კაპიტალისტური სისტემი-სათვის.

კაპიტალიზმის დროს შრომის ნაყოფიერების გადიდება მუშათა კლასის ექსპლოატაციის ხარჯზე ხდება. შრომის ნაყოფიერების გადიდების მეთოდები და საშუალებები წარმოადგენენ იარაღს მუ-შათა კლასის ექსპლოატაციის გადიდებისათვის, კაპიტალისტთა მოგების გაზრდისათვის. ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა

[1] ვ. ი. ლენინი, ტ. 27, გვ. 302.

კაპიტალისტური ქვეყნების საწარმოთა მფლობელები ხშირად ქირაობენ მეცნიერებს, ინჟინრებს, რათა ამით დაამუშაონ შრომის ნაყოფიერების ამაღლების „მეცნიერული“ წესები. სინამდვილეში მთელი ეს მეცნიერება დაჰყავთ იქამდე, რომ აიძულონ მუშა, საწარმოს მფლობელის სასარგებლოდ გამოქაჩოს თავისი თავიდან მთელი ძალ-ღონე და ათმაგად დააჩქაროს ორგანიზმის გამოფიტვა.

სულ სხვა საფუძველზე იზრდება წარმოების მუშაკთა შრომის ნაყოფიერება ჩვენს ქვეყანაში. გრძნობენ რა თავს ქვეყნის მთელი სიმდიდრის ბატონ-პატრონად, ისინი შემოქმედებითი აზრით ეკიდებიან თავიანთ შრომას, განუწყვეტლივ იმაღლებენ კვალიფიკაციას, აღწევენ რა სულ უფრო მაღალ გამომუშავებას ტექნიკის უკეთესი გამოყენებისა და წარმოების უკეთესი ორგანიზაციის გზით.

კ. მარქსი მიუთითებდა, რომ „შრომის მწარმოებლური ძალა განისაზღვრება მრავალნაირი გარემოებით, სხვათა შორის მუშის საშუალო დახელოვნების ხარისხით, მეცნიერების განვითარებისა და მისი ტექნოლოგიური გამოყენების დონით, წარმოების პროცესის საზოგადოებრივი კომბინაციით, წარმოების საშუალებათა მოცულობითა და ქმედუნარიანობით და ბუნებრივი პირობებით“ [1].

ვ. ი. ლენინი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველ წლებში მიუთითებდა, რომ შრომის ნაყოფიერების გადიდების მძლავრ ფაქტორს, უწინარეს ყოვლისა, წარმოადგენს ტექნიკის განვითარება, სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური საფუძვლის — მძიმე ინდუსტრიის შექმნა.

„შრომის ნაყოფიერების გადიდება, უწინარეს ყოვლისა, მოითხოვს მსხვილი ინდუსტრიის მატერიალური საფუძვლის უზრუნველყოფას: სათბობის, რკინის წარმოების, მანქანათმშენებლობის, ქიმიური მრეწველობის განვითარებას“ [2].

ვ. ი. ლენინმა შრომის ნაყოფიერების ზრდის სხვა ფაქტორთა შორის დაასახელა მშრომელთა საგანმანათლებლო და კულტურული დონის ამაღლება, შრომის დისციპლინის განმტკიცება და მისი ორგანიზაციის ამაღლება და სხვ.

ავითარებდა რა მარქსისტულ-ლენინურ დებულებას შრომის ნაყოფიერების შესახებ, ამდიდრებდა რა მას სოციალისტური მშენებლობის ახალი გამოცდილებით, ი. ბ. სტალინი აღნიშნავდა, რომ პარტიის ღონისძიებანი შრომის ნაყოფიერების პრობლემის

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, 1954, გვ. 55—56.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 303.

გადაჭრის საქმეში უნდა წავიდეს სამი ხაზით: „მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის სისტემატური ამაღლების ხაზით, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტურ საწარმოებში შრომის ამხანაგური დისციპლინის დანერგვის ხაზით, დასასრულ, სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის მოწყობის ხაზით“[1].

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელ გადიდებას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს კაპიტალიზმზე სოციალიზმის გამარჯვებისა და კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისათვის. ამიტომ შრომის ნაყოფიერების გადიდების ყველა ფაქტორისა და რეზერვის გამოყენება წარმოადგენდა და წარმოადგენს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყურადღებისა და ზრუნვის განსაკუთრებულ საგანს.

სოციალიზმის დროს მოქმედებენ შრომის ნაყოფიერების ზრდის ისეთი მძლავრი ფაქტორები, როგორიცაა: ტექნიკური პროგრესი და წარმოების ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესება, წარმოებისა და შრომის სოციალისტური ორგანიზაცია, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუწყვეტელი გაუმჯობესება მათი კულტურულ-ტექნიკური დონისა და საწარმოო კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლება, შრომის მიხედვით განაწილება და მატერიალური დაინტერესების პრინციპის მტკიცედ დაცვა, წარმოების ორგანიზაციისა და ტექნიკის სრულყოფის საქმეში წარმოების მუშაკთა შემოქმედებითი ინიციატივის გაშლა, რომელიც თავის გამოხატულებას პოულობს სოციალისტურ შეჯიბრებაში და სხვ.

მეურნეობის სოციალისტური სისტემა ტექნიკისა და მეცნიერების განვითარების ფართო სარბიელს იძლევა. სოციალისტურ საზოგადოებაში საწარმოო ძალების ხასიათისადმი წარმოებით ურთიერთობათა სავალდებულო შესაბამისობის ეკონომიური კანონის მოქმედება უსაზღვრო შესაძლებლობას ქმნის ახალი ტექნიკის განვითარებისა და დანერგვისათვის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

მაშინ, როდესაც კაპიტალისტურ ქვეყნებში ტექნიკას განვითარების ერთადერთი სტიმულია მაქსიმალური მოგების მიღება, საბჭოთა კავშირში ტექნიკის განვითარების მძლავრი მამოძრავებელი სტიმულია საზოგადოების წევრთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის სისტემატური გაუმჯობესება. სოციალისტურ სა-

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 12, გვ. 358.

ზოგადოებაში, კაპიტალისტური საზოგადოებისაგან განსხვავებით, მუშები დიდი ხალისით იყენებენ მანქანებს შრომის პროცესში. ეს აიხსნება იმით, რომ ჩვენს ქვეყანაში მანქანების გამოყენება არა მარტო ზოგავს შრომას, არამედ ამასთან ერთად, ამსუბუქებს მუშაკების შრომას.

სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე, განუხრელი ტექნიკური პროგრესის პირობებში. კომუნისტური პარტია ყოველთვის ანიჭებდა და ანიჭებს პირველხარისხოვან მნიშვნელობას სახალხო მეურნეობაში მოწინავე ტექნიკის დანერგვის საკითხებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XX ყრილობაზე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავდა, რომ „საჭიროა გულმოდგინედ გავაუმჯობესოთ ტექნიკა; შევქმნათ ყველაზე წარმადი, ეკონომიური და ექსპლოატაციაში საიმედო მანქანები; ფართოდ განვავითაროთ საწარმოო პროცესების ელექტროფიკაცია, კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია; სრულად გამოვიყენოთ მეცნიერების მიღწევები მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების დარგში“ [1].

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების თანამედროვე ეტაპის მწვერვალია ატომგულის ენერგიის მიღებისა და გამოყენების მეთოდების აღმოჩენა. სსრ კავშირში ატომის ენერგიით ამუშავდა პირველი სამრეწველო ელექტროსადგური, რომელიც ემსახურება საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის ზრდას. საბჭოთა კავშირმა არა მარტო შექმნა კაცობრიობის ისტორიაში პირველი სამრეწველო ელექტროსადგური, რომელიც ატომის ენერგიით მუშაობს, არამედ მზად არის, თავისი გამოცდილება გადასცეს სხვა ხალხებს.

სკკპ XX ყრილობის დირექტივები მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ითვალისწინებს ატომური ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების მნიშვნელოვან გაფართოებას. 1955—1960 წლებში უნდა აშენდეს 2—2,5 მილიონი კილოვატი საერთო სიმძლავრის ატომის ელექტროსადგურები. სამშვიდობო მიზნით ატომის ენერგიის გამოყენება უდიდეს პერსპექტივებს უსახავს წარმოების პროცესების მექანიზაციასა და ავტომატიზაციას. ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი მიმართულებაა მძიმე და შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია.

---

[1] ნ. ს. ხრუშჩოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება პარტიის XX ყრილობას, 1956, გვ. 62.

მეურნეობის სოციალისტური სისტემა უზრუნველყოფს იმის რეალურ შესაძლებლობას, რომ სულ უფრო და უფრო მეტად გავაძლიეროთ სამუშაოთა მექანიზაციის ტემპები, დიდი მასშტაბებით განვახორციელოთ მრეწველობის ყველა დარგში ძირითადი და დამხმარე პროცესების კომპლექსური მექანიზაცია. სოციალისტური წარმოების განვითარება მიმდინარეობს შრომის კომპლექსური მექანიზაციის გზით, რომელიც წარმოადგენს შრომის ნაყოფიერების ზრდის რეზერვების მობილიზაციის მძლავრ საშუალებას. შრომატევადი პროცესების მექანიზაციაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ჩვენი სამშობლოს ქვანახშირის მრეწველობაში უკვე განხორციელდა მძიმე სამუშაოთა თითქმის სრული მექანიზაცია, როგორიც არის: ქვანახშირის მოყელვა, მონგრევა და გამოზიდვა. შეიქმნა და ფართოდ ინერგება ქვანახშირის კომბაინები — ისეთი მანქანები, რომლებიც ერთდროულად ყელავენ, ანგრევენ და ტვირთავენ ქვანახშირს. ამჟამად შახტებში ხორციელდება ყველა საწარმოო პროცესის კომპლექსური მექანიზაცია.

კომპლექსური მექანიზაციის მნიშვნელობა მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ იგი ადიდებს გამომუშავებას, არამედ საშუალებას გვაძლევს, გადავიდეთ წარმოების ავტომატიზაციის პროცესზე, ე. ი. წარმოების მექანიზაციის უმაღლეს საფეხურზე. ავტომატიზაცია უზრუნველყოფს მოწყობილობის ინტენსიურად გამოყენების არნახულ ზრდას, წარმოების პროცესის დაჩქარებასა და წარმოების მუშაკთა შრომის ნაყოფიერების ზრდას. ავტომატიზაცია უზრუნველყოფს სათბობი მასალის, ელექტროენერგიისა და ნედლეულის ეკონომიას; იგი წარმოადგენს არა მარტო განივთებული შრომის, არამედ ცოცხალი შრომის ეკონომიის მძლავრ საშუალებას და შრომის ნაყოფიერების გიგანტური ზრდის ტექნიკურ საფუძველს.

შემდგომი ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების უზრუნველსაყოფად პარტიის XX ყრილობის დირექტივები მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ითვალისწინებს სამუშაოთა მექანიზაციის ტემპების მკვეთრად გაძლიერებას, საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის ფართო მასშტაბით დანერგვას, საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1955 წლის ივლისის პლენუმზე დაისვა საკითხი ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და შრომის ნაყოფიერების შემ-

დგომი გადიდების შესახებ. ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებმა თავისი გამოხატულება პოვა XX ყრილობის დირექტივებში მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ, სადაც დასახულია სწრაფი ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფის ამოცანა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში და ამ საფუძველზე შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელი ზრდა.

ტექნიკის თანამედროვე განვითარება ბევრ ახალ ამოცანას სახავს იმ მხრივ, რომ შეიქმნას უფრო სრულყოფილი მანქანები, მოწყობილობა, ხელსაწყოები და გავაუმჯობესოთ წარმოების ტექნოლოგია. სოციალისტური ეკონომიკის მძლავრი აღმავლობა სულ უფრო და უფრო მეტად მოითხოვს გაუმჯობესებული მოწყობილობისა და მანქანების გამოყენებას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. მძიმე ინდუსტრიის უპირატესმა განვითარებამ, მეცნიერული აზროვნების შემდგომმა წინსვლამ შესაძლებელი გახადა სოციალისტური სახალხო მეურნეობის მძლავრი აღმავლობის უზრუნველყოფა. მეხუთე ხუთწლედში სსრ კავშირის მრეწველობის პროდუქცია გაიზარდა 85 პროცენტით, ამასთან წარმოების საშუალებათა წარმოება — 91 პროცენტით, ხოლო სახალხო მოხმარების საგნების წარმოება — 76 პროცენტით. მეექვსე ხუთწლიანი გეგმით განსაზღვრულია სამრეწველო პროდუქციის ზრდა 65 პროცენტით, ამასთან წარმოების საშუალებათა წარმოების ზრდა — 70 პროცენტით, მოხმარების საგნების წარმოების ზრდა — დაახლოებით 60 პროცენტით.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგში წარმოების ზრდისა და ტექნიკური პროგრესის დასახული ტემპის განხორციელების მნიშვნელოვანი პირობაა ჩვენი ქვეყნის შემდგომი ელექტროფიკაცია.

კომუნისტური პარტია თანმიმდევრულად ახორციელებდა და ახორციელებს ვ. ი. ლენინის ანდერძს ელექტროფიკაციის შესახებ, რამაც უზრუნველყო ის, რომ პირველი ხუთწლედიდან დაწყებული ელექტროენერგიის წარმოება სსრ კავშირში 34-ჯერ გადიდდა. მეექვსე ხუთწლედში ელექტროენერგიის წარმოების გადიდება 88 პროცენტით, 1955 წელთან შედარებით, შესაძლებლობას შექმნის, ამაღლდეს მრეწველობის ელექტროფიკაციის დონე, გაფართოვდეს საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია.

ტექნიკის განვითარებასა და სრულყოფას შეუძლია უზრუნველყოს შრომის ნაყოფიერების სწრაფი აღმავლობა წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის სისტემატური გაუმჯობესების პირობებში. ამჟამად, როდესაც მთელი სახალხო მეურნეობა შეიარაღებულია

მოწინავე ტექნიკით და უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური კადრებით, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს წარმოებისა და შრომის სწორ ორგანიზაციას.

მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს წარმოების სპეციალიზაციას, მრეწველობის საწარმოებისა და დარგების კოოპერირებას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1955 წლის ივლისის პლენუმმა უდიდესი ყურადღება მიაქცია წარმოების ორგანიზაციის ეკონომიურად ყველაზე მიზანშეწონილი ფორმების — სპეციალიზაციისა და კოოპერირების გაფართოების აუცილებლობას ჩვენს სოციალისტურ მრეწველობაში.

ჩვენს ქვეყანაში ყოველგვარი პირობა არის შექმნილი იმისათვის, რათა სრულყოფილად იქნას გამოყენებული წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების ხელსაყრელობა. წარმოების სპეციალიზაცია და კოოპერირება ხელს უწყობს ტექნიკის განვითარებას, მოწინავე ტექნოლოგიისა და წარმოების ავტომატიზაციის დიდი მასშტაბით გამოყენებას, პროდუქციის გამოშვების მნიშვნელოვან გადიდებას, წარმოების ხარჯების შემცირებასა და საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპების დაჩქარებას.

საბჭოთა წყობილებამ შექმნა წარმოებისა და შრომის ისეთი ორგანიზაცია, როცა არავის არ შეუძლია თავისი მოვალეობა სხვას გადააკისროს, იცხოვროს სხვისი შრომის ხარჯზე. იგი ემყარება წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივ სოციალისტურ საკუთრებას და გამორიცხავს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას.

შრომის სწორი ორგანიზაციის უზრუნველყოფა შესაძლებელია წარმოების მუშაკთა ამხანაგური თანამშრომლობისა და შრომის დისციპლინის განმტკიცების პირობებში. შრომის სოციალისტური დისციპლინა მყარდება და მტკიცდება დარწმუნების, კომუნისტური აღზრდის მეთოდებით. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მშრომელებს ზრდიან კომუნისტური სულისკვეთებით, წარმოებისადმი შეგნებული დამოკიდებულების სულისკვეთებით. შრომის მაღალი დისციპლინის მაჩვენებელია სამუშაო დროის გეგმაზომიერი გამოყენება. თვითეულ შეგნებულ მუშას ესმის, რომ სამუშაო დღის სწორად გამოყენება შრომის ნაყოფიერების გადიდების მნიშვნელოვან რეზერვს წარმოადგენს. სოციალიზმის დროს შრომის დისციპლინის დაცვა შეესაბამება მშრომელი მასების ძირეულ ინტერესებს. მშრომელთა აღზრდა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულების სულისკვეთებით სოციალისტური სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს.

შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს ტექნიკური დანორმვა. ტექნიკურად დასაბუთებული ნორმები წარმოადგენს ისეთ ძალას, რომელიც მუშათა ფართო მასებს რაზმავს საწარმოებში მოწყობილობის, ნედლეულისა და მასალების საუკეთესოდ გამოყენებისათვის. ეს ნორმები საჭიროა იმისათვის, რომ ჩამორჩენილები წამოვწიოთ მოწინავე მუშაკების დონემდე. მეცნიერულად დადგენილი ტექნიკური ნორმები წარმოადგენს სამუშაო დღის სრულყოფილად გამოყენების, შრომის დისციპლინის განმტკიცების საფუძველს. გამომუშავების ნორმები აუცილებლად უნდა იყოს პროგრესული, უნდა შეეფერებოდეს ტექნიკის განვითარების მიღწეულ დონეს, უნდა ასახავდეს მოწინავე მუშების გამოცდილებას და იძლეოდეს შრომის ნაყოფიერების გადიდების შესაძლებლობას. თუ ნორმები აგებულია ტექნიკის განვითარების გაუთვალისწინებლად, ასეთი ნორმები იწვევს წარმოების შეფერხებას, პროდუქციის გამოშვების შემცირებას, მისი თვითღირებულების გადიდებას. მოძველებული ნორმები ხელს უშლის მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებას და იწვევს ხელფასის გათანაბრებას.

შრომისა და ხელფასის ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით მეექვსე ხუთწლედში უზრუნველყოფილ იქნება წარმოებაში გამომუშავების ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების ფართოდ დანერგვა, რომლებიც შეესაბამება ტექნიკისა და წარმოების ორგანიზაციის თანამედროვე დონეს.

სოციალიზმის დროს შრომის ნაყოფიერების ზრდის ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორია მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუწყვეტელი აღმავლობა, მათი კვალიფიკაციისა და კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლება. არის რა სოციალისტური წარმოების მიზანი მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა, საბჭოთა ადამიანები შემოქმედებითი აზრით ეკიდებიან თავიანთ შრომას და ტექნიკის უკეთესი გამოყენების გზით აღწევენ სულ უფრო მაღალ გამომუშავებას. საბჭოთა ხალხი, დარწმუნებული იმაში, რომ სოციალისტური სახალხო მეურნეობის მძლავრი აღმავლობა მის ინტერესებს ემსახურება, წარმატებით იბრძვის სახელმწიფო-სამეურნეო გეგმების ვადამდე, მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის.

შრომის ნაყოფიერების ზრდის უზრუნველსაყოფად, [illegible] განვითარებასთან ერთად, საჭირო და აუცილებელია [illegible] ნიკის გამომყენებელი კვალიფიციური კადრების მომზადება, მათი კულტურულ-ტექნიკური დონის სისტემატური ზრდა.

ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გეგმაზომიერად ხორციელდება სახალხო მეურნეობის უზრუნველყოფა კვალიფიციური კადრებით, სისტემატურად წარმოებს ახალი, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, ათი ათასობით მაღალკვალიფიციური კადრები მზადდება სპეციალურ ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც ისინი ღრმად ეუფლებიან მეცნიერებასა და ტექნიკას, რითაც წინ სწევენ სოციალისტური სახალხო მეურნეობის განვითარებას. ჩვენს ქვეყანას ამჟამად სპეციალისტთა დიდი არმია ჰყავს, რომელიც ხუთნახევარ მილიონ კაცს აღემატება. მეექვსე ხუთწლედში მნიშვნელოვნად გადიდდება უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მიერ სპეციალისტთა გამოშვება. დასახულია, მომზადდეს 4 მილიონი სპეციალისტი, თითქმის იმდენი, რამდენიც მომზადდა გასული ორი ხუთწლედის განმავლობაში. უმაღლესი სასწავლებლის მიერ მეექვსე ხუთწლედში გამოშვებულ იქნება 650 ათასზე მეტი ინჟინერი მრეწველობისათვის, ტრანსპორტისათვის, მშენებლობისათვის და სპეციალისტები სოფლის მეურნეობისათვის. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სპეციალისტთა მომზადებას მეცნიერებისა და ტექნიკის ისეთი ახალი დარგებისათვის, როგორიც არის ავტომატიკა და ტელემექანიკა, რადიოტექნიკა, აგრეთვე მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენება.

წარმოების სოციალისტურ წესს შეესაბამება შრომის მიხედვით განაწილების ეკონომიური კანონი. შესრულებული სამუშაოს რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით შრომის ანაზღაურება აძლევს მუშას მისწრაფებას, გააკეთოს მეტი და უკეთესი, არ დაუშვას გაცდენა, გააუმჯობესოს მოწყობილობისა და ხელსაწყოების გამოყენება. შრომის მიხედვით განაწილება, წარმოადგენს რა ეკონომიურ ობიექტურ აუცილებლობას სოციალიზმის დროს, სწორად ახამებს მშრომელთა პირად და საზოგადოებრივ ინტერესებს. იგი გამოხატავს ყველა მშრომელის თანაბარ ვალდებულებას—იშრომოს მისი უნარის მიხედვით, და ყველა მშრომელის თანაბარ უფლებას—მიიღოს მის მიერ დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით.

შრომის ნაყოფიერების ზრდა ხელფასის გადიდების აუცილე-

ბელი პირობაა, ხოლო ხელფასის სწორი ორგანიზაცია შრომის ნაყოფიერების ზრდის უმნიშვნელოვანესი ბერკეტია. ხელფასი პირდაპირ დამოკიდებულებაში იმყოფება შრომის ნაყოფიერების დონესთან და მუშის კვალიფიკაციასთან. წარმოების მუშაკთა ხელფასი სისტემატურად იზრდება შრომის ნაყოფიერების ზრდასთან ერთად. მაგრამ შრომის ნაყოფიერების ზრდა წინ უსწრებს და, როგორც წესი, უნდა უსწრებდეს წინ ხელფასის ზრდას. მხოლოდ ამ პირობით შეიქმნება მატერიალური ბაზა და დაგროვების სახსრები ხელფასის ზრდის უზრუნველსაყოფად, წარმოების გასაფართოებლად.

სოციალიზმის დროს შრომის მიხედვით განაწილება წარმოადგენს მშრომელთა მატერიალური სტიმულირების მძლავრ საშუალებას. რამდენადაც ანაზღაურების სოციალისტური პრინციპი აწესებს განსხვავებას კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ შრომას შორის, დახარჯული შრომის რაოდენობასა და ხარისხს შორის, თვითეული მუშა ცდილობს აიმაღლოს კვალიფიკაცია, დაამზადოს მეტი და უკეთესი.

შრომის ნაყოფიერების გადიდების ერთ-ერთ მძლავრ ფაქტორს წარმოადგენს წარმოების ორგანიზაციისა და ტექნიკის სრულყოფის საქმეში წარმოების მუშაკთა შემოქმედებითი ინიციატივის გაშლა, რომელიც თავის გამოხატულებას პოულობს სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ძირითადს მეთოდს, რომელიც უზრუნველყოფს მუშათა კლასის აქტივობის ზრდას, წარმოადგენს სოციალისტური შეჯიბრება. ახლანდელი ეტაპის თავისებურება სოციალისტურ შეჯიბრებაში იმაშია, რომ ფართო მასშტაბით, ორგანიზაციულად ხდება წარმოების მოწინავეთა გამოცდილების დანერგვა შრომის ნაყოფიერების ზრდის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მიღწევების განზოგადოების სახით. სოციალისტური შეჯიბრება ჩვენი სოციალისტური წყობილების შინაგანი დამახასიათებელი თვისებაა. იგი წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ხალხთა დიადი შრომითი აღმავლობისა და შემოქმედებითი აქტივობის ზრდის გამოხატულებას.

სოციალისტური მშენებლობის მთელ მანძილზე კომუნისტური პარტია სიყვარულით ზრდიდა საბჭოთა ადამიანების ახალ, სოციალისტურ დამოკიდებულებას შრომისადმი. იგი სისტემატურად განაზოგადებდა საბჭოთა ხალხის დიადი შრომითი აღმავლობის მრავალფეროვან ფაქტებს, განუხრელად წარმართავდა მათ ბრძოლისა და გამარჯვების გზაზე სოციალისტურ მშენებლობაში. სოციალისტურმა შეჯიბრებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩვენი

ქვეყნის აგრარულიდან მოწინავე ინდუსტრიულ ქვეყნად გადაქცევის საქმეში. სოციალისტური შეჯიბრება გახდა ის ძალა, რომლითაც მიღწეულ იქნა უდიდესი გარდატეხა შრომის ნაყოფიერების გადიდების საქმეში, სოციალისტური სახალხო მეურნეობის მძლავრი აღმავლობის საქმეში. სოციალისტური შეჯიბრების უდიდესი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ფართოდ აღვიძებს მშრომელთა შემოქმედებითს ძალებს, რომლებიც მიმართულია სოციალისტური საზოგადოების განუხრელი ეკონომიური და კულტურული აღმავლობისაკენ. სოციალისტური შეჯიბრება რაზმავს მშრომელებს წარმოებაში შრომის მოწინავე მეთოდებისა და ახალი პროგრესული ნორმების დანერგვისათვის საბრძოლველად. საბჭოთა ხალხი უნარიანად იყენებს კომუნიზმის მშენებლობის ნაცად მეთოდს — სოციალისტურ შეჯიბრებას, ავლენს შეჯიბრების ახალ ფორმებს.

კომუნისტური პარტია სოციალისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე განუხრელად აღწევდა შრომის ნაყოფიერების სისტემატურ გადიდებას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. შრომის ნაყოფიერებამ მრეწველობაში 1955 წელს, ტექნიკის განუწყვეტელი განვითარების, წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის საფუძველზე, თითქმის ერთიორად გადააჭარბა ომამდელ დონეს. მეხუთე ხუთწლედში სამრეწველო პროდუქციის მთელი ნამატის ორ მესამედზე მეტი მიღებულია შრომის ნაყოფიერების გადიდებით. მიმდინარე მეექვსე ხუთწლედში გათვალისწინებულია შრომის ნაყოფიერების ზრდა მრეწველობაში სულ ცოტა 50 პროცენტით.

სახელმწიფო გეგმების წარმატებით შესრულების, სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე სრულყოფის უმნიშვნელოვანესი პირობა არის შრომის ნაყოფიერების განუხრელი აღმავლობა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

* * *

შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდა სოციალიზმის ეკონომიური კანონია, სოციალისტური წარმოების განვითარების შინაგანი აუცილებლობაა, რაც პირობადებულია სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის მოთხოვნებით. სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონი განსაზღვრავს აღმავალი ხაზით სოციალისტური ეკონომიკის განვითარებას, სსრ კავშირის განუწყვეტელ ეკონომიურ, ტექნიკურ, კულტურულ პროგრესს, მშრომელი ხალხის ცხოვრების დონის განუხრელ აღმავლობას.

ჩვენი ქვეყნის ხალხთა ცხოვრების პირობების სისტემატური გაუმჯობესება სოციალისტური წარმოების წესის ბუნებიდან გამომდინარეობს. სოციალისტური წარმოების მიზანი პრინციპულად განსხვავდება კაპიტალისტური წარმოების მიზნისაგან. ნაცვლად მაქსიმალური კაპიტალისტური მოგების უზრუნველყოფისა, რასაც ემსახურება კაპიტალისტური წარმოება, სოციალისტური წარმოების მიზანია მთელი საზოგადოების მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა, ე. ი. ადამიანი და მისი მოთხოვნილებანი.

მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის დონის ამაღლება შრომის ნაყოფიერების გადიდების უმნიშვნელოვანესი პირობაა. თავისი მხრივ, შრომის ნაყოფიერების გადიდება უზრუნველყოფს საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული ცხოვრების პირობების სისტემატურ გაუმჯობესებას. სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მძლავრი აღმავლობის, შრომის ნაყოფიერების სისტემატური ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შედეგად მკვეთრად გაიზარდა საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის დონე.

საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ძირითადი მაჩვენებელია ნაციონალური შემოსავლის განუწყვეტელი ზრდა. უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე სოციალისტური წარმოების განუხრელი განვითარება და სრულყოფა იწვევს ნაციონალური შემოსავლის გადიდებას. 1940 წლიდან 1951 წლამდე სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავალი 83 პროცენტით გადიდდა. მეხუთე ხუთწლედში სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავალი, რომლის სამი მეოთხედი მოსახლეობის პირად მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას მოხმარდა, გადიდდა 68 პროცენტით. მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი ამ ხნის განმავლობაში გადიდდა 39 პროცენტით, ხოლო კოლმეურნეთა რეალური შემოსავალი — 50 პროცენტით. დირექტივები მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ითვალისწინებს ნაციონალური შემოსავლის ზრდას (შესადარ ფასებში) დაახლოებით 60 პროცენტით, მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასის გადიდებას დაახლოებით 30 პროცენტით.

საზოგადოების მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი მძლავრი განვითარებისა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის კიდევ უფრო განმტკიცების მთავარი პირობაა. კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მოსახლეობის მატერიალური და კულტურული

ამაღლების უდიდესი პროგრამა დასახეს. პარტიისა და მთავრობის მიერ ამ უკანასკნელ პერიოდში მიღებული უმნიშვნელოვანესი ისტორიული ღონისძიებანი წარმოადგენენ საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის ამაღლების ძირითადს პროგრამას, რომლის განხორციელება მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გზაზე.

კომუნიზმისაკენ ჩვენს განუხრელ წინსვლაში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს მძიმე ინდუსტრია. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა თავიანთ პრაქტიკულ მოღვაწეობაში ხელმძღვანელობდნენ და ხელმძღვანელობენ ვ. ი. ლენინის მითითებით მძიმე ინდუსტრიის უპირატესი განვითარების შესახებ, მძიმე ინდუსტრიისა, რომელიც სოციალისტური ეკონომიკის საფუძველთა საფუძველია, ჩვენი სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების, მშრომელთა საარსებო დონის განუხრელი ამაღლების წყაროა.

ემყარებიან რა მძიმე მრეწველობის წარმატებებს და არ ანელებენ რა მისი განვითარების ტემპს, პარტია და მთავრობა ახორციელებენ სახალხო მოხმარების საგნების წარმოების მნიშვნელოვან გადიდებას, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების ამოცანას.

„სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის მთავარი ამოცანები ის არის, რომ მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარების, განუწყვეტელი ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების ბაზაზე უზრუნველყოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი მძლავრი ზრდა, განახორციელოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობა და ამ საფუძველზე მიაღწიოს საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის მნიშვნელოვან ამაღლებას“ [1].

საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით გადაწყვეტს მეექვსე ხუთწლიანი გეგმის ამოცანებს და ამით უდიდეს წვლილს შეიტანს კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

(შემოვიდა რედაქციაში 10. IV. 1956).

---

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956—1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ, სახელგამი, 1956, გვ. 5—6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Г. С. САНИКИАНИ

## К ВОПРОСУ ТЕОРИИ ПРОИЗВОДИТЕЛЬНОСТИ ТРУДА

### Резюме


Учение о производительности труда — важнейшая часть марксистско-ленинской экономической науки.

Неуклонный рост производительности труда является мощным фактором развития общества, она выражает уровень развития производительных сил. Производительность труда в каждой данной эпохе зависит не только от уровня развития производительных сил, но и от существующих производственных отношений и характера основного экономического закона.

Повышение производительности труда выражается в том, что доля живого труда в продукте уменьшается, а доля прошлого труда относительно возрастает, при этом общая сумма труда, заключающаяся в единице продукции, уменьшается.

При социализме действуют такие мощные факторы роста производительности труда, как технический прогресс и усовершенствование технических процессов производства; социалистическая организация производства и труда; систематическое улучшение материального благосостояния, культурно-технического уровня и повышения производственной квалификации трудящихся; распределение по труду и соблюдение принципа материальной заинтересованности; социалистическое соревнованиe и т. д.

Коммунистическая партия и Советское правительство намечают мероприятия для нового, мощного подъема производительности труда во всех отраслях народного хозяйства.

Неуклонный рост производительности труда — важнейшее условие улучшения материального и культурного благосостояния трудящихся и перехода от социализма к коммунизму.

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XV, 1956.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XV, 1956.
ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ. გვენეტაძე

# ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოებისა და დეპოს მუშათა 1900 წლის აგვისტოს გაფიცვა

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ახალი ხანა იწყება საქართველოს ცხოვრებაში. მსგავსად რუსეთისა, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ საქართველოშიც სწრაფი ტემპით ვითარდება კაპიტალიზმი. იმსხვრევა ძველი ფეოდალური წარმოებითი ურთიერთობანი და მის ნანგრევებზე ფეხს იკიდებს ახალი კაპიტალისტური ურთიერთობანი. საქართველო კიდევ უფრო მჭიდროდ უკავშირდება რუსეთსა და ევროპას და მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის საერთო ფერხულში ებმება. კაპიტალიზმის განვითარების პარალელურად ღრმა ხასიათის სოციალურ-ეკონომიური ძვრები ხდება კლასობრივ სტრუქტურაში. მიმდინარეობს პროცესი გლეხების, შინამრეწველებისა და ხელოსნების დიფერენციაციისა და მათგან ბურჟუაზიული და პროლეტარული კლასების ჩამოყალიბებისა.

კაპიტალიზმის განვითარება და ნატურალურ-კარჩაკეტილი მეურნეობის რღვევა დიდ ზეგავლენას ახდენდა მიმოსვლის საშუალებათა განვითარებაზე. ვითარდება საჭაპანო, საშდინარო, საზღვაო და სარკინიგზო ტრანსპორტი. ამან კიდევ უფრო დააჩქარა პროლეტარული მასების დინება სამრეწველო ცენტრებში. მუშათა დიდი ნაწილი აითვისა მიმოსვლის საშუალებათა წარმოებამ. მძლავრი ბიძგი მიეცა სამთომადნო და საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის განვითარებას.

სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარებამ გამოიწვია საზეინკლო, მექანიკური და სამსხმელო წარმოების შექმნა. მანვე განაპირობა დეპოებისა და სახელოსნოების დაარსებაც. 1883 წლამდე, ბაქო-ბათუმის რკინიგზის გაყვანამდე, რკინიგზის მოთხოვნილების შესაბამისად, მოძრავი შემადგენლობის რემონტი ხდებოჯა მიხაილოვოში (ხაშურში), მაგრამ შემდეგ საჭირო გახდა სახელოსნოების

კიდევ უფრო გამსხვილება და მისი გადატანა ცენტრალურ ადგილას. ამიტომ სახელოსნოები მიხაილოვოდან გადატანილ იქნა თბილისში, თუმცა სხვადასხვა ტექნიკური მიზეზების გამო სადურგლო, სამღებრო და რონოდების შემკეთებელი საამქროები 1895 წლამდე დარჩა ადგილზე. თბილისში გადატანილი სახელოსნოები შედგებოდა ორთქლმავლის შემკრები 22 განყოფილებისაგან. იყვნენ აგრეთვე სახარატო, სამსხმელო, სამჭედლო და სხვა განყოფილებანი. სახელოსნოებისათვის საჭირო დაზგები და მანქანები შემოტანილ იქნა რუსეთიდან და ევროპიდან. 90-იანი წლებიდან თბილისის მთავარი სახელოსნოები ამზადებდნენ რელსებს, სამაგრებს, გზის გადამყვანებს, წყალსადენის მილებს და სხვა საჭირო საგნებს. სათბობად დიდი რაოდენობით იყენებდნენ შეშას, ქვანახშირსა და ნავთობს.

წარმოების საშუალებებს მოკლებული მასების საკმაო ნაწილი თავის ორბიტში ჩაითრია ამიერ-კავკასიის რკინიგზის მთავარმა სახელოსნოებმა და დეპომ. აქ ფართო მასშტაბით და სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა მუშების კონცენტრაცია. თბილისის დეპოს მუშათა რაოდენობა შეადგენდა 1889 წელს 278-ს[1], 90-იანი წლების პირველ ნახევარში—635-ს, მეორე ნახევარში 1000-ს[2]. თბილისის მთავარ სახელოსნოებში კი იმყოფებოდა 1885—1887 წლებში 519 მუშა, 1889 წელს 1.090 მუშა, 1890 წელს 1.115 მუშა, 1891 წელს 1.188 მუშა, 1892 წელს 1 320 მუშა, 1893 წელს 1.505 მუშა, 1894 წელს 1.921[3] მუშა და 1900 წელს 4 000 მუშა[4]. სინამდვილეში მთავარ სახელოსნოებში გაცილებით უფრო მეტი მუშა იყო, მაგრამ აქ მოტანილ ციფრებში შესული არ არიან დღიურად და სეზონურად მომუშავენი, რომელთა რაოდენობა ბევრად თითქმის არც კი ჩამოუვარდებოდა მუდმივ მუშათა კონტიგენტს. როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, რკინიგზების, დეპოებისა და მთავარი სახელოსნოების მუშების უდიდესი უმრავლესობა წარმოშობილი იყო გლეხებისაგან. მუშათა არმია თავისი ნაციონალური შემადგენლობით ერთგვაროვანი არ ყოფილა. დიდ უმრავლესობას შეადგენდნენ ქართველები იყვნენ აგრეთვე რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლბი.

მსგავსად სხვა დარგის მუშებისა, თბილისის მთავარი სახელო-

---

[1] იხ. საქ. სსრ შ. ს. ს. თბილისის ცენტრ. არქივი, ფ. № 279, ს. № 122, ფ. 2—3.

[2] იქვე, ფ. № 279, ს. № 123, ფ. 174—182.

[3] იქვე, ფ, № 279, ს. № 123, ფ. 180; ს. № 174, ფ. 96.

[4] РСФСР дп д-во, 1900 г. № 487, т. 1, л. 402—403.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სნოებისა და დეპოს მუშები მოკლებული იყვნენ ცხოვრების ყოველგვარ პირობებს, განიცდიდნენ მწვავე ექსპლოატაციას, ნაციონალურ ჩაგვრას, დაცინვას, ტყუილუბრალო ცემა-ტყეპას, მუშაობდნენ 15—17 საათის განმავლობაში. შრომის პროცესი მიმდინარეობდა ანტიჰიგიენურ და ჯანმრთელობისათვის მეტად მავნე პირობებში. ღებულობდნენ დაბალ ხელფასს, განსაკუთრებით ბავშვები. მუშათა დაბალ და მუდმივკლებად ხელფასს თან ახლდა კაპიტალისტთა დიდი და დაუსრულებელი ჯარიმები. მუშებს აჯარიმებდნენ ყოველგვარი მიზეზით: „ხმამაღლა ლაპარაკისათვის", „სამჭედლოს ოსტატთან უდიერობისათვის", „სახელოსნოში ადრე მოსვლისათვის" და „რუსული ენის უცოდინარობისათვისაც" კი. დარჩენილი მცირე ხელფასიდან მუშებს მრავალგვარ გადასახადებს ახდევინებდნენ. მუშებისათვის არ არსებობდა სპეციალური ტანსაცმელი, უფასო სამედიცინო დახმარება, შეღავათიანი სასადილოები და აბანოები. ცხოვრობდნენ ბნელ, ნესტიან, ვიწრო და ქრუანტელის მომგვრელ ატმოსფეროში. მუშათა ერთი ნაწილი უბინაოდ იყო და სამუშაო ადგილებში ან ღია ცისქვეშ ითენებდა. მძიმე და აუტანელი სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობების გამო ხშირი იყო მუშათა დაავადმყოფებისა და სიკვდილიანობის შემთხვევები, მაგრამ ვერც ერთ შემთხვევაში, ვერც მუშა და ვერც მისი ჭირისუფალი ვერავითარ დახმარებას ვერ ღებულობდა. ცხოვრების არაადამიანური პირობები და მწვავე კაპიტალისტური ექსპლოატაცია მუშებში ხშირად იწვევდა უკმაყოფილებასა და პროტესტებს, რაც თავის გამოხატულებას გაფიცვებში პოულობდა.

მთავარი სახელოსნოების მუშათა პირველ გაფიცვას ადგილი ჰქონდა 1886 წელს. ეს გაფიცვა სამი დღე გაგრძელდა, გაფიცვის მიზეზს წარმოადგენდა ხელფასის შემცირება და მუშებისადმი არაადამიანური მოპყრობა. გაფიცვა არაორგანიზებული იყო და მას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. უფრო ორგანიზებული გაფიცვა აქ მოხდა 1887 წლის თებერვალში. გაფიცვის მთავარ მიზეზს სამუშაო დროის ნახევარი საათით გადიდება შეადგენდა. 300-ზე მეტი გაფიცული მუშა გზათა სამმართველოსაკენ გაემართა და სამმართველოს უფროსს მოსთხოვა სამუშაო დროის კვლავ ძველებურად დატოვება, ყველა საამქროში ერთიანი სამუშაო ტარიფის დაწესება, ჯარიმების მოსპობა [1]. გაფიცულ მუშებთან მალე გაჩნდა

[1] იხ. საქ. სსრ შ. ს. ს. თბილისის ცენტრარქივი, ფ. № 34, ს. № 18/987, ფ. 24—26.

პოლიცია და ჟანდარმერია. საქმეში ჩაერია ამიერკავკასიის რკინიგზების ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი, შტაბის [illegible] მალკოვსკი, მაგრამ ვერ მოახერხეს მუშების დაბრუნება სამუშაოზე. ასე გაგრძელდა 28 თებერვლიდან 4 მარტამდე[1]. ეს გაფიცვა უფრო ძლიერი იყო და ადმინისტრაცია ბოლოს იძულებული გახდა დაპირებოდა მუშებს მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, თუმცა ეს დაპირება მოტყუილება გამოდგა, რადგან სამუშაო დრო კვლავ უცვლელი დარჩა და დაწესებულ არ იქნა ერთიანი სამუშაო ტარიფი.

მთავარ სახელოსნოებში მუშათა მღელვარებანი არ შეწყვეტილა შემდეგაც. ამავე წლის 16 ივნისს სახარატო საამქროს მუშებმა შეწყვიტეს მუშაობა და ადმინისტრაციას მოთხოვეს დაეთხოვა სახელოსნოების უფროსის თანაშემწე და ჟანდარმთა რიგითი მსახურნი. ადმინისტრაციამ ამის საპასუხოდ გადააყენა სახარატო საამქროს ოსტატი, ხოლო არეულობის მომწყობი მუშები: დიდენკო, გორჩაკოვი და ჟურავლიოვი საეტაპო წესით თავიანთ სამშობლოში გადაასახლა.

მთავარი სახელოსნოების მუშათა შემდეგმა გაფიცვამ იფეთქა 1889 წლის 12 ოქტომბერს. მიზეზი ამ გაფიცვისა ის იყო, რომ აღნიშნული წლის აგვისტოდან ამიერკავკასიის რკინიგზისა და მთავარი სახელოსნოების კერძო პირთა ხელიდან სახელმწიფოს ხელში გადასვლის გამო მუშებს მოესპოთ უფასო მგზავრობის საშუალება, ავადმყოფობის დროს დახმარება, დამატებითი სამუშაოს ხელფასი და ყველა უქმე დღე, გარდა კვირადღისა. როცა მუშები გამოკრული განცხადების წაკითხვის საფუძველზე დარწმუნდნენ, რომ ყველა ძველი შეღავათი ესპობოდათ, მუშაობა შესწყვიტეს და გაფიცვა გამოაცხადეს. 1000-ზე მეტმა მუშამ დემონსტრაციულად დაიწყო ქუჩაში სვლა. მუშათა გაფიცვამ ერთ კვირას გასტანა. პოლიციამ შესძლო გაფიცულ მუშათა მეთაურების აღმოჩენა და დაპატიმრება. გაფიცვაში ქართველ მუშებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ რუსეთიდან საქართველოში გადმოსახლებული თუ გამოქცეული მუშებიც. ადმინისტრაცია და მთავრობა ამას კარგად გრძნობდა და ამიტომ ქართველ მუშებთან ერთად რუსი მუშებიც დააპატიმრა, მათი ერთი ნაწილი მეტეხის ციხეში ჩასვა, ხოლო მეორე ნაწილი და მათ შორის კუნიცი, შტი-

[1] იხ. საქ. სსრ შ. ს. ს. თბილისის ცენტრარქივი, ფ. № 34, ს. № 17/987, ფ. 27.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როვი, ზაიცოვი, კონოვალოვი და სხვები საეტაპო წესით საქართველოს საზღვრებს გარეთ გადაასახლეს[1].

ამ პერიოდის მუშათა გაფიცვების შესწავლა გვიჩვენებს, რომ რკინიგზის მუშათა პირველი გაფიცვები, რომლებიც სამრეწველო პროლეტარიატის ჩანასახოვან პროცესშივე დაიწყო, სტიქიური და არაორგანიზებული ხასიათისა იყო. მუშათა ეს გაფიცვები იყო შედეგი არა არსებული წყობილების წინააღმდეგ კლასობრივი ბრძოლის აუცილებლობის შეგნებისა, არამედ მძიმე სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობებისა. ყოველმხრივ შევიწროვებული და მოთმინებიდან გამოსული მუშები უეცრად აენთებოდნენ, სამუშაოს ტოვებდნენ და კაპიტალისტებისადმი სრულიად უბრალო მოთხოვნილებების წაყენებით კმაყოფილდებოდნენ. განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფ შეუგნებელ და შეუკავშირებელ მუშათა მასებს კაპიტალისტები იოლად იმორჩილებდნენ, უბრალო დაპირებებით ან მცირედი დათმობით აკმაყოფილებდნენ და სამუშაოზე აბრუნებდნენ. ამ პერიოდში მუშებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ სოციალისტური შეგნება, არ ესმოდათ იმდროინდელი საზოგადოებრივი წყობილების დამხობისა და სოციალიზმის დამყარების გარდუვალობა. მაგრამ, 90-იანი წლების მეორე ნახევრისათვის საქართველოში სამრეწველო პროლეტარიატის ჩამოყალიბების გამო მომწიფებული ნიადაგი შეიქმნა მარქსიზმის გავრცელებისა და ათვისებისათვის. საქართველოში მუშათა მოძრაობისა და მარქსიზმის გავრცელებაზე დიდ ზეგავლენას ახდენდა რუსეთი. რუსეთიდან გადმოსახლებული სოციალ-დემოკრატებისა და პირველი ქართული მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის „მესამე დასის" მიერ ქართულ აზროვნებასა და ლიტერატურაში იჭრება მარქსისტული იდეები. თბილისის სემინარიაში გამეფებული რეჟიმის და რუსი სოციალ-დემოკრატების ზეგავლენით ახალგაზრდა სტალინი პროფესიონალი რევოლუციონერი ხდება, სათავეში უდგება მარქსისტულ წრეებსა და ჯგუფებს, ხელმძღვანელობს მარქსისტული წრეების მნიშვნელოვან ნაწილს მთავარ სახელოსნოებში. რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის მიერ იწყება მუშათა მოძრაობაში სოციალისტური შეგნების შეტანა, მუშათა მოძრაობასთან სოციალიზმის შეერთება. საქართველოს რევოლუციური სოციალ-დემოკრატიისა და მისი ხელმძღვანელი ბირთვის მიერ მუშათა მოძრაობის სათავეში ჩადგომის გამო მუშათა მოძრაობა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის რელსებზე გადადის და რუსეთის მუშათა

მოძრაობის მხარდამხარ მიიმართება. თუ 1870 წლიდან 1898 წლის დეკემბრის გაფიცვამდე — მომხდარი გამოსვლები სტიქიური და არაორგანიზებული ხასიათისა იყო, ამ დროიდან ძირეული გარდატეხა იწყება მუშათა მოძრაობაში. იგი სოციალ-დემოკრატიულ ხასიათს იღებს და მუშათა კლასი პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე გამოდის ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობით ჩატარდა მთავარი სახელოსნოებისა და დეპოს მუშათა 1898 წლის დეკემბრის გაფიცვა. გაფიცვის მიზეზს წარმოადგენდა ის, რომ „ახალი წესების“ შემოღებასთან დაკავშირებით მუშათა ისედაც მძიმე სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობები კიდევ უფრო უარესდებოდა. ამან აღაშფოთა მუშები და 13 დეკემბერს ადმინისტრაციასთან მოსალაპარაკებლად გამოჰყვეს 40 წარმომადგენელი. მუშათა მღელვარება საყოველთაოდ ცნობილი გახდა. 14 დეკემბერს, დილის 7 საათზე, მთავარი სახელოსნოების ადმინისტრაციამ როტმისტრ ქილინის თანდასწრებით მოისმინა მუშათა დეპუტატების მოთხოვნები. ცხადი იყო, რომ ადმინისტრაციას არ უნდოდა მუშათა მოთხოვნების დაკმაყოფილება, იგი ცდილობდა ყოველგვარი დათმობის გარეშე დაებრუნებინა სამუშაოზე გაფიცული მუშები, მაგრამ ვერავითარმა ღონემ და ხერხმა ველარ გასჭრა. გაფიცვამ მასიური ხასიათი მიიღო. 2000 გაფიცულმა მუშამ სადგურის მახლობელი რკინიგზები დაიკავა[1]. მემანქანეებმა ორთქლმავლები მიატოვეს, შეწყდა მატარებლების მოძრაობა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე[2].

ადმინისტრაცია და მთავრობა შეაშინა და შეაშფოთა მუშათა სიმტკიცემ და გაფიცვის ორგანიზებულობამ. მთავრობის მიერ რკინიგზის სადგურის რაიონში ჩაყენებულ იქნა ოთხ ასეულამდე ჯარი, მათ შორის კავკასიის პირველი მსროლელი ბატალიონი და ერთი ასეული ხოფერთა ცხენოსანთა პოლკიდან. ჯარები და პოლიცია-ჟანდარმერია მთელი ღამე ფეხზე იდგა. გაფიცვის მეორე დღეს არც ერთი გაფიცული მუშა არ გამოცხადებულა სამუშაოზე. მიუხედავად სიმშილის, სილატაკისა და გაჭირვებისა, გაფიცვამ 21 დეკემბრამდე გასტანა. იგი ბოლომდე ერთსულოვანი და ორგანიზებული ბრძოლის ხასიათს ატარებდა და მუშათა სრული გამარჯვებით დაგვირგვინდა.

გაფიცვის ერთსულოვნებამ და ორგანიზებულობამ მთავრობა

---

[1] იხ. საქ. სსრ შსს თბილისის ცენტრარქივი, ფ. № 17/34, ს. № 707, ფ. 52—97.
[2] იქვე, ფ. № 21 39, ს. № 495, ფ. 1.

დაარწმუნა იმაში, რომ მას საქმე ჰქონდა გარეგან პოლიტიკურ ძალასთან. „ეჭვი არ არის გაფიცვათა წარმოშობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამჟამად ყველგან გავრცელებული სოციალ-დემოკრატიული პროპაგანდა მუშებს შორის“ [1]. მთავრობა არც სცდებოდა. გაფიცვას ხელმძღვანელობდა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის მიერ სპეციალურად შექმნილი საგაფიცვო კომიტეტი ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით და მოწინავე მუშა-რევოლუციონერების ვ. სტუროუას, ზ. ჩოდრიშვილისა და ს. ალილუევის შემადგენლობით. გაფიცვის პერიოდში გამოდიოდა და ვრცელდებოდა რევოლუციური პროკლამაციები, რომლებიც მუშებს მოუწოდებდნენ ბრძოლა განეგრძოთ სრულ გამარჯვებამდე. ამ გაფიცვამ თავისი გამოძახილი ჰპოვა მიხაილოვოსა და სამტრედიის მუშებში. ეს გაფიცვა იქცა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის დასაწყისად მთელს საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში.

რევოლუციური სოციალ-დემოკრატია თავს უყრის ცალკეულ დაქსაქსულ ბრძოლებს და მუშებს ერთი დროშის ქვეშ რაზმავს. 1898 წლიდან თბილისის პროლეტარიატი იწყებს მუშათა საერთაშორისო სოლიდარობის დღის, პირველი მაისის, აღნიშვნას. 1899 წლის 19 აპრილს საპირველმაისო დემონსტრაცია ჩატარდა ქალაქ თბილისის გარეთ, წითელი დროშის ქვეშ. კიდევ უფრო ფართო და ორგანიზებული ხასიათი მიიღო საპირველმაისო დემონსტრაციამ 1900 წლის 19 აპრილს. დემონსტრაციას 500-მდე მუშა ესწრებოდა. მათი უმრავლესობა მთავარი სახელოსნოებიდან და დეპოდან იყო. დემონსტრაციამ დიდი გამარევოლუციონერებელი ზეგავლენა მოახდინა მუშებზე. ამ დღეს მუშებმა „წითელი დროშის ქვეშ თავმოყრილთ კიდევ უფრო მტკიცედ შეჰფიცეს ერთმანეთს ძმობა, ერთობა და მტერთან თავგანწირული ბრძოლა“ [2].

1900 წლის საპირველმაისო დემონსტრაციამ ნათელჰყო, რომ რევოლუციური სოციალ-დემოკრატია მჭიდროდ დაუკავშირდა და სათავეში მოექცა მუშათა მოძრაობას, სოციალისტური შეგნება შეიტანა მასში და მუშათა სტიქიურ მოძრაობას სოციალ-დემოკრატიული ხასიათი მისცა. საპირველმაისო დემონსტრაციას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს მუშათა კლასის შემდგომი გარევოლუციონერებისათვის, მათი რიგების განმტკიცებისათვის.

---

[1] საქ. სსრ შსს თბილისის ცენტრარქივი, ფ. № 13/39, ს. № 566, ფ. 2.

[2] „ბრძოლა“, 1901, № 2—3.

1900 წლის საპირველმაისო დემონსტრაციის ჩატარების შემდეგ თბილისის ხელმძღვანელი სოციალ-დემოკრატიული [illegible] სტალინის მეთაურობით დაძაბულ მუშაობას ეწევა გაფიცვათა ორგანიზებულად ჩატარებისათვის. რევოლუციური სოციალ-დემოკრატიისა და მისი ხელმძღვანელი ბირთვისათვის მალე გახდა ცნობილი მთავარი სახელოსნოებისა და დეპოს მუშათა ახალი მღელვარება და სათავეში ჩაუდგა მას. მუშათა უკმაყოფილების მიზეზს წარმოადგენდა დაბალი ხელფასი, დიდი სამუშაო დრო, ზედმეტ საათებში მუშაობა, ტყუილ-უბრალო ჯარიმები და ტექნიკური პერსონალის ცუდი მოპყრობა. მღელვარების საბაბად კი იქცა ის, რომ 1900 წლის ივლისის შუა რიცხვებში მუშებისათვის ხელფასის მომატება მცირე იყო და ადმინისტრაციამ ისიც ისეთ მუშებს შორის გაანაწილა, რომლებიც თავიანთი ლაქიობით გამოირჩეოდნენ. ამ ნიადაგზე მუშათა გაზრდილი მღელვარების ორგანიზებულ გაფიცვად ჩატარების საქმეს ხელი მოჰკიდა რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატიამ. ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით, მოწინავე მუშა-რევოლუციონერებისაგან ყალიბდება საგაფიცვო კომიტეტი, ჩაღდება საგაფიცვო მოსამზადებელი მუშაობა, იქმნება საგაფიცვო ფონდები, მუშავდება მუშათა მიერ ადმინისტრაციისადმი წასაყენებელი მოთხოვნები.

მუშათა მღელვარებისა და გაფიცვებისათვის მზადების შესახებ მალე შეიტყო ადმინისტრაციამ და ადგილობრივმა მთავრობამ, რის გამო 20 ივლისს თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი საიდუმლოდ აცნობებდა პეტერბურგის პოლიციის დეპარტამენტს: „მიღებული ცნობებით, ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარ სახელოსნოებში შემჩნეულია მნიშვნელოვანი მღელვარება და მოსალოდნელია გაფიცვა, რომელსაც მიზნად აქვს ხელფასის გადიდება და სამუშაო დროის შემცირება 8 საათამდე. ხელმძღვანელი როლი ამ მოძრაობაში ეკუთვნის სახარატო საამქროს“ [1]. იმავე საიდუმლო ცნობიდან ვგებულობთ, რომ აღნიშნული საამქროს მუშათა მნიშვნელოვანმა ნაწილმა თავი დაანება საღამოს სამუშაოებს და იწყო დაჯგუფებანი როგორც სამსახურში, ისე მის გარეთ.

მუშათა გაფიცვის თავიდან ასაცილებლად პოლიციის მიერ მით იქნა მიღებული სასწრაფო ზომები, რომ გაამრავლა და საამქროებში ჩააყენა მუშათა ტანსაცმელში გადაცმული აგენტები, რათა

[1] РСФСР, Дп VII, д-во. 1900, № 487, т. 1, л. 368.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეეტყო გაფიცვის სამზადისი და შეესწავლა მისი ხელმძღვანელები.

21 ივლისს თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი პეტერბურგის პოლიციის დეპარტამენტს სწერდა, რომ სახარატო საამქროდან შესამჩნევია 6 მთავარი წამქეზებელი მუშა, ალილუევი, სამჩუკაშვილი, ტატარინოვი, ვიბორგინი, ბაქანოვი და მაჩაბელი. მუშათა განწყობილება არახელსაყრელია. რათა თავიდან იქნეს აცილებული გაფიცვა, აუცილებელია დაპატიმრებულ იქნას ყველა შემჩნეული წამქეზებელი. სახარატო საამქროს მუშებში მოძრაობა ისეთი ძლიერი იყო, რომ ადმინისტრაცია იძულებული გახდა მუშებისათვის ნება დაერთო არ ევლოთ საღამოს სამუშაოებზე, მაგრამ მუშები ახლა ამასაც აღარ დასჯერდნენ და მოითხოვეს საამქროებში ამუშავებული არ ყოფილიყო მანქანები, რათა საღამოს სამუშაოებზე მუშაობის მსურველებს საამისო საშუალება არ ჰქონოდათ. როცა მუშებმა ამ უკანასკნელზე უარი მიიღეს, მაშინ მათ თვითონ დაიწყეს დარწმუნებისა და მუქარის გზით ზემოქმედება იმ ამხანაგებზე, რომლებიც არ ეთანხმებოდნენ მათ. ხშირი იყო შემთხვევა ურჩი და მოღალატე მუშებისადმი ფიზიკური ანგარიშსწორებისა. როცა ადმინისტრაციამ დაინახა მუშათა მღელვარება ძლიერდებოდა, შეეცადა ბრიგადირები აემოქმედებინა, მაგრამ ვერც ამ ღონისძიებამ გასჭრა, რადგან ახლა მუშები თვით ამ ბრიგადირების მოხსნასა და საამქროებიდან გაძევებას მოითხოვდნენ.

25 ივლისს სახარატო საამქროს უფროსმა ფუნტმა, რომლის განკარგულებაში იმყოფებოდა სამი მუშა, განაცხადა, რომ სახელმწიფო დავალების სასწრაფოდ შესრულების მიზნით მთელი ბრიგადა უნდა გამოცხადებულიყო საღამოს სამუშაოებზე. მუშებმა, ტატარინოვმა და ნიკტევმა, კატეგორიული უარი განაცხადეს საღამოს სამუშაოებზე, რის გამოც ფუნტმა ისინი მოსახსნელად წარადგინა. მეორე დღეს იმავე საამქროს მუშებმა შეწყვიტეს მუშაობა და გამოცხადდნენ სახელოსნოების უფროსთან მტკიცე მოთხოვნით ფუნტის, როგორც სახელმწიფო ქონების გამფლანგველისა და მუშებისადმი უხეშად მოპყრობის, დათხოვნის შესახებ. მუშები იმუქრებოდნენ, რომ თუ ეს მოთხოვნა არ იქნებოდა შესრულებული, სამუშაოზე არ გამოცხადდებოდნენ.

28 ივლისს სახარატო საამქროს მუშებს მხარი დაუჭირეს სამღებრო და რონოდის საამქროს მუშებმაც. რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობით მუშათა მოთხოვნები კიდევ უფრო დაზუსტდა. მუშებმა მოითხოვეს არა მარტო ღამით მუშაობის

აკრძალვა, არამედ სამუშაო დღის შემცირება, ხელფასის გადიდება, უსაფუძვლო ჯარიმების გაუქმება და სხვა. გარდა ამისა, მუშებმა მასიურად მოითხოვეს ბრიგადირ გამყრელიძის გაძევება, საამქროდან. მალე აღნიშნულ საამქროებს შეუერთდნენ შემკრები საამქროს მუშებიც, რომელთაც ერთხმად მოითხოვეს № 116 დადგენილების გაუქმება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ „თუ მუშა რაიმე საპატიო მიზეზით ვერ ცხადდება სამუშაოზე, ვალდებულია თვითონ ან სხვა პირის საშუალებით აცნობოს ადმინისტრაციას გამოუცხადებლობის მიზეზი, წინააღმდეგ შემთხვევაში გაცდენილი დღე ჩაეთვლება გაცდენად და დაექვითება ნახევარი დღის ხელფასი“ [1].

28 ივლისს თითქმის ყველა საამქრომ ადმინისტრაციას წარუდგინა მთელი რიგი მოთხოვნები. მოითხოვდნენ შრომის აღრიცხვისა და ხელფასის ანგარიშსწორების არსებული წესების გაუქმებას, უხეში ბრიგადირების მოხსნას და სხვ... მთავრობას ახლა უკვე ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ მოსალოდნელი იყო დიდი გაფიცვა. 27—28—29 ივლისს განუწყვეტელი თათბირები მიმდინარეობდა სამძებრო ორგანოებში.

29 ივლისს თბილისის ჟანდარმთა სამმართველო პეტერბურგის პოლიციის დეპარტამენტს აცნობებდა: „ყველა გარემოებამ სახარატო საამქროს მუშების საერთო მღელვარებასთან დაკავშირებით დაგვარწმუნა, რომ აუცილებლად წარმოიშობა გაფიცვა, რომ ყოველგვარი გაფრთხილება, შინაური ზომები ახლა უმიზნოა და გაფიცვის თავიდან ასაცდენად ერთად-ერთი საშუალებაა სასწრაფოდ დაპატიმრება ყველა შენიშნული წამქეზებლისა“ [2].

სახელოსნოებისა და დეპოს ადმინისტრაციამ მუშათა კანონიერი მოთხოვნები მიიღო, როგორც ბრძოლაში გამოწვევა. მოელოდა რა მუშათა დიდ გაფიცვას, პოლიციასა და ჟანდარმერიას 30 ივლისს თბილისის მუშათა რაიონებში „წესრიგის დასაცავად“ გამოჰყავს პოლიციის გაძლიერებული რაზმები.

მუშათა მღელვარებითა და მოძრაობით შეშინებულმა თბილისის ჟანდარმთა სამმართველომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ სხვა ზომები გარდა უკმაყოფილო და წამქეზებელი მუშების მასიური დაპატიმრებისა არ გამოდგებოდა. მართლაც, 31 ივლისს ღამით თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს მიერ დაპატიმრებულ იქნენ მუშათა მთავარი წამქეზებლები, სახარატო საამქროს მუშები: ტატარინოვი, ვიბორგიხი, სამჩუკაშვილი, ბაჟანოვი და

[1] РСФСР, Др. VII, д-во, 1900, № 487, т. I, л. 574.

[2] „ბოლშევიკი“, 1950, № 7, გვ. 32.

რონოდების საამქროს მუშა ბერაძე. ამის საპასუხოდ [illegible] კომიტეტმა გამოსცა პროკლამაცია, რომელიც მუშებს [illegible] მოწინავე ამხანაგების დაპატიმრების შესახებ. „31 ივლისს, შუაღამისას, დაგვესხნენ თავს და პირდაპირ ლოგინიდან მოგვტაცეს ამხანაგები. ეს ამბავი ელექტრონივით ედება სახელოსნოების ყველა ამხანაგს... და ბრძოლა აუცილებელი ხდება“ [1].

31 ივლისს, დილისათვის, ადმინისტრაციის მიერ ყველა საამქროში გამოკრულ იქნა მუქარით სავსე განცხადება იმის შესახებ, რომ მუშები, რომლებიც შემჩნეული იქნებოდნენ სხვების ამხედრებაში ან თვითონვე ჩაიდენდნენ უწესოებას, დაისჯებოდნენ ხელფასის შემცირებითა და სამსახურიდან მოხსნით. ამხანაგების დაპატიმრებამ, ხოლო შემდეგ მუქარით სავსე განცხადების წაკითხვამ კიდევ უფრო ააღელვა მუშები. მართალია, 31 ივლისს დილით გამოცხადდნენ მუშები, მაგრამ 9 საათზე შესწყვიტეს მუშაობა. პირველ რიგში სამუშაო მიატოვეს სახარატო საამქროს მუშებმა. მათგან ერთმა მუშამ მთელი ძალით დაიყვირა „საჭიროა გავათავისუფლოთ დაპატიმრებულებიო“.

სახარატო საამქროს კვალდაკვალ გამოვიდა რონოდის საამქროც და შეერთდნენ რა, ისინი დაიძრნენ სხვა საამქროებისაკენ. დაწყებული სადურგლო საამქროდან, დამთავრებული დეპოთი მუშები აიძულეს ყველგან შეეწყვიტათ მუშაობა და დილის 10 საათისათვის უკვე წარმოება დაცარიელდა, მოძრაობა შეწყდა, ათასობით მუშა ორგანიზებულად ტოვებს სამუშაოებს და მიდის სხვადასხვა მიმართულებით.

1 აგვისტოს, დილით, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსის ბრძანებით დააპატიმრეს მუშებს შორის ხუთი წამქეზებელი. ამავე დღეს, დილით, ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით და მ. ი. კალინინის მონაწილეობით დაიწყო თბილისის მთავარი სახელოსნოებისა და დეპოს მუშათა გრანდიოზული გაფიცვა. ყველა საამქრომ შესწყვიტა მუშაობა. 4 ათასი მუშიდან 3 ათასმა მუშამ ერთხმად გამოაცხადა გაფიცვა. ასე დაიწყო მთავარი სახელოსნოებისა და დეპოს მუშათა აგვისტოს ისტორიული გაფიცვა, რომელსაც მთელი ივლისის თვეში ენერგიულად ამზადებდა რევოლუციური სოციალ-დემოკრატია. საგაფიცვო კომიტეტის მიერ წინასწარ ჩატარებულმა მუშაობამ დიდი შედეგი გამოიღო: გაფიცვა ჩინებულად დაიწყო.

[1] РСФСР, Дп д-во, 1900, № 484, т. I, л. 379.

გაფიცვის ამბავი სასწრაფოდ ეცნობა კოჯორში მყოფ კავკასიის მთავარმართებელს და შინაგან საქმეთა სამინისტროს პეტერბურგში. მუშათა მასიურმა და ორგანიზებულმა გაფიცვამ თავზარი დასცა მთავრობასა და პოლიცია-ჟანდარმერიას. ისინი ერთმანეთს აწყდებოდნენ და აღარ იცოდნენ, რა გზას დადგომოდნენ, რადგან მუშათა მოძრაობის ტალღები სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა და სხვა სამრეწველო ცენტრების მუშებსაც ედებოდა.

დაიწყო თათბირები მთავარმართებელთან და თბილისის გუბერნიის უფროსთან. მთავრობამ გადაწყვიტა, არ მიეღო მუშათა არც ერთი მოთხოვნა, და დაეხურა სახელოსნოები 4 აგვისტომდე. ის რეპრესიების საშუალებით აპირებდა ჩაეხშო მუშათა ბრძოლა და მოეხდინა გაფიცვის ლიკვიდაცია, მაგრამ გაფიცვის მასიურობითა და სიძლიერით შეშინებულმა ხელისუფლებამ სასწრაფოდ შეიცვალა თავისი აზრი და მთავარი სახელოსნოების ადმინისტრაციის ხელმოწერით გამოიკრა განცხადება, რომლითაც იუწყებოდნენ, რომ სახელოსნოებში მუშაობა განახლდებოდა 2 აგვისტოს და მუშები უნდა გამოცხადებულიყვნენ სამუშაოზე.

მიუხედავად ამ განცხადებისა, როგორც ადმინისტრაციას, ასევე პოლიცია-ჟანდარმერიას ეჭვი არ ეპარებოდა მუშების მხრივ მუშაობის განახლების შეუძლებლობაში და არსებული მდგომარეობიდან თავის დაღწევის საუკეთესო საშუალებად მაინც მუშათა დაპატიმრებანი და გადასახლებანი მიაჩნდა. „სამშობლოში“ გადასახლების მიზნით პოლიცია-ჟანდარმერიის მიერ დაპატიმრებულ იქნა 400 მუშა. მაგრამ ამან მღელვარება არამც თუ შეანელა, არამედ კიდევ უფრო გააძლიერა.

გაფიცვის დასაწყისიდანვე ქართულ და რუსულ ენებზე თბილისის ცენტრალური სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი და საგაფიცვო კომიტეტი სისტემატურად უშვებს სპეციალურად შემუშავებულ პროკლამაციებსა და სააგიტაციო ფურცლებს, რომლებიც მუშებს მოუწოდებდნენ ებრძოლათ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და არავითარ შემთხვევაში ქედი არ მოეხარათ მის წინაშე. პროკლამაციები ვრცელდებოდა მუშათა უბნებში. იგი იკვრებოდა აგრეთვე თვით მთავრობის მოხელეთა ბინის კარებსა და ფანჯრებზეც კი. პროკლამაციები და სააგიტაციო ფურცლები გაფიცულ მუშებს განუმარტავდა, თუ როგორ უნდა ებრძოლათ კლასობრივი მტრების წინააღმდეგ და როგორ დაეკავშირებინათ ერთმანეთთან ეკონომიური მოთხოვნები და პოლიტიკური ბრძოლა. პროკლამაციები და სააგიტაციო ფურცლები წარმოადგენდნენ მგზნებარე

მოწოდებებს, ისინი ამაღლებდნენ მუშების სულისკვეთებას და რაზმავდნენ მათ ცარიზმის წინააღმდეგ აშკარა პოლიტიკური ბრძოლისათვის.

ადმინისტრაცია და პოლიცია-ჟანდარმერია შეაძრწუნა და ალაშფოთა იმ გარემოებამ, რომ არ გამართლდა მისი მოლოდინი. 2 აგვისტოს არც ერთი მუშა არ გამოცხადდა სამუშაოზე. ადმინისტრაცია კვლავ მიმართავდა მუშებს, რომ სამუშაოზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში გამოსვლის მეთაურებს დააპატიმრებდნენ, მაგრამ გაფიცული მუშები მტკიცე გადაწყვეტილებაზე იდგნენ და უარს აცხადებდნენ, რომ სამუშაოზე დაბრუნებულიყვნენ. მდგომარეობა უცვლელი იყო მიუხედავად იმისა, რომ მათ წინააღმდეგ მთავრობამ გამოიყენა ქვეითი და ცხენოსანი ჯარი, რომელიც დაუნდობლად სცემდა გაფიცულ მუშებს მათრახებსა და თოფის კონდახს.

მუშათა ორგანიზებული გაფიცვით შექმნილი თავბრუდამხვევი მდგომარეობიდან თავის დაღწევას ადმინისტრაცია კვლავ მუშათა დაპატიმრებებში ხედავდა. მის მიერ, ერთი მხრივ გაძლიერდა რეპრესიები გაფიცული და წამქეზებელი მუშების მიმართ და 3 აგვისტოს დაპატიმრებულ იქნა 24 მოწინავე მუშა. ს. ალილუევი, დ. ცხომელიძე, კ. აბშილავა, რ. ბუაშვილი, ი. შმაგაშვილი, მ. სალამტანი, ზ. ჩადროვი, ნ. ეგოროვი, ა. დაჩქოვი. მ. ხეთაური, ი. გურთი, ალ. სალიჯევი, ი. გოლაშვილი, ა. როსოვსკი, კ. კალანტაროვი, ნ. ზელგნიცოვი და სხვა. პირველი 12 მუშა დააპატიმრეს იმიტომ, რომ ხშირად იყვნენ შემჩნეული წაქეზებასა და უწესოებაში. ს. ალილუევი ასეთ პიროვნებად ცნობილი იყო 1896 წლიდან და მის გარშემო თავს იყრიდნენ სახარატო საამქროს მუშები [1].

მეორე მხრივ კი ადმინისტრაცია აცხადებდა, რომ 4 აგვისტოს, 5 საათსა და 30 წუთამდე, „შეკეთების“ გამო სახელოსნოები დაკეტილი იქნებოდა და ვინც ამ დროისათვის სამუშაოზე არ გამოცხადდებოდა, დაუყოვნებლივ იქნებოდა დათხოვნილი. ამავე დროს მთავრობა არწმუნებდა, რომ სამუშაოზე გამოცხადებული „გონიერი“ მუშები დაცული იქნებოდნენ პოლიცია-ჟანდარმერიის მიერ როგორც სამუშაოებზე, ასევე გზებსა და ბინებში.

მაგრამ ვერც მუქარამ, ვერც დაპირებებმა ვერავითარი ზეგავლენა ვერ მოახდინეს გაფიცულ მუშებზე, რომელთაც ზურგს უმა-

[1] РСФСР Дп, VII, д-во, 1900, № 487, т. I, л. 392—394;

გრებდა და ამხნევებდა რევოლუციური სოციალ-დემოკრატია. „წინ მეგობრებო, ამხანაგებო! მოვიშოროთ ჩვენი სისხლის მსმელების სამარცხვინო ბატონობა. დავუმტკიცოთ ჩვენს ექსპლოატატორებს, რომ ჩვენ შევსძლებთ საკუთარი თავისა და ჩვენი ამხანაგების დაცვას, ვუჩვენოთ მათ ჩვენი ზიზღი ციხეებისადმი, სადაც ჰაერი არ არის უფრო უარესი, ვიდრე ჩვენს დახუთულ სახელოსნოებში. დავუპირისპიროთ ჩვენი მტრების ძალას ჩვენი ძალა!“ [1] — ნათქვამი იყო ერთ-ერთ პროკლამაციაში.

სამუშაოზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში დათხოვნის მუქარის საპასუხოდ გაფიცულმა მუშებმა შემდეგი სიტყვებით მიმართეს ადმინისტრაციას: საცოდავი ექსპლოატატორები გვაშინებენ დათხოვნით და ანგარიშის გასწორებით. ეს ჩვენ ნაკლებად გვაშინებს. უმჯობესია თქვენ იკითხოთ, რა გვესაჭიროება ჩვენ, ჩვენ გიპასუხებთ: 1. ცემა-ტყეპის სრული მოსპობა; 2. ხელფასის გადიდება 60 კაპიკიდან 50%-ით, ხოლო 1 მანეთიდან 30%-ით; 3. ჯარიმებისა და ნულების მოსპობა; 4. სახელოსნოების ჰიგიენური პირობების გაუმჯობესება; 5. ოსტატების მიერ მუშებისადმი უკეთესი მოპყრობა; 6. ზედმეტი სამუშაოების მოსპობა; 7. ციხეებში მოთავსებული ჩვენი ამხანაგების გათავისუფლება“ [2].

აბობოქრებული მუშები ხმამაღლა და გაბედულად აცხადებდნენ, რომ მათი წერილი იყო 4.000 მუშის ღაღადი და ისინი თავს სწირავდნენ „იდეას, სიმართლეს და სამართლიანობას“. მუშები ირწმუნებოდნენ, რომ მხოლოდ წაყენებულ მოთხოვნათა შესრულების შემთხვევაში დაუბრუნდებოდნენ სამუშაოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერც ერთი მუშა ვერ გადადგამდა ფეხს სახელოსნოების ზღურბლზე და მატარებლების ყოველგვარ მოძრაობას შესწყვეტდნენ ბაქოდან-ბათუმამდე.

მუშათა მოთხოვნებმა კიდევ უფრო აღაშფოთა ადმინისტრაცია და ადგილობრივი მთავრობა. მაგრამ, მათ აღშფოთებას საზღვარი აღარ ჰქონდა, როცა დაინახეს, რომ არც ამჯერად აღარ გაუმართლდათ მოლოდინი და 4 აგვისტოს, დილით, მთავარ სახელოსნოებში გამოცხადდა 260 მუშა, ხოლო დეპოში არც ერთი არ გამოცხადებულა. მიუხედავად ძლიერი დაცვისა, მოკლე დროში მხოლოდ 113 მუშა დარჩა, მაგრამ არც ერთი მათგანი არ შედგომია სამუშაოს. ამრიგად, პოლიცია-ჟანდარმერიის ყოველგვარი ცდა — გაფიცული

---

[1] РСФСР Дп, VII, д-во, 1900, № 487. т. I, л. 419.
[2] РСФСР, Дп, VII, д-во, № 487, л. 419.

მუშების სამუშაოზე დაბრუნებისა და მუშაობის განახლების [illegible] უშედეგო აღმოჩნდა. გაფიცვა მთელი სიძლიერით მიმდ[illegible] ამ დღეს მუშათა მოძრაობა კიდევ უფრო ძლიერი გახდა, მუშათა რაიონები და ცენტრალური ქალაქი რევოლუციური პროკლამაციებით აივსო. ამას ზედ დაემატა ისიც, რომ საგაფიცვო კომიტეტის მოწოდების საპასუხოდ სამუშაო მიატოვეს და გაფიცვა გამოაცხადეს მემანქანეებმა და მათმა თანაშემწეებმა. საგაფიცვო კომიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გაფიცვაში მემანქანეთა და მათ თანაშემწეთა მონაწილეობას. რადგან ეს გამოიწვევდა მიმოსვლის შეწყვეტას მთელს ხაზზე, ამას მოჰყვებოდა დიდი ზარალი, რაც მთავრობას აიძულებდა დათმობაზე წასულიყო. საგაფიცვო კომიტეტმა პროკლამაციით მიმართა მემანქანეთა თანაშემწეებს და მოუწოდა მათ შეერთებოდნენ „თბილისის პროლეტარიატის განმათავისუფლებელ ბრძოლას“. ამ მოწოდების საპასუხოდ გაიფიცა 50 მემანქანის თანაშემწე. მემანქანეთა და მათი თანაშემწეების გაფიცვის შედეგად მატარებლების მიმოსვლა თითქმის შეწყდა. 24 მატარებლიდან მხოლოდ ერთი საფოსტო მატარებელი მოძრაობდა.

5—6 აგვისტოსათვის მდგომარეობა კიდევ უფრო დაძაბული შეიქმნა, გაფიცვები მოედო ბოზარჯიანცის, ენფიანჯიანცის, საფაროვისა და თამბაქოს სხვა ფაბრიკის მუშებს. ასევე გაიფიცნენ ჩითახოვის, იარალოვის მექანიკური ქარხნისა და ადელხანოვის ტყავის ქარხნის მუშებიც.

ადმინისტრაცია ღრმა სასოწარკვეთილებას მიეცა, როცა დაინახა, რომ 6 აგვისტოსათვის ანგარიშის გასასწორებლად მხოლოდ ის სამი მუშა გამოცხადდა, რომლებიც ადრევე მოითხოვდნენ ანგარიშის გასწორებას და სამუშაოდან გათავისუფლებას.

ადგილობრივი მთავრობა კარგად ხედავდა, რომ მის წინააღმდეგ მძლავრი ძალა აღიზარდა და იგი ამ ძალის განადგურებას ცეცხლითა და მახვილით ლამობდა. 6 აგვისტოს კავკასიის მთავარმართებლის ბრძანებით თბილისში სამხედრო წესები გამოცხადდა. ალყა, შემორტყმული აღმოჩნდა თითქმის მთელი ქალაქი. მთავრობის რეპრესიები კიდევ უფრო გაძლიერდა. კაზაკთა რაზმები ჯგუფჯგუფად ესხმოდნენ თავს მუშებს, არბევდნენ მუშათა უბნებს. მუშებს მათრახებისა და თოფის კონდახების ცემით მიერეკებოდნენ საპოლიციო უბნისაკენ. 6 აგვისტოს, ღამით, მეათე საპოლიციო უბანში მოსული ბატალიონის ორი ასეულის მიერ დილისათვის დაპატიმრებულ იქნა 300 კაცი. პროტესტის ნიშნად მაშინვე გა-

მოცხადდა 300 კაცისაგან შემდგარი მუშათა დიდი ჯგუფი და კატეგორიულად მოითხოვეს დაპატიმრებულთა გათავისუფლება. პოლიციას შეეშინდა აღელვებული მუშების გამოცხადებისა და კვლავ გამოითხოვა მსროლელთა ორი ასეული და 40 კაზაკი. დემონსტრანტებს ცხენოსანი ჯარი შეება. ფიზიკური შეტაკებანი მოხდა მუშებსა და ჯარებს შორის. კვლავ დაპატიმრებულ იქნა მუშათა ერთი ნაწილი, სულ დაპატიმრებულთა რაოდენობამ ამ დღისათვის 400 მიაღწია. უკანასკნელი შემთხვევის დროს დაპატიმრებულ იქნენ: რ. სტურუა, ვ. ტროპნიკოვი, ი. კალანტუზაშვილი, ი. ეფიმოვი, ს. ესაკია, მ. რამიშვილი, ლ. ოქრობერიძე, ე. ესვანჯია, გ. რუსია, ვ. ბურჩალაძე, ზ. ჭანტურია, ი. ბოკუჩავა, პრ. ტყემალაძე, ი. ქოჩიაშვილი, ი. ნოსოვი, ვლ. ლეჟავა, ვ. ბუაჩიძე, მ. თხელიძე, გ. ვაშაკიძე, ალ. კერესელიძე, ა. არუთინოვი, პ. ივანოვი, კ. პრიკუროვი და სხვები, სულ 51 კაცი[1].

მიუხედავად დაუსრულებელი და მკაცრი რეპრესიებისა, დაპატიმრებისა და გადასახლებისა, მთავარი სახელოსნოებისა და დეპოს მუშები იდგნენ მტკიცე გადაწყვეტილებაზე და არ უბრუნდებოდნენ სამუშაოს. ეს აღფრთოვანებასა და თანაგრძნობას იწვევდა სხვადასხვა ცენტრებსა და სამრეწველო დაწესებულებების მუშებში. 7 აგვისტოს თბილისის მთავარი სახელოსნოებისა და დეპოს მუშათა სოლიდარობის ნიშნად გაიფიცნენ მიხაილოვოსა და ელიზავეტპოლის დეპოების მუშები. ელიზავეტპოლის რკინიგზის დეპოს 193 მუშიდან გაფიცული იყო 150. ისინი მოითხოვდნენ ხელფასის გადიდებას, ჯარიმების გაუქმებასა და ერთი სიტყვით ყველაფერ იმას, რასაც თბილისის მუშები მოითხოვდნენ[2].

თბილისის მთავარი სახელოსნოებისა და დეპოს გაფიცულ მუშათა რიგებს უერთდებიან მათივე ოჯახის წევრები. 8 აგვისტოს საგაფიცვო კომიტეტის მიერ გაფიცულ მუშათა ცოლებისადმი მოწოდებით მიმართვამ — მხარი დაეჭირათ თავიანთი ქმრებისა და გაფიცვის გამარჯვებამდე მიყვანისათვის, გამოიწვია გაფიცულ მუშათა 70 ცოლის თბილისის გუბერნატორთან დემონსტრაციულად გამოცხადება და დაპატიმრებულთა გათავისუფლების მოთხოვნა. პირველად მუშათა თანაგრძნობის ნიშნად მუშათა ოჯახების წევრებმა აქ აღიმაღლეს პროტესტის ხმა. მუშათა მოძრაობა სულ უფრო და უფრო მასობრივ ხასიათს ღებულობდა. ბოლოს გაფიცვა

---

[1] РСФСР, Дп, VII, д-во, № 487, л. 398.

[2] იხ. საქ. სსრ შსს თბილისის ცენტრარქივი, ფ. № 39, ს. № 194, ფ. 1.

გადაიზარდა დემონსტრაციებსა და თვითმპყრობელობ[illegible] მდეგ აშკარა ბრძოლაში. „ძირს თვითმპყრობელობა!“, „[illegible] 8 საათიან სამუშაო დღეს!“, „გაუმარჯოს მუშათა ერთიანობას!“ და სხვა რევოლუციური ლოზუნგები სულ უფრო და უფრო ეუფლებოდა თბილისის მუშებს.

რევოლუციური სოციალ-დემოკრატია და საგაფიცვო კომიტეტი მჭიდრო კონტაქტში იყო მუშათა მოძრაობასთან, ეხმაურებოდა და წარმართავდა მის თვითეულ ნაბიჯს. მუშათა გმირული სულით აღფრთოვანებული საგაფიცვო კომიტეტი მოწოდებით მიმართავდა გაფიცულ მუშებს, რათა შემჭიდროვებულად და ერთსულოვნად ებრძოლათ ექსპლოატატორების წინააღმდეგ, თავისუფლებისათვის, მოქალაქეობრივი უფლებების მოპოვებისა და დაცვისათვის.

„ასეული ათასი თვალი შემოგცქერით თქვენ და დაძაბული ყურადღებით თვალს ადევნებს თქვენს გამათავისუფლებელ მოძრაობას. თქვენი ძალების საკვირველი ზრდა შიშს გვრის მტრებს და აღუძრავს უნებლიე პატივისცემას თქვენს მიმართ. თქვენი სიმამაცე და ერთსულოვნება აღტაცებას იწვევს, მეგობრებო! და გვინერგავს საუკეთესო მომავლის იმედს... გახსოვდეთ, ამხანაგებო, რომ თქვენ მარტონი არ ხართ. თქვენს ზურგს უკან იმალებიან მილიონობით ძალები, რომლებიც მზად არიან გამოგიწოდონ თქვენ თავიანთი რკინის ხელები“[1].

ერთი მხრით, ადმინისტრაციისა და პოლიცია-ჟანდარმერიის მიერ დაუსრულებელი დაპატიმრებებით განაწამებმა და აღშფოთებულმა, ხოლო, მეორე მხრით, რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის მიერ აღფრთოვანებულმა და წელგამაგრებულმა მუშებმა ადმინისტრაციას ცხრა მუხლიანი ახალი მოთხოვნა წაუყენეს. მუშები მოითხოვდნენ ხელფასის გადიდებას, სამუშაო დროის შემცირებას, ხელფასის თვეში ორჯერ გაცემას, ჯარიმათა გაუქმებას, ტექნიკური პერსონალის მიერ მუშებისადმი უხეშად და უდიერად მოპყრობის აკრძალვას, ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებას, დაუმსახურებლად დაპატიმრებული ამხანაგების გათავისუფლებას და აღნიშნულ მოთხოვნებზე პასუხის გამოკვრას მუშათა რაიონებში.

გაფიცულ მუშათა ახალმა მოთხოვნებმა კიდევ უფრო გააშმაგა ადმინისტრაცია და პოლიცია. ალყაშემორტყმულ ქალაქში პოლიცია-ჟანდარმერია ცხენოსან კაზაკებს უსევდა გაფიცულ მუშებს, არბევდნენ და ჩხრეკდნენ მათ ბინებს, მაგრამ მდგომარეობა კვლავ

---

[1] РСФСР, Дп, в-в VII, 1900, № 487, л. 457—458.

უცვლელი იყო, სამუშაოზე არვინ ცხადდებოდა, მუშათა გაფიცვა მთელი სიღრმე სიგანით მიმდინარეობდა.

8—9 აგვისტოს თბილისის ქუჩები კვლავ რევოლუციური პრო-კლამაციებით აივსო. ამ დღეებში მთავრობა კიდევ უფრო კრიტიკულ მომენტში ჩავარდა. მომსახურე პერსონალის მინიმუმამდე შემცირების გამო მატარებლების მოძრაობა კიდევ უფრო ძალზე შეფერხდა. ამ გარემოებამ აიძულა მთავრობა, რკინიგზის სამუშაოებზე დაენიშნა კავკასიის მესანგრეთა ბრიგადის დაბალი ჩინის მოსამსახურენი.

ამავე დროს, 9 აგვისტოსათვის პოლიცია-ჟანდარმერიის მიერ დაპატიმრებულ და პასუხისგებაში მიცემულ იქნა 64 მუშა, მათ შორის იყვნენ: კ. აფანასიევი, ი. ობოლაძე, ალ. შენგელია, ს. რაბინოვიჩი, გ. კაჭახიძე, გ. გოტალსკი, პრ. ჯაფარიძე, პ. პუშკარიოვი, მ. გურეშიძე, ზ. ვაშაკიძე, ვ. ხაჩატუროვი, ალ. კოპალეიშვილი, ს. მკევლიშვილი და სხვები. ჩამოთვლილ მუშათა ერთი ნაწილი დაპატიმრებულ იქნა წაქეზებისა და მუქარის გამო, რასაც ეწეოდნენ იმ მუშების მიმართ, რომელნიც განაგრძობდნენ სამუშაოზე სვლას. პრ. ჯაფარიძე და პ. პუშკარიოვი დაკავებულ იქნენ აგენტურული ცნობით‘, სტუდენტები მუშებს ეხმარებიან გაფიცვების მოწყობაში“. გაჩხრეკისას პრ. ჯაფარიძეს აღმოაჩნდა ვლადივოსტოკიდან ნ. დომასტროევის მიერ 14 ივლისის თარიღით გამოგზავნილი წერილი. მასში ეწერა: „ჰაერში იგრძნობა სულის ხუთვა, ხომ არ იქნება ქექა-ქუხილი? ნეტამც კი! გვეხუთება სული უიმისოდ“, პ. პუშკარიოვს კი უნახეს ერთი ეგზემპლარი ხელნაწერი „კომუნისტური პარტიის ზეიმი“. როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, პუშკარიოვი და ჯაფარიძე სისტემატურად თვალყურს ადევნებდნენ მუშათა მოძრაობას და ჩნდებოდნენ თითქმის მუშათა გაფიცვის ყველა შემთხვევაში.

10 აგვისტომდე პოლიცია-ჟანდარმერიის მიერ დაპატიმრებულ მუშათა რაოდენობამ 1000-ს გადააჭარბა. აქედან თითქმის ნახევარი გაგზავნილ იქნა საეტაპო წესით „სამშობლო სოფლებში“. მიუხედავად მთავრობის მხრივ მკაცრი რეპრესიებისა, საგაფიცვო კომიტეტის მოწოდებებით აღფრთოვანებული მუშები განაგრძობდნენ ბრძოლას და მედგრად იცავდნენ თავიანთ მოთხოვნებს. მიუხედავად იმისა, რომ საგაფიცვო კომიტეტის მიერ შექმნილი დახმარების ფონდები ამოიწურა და მთავრობამ მუშებს ყველგან მოუსპო კრედიტის მიღების საშუალება, მუშები მაინც განაგრძობდნენ ბრძოლას და ორი კვირის მანძილზე გაფიცვა არ შეწყვე-

ტილა. მაგრამ სილატაკემ, დარბევამ და დაპატიმრებებმა [illegible] და ბოლოს მაინც თავისი გაიტანეს. თუ შევადარებთ წინა დღეების ბრძოლებს, შეიძლება ითქვას, რომ 11 აგვისტოდან გაფიცვა ნელდება. ამ დღეს სამუშაოზე გამოცხადდა 591, მაგრამ მუშაობა დაიწყო 196-მა. 12 აგვისტოს გამოცხადდა 897 მუშა, მუშაობდა 574; 13 აგვისტოს კვირა იყო. 14 აგვისტოს გამოცხადდა 1239, მუშაობდა თითქმის ყველა. 15 აგვისტოს დღესასწაულის გამო მუშაობა არ მიმდინარეობდა. 16 აგვისტოს გამოცხადდა 1465 მუშა, 17 აგვისტოს 1576; 18 აგვისტოს 1587; 19 აგვისტოს 1610. პოლიცია-ჟანდარმერიისა და ადმინისტრაციის ყოველგვარ ცდებს მთავარ სახელოსნოებსა და დეპოში მუშაობის განახლების შესახებ ნაწილობრივ შედეგი მოჰყვა გვიან, როცა სიმშილმა და საპყრობილემ წელში გასტეხა ისედაც ღარიბ ღატაკი მუშები. 16 აგვისტოსათვის გაფიცვა შეწყდა. მოქანცულმა და ულუკმაპუროდ დარჩენილმა მუშებმა თანდათანობით იწყეს სამუშაოზე გამოცხადება. 22 აგვისტომდე სამუშაოზე გამოცხადებულ მუშათა რაოდენობა სისტემატურად იზრდებოდა, მაგრამ მან მაინც ვერ მიაღწია 2000 კაცს. ასეულობით მუშა წარმოების გარეთ დარჩა. მიუხედავად გაფიცვის შეწყვეტისა, მთავრობა ერთი კვირის განმავლობაში მაინც ვერ ჰბედავდა დაცვის მოხსნას.

1900 წლის აგვისტოს გრანდიოზული გაფიცვა, რომელიც ორ კვირაზე მეტხანს გრძელდებოდა და მძვინვარებდა, მარცხით დასრულდა. ამ გაფიცვის მომზადებასა და ჩატარების სათავეში ედგა რევოლუციური სოციალ-დემოკრატია. გაფიცვაში მონაწილეობას იღებდნენ და სტალინთან ერთად ხელმძღვანელ როლს ასრულებდნენ რუსეთიდან საქართველოში გადმოსახლებული რუსი სოციალ-დემოკრატები: მ. კალინინი, ვ. კურნატოვსკი, ი. ფრანჩესკი და სხვები. არალეგალური კრებების მოწყობისა, მასებში მარქსისტული პროპაგანდის გაწევისა და გაფიცვის ორგანიზებულად ჩატარების საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ მოწინავე მუშა-რევოლუციონერები: ვ. სტურუა, ს. ალილუევი, პრ. ჯაფარიძე, პ. პუშკარიოვი, ვლ. ჯიბლაძე, კრილოვი, კ. გოგუა, ბაჯაშვილი, შმიკოვი და სხვები.

ცეცხლითა და მახვილით ჩაახშო რა გაფიცვა, მთავრობა შეუდგა საქმის გამოძიებასა და „დამნაშავეთა“ გასამართლებას. „დამნაშავენი“ ათ ჯგუფად დაჰყო და თვითეულს თავისი შესაბამისი განაჩენი გამოუტანა. ს. ალილუევი, პრ ჯაფარიძე, ვ. სტურუა, ვიბორგინი, გ. გურეშიძე, თ. ტატარინოვი, ბ. კოპალეიშვილი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ. მიქაძე, ლ. მიქატაძე, ზ. მანჯგალაძე, ი. ყორყოლიანი, ვ. [illegible]ნოვი, არ. არუთინოვი, ს. ხვიჩია, ალ. შენგელია, ვ. [illegible]ნოვი, ვ. აბშილავა, ი. კიასლი, არ. ფირცხალავა, გ. თუშმალოვი, დ. ცხომელიძე, ი. ჩადროვი და ი. ბაჯაშვილი გადასახლებულ იქნენ თბილისიდან ორი წლით და მათ დაბრუნების შემდეგაც აეკრძალათ მთავარ სახელოსნოებსა და დეპოში მუშაობა.

ხოლო რ. პრიკუროვი, მ. თხელიძე, ბ. ხაჩატუროვი, გ. შელაგაძე და ა. ოქროუაშვილი დაშვებული არ იქნენ ამიერკავკასიის რკინიგზების სამუშაოებზე. ს. რაბინოვიჩსა და გ. გოტარსკის აეკრძალათ თბილისში ცხოვრება. როგორც ჩანს, გაფიცულ მუშათა წინააღმდეგ მთავრობამ ვერ მიიღო უკიდურესი ზომები, რადგან ეშინოდა ამით ახალი გაფიცვები არ გამოეწვია და მუშათა მოძრაობა კიდევ უფრო არ გაეღრმავებინა

მთავრობა აგვისტოს გაფიცვის მოწყობაში მთავარ როლს აკუთვნებდა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას და ყოველგვარად ცდილობდა მის აღმოჩენას. „სავსებით შესაძლებელია დავუშვათ, რომ მუშათა მთელ მოძრაობას თბილისში ხელმძღვანელობს ერთი რევოლუციური ცენტრიო“, წერდა კავკასიის მთავარმართებელი გოლიცინი თავის საიდუმლო მოხსენებაში. მთავრობას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა საქართველოში წარმოადგენდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის გამოძახილსა და ზემოქმედების შედეგს.

აგვისტოს გაფიცვა რკინიგზის მთავარ სახელოსნოებსა და დეპოში მარცხით დასრულდა, მაგრამ ამ გაფიცვით მთავრობამაც მძლავრი დარტყმა იგრძნო გაფიცული მუშების მხრივ. ეშინოდა რა ახალი გაფიცვების მოხდენისა, მთავრობა იძულებული გახდა ორიოდე თვის განმავლობაში მუშათა მოთხოვნების მნიშვნელოვანი ნაწილი დაეკმაყოფილებინა, ამ გაფიცვის პარალელურად მომხდარი გაფიცვები თამბაქოს ფაბრიკებში, ტყავის ქარხნებში და სხვაგან მუშათა გამარჯვებით დასრულდა.

თბილისის მუშათა 1900 წლის აგვისტოს გაფიცვას მაღალი შეფასება მისცეს ლენინურმა „ისკრამ“. გაზეთი „ისკრა“ ამ გაფიცვასთან დაკავშირებით წერდა: „1900 წელი დამთავრდა დიდი გაფიცვით რკინიგზის სახელოსნოებში, სადაც 4000 მუშამ შეწყვიტა მუშაობა და მოითხოვა მთავრობისაგან სამუშაო დროის 8 საათამდე შემცირება, ხელფასის მომატება და შრომის პირობების გაუმჯობესება. გაფიცვამ 15 დღეს გასტანა. მაგრამ მეფის მთავრობამ

ჯარი შემოარტყა ნახევარ ქალაქს, დააპატიმრა 1500-ზე მეტი მუშა და უმრავლესი მათგანი „სამშობლოში“ გადაასახლა“[1]...

ხოლო გაზეთი „ბრძოლა“ წერდა: „...ამ ბრძოლაში მუშებზე გაცილებით უფრო დაზარალებული მთავრობა დარჩა, რომელსაც რკინიგზის წესიერი მოძრაობის შეწყვეტამ მილიონობით ზარალი მიაყენა, და ეს ხომ ჰკუას ასწავლის მას შემდეგისათვის, ამის შემდეგ ის ასე ადვილად ველარ გაბედავს მუშებთან ბრძოლას და უფრო ადვილად იკადრებს დაუთმოს ხოლმე მათ .. ეჭვი არ არის, რომ საკმაოა კიდევ მოხდეს სახელოსნოში საყოველთაო გაფიცვა, რომ მუშებმა თავისი გაიტანონ, აი რაში მდგომარეობს გამარჯვება დამარცხებულთა... ამ გმირულმა ბრძოლამ მომხიბლავი შთაბეჭდილება მოახდინა მთელი თბილისის მუშებზე და გაფიცვა გადამდებ სენივით მოედო მრავალ ქარხანას: ენფინჯიანცისას, ადელხანოვისას, მირისას და სხვადასხვა, რომლებშიც მუშები არანაკლებ მედგრად იბრძოდნენ, გამხნევებულნი, სხვათა შორის პროკლამაციებითაც. დამფრთხალმა მთავრობამ იკადრა აეძულებინა „ხაზეინები“ ბევრი რამ დაეთმოთ მუშებისათვის“[2].

1900 წლის აგვისტოს გრანდიოზულმა გაფიცვამ მდიდარი გამოცდილება შესძინა საქართველოს სამრეწველო პროლეტარიატს მიუხედავად დამარცხებისა, მას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის შემდგომი გაღრმავებისა და გაფართოვებისათვის. აგვისტოს გაფიცვის დროს რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ენერგიული მოღვაწეობის შედეგად ქართველი ბურჟუაზია და პროლეტარიატი პირისპირ შეეჯახნენ და სამკვდრო სასიცოცხლოდ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. საქართველოს მუშათა მოძრაობის ისტორიაში, აგვისტოს გაფიცვის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობით საქართველოს სამრეწველო პროლეტარიატი აშკარად გამოვიდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე.

(შემოვიდა რედაქციაში 10. IV. 1956).

[1] „ისკრა“, 1901, № 12, 6 დეკემბერი.

[2] „ბრძოლა“, 1901, № 2—3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Ш. С. ГВЕНЕТАДЗЕ

# ЗАБАСТОВКА РАБОЧИХ ТБИЛИССКИХ ГЛАВНЫХ МАСТЕРСКИХ И ДЕПО ЗАКАВКАЗСКИХ ЖЕЛЕЗНЫХ ДОРОГ

## Резюме

Основной кузницей промышленного пролетариата Грузии были Тифлисские главные железнодорожные мастерские, где за период 1885—1900 г. г. число рабочих возросло с 513 человек до 4000 человек. Состав рабочих был многонациональный. Большинство составляли грузины, далее — русские, армяне и др. Рабочим приходилось трудиться в чрезвычайно плохих и антисанитарных условиях.

В процессе зарождения промышленного пролетариата начинаются забастовки вследствие тяжелых бытовых условий рабочих. У бастующих рабочих не было ещё четкого классового самосознания, ясных целей борьбы, и капиталистам поэтому удавалось сравнительно легко успокаивать бастующих незначительными уступками или пустыми обещаниями. Поражением закончилась стихийная забастовка, возникшая на основе сокращения зарплаты в главных мастерских Закавказской железной дороги в 1886 г. Сравнительно более организованная стачка имела место 28 февраля 1887 г. Причинами забастовки были увеличение рабочего дня на полчаса и бесчеловечное обращение с рабочими. Бастующие предъявили администрации требования, состоявшие из 9 пунктов. Администрации мастерских и жандармерии не удалось вернуть бастующих на работу. Администрация вынуждена была обещать рабочим удовлетворить их требования, но обещание оказалось ложью. Рабочий день оставался попрежнему неизменным. Забастовки в главных мастерских не прекращались и в следующие годы. Вследствие плохого обращения 16 июня 1887 г. рабочие токарного цеха предъявили администрации требование удалить ненавистное им начальство.

Рабочее движение этого периода находилось в зачаточном состоянии. Рабочий класс пока ещё имел слабое классовое самосознание, но в 1898—1899 годах революционное ядро „месаме даси“ взялось за превращение стихийной и неорганизованной борьбы в борьбу социал-демократического движения.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Рабочий класс Грузии открыто выступает на арену политической борьбы против царизма и буржуазии.

Декабрьской забастовкой рабочих главных железнодорожных мастерских в г. Тифлисе в 1898 г. руководила революционная социал-демократия. Эта забастовка явилась началом социал-демократического движения в Грузии и Закавказье.

От всех предшествующих забастовок по своему размаху и организованности отличалась забастовка четырех тысяч рабочих главных мастерских и депо в августе 1900 г. Причинами забастовки были длительный рабочий день, низкая зарплата и плохое отношение к рабочим.

Бастующие рабочие предъявили администрации письменные требования об улучшении их трудовых и бытовых условий. В августовской забастовке руководящую роль играли И. В. Сталин, М. Калинин, В. Курнатовский, И. Франческий. Забастовочный комитет призвал бастующих рабочих к единодушной и сплоченной борьбе. Волны рабочего движения ширились, охватывая и рабочих других промышленных центров.

Напуганное размахом забастовки правительство пыталось подавить ее арестами, угрозами и обещаниями, но ничто не могло повлиять на бастующих рабочих.

Администрация и правительство использовали для подавления забастовки полицию, жандармерию и отряды конных казаков, не жалея пуль, нагаек и тюрем.

Августовская забастовка 1900 г., длившаяся свыше двух недель, закончилась поражением, но несмотря на это, она оказала огромное влияние на развитие рабочего движения Грузии и Закавказья. Передовой отряд промышленного пролетариата Грузии вместе с пролетариатом России самоотверженно боролся против самодержавия и буржуазии.

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XV, 1956.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XV, 1956.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ჯიბუტი

# სუბსუმციის თეორია და მისი კრიტიკა

მსჯელობათა ტრადიციული კლასიფიკაცია მსჯელობებს ოთხი თვალსაზრისის: რიცხობრიობის, თვისობრიობის, მიმართებისა და მოდალობის მიხედვით ყოფდა. ყოველი დაყოფის საფუძველი განსხვავებული იყო. მსჯელობათა დაყოფა ამ თვალსაზრისების მიხედვით გვხვდებოდა არა მარტო ტრადიციული, ფორმალური ლოგიკის კურსებში, არამედ ასეთი დაყოფა გვხვდება ლოგიკის შესახებ საბჭოთა პერიოდში გამოცემულ თითქმის ყველა წიგნში. როგორია მსჯელობათა დაყოფა რიცხობრიობის — ქვალიტეტის მიხედვით? რიცხობრიობის მიხედვით, მსჯელობანი ტრადიციულ ლოგიკაში იყოფიან სამ სახედ: ერთეულ მსჯელობად („თბილისი საქართველოს დედაქალაქია"), კერძო მსჯელობად („ზოგიერთი სტუდენტი ფრიადოსანია") და ზოგად მსჯელობად („ყველა ლითონი ელექტრობის გამტარია"). მსჯელობათა ასეთი დაყოფა გვხვდება ჯერ კიდევ არისტოტელთან. მასთან რიცხობრიობის მიხედვით მსჯელობანი დაყოფილია ერთეულ, კერძო და ზოგად მსჯელობებად. მაგრამ, მსჯელობათა ამ სამი სახის გარდა, რიცხობრიობის მსჯელობათა კლასში არისტოტელთან გვხვდება ე. წ. განუსაზღვრელი მსჯელობა; განუსაზღვრელია, არისტოტელის აზრით, ისეთი მსჯელობა, რომლის სუბიექტი რიცხობრივად გაურკვეველია: „სიამოვნება არ არის სიკეთე"[1]. რიცხობრიობის მიხედვით, განხილულ მსჯელობათა კლასში განუსაზღვრელი მსჯელობა გვხვდება ვუნდტთანაც. ვუნდტი მსჯელობათა განხილვას, რიცხობრიობის თვალსაზრისით, უწოდებს მათს დაყოფას სუბიექტის ფორმების მიხედვით (Subjektsformen der Urteile). მისი აზრით, მსჯელობის სუბიექტი შეიძლება იყოს ან ერთეული, ან სიმრავლის გამომთქმელი, ან განუსაზღვრელი. ამისდა მიხედვით, ვუნდტი ასხვავებს: 1. განუსაზ-

[1] Аристотель, Аналитики, 1952, გვ. 9—10.

ღვრელ მსჯელობას (das unbestimmte Urteil). 2. ერთეულ მსჯელობას (das einzelurteil) და 3. სიმრავლის მსჯელობას (das Mehrheitsurteil). ერთეული ისეთი მსჯელობაა, ვუნდტის აზრით, რომლის სუბიექტი ერთი რომელიმე საგანი ან მოვლენაა, მაგ., „ლოგიკა მეცნიერებაა“. სიმრავლის მსჯელობათა კლასში, მისი თვალსაზრისით, შედის არა მარტო ზოგადი მსჯელობა „ყველა S არის P“, არამედ კერძოობითი მსჯელობანიც „ზოგიერთი S არის P“; ხოლო განუსაზღვრელ მსჯელობებში, ვუნდტის მიხედვით, შედის ისეთი მსჯელობები, რომლებიც ჩვეულებრივად ნაცვალსახელის მესამე პირის საშუალებით გამოითქმის (ასეა გერმანულ ენაში და არა ყველა ენაში). ასეთ მსჯელობებს, წერს ვუნდტი, როგორიცაა: „es blitzt“ — „ელავს“, „es regnet“ — „წვიმს“ უსუბიექტო მსჯელობებს, ანუ იმპერსონალიებს უწოდებენ[1]. როგორც სამართლიანად შენიშნავს ჯონ სტიუარტ მილი, არავითარი განუსაზღვრელი მსჯელობა არ არსებობს. მსჯელობის გამომთქმელმა მსჯელობის გამოთქმის პროცესში იცის, როგორ სუბიექტზეა ლაპარაკი — ერთეულზე, კერძოზე თუ ზოგადზე[2]. მართლაც, მაგალითი „es regnet“ — „წვიმს“ ერთეული მსჯელობის მაგალითია (ასევეა „es blitzt“ — „ელავს“); „წვიმს“, აზრის მიხედვით, ნიშნავს — „წვიმა მოდის“ და „წვიმა მოდის“ უდავოდ ერთეული მსჯელობაა, განსხვავებული ზოგადი მსჯელობისაგან „წვიმები მოდის“. ქართული და რუსული ენები განასხვავებენ ერთეულ და ზოგად მსჯელობებს წვიმის შესახებ: „წვიმა მოდის“ და „წვიმები მოდის“ ქართულში და „дождь идет“ და „дожди идут“ რუსულში. მსჯელობის სუბიექტი რიცხობრივად ყოველთვის განსაზღვრულია: ის ან ერთეულია, ან კერძო და ან ზოგადი.

ყოველი მსჯელობა ორი ცნებისაგან: სუბიექტისა და პრედიკატისგან შედგება. მსჯელობის ის ცნება, რომლის შესახებ გამოითქმის გარკვეული აზრი, მსჯელობის სუბიექტია, ხოლო ის, რაც გამოითქმის მსჯელობის სუბიექტზე, მსჯელობის პრედიკატია. მსჯელობაში „თბილისი საქართველოს დედაქალაქია“ თბილისი მსჯელობის სუბიექტი, ანუ ქვემდებარეა, ხოლო საქართველოს დედაქალაქია — პრედიკატი, ანუ შემასმენელია. მსჯელობის სუბიექტი, როგორც ზევით აღვნიშნეთ, რიცხობრივად ყოველთვის გარკვეულია: ან ერთეულია, ან კერძო, ან ზოგადი.

---

[1] Wundt, Logik, 1906. Band I, გვ. 166.

[2] Милль, Система логики, 1900, გვ. 63—64.

ისმის კითხვა: როგორია რიცხობრიობის მიხედვით მსჯელობის პრედიკატი? გარკვეულია კი პრედიკატი რიცხობრივად? რას გამოთქვამს პრედიკატი სუბიექტის მიმართ? იმას, რომ ის სუბიექტის ნიშანია, თუ იმას, რომ ის კლასია, რომელთანაც გარკვეული მიმართება აქვს სუბიექტის კლასს?

მსჯელობის სუბიექტ-პრედიკატის მიმართების შესახებ არსებობს მრავალი თეორია. ერთ-ერთი მათგანი ცნობილია სუბსუმციის თეორიის სახელწოდებით. ამ თეორიის არსი შემდეგში მდგომარეობს: მსჯელობის სუბიექტი და პრედიკატი ცნებებია, რომელთა შორის გარკვეული მოცულობრივი დამოკიდებულებაა; მსჯელობის როგორც სუბიექტი, ისე პრედიკატი გარკვეულ კლასებს გამოხატავს. აი ამ კლასების ურთიერთობის გამოხატვაში მდგომარეობს, ამ თეორიის მიხედვით, მსჯელობის აზრი. მსჯელობა S და P მოცულობათა ურთიერთობის გადმომცემი აზრია. მსჯელობის სუბსუმციის, ანუ მოცულობის თეორიის თანახმად, მსჯელობის სუბიექტი, როგორც გარკვეული მოცულობის მქონე კლასი, შედის მსჯელობის პრედიკატში, რომელიც უფრო ფართო მოცულობის მქონე ცნება, ანუ აზრია. მსჯელობა „ადამიანი არის მოკვდავი“, სუბსუმციის თეორიის მიხედვით, ნიშნავს, რომ „ადამიანის“ მოცულობა შედის „მოკვდავთა“ მოცულობაში; ადამიანთა კლასი უფრო ვიწრო მოცულობისაა, ვინემ მოკვდავთა კლასი.

არისტოტელთან და კანტთან ძირითადად მსჯელობის სუბსუმციის თეორიას ჰქონდა ადგილი. ჰეგელი, რიცხობრიობის მიხედვით, განხილულ მსჯელობებს სუბსუმციის მსჯელობებს უწოდებს. მასთან ე. წ. რეფლექსიის მსჯელობები (მსჯელობათა კლასი, რომელშიც განხილულია S და P-ს რიცხობრივი მხარე) დახასიათებულია, როგორც კლასში შეყვანის მსჯელობები — суждения подведения — Urteile der Subsumtion [1].

განვიხილოთ ზოგიერთი მოსაზრება სუბსუმციის თეორიის სასარგებლოდ. ცნებას გააჩნია როგორც შინაარსი, ისე მოცულობა, ფიქრობს ტრენდელენბურგი. მსჯელობამ, რომლის სუბიექტი ცნებაა, უნდა მოგვცეს სუბიექტის როგორც მოცულობის, ასევე შინაარსის გაშლა. მსჯელობის სუბიექტის შინაარსის გაშლა, ტრენდელენბურგის აზრით, კატეგორიულ მსჯელობაში, ხოლო მოცულობის გაშლა გაყოფით მსჯელობაში ხდება [2]. პროფ. სტროგოვიჩი

[1] Гегель, Сочинения, т. VI, 1939, გვ. 83.

[2] Тренделенбург, Логические исследования, ч. II, 1868, გვ. 255.

ფიქრობს, რომ მსჯელობის S და P-ს შორის კავშირი ყველა მსჯელობაში როგორც მოცულობრივი, ისე შინაარსეუ[illegible] между подлежащим и сказуемым имеется, — წერს ის, — и в отношении объемов подлежащего и сказуемого, и в отношении их содержания. Связь объемов подлежащего и сказуемого суждения выражается в том, что объем подлежащего включается в объем сказуемого или исключается из него"[1]. ყოველ მსჯელობაში S-ისა და P-ს კავშირი, ფიქრობს პროფ. სტროგოვიჩი, კლასის კლასში შესვლის გამომხატველია. თვით მიმართების გამომხატველი მსჯელობებიც კი, რომელთაც, როგორც პროფ. სტროგოვიჩი წერს, მსჯელობათა ცალკე კლასად აღიარებენ, კლასის კლასში შესვლის გამომხატველია. სტროგოვიჩი განიხილავს მიმართების ასეთ მსჯელობას: „იალბუზი მონბლანზე მაღალია". ეს მსჯელობა, მისი აზრით, შემდეგი ლოგიკური აგებულებისაა: „იალბუზი არის მთა უფრო მაღალი, ვინემ მონბლანი". ხოლო ამ მსჯელობაში, თუ მას მოცულობის თვალსაზრისით განვიხილავთ, S შედის სიგანთა კლასში, რომელსაც P შეიცავს. თვით ასეთი მსჯელობაც კი: „ივანეს უყვარს პეტრე", სტროგოვიჩის აზრით, კლასის კლასში შესვლის, ანუ სუბსუმციის გამომთქმელი მსჯელობაა, რომლის აზრი ასეთია: „ივანე შედის პეტრეს მოყვარულ კაცთა კლასში". მართალია, შემასმენელი „ხალხი, რომელთაც პეტრე უყვართ" ხელოვნურია, მაგრამ ლოგიკური ბუნებით ასეთი მსჯელობა არ განსხვავდება სხვა მსჯელობებისაგან[2].

მსჯელობის სუბსუმციის თეორიამ თავისებური სახე მიიღო ინგლისელ ლოგიკოს ჰამილტონთან. მსჯელობის ჰამილტონისეული გაგება ეყრდნობა მის მიერ მსჯელობის პრედიკატის რიცხობრივად გარკვევას — ქვანტიფიკაციას. ამიტომ ეს თეორია ცნობილია პრედიკატის ქვანტიფიკაციის სახელწოდებით. ჰამილტონი მსჯელობს შემდეგნაირად: ლოგიკამ ნათლად უნდა გადმოგვცეს ყველაფერი ის, რაც აზრში იგულისხმება, ნათლად გვიჩვენოს ის, რასაც იძლევა აზრი. ძველმა ლოგიკამ მოახდინა მსჯელობის ნახევარ-ანალიზი. გადმოვცეთ ის, რაც აზრშია, — აი ლოგიკის პოსტულატი, ჰამილტონის აზრით[3]. ტრადიციულად, განაგრძნობს ჰამილტონი, მსჯელობის სუბიექტი რიცხობრივად გარკვეულად, ხოლო პრედიკატი

[1] Строгович, Логика, 1949, გვ. 150.
[2] Строгович, Логика, გვ. 156—158.
[3] Льаф, Английские реформаторы логики, 1897, გვ. 55.

გაურკვევლად აქვთ წარმოდგენილი. ცოდნა გადმოგვცემს ცნების, S და P-ს მიმართებას: სუბიექტი (S) შეგვყავს პრედიკატის (P) ცნებაში, მაგალითად: მსჯელობა „ადამიანი არის ცხოველი“ ამბობს, რომ „ადამიანის“ ცნება შედის „ცხოველთა“ ცნებაში. მაგრამ თუ ეს ასეა, ფიქრობს ჰამილტონი, ვთქვათ ბოლომდე P-ს რა ნაწილი უჭირავს S-ს? S-ი მოაზრებულია P-ში, ის P-ს გარკვეულ ნაწილს წარმოადგენს. თუ ასეა, მაშ, პრედიკატი (P) რიცხობრივად ყოველთვის და აუცილებლადაა გარკვეული. ეს აზრში გარკვეულობა, ჰამილტონის აზრით, უნდა იგრძნობოდეს მეტყველებაშიც. პრედიკატის რიცხობრივად გარკვევა, აი რა გამორჩა, მისი აზრით, ძველ ლოგიკას[1]. რიცხობრიობა-თვისობრიობის მიხედვით, ოთხი მსჯელობა კი არ გვექნება, როგორც ამას ძველი ანალიტიკა (არისტოტელი) აღიარებდა, არამედ რვა, როგორც ამას ახალი ანალიტიკა (ჰამილტონი) აღიარებს. ძველ ლოგიკას რიცხობრიობა-თვისობრიობის გაერთიანებულ კლასიფიკაციაში ოთხი მსჯელობა ჰქონდა: ზოგად-დადებითი „ყველა S არის P“; ზოგად-უარყოფითი „არც ერთი S არაა P“; კერძოობით-დადებითი „ზოგიერთი S არის P“ და კერძოობით-უარყოფითი „ზოგიერთი S არაა P“. ჰამილტონის აზრით, გაერთიანებული კლასიფიკაცია შეიცავს არა ოთხ, არამედ შემდეგ რვა მსჯელობას:

დადებითი: ზოგად-ზოგადი „ყველა S არის ყველა P“.
ზოგად-კერძო „ყველა S არის ზოგი P“.
კერძო-ზოგადი „ზოგიერთი S არის ყველა P“.
კერძო-კერძო „ზოგიერთი S არის ზოგიერთი P“.
უარყოფითი: ზოგად-ზოგადი „არც ერთი S არაა არც ერთი P“.
ზოგად-კერძო „არც ერთი S არაა ზოგიერთი P“.
კერძო-ზოგადი „ზოგიერთი S არაა არც ერთი P“.
კერძო-კერძო „ზოგიერთი S არაა ზოგიერთი P“.

ასეთია ჰამილტონის აზრით, მსჯელობათა სახეები ე. წ. გაერთიანებულ კლასიფიკაციაში[2].

ყოველი მსჯელობა S და P მოცულობითი დამოკიდებულების გადმომცემია; ყოველ მსჯელობაში S და P რიცხობრივად გარკვეულია; ყოველი დადებითი მსჯელობა ტოლობას გადმოგვცემს: მსჯელობა „ყველა S არის ზოგიერთი P“, ჰამილტონის აზრით, ნიშნავს, რომ „S არის ის ზოგიერთი P, რომელიც S-ია“; „ყველა

[1] Льар. Английские реформаторы логики, გვ. 56—58.
[2] იქვე, გვ. 59—60.

ადამიანი (S) არის ზოგიერთი მოკვდავი (P)“ ნიშნავს, რომ ყოველი ადამიანი (S) არის მოკვდავის (P) ის ნაწილი (ზოგიერთი P), რომელიც ადამიანია[1].

ისმის კითხვა: არის კი პრედიკატი (P) რიცხობრივად გარკვეული ყველა მსჯელობაში, როგორც ამას ჰამილტონი ფიქრობს? არის კი ყოველ მსჯელობაში S-ისა და P-ს კავშირი მოცულობრივი ხასიათის, როგორც ამას ჰეგელი, ჰამილტონი, სტროგოვიჩი და სხვები ფიქრობენ? როგორია მსჯელობის აზრი? როგორია მისი მიზანი?

მსჯელობა ცოდნას გვაძლევს, მაგრამ კონკრეტული, აი, ამ მსჯელობის მიერ მოცემული ცოდნა ყოველთვის არასრულია, არასრულია იმ აზრით, რომ მსჯელობა გვაძლევს ცოდნას არა მთელი სინამდვილის შესახებ, არამედ მისი რომელიმე მხარის შესახებ. ერთი მსჯელობა ვერ ამოწურავს მთელ ცოდნას სინამდვილის შესახებ. კონკრეტული მსჯელობა პასუხობს იმაზე, რაც გვაინტერესებს, აი, ვთქვათ, ახლა, დღეს, გუშინ და სხვა; მაგალითად, რა არის ეს? როგორია დღევანდელი ამინდი? როგორი ცხოველია ადამიანი? და სხვა. ადამიანის წინაშე ისმება უამრავი ასეთი კითხვა. შემმეცნებელი შეისწავლის ცოდნის ობიექტს და ჩამოაყალიბებს მსჯელობებს: „ეს არის მაგიდა“, „დღეს კარგი ამინდია“, „ადამიანი არის იარაღის მკეთებელი ცხოველი“ და სხვა. ყველა მოცემულ შემთხვევაში შემმეცნებლის წინაშე დგას ის საგანი, რომლითაც შემმეცნებელია დაინტერესებული, საგანი, რომელიც ადამიანისათვის, შემმეცნებლისათვის უნდა გაირკვეს. გასარკვევი, „სამსჯელო“ — ეს მსჯელობის სუბიექტია. მსჯელობის სუბიექტი გაირკვევა რაღაც სხვათი, იმით, რაც სუბიექტი არაა, მაგრამ მაინც კავშირშია სუბიექტთან. მაგ., მსჯელობაში „ადამიანი არის მოკვდავი“ ადამიანი — სუბიექტი მსჯელობისა — გაირკვევა იმით, რომ მას მიეწერება ნიშანი მოკვდაობისა. კითხვის დასმისას „რა არის ადამიანი?“ და პასუხის გაცემისას „ადამიანი არის მოკვდავი“ მე სრულებითაც არ მაინტერესებს, რა არის მოკვდავი. ჩემთვის „მოკვდავი“ რომ გაუგებარი და გაურკვეველი იყოს, მაშინ აღარ ექნებოდა აზრი კითხვაზე „რა არის ადამიანი?“ პასუხის გაცემას „ადამიანი არის მოკვდავი“. მე სხვა მსჯელობაში, სხვა შემეცნებითი აქტის დროს ვარჩევ, რა არის მოკვდავი. ახლა, „რა არის ადამიანი?“ კითხვისას მე მაინტერესებს ადამიანის თვისება,

[1] იხ. Льар, Английские реформаторы логики, стр. 60.

მიმართება, კავშირი... რაღაცასთან, რომელიც გაარკვევს მას (ადამიანს), მაინტერესებს ნიშანი, რომლითაც მე ადამიანს წარმოგვიდგენ, და სრულებითაც არ მაინტერესებს ის (არ ვსვამ კითხვას „რა არის მოკვდავი?“ იმიტომ, რომ ვიცი), რა არის ეს ნიშანი (P) ადამიანის გარეშე. მსჯელობის სუბიექტი გაირკვევა, ხასიათდება მსჯელობის პრედიკატით. მაგრამ გაარკვევს რა სუბიექტს (S) პრედიკატი (P), ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ის — პრედიკატი (P) მოცულობრივად გაირკვევა. P მსჯელობაში მოცულობრივად გარკვეულია იმდენად, რამდენადაც ის S-ს მიეწერება. მოცემული მსჯელობა — S არის P — „ადამიანი მოკვდავია“ P-ს შესახებ არაფერს ამბობს, გარდა იმისა, რომ S-ს კავშირი, მიმართება... აქვს P-თან; P ნიშანია, დამახასიათებელია S-თვის. აი მსჯელობის აზრი P-ს შესახებ. სტროგოვიჩის მოსაზრება, რომ ყოველი მსჯელობა S და P მოცულობრივი დამოკიდებულების გადმომცემია, მცდარია. „იალბუზი მაღალია მონბლანზე“, ეს მსჯელობა არაფერს მეუბნება „იალბუზისა“ და „მონბლანზე მაღალის“ მოცულობებზე. აქ იალბუზის შესახებ გამოთქმულია აზრი, რომ ის მაღალია მონბლანზე, და არა ის, რომ ის შედის მონბლანზე მაღალ მთათა კლასში; აღნიშნული მსჯელობა არაფერს ამბობს იმაზე, იალბუზი არის თუ არა სხვა მთებზე, გარდა მონბლანისა, მაღალი, და, მაშასადამე, არაფერს ამბობს პრედიკატის კლასზე, მის მოცულობაზე. შესაძლოა, მხოლოდ იალბუზია მონბლანზე მაღალი; თუ ასეა, მაშინ რა უფლება მაქვს ვთქვა, რომ იალბუზი შედის მონბლანზე მაღალ მთათა კლასში? ან კიდევ მსჯელობა „ივანეს უყვარს პეტრე“ სრულებითაც არ გამოხატავს აზრს, რომ ივანე მიეკუთვნება იმ ხალხს, რომელთაც პეტრე უყვართ, რომ „ივანე შედის პეტრეს მოყვარულთა კლასში“. შესაძლოა, პეტრე უყვარს მხოლოდ ივანეს, ხოლო, თუ ეს ასეა, მაშინ ლაპარაკი „პეტრეს მოყვარულთა“ კლასზე შეუძლებელია. ან კიდევ მსჯელობა „A=B“ სრულებით არაფერს ამბობს A და B-ს შესახებ მათი მოცულობითი ურთიერთობის თვალსაზრისით.

არსებობს მსჯელობათა უამრავი სახე, რომელთა შესახებ ვერ ვიტყვით, რომ მათში S-ისა და P-ს დამოკიდებულება მოცულობრივი ხასიათისაა. ზემოთ განხილული ზოგიერთი მსჯელობა არ გამოხატავს და არც შეუძლია გამოხატოს S-ისა და P-ს მოცულობრივი დამოკიდებულება.

ისმის კითხვა, როგორი ღირებულებისაა ამ თვალსაზრისით ჰამილტონისეული კლასიფიკაციის მსჯელობათა სახეები? S-ისა და

P-ს მოცულობრივი დამოკიდებულების სასარგებლოდ სუბსუმციის თეორიის მთავარი მოსაზრება შემდეგია: მსჯელობაში S-ისა და P-ს მოცულობებია აღებული; ეს მოცულობანი სხვადასხვაა. გამოვხატოთ S და P მოცულობანი ისე, როგორც არიან ისინი სინამდვილეში, და ყოველი მსჯელობა მოცულობის თვალსაზრისის ქვეშ მოექცევა. რატომაა მსჯელობა „ადამიანი არის მოკვდავი“ ზოგად-კერძოობითი, ჰამილტონის აზრით? რატომ შეგვყავს ადამიანი მოკვდავთა კლასში? ეს მსჯელობა ზოგადია იმიტომ, რომ მასში ლაპარაკია ყველა ადამიანზე (S), მასში ადამიანის ცნება მთელი მოცულობითაა აღებული (ყველა ადამიანი); კერძოობითია ეს მსჯელობა, ჰამილტონის აზრით, იმიტომ, რომ მასში ლაპარაკია არა მოკვდავთა მთელ კლასზე (მთელ P-ზე), არამედ ნაწილზე; ადამიანი არის არა მოკვდავთა მთელი სფერო, არამედ მისი ნაწილი: ზოგი მოკვდავია ადამიანი; ამიტომ ეს მსჯელობა ზოგად-კერძოობითია: S ზოგადია, P — კერძო.

ისმის კითხვა: გვაქვს კი ჩვენ ამის უფლება? გვეუბნება კი ამას მოცემული მსჯელობა?

მსჯელობით „ადამიანი მოკვდავია“ ჩვენ ვიგებთ იმას, რომ ადამიანს ახასიათებს მოკვდაობა და არამც და არამც იმას, რომ ეს ნიშანი — მოკვდაობა — ახასიათებს სხვა საგნებსაც. მოცემული მსჯელობა არაფერს ამბობს მოკვდავის კლასის შესახებ, გარდა იმისა, რომ მოკვდაობა მიეწერება ადამიანს. თუ ჩვენ იმას დავეყრდნობით, რომ მოკვდავთა კლასი ადამიანის კლასზე უფრო ფართოა, რადგანაც მოკვდავი ადამიანის გარდა სხვაცაა, და ვიტყვით, რომ ადამიანი შედის მოკვდავთა კლასში, მაშინ, სუბსუმციის თეორიის მიხედვით, კონკრეტულ მსჯელობაში S-ისა და P-ს მოცულობითი მიმართების დასადგენად, განხილული მსჯელობის გარდა, სხვა მსჯელობათა მოშველება დაგვჭირდება. იმისათვის, რათა დადგინდეს, რომ ადამიანთა კლასი მოკვდავთა კლასზე უფრო ვიწროა, საჭიროა, გარდა მსჯელობისა „ადამიანი მოკვდავია“, გვქონდეს მსჯელობა, რომ „მოკვდავი, ადამიანის გარდა, სხვაც არის“. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ S-ის მოცულობა P-ს მოცულობაზე ვიწროა. ერთი კონკრეტული მსჯელოპა ჩვენ არ გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ სუბიექტის მოცულობა პრედიკატის მოცულობაზე ვიწროა და, ამიტომ, მასში შემავალი.

ნუთუ კლასის კლასში შესვლას გამოთქვამს მსჯელობა აზრის მიხედვით? „ადამიანი მოკვდავია“ სუბსუმციის თეორიის მიხედვით,

ნიშნავს „ადამიანი შედის მოკვდავთა კლასში“, მაგრამ [illegible] ეს შესვლა? რას გვაძლევს კლასის კლასში შეყვანა? ადამიანის კლასის მოკვდავთა კლასში შეყვანა გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ, რადგან ადამიანი მოკვდავთა კლასში შედის, მას ახასიათებს მოკვდაობის ნიშანი.

მოცემული მსჯელობის აზრი სინამდვილესთან უფრო ახლოს იქნება, თუ ვიტყვით, რომ „ადამიანი არის მოკვდავი“, ნიშნავს „ადამიანს მიეწერება მოკვდავის ნიშანი“, ადამიანი გაირკვევა, დახასიათდება მოკვლაობის ნიშნით, და არა ის, რომ ადამიანი შედის მოკვდავთა კლასში (მოკვდავთა კლასში შესვლა ხომ იმისთვის გვინდა, რომ ვთქვათ, თუ ადამიანი შედის მოკვდავთა კლასში, მას აქვს მოკვდაობის ნიშანი).

განიხილავს რა მსჯელობის სუბიექტ-პრედიკატს (S, P) მოცულობრივი თვალსაზრისით, ტრადიციული ლოგიკა ჩამოაყალიბებს მოძღვრებას S-ისა და P-ს ე. წ. განაწილება-გაუნაწილებლობის შესახებ. ამ მოძღვრების მიხედვით, S და P განაწილებულია მაშინ, როცა ისინი მთელი მოცულობით არიან აღებულნი, როცა მსჯელობა გვაძლევს ცოდნას მათი (S-ისა და P-ს) მთელი მოცულობის შესახებ. განაწილების წესები ასეთია: ზოგად მსჯელობაში განაწილებულია სუბიექტი (S), ხოლო უარყოფითში — პრედიკატი (P) [1].

როგორია სუბსუმციის თეორიისა და ამ მოძღვრების დამოკიდებულება? სუბსუმციის თეორია, ლაპარაკობს რა კლასის კლასში შესვლაზე, მხედველობაში იღებს მხოლოდ დადებით მსჯელობებს. უარყოფითს მსჯელობაში სუბიექტის კლასი მოწყვეტილია პრედიკატის კლასს და, მაშასადამე, მასში კლასების მოცულობათა შედარებაზეც ლაპარაკი ზედმეტია; მსჯელობაში „ადამიანი არაა მაგიდა“ არაა გამოთქმული აზრი იმის შესახებ, თუ რომელი ცნებაა უფრო ფართო მოცულობის — „ადამიანის“ თუ „მაგიდის“. ამიტომ უარყოფით მსჯელობაში სუბსუმციაზე ლაპარაკი შეუძლებელია. განაწილების წესების მიხედვით ზოგად-დადებით მსჯელობაში პრედიკატი (p) არაა განაწილებული; ზოგად-დადებითი მსჯელობა არ გვაძლევს ცოდნას მთელი პრედიკატის შესახებ. სუბსუმციის თეორიის თანახმად კი, პრედიკატი განაწილებულია. ზოგად-დადებითი მსჯელობა, სუბსუმციის თეორიის თანახმად, ამბობს, რომ სუბიექტი, როგორც პრედიკატზე უფრო ვიწრო მოცულობის ცნება, თავისი მოცულობით შედის პრედიკატის მოცულობაში; მსჯელობაში „ადამიანი მოკვდავია“ — ადამიანის კლასი შედის მოკვდავთა

კლასში, როგორც მისი ნაწილი (მოკვდავი ხომ მეტია ვიდრე ადამიანი?!). თუ ასეა, მაშ ზოგად-დადებით მსჯელობაში პრედიკატზე გვქონია ცოდნა, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ ვიტყოდით, რომ S (ადამიანთა კლასი) შედის P-ში (მოკვდავთა კლასში). იმიტომ ვაცხადებთ S-სა (ადამიანებს) P-ს (მოკვდავთა) ნაწილად, რომ ვიცით P-ში, S-ის გარდა, სხვაც შედის (მოკვდავთა სფეროში, ადამიანთა გარდა, შედის მთელი ორგანული სამყარო).

სუბსუმციით გაგებული ზოგად-დადებითი მსჯელობა გულისხმობს ცოდნას მთელი P-ს შესახებ. ხოლო მოძღვრება S-ისა და P-ს განაწილების შესახებ ამას გამორიცხავს. კერძოობით მსჯელობაში S არაა განაწილებული; ეს ნიშნავს იმას, რომ ზოგიერთი S-ია P. მეორე ზოგიერთის შესახებ, ამ მსჯელობის მიხედვით, არაფერი ვიცით. ზოგად-დადებით მსჯელობაში, თუ მას სუბსუმციის თვალსაზრისით განვიხილავთ, ცოდნა გვაქვს არა მარტო პრედიკატის — P-ს ნაწილზე, არამედ მთელ P-ზე: P-ს ერთი ნაწილია ადამიანი, ხოლო მეორე არა. სუბსუმციის თეორიასა და S-ისა და P-ს განაწილების შესახებ მოძღვრებას შორის წინააღმდეგობაა: ერთი (სუბსუმცია) მოითხოვს ზოგად მსჯელობაში პრედიკატის განაწილებას; მეორე (განაწილების მოძღვრება) მას უარყოფს. წინააღმდეგობა მოიხსნება, თუ მსჯელობას „ადამიანი არის მოკვდავი“ განვიხილავთ არა როგორც S-ისა და P-სა მოცულობათა კავშირს, არამედ მათ შინაარსეულ კავშირს: S გაირკვევა იმით, რომ მას მიეწერება ნიშანი P: „ადამიანი მოკვდავია“ ნიშნავს, რომ ადამიანს აქვს მოკვდაობის ნიშანი. მსჯელობა „ადამიანი არის მოკვდავი“ არაფერს ამბობს მოკვდავთა კლასის შესახებ და, მაშასადამე, მასში S-ისა და P-ს შორის არც მოცულობითი და, მით უმეტეს, არც კლასის კლასში შესვლის, ე. ი. სუბსუმციის დამოკიდებულებაა.

მსჯელობა აზრია, რომელიც სუბიექტის გარკვევაში მდგომარეობს. ეს გარკვევა ხდება პრედიკატის საშუალებით, რომელიც სუბიექტის შესახებ რაიმე ნიშანს ან უარყოფს ან ადასტურებს; მსჯელობებია: „ადამიანი მოკვდავია“, „ადამიანი არაა მაგიდა“, „იალბუზი მონბლანზე მაღალია“, „ივანეს უყვარს პეტრე“, „A=B“ და სხვა. ყველა ამ მსჯელობაში სუბიექტი გაირკვევა იმით, რომ მას მიეწერება ნიშანი, თვისება, მიმართება და სხვ.: „მოკვდაობისა“, „არაა მაგიდისა“, „მონბლანზე მაღალისა“, „პეტრესადმი სიყვარულისა“, „B-სთან ტოლობისა“ და სხვა. მსჯელობა ამ და სხვა შინაარსების კავშირს გამოთქვამს. მსჯელობა სუბიექტის (S)

გარკვევაა პრედიკატის (P) საშუალებით. ამ გარკვევისას პრედიკატი მოაზრებულია როგორც ნიშანი, თვისება ... სუ[illegible]ლოგიკას არა აქვს უფლება ილაპარაკოს პრედიკატის [illegible]ბრივ გარკვეულობაზე და, მაშასადამე, არც კლასის კლასში შეყვანაზე, ანუ სუბსუმციაზე. სუბსუმციის თეორია და მისგან გამომდინარე პრედიკატის ქვანტიფიკაცია ლოგიკურად გაუმართლებელია

(შემოვიდა რედაქციაში 16. IV. 1956).

Г. А. ДЖИБУТИ

## ТЕОРИЯ СУБСУМЦИИ И ЕЁ КРИТИКА

### Резюме

Смысл теории субсумции заключается в следующем: в каждом суждении отношение между субъектом (S) и предикатом (P) — это отношение их объемов, отношение между классом S и классом P. Обычно класс S, утверждает эта теория, уже класса P; поэтому в суждении класс S подводится под класс P. Одним из видов теории объема является квантификация сказуемого (P) Гамильтона.

Как теория субсумции в общем, так и квантификация сказуемого в частности, по нашему мнению, страдают недостатками; целью суждения является определение субъекта суждения; субъект определяется предикатом. Но определяя субъект, сам предикат не определен по количеству. Например, из суждения „все люди смертны" вытекает ли, что кто-нибудь, кроме человека, является смертным и представляют ли люди часть смертных, мы об этом ничего не можем узнать. Для установления объемной связи между S и P теория объема рассматривает не одно, а два суждения: класс людей подводится под класс смертных потому, что, кроме людей, смертными являются и другие существа. Но каково отношение между S и P в конкретном суждении, это должно быть ясно видно из рассмотрения не двух, а одного суждения.

Объемное отношение между S и P и по смыслу не выражается в суждении. Что дает подведение человека под класс смертных? Оно дает право высказать, что, раз человек подводится под класс смертных, то он характеризуется смертностью.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Но если так, тогда зачем нам установление этой объемной связи между S и P тогда, когда, рассмотрев это суждение, мы прямо можем сказать, что P признак, содержание S.

Теория субсумции противоречит учению о распределении терминов в суждениях; в общеутвердительном суждении предикат (P) не распределен. По теории субсумции в этом суждении P должен быть распределенным, иначе, говорить о включении класса S в класс P, говорить об объемной теории будет нелепо. Суждение выражает знания о субъекте суждения. Эти знания отличаются друг от друга и по количеству. Но в суждениях количественно определен не предикат, а субъект.

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XV, 1956.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XV, 1956
ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. გ უ ლ უ ა

# მსჯელობა, როგორც ლოგიკის საგანი

მსჯელობის სხვადასხვა სახეების დასადგენად, მისი კანონზომიერების შესასწავლად საჭირო ხდება მსჯელობის ფორმის გამოყოფა, მისი სწორი აბსტრაქცია იმ მოვლენებისაგან, რომლებიც მასთან არსებობენ, მაგრამ აქვთ საკუთარი კანონზომიერებანი და სხვადასხვა მეცნიერების შესასწავლი ობიექტებია.

1. ასეთი მუშაობა საჭიროა იმიტომ, რომ მეცნიერების საგანი არ უდრის კონკრეტულ საგანს, რადგან ამ უკანასკნელში, როგორც კერძოში, ვლინდება მატერიის მოძრაობის ფორმათა თავისებურებანი და ამიტომ მასში სხვადასხვა მეცნიერების საკვლევი ობიექტია. მაგ., ქაღალდი, რომელიც ჩემს მაგიდაზე ძევს, როგორც კონკრეტული საგანი, არ შეიძლება ერთმა მეცნიერებამ შეისწავლოს; მასში არის ქიმიის, ფიზიკის, მათემატიკისა და სხვა მეცნიერებათა კანონზომიერებანი, რომელთა შესწავლა შე[საძ]ლებელი ხდება აბსტრაქციის გზით: ყოველი მეცნიერება ცალკე გამოყოფს, აბსტრაქციას ახდენს და სხვა მეცნიერების საგნის უყურადღებოდ დატოვებით სწავლობს თავის ობიექტს. გეომეტრიისათვის არა აქვს მნიშვნელობა, რა შედგენილობისაა ეს საგანი (ამ შემთხვევაში ქაღალდი), როგორია მისი ფიზიკურ-ქიმიური კანონზომიერებანი. ქიმია კი, პირიქით, ყურადღებას აქცევს არა ამ ქაღალდის ფორმას, არამედ მის ქიმიურ შედგენილობას. შეიძლება ითქვას, რომ ყოველი მეცნიერება თავისი საგნის სრულ იზოლაციას ახდენს აბსტრაქციის გზით და ამით შესაძლებელს ხდის გარკვეულ მოვლენათა კანონზომიერების შესწავლას.

ეს გარემოება არ გამორიცხავს მეცნიერებათა ურთიერთკავშირსა და ურთიერთდახმარების შესაძლებლობას: ფსიქოლოგია ითვალისწინებს და ეყრდნობა ფიზიოლოგიის მიღწევებს; გარკვეულ კავშირში არიან ენათმეცნიერება და ლოგიკა და ა. შ. მეცნიერებათა

ასეთი ურთიერთობა აუცილებელიცაა, მაგრამ მიმართებათა და კავშირთა დამყარებისათვის საჭიროა ამ დასაკავშირებელ მოვლენათა კანონზომიერების შესწავლა, რაც, როგორც ვნახეთ, აბსტრაქციის გზით არის შესაძლებელი.

ამრიგად, კონკრეტულში ზოგადის დანახვა და მეცნიერების საგნის სწორი აბსტრაქცია, სწორად გამოყოფა მეცნიერების წარმატებითი მუშაობის აუცილებელი პირობაა, ხოლო ამისი დარღვევის შედეგია ფსიქოლოგიზმი ლოგიკაში, ლოგიციზმი — გრამატიკაში და სხვა ჰეტეროგენური მოვლენანი — მეცნიერებაში. ამისი დაძლევა კი აუცილებელია, რათა ერთმანეთში არ იქნეს აღრეული სხვადასხვა მეცნიერების საგანი, ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური, ლოგიკის საგანი და გრამატიკული მოვლენები და ა. შ. მარქსიზმის აქსიომატური დებულებაა, რომ ერთმანეთისაგან იქნას გამიჯნული მეცნიერებათა საგანი — მატერიის მოძრაობის სხვადასხვა ფორმები — და დადგინდეს მათი კანონზომიერებანი.

2. აქედან ცხადია, რომ მსჯელობის შესწავლისათვის აუცილებელია გაირკვეს ის თანმხლები მოვლენები, რომლებიც მასთან არსებობენ, მაგრამ სხვა მეცნიერებათა შესასწავლი ობიექტებია. მაგალითად, მსჯელობა, როგორც ლოგიკის საგანი, სხვა მეცნიერებათა შესასწავლ მოვლენებთან გვეძლევა. ის არ შეიძლება იზოლირებულად არსებობდეს: მსჯელობა აზრის ფორმაა, ის წინადადებებში ვლინდება და მის გარეშე არ არსებობს.

აგრეთვე, ყოველი აზრი, სწორი თუ არასწორი, ასახვაა ობიექტური სამყაროსი, ის ობიექტურ სამყაროს სუბიექტური ხატია, ის მხოლოდ სუბიექტში არსებობს, სუბიექტური პროცესია. ამიტომ მსჯელობის კონკრეტულ ფაქტში ჩვენ ყოველთვის ერთად გვეძლევა მსჯელობა, წინადადება, ფსიქიკური პროცესები და გნოსეოლოგიური მომენტები. მაგ.: კონკრეტული ფაქტი „ვარდი წითელია“ ენათმეცნიერებისათვის წინადადებაა, ლოგიკისათვის არის მსჯელობა, ფსიქოლოგიისათვის კი — ფსიქიკური პროცესებია და ა. შ. რატომ? მოვლენაში „ვარდი წითელია“ აზრია გამოთქმული, ამიტომ გვაქვს: 1) მსჯელობა — აზრის ფორმა და 2) წინადადება — გამოთქმის ფორმა. აზრი სუბიექტმა გამოთქვა, ამიტომ ფსიქიკური (სუბიექტური) პროცესებიცაა და, ამასთან ერთად, მოცემულია სუბიექტისაგან დამოუკიდებელი შინაარსები — ობიექტური (ასახვის ფაქტი). როგორც ვხედავთ, ობიექტურად, სინამდვილეში ამ მოვლენათა ცალ-ცალკე არსებობა შეუძლებელია: აზრი გამოთქმის, მეტყველების გარეშე არ არსებობს; მეტყველე-

ბას კი თავის შინაარსს აზრი აძლევს, აზრის გარეშე მეტყველება არ არსებობს, ხოლო ეს პროცესები (აზრი და მეტყველება) სუბიექტის, რომელიც ასახავს, გარეშე არ არსებობენ. კონკრეტულად, ობიექტურად გვაქვს ერთი ფაქტი („ვარდი წითელია“), რომელშიც, როგორც ვნახეთ, არის სხვადასხვა კანონზომიერებანი, რომელთაც სხვადასხვა მეცნიერებანი სწავლობენ. ლოგიკა ამ კონკრეტული მოვლენებიდან ახდენს თავისი საგნის აბსტრაქციას, გამოყოფს თავის საგანს მისი თანმხლები მოვლენებისაგან. ამ ოპერაციის არასწორად წარმოების შედეგად გვაქვს ფსიქოლოგიზმისა და გრამატიციზმის მომენტები მთელ რიგ ლოგიკოსებთან. მაგ., ხ. ზიგვარტი, ლიპსი, ბ. ერდმანი და სხვ. ლოგიკოსები მსჯელობის ანალიზისა და მისი კანონზომიერების დადგენისას გამოდიან მსჯელობის ფსიქოლოგიურ პროცესთა თავისებურებიდან. ჰობსმა, ტროიცკიმ და თანამედროვე ბურჟუაზიულმა ლოგიკოსებმა (რასელი, კარნაპი, ვიტგენშტეინი და სხვ.) თავიანთ შრომებში, მიუხედავად მათი ფილოსოფიური შეხედულებების სხვადასხვაობისა, ლოგიკური (მსჯელობა) დაიყვანეს გრამატიკულზე (წინადადებაზე). პირველ შემთხვევაში არ არის ერთმანეთისაგან გამიჯნული ლოგიკური და ფსიქოლოგიური, ხოლო მეორე შემთხვევაში — ლოგიკური და გრამატიკული. მსჯელობის შესწავლისათვის აუცილებელია მსჯელობა გამოყოფილ იქნას იმ თანმხლები მოვლენებიდან, რომლებიც მსჯელობის კონკრეტულად, ემპირიულად არსებობისათვის აუცილებელია, მაგრამ მისი შესწავლისას კი მათთან აღრევა საზიანოა.

ა. დიალექტიკისა და ლოგიკის ურთიერთობის გარკვევისათვის, ჩვენი აზრით, ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, დადგენილ იქნას ლოგიკისა და ფსიქოლოგიის მიმართება, რადგან, მარქსისტულლენინური ფილოსოფიის თვალსაზრისით, ცნება, მსჯელობა ობიექტურის ასახვაა სუბიექტში, მათში სუბიექტური მოვლენებია. ამიტომ ე. წ. წმიდა აზრი არ არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ აზრი ობიექტის ნიშანია, ამით ის სუბიექტისაგან დამოუკიდებელია, მაგრამ ეს დამოუკიდებლობა არ არის აბსოლუტური, სუბიექტისაგან მოწყვეტილი, არამედ შეფარდებითია: აზრს, როგორც ასახვას, თან ერთვის სუბიექტური მომენტები. მსჯელობაში „ვარდი წითელია“ გვაქვს არა მარტო ასახვის ფორმა — მსჯელობა, არამედ ასახვის ფორმა სუბიექტში — მსჯელობა, როგორც პროცესი, რომელიც არ არის მსჯელობის ლოგიკური ფორმის განმსაზღვრელი, ამიტომ მსჯელობისაგან უნდა იქნეს გამოყოფილი არა მარტო მისი თანმხლები მომენტები (სიამოვნება, უსიამოვნება, რწმენა, ეჭვი

და სხვა), რომლებიც თან ახლავენ მსჯელობას, გამოკვეთილი არიან, როგორც ფსიქოლოგიური მომენტები და სწავლობს ფსიქოლოგია, არამედ მსჯელობისგან, ობიექტურის ასახვის ფორმისაგან, გამოიყოფა მსჯელობა — პროცესი, რომელიც სუბიექტში მიმდინარეობს და სუბიექტურ კანონს ემორჩილება. მსჯელობაში „ვარდი წითელია“ გვაქვს არა მარტო აზრითი (ცნებათა) მიმართება, სუბიექტისაგან დამოუკიდებელ ობიექტურ ნიშანთა მიმართება, არამედ ობიექტურ ნიშანთა მატარებელი პროცესის კავშირი; შეიძლება ითქვას, ობიექტურ ნიშანს, აზრს სუბიექტური პროცესი ისე ატარებს, როგორც წინადადება.

მსჯელობა ლოგიკური აზროვნების ფორმაა. ეს უკანასკნელი თვისებრივად განსხვავდება ცოცხალი განჭვრეტისაგან, იგი შემეცნების მაღალი საფეხურია და წვდება საგანთა და მოვლენათა არსს, მის კანონზომიერებას. ცოცხალი განჭვრეტისას (შეგრძნება, წარმოდგენა, აღქმა) გვეძლევა საგნის ზედაპირული, კონკრეტული მხარე. შემეცნების ამ საფეხურზე ჭარბადაა სუბიექტური მომენტები. შეგრძნება, წარმოდგენა ცვალებადია, ისინი განსხვავებულია სხვადასხვა სუბიექტში: ერთსა და იმავე საგანზე წარმოდგენა სხვადასხვაა არა თუ სხვადასხვა სუბიექტში, არამედ ერთსა და იმავე პიროვნებაში მისი მდგომარეობის მიხედვით. ამას განსაზღვრავენ როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური მომენტები: წარმოდგენა თვალსაჩინო განცდაა, რომლის განმეორება რთულია, აგრეთვე, წარმოდგენაში მოვლენათა (ან საგანთა) ზედაპირული, ნებისმიერი ნიშნებია, რომელთა წარმოდგენა სუბიექტის მდგომარეობის საფუძველზე იცვლება.

შემეცნების მაღალ საფეხურზე, ლოგიკური აზროვნებისას, მოვლენათა (საგანთა) ზოგადი (არსებითი) ნიშნები გვაქვს; მასში უკანა პლანზეა სუბიექტური მომენტები, ვიდრე შეგრძნება-წარმოდგენაში. მსჯელობაში წინა პლანზეა მისი საგნობრიობა, ის ნიშნები, რაც მასშია ასახული. მიუხედავად ამისა, მსჯელობა პროცესია, განცდაა, რომლის თავისებურება გავლენას არ ახდენს მსჯელობის ლოგიკურ ფორმაზე.

ბ. მსჯელობა არ არსებობს მისი მატერიალური გარსის — წინადადების გარეშე, რადგან „ენა აზრის უშუალო სინამდვილეა“. მაგრამ აქედან არ გამოდის მათი იგივეობა. უკანასკნელ შემთხვევაში არ გვექნებოდა სხვადასხვა ენა, ერთმანეთისაგან განსხვავებული ლექსიკური ფონდითა და გრამატიკული წყობით. მაგ., წინადადება, მიუხედავად იმისა, რომ ის მსჯელობასთან არსებობს,

განსხვავებული ფორმისაა. წინადადება გაირჩევა მისი სიტყვითი წყობის მიხედვით, მსჯელობა კი — აზრთა (ცნებათა) [illegible] თვალსაზრისით. ამიტომ წინადადება მრავალწევრიანია: [illegible] ქვემდებარისა და შემასმენლის გარდა, შეიძლება იყოს დამატებები (პირდაპირი, ირიბი და უბრალო), გარემოებები (ადგილის, დროის, მიზეზის, მიზნისა და ვითარების), განსაზღვრებანი, რადგან წინადადებაში ერთმანეთს უკავშირდება ადგილის, დროის, სამოქმედო საგნისა და სხვა მოვლენათა სიმბოლოები (სიტყვები); მსჯელობაში კი აზრთა (ცნებათა) კავშირია; აზრთა (ცნებათა) გამოსავლინებლად კი შეიძლება იყოს არა ერთი სიტყვა (მარტივი ტერმინი), არამედ მრავალი (რთული ტერმინი).

ამიტომ განსხვავებულია წინადადებებისა და მსჯელობის წყობა. მაგ.: წინადადება „სახლი, რომელიც გორაზე დგას, ძალიან ლამაზია“ აგებულობით რთულია. მასში ორი წინადადებაა: 1) მთავარი „სახლი ძალიან ლამაზია“ და 2) დამოკიდებული „რომელიც გორაზე დგას“. ლოგიკური თვალსაზრისით, აზრის ასე დანაწილება მისი დამახინჯებაა. მსჯელობის სუბიექტი გაბნეულია მთავარ და დამოკიდებულ წინადადებებში. ლოგიკური წყობის მიხედვით, მთავარი წინადადების ქვემდებარე და დამოკიდებული წინადადება შეადგენენ მსჯელობის სუბიექტს. ამ განსხვავებულ კანონზომიერებებს, რა თქმა უნდა, განსხვავებული მეცნიერებანი სწავლობენ. ამიტომ მსჯელობის შესწავლისათვის საჭირო ხდება მისი აბსტრაქცია, მისი გამოყოფა წინადადებისაგან.

გ) მარქსისტული ფილოსოფიის თვალსაზრისით, მსჯელობა ასახვის ფორმაა. ამიტომ შეიძლება თუ არა ვიფიქროთ, რომ ჭეშმარიტების საკითხი განსაზღვრავს მსჯელობას? ყოველი მსჯელობა ან ჭეშმარიტია ან მცდარი, რამდენად მნიშვნელოვანია ეს მომენტები მსჯელობის ფორმისათვის?

ზოგი ლოგიკოსი ფიქრობს, რომ მსჯელობა არ შეიძლება მცდარი იყოს; მცდარი მსჯელობა არის არა მსჯელობა, არამედ გამოთქმა. ეს მოსაზრება არ შეიძლება გავიზიაროთ, რადგან ის უარყოფს ლოგიკურის ბუნებას, მსჯელობის ლოგიკური ფორმის, ლოგიკური კანონზომიერების არსებობის ფაქტს.

ჭეშმარიტად მიჩნეული მსჯელობები დღეს, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების მაღალ დონეზე, მცდარი აღმოჩნდნენ არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ მრავალ ჭეშმარიტ მსჯელობებს მომავალი არ განიხილავს, როგორც მცდარს, მიუღებელს. შემეცნება არ არის გაყინული, ის ვითარდება; რაც დღეს არ ვი-

ცით, ხვალ გვეცოდინება. მსჯელობა „ატომი განუყოფელია" დღემდე ჭეშმარიტი იყო, დღეს კი მცდარია. ასეთივე ბედი [illegible]ელის დღეისათვის ჭეშმარიტად დაკანონებულ მთელ რიგ მსჯელობებს. ეს მარქსიზმის უდავო დებულებაა. ისმის კითხვა: თუ ჭეშმარიტება-მცდარობაზეა დამოკიდებული მსჯელობის არსებობის საკითხი, როგორც ამას ინტუიტივისტები და აგრეთვე სხვა ლოგიკოსები აღიარებენ, მაშინ საკითხავია, რა ფორმით აზროვნებდა კაცობრიობა დღემდე, ან რა ფორმით ვაზროვნებთ დღესაც, როდესაც ჩვენდა უნებურად მცდარად ვმსჯელობთ? რა უნდა დავარქვათ ამ ფორმას და რით უნდა განვასხვაოთ იგი მსჯელობის ლოგიკური ფორმისაგან? აი, კითხვები რომელზედაც ვერ გვიპასუხებენ ზემოთ ხსენებული თეორიის მქადაგებელნი. შეიძლება აგრეთვე ვიფიქროთ: თუ მცდარი მსჯელობა არ არის მსჯელობა, მაშინ მცდარი წინადადებაც არ იქნება წინადადება, ის ხომ მსჯელობის მატერიალური გარსია! ამიტომ კაცობრიობა აქამდე ხომ არ აზროვნებდა მსჯელობის გარეშე და ხომ არ ლაპარაკობდა წინადადების გარეშე, ეს, რა თქმა უნდა, სრული გაუგებრობაა. რადგან ამ მოსაზრების დაშვება უარყოფს მსჯელობის ფორმის, მისი კანონზომიერების არსებობას, ამით უარყოფს შესასწავლ მოვლენათა არსებობის ფაქტსაც, ამ თეორიის მიხედვით, გაუგებარია რომელ მსჯელობას ვუწოდოთ მსჯელობა, რომელი იქნება ჭეშმარიტი.

ყოველი წინადადება, თუნდაც მასში სისულელე იყოს გამოთქმული, არის წინადადება და მის არსებობის ფაქტს განსაზღვრავს გრამატიკული მომენტები: სიტყვათა შეკავშირება, მორფოლოგიისა და სინტაქსის წესები. ასევე, მსჯელობას განსაზღვრავს არა მასში გამოთქმული ჭეშმარიტება-მცდარობის მომენტები (რადგან ეს უკანასკნელი არ ეხება მსჯელობის ლოგიკურ ფორმას), არამედ აზრთა ლოგიკური ურთიერთმიმართება, მათი კავშირი. ამრიგად, მსჯელობის ფორმაში, ისევე როგორც წინადადებაში, ერთნაირად მოთავსდება როგორც მცდარი, ისე ჭეშმარიტი აზრი; ამ მოვლენებს არა აქვს მნიშვნელობა მსჯელობის შესწავლისათვის (აქედან არ გამოდის: თითქოს მსჯელობა ცარიელი გარსია. ამაზე ქვემოთ).

დ) ზემოთ განხილული მომენტების გარდა, მსჯელობის ფორმაზე გავლენას არ ახდენს მისი კონკრეტული შინაარსი. მსჯელობის იგივეობრივი ფორმით შეიძლება გამოითქვას და აისახოს როგორც ბუნების, ისე საზოგადოებრივი მოვლენები: „დაფა შავია", „ვეფხვი მხეცია", „რკინა ელექტრობის გამტარია" იგი-

ვეობრივი ფორმის მსჯელობებია, მიუხედავად იმისა, რომ მათში არსებითად განსხვავებული შინაარსებია მოცემული. სამივე შემთხვევაში მსჯელობის პრედიკატი ასახავს საგნის თვის[illegible] სუბიექტი კი — საგანს; სამივე შემთხვევაში სუბიექტსა და პრედიკატს შორის მიმართება იგივეობრივია: სუბიექტების მიმართ გარკვეული თვისება დასტურდება.

ლოგიკა ყურადღებას აქცევს და სწავლობს არა კონკრეტულ სუბიექტს, არა კონკრეტულ პრედიკატს, არამედ პრედიკატს საერთოდ, სუბიექტს საერთოდ.

მეცნიერების დამახასიათებელი თვისებაა ზოგადის დანახვა კონკრეტულში; არა კონკრეტულ ადამიანთა სისხლის მიმოქცევის კანონზომიერების ცალ-ცალკე შესწავლა, არა კონკრეტულ მცენარეთა თვისებების დადგენა, არამედ რომელიმე ინდივიდის, ცალკეულის შესწავლის საფუძველზე მეცნიერება აყალიბებს მათს კანონზომიერებებს, ადამიანთა ან მცენარეთა ზოგად თვისებებს. მეცნიერების ასეთი მუშაობა ნათლად ვლინდება გეომეტრიაში, გრამატიკაში. ეს უკანასკნელი სწავლობს არა კონკრეტულ ქვემდებარეს, არა კონკრეტულ შემასმენელს, არამედ ქვემდებარეს — საერთოდ, შემასმენელს — საერთოდ, ზოგადს, კანონს, რომელიც საფუძვლად უძევს წინადადებათა და სიტყვათა წყობას, განსაზღვრავს მათს თავისებურებას.

ასეთივე მუშაობას აწარმოებს ლოგიკა, რადგან ორივე ერთი ბუნებისაა: ერთი (ლოგიკა) სწავლობს აზრის ფორმას. მეორე (გრამატიკა) კი — სიტყვის (წინადადების) ფორმას. ლოგიკის საგანი, აზროვნების ფორმები, რომლებიც საკაცობრიოა, არ არის დამოკიდებული ადამიანთა სოციალურ და ეროვნულ თავისებურებებზე, გრამატიკული ფორმები კი — ეროვნულია, იგი გარკვეული ენის ფარგლებშია. შეიძლება ითქვას: გრამატიკული ფორმები და ლექსიკური ფონდი ადამიანთა გაგებინების შესაძლებლობას იძლევა გარკვეულ ფარგლებში, ქართველი ქართული ენის მცოდნეს აგებინებს, რუსული ენის გაგებისათვის საჭიროა მისი ცოდნა. ამიტომ დგას ენების შესწავლის საჭიროება. ენათა განსხვავებული გრამატიკული ფორმები და ლექსიკური ფონდი არ გვაძლევს შესაძლებლობას სხვა ენაზე მოლაპარაკეს, თუ ეს ენა არ ვიცით, გავაგებინოთ ჩვენი აზრი, ამიტომ იქმნება თარგმნის საჭიროება. მაგრამ რა იძლევა თარგმნის შესაძლებლობას? ლოგიკური ფორმა, რომელიც საკაცობრიოა, საერთოა ყველა ერისათვის. მაგ. წინადადება „ვარდი წითელია“ გაუგებარია ქართული ენის არამცოდნესათვის. ეს წინადადება სხვადასხვა ენებში სხვადასხვანაირად გამო-

ითქმის, მაგრამ ფორმა აზრისა, რომელ ენაზედაც არ უნდა იყოს ის, საერთოა, როგორც საერთოა აღქმა ამ მოვლენისა. წითელი ვარდის დანახვა ყველა ადამიანში ერთი გარკვეული სახის აღქმას იწვევს, რომლის აბსტრაქცია ქმნის გარკვეულ აზრს ყველა ადამიანში. აზრის ფორმა საერთოა, რომლის კანონზომიერებას სწავლობს ლოგიკა. მაგრამ გამოვლინების ფორმა, მატერიალური გარსი, სიმბოლური გამოხატულება, სიტყვათა შეკავშირების კანონზომიერებანი სხვადასხვა ენაში განსხვავებულია, ამიტომ მათ სხვადასხვა ენის გრამატიკა სწავლობს. ამრიგად, ლოგიკის ფორმები განსხვავებულია გრამატიკულისაგან; პირველი საკაცობრიოა, მეორე კი გარკვეული ენის ფარგლებში თავსდება, მაგრამ ისინი მაინც საერთო ბუნებისანი არიან. ლოგიკა აზრის ფორმას სწავლობს, გრამატიკა კი — ენისას, ამიტომ ლოგიკას ისევე ევალება კონკრეტულისაგან ზოგადის აბსტრაქცია, როგორც გრამატიკას.

ამრიგად, მსჯელობის კონკრეტულ ფაქტში („ვარდი წითელია") მოცემულია გრამატიკული ფორმა — წინადადება, ფსიქიკური პროცესები, ასახვის ფაქტი, ლოგიკური ფორმა — მსჯელობა, რომელთაც აქვთ განსხვავებული კანონზომიერებანი და ამიტომ მათ სწავლობს სხვადასხვა მეცნიერება. მსჯელობის შესწავლისათვის აუცილებელია მისი აბსტრაქცია ზემოთ ჩამოთვლილი თანმხლები მოვლენებისაგან. რათა არ იქნეს ერთმანეთში აღრეული კანონზომიერებანი ლოგიკის, ფსიქოლოგიისა და გრამატიკის[1].

მსჯელობის ფორმის შესწავლისათვის საჭიროა, მსჯელობა მკვეთრად გავმიჯნოთ მისი თანმხლები მოვლენებისაგან.

3. მსჯელობაში გვაქვს: 1) სუბიექტი — ის ცნება, რომელზედაც ვამყარებთ მიმართებას, რომელზედაც რაიმეს ვადასტურებთ, 2) პრედიკატი, ის მიმართება, რასაც ვამყარებთ, ის, რასაც ვადასტურებთ და 3) მიმართების ფორმა, დასტურის ფორმა. თუ ეს მომენტები დაცულია, გვაქვს მსჯელობა. თუ ეს მომენტები არ არის, მსჯელობაც არ გვექნება, რადგან მსჯელობაში ყოველთვის სამი წევ-

[1] ამ მოვლენათა აღრევის ფაქტი არც ისე იშვიათია ლოგიკაში: ხ. ზიგვარტის (იხ. Х. Зигварт, Логика, 1908); ბ. ერდმანის Benno Erdmann, Logik, I, Band, 1907); მილის (იხ. Милль, Система логики, 1900) და სხვ. შრომებში მსჯელობა ფსიქოლოგისტური თვალსაზრისითაა განხილული. ხოლო ჰობსი (იხ. Т. Гоббс, Избранные произведения, 1926) და ტროიცკი (იხ. Троицкий, Учебник логики, 1886) გრამატიცისტები არიან ლოგიკაში. თანამედროვე ბურჟუაზიულ ლოგიკოსებთან (რასელი, კარნაპი, ვიტგენშტეინი და სხვები) მეცნიერების არსად გამოცხადებულია ლოგიკა, რომელიც გრამატიკაზეა დაყვანილი და მეცნიერების ძირითად მიზნად გამოცხადებულია წინადადების გრამატიკული ანალიზი.

რია, წევრთა რაოდენობით მსჯელობა განსხვავდება [illegible] და ემსგავსება დასკვნას, მაგრამ დასკვნაში აზრთა [illegible]ობაა, ორთა (მსჯელობათა) კავშირი გვაძლევს მესამეს; მსჯელობაში კი მიმართება და კავშირია სუბიექტსა და პრედიკატს შორის. ამიტომ მსჯელობა აზროვნების ისეთი ფორმაა, სადაც მოცემულია ცნებათა (ან წარმოდგენათა) მიმართება და არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ როგორია ეს მიმართება: არის თუ არა ჭეშმარიტი, როგორ განიცდის მას სუბიექტი, რა სახის წინადადებით გამოითქმის ის.

ცნება, მსჯელობა და დასკვნა აზროვნების ფორმებია; მათ შორის ორგანული კავშირია. ცნება მსჯელობაში გადადის, მსჯელობა — დასკვნაში, ეს უკანასკნელი კი — ცნებაში. ცნება მსჯელობისა და დასკვნის ელემენტიცაა და მათი შედეგიც. სამივე ამ ფორმაში აზრთა მიმართებაა. ცნებაში ნიშანთა მიმართება, ნიშნებია გააზრებული. მსჯელობაში კი ცნებათა (ან წარმოდგენათა) მიმართებაა.

ამრიგად, მსჯელობისათვის ძირითადია ცნებათა მიმართებისა და კავშირის საკითხი. ამ მოვლენის ანალიზს ემსახურება ლოგიკა — ეს არის ძირითადი მსჯელობის შესწავლისას.

მსჯელობის ფორმა კი ობიექტურად არსებულ მიმართებათა და კავშირთა ასახვაა. საგანი (მაგ. ვარდი) და თვისება (წითელი) ქმნიან გარკვეულ მიმართებას, კავშირს; რომელიც განსხვავებულია საგნებს შორის (A და B) არსებული მიმართებებისაგან. ეს განსხვავებულობანი გვაძლევენ სხვადასხვა სახის მსჯელობებს. პირველ მაგალითში („ვარდი წითელია") მსჯელობა თვისებითია, მეორე შემთხვევაში კი („A ?ეტია B-ზე") — მიმართებითია.

მსჯელობის ფორმა ასახვის ფორმაა, ის გვაძლევს შესაძლებლობას შევიცნოთ ობიექტური სამყარო, ის არ არის ცარიელი გარსი. „Логические формы и законы не пустая оболочка, а отражение объективного мира"[1]. ეს არის სახელმძღვანელო პრინციპი ლოგიკაში, მაგრამ მსჯელობის შესწავლისას მთავარი ყურადღება ექცევა ცნებათა მიმართებას, ამიტომ მსჯელობის შესწავლა ცნებათა ურთიერთობის დადგენაა, მისი ანალიზია. ეს არის ლოგიკის უშუალო ამოცანა.

(შემოვიდა რედაქციაში 15. V. 1956).

---

[1] В. И. Ленин, Философские тетради, 1947, გვ. 155.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

В. Л. ГУЛУА

## СУЖДЕНИЕ, КАК ПРЕДМЕТ ЛОГИКИ

### Резюме

Форма суждения, так же как предмет науки вообще, существует не изолированно, отдельно от других явлений, а вместе с различными науками — с ней сочетаются психологические, грамматические и другие явления; поэтому у целого ряда логиков логическая форма перемешана или с психологическими (Х. Зигварт, Липс, Вундт, Милль и др.) или с грамматическими (Гоббс, Троицкий, современные буржуазные логики) закономерностями.

Первым условием для изучения формы суждения является её абстракция от этих явлений. Необходимо выделить из суждения сомнение, веру, эмпирические процессы суждения и др.

Особенности языка, законы и правила языка, отличные от суждения, не должны быть привнесены для установления форм суждения.

А это необходимо во избежание психологизма и грамматицизма.

Логическая форма суждения отличается также от её гносеологической стороны.

Предметом логики является суждение, как форма — особенности отношений и связей субъекта и предиката, их анализ. Это — непосредственная задача логики.

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XV, 1956.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XV, 1956.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. ურიდია

# ე. წ. არასილოგისტური დასკვნების პირობით-კატეგორიულ სილოგიზმზე დაყვანის თეორიის შესახებ

ლოგიკაში დასკვნათა კლასიფიკაციის საკითხი ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. ამ საკითხის გარშემო დღემდე არ არის ერთი ისეთი თეორია, რომელიც დამაკმაყოფილებლად ხსნიდეს დასკვნის ყველა ფორმას. ისიც კი დაუდგენელია, თუ რა ფორმები მიეკუთვნება დედუქციურ დასკვნას მაშინ, როცა იგი, ასე თუ ისე, ყველაზე მეტად გარკვეულად ითვლება[1].

დასკვნათა კლასიფიკაციის შესახებ მრავალი თეორია არსებობს. ამის მიზეზი ბევრი სხვადასხვა რამ არის, მაგრამ ერთ-ერთ, შეიძლება, მთავარ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ე. წ. არასილოგისტურ დასკვნათა კლასიფიკაციის საკითხის გადაუჭრელობა. დასკვნათა კლასიფიკაციის დროს ე. წ. არასილოგისტურ დასკვნათა კანონიერი კლასიფიკაცია ყველაზე უფრო ძნელ და რთულ საკითხად ითვლება. სწორედ ამის გამო ე. წ. არასილოგისტური დასკვნების კლასიფიკაციის საკითხი დღემდე გადაუწყვეტელია[2].

ჩვენი შრომა მიზნად ისახავს ე. წ. არასილოგისტური დასკვნების პირობით-კატეგორიულ სილოგიზმზე დაყვანის თეორიის კრიტიკას. ეს თეორია მიუღებელია ორი ძირითადი მიზეზის გამო. ერთი ის, რომ მას მივყავართ დასკვნათა უამრავი ფორმის სრულ გაუქმებამდე, მეორე — იგი ლოგი-

---

[1] პროფ. კ. ბაქრაძე, ლოგიკა, 1954, გვ. 319.

[2] პროფ. კ. ბაქრაძე წერს: „უნდა ითქვას, რომ დღემდე არ არსებობს მიღებული კლასიფიკაცია არასილოგისტური დასკვნებისა“, ლოგიკა, 1946, გვ. 208.

დოც. ს. წერეთელი წერს: „როგორც ცნობილია, გადაუწყვეტელია არასილოგისტური დასკვნების პრობლემაც“, ფილოსოფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1949, გვ. 108.

კურ შეცდომას ეფუძნება. ამ თეორიის მცდარობის ჩვენება, ჩვენი აზრით, ე. წ. არასილოგისტურ დასკვნათა [illegible] კლასიფიკაციის საკითხის ერთ-ერთი მხარის გარკვევას ნიშნავს. სახელდობრ, იგი გვიჩვენებს, რომ ე. წ. არასილოგისტური დასკვნები დასკვნის დამოუკიდებელი სახეა; თუ როგორი და რომელ სახეს მიეკუთვნება, ამაზე აქ არ გვექნება საუბარი.

არასილოგისტური დასკვნები განსხვავდებიან სილოგისტური დასკვნებისაგან. მათ მრავალი ნიშანი განასხვავებს ერთმანეთისგან, მაგრამ არსებითი განსხვავება დასკვნის ამ ორ სახეს შორის იმაში მდგომარეობს, რომ სილოგისტურ დასკვნაში სამი ცნება-ტერმინია, არასილოგისტურში კი — ყოველთვის სამზე მეტი[1]. სილოგისტურ დასკვნაში დანასკვი წანამძღვრებთან შედარებით ყოველთვის ნაკლებად ზოგადია. არასილოგისტურში კი დანასკვი და წანამძღვრები ერთი და იმავე ზოგადობისაა.

§ 1. ე. წ. არასილოგისტური დასკვნების პირობით-კატეგორიულ დასკვნაზე „დაყვანას" მივყევართ დასკვნათა უამრავი ფორმის სრულ გაუქმებამდე; არასილოგისტური დასკვნის, როგორც ობიექტური ფაქტის, უარყოფამდე.

ე. წ. არასილოგისტურ დასკვნათა კლასიფიკაციის ძნელ და რთულ საკითხს ზოგი ლოგიკოსი ადვილად „აწესრიგებს" იმით, რომ შესაძლებლად მიაჩნია აღნიშნული დასკვნების „დაყვანა" სილოგისტურზე. ამ თეორიის წარმომადგენელთა აზრით, არასილოგისტური დასკვნა შეიძლება დაყვანილ იქნას პირობით-კატეგორიულ სილოგიზმად წოდებულ დასკვნაზე. მათი აზრით, არასილოგისტური დასკვნები წარმოადგენენ სილოგისტური დასკვნების შემოკლებულ გამოთქმებს. არასილოგისტური დასკვნა არ არის დამოუკიდებელი დასკვნა. იგი არის ენთიმემა, რომელშიც დიდი წანამძღვარი ნაგულისხმევია. არასილოგისტური დასკვნების სილოგისტურ დასკვნებზე დაყვანის შეუძლებლობა, მათი ფიქრით, იმაზეა დაფუძნებული, რომ სილოგისტური დასკვნის დროს მხედველობაში აქვთ მხოლოდ კატეგორიული სილოგიზმი და ყურადღების გარეშეა დატოვებული პირობით-კატეგორიული სილოგიზმის არსებობა. ამ თეორიის ცნობილ წარმომადგენლად ითვლება ზიგვარტი. მის შემდეგ აღნიშნულ თეორიას მრავალი მიმდევარი ჰყავს.

[1] ამის შესახებ დაწვრილებით — პროფ. კ. ბაქრაძე, „ლოგიკა", 1946, გვ. 206—211.

ამ თეორიის მიმდევარია ზოგიერთი საბჭოთა ლოგიკ[illegible] მ. სტროგოვიჩი.

ბიბლიოთეკა

1. არასილოგისტური დასკვნების პირობით-კატეგორიულ სილოგიზმად წოდებულ დასკვნაზე „დაყვანის“ თეორიის მომხრეები არსებითად ერთ ძირითად აზრს იზიარებენ[1]. როგორც ზიგვარტი, ასევე სტროგოვიჩი არასილოგისტური დასკვნების პირობით-კატეგორიულ სილოგიზმად წოდებულ დასკვნაზე დაყვანის რამდენიმე მაგალითს განიხილავენ[2]. მათი აზრით, ე. წ. არასილოგისტური დასკვნა A=B, B=C, მაშასადამე A=C დიდ წანამძღვრად გულისხმობს: თუ ორი სიდიდე ცალ-ცალკე მესამის ტოლია, მაშინ ისინი ერთმანეთის ტოლია. წანამძღვრები A=B და B=C კი ერთ მსჯელობადაა წარმოდგენილი, სახელდობრ A და C ცალ-ცალკე B-ს ტოლია[3]. აქ დასკვნის პრინციპი დასკვნის წანამძღვრად არის გამხდარი. ასეთი შეხედულების მიღება არ შეიძლება, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ რომ, რის საფუძველზედაც ეს დაყვანა ხდება, შეუძლებელია დიდი წანამძღვარი იყოს. უნდა აღინიშნოს, რომ დებულება: „თუ ორი სიდიდე ცალ-ცალკე მესამის ტოლია, მაშინ ისინი ერთმანეთის ტოლია“, არის წესი, აქსიომა, რომლის თანახმად წარმოებს დასკვნა და არა წანამძღვარი, რომლიდანაც გამომდინარეობს დანასკვი[4].

თუ დავდგებოდით იმ არასწორი თეორიის თვალსაზრისზე, რომლის მიხედვით ე. წ. არასილოგისტური დასკვნები დაიყვანებიან პირობით-კატეგორიულ სილოგიზმად წოდებულ დასკვნაზე, მაშინ ამით დასკვნის უამრავ ფორმას დავუკარგავდით იმ დამოუკიდებელ მნიშვნელობას, რომელიც მათ აქვთ დასკვნის პროცესის დროს, ამავე დროს პირობით-კატეგორიულ სილოგიზმად წოდებულ დასკვნას შევუნარჩუნებდით არა თავის ფუნქციას, არამედ გავხდიდით დასკვნის საყოველთაო ფორმად.

2. სადავო არ არის, რომ როგორც საერთოდ მეცნიერების, ასევე ლოგიკის, როგორც მეცნიერების, კანონები ობიექტური ხასიათისაა. ობიექტური ხასიათისაა არასილოგისტური დასკვნების კანონებიც. ამიტომაც ამ კანონების როგორც შექმნა, ასევე გარ-

---

[1] Х. Зигварт, Логика, 1908, ტ. I, გვ. 377—380; М. Строгович, Логика, 1949, გვ. 267—272.

[2] იხ. აღნიშნული შრომები, ხ. ზიგვარტი, გვ. 778—779, მ. სტროგოვიჩი, გვ. 269.

[3] ხ. ზიგვარტი, გვ. 378.

[4] პროფ. კ. ბაქრაძე, ლოგიკა, 1946, გვ. 213.

დაქმნა ადამიანთა ნებასურვილზე არაა დამოკიდებული. არასილოგისტური დასკვნების დაყვანა პირობით-კატეგორიულ სილოგიზმად წოდებულ დასკვნაზე ნიშნავს იმას, რომ შეიძლება დასკვნის ერთი ფორმის მოსპობა და მისი სხვა ფორმით, სხვა კანონებით შეცვლა. ამგვარი რამ კი სინამდვილეში შეუძლებელია. შეუძლებელია იმიტომ, რომ დასკვნის ეს ფორმა გარკვეული ფაქტია, მოვლენაა, რომელიც გარკვეული კანონზომიერებით ხასიათდება. ხოლო ეს გარკვეული კანონზომიერების მქონე ფაქტი, მოვლენა, ჩვენ ნებასურვილზე არაა დამოკიდებული, იგი დამოუკიდებელია. ის, ვინც არასილოგისტური დასკვნების დაყვანაზე მიუთითებს, უდავოდ გარკვეული კანონზომიერების მქონე ფაქტის მოსპობაზე ლაპარაკობს. იგი უდავოდ უარყოფს ამ გარკვეული კანონზომიერი ფაქტის ობიექტურ კანონზომიერებას. სხვაგვარად, ვისაც არასილოგისტური დასკვნები დაჰყავს პირობით-კატეგორიულ სილოგიზმად წოდებულ დასკვნაზე, ის უარყოფს არასილოგისტური დასკვნების ობიექტურ ხასიათს. ეს სუბიექტური იდეალიზმის გზაზე დადგომას ნიშნავს.

**§ 2. ე. წ. არასილოგისტური დასკვნების პირობით-კატეგორიულ სილოგიზმზე დაყვანა არასილოგისტური დასკვნის იმავე ბუნების არასილოგისტურ დასკვნაზე დაყვანას ნიშნავს.**

1. ე. წ. არასილოგისტური დასკვნების პირობით-კატეგორიულ სილოგიზმად წოდებულ დასკვნაზე დაყვანა თუნდაც ყოველმხრივ გამართლებული იყოს, ამით მაინც სრულებითაც ვერ გადავწყვეტთ საკითხს, რადგან პირობით-კატეგორიულ სილოგიზმად წოდებული დასკვნები სრულიად არ არიან სილოგისტური. ისინი სავსებით არ ემორჩილებიან სილოგიზმის წესებს. როგორც არასილოგისტურ დასკვნაში სამზე მეტი ცნებაა და ამის გამო არ ემორჩილება სილოგიზმის წესებს, ასევე პირობით-კატეგორიულ სილოგიზმად წოდებულ დასკვნაშიც სამზე მეტი ცნებაა და არ ემორჩილება სილოგიზმის წესებს. როგორც არასილოგისტურ დასკვნებში, სილოგისტური დასკვნებისაგან განსხვავებით, არაა უფრო ზოგადიდან ნაკლებად ზოგადისაკენ სვლა, ასევე პირობით-კატეგორიულ სილოგიზმად წოდებულ დასკვნებში არაა უფრო ზოგადიდან ნაკლებად ზოგადისაკენ სვლა და ამითაც განსხვავდებიან ისინი სილოგისტური დასკვნებისაგან. პირობით-კატეგორიულ სილოგიზმად წოდებული დასკვნები და არასილოგისტური დასკვნები აღნიშნული მიმართებით ერთი ბუნებისაა. ამიტომაც არასილოგისტური დასკვნების დაყვანა პირობით-კატეგორიულ დასკვნაზე მოკლებულია ყოველ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვარ აზრს. სხვაგვარად, ეს დაყვანა გამართლებულიც, რომ იყოს, ე. წ. არასილოგისტური დასკვნა დაგვყავს მისივე ბუნების დასკვნაზე.

აღნიშნული აზრის ცხადსაყოფად განვიხილოთ პირობით-კატეგორიულ სილოგიზმად წოდებული დასკვნა:

თუ სამყარო მატერიალურია, მაშინ იგი დროსა და სივრცეში არსებულია
სამყარო მატერიალურია
―――――――――――――――――
მაშასადამე, სამყარო დროსა და სივრცეში არსებულია.

ამ დასკვნის სქემა ასეთი იქნება:

თუ A არის B, მაშინ C არის D
A არის B
――――――――
მაშასადამე, C არის D

დასკვნის ამ ფორმაში არ არის სვლა ზოგადიდან ნაკლებად ზოგადისაკენ. როგორი ზოგადობისაა შედეგი (დანასკვი), იმავე ზოგადობისაა საფუძველიც (წანამძღვრები). ამავე დროს, აღნიშნულ დასკვნაში სამზე მეტი ცნებაა. ასე რომ, იგი არაა სილოგისტური დასკვნა.

მაშასადამე, როგორც, ე. წ. არასილოგისტური დასკვნა არ არის სილოგისტური, ასევე არ არის სილოგისტური პირობით-კატეგორიულ სილოგიზმად წოდებული დასკვნაც. იგი განსხვავდება სილოგისტურისაგან. სწორედ ამიტომ, როცა არასილოგისტური დასკვნები პირობით-კატეგორიულ სილოგიზმად წოდებულ დასკვნაზე დაჰყავთ, ლოგიკურ შეცდომას უშვებენ

2. ე. წ. არასილოგისტური დასკვნების პირობით-კატეგორიულ დასკვნაზე დაყვანის თეორიის მომხრეთა აზრით, არასილოგისტური დასკვნების ცალკე სახედ გამოყოფა შეუძლებელია, აგრეთვე, იმიტომ, რომ შეუძლებელია მათი ჩამოთვლა; მათ არა აქვთ არავითარი ლოგიკური საფუძველი და ამდენად მოკლებული არიან ყოველგვარ გარკვეულობას; შეუძლებელია მათთვის დადგენილ იქნას რაიმე ლოგიკური წესი, ლოგიკური კანონი. ვერც ამ მოსაზრებას დავეთანხმებით. მართალია, შეუძლებელია არასილოგისტურ დასკვნათა ყველა ფორმის ჩამოთვლა, მაგრამ ეს არც ესაჭიროება ლოგიკას, არაა მისთვის აუცილებელი. ლოგიკისათვის აუცილებელია, რომ დასკვნათა ამ უამრავი ფორმისათვის ერთი საერთო ნიშანი დაადგინოს, რომლითაც შესაძლებელი იქნება მათი ერთ კანონზომიერებაზე დამორჩილება, ე. ი. მათი სისტემაში მოყვანა. არასილოგისტური დასკვნებისათვის დასკვნის მსვლელობის მხრივ ასეთი ერთი საერთო კანონზომიერების მქონე ნიშანია ე რ თ ნ ა -

ირი ზოგადობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყველა არასილოგისტურ დასკვნაში წანამძღვრები და დანასკვი ერთნაირი ზოგადობისაა; როგორი ზოგადობისაა წანამძღვრები, იმგვარივე ზოგადობისაა დანასკვიც. ამიტომაც განსხვავდებიან ისინი როგორც სილოგისტური, ასევე ინდუქციური დასკვნებისაგან. ნიშანი — ერთნაირი ზოგადობა წანამძღვრისა და დანასკვისა — აი რა იქნება არასილოგისტური დასკვნების ერთ სისტემაში მომყვანი[1].

უმართებულოა ის აზრიც, რომ არასილოგისტურ დასკვნებს თითქოს არა აქვთ ლოგიკური წესი, კანონი. ამ სახის დასკვნათა წანამძღვრებში გამოთქმულია თავისებური მიმართებანი. დასკვნის ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მოცემულია ერთმანეთისაგან განსხვავებული მიმართებანი, ამიტომაც ისინი დაფუძნებულია სხვადასხვა აქსიომებზე, წესებზე, რომელთა თანახმად წარმოებს დასკვნა.

ცნობილია, რომ სილოგისტური დასკვნები აიხსნებიან მხოლოდ აქსიომების საშუალებით. აქსიომაში გამოიხატება სილოგისტური დასკვნის არსება. როგორც სილოგისტურ დასკვნაში მისი აქსიომა არ არის წანამძღვარი და მისგან არ გამომდინარეობს დანასკვი, არამედ იგი სილოგისტური დასკვნის წესია, რომლის თანახმადაც წანამძღვრებიდან გამომდინარეობს დანასკვი, ასევე არასილოგისტურ დასკვნებში აქსიომა არის არა წანამძღვარი, არამედ წესი, რომლის თანახმადაც წანამძღვრებიდან გამომდინარეობს დანასკვი. არასილოგისტური დასკვნის ამა თუ იმ ფორმის აქსიომა თვით ამ კონკრეტულ დასკვნათა ფორმების აბსტრაქციის შედეგია. სხვანაირად, ლოგიკა, ახდენს რა დასკვნათა კონკრეტული ფორმების აბსტრაქციას, აგებს ლოგიკურ წესებს, ლოგიკურ კანონებს, ხოლო ეს წესები და კანონები შეუძლებელია ამა თუ იმ ფორმის დასკვნის წანამძღვარი იყოს. ამგვარად, არასილოგისტური დასკვნის ამა თუ იმ ფორმის დასკვნის აქსიომა არის ამა თუ იმ კონკრეტული დასკვნის აბსტრაქტული ფორმა და, ამდენად, ის არის წესი ამა თუ იმ დასკვნისათვის. არასილოგისტური დასკვნის ამა თუ იმ ფორმის დასკვნა ემორჩილება თავის აქსიომას, წესს.

(შემოვიდა რედაქციაში 15. II. 1956).

[1] ამ ნიშნით დასკვნათა სხვა ფორმების კლასიფიკაციაც შეიძლება მოხდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Б. И. УРИДИЯ

# О ТЕОРИИ СВЕДЕНИЯ Т. Н. НЕСИЛЛОГИЧЕСКИХ УМОЗАКЛЮЧЕНИЙ К УСЛОВНО-КАТЕГОРИЧЕСКОМУ СИЛЛОГИЗМУ

## Резюме

Теория сведения т. н. несиллогических умозаключений к условно-категорическому силлогизму в корне ошибочна.

Во-первых, потому, что она приводит к полному уничтожению множества форм умозаключения, к отрицанию несиллогического умозаключения, как объективного факта. Согласно этой теории, всякая форма умозаключения теряет то свое, самостоятельное значение, которое она имеет в процессе умозаключения.

Во-вторых, если бы сведение т. н. несиллогических умозаключений к умозаключению, называемому условно-категорическим, было во всех отношениях правильно, мы все же совершенно не достигаем решения вопроса, потому что эти умозаключения, признаваемые условными силлогизмами, вовсе не являются силлогическими. Они совершенно не подчиняются правилам силлогизма. Как в т. н. несиллогических, так и в умозаключениях, выдаваемых за условно-категорические, больше трех понятий и нет следования от более общего к менее общему. В этом отношении т. н. несиллогические умозаключения и у..заключения, выдаваемые за условно-категорические, одной природы. Поэтому сведение т. н. несиллогических умозаключений к условно-категорическим лишено всякого смысла.

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XV, 1956.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XV, 1956.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ. აფრიდონიძე

# 1903 წლის ივლისის საყოველთაო გაფიცვა ჭიათურაში

## 1.

„საზოგადოებრივი მეურნეობის ორი წყობის შეცვლა სამთო მრეწველობაში განსაკუთრებული სიცხადით აშკარავდება“,—წერდა ლენინი. აქ ჩვენ ვხედავთ „ყოველგვარ ტრადიციასთან კავშირის სავსებით გაწყვეტას, ტექნიკურ გადატრიალებას და წმინდა კაპიტალისტური მანქანური ინდუსტრიის სწრაფ ზრდას“[1].

ასეთი მანქანური ინდუსტრიის სწრაფი განვითარების ერთ ტიპიურ მაგალითს წარმოადგენდა ჭიათურა, სადაც მე-19 საუკუნის უკანასკნელ ათეულ წლებში დაიწყო მარგანეცის ინტენსიური ამოღება. მეფის რუსეთის საერთო სამრეწველო აღმავლობის პერიოდში, კერძოდ, მე-19 საუკუნის 90-იან წლებში მარგანეცის ამოღება ტექნიკური გაუმჯობესების შესაბამისად შესამჩნევად გაიზარდა და ჭიათურა გახდა სამთო მრეწველობის ერთ-ერთი დიდი ცენტრი მთელს მეფის რუსეთში.

ჭიათურის სამთო მრეწველობის ზრდის სისწრაფეს საკმაო სიზუსტით ადასტურებს მონაცემები მარგანეცის ამოღების შესახებ. 1895 წლისათვის მარგანეცის წლიური საშუალო ამოღება ჭიათურაში 7.203.649 ფუთს შეადგენდა, ხოლო 1900 წლისათვის მან უკვე 40.363.492 ფუთს მიაღწია. ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ მარგანეცის წლიური საშუალო ამოღება 5 წლის მანძილზე $5^1/_2$-ჯერ გაზრდილა. მარგანეცის ამოღების ზრდის ასეთმა დიდმა კოეფიციენტმა განსაზღვრა ჭიათურის ადგილი მარგანეცის მსოფლიო ამოღებაში. როგორც მარგანეცის ამოღების საერთო მონაცემებიდან ირკვევა, ჭიათურის მარგანეცის საშუალო წლიური ამოღება

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, მეოთხე გამოცემა, 1948, გვ. 583—584.

ეროვნული ბიბლიოთეკა

90-იანი წლების დასასრულისათვის მსოფლიო ამოღების 45 პროცენტს შეადგენდა[1].

მარგანეცის ამოღების შემდგომ ზრდას და, საერთოდ, სამთო მრეწველობის განვითარებას ჭიათურაში განსაკუთრებული ბიძგი მისცა რკინიგზების გაყვანამ. 1895 წელს ჭიათურა ვიწროლიანდაგიანი რკინიგზით დაუკავშირდა ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ მაგისტრალს შორაპანში. მთავარ მაგისტრალთან ჭიათურის დაკავშირება მარგანეცის ექსპორტისა და მსოფლიო მიმოქცევის მძლავრი ფაქტორი გახდა. 1895 წლამდე მარგანეცის ამოღებასა და გაზიდვას შორის მძაფრი კონტრასტი არსებობდა. 1895 წელს მარგანეცის წლიური ექსპორტი 117.536 ფუთს უდრიდა, რაც ამოღების მხოლოდ 33 პროცენტს შეადგენდა. 5 წლის განმავლობაში მარგანეცის ექსპორტმა 40.303.492 ფუთს მიაღწია და, ამრიგად, ექსპორტმა თითქმის დაფარა ამოღება[2].

მარგანეცის ამოღების ზრდამ და მისმა ექსპორტმა გამოიწვია მრეწველობის დამხმარე დარგების წარმოშობა და განვითარება ჭიათურაში. მარგანეცის ამოღება მოითხოვდა იარაღ-მანქანების დამზადებასა და რემონტს, გვირაბების გათხრასა და გამაგრებას, ხოლო მარგანეცის საექსპორტოდ მომზადებისათვის საჭირო იყო მადნის გასუფთავება. ამ საფუძველზე ჭიათურაში შეიქმნა მექანიკური სახელოსნოები, ხეტყის ქარხნები, მადნის სარეცხი საწარმოები და სხვ.

მე-19 საუკუნის 90-იან წლებში ჭიათურის მარგანეცმა მსოფლიო მნიშვნელობა მოიპოვა და კაპიტალისტები მსოფლიოს ყოველი კუთხიდან ეძებდნენ საშუალებას ჭიათურაში ფეხის მოსაკიდებლად. გასული საუკუნის დასასრულს ჭიათურაში დიდი გავლენით სარგებლობდა საფრანგეთის კაპიტალი. ფრანგ კაპიტალისტებს აქ ჰქონდათ ანონიმური საზოგადოება, რომლის ხელში იმყოფებოდა მარგანეცის წარმოების საქმე. საფრანგეთის შემდეგ აქ ერთგვარი გავლენით სარგებლობდა ბელგიისა და გერმანიის კაპიტალი. უფრო გვიან მნიშვნელოვანი ადგილი ჭიათურის მარგანეცის წარმოების საქმეში დაიკავა ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების კაპიტალმა. უცხოეთის კაპიტალისტები, მათ შორის ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები, ჭიათურის მარგანეცში სტრატეგიულ ნედლეულს ხედავდნენ და ერთმანეთს ექიშპებოდნენ მისი ხელში ჩაგდებისათვის.

[1] იხ. კრებული „Батум и его окрестности", Батум, 1906, გვ. 393—394.

[2] იქვე, გვ. 384.

სამთო მრეწველობის განვითარებამ ერთბაშად შეცვალა [illegible] გადოებრივი მეურნეობის წინანდელი წყობა. კარჩაკეტილობა, [illegible] ტონყმობის ნიშანდობლივი თვისება, გაქრა და კაპიტალისტური წყობის გაბატონებით ჭიათურა მოექცა საქონლის მსოფლიო ბრუნვაში. ამ ცვლილებების შესაბამისად მოხდა აგრეთვე სოციალური გადაჯგუფება. სამრეწველო განვითარებამ თავი მოუყარა ჭიათურაში მრავალ მუშას. არასრული ცნობებით 1895 წლისათვის ჭიათურის მაღაროებში 2.697 მუშა მუშაობდა, 1899 წლისათვის — 3.250, ხოლო 1900 წლისათვის — 3.702 მუშა.

გარდა მაღაროს მუშებისა, ჭიათურაში სხვა დარგის მუშებიც მუშაობდნენ, მაგრამ მათი რიცხობრივი ოდენობა ზუსტად არ არის დადგენილი. თუ ჭიათურის სამრეწველო განვითარებას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ სხვა დარგის მუშების რიცხვი მაღაროებში მომუშავეთა რიცხვზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო.

საქართველოს სხვა სამრეწველო ცენტრებთან შედარებით ჭიათურაში ყველაზე მეტად იგრძნობოდა ადგილობრივი და საერთაშორისო ბურჟუაზიის შეუბრალებელი ექსპლოატაცია. მაღაროების მუშებისათვის სამუშაო დღე განსაზღვრული არ იყო და მუშაობა დილიდან საღამომდე გრძელდებოდა. ამასთანავე ერთად, წარმოებაში ფრიად პრიმიტიულ საშუალებებს იყენებდნენ, ხოლო პროფილაქტიკაზე აბსოლუტურად არავინ ზრუნავდა. ამას ემატებოდა მცირე ხელფასი, ცუდი კვება, ყოვლად შეუსაბამო ნესტიან და ჭუჭყიან ბარაკებში ცხოვრება. ყოველივე ეს საშინლად მოქმედებდა მუშის ჯანმრთელობაზე და არ აძლევდა მას მთელი დღის შრომაში დახარჯული ენერგიის აღდგენის შესაძლებლობას. კაპიტალისტები თვითნებურად ძარცვავდნენ მუშებს და იმ კანონებსაც კი არ იცავდნენ, რომლებიც მეფის რუსეთის შიდა გუბერნიებში მოქმედებდა, ვინაიდან ჭიათურაში არ იყო მეფის მთავრობის წარმომადგენელი — საფაბრიკო ინსპექტორი.

ამ პირობათა ერთობლიობის ბაზაზე აღმოცენდა და გაიზარდა ჭიათურის მუშათა მოძრაობა, როგორც ამიერკავკასიის, მთელი რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ორგანული ნაწილი.

მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დამდეგს ჭიათურის მუშათა შორის იწყებს გავრცელებას რევოლუციური, სოციალ-დემოკრატიული იდეები. ჭიათურის მუშები თანდათან მაღლდებიან ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლის შეგნებამდე.

ჭიათურის მუშათა მოძრაობის წარმმართავ ძალას წარმოადგენდა რევოლუციური სოციალ-დემოკრატია. რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში ზრდიდნენ მუშებს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით და რაზმავდნენ მათ ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

ჭიათურაში რევოლუციურ მოძრაობას უშუალოდ ხელმძღვანელობდა და წარმართავდა იმერეთის კომიტეტი. იმერეთის კომიტეტის აქტიური მოღვაწეები ჭიათურაში იყვნენ მ. დავითაშვილი, ინწკირველი, გალდავა, მ. ფილია, ს. ქავთარაძე და სხვ. ჭიათურის მუშებში იმერეთის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია ავრცელებდა „ისკრას“, „ბრძოლას“ და რევოლუციურ პროკლამაციებს. ამასთანავე, იგი განაზოგადებდა და აწვდიდა მუშებს ცნობებს ცალკეული გაფიცვებისა და დემონსტრაციების შესახებ.

ჭიათურის მუშების პოლიტიკური წრთობის დიდ სკოლას წარმოადგენდა საქართველოსა და ამიერკავკასიის მუშების გაფიცვები და დემონსტრაციები. ამათგან განსაკუთრებული როლი ითამაშა თბილისის მუშების 1901 წლის საპირველმაისო და ბათუმის მუშების 1902 წლის მარტის დემონსტრაციებმა. „ბათუმში მომხდარი ამბები, — წერდა მ. ი. კალინინი, — მკვეთრად უნდა აღბეჭდილიყო მუშების შეგნებაში. აქ კონკრეტული მოქმედებით ნაჩვენები იყო ბოლშევიზმის რევოლუციური ტაქტიკა, როდესაც ბოლშევიზმი, როგორც გარკვეული პოლიტიკური მიმდინარეობა ჯერ კიდევ არ არსებობდა“.

მოცემულ პერიოდში რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიულ მუშაობას თან სდევდა ერთი ფრიად მნიშვნელოვანი თავისებურება. სახელდობრ, ის, რომ რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები ამზადებდნენ და რაზმავდნენ მუშათა მასებს, მათ შორის ჭიათურის მუშებს, არა უშუალო შეტაკებისათვის, არა უშუალო შეიარაღებული ბრძოლისათვის, არამედ მშვიდობიანი გაფიცვებისა და დემონსტრაციებისათვის.

2.

სამხრეთ რუსეთის 1903 წლის ივლისის საყოველთაო გაფიცვა, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდა მთელი ჭიათურა, გაიშალა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მეორე ყრილობის დამაბული მუშაობის ვითარებაში. გაფიცვის დროშა პირველმა ბაქოს პროლეტარიატმა აღმართა, ხოლო შემდეგ ბაქოდან

იგი თავშეუკავებელი ძალით გავრცელდა სამხრეთ რუსეთის ქალა-ქებსა და სამრეწველო ცენტრებში. გაფიცვამ ამიერკავკასიაში მოი-იცვა რკინიგზა, თბილისი, ბათუმი, ფოთი, ჭიათურა და სხვ.

ჭიათურის მუშების მღელვარება იზრდებოდა ბაქოდან დაწყე-ბული გაფიცვის ფარგლების გაფართოების შესაბამისად. მუშები ერთიანად იწოდნენ სურვილით, დაეწყოთ გამოსვლა ბაქოს, თბი-ლისისა და ამიერკავკასიის მუშების სოლიდარობის მიზნით, და მხო-ლოდ სიგნალს ელოდებოდნენ.

კავკასიის კავშირის იმერეთის კომიტეტი ამზადებდა პირობებს ჭიათურაში სოლიდარული გამოსვლის დასაწყებად. ამ მიზნით იმერეთის კომიტეტმა განალაგა ძალები ყველა უბანზე და იმერე-თის კომიტეტის აგიტატორებმა დაიწყეს მოქმედება ყველა მიმარ-თულებით. რევოლუციური სოციალ-დემოკრატია მოცემულ მო-მენტში, ხელმძღვანელობდა რა ძალთა თანაშეფარდებით, მოუწო-დებდა მუშებს მშვიდობიანი გაფიცვისაკენ. არავითარ აგიტაციას შეიარაღების მიზნით აგიტატორები არ ეწეოდნენ. ეს თავისთავად გასაგებია ორი გარემოების გამო. სახელდობრ, პირველი იმის გამო, რომ მუშებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ შეიარაღების შესაძლებ-ლობა და საამისო წრთობა და მეორეც იმის გამო, რომ მოცე-მულ მომენტში მშვიდობიანი გაფიცვით სავსებით შესაძლებელი იყო მათ წინაშე დასმული ამოცანის გადაწყვეტა.

იმერეთის კომიტეტის მუშაობის შედეგად მთელი ჭიათურა ფეხზე დადგა. როდესაც გაფიცვის ორგანიზაციის ყველა პირობა მომზადდა, იმერეთის კომიტეტმა მოწოდებით მიმართა მუშებს. „კმარა სიჩუმე! ვერ შეგვაშინებს მხეცი მთავრობა თავისი ხიშტე-ბიანი თოფებით, რომლებითაც დაღვარეს ჩვენი ძმებების სისხლი მიხაილოვოში. ჩვენ მუშებმა გადავწყვიტეთ შევუერთდეთ ჩვენს მოწინავე მუშებს — ძმებს, რათა ერთიანი ძალით თავს დავესხეთ ჩვენს მძარცველებს და მთავრობას“ [1].

კავკასიის კავშირის იმერეთის კომიტეტის ამ მოწოდებით და-იწყო ჭიათურის მუშების ივლისის საყოველთაო პოლიტიკური გა-ფიცვა, რომელიც ელვის სისწრაფით მოედო მთელს ჭიათურას და მის მიდამოებს. ეს იყო სოლიდარობის გამოცხადება ბაქოს, თბი-ლისისა და მიხაილოვოს მუშებისადმი, რომლებიც შეუდრეკლად იბრძოდნენ მეფის მთავრობისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ.

---

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 34, საქმე 533, ფურც. 46.

თუ რაოდენ მომწიფებული იყო პირობები სოლიდარული ბრძოლისათვის ჭიათურის მუშებში, ამას ადასტურებს გაფიცვის გავრცელების სისწრაფე და გრანდიოზულობა.

საყოველთაო გაფიცვის ერთგვარ შესავალს ჭიათურაში წარმოადგენდა კონფლიქტი, რასაც ადგილი ჰქონდა დაბა ჭიათურაში მენარდე ჩხეიძესა და მტვირთავ მუშებს შორის. 17 ივლისს, ადრე დილით, სამუშაოს დაწყების წინ, მტვირთავმა მუშებმა მენარდე ჩხეიძეს წარუდგინეს მოთხოვნა, გაედიდებინა ხელფასი 50 კაპიკიდან ერთ მანეთამდე. არ დააკმაყოფილა რა მენარდე ჩხეიძემ მუშების მოთხოვნა, მუშებმა მიატოვეს სამუშაო და რიცხვით 80—100 კაცმა აიღო მიმართულება ჰიქაურისა და დარკვეთისაკენ. ასეთივე უკმაყოფილება, როგორც ჩანს, ჰიქაურისა და დარკვეთის მტვირთავ მუშებშიც არსებობდა. ამიტომ იქაურმა მუშებმაც შეწყვიტეს მუშაობა და შეუერთდნენ დაბა ჭიათურის მუშებს. აქედან შეერთებულნი, რიცხვით 200 კაცი, გაბრუნდნენ დაბა ჭიათურისაკენ[1].

კონფლიქტი გართულდა. მენარდეების მუდარამ არ გაჭრა და უთანხმოება სერიოზულ ხასიათს იღებდა. მაშინ მენარდეები იძულებული გახდნენ გამოეწვიათ მეფის მთავრობის ადგილობრივი მოხელეები. შემთხვევის ადგილზე გამოცხადდა პოლიციის ბოქაული რამდენიმე ცხენოსანი პოლიციელით. იმისათვის, რომ კონფლიქტი კიდევ უფრო არ გართულებულიყო, ბოქაული შეეცადა მცირე მასშტაბის რეპრესიების გამოყენებას. ბოქაულმა რამდენიმე მუშა დააკავა და წინადადება მისცა შედგომოდნენ მუშაობას. ამ პირობით ბოქაულმა მუშები გაათავისუფლა. მაგრამ როგორც კი ბოქაული წავიდა, მუშები არა თუ მუშაობას შეუდგნენ, არამედ შეეცადნენ მოქმედების ფარგლების გაფართოებას.

ამ კონფლიქტისა და უთანხმოების ვითარებაში დაიწყო უფრო ფართო მასშტაბის მოძრაობა. იმერეთის კომიტეტის მოწოდებით 17 ივლისს დარკვეთში, ჰიქაურსა და მღვიმეში მაღაროს მუშებმა ერთიანად შეწყვიტეს მუშაობა და გაფიცვა გამოაცხადეს. გაფიცულთა რიცხვი 3 ათასს შეადგენდა[2].

გაფიცული მუშები გაემართნენ საფრანგეთის ანონიმური საზოგადოების მარგანეცის სარეცხი ქარხნისაკენ. როგორც კი გაფიცულთა მასა ქარხანასთან მივიდა, ქარხნის მუშები დაუყოვნებლივ

---

[1] კრებული Всеобщая стачка на Юге России в 1903 г., М. 1938. стр. 72.
[2] იქვე, გვ. 72.

შეუერთდნენ მას. გაფიცული მუშები შეერთებული [illegible] ემართნენ დაბა ჭიათურისაკენ.

დაბა ჭიათურისაკენ მოძრაობისას გზაზე მუშები ამტვრევდნენ იმ ინვენტარს, რომლითაც მრეწველები ატყუებდნენ მუშებს მადნის მიღებისას. ქუთაისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველო აზვიადებს პოლიციის დეპარტამენტისადმი გაგზავნილ ცნობაში მუშების ამგვარ მოქმედებას. ეს თავისთავად გასაგებია, რადგან მეფის მთავრობის ადგილობრივი მოხელეები იტოვებდნენ მოქმედებაში მანევრირების შესაძლებლობას და შემთხვევისათვის უკიდურესობამდე მისვლის საშუალებას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მუშები მართლაც აწარმოებდნენ თავდასხმას იმ საშუალებებზე, რომლებითაც მადნის მიღებისას ატყუებდნენ მათ, მაგრამ არა იმ მასშტაბით, როგორც ეს ქუთაისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის ცნობაშია ნაჩვენები. ამგვარი მოქმედების ფაქტი თავისთავად ლაპარაკობს მუშების თავშეუკავებლობაზე, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისში. ეს იყო მუშების აღშფოთებისა და გულისწყრომის პირველი გადმონახეთქი, რომელსაც არ შეეძლო არ დაერღვია ზომიერების ზოგიერთი საზღვარი. ყოველ შემთხვევაში ეს გარემოება სრულებითაც არ ამცირებს ჭიათურის მუშების გაფიცვის მნიშვნელობას.

უზარმაზარი მასის მოძრაობამ ჭიათურისაკენ დაბნეულობა შეიტანა მეფის მთავრობის ადგილობრივი მოხელეების მოქმედებაში. მოხელეები ვერ ბედავდნენ იარაღის გამოყენებას ორი გარემოების გამო. ჯერ ერთი იმიტომ, რომ იარაღის გამოყენება მშვიდობიან გაფიცულთა წინააღმდეგ, მათი აზრით, კიდევ უფრო გაართულებდა მდგომარეობას და მეორეც იმიტომ, რომ თავიანთ ძალას საკმარისად არ სთვლიდნენ. ამიტომ მეფის მთავრობის ადგილობრივი მოხელეები „დამამშვიდებელი" სიტყვებით მიმართავდნენ გაფიცულთ. მაგრამ მუშების მღელვარება იმდენად დიდი იყო, რომ მისი შეკავება ახლა არავითარ ძალას აღარ შეეძლო. ამიტომ მოხელეთა მოქმედებამ შედეგი ვერ გამოიღო.

გაფიცული მუშები ორ ჯგუფად მიდიოდნენ მარგანეცის მრეწველთა კანტორებისაკენ. ამჯერად მოხელეებს მიემატა დამატებითი შტატის უნტერ-ოფიცერი კოლესნიკი. რეაქციის ძალები თანდათან იზრდებოდა. მაგრამ რეაქციის ძალთა მოქმედებამ შედეგი ვერ გამოიღო. გაფიცული მუშები უშიშრად განაგრძობდნენ გზას. ისინი მივიდნენ მრეწველთა კანტორებამდე, ხოლო შემდეგ გაემართნენ ვაგზლისაკენ.

მეფის მთავრობის ადგილობრივმა მოხელეებმა ყველა საშუალება იხმარეს და ყველა მეთოდის გამოყენება სცადეს, მაგრამ ვერ შეძლეს ვერც გაფიცვის შეჩერება და ვერც მისი ლოკალიზაცია. გაფიცვა სწრაფად მოედო მთელს ჭიათურას და მან მოძრაობაში ჩააბა ყველა ის, ვინც განიცდიდა მეფის მთავრობის ჩაგვრას. გაფიცვაში მონაწილეობდნენ მოსამსახურეები და ჭიათურის მიდამოების გლეხები. ბენდერი თავის სტატიაში „საგაფიცვო მოძრაობიდან კავკასიაში 1903 წელს“ მიუთითებს, რომ გაფიცულთა რიცხვი ჭიათურაში 20 ათასს შეადგენდა[1].

მოტანილი ცნობა ხაზს უსვამს ჭიათურის გაფიცვის გრანდიოზულობას. ეს ცნობა კიდევ ზედმეტად ადასტურებს იმას, რომ 1903 წლის ივლისის საყოველთაო გაფიცვა სოციალური თვალსაზრისით სრულებითაც არ იყო ლოკალიზებული, რომ გაფიცვაში მონაწილეობდა ყველა ჩაგრული სოციალური ფენა. ასეთი დასკვნის სისწორეს ადასტურებს ის გარემოება, რომ ჭიათურაში ამ დროისათვის 20 ათასიანი მუშათა არმია არ იყო და რომ ბენდერს მხედველობაში აქვს ჭიათურის გლეხთა მონაწილეობა გაფიცვაში.

ამასთანავე ერთად, უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ გაფიცვა ჭიათურის მუშებმა დაიწყეს იმერეთის კომიტეტის მოწოდებით და მათ შეძლეს გაფიცვაში სხვა სოციალური ფენების ჩაბმა. ეს ფრიად საყურადღებოა იმ უბრალო მიზეზისა გამო, რომ აქ კონკრეტულ მაგალითზე მჟღავნდება მუშათა მასის ხელმძღვანელი, წამყვანი როლი გაფიცვაში, მისი ტენდენცია — იყოს მოძრაობაში ჰეგემონი.

## 3.

ჭიათურის მუშათა ივლისის საყოველთაო გაფიცვა გასცილდა ჩვეულებრივი გაფიცვის ფარგლებს. ჩვეულებრივი გაფიცვის დროს საქმე მხოლოდ სამუშაოს შეწყვეტითა და მოთხოვნათა წარდგენით მთავრდება. ივლისის საყოველთაო გაფიცვის დროს ჭიათურის მუშებმა მოქმედება მუშაობის შეწყვეტის შემდეგ ქუჩაში გადაიტანეს და გრანდიოზული დემონსტრაცია მოაწყვეს. დემონსტრაცია მუშათა საგაფიცვო მოძრაობის უმნიშვნელოვანესი მომენტია. ეს უკვე აშკარა პოლიტიკური ბრძოლაა, რომლის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ხასიათს მიიღებს ეს ბრძოლა.

გაფიცვის გამოცხადების შემდეგ ჭიათურის მუშათა ცალკეული

[1] Архив истории труда в России, СПБ, გვ. 23—27.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯგუფები შეერთდნენ დაბა ჭიათურაში, საიდანაც მუშათა უზარმაზარი მასა გაემართა ჭიქაურის მაღაროებისაკენ. მუშები მიდიოდნენ „ვაშას“ შეძახილითა და პოლიტიკური ლოზუნგებით. ეს იყო გრანდიოზული დემონსტრაცია, რომლის მსგავსი ჭიათურის მუშათა მოძრაობის ისტორიამ მანამდე არ იცოდა გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ ეს მძლავრი დემონსტრაცია ჭიათურის მუშათა პოლიტიკური შეგნების ძლიერ გამოხატულებას წარმოადგენდა.

ჭიათურის მუშათა მძლავრი პოლიტიკური დემონსტრაცია ხალხმრავალი კრებით დამთავრდა. „შემდეგ ბრბო, მივიდა რა მღვიმის ქალთა მონასტრამდე, შეჩერდა. ბრბოდან გამოცალკევდა მუშა და, შედგა რა დიდ ქვაზე, გაშალა წითელი ბაირაღი ქართული წარწერით „გაუმარჯოს თავისუფლებას“, დაიწყო ქართულად სიტყვა, რომლის შინაარსის გაგების შესაძლებლობა არ იყო“ [1].

კრება პოლიტიკური გაფიცვის უმაღლესი საფეხურია. იგი გაფიცვის მსვლელობაში უდიდესი პოლიტიკური აქტია. აქ მჟღავნდება მუშების ნამდვილი ინტერესები და მისწრაფებანი. ჭიათურის მუშების ეს კრება, რომელიც მღვიმის მონასტერთან გაიმართა, ნამდვილად წარმოადგენდა მუშების აღზრდის სკოლას. კრებაზე მუშებმა გამოთქვეს თავიანთი მისწრაფებანი და გამოამჟღავნეს თავიანთი სურვილები. კრებაზე წარმოთქმულ სიტყვებში ჩამოყალიბებული იყო მუშათა გაფიცვის ამოცანები.

კრებაზე გაფიცულმა მუშებმა წამოაყენეს კონკრეტული მოთხოვნები. ამ შემთხვევაში ჭიათურის მუშები გამოვიდნენ არა მარტო საერთო ხასიათის ლოზუნგებით, არამედ მოითხოვეს მომენტის ყველა მტკივნეული საკითხის დაუყოვნებლივი გადაჭრა. ჭიათურის მუშების ივლისის საყოველთაო გაფიცვაში მოთხოვნათა წამოყენება გაფიცვის უმნიშვნელოვანეს მომენტს წარმოადგენდა. მოთხოვნათა წამოყენება ერთხელ კიდევ ააშკარავებდა ჭიათურის მუშების სოლიდარობის მძლავრ ძალას მთელს პროლეტარიატთან. ჭიათურის მუშების მიერ წამოყენებული მოთხოვნები ჩამოაყალიბა და გამოაქვეყნა კავკასიის კავშირის იმერეთის კომიტეტმა.

პროკლამაციაში, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო გაფიცული მუშების მოთხოვნები, იმერეთის კომიტეტი ხაზს უსვამდა მოძრაობის საყოველთაო ხასიათს და პროლეტარიატის ამოცანებს.

გაფიცული მუშები მოითხოვდნენ რვასაათიანი სამუშაო დღის დაწესებას, მცირეწლოვანთა მუშაობის აკრძალვას, მარგანეცის

---

[1] კრებული Всеобщая стачка на Юге России, გვ. 73.

მიღებისას სხვადასხვა „სკიდკების“ მოსპობას, სანარდო მუშაობის შეცვლას დღიური მუშაობით, ყველა დარგის მუშებისათვის ხელფასის მომატებას, უქმე დღეებში ხელფასის ერთნახევარი განაკვეთის გაცემას, იაფფასიან სადილებს, კარგად მოწყობილ ბიბლიოთეკას, საცხოვრებელ ბინებს, მოხერხებული თავლების მოწყობას, ვარგის სამუშაო იარაღებს, გვირაბებში განათების მოწყობას, გვირაბებში სამუშაოდ სპეციალურ ტანსაცმელს, შაბათობით ფულის გაცემას, მუშათა დაზღვევას, სუფთა წყლის მიწოდებას, ჭიქაურში უფასო საავადმყოფოს მოწყობას, აბანოებში წყლის მიწოდების მოწესრიგებას, ჭიათურაში საფაბრიკო ინსპექტორის დანიშვნას და სხვ.[1].

მოთხოვნები მათი ხასიათისა და მნიშვნელობის მიხედვით სამ კატეგორიად შეგვიძლია დავყოთ. პირველი — სამუშაო პირობების გაუმჯობესება, მეორე — ეკონომიური პირობების გაუმჯობესება და მესამე — პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

ეკონომიური პირობების გაუმჯობესების მოთხოვნა პოლიტიკური გაფიცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია. პროლეტარიატი გაფიცვაში გამოდის არა მარტო პოლიტიკური უფლებებისათვის ბრძოლის დროშით, არამედ მას თანაბრად აინტერესებს აგრეთვე ცხოვრების მატერიალური პირობების გაუმჯობესება. ამასთანავე, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ეკონომიური პირობებისათვის ბრძოლაში პროლეტარიატი სავსებით დამოუკიდებელია და ეს გარემოება ამაღლებს მას პოლიტიკურად.

რაც შეეხება პოლიტიკურ მოთხოვნას, ჭიათურის მუშები ივლისის საყოველთაო გაფიცვაში ხელმძღვანელობდნენ საერთო ლოზუნგებით და, ამრიგად, ისინი მონაწილეობდნენ პროლეტარიატის საერთო ბრძოლაში. ჭიათურის მუშები სოლიდარობას უცხადებდნენ ბაქოს, თბილისისა და მიხაილოვოს მუშებს, რომლებმაც მსხვერპლი გაიღეს დიადი მომავლისათვის. ამასთან ერთად, კონკრეტული ვითარების შესაბამისად ჭიათურის მუშები აყენებდნენ მცირე პოლიტიკურ მოთხოვნას — ჭიათურაში საფაბრიკო ინსპექტორის დანიშვნას, რომელიც, გაფიცული მუშების აზრით, დაიცავდა მუშების ინტერესებს.

ჭიათურის მუშების მოთხოვნებში განსაკუთრებით აღსანიშნავია რვასაათიანი სამუშაო დღის დაწესების მოთხოვნა. რვასაათიანი

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 34, საქ. 533, ფურც. 46.

სამუშაო დღის დაწესების მოთხოვნა ხაზს უსვამს ჭიათურის მუშების მთელს პროლეტარიატთან ერთიანობის შეგნებას, ვინაიდან ეს მოთხოვნა მთელი პროლეტარიატის მოთხოვნაა და იგი მიმართულია არა მარტო კაპიტალისტებისადმი, არამედ სახელმწიფო ხელისუფლებისადმი.

გაფიცული მუშების მიერ წამოყენებული მოთხოვნები წარმოადგენდა იმის მინიმუმს, რაც აუცილებელია ნორმალური მუშაობისა და ცხოვრებისათვის. წამოყენებული მოთხოვნები სავსებით შეესაბამებოდა მოცემულ პერიოდს და მისი გატარების რეალური შესაძლებლობა არსებობდა. რევოლუციური სოციალ-დემოკრატია, კერძოდ იმერეთის კომიტეტი, ითვალისწინებდა რა მოთხოვნათა გატარების რეალურ შესაძლებლობას, მუშების წინაშე აყენებდა მშვიდობიანი გზით მოთხოვნათა დაკმაყოფილების მიღწევის ამოცანას — მშვიდობიანი გაფიცვისა და დემონსტრაციის ამოცანას.

4.

გაფიცვამ, რომელიც ასეთი მძლავრი გაქანებით დაიწყო და გავრცელდა, გამოიწვია რეაქციის ძალთა მობილიზაცია და კონცენტრაცია ჭიათურაში. თავდაპირველად მეფის მთავრობის ადგილობრივი მოხელეები შეეცადნენ მოეხდინათ მღელვარების ლოკალიზაცია და ძირშივე მოესპოთ მისი გაფიცვაში გადაზრდის შესაძლებლობა. მაგრამ მღელვარება დაუყოვნებლივ გადაიზარდა გაფიცვაში და მთელი ჭიათურა ერთბაშად გაფიცვის ალში გაეხვია. მეფის მთავრობის ადგილობრივი მოხელეები სავსებით უძლური აღმოჩნდნენ გაფიცვის წინააღმდეგ ბრძოლაში, რის გამოც საჭირო გახდა საგუბერნიო ხელისუფლების ჩარევა.

გაფიცვის შემთხვევის გამო ჭიათურაში პირველი ჩავიდა ამიერკავკასიის რკინიგზის ქუთაისის განყოფილების უფროსი. მან ადგილობრივ მოხელეებთან ერთად მიიღო ზომები გაფიცვის წინააღმდეგ, მაგრამ ეს უკვე გვიან იყო. გაფიცვამ ისეთი გაქანება მიიღო ჭიათურაში, რომ ჩვეულებრივი ზომები საკმარისი არ აღმოჩნდა. ამიტომ ჭიათურაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ ეცნობა პოლიციის დეპარტამენტს და გამოთხოვილ იქნა ახალი ძალები.

მალე ჭიათურაში ჩავიდა ქუთაისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი, რომელსაც თან ახლდა კაზაკთა შეიარაღებული რაზმი. რეაქციის ძალები შეთანხმებული მოქმედებდნენ, მაგრამ იარაღის გამოყენებას ვერ ბედავდნენ. გაფიცვა ძლიერდებოდა და მისი სწრაფი გაფართოება არ აძლევდა რეაქციას საშუა-

ლებას თავისუფლად ემოქმედა. არავის არ შეეძლო გ[illegible] საკითხი იმის შესახებ, თუ საიდან დაეწყოთ მოქმედებ[illegible]

ამრიგად, გაფიცვამ სრული დეზორგანიზაცია და დაბნეულობა გამოიწვია მეფის მთავრობის წარმომადგენელთა მოქმედებაში. მთელი დღე, 17 ივლისს, ჭიათურა გაფიცულთა ხელში იმყოფებოდა. მუშებმა ამ დღეს ნამდვილი თავისუფლება მოიპოვეს და ხელთ იგდეს ჭიათურა და მისი მიდამოები. მაგრამ ეს თავისუფლება არ იყო ხანგრძლივი. მართალია, გაფიცვამ ხელთ იგდო ქუჩები, საზოგადოებრივი მნიშვნელობის ადგილები და, რაც მთავარია, მასები, მაგრამ ყოველივე ამას მხოლოდ დროებითი ხასიათი ჰქონდა. მეფის მთავრობა დიდხანს ვერ დაუთმობდა გაფიცვას სამოქმედო ასპარეზს. მეფის მთავრობის წარმომადგენლები თვალყურს ადევნებდნენ რა გაფიცვის მსვლელობას, ამასთანავე იკრებდნენ ძალებს თავდასხმისათვის.

და მართლაც 18 ივლისს, გაფიცვის მეორე დღეს, ჭიათურაში ჩავიდა ქუთაისის გუბერნატორი სმაგინი. მან სწრაფად შეაფასა მდგომარეობა და გამოიწვია ქვეითი ჯარის ერთი ბატალიონი. რეაქციამ შესძლო მუშებისათვის გზის გადალობვა, ხელთ იგდო ქუჩები და მუშების მიერ მოპოვებული თავისუფლება გაქრა. მაგრამ მიუხედავად საგანგებო ზომებისა, გაფიცვის შეწყვეტა ვერ მოხერხდა. პოლიციის დეპარტამენტისადმი გაგზავნილ ცნობაში ქუთაისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი იტყობინებოდა, რომ 18 და 19 ივლისს მუშები სამუშაოზე არ გამოსულან და რომ ჭიათურაში გაფიცვა გრძელდება.

მეფის მთავრობის მოხელეებმა გაფიცვას ხელ-ფეხი შეუბორკეს და ქუჩაში გამოსვლის შესაძლებლობა მოუსპეს. მიუხედავად ამისა, გაფიცვის ლიკვიდაცია და მუშების დაბრუნება სამუშაოზე ვერ შესძლეს. ჭიათურის ოლქის სამთო ინჟინერის თანაშემწის ცნობაში, რომელიც მას თბილისის სამთო სამმართველოსათვის გაუგზავნია, ნათლად ჩანს, რომ გაფიცვა ჭიათურაში 29 ივლისამდე გაგრძელებულა[1].

21 ივლისიდან გაფიცვამ საქართველოში თანდათან იწყო უკანდახევა. 21 ივლისს გაფიცვა შეწყდა თბილისში და ამიერკავკასიის რკინიგზაზე, 23 ივლისს — ბათუმში და, ამრიგად, გაფიცვის კერები შემცირდა. ჭიათურის მუშები გაფიცვას განაგრძობდნენ, მაგრამ

[1] მოტანილია ქს. კვანტრეს შრომიდან „საქართველოს სამთომადნო მუშათა მოძრაობის ისტორია“, თბილისი, 1928, გვ. 27.

გაფიცვის ძირითადი კერების ჩაჩუმების შემდეგ მათ გადაწყვიტეს შედგომოდნენ მუშაობას. 29 ივლისს გაფიცვა შეწყდა ჭიათურაში.

გაფიცვის ჩაქრობის შემდეგ რეაქცია შეუდგა ანგარიშსწორე-ბას. ქუთაისის გუბერნატორის განკარგულებით შეიპყრეს ჭიათურის მაღაროს მუშები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ გაფი-ცვის ორგანიზაციის საქმეში. საბრალდებო დასკვნაში არაფერი იყო ისეთი, რომელიც რაიმე დანაშაულს მიაწერდა მუშებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, დაპატიმრებული მუშები გადააგზავნეს ქუთაისის საგუბერნიო ციხეში და დაიწყეს ძიება. ძიების დამთავრების შემდეგ მუშები გაასამართლეს და 5 მუშას მიესაჯა პატიმრობა თითოეულს 3 თვიდან 6 თვემდე.

## 5.

ჭიათურის მუშათა 1903 წლის ივლისის საყოველთაო პოლიტი-კური გაფიცვა მთელი სამხრეთ რუსეთის რევოლუციური მოძრა-ობის ღირსშესანიშნავი მომენტია. მან ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი ჭიათურის მუშების ინტერნაციონალურ შეგნებას და გამოამჟღავნა მათი სოლიდარობა რუსეთის მუშათა კლასთან.

ჭიათურის მუშები 1903 წლის ივლისის საყოველთაო გაფიცვაში ჩაებნენ შედარებით გვიან, სწორედ იმ დროს, როდესაც მეფის მთავრობამ იარაღით დაიწყო გაფიცვის ჩაქრობა და დახვრიტა დემონსტრაციები თბილისსა და მიხაილოვოში. თავისთავად ეს ფაქტი ბევრს მეტყველებს. იგი გვარწმუნებს, უწინარეს ყოვლისა, იმაში, რომ ჭიათურის მუშები მტკიცედ დაადგნენ სოლიდარული ბრძოლის გზას და ბოლომდე მიიტანეს ბრძოლის დროშა, შემდეგ, იგი აშკარად მიუთითებს მუშების ერთსულოვნებასა და გამბედა-ობაზე; ბოლოს, იგი ლაპარაკობს მუშების რწმენაზე დიადი მო-მავლისადმი.

გაფიცვას ჭიათურაში ორგანიზებული ხასიათი ჰქონდა, რაც გან-პირობებული იყო იმით, რომ მას ხელმძღვანელობდა რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთის კომიტეტი. იმერეთის კომიტეტმა გაფიცვას თავითვე მისცა სწორი მიმართულება და ორიენტაცია. გაფიცვის შემდეგ მუშებმა მოაწყვეს პოლიტიკური დემონსტრაცია, ხოლო შემდეგ გამართეს დიდი კრება. კრება პოლიტიკური გაფიც-ვის უმნიშვნელოვანესი მომენტია და იმავე დროს მეტად საყუ-რადღებო.

ნამდვილი დეზორგანიზაცია და დაბნეულობა მეფის მთავრობის ძალებში გამოიწვია სწორედ ჭიათურის მუშების ორგანიზებულო-

ბამ. გაფიცვამ არა მარტო მეფის მთავრობის მოულოდ[illegible] თიშა ძალები, არამედ მტკიცედ დაუპირისპირა ისინი [illegible] და ეს იმ ზომამდე, რომ ძალთა თანაფარდობა აიძულებდა გუბერნატორს გამოეყენებინა იარაღი. როდესაც მუშების მშვიდობიან გაფიცვას მთავრობამ იარაღი დაუპირისპირა და მეფის მთავრობის წინააღმდეგობის ძალამ მშვიდობიანი გაფიცვის ყველა შესაძლებლობას გადააჭარბა, მაშინ გაფიცვამ თანდათან იწყო უკან დახევა — შეწყდა დემონსტრაციები, კრებები და ბოლოს — თვით გაფიცვა.

მაგრამ უკან დახევა სრულებით არ ნიშნავდა იმას, რომ მუშებმა ხელი აიღეს ბრძოლაზე. მიუხედავად იმისა, რომ გაფიცვა შეწყდა, მუშებისათვის იგი წარმოადგენდა ბრძოლის უზარმაზარ სკოლას.

(შემოვიდა რედაქციაში 1. IV. 1956).

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XV, 1956.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XV, 1956.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. ჯანელიძე

# რუსეთ-ირანის ვაჭრობა მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში

მრავალი დაბრკოლების მიუხედავად, მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის სავაჭრო ურთიერთობა ირანთან არ შეწყვეტილა. რუსეთის მთავრობას არ აკმაყოფილებდა ამ ურთიერთობის მასშტაბი და სხვადასხვა გზით მის გაფართოებას ცდილობდა.

ასტრახანის საბაჟო დავთრების მიხედვით, 1752—1756 წლებში ასტრახან-ყიზლარის გზებით ირანში შეტანილი და იქიდან გამოტანილი საქონლის საერთო ღირებულება 3.607.675 მანეთს შეადგენდა[1]. საინტერესოა, რომ ამ ხანებში ირანიდან რუსეთში და რუსეთიდან ირანში ასტრახან-ყიზლარის გზებით წლიურად საშუალოდ იმდენი საქონელი გადიოდა, რამდენიც ჰოლანდიას შეჰქონდა პეტერბურგში და იქედან გაჰქონდა. მაგალითად: 1753 წელს ჰოლანდიიდან პეტერბურგში შეიტანეს 476.496 მანეთის საქონელი, ხოლო გაიტანეს —344.792 მანეთისა; მომდევნო 1754 წელს ჰოლანდიიდან პეტერბურგში შეიტანეს 399.797 მანეთის საქონელი, ხოლო გაიტანეს —317.835 მანეთისა[2]. მარტო საბაჟო შემოსავალმა ქ. ასტრახანში იმავე 1752—1756 წლების მონაკვეთზე 185 ათასი მანეთი შეადგინა[3]. ამის დამატებით შეიძლება ითქვას, რომ 1750—1759 წლებში აზიიდან რუსეთს შეიტანეს 18.000 ფუთამდე ოქრო-ვერცხლის მონეტა (წლიურად ორ-ორი ათასი ფუთი)[4]. საფიქრებელია, რომ ამაში ირანს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა, რაშიაც გვარწმუნებს ერთერთი დოკუმენტი, სადაც ნათქვამია: „с вероятностью можно заключить, что в половине

[1] Полное собрание законов Российской Империи, ტ. XVII, № 12415.

[2] ЦГ АДА, ვორონცოვების ფონდი (1261), საქმე № 446, ფ. 4.

[3] Полное собрание законов... 15. № 10348.

[4] Колотов И., Деяния Екатерины II, Императрицы всероссийской, 1809 წ. ნაწ. IV, გვ. 330.

XVIII в. через Армян из Персии и из Турции в Россию перешли безчисленныя сокровища, заключавшиеся в драгоценных металлах и камнях“[1]. აქ, საკითხთან დაკავშირებით, უნდა შევნიშნოთ, რომ მთელი მე-18 საუკუნის მანძილზე რუსეთის მთავრობა ადგას მერკანტელიზმის პოლიტიკას, ამ პოლიტიკის შესაბამისად გაურბის მონეტების საზღვარგარეთ გატანას და ესწრაფის, რაც შეიძლება მეტი მონეტა შემოიტანოს უცხოეთიდან. მერკანტელიზმის პოლიტიკა წარმოადგენდა საერთოდ უცხოეთის ქვეყნებთან და კერძოდ ირანთან რუსეთის სავაჭრო ურთიერთობის ავკარგიანობის საზომს. 1758—1759 და შემდეგ 1761—1762 წლები რუსეთ-ირანის აღებ-მიცემობის დაცემის პერიოდია, რასაც შემდეგში მოჰყვა მისი ერთგვარი აღმავლობა. ამის შესახებ ჩვენ მოგვეპოვება საისტორიო საბუთების როგორც პირდაპირი და კონკრეტული, ასევე არაპირდაპირი და ზოგადი მითითებანი. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ 1758 წელს წარმოიშვა საქციო სავაჭრო კომპანია. ის ემორჩილებოდა სენატს, სათავეში კი სომეხი ისახანოვი და რუსი ვაჭრები მატვეევი და ზემსკი ჰყავდა. კომპანიას ჰქონდა 400 აქცია, თვითეული 150 მანეთის ღირებულებისა. კომპანია აღჭურვილი იყო იმის განსაკუთრებული უფლებით, რომ ასტრახან-ყიზლარიდან რუსული და უცხოური საქონელი წყლითა და სახმელეთო გზებით ირანის ნავსადგურებში გადაეზიდა და ამ მიზნით ხომალდებიც აეშენებინა. ყველას, ვინც ამ კომპანიაში არ შედიოდა, აკრძალული ჰქონდა ირანთან აღებ-მიცემობა. 1758 წლის კომპანიას გაკვრით შეეხო ძველი მკვლევარი ვლადიმერ ულიანიცკი თავის „ისტორიულ ნარკვევში რუსეთის მე-18 საუკუნის საკონსულოების შესახებ“[2]. მან აღნიშნა, რომ აღნიშნული კომპანიის საქმიანობაზე მას ცნობები არ მოეპოვებოდა, თანაც დასძენდა, რომ კომპანიამ ვერ განახორციელა მის წინაშე დასმული ამოცანა — ვერ მიაღწია ირანთან რუსეთის აღებ-მიცემობის გაფართოებას და ეს გახდა 1762 წელს მისი გაუქმების მიზეზადო[3]. მკვლევარების ტერგუკასოვის და პოკროვსკის ცნობებით ირკვევა, რომ 1758—1759 წლები რუსეთ-ირანის აღებ-მიცემობაში უმნი-

[1] Собрание актов, относящихся к обозрению истории Армянского народа, მოსკოვი, 1838, ნაწ. II, გვ. 300.

[2] Сборник Московского главного архива Министерства иностранных дел, вып. VII, 1900, გვ. 599—600.

[3] იქვე.

შენილო მონაცემებით აღინიშნა: სულ ამ ორი წლის მანძილზე რუსეთიდან ირანში გაიტანეს 62.954 მანეთის საქონელი, ხოლო ირანიდან რუსეთში — 111 ათასისა[1]. 1760 წელს სხვანაირი მდგომარეობაა: ირანიდან რუსეთს გაიტანეს 210.500 მანეთის, ხოლო რუსეთიდან ირანს — 180.500 მანეთის საქონელი[2]. ე. ი. 1760 წელს ირანში რუსეთიდან სამჯერ მეტი საქონელი გაიტანეს, ვიდრე 1758—1759 წლებში ერთად, ხოლო რუსეთში ირანიდან თითქმის ორჯერ მეტი საქონელი გაიტანეს, ვიდრე 1758—1959 წლებში ერთად.

როგორია ვითარება შემდეგ წლებში?

რუსული წყაროების მიხედვით, 1762 წელს რუსეთის ვაჭრებმა ირანში შეიტანეს 235.000 მანეთის საქონელი[3]. რაც შეეხება 1763 წელს, ჩვენს ხელთაა შვედეთის პეტერბურგელი კონსულის ოტტო კასპარ დელფინის ცნობა იმის შესახებ, რომ ასტრახანიდან ირანში რუსი და სომეხი ვაჭრების მიერ შეტანილ იქნა 392.050 მანეთის და ირანიდან რუსეთში — 156.865 მანეთის საქონელი[4]. შეიძლება ვიფიქროთ, რომ 1765 წელს შესამჩნევია რუსეთ-ირანის ვაჭრობის საკმაოდ მაღალი დონე. რუსული წყაროების მიხედვით, აღნიშნულ წელს მარტო ბაქოდან რუსეთში შეტანილ იქნა სამი ათას ფუთზე მეტი აბრეშუმის პარკი[5]. აქედან ირკვევა, რომ რუსეთის მიერ ირანული აბრეშუმის პარკის გატანის ნაწილში 1765 წელმა გაცილებით გადააჭარბა 1763 წლის დონეს, რადგანაც, შვედეთის იმავე კონსულის დელფინის ცნობით, ვიცით, რომ 1763 წელს ირანიდან რუსეთში შეტანილ იქნა რაღაც 1000 ფუთამდე აბრეშუმის პარკი[6]. ე. ი. $^1/_3$ იმისა, რაც მარტოკა ბაქოდან შეიტანეს რუსეთში 1765 წელს.

ქერიმ ხანის მართველობის პერიოდის (1762—1779 წწ.) რუსეთ-ირანის აღებ-მიცემობის თემაზე ჩვენ ს. ბრონევსკისთან ვპოულობთ შემდეგ ტაბულას[7].

---

[1] Г. И. Тер-Гукасов, Экономические интересы России в Персии, Петроград, 1915, გვ. 35—36; С. А. Покровский, Внешняя торговая полит. России, М., 1947, გვ. 104

[2] С. Броневский, Новейшия географическия и историческия известия о Кавказе, 1823, მოსკოვი, ნაწ. I, გვ. 210.

[3] Сборник Московского главного архива, вып. VII, გვ. 600.

[4] ЦГ АДА, ვორონცოვების ფონდი (1261), საქმე № 444, ფ. 14—15.

[5] Сборник Московского главн. арх. мининдел, вып. VII, გვ. 614.

[6] ЦГ АДА, ვორონცოვების ფონდი (1261), საქმე 444, ფურც. 14—15.

[7] С. Броневский, დასახელებული შრომა, გვ. 210.

| წლები | ირანიდან რუსეთს გაიტანეს საქონელი (მანეთებში) | რუსეთიდან ირანს გაიტანეს საქონელი (მანეთებში) | მიმოქცევის საერთო რაოდენობა მანეთებში |
|---|---|---|---|
| 1760 | 210.500 | 180.500 | 391.000 |
| 1768 | 318.000 | 438.000 | 756.000 |
| 1775 | 323.000 | 630.000 | 953.000 |

ბრონევსკისეულ ტაბულას სანდოდ ხდის ჩვენ მიერ მოსკოვის ძველი საბუთების არქივში მონახული ნუსხა, რომელიც შეეხება რუსეთ-ირანის აღებ-მიცემობას 1768 წელს[1]. ამ ნუსხის მიხედვით, 1768 წელს მარტო ასტრახანიდან „ირანის პორტებში“ წაუღიათ 400 ათასი მანეთის საქონელი, ხოლო ირანიდან ასტრახანში შეუტანიათ 190.000 მანეთის საქონელი. მაშასადამე, ირანთან ასტრახანის მიმოქცევის თანხას სულ 1768 წელს შეუდგენია დაახლოებით 600.000 მანეთამდე თანხა. როგორც ჩანს, ბრონევსკის ტაბულა, სადაც ირანთან რუსეთის 1768 წლის სავაჭრო მიმოქცევა ნაანგარიშევი არის 756.000 მანეთამდე[2], ასტრახანის გარდა, კასპიის ზღვის სხვა პორტებსაც გულისხმობს. სამწუხაროდ, ბრონევსკი არ ასახელებს თავის წყაროებს და ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ის ოფიციალურ, საბაჟო ცნობებს ემყარება.

ჩვენ მიერ გამოყენებული საარქივო ნუსხის მიხედვით ირკვევა, რომ ირანთან ასტრახანის აღებ-მიცემობის სტრუქტურა 1768 წელს საკმაოდ მდიდარი ყოფილა. ნუსხის მიხედვით, ასტრახანიდან ირანში 1768 წ. გატანილი საქონლის სახეები აღემატება ორასს, ირანიდან ასტრახანში შეტანილისა კი — ასს. მაშასადამე, ბალანსი როგორც რაოდენობის, ისე სტრუქტურის მხრივ რუსეთის სასარგებლოა: აქტიურ სავაჭრო ბალანსთან გვაქვს საქმე და ამ მხრივ მდგომარეობა ისეთივეა, როგორიც ბრონევსკისეულ ნუსხაშია ნაჩვენები.

[1] ЦГ АДА, разряд XIX, საქმე № 236, ფ. 262—266. „Ведомость, учиненная ис присланных из Астраханской портовой таможни за 1768 год книг и щета 3 документы, коликое число и каких именно товаров к астрах. порту ис персидских городов привезено было товаров и насколько по цене и сколько со оного товара пошлин в том году собрано порознь“.

[2] С Броневский, Новейшия географическия и историческия известия о Кавказе, მოსკოვი, 1832, ნაწ. I, გვ. 210.

რუსეთ-ირანის აღებმიცემობის სტრუქტურა, მთავარი საქონლის მიხედვით, 1768 წლის ზემოხსენებული ნუსხის მაგალითზე შეიძლება შემდეგ ტაბულებში წარმოვადგინოთ:

I. ასტრახანიდან ირანს გაიტანეს 1768 წელს

| ბაჟისაგან თავისუფალი | | | ბაჟდადებული | | |
|---|---|---|---|---|---|
| საქონელი | ზომა-წონა | ღირებულება მანეთებში | საქონელი | ზომა-წონა | ღირებულება მანეთებში |
| ინდიგოს საღებავი (Брусковая краска) | 610 ფუთი | 34.614 | ტილო | 254.088 ადლი | 7.860 |
| ე. წ. სამედის ქსოვილი (ერთგვარი შალი) | 1.142 ნაჭერი | 18.010 | რუსული ტყავეული | 5.982 ფუთი | 10.997 |
| ე. წ. „კერმეზის" (შინდისფერი) და ჰოლანდიური მაუდი | 44.928 ადლი | 149.528 | | | |
| ე. წ. ბუქლუნდის საღებავი | 425 ფუთი | 95.055 | | | |

II. ირანიდან ასტრახანს გაიტანეს 1768 წელს

| საქონელი | ზომა-წონა | ღირებულება მანეთებში | საქონელი | ზომა-წონა | ღირებულება მანეთებში |
|---|---|---|---|---|---|
| ბუხარული ცხვრის ქურქი | 21.722 ცალი | 8.780 | ე. წ. ბამბის ნარმა | 350.000 -დან 500.000 ადლამდე | 15.712 |
| აბრეშუმის პარკი | 1.893 ფუთი | 113.465 | ბამბის ნართი | 1.035 ფუთი | 10.135 |
| ე. წ. სპარსული მარგალიტი | 240 მისხალი | | ბამბა | 439 ფუთი | 3.294 |

თუ ბრონევსკისეული ტაბულის მაჩვენებლებიდან გამოვიყვანთ საშუალო რიცხვს და მას გადავამრავლებთ ქერიმ ხან ზენდის მართველობის წლების რაოდენობაზე, მივიღებთ შემდეგს დაახლოებით შემაჯამებელ ტაბულას რუსეთ-ირანის აღებ-მიცემობის შესახებ 1760—1778 წლებში:

| ექსპორტი ირანიდან რუსეთის მანეთებში (სულ მიცემული პერიოდისათვის) | ექსპორტის საშუალო წლიური მაჩვენებელი | ექსპორტი რუსეთიდან ირანს მანეთებში (სულ მიცემული პერიოდისათვის) | ამ ექსპორტის საშუალო წლიური მაჩვენებელი (მანეთებში) | ირანთან რუსეთის ექსპორტ-იმპორტი ერთად (მანეთებში) | საერთო მიმოქცევის საშუალო წლიური მაჩვენებელი (მანეთებში) |
|---|---|---|---|---|---|
| 5.676.660 | 283.833 | 8.323.320 | 416.166 | 13.999.980 | 899.999 |

ცხადია, რომ ასეთი ტაბულა ერთობ პირობითია, მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ წყაროების მთელ რიგ მითითებებს, შეიძლება ამ ტაბულას მოენახოს გარკვეული დასაბუთება.

უპირველეს ყოვლისა მხედველობაშია მისაღები კონსულ იაბლონსკის 1773 წლის 22 ივლისის მოხსენება, სადაც აღნიშნულია: „...в прошлом году привоз сюда из России товаров весьма был знатный пред прежными годами“ [1]. იმავე მოხსენების სხვა ადგილას იაბლონსკი წერს: „уверяю присяжною моею должностью, что знатной сумме в сборе быть должно,... здешний рахтарщик (გზის ბაჟის ამკრეფი მოხელე ენზელის ნავსადგურში — რეშტი) в прошлом году платил по 75-ти, а ныне увидя он произрастающую от российской коммерции пользу, не допуская других, возвысил до 85.000, собирая только 5%, да и то не сполна... Если то еще по фактурам здесь точно знать будут, как домогаются, о числе привозимых сюда и отвозимых в Россию товаров, то возвысится откуп до 100.000 рублей“ [2]. როგორც ჩანს, 1772-73 წლები რუსეთ-ირანის ვაჭრობაში აღმავლობის წლები ყოფილა და

[1] Сборник Моск. Главн. Арх. Мининдел, вып. 7, გვ. ДXVII.

[2] იქვე.

მაშინ ამ ალებ-მიცემობას სულ ცოტა ორი მილიონი მანეთი შეუდგენია წლიურად. ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ რუსული წყაროების მითითებას იმის შესახებ, რომ ქერიმ ხანის მართველობის მეორე ნახევარში (1769—1778 წ. წ.) ირანიდან რუსეთს ყოველწლიურად გაჰქონდათ 14.000 ბათმანამდე აბრეშუმი[1]. წყაროების ამ მითითებას მხედველობაში აქვს, რასაკვირველია, ისეთი აღმავლობის ხანა, როგორიც რუსეთ-ირანის ვაჭრობას 1772-73 წლებში ჰქონია, რაც ჩვენ დავინახეთ კონსულ იაბლონსკის მოხსენებიდან. მაშასადამე, ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილი შემაჯამებელი ტაბულა არ უნდა შეიცავდეს დიდ გაზვიადებას. ამავე დასკვნამდე მივყევართ სხვა რუსული წყაროების მრავალრიცხოვან მითითებებსაც. ჩვენ აქ მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს. 1760 წლის 19 ივნისის ბრძანებულებაში ნათქვამია, რომ „ასტრახანში მოიპოვება ირანიდან, თურქეთის მხარეებიდან და კავკასიის მთებიდან ჩამოსული სომეხი, მაჰმადიანი და სხვა ნაციონალური წარმოშობის, ვაჭართა დიდი რიცხვი. ისინი აქ ალებ-მიცემობას ეწევიან ჩამოტანილი საქონლით“[2]. 1762 წლის 28 მარტის ბრძანებულებაში სენატისადმი, რომლითაც ცხადდებოდა ვაჭრობის თავისუფლების პრინციპი და უქმდებოდა სავაჭრო კომპანიები, ნათქვამი იყო: „ირანთან თავისუფალი ვაჭრობა ეკუთვნის მთელ სახელმწიფოს და რა ძარცვა-გლეჯასაც არ უნდა ჰქონდეს იქ ადგილი, ალებ-მიცემობის ეს უბანი ყოველთვის უხვი იყო და მრავალ ათას ადამიანს საზრდოს აძლევდა“[3]. კანცლერი მ. ვორონცოვიც თავის მოხსენებით ბარათში ეკატერინე II მიუთითებდა: თურქთაგან საფრთხე მოელის ჩვენს ორგანიზებულ ვაჭრობას კასპიის ზღვაზეო[4]. სენატის 1797 წ. 14. VII მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ ასტრახანში მცხოვრები ბუხარელი, გილანელი და სხვა უცხო სოვდაგრები 1736 წლამდე საგარეო ვაჭრობით დიდ შემოსავალს აძლევდნენ ხაზინას[5].

უკანასკნელ ტაბულაში გამოყვანილ საშუალო წლიურ მაჩვენებლებს უახლოვდება ჩვენ მიერ მოსკოვის ძველი საბუთების არქივში მოძიებული სტატისტიკა რუსეთ-ირანის ვაჭრობის შესახებ

---

[1] ЦГВИА, ф. 52, საქმე 482, ფურც. 8.

[2] Полное собрание законов, ტ. XV, № 11071, გვ. 480—481.

[3] იგივე პუბლიკაცია, ტ. XV, № 11489.

[4] Архив князя Воронцова, წიგნი XXV, გვ. 300—302.

[5] Полное собрание законов, ტ. XXIV, № 18042, გვ. 651—654.

XVIII ს. 70 ნი წლების II ნახევარში. ამ სტატისტიკის მიხედვით სავაჭრო მიმოქცევა ყოველწლიურად 400.000—600.000 მანეთის ფარგლებში ტრიალებს[1].

(შემოვიდა რედაქციაში 1. VI. 1956).

Д. ДЖАНЕЛИДЗЕ

## РУССКО-ИРАНСКАЯ ТОРГОВЛЯ ВО II ПОЛОВИНЕ 18 ВЕКА

Резюме

Тщательное рассмотрение архивных и опубликованных документов показывает, что за период правления Керим-Хана (1762—1779 г. г.) в русско-иранской торговле попеременно наблюдается активный для России внешне-экономический баланс. Ввиду этого считаем ошибочным утверждение С. Остапенко[2] о том, что привоз товаров из Ирана в Россию будто почти всегда преобладал над русским экспортом в Иран. Главная ошибка С. Остапенко состоит в том, что он совершенно пренебрегает неофициальными источниками, не утруждая при этом себя разысканием дополнительных данных в русских архивах. Это обстоятельство ведет С. Остапенко к неверному толкованию причин, обуславливавших за указанный период неравномерность в развитии русско-иранской торговли.

[1] ЦГАДА, разряд XIX, საქმე № 297, ნაწ. XIV, ფ. 472; ნაწ. XVI, ფ. 119, 288, 342.

[2] См. его книгу „Персидский рынок". Птр. 1913.

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XV, 1956.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XV, 1956.

ა. გოგუაძე

# აკაკი წერეთელი და გაზეთი „შრომა“

1881—1883 წლებში ქუთაისში გამოდიოდა დასავლეთ საქართველოს ლიბერალ-ხალხოსანი ახალგაზრდობის ორგანო გაზეთი „შრომა“. გაზეთმა „შრომამ“ შემოიკრიბა ისეთი ცნობილი ქართველი მოღვაწეები, როგორიც იყვნენ: დიმიტრი დადიანი, დიმიტრი ნაზარიშვილი (ნაზაროვი), კირილე ლორთქიფანიძე, ბოსლეველი (ესტატე მჭედლიძე), კეზელი (დავით სოსლანი), სეველი (დავით ბაქრაძე), უმწიფარიძე (გრ. ვოლსკი) და სხვა. აღნიშნულ ორგანოში თანამშრომლობდა აკაკი წერეთელიც.

„შრომის“ პუბლიცისტების ყურადღების ცენტრში იდგა სოციალური საკითხი. ისინი აღწერენ საქართველოს გლეხობის მდგომარეობას და სახავენ მათი მდგომარეობის გაუმჯობესების გზებს. ამ ძირითად საკითხთან ერთად, გაზეთ „შრომის“ ლიბერალ-ხალხოსნების შემოქმედებაში გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი ეროვნულ საკითხს. ქართული ეროვნული კულტურის აღორძინების მთავარ საშუალებად მათ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებათა გატარება მიაჩნდათ.

„შრომის“ ლიბერალ-ხალხოსან პუბლიცისტებთან ამ ორგანოში აკაკის თანამშრომლობამ დაბადა კითხვა: რა ჰქონდა საერთო ქუთაისის ლიბერალ-ხალხოსანთა „შრომის“ ჯგუფთან აკაკი წერეთელს?

გაზეთ „შრომის“ შინაარსობრივი მხარეების გაცნობის შემდეგ გამოვლინდა ის საერთო ნიშნები, რომლებიც მეტად თუ ნაკლებად დამახასიათებელია როგორც აკაკი წერეთლის, ისე „შრომის“ ლიბერალ-ხალხოსანი პუბლიცისტების შეხედულებებისათვის.

პირველ საერთო დამახასიათებელ ნიშანს აკაკი წერეთლისა და „შრომის“ პუბლიცისტების შემოქმედებისათვის წარმოადგენს ქართული ეროვნული კულტურისათვის ზრუნვა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ აკაკისთან ეროვნული საკითხი

იმგვარადვე იყოს გაგებული, როგორც „შრომის“ ლიბერალ-ხალხოსნებთან. აკაკისათვის პირველ და გადაუდებელ საკითხს საქართველოს ეროვნული აღორძინება წარმოადგენს. მის შემოქმედებაში ეს საკითხი განსაკუთრებული სიძლიერით არის მოცემული. თუ აკაკის ძირითადი საზრუნავი საგანი საქართველოს ეროვნული აღორძინებისათვის ზრუნვაა, „შრომის“ პუბლიცისტების შემოქმედებაში ეს საკითხი მეორე რიგის საქმედ არის წარმოდგენილი.

მეორე საერთო ნიშანს, მეტ-ნაკლებად დამახასიათებელს აკაკისა და „შრომის“ სხვა თანამშრომელთათვის, წარმოადგენს სოციალური საკითხი — სოფლის ყოფა-ცხოვრების შესწავლა, გლეხობის მდგომარეობის გამორკვევა და მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის ზრუნვა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, აგრეთვე, რომ აკაკისა და „შრომის“ სხვა პუბლიცისტთა სოციალური შეხედულებები ერთი და იგივე იყოს. მაშინ, როდესაც „შრომის“ ლიბერალ-ხალხოსანთა მთავარი ამოცანა სოფლის მეურნეობისა და გლეხობის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ზრუნვაა, აკაკის შემოქმედებაში ეს საკითხი მეორე რიგშია გადატანილი.

გარდა ამისა, აკაკი წერეთელს და „შრომის“ ლიბერალ-ხალხოსნებს ისეთი საერთო დამახასიათებელი ნიშანიც აქვთ, რომელიც უშუალოდ გამოწვეულია მე-19 საუკუნის 80-იანი წლების პოლიტიკური მდგომარეობით: 80-იან წლებში გამეფებულმა პოლიტიკურმა რეაქციამ ქართველი ინტელიგენციის საქმიანობასაც თავისებური დაღი დაასვა. ეხება რა ამ დროის ქართველი პუბლიცისტების პოზიციებს, მიხეილ ზანდუკელი წერს: „...ჩვენი ახალი თაობა ჯერ კიდევ არ არის გარკვეულად მატარებელი სოციალისტური მსოფლმხედველობისა, გარკვეულად არა დგას კლასთა შორის შეურიგებელი ბრძოლის ნიადაგზე. ის მიზნად ისახავს ქართველი ხალხის კულტურულად, პოლიტიკურად და ეკონომიურად წინწაწევას. მომავალი საქართველო მათ წარმოდგენილი აქვთ, თანახმად უტოპიური სოციალისტების გავლენისა, უწოდებრივო, სადაც პიროვნება და შრომა მონობის ბორკილისაგან თავისუფალნი არიან.

თერგდალეულნი ისედაც, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალურ-ეკონომიური პირობების გართულების გამო, დარღვეულნი, 80-იან წლებისათვის ადვილად ინაცვლებენ ზომიერ ლიბერალურ-კულტურულ მოღვაწეობის პოზიციაზე და მცირე პრაქტიკულ საქმეების შესრულებას უახლოეს მიზნად ისახავენ: ასეთია ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა ბანკში... ასეთია სერგეი მესხი სამეურნეო საზოგადოების დაარსების ინიციატორი, ასეთის ხასიათს

ატარებს ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობა ფოთში, კირილე ლორთქიფანიძისა — ქუთაისში და სხვების.“ [1].

მე-19 საუკუნის 80-იან წლებში აკაკი წერეთელიც, სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციების ჩამოყალიბებაში [2].

ამრიგად, გაზეთ „შრომის“ ლიბერალ-ხალხოსნებთან აკაკი წერეთელს აკავშირებს საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური მდგომარეობა, სოციალური საკითხი და 80 იანი წლების რეაქციის შედეგად მისი მიდრეკილება კულტურულ-საგანმანათლებლო საქმეებისაკენ. და მართლაც, თუ გადავხედავთ აკაკის ლექსებსა და ფელეტონებს „შრომაში“, მისი პირველი ამოცანა საქართველოს ეროვნული კულტურის აღორძინებისათვის ზრუნვაა.

აკაკის კორესპონდენციები „შრომაში“ თვითმპყრობელური მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ არის უშუალოდ მიმართული, რისთვისაც მას კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებელი კარგი თვალით არ უყურებდა. 1882 წელს აკაკი წერეთელმა ითხოვა ნებართვა ყოველკვირეული გაზეთი „გზის“ გამოცემისა, მაგრამ კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებელმა, „მიილორა მხედველობაში აკაკი წერეთლის ლიტერატურული მოღვაწეობა გაზეთ „შრომაში“ (ქუთაისი), რომელიც მთავრობის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული, არ სცნო მიზანშეწონილად, რომ მისთვის „გზის“ გამოცემის ნებართვა მიეცა“ [3].

საქართველოს მაშინდელი პოლიტიკური მდგომარეობით უკმაყოფილო აკაკი, სარგებლობს რა გაზეთ „შრომას“ ცენტორის აბულაძის ამ ჯგუფისადმი ერთგვარი თანაგრძნობით, „შრომაში“ ათავსებს თვითმპყრობელური მთავრობის კოლონიალური პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართულ ლექსებსა და სტატიებს.

აკაკისა და „შრომის“ სხვა თანამშრომელთა მიერ წამოყენებული სოციალური და ნაციონალური საკითხების ანალიზის შედეგად ცხადი ხდება, რომ ეს გაზეთი ზოგ შემთხვევაში სცილდება ზომიერების ფარგლებს და მთავრობის წინაშე გადასაჭრელად აყენებს გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვის გაბედულ მოთხოვნებს. სწორედ

[1] მიხ. ზანდუკელი, ახალი ქართული ლიტერატურა, თბილისი, 1954, გვ. 296.

[2] აპოლონ მახარაძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბილისი, 1952, გვ. 276.

[3] პ. გუგუშვილი, ქართული წიგნი, სახ. გამომცემლობა, 1929, გვ. 233.

ამიტომ, „შრომის“ სხვა თანამშრომელთა ზოგიერთ წერილებთან ერთად, აკაკის კორესპონდენციები ხშირად ხდებოდა კავკასიის საცენზურო კომიტეტისა და კავკასიის მთავარმართებლის მსჯელობის საგნად.

1882 წლის გაზეთ „შრომის“ № 17-ში გამოქვეყნებულია აკაკი წერეთლის ლექსი „ზარი“, რომელშიც ავტორი ქართული ეროვნული ინტერესების დაცვისათვის გმირული ბრძოლის იდეას ქადაგებს. ფრიად დამახასიათებელია ლექსის ბოლო ნაწილი:

„...რაც ძალადობით წაილეს,
ვინ დააბრუნებს ნებითა?
ვინ ნახა თავისუფლება
ტანჯვით და მოთმინებითა?!

არ სჯობს, რომ კაცმა გმირულად
ბრძოლაში სული დალიოს,
ვიდრე სხვის ნება-ბრძანებით
მან საწამლავი დალიოს?

აი რას ამბობს რუსთველი,
სულ-მნათი ყვავილოვანი:
„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა
სიკვდილი სახელოვანი!“

აღნიშნული ლექსის შესახებ კავკასიის საცენზურო კომიტეტი კავკასიის მთავარმართებლის მთავარსამმართველოს უფროსს 1882 წლის 8 ივნისის თარიღით შემდეგს ახსენებს: „В № 17 газеты „Шрома“ сего 1882 г. напечатано стихотворение под названием „звон“, найденное в цензурном отношении неудобным. Почтительнейше донося об этом вашему превосходительству, цензурный комитет имеет честь представить при сем упомянутый выше № „Шрома“, вместе с переводом на русский язык“ [1]. აღნიშნულ მიმართვას დართული აქვს ლექსის რუსული თარგმანი [2].

1882 წლის „შრომის“ № 40-ში დაბეჭდილია მოწინავე სტატია და აკაკის ლექსები: „გამდიდრებულხარ ბატონო“ და „კურთხევა“. მოწინავე სტატიაში გაზეთი აღნიშნავს რუსეთის ეკონომიური და

---

[1] ცსსა, საქ. სსრ, ფონდი № 5/12, საქმე № 6107, ფ. 48.
[2] იქვე, ფ. 49.

ფინანსიური მდგომარეობის დაქვეითების შესახებ 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ. აკაკის ლექსებში კე[illegible] და სოციალური მოტივები არის პოეტის მიერ წარმოდგენილი.

აღნიშნული კორესპონდენციების შესახებ კავკასიის საცენზურო კომიტეტი კავკასიის მთავარმართებლის მთავარსამმართველოს უფროსს 1882 წლის 6 ნოემბრის თარიღით შემდეგს ახსენებს: „В фельетоне грузинской газеты „Шрома“ за 1882 г. № 40 напечатаны передовая статья и стихи, которые цензурным комитетом найдены весьма неудобными в цензурном отношении. Почтительнейше донося об этом вашему превосходительству, цензурный комитет имеет честь представить при сем на благоусмотрение ваше упомянутый выше № 3 газеты „Шрома“ с переводом замеченных стихов и передовой статьи на русский язык“[1]. ამ საბუთს დართული აქვს დასახელებული კორესპონდენციების რუსული თარგმანი[2].

1882 წლის „შრომის“ №№ 37, 42 და 43-ში გამოქვეყნებულია ცენზურის თვალსაზრისით მიუღებელი კორესპონდენციები. ამათ შორის დასახელებულია აკაკის ლექსი „ნადული“ („შრომა“ № 42) და მისივე სტატია „ზოგიერთის საპასუხოდ“ („შრომა“ № 43). პოეტი ამ კორესპონდენციებში სოციალური საკითხის გადაწყვეტით, კერძოდ, გლეხობის მთლიანი განთავისუფლებით არის დაინტერესებული. კავკასიის საცენზურო კომიტეტმა „შრომის“ დასახელებულ №№-ში გამოქვეყნებულ საეჭვო სტატიებთან ერთად აკაკის კორესპონდენციებიც მიიჩნია მიუღებლად, რის შესახებაც იგი კვლავ შემდეგს ახსენებს კავკასიის მთავარმართებლის მთავარსამმართველოს უფროსს: „В газете „Шрома“ 1882 г. напечатаны статьи: в № 37 под названием „Накипевшее“, в № 43, передовая статья, порицающая порядки в учебных заведениях и „Ответ некоторым“, которые цензурным комитетом найдены положительно неудобным в цензурном отношении. Принимая во внимание, что за последнее время в целом ряде статей газеты „Шрома“ обнаруживается таковое направление, которое отнюдь не может быть терпимо в цензурном отношении и потому, представляя при сем упомянутые №№ газеты „Шрома“ с переводом на русский язык, цензурный комитет считает дол-

[1] ცსსა, საქ. სსრ, ფონდი № $^{5}/_{13}$, საქმე № 6107, ფ. 67.

[2] იქვე, ფ. 68—70.

гом почтительнейше донести об этом на благоусмотрение вашего превосходительства“ [1].

ამ დოკუმენტსაც, სხვა საეჭვო კორესპონდენციებთან ერთად, დართული აქვს აკაკის ლექსის „ნადულისა“ და მისი სტატიის „ზოგიერთის საპასუხოდ“ რუსული თარგმანი [2].

საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის გაშუქებასთან ერთად, აკაკი „შრომაში“ სოციალური საკითხითაც არის დაინტერესებული, იგი განსაკუთრებით უკმაყოფილოა საგლეხო რეფორმის შედეგებით. მისი აზრით, ბატონყმობის გაუქმებამ გლეხს ვერ მოუტანა ნამდვილი თავისუფლება. დამახასიათებლად შეიძლება მივიჩნიოთ აკაკის ლექსი „არაკი“, რომელშიც ასახულია გლეხობის მდგომარეობა რეფორმამდე და რეფორმის შემდეგ. ლექსის პირველი ნაწილი აღწერს გლეხობის უმწეო მდგომარეობას რეფორმის გატარებამდე.

„ლურჯამ სთქვა: ჩემი პატრონი
მე მეპყრობოდა ავათო;
ორივე ფეხში ბორკილი
მეყარა სატანჯავადო!
მხედნიდა... თავისუფლება
არ მქონდა ჩემდა თავადო
და ჩემი ბედის ვარსკვლავი
ცაზედ ეჭედა შავათო“.

აქ ლურჯა ყმა-გლეხია, რომელსაც ბატონი ავად ეპყრობა და მტანჯველად ევლინება. თავისუფლებას მოკლებული იგი მუდამ შრომასა და გარჯაშია.

აკაკის ლექსის მეორე ნაწილი გლეხის მდგომარეობას ეხება რეფორმის შემდეგ, ე. ი. გვიხასიათებს დროებით-ვალდებული გლეხის ყოფა-ცხოვრებას:

„ცით ჩამოვარდა წერილი,
დამფარველი და მხსნელიო.
ეწერა: „თავისუფლება!...
მოისპოს წესი ძველიო!“
მაშინვე შემტყდა ბორკილი,
მომეხსნა ყელ-საბელიო:

---

[1] ცსსა, საქ. სსრ, ფონდი $^{5}/_{13}$, საქმე № 6107, ფ. 56.
[2] იქვე, ფ. 58, 65—66.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შევხტი და შევინავარდე,
თვალი შემაშრა სველიო.
ვამბობდი: „ჯერ ეს რა არი?
უფრო კარგ ბედსაც ველიო:
მევე ვარ ჩემი პატრონი,
და ზეცა ჩემი მცველიო!“
მაგრამ მიმუხთლა შავბედმა:
ფუ! შერცხვეს ეს სოფელიო!
საითაც ფეხი დავადგი,
ყოველგან მტაცეს ხელიო;
მითხრეს: „აქ შენი რა არი?
სად მოხვალ ჭკუა-თხელიო?
შენთვის არც მთაა, არც ბარი,
არც მინდორი და ველიო!“
მაშ ამგვარს თავისუფლებას
მიჯობს, შემჭამდეს მგელიო!..“ [1].

როგორც ჩანს, გლეხმა ვერ მიიღო თავისი მოთხოვნილების უპირველესი საგანი — მიწა, რაც გლეხის უკმაყოფილებასა და აღშფოთებას იწვევს.

„შრომაში“ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ თავის კორესპონდენციაში აკაკი ბატონყმობის წინააღმდეგ გლეხობის ბრძოლის საქმეში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს მათს სწავლა-განათლებას.

„ერთ დროს ბატონყმობა ხალხის გულში ისე ღრმად იყო გამჯდარი, რომ ეს უსამართლობა ყველას კანონიერ და საჭირო მოვლენად მიაჩნდა...

სხვისი დამოკიდებულებიდან თავის გამოხსნა და თავისუფლება, რომ მისი ქონებაცა და მისი საკუთარი თავიც თვითონვე ხელთ ჰქონოდა, ეს ერთი თავი და თავი საჭიროება რომ მოეთხოვათ ყმებს, ამისათვის ხელი გამოელოთ თითოს კერძოთ და ყველას ერთად, მაშინ მათი საქმე უფრო კარგად წავიდოდა და არა თუ ჩვენ, ჩვენი მამა-პაპებიც ველარ მოესწრებოდნენ ბატონყმობას, მაგრამ ეს ყველა გაუგებრად რჩებოდა ყმებისათვის, რადგან ჭკუაგონება გაუწვრთნელი ჰქონდათ...

ვიმეორებ, ეს არ ესმოდათ ყმებს და არ ესმოდათ მხოლოდ მიტომ, რომ სწავლა-განათლებას მოკლებულნი იყვნენ“ [1].

---

[1] „შრომა“, 1881, № 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონყმური უსამართლობის წინააღმდეგ გლეხობა რომ არ გამოვიდა შეერთებული ძალით, ამას აკაკი მიაწერს მათს გაუნათლებლობას. აკაკის აზრით, საზოგადოების მოწინავე ნაწილი უნდა ცდილობდეს გლეხობაში სწავლა-განათლების გავრცელებას.

ეროვნული და სოციალური საკითხის აღძვრასთან ერთად, აკაკი „შრომაში“ ათავსებს მასალებს, რომლებიც შეიცავენ მთავრობის ბიუროკრატული აპარატისა და საზოგადოების უღირს წევრთა კრიტიკას.

აკაკისა და გაზეთ „შრომის“ სხვა თანამშრომელთა მიერ ამ გაზეთში გამოქვეყნებულმა ანალოგიურმა მასალებმა ამ ორგანოს რადიკალური მიმართულება მისცა. ამიტომ კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებელმა 1883 წელს გაზეთ „შრომის“ გამოცემა შეწყვიტა.

(შემოვიდა რედაქციაში 13. II. 1956).

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XV, 1956.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XV, 1956.

И. И. КУБЛАШВИЛИ

# К ВОПРОСУ О ПОДГОТОВКЕ БОСНИЙСКОГО КРИЗИСА 1908—1909 Г. Г.

Весьма интересный период первого десятилетия XX века полон критическими моментами, доведшими, наконец, дело до военного столкновения. В обстановке всеобщего политического напряжения, Ближний Восток играл роль концентрирующего мировых конфликтов и очага будущей войны. Да именно, Балканский полуостров оказался тем роковым местом, где после трех важнейших кризисов был брошен огонь в пороховую бочку и разгорелось пламя первой мировой империалистической войны.

Нигде, ни в одном уголке мира, накануне первой мировой войны не произошло столько политических кризисов, сколько на Балканах. Боснийский кризис 1908—1909 г. г. является первым балканским кризисом данного периода. Важность этого кризиса прежде всего заключается в том, что он подвел итоги политической и социальной борьбы первого десятилетия эпохи империализма и значительно ускорил процесс подготовки развязывания мирового пожара. Поэтому в исторической литературе боснийский кризис 1908—1909 г. г. вполне справедливо назван прологом мировой войны 1914—1918 г. г.[1]

Боснийский кризис 1908—1909 г. г. произвел коренные изменения во взаимоотношении между великими европейскими странами, в частности, между Германией и Россией. Существующие до того времени противоречия между этими двумя захватчиками после боснийского кризиса доходят до крайнего предела и принимают форму антагонизма. Если в Берлинском кабинете до последнего времени серьезно надеялись на раскол Тройственного согласия и поворот России в сторону Германии, то босни-

[1] „Красный архив", т. 3 (10), М.-Л., 1925, стр. 44.

ЭКЗЕМПЛЯР БИБЛИОТЕКИ

йский кризис значительно уничтожил следы этой надежды и и основательно сцементировал две враждебно настроенные группировки вокруг Англии и Германии.

1.

Заинтересованность Ближним Востоком в правящих кругах Австро-Венгрии зарождалась по мере утверждения в стране капиталистического строя. Подталкиваемая новыми внешнеполитическими событиями эта заинтересованность еще более усилилась со второй половины XIX века и получила значение государственной необходимости.

После окончательной потери в 1866 году Венецианского побережья у Австро-Венгрии оставались только два приморских порта: Триест и Фиуме, да еще Далматинское побережье, узкой полосой тянувшееся вдоль западной окраины Боснии и Герцеговины[1]. Но Италия и после этого неослабно пыталась добиться при помощи Германии кое-каких территориальных приращений за счет Австро-Венгрии[2], т. е. отнять от Австро-Венгрии Триест и Фиуме и обеспечить себе полное влияние на этом участке Средиземного моря.

Как известно, в результате победы Пруссии в франко-прусской войне в 1871 г. завершилось объединение Германии в общую империю, которое окончательно обособило Австро-Венгрию от прежней Германии. Находясь в соседстве с сильной германской империей и возлагая надежду на ее помощь, руководители австро-венгерского государства были вынуждены срочно подыскать способы решения новых внешнеполитических задач. В первую очередь должен был стоять вопрос об утверждении ее положения на морском берегу. Вытесненная из Италии Австро-Венгрия могла надеяться с помощью Германии утвердиться только на западном побережье Балканского полуострова.

Прошло всего семь лет после объединения Германии, и жизненная мечта австро-венгерских государственных деятелей сбылась. 28 июня (н. ст.) 1878 г. на заседании Берлинского кон-

[1] Центральный Государственный Военно-Исторический Архив СССР, Москва, фонд 2000, опись 1, д. 758, л. 4. Записка полковника А. И. Гиппиуса от 8 января 1901 г. (В дальнейшем ЦГВИА).

[2] А. Дебидур, Дипломатическая история Европы, перевод с французского В. О. Броуна, т. II, стр. 417, М. 1947.

гресса было решено, что Австро-Венгрия может оккупировать Боснию и Герцеговину и управлять этими провинциями, которые продолжали оставаться лишь номинально частью Оттоманской империи[1]. Тем же решением Берлинского конгресса Австро-Венгрии предоставили право держать свои гарнизоны в Ново-базарском санджаке, являющемся важнейшим постом в направлении Салоника[2].

Известно, что находясь в подчинении султанской Турции, босно-герцеговинское население часто восставало против турецкого деспотического режима. За последнее время сопротивление босно-герцеговинцев еще более усилилось. Мотивируя слабость Турции, умиротворить эти провинции, и указав на то, что своими волнениями они нарушают спокойствие и интересы двуединой монархии, представители Австро-Венгрии настойчиво потребовали урегулирования этого вопроса путем оккупации обеих провинции австро-венгерскими войсками[3].

Российские представители на Берлинском конгрессе вместе с представителями Турции под давлением германских и английских дипломатов были вынуждены дать свое согласие на оккупацию Австро-Венгрией Боснии и Герцеговины.

Занятием Боснии и Герцеговины, придавая большую экономическую и военно-стратегическую ценность Далматинской береговой полосе, Австро-Венгрия строила план на расширение своего влияния на другие славянские государства Балканского полуострова[4].

Но овладение Боснией и Герцеговиной нелегко удавалось Австро-Венгрии: во-первых, она была вынуждена признать независимость Болгарии, Сербии и Черногории, установленную Берлинским трактатом, во-вторых, появилась забота об обеспе-

[1] См. Сборник договоров России с другими государствами, 1856—1917 г. М. 1952, стр. 193.

[2] Там же.

[3] См. B l u n t s c h l i, Le congrè de Berlin, Paris, 1879, p. 46.

[4] Босния и Герцеговина, как административная единица была ограничена на востоке и на юго-востоке Сербией и Черногорией, на западе — Далмацией, на севере — Кроацией и Словенией. Провинции эти, на подобие клина, глубоко вдались в так называемое триединое королевство. См. Г. Н. Кутепова, Босния и Герцеговина, политический и статистический очерк. „Известия Министерства иностранных дел“, кн. VI, стр. 137, 1915.

чении границ новых владений. Прежде всего следовало опасаться сближения восточной границы Черногории с западной границей Сербии, дабы на юге новых австро-венгерских владений не могли соединиться силы двух одноплеменных княжеств для совместных военных действий против Австро-Венгрии, в-третьих, несмотря на то, что Россия дала свое согласие на оккупацию Боснии и Герцеговины, все же она никак не могла мириться с усилением австро-венгерского влияния на Балканах и выжидала удобного момента для активного выступления и ликвидации этого влияния. Этот момент особенно сильно встревожил государственных деятелей Австро-Венгрии.

Берлинский конгрес внял довольно странным доводом представителей Австро-Венгрии, и в угоду ей, границы Черногории были сужены, а границы Новобазарского санджака, лежащего между Черногорией и Сербией, расширены.

25-й статьей Берлинского трактата, как выше отмечено, за Австро-Венгрией было признано право „содержать гарнизоны, а также иметь дороги военные и торговые на всем протяжении этой части прежнего боснийского вилайета“ [1].

Прекрасно зная, что сооружение железных дорог является наилучшим средством для овладения страной, австро-венгерские государственные деятели сразу же приступили к проектированию и проведению новых железнодорожных линий на территории вновь приобретенных провинции. Вместе с тем, по мнению австро-венгерцев, эти железнодорожные линии должны были послужить средством для дальнейшего расширения австро-венгерского влияния на близлежащих территориях оккупированных им провинций.

Австро-венгерское общество восточных железных дорог т. н. Compagnie des chemin de fer Oriөnteau к началу XX века эксплоатировало железные дороги на Балканском полуострове длиной в 1.263 километра [2].

---

[1] См. Сборник договоров России с другими государствами 1886—1917, М., 1952, стр. 193.

[2] Железно-дорожные линии на Балканах, контролируемые австро-венгерским обществом восточных железных дорог, были следующие: а) Константинополь — Мустафа-паша (в Адрианопольском вилаете) с ветвями от Павликея до Дедеагача; б) Мустафа паша Филиполь Белова-

После оккупации Боснии и Герцеговины железно-дорожное строительство Австро-Венгрией на Балканах получило новый стимул и ежегодно расширялось до начала первой мировой войны.

Босния и Герцеговина, несмотря на малую территориальность[1], имели большое экономическое и военно-стратегическое значение для Австро-Венгрии на Балканском полуострове. Они являлись важной опорой для последующего расширения австро-венгерского влияния на Ближнем Востоке. Босния и Герцеговина являлись для Австро-Венгрии прекрасной базой для расширения своего торгового и политического влияния на Черногорию, Сербию, Македонию и Болгарию[2].

С целью укрепления собственной позиции в Боснии и Герцеговине правители Австро-Венгрии в соответствии с государственными и собственными интересами широко содействовали: 1) католической пропаганде, 2) выселению из этих областей мусульманского и православного населения и 3) заселению края немецкими колонистами. Такие агрессивные мероприятия задевали национальные чувства балканских славян[3].

---

Вакарель (в Болгарии) с ветвью от Тирнова Сейменли к Ямболи; в) Салоники-Ускюб-Митровица с ветвью от Ускюба до Зиберге (в Македонии).

Таким образом, к началу 1900 г. Австро-Венгрия имела уже готовую железнодорожную линию от Вены и Будапешта до Сараева, см. ЦГВИА, ф. 2000, опись 1, д. 758, л. 4.

---

[1] Прежний Боснийский вилает составлял 61.065 кв. километров, з управление же Австро-Венгрии, за выделением Ново-Базарского санджака было передано 51,199 кв. километров, т. е. 945,26 кв. миль (из них Босния 732,71 кв. миль и Герцеговина, 221,29 кв. миль или около 4,592,430 десятин), см. Г. Н. Кутепова, указ. произв., стр. 138.

[2] К началу XX века Австро-Венгрии принадлежало первое место по ввозу товаров в Сербию, Черногорию, Болгарию и Румынию, см. ЦГВИА, ф. 2000, опись 1, д. 758, л. 5.

[3] Этнографический состав населения Боснии и Герцеговины был почти однороден. Огромное большинство народонаселения принадлежало к сербо-хорватскому племени, но по вероисповеданию оно разделялось на три группы: православных, магометан и католиков. Из этих групп больше всего насчитывалось православных, затем в несколько меньшем числе мусульмане, а католиков наполовину меньше. Общий язык сербский. См. Г. Н. Кутепова, указ. произв., стр. 138.

Оккупацией Боснии и Герцеговины Австро-Венгрия прибрала к своим рукам лакомый кусок на Балканском полуострове, снабжающий сырьевыми материалами ее фабрики и заводы[1]. Выкалачивание всех существующих сырьевых рессурсов из Боснии и Герцеговины Австро-Венгрией осуществлялось посредством собственной железнодорожной сети, эксплоатация которой производилась в весьма особых условиях[2].

Параллельно с расширением экономического влияния Австро-Венгрии на государства Балканского полуострова, была разработана и проводилась в жизнь программа усиления и ее политического влияния на территории этих стран. Программа предусматривала овладение Адриатическим побережьем Балканского полуострова и не допустить до этого побережья ни одного из близлежащих к нем балканских государств, каковыми являлись Болгария, Сербия и Черногория[3]. В осуществлении этой, явно

[1] „Босния и Герцеговина достаточно обильно одарены природой — пишет хороший знаток этого края Г. Н. Кутепова. Из общего числа 4.592.430 десятин, неудобной земли насчитывалось лишь 88.640 десятин. Главное занятие жителей — земледелие и скотоводство. Земледелие преобладало в Боснии, скотоводство — в Герцеговине. Большое богатство в стране — это лес, имеется дуб, бук и на горах хвойные деревья. После оккупации производилась усиленная эксплоатация лесных богатств. Каждый год вывозилось в Австро-Венгрию на 1 млн. крон дров и леса. В 1907 году вывоз достиг до 28 млн. крон".

См. Г. Н. Кутепова, указ. произв., стр. 137. См. также Андре Барр, Босния и Герцеговина под австрийским владычеством. Перевод с франц. под редакц. А. Маевского, 1909, М., стр. 66.

[2] Особенность условий, на каких велась эксплоатация австро-венгерских железных дорог на Балканах, состояла в том, что не турецкое правительство обеспечивало железной дороге определенный заемный доход, а, наоборот, железная дорога уплачивала турецкому правительству ежегодно по 1.500 франков с километра, что на 1.263 километра составляло сумму в 1.894.000 франков ежегодно. См. ЦТВИА, ф. 2000, опись 1, д. 758, л. 35.

[3] По отношению к Черногории эта политика уже была проведена в жизнь, а именно, на Берлинском конгрессе принятым постановлением Черногория была отрезана от моря с запрещением содержать там свой военный флот и учреждения австро-венгерской морской и санитарной полиции. По отношению к Сербии успех той же политики обеспечивался теми правами Австро-Венгрии на Ново-базарский санджак, которые были предоставлены ей Берлинским конгрессом. ЦГВИА, ф. 2000, опись 1, д. 758, л. 5.

агрессивной программы Австро-Венгрию поддерживала Германия. Правда, Германия имела собственные захватнические планы на Балканах, но опасаясь усиления политического и экономичоского влияния России, она предпочитала усиление союзницы Австро-Венгрии, т. к. эта последняя могла бы пригодиться ей послушным орудием в осуществлении грандиозных захватнических планов на Ближнем Востоке.

После оккупации Боснии и Герцеговины в корне изменилось их государственное правление. Во главе правления Боснии и Герцеговины стоял генерал-губернатор (австро-венгерский ставленник), который подчинялся как австро-венгерскому военному министру, так и на месте сербскому военному министру. Такая система правления просуществовала до 1882 года, а с 1882 г. Босния и Герцеговина получили гражданскую администрацию, во главе которой стоял помощник генерал-губернатора по гражданской части, носящий название Civil-Adlatus. Высшее управление провинцией сосредоточивалось в руках общеимперского министра финансов. По законам 4 апреля 1912 г. должность Civil-Adlatus была упразднена и вместо нее учреждена должность заместителя (Stellvelter). Должность Stellverter-а осуществлял генерал-губернатор с подчинением по военным делам австро-венгерскому императору, а по гражданским — австро-венгерскому министру финансов.

В административном отношении Босния и Герцеговина была разделена на шесть округов (соответствующим российским уездам) и пятьдесят катаров (станов), во главе которых стояли правительственные чиновники. При назначении чиновников на постах местных органов власти австро-венгерское правительство отдавало преимущество хорватам, которые служили, главным образом, в ведомстве народного просвещения и вероисповедания.

Судебная власть на местах была вручена австро-венгерским чиновникам, а в округах — окружным судам. Разбор дела производился на австрийском языке. Судили по шарияту. Высшей судебной инстанцией служил верховный суд, находящийся в Сараеве. Таким образом, босно-герцеговинский народ попал под новый экономический и национальный гнет со стороны Австро-Венгрии.

В обстановке сильного экономического и политического по-

рабощения, балканские славянские народы неослабно стремились к развитию собственных экономических, культурных и духовных сил и восстановлению духа единения, чтобы совместными силами достигнуть прогресса своего хозяйственного и культурного уровня [1]. И действительно, с конца XIX века в Балканских славянских государствах в этом отношении замечаются серьезные сдвиги. Следует отметить, что в освобождении Балканских славян от турецкого ига и возрождении их национальной государственности большую роль играла Россия [2]. Д. Косев в своей новой истории Болгарии пишет:

„В соответствии со своими интересами на Ближнем Востоке Россия помогала национально-освободительному движению сербов, греков и болгар, а решающим фактором в создании национальных государств этих народов было русское оружие" [3].

Известно, что русско-турецкая война 1877—1878 г. г. играла решающую роль в освобождении балканских славян, в первую очередь, Болгарии. „Русско-турецкая война 1877—1878 г. г. принесла болгарскому народу не только национальное, но и социальное освобождение [4].

Болгария, получившая независимость постановлением Берлинского конгресса, стала на путь сравнительно быстрого развития собственной экономической и культурной жизни. С 80-х годов XIX в. болгарское национальное производство на много расширилось и обогатилось.

К 1900 году иностранное влияние на экономическую жизнь Болгарии значительно сократилось. Весьма замечательно и утешительно, — пишет полковник российского генерального штаба А. И. Гиппиус, откомандированный в 1900 г. на Балканах со специальным поручением, — что постройка железных дорог в Болгарии не отдавалась и не отдается в руки иностранцев, а ведется или иждивением болгарского правительства, или акционерными обществами болгарской национальности [5].

[1] ЦГВИА, ф. 2000, опись 1, д. 758, л. 5.

[2] В. Коларов, Освобождение Болгарии от турского рабства, стр. 6, София, 1948.

[3] Д. Косев, Новая история Болгарии. Курс лекции. перев. с болгарского Л. Б. Валева, Н. И. Попова и Н. Н. Соколова, М., 1952, стр. 438.

[4] Д. Косев, Указ. произв., стр. 138.

[5] ЦГВИА, ф. 2000, опись 1, д. 758, л. 6 и об.

Сооружение собственной железнодорожной сети стало сильным содействующим средством для еще большего втягивания Болгарии в лоно международной торговли [1]. По ввозу и вывозу товаров Болгария занимала в тот период видное место среди других Балканских и Дунайских государств.

В конце XIX в. по данным „Отчетов российских и английских консулов в Болгарии“ в Болгарии импортировали свои товары все передовые страны Европы, среди которых первое место занимала Австро-Венгрия [2].

Сельское хозяйство Болгарии постепенно приобретало характер товарного производства.

Вместе с развитием и ростом торговли и железнодорожной сети стали развиваться отдельные отрасли промышленности, появились первые представители новой национальной буржуазии, сразу же втянувшиеся в борьбу против чужеземных угнетателей.

Иностранные капиталисты всемерно тормозили развитие национальной промышленности в Болгарии, но процесс формирования национальной буржуазии как в Болгарии, так и в других мелких славянских государствах Балканского полуострова шел по пути исторической закономерности.

Сербия на много отставала от Болгарии по развитию промышленности, но в отношении торговли она не уступала ни ей, ни другим соседным странам.

Несмотря на сильное препятствие со стороны Австро-Венгрии железнодорожное строительство в Сербии к концу XIX века на много оживилось

В начале 1899 года в Сербской скупщине было принято постановление, разрешавшее сербскому правительству приступить к постройке новых железных дорог [3].

---

[1] Одним из важных значений развития сети болгарских железных дорог состояло в облегчении сношения княжества с Черным морем. Такая железнодорожная политика болгарского правительства должна была привести княжество в более тесную экономическую связь с другими Черноморскими государствами и, в первую очередь, с Россией, что и было выгодно для обеих стран.

[2] Импорт Австро-Венгрии составлял в 1899 г. около 31%. За ней шла Англия 20,5%, Германия 14,2%. а Турция 10,6%. См. ЦГВИА. ф. 2000, опись 1, д. 758, л. 7.

[3] ЦГВИА, ф 2000, опись 1, д. 758, Л. 8.

Развитие торговли и железнодорожного строительства в Сербии и Черногории обусловило также формирование национальной буржуазии этих стран, играющей прогрессивную роль в борьбе за освобождение своей страны от национального угнетения.

2.

После оккупации Боснии и Герцеговины Австро-Венгрией Балканское славянское население вело непрекращающуюся борьбу против австро-венгерских баронов, чиновников и военных деятелей. Осуществление экономической и политической экспансии в оккупированных провинциях вызывало сильное возмущение местного населения. Свободолюбивые славянские народы балканского полуострова возобновили борьбу против новых, не менее жестоких поработителей, чем раньше были турецкие ассимиляторы. Репрессивные меры угнетателей одинаково касались всех слоев туземного населения, что усиливало национально-освободительное движение балканских славян. Это движение, возглавляемое с начала XX в. национальной буржуазией, постепенно получало широкий размах.

Боснийцы и Герцеговинцы не боролись в одиночестве. Вместе с ними в восстаниях участвовали и другие славянские народности — сербы, черногорцы и другие.

Особенно активно действовала сербская национальная буржуазия и военщина. Оккупацией Боснии и Герцеговины Австро-Венгрия уничтожила все надежды на объединение сербских земель и на выход к морю. С этого времени не только сербская буржуазия и военщина, но и весь сербский народ еще больше возненавидел Австрию[1].

ბუნება იმ კანონებისა, რომლებიც დამახასიათებელია ამ სინამდვილისათვის. მაგრამ, რამდენადაც საკითხმა, როგორც [illegible] მიმართულება მიიღო და, რადგანაც, საერთოდ, არსებობს აზრი, რომლის მიხედვით, კანონი და კანონზომიერება ეხება მხოლოდ იმას, რაც ცნობიერებისგან დამოუკიდებელია, და არა თვით ცნობიერებას, ან იმის მეცნიერებასთან გვაქვს საქმე, რომ ცნობიერება, როგორც ყოველგვარი კანონის სუბიექტი, თვით არ ითმენს კანონის მიყენებას და სხვა, ჩვენ კანონის ზოგად საკითხს უნდა შევეხოთ და მისი არსებითი ნიშნების დახასიათებით გავარკვიოთ ჩვენი სპეციალური საკითხი.

რას გულისხმობდა ადამიანი კანონში, როცა მან მისი ძებნა დაიწყო? რა თეორიულმა და პრაქტიკულმა საჭიროებამ განსაზღვრა ეს ძიება და რით, რა საშუალებით იქნა დაკმაყოფილებული ეს მოთხოვნილება? ამ კითხვებზე პასუხისათვის საჭიროა გავეცნოთ ამ ცნების გააზრების ისტორიას.

სავსებით ნათლად და გარკვევით კანონის საჭიროება და მნიშვნელობა პირველად ჰერაკლიტემ გაითვალისწინა. ეს არაა შემთხვევითი და კანონის ბუნების საწვდომად მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს. ჰერაკლიტემ მოძრაობის, ცვალებადობის პრინციპი დაუდვა საფუძვლად ყოველივე არსებულს. ამით წინაღუდგა იგი დოგმატურ მეტაფიზიკას. სინამდვილე უცვლელი კი არაა, არამედ მუდამ ცვალებადი. ამით აღიარებულია რეალობის ყველაზე თვალსაჩინო ნიშანი. მაგრამ აქვე იბადება ახალი პრობლემა, პრობლემა სინამდვილის შემეცნებისა, ცვალებადობისა და სიმრავლის „დაძლევისა". ის ფაქტი, რომ ცვალებადობის პრინციპის ცალმხრივმა გაშუქებამ ფილოსოფიური სკეპტიციზმის სახე მიიღო და მოქმედების შეუძლებლობის აზრიც დაბადა („ერთჯერაც ვერ ჩახვალ მდინარეშიო."), ადასტურებს იმას, რომ ცვალებადობის აღიარება შემეცნების აუცილებელი პირობაა, მაგრამ იგი საკმარისი პირობა არ არის. ის პასუხიც არის შემეცნების პირობის რაობაზე და პრობლემის დაყენებაც. პრობლემა სწორედ ცვალებადობის შემეცნებაა. ჰერაკლიტე მისწვდა იმ აზრსაც, რომ მეორე და არსებითი პირობა შემეცნებისა არის უცვლელობა. რომელიც, რასაკვირველია, ვერ დაიძებნება იმ სიბრტყეში, რომელშიც ცვალებადობა მდებარეობს. ყოველივე ცდა აქ არსებული საკითხის გადაჭრისა ცვალებადობის ტემპის სხვაობის საშუალებით თავიდანვე უიმედო ცდად და არაპრინციპული ხასიათის მოსაზრებად უნდა ჩაითვალოს. ეს გარემოება სავსებით ჰქონდა გათვალის-

წინებული ჰერაკლიტეს და საკითხიც ამის შესაბამისად გადაჭრა. მისი აზრით, მარტო ცვალებადობა რომ არსებობდეს, მაშინ შეცნება შეუძლებელი იქნებოდა. აქ კომპრომისული გზა არ გამოდგება: რა კატეგორიულობაც ცვალებადობის აღიარებას ახლავს, იგივე კატეგორიულობა უნდა მიენიჭოს მის საწინააღმდეგო საქმის ვითარებასაც. ცვალებადობის აუცილებლობამ უცვლელის აუცილებლობა უნდა გვაჩვენოს: ჭეშმარიტებაა არა მარტო ის, რომ ყველაფერი იცვლება, ყველაფერი მოძრაობს, არამედ ისიც, რომ ცვალებადობა, მოძრაობა რჩება, რადგან და რამდენადაც იგი განსაზღვრულია კანონით, ლოგოსით. ყველაფრის ცვალებადობის ლოგოსი, როგორც კანონი სწორედ ამ ცვალებადობისა, თვით არის უცვლელი[1]. ჰერაკლიტეს ეს აზრი დღესაც ძალაშია: „...მარადი არაფერია, გარდა მარად ცვალებადი, მარად მოძრავი მატერიისა და იმ კანონებისა, რომელთა თანახმადაც იგი მოძრაობს და ცვალებადობს"[2].

კანონი იმისთვის გვინდა, რომ მოვახერხოთ ორიენტაცია გარემოში, ბუნებასა და საზოგადოებაში. კანონის ძებნა არის ერთისა და მარადიულის ძებნა სიმრავლესა და ცვალებადობა-წარმავლობაში. „ბუნების ყოველგვარი ჭეშმარიტი შემეცნება, — ამბობს ფრ. ენგელსი, — მარადისის, უსასრულოს შემეცნებაა და ამიტომ იგი არსებითად აბსოლუტურია"[3]. შემეცნება კანონების ცოდნაა,

---

[1] იხ. არისტოტელე, „Метафизика", 1078б, 12—17, „...они насчет истины ‹вещей› прониклись гераклитовскими взглядами, согласно которым, все чувственные вещи находятся в постоянном течении: поэтому если знание и разумная мысль будут иметь какой нибудь предмет, то должны существовать другие реальности (устойчиво) пребывающие за пределами чувственных: о вещах текущих знания не бывает". რასაკვირველია, დასკვნა არ გამომდინარეობს წანამძღვრიდან: მტკიცე და უცვლელი სწორედ ცვალებადის შესაცნობად გვინდა. თავისთავად აღებული „უცვლელი" შემეცნებას ვერ უზრუნველყოფს.

[2] ფრ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, 1950, გვ. 28.

[3] ფრ. ენგელსი, იქვე, გვ. 221. „ულტრა დიალექტიკოსები" მეცნიერების და ბუნების კანონების ცვალებადობაზეც ლაპარაკობენ. ეს იმით აიხსნება, რომ არაა ნათლად გაცნობიერებული კანონის ცნება, კანონის ლოგიკური შინაარსი. კანონი ex definitio ეწოდება იმას, რის მიხედვით და რისი წყალობითაც რამე ხდება, ხოლო ის, რაც ხდება სწორედ იმიტომ, რომ ხდება, არ არის კანონი. როცა ცვალებადსა და ცვლილებას ვხედავთ, არ ვხედავთ კანონს, არამედ იმას, რაც კანონის შესაბამისად ხდება. კანონი ყოველთვის „მართავს", „განაგებს". ის არასდროს არ არის „მართვის" ობიექტი. ცვალებადობის კანონის მუდმივობა ცვალებადობის მუდმივობის გარანტიაა.

კანონებისა, რომელთაც აქვთ ძალა და მნიშვნელობა იმ სინამდვილის მიმართ, რომელსაც ეს კანონები ეხება კონკრეტულ მეცნიერებათა სახელწოდება ხშირად რომ სიტყვა „ლოგოსით" თავდება, არაა შემთხვევითი: აქ არის მოცემული პარდაპირი მითითება იმაზე, რომ საძიებელი ამ მეცნიერებაში არის ამა თუ იმ სინამდვილის ლოგოსი, მისი კანონი. კერძოდ, ძველი სახელწოდება „ფსიქე" რომ „ფსიქოლოგიით" შეიცვალა, იმისი მომასწავებელია, რომ საქმე ეხება ფსიქიკის ლოგოსის აღმოჩენას და არა უბრალო საუბარს, ფანტაზიასა და მითოლოგიურ მოთხრობას სულის შესახებ.

შემეცნების ბუნებიდან გამომდინარე მოთხოვნილება ცხადია და გასაგები: კანონის გარეშე, მისი შემეცნების გარეშე მეცნიერება არ არსებობს. მაგრამ არსებობს თუ არა ასეთი კანონები ნამდვილად? აქვს თუ არა სინამდვილეს თავისი შინაგანი კანონი?

ამ კითხვის წამოყენება დღეს უცნაური ჩანს: მეცნიერება არსებობს და, მაშასადამე, რადგან მეცნიერება კანონების შემეცნებაა და მეტი არაფერი, ცხადია, რომ ეს კანონები არსებობენ და ბევრი მათგანი შემეცნებულიც არის. დღეს რომ ჩნდებოდეს პირველად მეცნიერება და ჯერ კიდევ კითხვის ქვეშ იდგეს მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი, მაშინ კიდევ ექნებოდა აზრი ასეთი კითხვის დაყენებას, მაგრამ, რადგან მეცნიერების ფაქტიური არსებობა არავითარ ეჭვს არ იწვევს, ეს კითხვა კანონების არსებობის შესახებ გადაჭრილად უნდა ვიგულისხმოთ.

მაინც არ არის საქმის ვითარება ისე ნათელი და გარკვეული, როგორც ეს ამ მსჯელობაშია დახასიათებული. მართალია, მეცნიერების არსებობას ყველა აღიარებს: იდეალისტიცა და მატერიალისტიც, დუალისტიცა და მონისტიც, მაგრამ ეს მაინც არ ნიშნავს ერთისა და იმავეს აღიარებას, არ ნიშნავს იმას, რომ საგანთა და მოვლენათა კანონის არსებობისა და მისი ბუნების შესახებ ერთნაირად ფიქრობენ სხვადასხვა ფილოსოფიური მიმართულებები. თანხმობაა მხოლოდ იმაში, რომ მეცნიერებას დღეს თავის განკარგულებაში აქვს მთელი რიგი კანონებისა, მაგრამ არ არის თანხმობა და შეურიგებელი წინააღმდეგობაცაა როგორც ამ კანონების ბუნების, ისე მათი გენეზისის საკითხში. ჩვენი პრობლემაც ამიტომ ეხება სინამდვილის კანონს, იმ კანონს, რომელიც მას აქვს, ჰქონდა და ექნება ყოველთვის, და არა იმას, რაც მას მოცემული, მინიჭებული აქვს მის გარეშე არსებული ინსტანციიდან, როგორც ამას ამტკიცებს ბურჟუაზიული იდეალის-

ტური ფილოსოფია. მდგომარეობა რთულდება, როცა [illegible] კანონის არსებობიდან, საერთოდ, გადადის ბუნების [illegible] ბობისა და მისი შემეცნების შესაძლებლობაზე. აქ ისეთ აზრებსაც ვხვდებით, რომელნიც პირდაპირ ან არაპირდაპირ უარყოფენ ბუნების კანონების არსებობას და ბუნებისმეტყველებაც საეჭვოდ და პრობლემატურად მიაჩნიათ[1]. ამიტომ საჭირო ხდება იმ კანონების „დაცვაც", რომლებიც საკუთრივ ბუნებას შეეხება: შემეცნება რომ კანონის გარეშე არ შეიძლება, ეს უდავოა, მაგრამ აქედან კიდევ არ შეიძლება პირდაპირი დასკვნის გამოყვანა, რომ ბუნებას ეს კანონი მართლა აქვს. ადამიანისა და შემეცნების საჭიროებას ბუნებისათვის არა აქვს სავალდებულო მნიშვნელობა: სუბიექტი ვერ უკარნახებს კანონებს ბუნებას (ეს არ შეუძლია არც ღვთაებას, რომელსაც „ყველაფერი შეუძლია", რადგან ღვთის ბრძანებით არსებული კანონი იქნება ღვთის და არა ბუნების კანონი) არა მისი უძლურების გამო, არამედ პრინციპული მიზეზით. ბუნების კანონზე მხოლოდ მაშინ შეიძლება ლაპარაკი, როცა ამ კანონის დემონსტრაცია ბუნებიდან მომდინარეობს, როცა ამ კანონის არსებობა ბუნების (და არა შემეცნების) აუცილებლობაა.

მაგრამ ბუნების კანონი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, არ ამოწურავს კანონის შინაარსს საერთოდ. ცნობილია ისეთი კანონებიც, რომელთაც ბუნების კანონებს არავინ ეძახის. ხშირად ბუნების კანონებს უპირისპირებენ ე. წ. ნორმატულ კანონებს, სოციალურ კანონებს, ადამიანების მიერ ნებისმიერად დადგენილ კანონებს... დგება საჭიროება კანონის უზოგადესი ცნების განსაზღვრის შესახებ. რა გინდ შორეული არ ჩანს ეს ჩვენი სპეციალური ამოცანებიდან, იგი (ჩვენი ამოცანა) მაინც ვერ გადაწყდება ზოგადის გათვალისწინების გარეშე. სამწუხაროდ, ამ საკითხზე საბჭოთა მეცნიერებაში ჯერ კიდევ ცოტაა გაკეთებული. მარქსიზმის კლასიკოსების მტკიცე და გარკვეული მითითებები სახელმძღვანელო გზას წარმოადგენენ ამ მიმართულებით, მაგრამ ამ პრინციპების კონკრეტულ შემთხვევებში გამოყენება მოითხოვს სპეციალური მეცნიერების რიგით წარმომადგენელთაგან დამოუკიდებელ და სისტემატური ხასიათის მუშაობას. ეს მუშაობა არ მიმდინარეობს, რამდენადაც ვიცით, საჭირო ინტენსივობით.

თავისთავად იგულისხმება, რომ ამ შრომაში ჩვენ არ ვკისრუ-

---

[1] მაგ., იუმი არ უარყოფს მათემატიკის კანონების აუცილებლობას, მაგრამ საეჭვოდ თვლის და უარყოფს ბუნებაში აუცილებლობის არსებობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობთ ამ ხარვეზის შევსებას, მაგრამ ვალდებული ვართ, კანონის ზოგადი ბუნების შესახებ გარკვეული შეხედულება გვქონდეს, რამდენადაც ეს აუცილებელია წინამდებარე თემის დასამძლევად. ვრცელი და დასაბუთებული აზრი ამ საკითხზე, ვიმედოვნებთ, ცალკე შრომაში იქნება ჩვენ მიერ მოცემული. აქ, ამომწურავი დასაბუთების გარეშე, აღვნიშნავთ მხოლოდ აუცილებელს შემდგომი მსჯელობისათვის, მხოლოდ იმას, რაც გასაგებად გახდის სპეციალურ მსჯელობას ფსიქიკურის კანონზომიერების შესახებ.

პირველ რიგში გავარკვიოთ ჩვენი დამოკიდებულება ე. წ. ნორმატულ კანონებთან. რა არის ნორმატული კანონი და რა დამოკიდებულება შეიძლება ჰქონდეს მასთან ჩვენს საკითხს? თანახმად განმარტებისა, ნორმატული ისეთ კანონს ეწოდება, რომელიც თავისთავში დასაბუთებულია და მნიშვნელობის მქონე, სრულიად დამოუკიდებლად იმისგან, თუ როგორია არსებული რეალური მდგომარეობა, რომელიც კანონის შესატყვისი შეიძლება იყოს (და შეიძლება არ იყოს). არსებობა ამ კანონისათვის არც დამახასიათებელია და არც ლოგიკურად აუცილებელი. ის, რაც ამას სჭირდება როგორც კანონს, ოდნავადაც არ არის დამოკიდებული არსებობაზე, რეალობაზე. ნორმატულობა კანონისა იმდენად თვითონ მისი დახასიათება არ არის, რამდენადაც რეალობის, სინამდვილეში ემპირიულად არსებული სუბიექტისა, მისი მოქმედებისა, მსჯელობისა... ნორმა არის იგი არა თავისთავად და თავისთვის, არამედ სხვისთვის, მის გარეშე არსებული საქმის ვითარებისთვის. ყოველი ნორმა თეორიულ საფუძველს გულისხმობს. ის, რაც უნდა იყოს, გამომდინარეობს იქედან, რაც არის. მართალია, ე. წ. ნორმატივისტები პრიმატობას აძლევენ იმას, რაც უნდა იყოს, იმასთან შედარებით, რაც არის, მაგრამ ამ შემთხვევაში სიტყვა „არის“ ნიშნავს არსებობას, ეგზისტენციალობას და რაა საკვირველი იმაში, რომ „უნდა“ არ იყოს გამოყვანილი იმისგან, რაც არის?! ის, რაც არის, რაც არსებობს, აღარ საჭიროებს „უნდა“-ს. იდეალიზმის ის მიმდინარეობა, რომელიც ნორმატივიზმს, როგორც მიმართულებას, ებრძვის და „ყოფიერებას“ ანიჭებს პრიორიტეტს, ამ ცნებაში ემპირიულად მოცემულ სინამდვილეს, რეალურ-მატერიალურ ყოფიერებას კი არ გულისხმობს, არამედ ე. წ. მესამე სამყაროს ან იდეათა და არსთა სახით ან მნიშვნელობის (Geltung) სახით. როგორიც არ უნდა იყოს შინაგანი უთანხმოება იდეალისტებს შორის ნორმისა და მისი საფუძვლის პრობლემის გარშემო, ერთი რამ მათ ყველას ახასიათებს: ეს ისაა, რომ, მათი აზრით, ნორმები მომდი-

ნარეობს ისეთი სამყაროდან, რომელიც არც ფსიქიკურია და არც ფიზიკური. ამას მესამე სამყაროდ თვლიან და იქნება ეს სამყარო ყოფიერების სახით, თუ ვალდებულების სახით (Sein, Sollen), სულ ერთია, მისი წმინდა იდეალისტური ხასიათი ეჭვს გარეშეა. მარქსიზმი ვერ შეურიგდება ასეთი სამყაროს არსებობის აზრს და ვერც კანონებს წარმოიდგენს იმ სახით, როგორც ეს ნორმატივიზმისთვის არის დამახასიათებელი.

მაგრამ დავუშვათ შედარებისათვის არსებობა ნორმატული კანონისა და განვასხვაოთ იგი იმ კანონისგან, რომელსაც ჩვენ ვეძებთ და რომელსაც მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის.

ნორმატული კანონი ერთგვარი კატეგორიული მოთხოვნილებაა იმის მიმართ, ვისაც რაღაც გარკვეული მიზანი დაუსახავს. ნორმა იმ ქცევას ეხება, რომელიც აუცილებელია დასახული მიზნის მისაღწევად (მაშასადამე, იგი არ ეხება იმას, ვინც ასეთს მიზანს არ ისახავს). ნორმა იმიტომაც არის ნორმა, რომ მისი განხორციელება არ არის აუცილებელი: ვინც მიზანს არ ისახავს, ის ვერც ნორმას გამოიყენებს და ნორმის კატეგორიულობასაც მისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს: აქ განხორციელების საკითხი საერთოდ არ დადგება. მაგრამ განხორციელება ნორმისა შეიძლება არც მაშინ მოხდეს, როცა მიზანიც დასახულია და ერთგვარი ზომებიც მიღებულია მის მისაღწევად. მაგრამ სხვადასხვა მიზეზებისა გამო მაინც არ იქნა იგი მიღწეული. ნორმატული კანონი ამ „მარცხს“ თავის ანგარიშში არ იწერს. იგი მას არ ეხება. ეს იმ სუბიექტის მარცხია, რომელიც იბრძოდა მიზნისათვის (ჭეშმარიტებისათვის, სიკეთისათვის, მშვენიერებისათვის). ნორმატული კანონი არც იმის გამო შეიცვლება ან არ დაკარგავს ამ ხასიათს, ყოველივე, კანონში გათვალისწინებული, დაუბრკოლებლივ რომ ხორციელდებოდეს სინამდვილეში. ამ შემთხვევაში გაქრებოდა მხოლოდ იძულების განცდა, რაც სრულიად არ ეხება ნორმატული კანონის არსს (გაქრებოდა „Müssen“ და დარჩებოდა „Sollen“).

სულ სხვაა ის, რაც ჩვენ გვაინტერესებს. რასაც ჩვენ ვეძებთ. იგი არსებულის კანონია და მისი ბუნებაც აქ უნდა იქნეს განხილული. არსებულის კანონზე ვერ ვიტყვით, რომ ის საჭიროებს მიზანს, სუბიექტს, განხორციელებისათვის მებრძოლს და სხვა. არსებულის კანონს შეიძლება ვუწოდოთ ბუნების კანონი, თუ ბუნების ცნებაში შევიტანთ იმასაც, რაც „ბუნების“ ვიწრო და სპეციალური მნიშვნელობით აღების დროს მის გარეშე იგულისხმება, საზოგადოებას და „აზროვნებას“, ფსიქიკას. ნორმატული კანონის-

გან განსხვავებით, ბუნების კანონი არავისგან არაფერს არ მოით-ხოვს, არ საჭიროებს მზრუნველსა და მებრძოლს განხორციელები-სათვის. ბუნების კანონი „არ ითმენს“ განუხორციელებლობას, არ წარმოიდგინება რეალიზაციის გარეშე. კანონი, რომლის მიხედვი-თაც არსად არაფერი არ ხდება, კანონი, რომელსაც რეალური ფაქტები არ „ემორჩილება“, არაა ბუნების კანონი. ბუნების კანონი ლოგიკურად გამორიცხავს განუხორციელებლობას. თვით საკითხი, მოხდება თუ არა ბუნების მოვლენა კანონის მიხედვით, გამორიც-ხულია, რადგან ისაა ბუნების კანონი, რის მიხედვითაც იგი ხდება.

ბუნების კანონის შესახებ დიდძალი ლიტერატურაა ბურჟუა-ზიულ მეცნიერებაში. ამ ლიტერატურაში გამოთქმული აზრები უაღრესად ერთიმეორის საწინააღმდეგოა. სისტემატური ხასიათის შრომა, რომელიც თავს უყრიდეს ძირითად შეხედულებებს მაინც და მათს კრიტიკულ ანალიზს იძლეოდეს, ჩვენ არ ვიცით. ადვილად შეიმჩნევა რამდენიმე ძირითადი საკითხი, რომლითაც ვლინდება ეს პრობლემა აზროვნების წინაშე. საკითხები. რომელთა გარშემოც წარმოებდა უმთავრესად დავა, ასეთია: აპრიორულია თუ აპო-სტერიორული ბუნების კანონი? ცვალებადია იგი თუ უცვლელი? ზოგადს ეხება კანონი მარტო თუ ინდივიდუალურსაც? პირობითია იგი თუ აბსოლუტური? და სხვა.

ბუნების კანონის რაობის შესწავლა იშვიათად წარმოებდა პირდაპირი მეთოდით, თვით ამ ცნების პირდაპირი ანალიზის გზით. წამყვანი როლი ეკისრებოდა ამა თუ იმ მკვლევარის მსოფლ-მხედველობას. ამით აიხსნება ის ზიგზაგები, რაც ამ საკითხის გარ-ჩევამ განიცადა[1].

მკაცრად უნდა განვასხვაოთ ცნებები: „ობიექტური კანონი“ და „ობიექტურის კანონი“. პირველ შემთხვევაში ლაპარაკია კანონზე, რომელსაც ობიექტური ხასიათი აქვს, ე. ი. ლაპარაკია იმაზე, რომ

[1] ცნების ისტორიიდან: კანონის ცნება პირველად გამოყენებული იყო საბერ-ძნეთში ციური მოვლენების გასაგებად. აქ კანონის უგამონაკლისობა იგულისხმე-ბოდა. დედამიწაზე მიმდინარე პროცესები, არისტოტელეს აზრითაც კი, მოკლე-ბულია ნამდვილ (ღვთაებრივ) კანონებს. აქ არსებული მდგომარეობის გა-მოსათქმელად იხმარებოდა ასეთი მსჯელობა: „უმეტეს შემთხვევაში ეს ასეა“, ე. ი. კანონი მიწისა წარმოდგენილი იყო იმ სახით, როგორც დღეს ესმით წესი, რომლისათვისაც გამონაკლისი დამახასიათებელია. დედამიწაზე მიმდინარე პროცე-სების სრული დეტერმინაციის აზრი პირველად გამოთქვა ძველი ქვეყნის დიდმა მოაზროვნე-მატერიალისტმა დემოკრიტემ (არისტოტელემ ვერ ისარგებლა ამ აზ-რით). სტოელები ამ საკითხში დემოკრიტეს მიმდევრებად დარჩნენ და პირველად

მოცემული კანონი მართლა, ნამდვილად ასახავს იმას, [illegible] ვაც უკისრია, რომ აქ გამორიცხულია სუბიექტივიზმი, [illegible] ლოგიზმი და სხვა სახის თვითნებურობა. საქმე ეხება, მაშასადამე, კანონის დახასიათებას და არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ როგორია ბუნება და სპეციფიკა იმ სინამდვილისა, რომლის რაობაც არის ასახული კანონში. ეს არცაა საჭირო, რადგან ცნება „ობიექტური კანონი“ გულისხმობს, რომ ის ასეთი დარჩება ყოველთვის, რა სახის სინამდვილესაც არ უნდა გადმოსცემდეს: ბუნებითს, სოციალურს, ფიზიკურს თუ ფსიქიკურს, ობიექტურს თუ სუბიექტურს. მთავარია, კანონი ნამდვილად ასახავდეს თავის საგანს. „ობიექტური კანონი“, მაშასადამე, გნოსეოლოგიური ცნებაა და თავის დახასიათებას იღებს არა იმისგან, თუ როგორია „ონტოლოგიურად“, არსებობის ფორმის მიხედვით, ის მოვლენა, რომლის კანონიც არის ასახული. მითს, ზღაპარს, სიზმარს აქვთ თავისი სახე, თავისი კანონი. მათი გადმოცემა ამ კანონების შესაბამისად მეცნიერებაში ობიექტური კანონების ფორმას იღებს.

სულ სხვას ნიშნავს გამოთქმა: „ობიექტურის კანონი“. კანონი, რა თქმა უნდა, აქაც გნოსეოლოგიურ მნიშვნელობას ინარჩუნებს (თუ ის ნამდვილად არის კანონი). ის არის ასახვა იმ წყობისა, რომელიც ობიექტურ სინამდვილეშია მოცემული. რაც შეეხება სიტყვა „ობიექტურს“, ის ამ გამოთქმაში გამოხატავს არსებობის ფორმას, ე. ი. მიუთითებს იმაზე, რომ მოცემულ კანონში ასახულია არსებობის ობიექტური ფორმის მქონე სინამდვილე, ასეთ სინამდვილედ ჩვენ ვთვლით ყოველივეს, რაც თავის არსებობით ცნობიერების ფაქტს არ ემყარება, მაგ., ფიზიკური სინამდვილე.

ანალოგიური ანალიზი შეიძლება ვაწარმოოთ საწინააღმდეგო და განსხვავებული ცნებებისა, როგორიცაა: „სუბიექტური კანონი“ და „სუბიექტურის კანონი“. პირველი იმაზე მიუთითებს, რომ ის

---

განამტკიცეს „ნომოს“-ის ხმარება ამ საქმის-ვითარების აღსანიშნავად. ტერმინი — „ბუნების კანონი“ (lex naturae) პირველად იხმარა ლუკრეციუსმა, რაც არაა შემთხვევითი მოვლენა.

„ბუნების კანონს“ წინ უსწრებდა კანონის იურიდიული და ზნეობრივი მნიშვნელობით გაგება. ამათ, როგორც ადამიანისეულ კანონებს, არ მიეწერებოდა აუცილებლობა, მათთვის გამონაკლისობა არ იყო უცხო.

პლატონის მიხედვით, როგორც სხეულის კეთილშობილება არის ჯანმრთელობა, ისე სულის კეთილშობილება არის კანონზომიერება. კანონი, როგორც ყოველგვარი სისწორის საფუძველი, სიკეთის საფუძველიც არის. თვით სიკეთე, იდეათა იდეა, არის უმაღლესი კანონი.

არ არის ნამდვილი კანონი, არამედ სუბიექტის მიერაა „შეთხზული და გამოგონილი“, ის შეიცავს არა ჭეშმარიტებას, არამედ შეცდომას. ეს თანაბრად შეიძლება ყოველთვის, ეხება საქმე ობიექტურ თუ სუბიექტურ სინამდვილეს. ასახვის ობიექტის არსებობის ფორმას ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, შეცდომა შესაძლებელია როგორც ფიზიკურის, ისე ფსიქიკურის შემეცნების პროცესში.

რაც შეეხება გამოთქმას — „სუბიექტურის კანონი“, იგი ნამდვილი კანონის არსებობას ვარაუდობს და მიუთითებს იმაზე, რომ ეს კანონი არის გადმოღებული სუბიექტური სინამდვილის წყობიდან, რომ ეს არის ასახვა იმ კანონისა, რომელსაც აქვს ადგილი სუბიექტურ სინამდვილეში. რამდენადაც ეს ასეა, ე. ი. რეალურად არსებული საქმის ვითარება სწორად არის ასახული, ჩვენ ნამდვილ, ე. ი. ობიექტურ კანონთან გვაქვს საქმე. „სუბიექტურის კანონი“, მაშასადამე, უნდა იყოს (და ფაქტიურადაც შეიძლება იყოს) ობიექტური, ხოლო „ობიექტურის კანონი“ უნდა იყოს აგრეთვე ობიექტური, მაგრამ შეიძლება აღმოჩნდეს სუბიექტური, მცდარი.

რა ითქმის კანონის აუცილებლობის შესახებ? მეცნიერებაში მოცემული კანონის უძირითადესი საფუძველი ჩვენ დავინახეთ მოვლენის, საგნის, ასახვის ობიექტის არსში, მისი რაობის მტკიცე განსაზღვრულობაში. ეს ისაა, რის გარეშეც არაფერია და არც შეიძლება რამე იყოს. ყველაფერს აქვს თავისი „სახე“ და ამითაა ყველაფერი ის, რაც ის არის. სხვაგვარი, კიდევ უფრო „მაღალი“ და მტკიცე აუცილებლობა წარმოუდგენელია. მაგრამ მაინც დგას საკითხი: პირობითია ეს აუცილებლობა თუ აბსოლუტური? საკითხის გამართლება ასეთია: შეიძლება ასე ვიმსჯელოთ: კანონი ეხება ნიშნის, საგნის, საგანთა მიმართების რაობას, ამათ „აწესრიგებს“. კანონს აუცილებელი ძალა აქვს ნიშნისათვის, საგნისათვის, პროცესისათვის. ეს აუცილებლობა მტკიცე და გარდაუვალია. მაგრამ ეს არის მაინც კანონი ნიშნის, საგნის, პროცესის და, ამდენად, პირობითი; თუ არის ნიშანი, საგანი, პროცესი, არის ეს კანონებიც. წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონს ბაზისი, სამოქმედო არე არა აქვს. ამდენად, მაშასადამე, კანონი დამოკიდებულია იმ ინსტანციების არსებობაზე, რომელთა გარკვეულება — ბუნება კანონმა უნდა ასახოს. კანონი უძლიერესი რამაა, მას ვერაფერი შეცვლის, ვერაფერი გააუქმებს, მაგრამ ის და მისი აუცილებლობა მოითხოვს, როგორც მიუცილებელ პირობას, აღნიშნული ინსტანციების არსებობას.

სრული, აბსოლუტური არსებობა და აუცილებლობა კანონს ექნებოდა მაშინ, თუ მას (კანონს) დაემორჩილებოდა ობიექტუ-რობა და არსი მოცემული ინსტანციებისა, არამედ თვით ამ ინ-სტანციების არსებობაც, თუ კანონის აუცილებლობა გავრცელდებოდა იმ პირობებზედაც, რომლებზედაც კანონის „რეალიზაციაა" დამოკიდებული. ამ გაგებით შეიძლება ვილაპარაკოთ ასე: კანონი შედარებით აბსოლუტურია თუ აბსოლუტურად აბსოლუტური, ან ასე: ჰიპოთეტური და კონვენციონალურია კანონის აუცილებლობა თუ აბსოლუტური[1].

---

[1] ბურჟუაზიული აზროვნება იცნობს ამ საკითხზე სხვადასხვა და ერთიმეორის საწინააღმდეგო შეხედულებებს. ზოგი საერთოდ უარყოფს ბუნების კანონის აუცილებლობას. აუცილებლობა, რომელსაც ჩვენ მივაწერთ ბუნებასა და მის კანონებს, ერთგვარი ანთროპომორფიზმია: ობიექტში გადაგვაქვს ის, რაც მხოლოდ სუბიექტშია და სუბიექტის კუთვნილებაა. G. Gizycki წერს: „Die „Nothwendigkeit" bezeichnet einen Zustand nicht der Dinge und Vorgänge, sondern des dieselben auffassen Verstandes. Nothwendig sein heisst: aus einem zureichenden Grunde folge". „Nothwendig" drückt immer irgend einen Zwang aus; aber in diesem Falle erleiden denselben nicht die Dinge, sondern der Verstand, der über sie Nachdenkt"... „...die Nothwendigkeit liegt nicht im Objekt, sondern im Subjekt". („Moralphilosophie gemeinverständlich dargelegt". 1888, გვ. 209, 210).

ავტორს აუცილებლობის ობიექტური ცნება არ ესმის. აუცილებლობა მას, როგორც ჩანს, გაგებული აქვს, როგორც იძულების განცდა. ამ განცდის ობიექტებისადმი მიწერას გაურბის და ამიტომ საერთოდ უარყოფს საგნებში, ობიექტებში ყოველგვარ აუცილებლობას. ცხადია, სუბიექტური აუცილებლობა, იძულების განცდა ბუნების მოვლენებს არ შეიძლება მიეწეროს. მაგრამ ეს არცაა ამ შემთხვევაში საჭირო: იქაც, სადაც ამის შესახებ შეიძლება ლაპარაკი (მაგ., ადამიანის ზოგიერთი განცდის შემთხვევაში), ის კანონს მაინც არ წარმოადგენს. სულ სხვადასხვაა იძულების განცდა და კანონის აუცილებლობა: პირველი სუბიექტური ფაქტია, ფსიქიკური პროცესია, რომლის კანონზომიერი აუცილებლობის შესახებ ამიერიდან უნდა დაისვას საკითხი, ხოლო კანონის აუცილებლობა გნოსეოლოგიური ცნებაა და ეხება არა იმას, რომ რაღაც არის, არამედ იმას, რომ არ შეიძლება სხვანაირად იყოს, რადგან აუცილებელია, რომ ასე იყოს.

Natorp-ი აღიარებს კანონის აუცილებლობას, მაგრამ ამ აუცილებლობას იგი ახასიათებს, როგორც კონდიციონალურს: „Ein Gesetz spricht konditional: Wenn A, dann B; es bedeutet eine Ordnung des Eines nach (gemäss) dem Anderen" (Die logische Grundlage der exakten Wissenschaften". 1922, გვ. 68, 69). ნატორპს აქ „არ გაახსენდა", რომ თავის სხვა შრომაში („Platos Ideenlehre". 1903) ის პლატონის „იდეას" კანონს ეძახის. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, კონდიციონალობაზე შეუძლებელია ლაპარაკი.

მახი ამბობს: „ლ ო გ ი კ უ რ ს გარდა, რომელიმე სხვა აუცილებლობა, მაგალითად, ფიზიკური, არ არსებობს". ამაზე ვ. ლენინი წერს: „Это как раз тот взгляд, о котором так решительно боролся Фейербах. Маху не приходит и в голову отрицать свое родство с Юмом" („Матер. и эмпириокр.", 1953, გვ. 142).

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ კანონი ეხება არა მარტო საგანთა ურთიერთობას, არამედ თვით საგნებსა და მოვლენებს, თვით მათ სტრუქტურასა და „შემადგენელ ელემენტებსაც“. ამის შესაბამისად ფორმულა: თუ არის A, იქნება B-ც, არ არის უნივერსალური (თუმცა, რა თქმა უნდა, სწორია თავისი მოქმედების ფარგლებში), არ გამოსახავს კანონის სრულს შინაარსს ამომწურავად. მაგრამ აქ საკითხი ეხება არა არსებულის (რაობითს) აუცილებლობას, არამედ თვით არსებობის აუცილებლობას, არა თვისებასა და გარკვეულობას, არამედ არსებობას თვითონ.

ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში, როგორც ცნობილია, ერთხანს დამკვიდრდა შეხედულება (და ახლაც ჰყავს ამ შეხედულებას მიმდევრები), რომ, რადგანაც არსებობა არაა ნიშანი, ე. ი. რადგან იგი (არსებობა) მოვლენას, საგანს არაფერს ანიჭებს ახალს (მისი ყოფნის გამო) და არც არაფერსართმევს (მისი არ ყოფნის გამო), საერთოდ შეუძლებელია (რაციონალურად) გათვალისწინებულ იქნას და ამდენად ყოველგვარი[1] არსებობა შემთხვევითად არის გამოცხადებული და მოკლებულია აუცილებლობის ნიშანს[2]. არსებობა, ამგვარად, ფაქტის საქმეა და ყოველთვის გამოითქმება ასერტორული მსჯელობით, არასოდეს — აპოდიქტიკურით.

ჯერ კიდევ ჰეგელმა გაილაშქრა ასეთი შეხედულების წინააღმდეგ, დაგმო კანტის პრინციპი და ცნების თავისებური გაგების საფუძველზე შესაძლებლად მიიჩნია ზოგიერთი რეალობის არსებობის აუცილებლობა. რასაკვირველია, მან პირველ რიგში იზრუნა იდეალურისა და ღვთაებრივობის გადარჩენაზე შემთხვევითობიდან. დიალექტიკურ მატერიალიზმს აქვს ცნებები, რომელთა შინაარსი აუცილებლობით არსებობს. დებულება: „შეუძლებელია მოძრაობის არსებობა (წარმოდგენა) მატერიის გარეშე“ გულისხმობს იმასაც, რომ შეუძლებელია მატერია არსებობის გარეშე. რას შეიძლება ჰქონდეს მეტი „უფლება“ არსებობისა, თუ არა არსებობას, რომელიც ამ „მინიმუმით“, არსებობით, კმაყოფილდება? არსებობა მაშინაა ნამდვილი არსებობა, როცა იგი არაა სხვაზე დამოკიდებული, არაა მაგ., დამოკიდებული გაცნობიერების აქტზე. ამიტომ: „მატე-

[1] თანამედროვე იდეალიზმის ზოგი წარმომადგენელი (მაგ., Ed. Husserl) გამონაკლისს უშვებს ე. წ. ტრანსცენდენტალური ცნობიერებისათვის. „ტრანსცენდენტალური რედაქცია“, ჰუსერლის აზრით, ყველაფერს „მოხსნის“, ყველაფერს „ბრჭყალებში ჩასვამს“ და დარჩება წმინდა ცნობიერება, რომელსაც ვერ შეეხება ეს ოპერაცია. ამიტომ მას აბსოლუტური არსებობა მიეწერება.

[2] აქ აუცილებლობა და შემთხვევითობა მეტაფიზიკურად არიან დაპირისპირებული, როგორც ურთიერთის აბსოლუტურად გამომრიცხველი ცნებები.

რია არის ის, რაც ცნობიერებისგან დამოუკიდებელია[1]. ცალკეული საგნები და მოვლენები, როგორც ერთიმეორესთან [illegible] დაკავშირებულნი, მოკლებული არიან აბსოლუტურ [illegible] (ერთიმეორეს გულისხმობენ და ერთიმეორეს ემყარებიან), მაგრამ საგანთა და მოვლენათა ჯამი, უნივერსუმი, აბსოლუტურად არსებობს, არსებობს ობიექტურად, აუცილებელი კანონის შესაბამისად. ამდენად, კანონის აუცილებლობა ეხება არა მარტო არსს (сущность), არამედ არსებობასაც იმ შემთხვევაში, როცა საკითხი ეხება მატერიის, ბუნების, უნივერსუმის არსებობას საერთოდ.

კანონი ზოგადს, საერთოს ეხება. ეს მის ფორმულირებაშიც ყოველთვის ჩანს. ზოგი მკვლევარი (მაგ., ვ. ვინდელბანდი) ამ ნიშნით ბუნებრივი და ნორმატული კანონების გაერთიანებასაც ცდილობს. ბუნებრივად იბადება კითხვა: თუ კანონის შინაარსი, ე. ი. ის, რასაც იგი გამოთქვამს, ყოველთვის ზოგადია, თუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, კანონის საგანი ზოგადია და ამით და ამიტომ აქვს მას მნიშვნელობა, როგორღა მიუდგება იგი კერძოს? როგორ შეიძლება კანონი მიუდგეს იმას, რაც მისი საგანი არ არის? კანონი ასახვაა ობიექტური საქმის ვითარებისა. ეს საქმის ვითარება არის ზოგადი და კანონსაც თავისი ზოგადობა აქედან აქვს მიღებული. თუ ჩვენ ეჭვი შევიტანეთ ზოგადი საქმის ვითარების ობიექტურ ხასიათში, მაშინ ეჭვი უნდა შევიტანოთ კანონის მნიშვნელობაშიც, მისი შემეცნებით ღირებულებაში და გარდუვალ აუცილებლობაშიც. მაგრამ, სანამ ჩვენ ასეთ (სკეპტიკურ) შეხედულებამდე არ მივსულვართ და ბუნების კანონებში, რომელნიც ასახული არიან მეცნიერებაში, ობიექტურ ვითარებას ვგულისხმობთ, საკითხი, რომელიც წამოიჭრა ჩვენ წინაშე, კანონიერად უნდა ვცნოთ. არც ის უნდა ჩავთვალოთ შემთხვევით მოვლენად, რომ კარგა ხანია, რაც დაიწყო ინტენსიური ძიება ე. წ. „ინდივიდუალური კანონისა“. ეს ფაქტი ნაწილობრივ მაინც იმით აიხსნება, რომ ზოგიერთმა მოაზროვნემ ზოგად კანონებში ვერ დაინახა საკმაო გარანტია ინდივიდუალურის შემეცნებისა და მისთვის საკუთარი კანონების ძიებას შეუდგა.

როგორ გვესახება ჩვენ აქ არსებული პრობლემის გადაჭრა? რასაკვირველია, არაფერი არ შეიძლება შეიცვალოს იმ დებულებაში, რომ (ზოგადი) კანონის საფუძველი ზოგადია და, მაშასადამე, იგი არ შეიძლება ეხებოდეს კერძოს. მაგრამ იბადება კითხვა: რა აზრი აქვს მეცნიერებისათვის ისეთ კანონს, რომელიც არ გვითვალისწინებს, არ გვაგებინებს კერძო მოვლენებს, ერთეულ ფაქტებს? ზოგადი რისი ზოგადია, თუ არა ერთეულისა? და განა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონების შედარებითი ღირებულება იმით არ იზომება, თუ რაოდენ მრავალრიცხოვან ინდივიდუალურ მოვლენებს იტევს იგი თავის თავში?

საილუსტრაციოდ დავასახელოთ მაგალითი: „სხეული სითბოსაგან ფართოვდება“. რას ეხება ეს კანონი? რასაკვირველია, ზოგადს, სხეულს საერთოდ. შეგვიძლია თუ არა ეს კანონი მივუყენოთ, მაგ., რკინას? შეგვიძლია, რადგან რკინა არის სხეული. აქ, მაშასადამე, ზოგადი (კანონი) მივუყენეთ არა კერძოს, არამედ ზოგადს, სხეულს. აქ „რკინა“ კი არ თამაშობს როლს, არამედ „სხეული“, რომელიც არის რკინაში. და ეს ასეა ყოველთვის: კანონი მხოლოდ ამაზე ვრცელდება, რასაც იგი გულისხმობს, რასაც იგი ეხება. მაგრამ რკინა ხომ („სხეულთან“ შედარებით) ინდივიდუალურია, კერძოა. კი, მაგრამ, რამდენადაც „რკინა“ სხვაა, ვიდრე „სხეული“, ამდენადაა იგი ინდივიდუალური ჩვენ მიერ დასახელებული კანონისათვის. ამდენად ეს კანონი მას არ ეხება, მასზე არ ვრცელდება. ამ „სხვას“, რითაც „რკინა“ სხეულისგან“ განსხვავდება, სხვა კანონი აქვს, სხვა კანონი იქვე მდებარეობს. მაშასადამე, კანონის ასპექტში განხილული. ინდივიდუალური, ერთეული ნიშნავს სხვა კანონის „კუთვნილებას“. ამიტომ ინდივიდუალური ყველა შესაძლებელ კანონს „უდრის“ და მხოლოდ ყველას შეუძლია მისი ამოწურვა. ცალკეული კანონი ვერასოდეს შეხვდება ისეთს რამმე, რაც მას ეკუთვნის, მაგრამ ზოგადობას მოკლებულია. კანონის „საზღვარი“ მეორე კანონია, ანუ ისეთი ზოგადი, რომელიც სხვა კანონში იგულისხმება. რაც შეეხება კანონის „გასაქანს“ საკუთარ განზომილებაში, იგი პრინციპულად უსაზღვროა და იმდენადვეა ეს უსაზღვროპა რაოდენობითი ცნება, რამდენადაც თვისობრივი[1].

[1] ფორმალურ ლოგიკაში ტრადიციად ქცეული მოძღვრება ცნების მოცულობის შესახებ ბევრ გაუგებრობას იწვევს. თუ, მაგ., დებულებაში „ყოველი ადამიანი მოკვდავია“ „ადამიანი“ იქნა გაგებული როგორც (მხოლოდ) რაოდენობითი ცნება და ამის გამო დავიწყეთ ძიება იმისი, თუ რა რაოდენობის ადამიანთა სიკვდილის ფაქტს ემყარება ეს დებულება, ჯ. ს. მილის გზას ვერ ავცდებით და სილოგიზმის მნიშვნელობა არსებითად უნდა უარვყოთ. როგორც ცნობილია, საკითხს ჰრის ის გარემოება, რომ აქ ადამიანი არის აღებული მისი არსით, რომელსაც განუსაზღვრელი ძალა აქვს როგორც არსებულ, ისე ჯერ კიდევ არარსებულ ადამიანთა მიმართ. ამდენად, ცნება „ადამიანი“ თვისობრივი ცნებაა და არავითარ შეზღუდვას არ ითმენს. ამ აზრით, ყოველი ცნების მოცულობა უსაზღვროა და არა აქვს აზრი ლაპარაკს „იმ საგნების რაოდენობის შესახებ, რომელნიც შედიან ცნების მოცულობაში“.

როგორც აღვნიშნეთ, ცვლილება, მოძრაობა მოვლენებისა და საგნებისა იყო პირველი სტიმული, რომელმაც ადამიანის აზროვნებას მისცა ბიძგი კანონების ძებნისა, წარუვალის მონახვისა წარმავალში. საჭირო იყო პირველ რიგში იმის წვდომა, თუ რომელი მოვლენა მოსდევს რომელს, რა საგნებია დაკავშირებული ერთიმეორესთან. ამიტომ კანონის მძებნელმა აზროვნებამ პირველ რიგში კანონი ამ პუნქტში, საგანთა და მოვლენათა ურთიერთობაში დაადგინა. კანონის გავრცელებული ფორმულირებაც ამ მომენტს — საგანთა და მოვლენათა ურთიერთობას — ითვალისწინებს. შედარებით გვიან დადგა საკითხი კანონის მოქმედების არის გავრცობაზე, მის გადატანაზე თვით მოვლენაში. ჩვეულებრივ, იმის გამო უმთავრესად, რომ საგნები და მოვლენები „ნაცნობია“ და, სანამ ახალი რამ არ ხდება, ჩვენს ყურადღებას საშემეცნებოდ არ აღძრავენ, აქ პრობლემას არ ხედავდნენ და გასარკვევად არაფერი მიაჩნდათ, მაგრამ, როცა გაცნობიერდა ის ფაქტი, რომ მოვლენა და საგანი, ჩვეულებრივ რთული შედგენილობისაა და ცვლილება ხდება თვით ამ შემადგენლობაშიც, საჭირო შეიქნა ამ გარემოებისათვის ანგარიშის გაწევა. ცხადია, რამდენადაც საგანი ერთგვარი სისტემაა მისი ნიშნებისა და ეს ნიშნები მას აქვს გარკვეული წესით, კანონის მოქმედება აქაც იქნა აღიარებული. საგნისა და მოვლენის რაობის, მათი შინაგანი წყობის შემეცნება შეუძლებელი იქნებოდა, თავისთავში რომ ეს ინსტანციები გარკვეულობას, კანონზომიერებას არ შეიცავდნენ.

მაგრამ კანონის სამოქმედო სფერო ამით კიდევ არაა საბოლოოდ შემოფარგლული. მართალია, რეალურად, კონკრეტულად არსებობს არა „ნიშნები“, არა თვისებები, არამედ საგნები, რომელთაც აქვთ ეს თვისებები[1]. მაგრამ აბსტრაქციის საფუძველზე შეგვიძლია ვილაპარაკოთ ცალკე აღებულ ნიშან-თვისებებზეც და დავაყენოთ ახლა საკითხი ამათზე, ეხებათ მათაც კანონი თუ არა?

ცხადია, აქ არ შეიძლება ლაპარაკი არც მოწესრიგებაზე, როგორც საგნის ნიშანთა ურთიერთობის შემთხვევაში, და არც, მაგ., შეთანხმებულობაზე, როგორც ამას აქვს ადგილი მოვლენათა ურთიერთგამომწვევის ფაქტთან დაკავშირებით. აქ ჩვენ გვაქვს საქმე ხელოვნურად (აბსტრაქციის გზით) „გამოგლეჯილ“ ნიშანთან და საკითხი მის კანონზომიერებას ეხება.

თუ ჩვენ საგნისა და მოვლენის სინთეტიკურ მთლიანობაზე ვ-

---

[1] ფრ. ენგელსი, „ბუნების დიალექტიკა“. 1950, გვ. 239.

ლაპარაკებთ პირობითად (ამის უფლება გვაქვს) და [illegible] კითხვას ამ „სინთეზის“ ობიექტური, კანონზომიერი ხასიათის შესახებ, უნდა ისიც ვაღიაროთ, რომ ნიშან-თვისებათა თავის თავში გარკვეულობის გარეშე ასეთი „სინთეზი“ გაუგებარი იქნებოდა. საგნის კანონზომიერება გულისხმობს ნიშან-თვისებათა კანონზომიერებას. ცხადია, კანონი ნიშან-თვისებათაც უნდა შეეხოს და ამით მან (კანონმა) პრინციპულად შეუზღუდველის ხასიათი მიიღოს. ცხადად ჩანს ისიც, რომ კანონის *შინაარსი* რამდენადმე იცვლება იმისდა მიხედვით, თუ რას ეხება იგი: ნიშანს, საგანს თუ საგანთა ურთიერთობას. ის, რაც ითქმის ნიშნის კანონზე, ძალაშია ყველგან. ის, რაც ითქმის საგნის, მოვლენის კანონზე, შეეხება მხოლოდ ნიშანთა სისტემას და არა ცალკე აღებულ ნიშანს, ხოლო ის, რაც არის საგანთა ურთიერთობის კანონის შინაარსი, მთლიანად არ გავრცელდებოდა საგნის კანონის შინაარსზე.

ჩვენ აღვნიშნავთ, რომ ნიშნის კანონი ძალაშია ყველგან. ამ აზრით, იგი უნივერსალური კანონია და არაა არაფერი, რაც მას არ ექვემდებარებოდეს. შინაარსი ამ კანონისა იგივეობაა, რომელიც თანაბრად „სავალდებულოა“ როგორც აზროვნებისათვის, ისე ყოფიერებისათვის, როგორც, მაგ., ფიზიკურისათვის, ისე ფსიქიკურისთვის, როგორც ბუნებისათვის, ისე საზოგადოებისათვის. კანონის ზოგადობა არ ხვდება არავითარ დაბრკოლებას იმის გამო, რომ საქმე გვაქვს, ასე ვთქვათ, ერთთან, ერთ ნიშანთან. „ერთის“ კანონი მაშინაა დანახული, როცა იგი (ერთეული) „აყვანილია“ ზოგადამდე, ე. ი. განხილულია თავის არსში, თავის რაობაში. ნამდვილი შემეცნება, ენგელსის აზრით, იმაში მდგომარეობს, „რომ ჩვენ აზრებში ერთეულადს ერთეულობიდან კერძოობამდე, ხოლო ამ უკანასკნელიდან ზოგადობამდე ავამაღლებთ“ [1].

ის, რაც ითქვა ჩვენ მიერ კანონის ბუნებისა და მისი მოქმედების არის შესახებ, რა თქმა უნდა, ეხება მთლიანად ფსიქიკურ მოვლენებსაც. ეს გასაგებიცაა, რადგან კანონის ის მხარეები იქნა გათვალისწინებული, რომლებიც მის აუცილებელსა და „მინიმუმს“ შეადგენს. ამის გარეშე არც კანონია კანონი და არც მოვლენაა მოვლენა. არის თუ არა საკმარისი კანონის აღნიშნული ნიშნები (უკეთ — გარკვეულობის ნიშანი) იმისათვის, რომ მეცნიერება შესაძლებელი გახდეს?

ვინც მეცნიერებას წარმოიდგენს, როგორც სინამდვილისგან

[1] ფრ. *ენგელსი*, „ბუნების დიალექტიკა“, გვ. 240.

დამოუკიდებელ კონსტრუქციას, ერთგვარ ნორმატიულ მოთხოვნილებას, რომელსაც სინამდვილე (თუ მას სურს მეცნიერებად გახდეს) უნდა დაემორჩილოს[1], მან შესაძლებელია იმსჯელოს ამაზე და არ მიიჩნიოს საკმარისად ის, რაც კანონის არსებითს (მხოლოდ არსებითს) შეადგენს. მაგრამ, ვინც მეცნიერებას მეტს არას ავალებს, გარდა იმის ასახვისა, რასაც სინამდვილე შეიცავს (და რასაც შემდეგ მისი გარდაქმნა უნდა მოჰყვეს), ასე არც დასვამს კითხვას. მეცნიერება თავის სახელწოდებას და შინაარსს სინამდვილისაგან იღებს. მეცნიერება ისაა, რადაც მას აქცევს სინამდვილე, მისი ასახვა. ამიტომ მეცნიერებას არ შეიძლება სხვა რამ უნდოდეს და მეტი რამ უნდოდეს სინამდვილეზე, მისი კანონზომიერების უკუფენაზე ცნობიერებაში. სინამდვილეს რომ მეტი არაფერი ახასიათებდეს, გარდა იმ (ფორმალური) გარკვეულობისა, რომელიც კანონის „მინიმუმში“ იგულისხმება, ჩვენ გვექნებოდა მხოლოდ ერთი განზომილების, ფორმალური მეცნიერება და რეალურად არსებულ მეცნიერებათა მრავალფეროვნებას ადგილი არ ექნებოდა. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ სინამდვილე ვითარდება და ეს თავს იჩენს ჯერ ობიექტური კანონების ფაქტში და შემდეგ განსხვავებული კანონების შემცველ მეცნიერებათა აღმოცენებაში. უაზროა კითხვის დაყენება: აქვს თუ არა ფსიქიკურს კანონი, კანონზომიერება. ასეთი რამ ყველაფერს აქვს და ფსიქიკური არ შეიძლება იყოს გამონაკლისი. ამიტომ მეცნიერებაც ფსიქიკურის შესახებ აბსოლუტურად გარანტირებულია. გასარკვევი და აქტუალური პრობლემა ისაა, თუ რას შეიცავს ფსიქიკა იმ ფორმალური გარკვეულობის გარდა, რაც მას, როგორც რაობას, ახასიათებს. აქვს თუ არა ფსიქიკურს „მეორე“, „მესამე“ და ა. შ. რიგის კანონები, თუ იგი „პირველი რიგის“ კანონებს ვერ „შორდება“?[2] საჭიროა, მაშა-

---

[1] მეცნიერებისა და რეალური სინამდვილის ასეთს ურთიერთობას ფსიქოლოგთა შორის ყველაზე რადიკალურად იცავს ჰ. მიუნსტერბერგი „Grundzüge d. Psychologie“, 1900. ამავე პრინციპს ემყარება თ. ციჰენის მოძღვრება გიგნომენის დანაწევრების შესახებ რედუქციულ და პარალელურ კომპონენტებად, რომელთაგან პარალელური კომპონენტი ფსიქოლოგიის საგანს შეადგენს.

ამ შეხედულებათა დაწვრილებითი კრიტიკა ჩვენ მოცემული გვაქვს შრომაში „ფსიქოლოგიის საგანი“, 1939 წ. (სადოქტორო დისერტაცია).

[2] აღნიშვნები: „პირველი რიგის“, „მეორე რიგის“, „მესამე რიგის“ — პირობითია. ვგულისხმობთ შემდეგს: მათემატიკური კანონზომიერება არის ფიზიკურშიც და ბიოლოგიურშიც, ფიზიკური და ბიოლოგიური არც ერთი არ არის მათემატიკურში. ფიზიკური კანონზომიერება მოქმედებს ბიოლოგიურში, მაგრამ ბიოლოგიური არ მოქმედებს ფიზიკურში. ამგვარად და ამ გაგებით, მათემატი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადამე. ფსიქიკურის ზოგადი დახასიათება გვქონდეს, რათა მის კანონზომიერებათა სრულ დესკრიფციას მივაღწიოთ.

იმ საკითხთა შორის, რომელთა გადაჭრაც ფსიქიკურის მეცნიერებას შუქს ფენს, ერთ-ერთი ძირითად საკითხთაგანია ფსიქიკურის ფენომენალობისა თუ რეალობის საკითხი.

რეალური საგანი და მოვლენა გვეძლევა გარკვეული შთაბეჭდილების სახით, სინამდვილეს ჩვენ აღვიქვამთ. რეალისტური გაგება აღქმისა[1] გულისხმობს იმას, რომ აღქმის შინაარსი და ის, რაც აღიქმება, არ არის ერთი და იგივე. პირველი შთაბეჭდილებაა, სუბიექტში დამყარებული მდგომარეობაა, მეორე ამისგან დამოუკიდებელი რეალური სინამდვილეა. ეს რომ ასე არ იყოს, შემეცნების ძირითადი საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ შეესატყვისება, ადამიანში არსებული შთაბეჭდილება, აღქმა, მის გარეშე და მისგან დამოუკიდებლად არსებულ სინამდვილეს, საერთოდ, ზედმეტი და უადგილო საკითხი იქნებოდა. ამ საკითხზე ასახვის ლენინური თეორია იმდენად ცნობილია და ამომწურავი, რომ მეტად შეჩერება აქ აღარაა საჭირო. ის, რაც თავისთავად, ცნობიერების გარეშე არსებობს და მხოლოდ იწვევს ტვინის მექანიზმზე ზემოქმედების გზით ცნობიერ ასახვას ადამიანში და თვით ადამიანის ცნობიერების კუთვნილ შინაარსად არასოდეს არ გადაიქცევა, არის რეალური არსებობის მქონე ფაქტი. შესაძლებელია ასლი ემთხვეოდეს დედანს, შთაბეჭდილება — საგანს, შესაძლებელია, ამ დამთხვევას არ ჰქონდეს ადგილი და, მაშასადამე, მოჩვენებასთან, შეცდომასთან გვქონდეს საქმე, მაგრამ რაგინდ სრულყოფილიც

---

კური კანონზომიერება, როგორც უმარტივესი, შეიძლება აღვნიშნოთ, როგორც პირველი რიგის კანონზომიერება, ფიზიკური სინამდვილის კანონები, როგორც მეორე რიგის კანონზომიერება, ხოლო ბიოლოგიური კანონები, როგორც მესამე რიგის კანონები. გეომეტრიული სივრცე ფიზიკურ კანონებს არ შეიცავს, მაგრამ მინერალი გეომეტრიის კანონებს შეიცავს, ხოლო ცხოველი — გეომეტრიულსაც, ფიზიკურსაც და (სპეციფიკურ) ბიოლოგიურსაც. რა თქმა უნდა, ამით იმას არ ვამბობთ, რომ ფიზიკური, როგორც ასეთი, შეიცავს გეომეტრიულს, ან სიცოცხლე, როგორც ასეთი — გეომეტრიულსა და ფიზიკურს. თუ ზუსტად ვიმსჯელებთ, ასე უნდა ვთქვათ: სიცოცხლე არაფერს შეიცავს, სიცოცხლისა და მისი კანონების გარდა (თუმცა ცხოველი, გარდა ამისა, შეიცავს გეომეტრიულსაც და ფიზიკურ კანონებსაც). ის, რასაც ფიზიკურ საგანში გეომეტრია „ხედავს“, გეომეტრიულია და არა ფიზიკური, და ა. შ.

[1] ფსიქოლოგიაში გაბატონებულია სწორედ არარეალისტური გაგება აღქმისა. საკითხის გადაჭრა იმაზეა დამოკიდებული, თუ ფსიქიკურს როგორ გავიგებთ: როგორც რეალობას თუ როგორც ფენომენს. ამაზე გვაქვს ლაპარაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა იყოს დამთხვევა ასლისა დედანთან, ასლი მან[illegible]ნება დედანი და დედანი არასდროს გადაიქცევა [illegible]ყვები: „მოვლენა“ და „აღქმა“ აქ სპეციფიკურ მნიშვნელობას იღებენ. „მოვლენა“ აქ ნიშნავს იმას, რომ რაღაც არის მოვლენის „უკან“ და იწვევს მოვლენას ისე, რომ თვითონ იმად რჩება, რაც იყო ამ მოვლენის გამოწვევამდე, მოვლენის გამოწვევის გამო იმაში არაფერი იცვლება. „აღქმაც“ აქ იმაზე მიუთითებს, რომ სუბიექტმა კავშირი დაამყარა რეალურ საგანთან, რომლიდანაც გადმოიღო, აითვისა მისი „სახე“. ასე რომ, სადაც რეალობასთან არ გვაქვს საქმე, იქ აღქმაც (ამ გაგებით) არ უნდა ვიგულისხმოთ. ამას გულისხმობს „რეალურში“ ჩვენი პრობლემა.

რას ეწოდება „ფენომენი“ ამავე პრობლემაში? „ფენომენი“ ბევრის მხრივ საწინააღმდეგოა „რეალურისა“. აქ თავიდანვე მოხსნილია ორმაგი არსებობა: ცნობიერების გარეთ და ცნობიერებაში. ერთადერთი არსებობა, რომელიც ფენომენს მიეწერება, ეს არის არსებობა ცნობიერებაში. ასე რომ, თუ საგანს, ობიექტს იმას ვუწოდებთ, რაც შეიძლება მოგვევლინოს, რამაც შეიძლება ჩვენში შთაბეჭდილება გამოიწვიოს, მაშინ „მოვლენა“ არაა საგანი, არც პროცესი[1]. მოვლენის არსებობა შეიძლება გამოითქვას ასე: მისი esse = percipi-ს,[2] ე. ი. იმდენად არსებობს, რამდენადაც ცნობიერია, რამდენადაც განიცდება. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ ის, რასაც მხოლოდ ფენომენალური არსებობა აქვს, არსებობს მხოლოდ ისე, როგორცაა იგი მოცემული ცნობიერებაში. მას არაფერი აქვს „უკან“, რასთანაც იგი უნდა იქნას შეთანხმებული, მის შესახებ ვერ დავაყენებთ კითხვას: მოგვევლინა თუ არა იგი ცნობიერებაში ისე, როგორც არის სინამდვილეში, რადგან მისი სინამდვილე და მისი არსებობის ადგილი ცნობიერებაა და ცნობიერებაში არსებობა. ამაზე მეტი ან ნაკლები და იმისგან განსხვავებული, რაც არის იგი ცნობიერებაში, არ შეიძლება იყოს თავისთავად, ცნობიერების გარეშე იმ უბრალო მიზეზის

---

[1] ზემოთ, როცა „მოვლენას“ „საგანთან“ ერთად ვხმარობდით, ყველგან რეალური პროცესი იგულისხმებოდა. ასეთ გაგებას არაფერი აქვს საერთო იმასთან, რაზედაც ახლაა ლაპარაკი.

[2] როგორც ცნობილია, ფორმულა esse = percipi-ს ბერკლის ფორმულაა, რომელიც მან გამოიყენა მატერიალური საგნის არსებობის დასაბათილებლად. ამით მან საგანს წაართვა რეალური არსებობა და მხოლოდ ფენომენალური არსებობა მიაწერა მ. ს. მატერიალურ-რეალური საგნისათვის უვარგისი ეს ფორმულა ხომ არ გამოდგება განცდისათვის? ვფიქრობთ, რომ კი.

გამო, რომ ცნობიერების გარეშე ის არ შეიძლება არსებობდეს. ამიტომ ჰქვია მას „ფენომენი“, ამიტომ მიეწერება მას მხოლოდ ფენომენალური არსებობა.

თუ ახლა გარკვეულია ამ ორი ცნების („რეალობისა“ და „ფენომენის“) ის მნიშვნელობა, რომელიც მათ აქ მიეწერებათ, ჩვენი პრობლემაც გარკვეული ჩანს.

რა არის ფსიქიკური: რეალობა თუ ფენომენი? როგორ თვალსაზრისს უნდა დავადგეთ ამ საკითხში: რეალისტურს თუ ფენომენალისტურს? ამ საკითხის გადაჭრის თავისებურება არსებითად განსაზღვრავს ფსიქოლოგიური კანონების ბუნებასაც და ფსიქოლოგიის ლოგიკურ ბუნებასაც.

ჩვენი საკითხი საკმაოდ ცნობილია ფილოსოფიის ისტორიაში. იგი ხშირად ირჩეოდა „სულის“ კონკრეტულ-აბსტრაქტულობის პრობლემის სახელწოდებით და მას სხვადასხვა, ერთიმეორის საწინააღმდეგო გადაჭრა მიუღია. საკითხის გადაჭრაში ყოველთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ზოგადფილოსოფიურ თვალსაზრისს, მაგრამ ისტორია იცნობს ისეთ ფაქტებსაც, როდესაც ერთი და იგივე ფილოსოფიური მიმდინარეობა (მაგ., მატერიალიზმი) სხვადასხვა დროს სხვადასხვა პასუხს იძლეოდა ამ კითხვაზე. ძველი მატერიალიზმისთვის, კერძოდ, დემოკრიტეს ატომიზმისთვის, სული თავისთავადი, კონკრეტული და აქტიური არსებაა, რომელიც მრგვალი და გლუვი ატომებისგან შედგება და ყველგან მოძრაობის საწყისად გვევლინება[1]. აქ სულს მაქსიმალური რეალობა ენიჭება და მას სხეულის წინაშე ერთგვარი უპირატესობაც აქვს, როგორც უფრო აქტიურსა და წამყვან ძალას. მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნის ფრანგული (და ინგლისური) მატერიალიზმი სულს სხეულის, ტვინის პროდუქტად და ფუნქციად აცხადებს და, ამდენად, წინააღმდეგია სულისათვის კონკრეტულობისა და თავისთავადობის ნიშნის მიწერისა. აბსტრაქტულობის ნიშნით ხასიათდება სული სპინოზას ფილოსოფიურ მონიზმშიც: რეალურად, თავისთავად არსებობს მხოლოდ ბუნება (ღმერთი), რომლის ატრიბუტებსაც წარმოადგენენ სული და განფენილობა. სული დამოკიდებული ნიშანია (როგორც სხეულიც) ბუნებისა და მას ნამდვილად რეალური არსებობა არა აქვს. ის არსებობს მხოლოდ როგორც ფენომენი.

---

[1] ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ დემოკრიტეს, როცა ის სულზე ლაპარაკობს, მხედველობაში აქვს არა ცნობიერება, არა ფსიქიკა, არამედ ისევ ატომი, ისევ მატერია. როგორც ცნობილია, ცნობიერების ნამდვილი ცნება დემოკრიტესათვის უცნობი დარჩა.

დუალიზმი და სპირიტუალიზმი ყოველთვის იცავდნენ და ახლაც იცავენ სულის თავისთავადობას, მის კონკრეტულობასა და რეალობას. ეს არის ამ მიმართულებათა ძირითადი დებულება, რომლის გარეშე ისინი ამ მიმართულების სახით აღარ წარმოიდგინებიან. ის გარემოება, რომ თითქოს მეტაფიზიკური ფსიქოლოგია „ისტორიას ჩაბარდა“ და ე. წ. „უსულო ფსიქოლოგიის“ დაფუძნების შემდეგ ასეთი შეხედულებები ფსიქიკურ ცხოვრებაზე მოისპო, არ ამტკიცებს იმას. რომ ფსიქიკურის რეალიზმის დამცველები აღარ არიან. ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიაში ნამდვილად ცოცხლობს მეტაფიზიკური მოძღვრება სულის შესახებ და ფსიქიკური რეალიზმის თეორიაც.

ცნობილია ისეთი აზრიც, რომლის თანახმად, სული (ან არაცნობიერი) კონკრეტული და თავისთავადია, ხოლო ფსიქიკური მოვლენა—ფენომენალური. ჩვენ ჯერ-ჯერობით გვაინტერესებს ფსიქიკური, როგორც ცნობიერი ფაქტი და მხოლოდ მის შესახებ ვაყენებთ საკითხს: რეალურია იგი თუ ფენომენალური მხოლოდ? როგორ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი დიალექტიკური მატერიალიზმის მიხედვით?

სანამ ამ საკითხს პირდაპირ შევეხებოდეთ, უნდა გავითვალისწინოთ ის, თუ როგორ იყო გამოყენებული ფსიქიკურის ფენომენალიზმი ფსიქიკურის შემეცნების ზოგიერთ თეორიაში, რომელმაც ფართო გავრცელება ჰპოვა ბურჟუაზიულ მეცნიერებაში. ვინაიდან ფსიქიკური ისე გვეძლევა, როგორც არის, ვინაიდან ფსიქიკურში არსი და მოვლენა ერთია და, მაშასადამე, იმთავითვე გამორიცხულია ყოველგვარი შესაძლებლობა ფალსიფიკაციისა, ფსიქოლოგიური შემეცნება იმ სპეციფიკური თავისებურებით ხასიათდება, რომელსაც აბსოლუტური ევიდენტობა ეწოდება. ფიზიკური სინამდვილე, ამ თეორიის მიხედვით, რადგანაც იგი არასოდეს უშუალოდ არ გვეძლევა, შეუძლებელია ევიდენტურად იქნას შემეცნებული. აქ ყოველთვის კანონიერია შეეჭვება ცილებულ მსჯელობაში, ყოველთვის შესაძლებელია შეცდომა და არასოდეს არა გვაქვს იმის გარანტია, რომ სინამდვილეს ნამდვილად ისე ვწვდით, როგორც ის არის თავისთავად, ჩვენგან დამოუკიდებლად. ფსიქოლოგიურ შემეცნებას კი ის უპირატესობა აქვს თითქოს, რომ იგი შემმეცნებელს ისე ეძლევა, როგორც არის იგი თავისთავად და არა მოვლენის სახით.

ფსიქოლოგიური ფენომენალიზმის ეს თეორია ტლანქ შეცდომას უშვებს, როცა ურევს ერთმანეთში მოცემულობისა და შემეც-

ნების საკითხს. რასაკვირველია, თუ არაცნობიერ ფსიქიკურ არსებობას უარვყოფთ, უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი განცდები ნამდვილად ისე გვეძლევიან, როგორც არიან თავის თავში. ჩვენ გავარკვიეთ, თუ რა იგულისხმება ფენომენად ყოფნის ცნებაში. აქ ორგვარი არსებობა მართლაც გამორიცხულია, მაგრამ ეს განა ევიდენტურ შემეცნებას ნიშნავს? რასაკვირველია, არა! მოცემულობის სიახლოვე არაა იგივე, რაც შემეცნების სიახლოვე. შესაძლებელია, და ფაქტიურად ასეც არის, რომ ჩვენგან ძალიან შორს მდებარე ზედმიწევნით კარგად ვიცოდეთ, ზუსტად ვიყოთ გარკვეული წის კანონებში, ხოლო ჩვენთან უშუალოდ დაკავშირებული, ყველაზე უფრო უახლოესი სრულიად არ გვესმოდეს, არ ვიცოდეთ მისი კანონები და სრულიად უძლური ვიყოთ, ამის შესახებ რაიმე წინათქმა ვაწარმოოთ. ყველასთვის ცნობილი ფაქტია, რომ ადამიანმა უშორესი (მაგ., ვარსკვლავების მოძრაობის კანონები) იცის, ხოლო უახლოესი (მაგ., ჩვენი ემოციების მოძრაობა) არ იცის. განცდა და შემეცნება ერთი და იგივე რომ იყოს, ასეთი ფაქტი შეუძლებელი გახდებოდა და, საერთოდ, ფსიქოლოგიური ცოდნა მოსაპოვებელი რამ კი არ იქნებოდა, არამედ თავისთავად მოცემული ფაქტი; ვისაც განცდა აქვს, მას მისი ცოდნაც ექნებოდა და არავითარი განსხვავება, ფსიქოლოგიური ცოდნის ქონების მიხედვით, არ იქნებოდა ბავშვსა და მეცნიერს შორის, ველურსა და ფსიქიკურის გენიალურ მკვლევარს შორის. შემეცნება კანონების აღმოჩენას ნიშნავს, კანონი კი განცდა არ არის. რაც უნდა უტყუარი იყოს ის ფაქტი, რომ, როცა მე ტკივილს განვიცდი, ნამდვილად განვიცდი ტკივილს და აქ ამ მხრივ საეჭვო არაფერია, ეს გარემოება ოდნავადაც არ გვაახლოებს ტკივილის ცოდნასთან, მისი კანონზომიერების ასახვასთან. განცდის მოცემულობა და ამ განცდის კანონის შემეცნება ორი სხვადასხვა განზომილებაა, რომლებიც ერთიმეორეში აურია ხსენებულმა თეორიამ.

საჭიროა მივუთითოთ ამ თეორიის კიდევ ერთ დოგმატურ დებულებაზე. რომელმაც ფსიქოლოგიას ბევრი ზიანი მოუტანა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს თვით ფსიქიკური ფენომენებისადმი დამოკიდებულების ის ფორმა, რომელიც ამ კონტექსტში შემუშავდა: რადგანაც ფსიქიკური პირდაპირ და უშუალოდ გვეძლევა, რადგან ფსიქიკურში ჩვენგან არაფერი იმალება, საგანგებო ზრუნვა მისი რაობის დასადგენად და შესასწავლად თითქოს საჭირო აღარ არის. ამბობენ, ვინ არ იცის, რა არის სიამოვნება, მწუხარება, სიხარული ან სიყვარული?!. მეცნიერების პირველი ამოცანა „ფაქტების რეგი-

სტრაცია“, დესკრიფციული ამოცანა ფსიქიკურის მიმართ [illegible] ბრივადაა მიღწეული და, ამდენად, ერთადერთი ამოცანა [illegible] დგას ფსიქოლოგიის წინაშე, ეს ამ „კარგად ცნობილი“ ფაქტების ახსნაა. აი ამ აზრმა დიდი ზიანი მოუტანა ფსიქოლოგიას. ფსიქიკური სინამდვილე შეუდარებლად მჭლედ და მარტივად იქნა წარმოდგენილი, ვიდრე ის არის ნამდვილად. დავიწყებულ იქნა ის ელემენტარული ჭეშმარიტება, რომ ყოველგვარი ფაქტი, ყოველი განცდა იმისთვის, რომ იგი მეცნიერების მასალად იქცეს, იმისთვის, რომ იგი შევიდეს შემეცნების სფეროში, მეორედ უნდა გაცნობიერდეს, უნდა ობიექტივაცია განიცადოს[1]. ფსიქოლოგიის გნოსეოლოგიამ სწორედ ამაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება. ის უნდა გახდეს ნათელი, თუ როგორ ხდება ფსიქიკურის ობიექტივაცია, რა არის სპეციფიკური, ობიექტურის ობიექტივაციისგან განსხვავებული. ზემოთ განხილული თეორიის მიხედვით, ობიექტივიზაცია არც უნდა იყოს ფსიქოლოგიაში საჭირო და, მაშასადამე, ფსიქოლოგიას არც უნდა ჰქონდეს თავისი შემეცნების თეორია. ეს, რასაკვირველია, აბსურდია. ამგვარად, ფსიქიკურის ფენომენალიზმი, სწორად გაგებული, არც იდეალისა და არც კანონების ძებნის ამოცანას არ აუქმებს, ზედმეტად არ ხდის.

ვუბრუნდებით ჩვენს საკითხს: რეალური ფაქტია თუ მხოლოდ ფენომენალური ჩვენი ფსიქიკური ცხოვრება?

იმის შემდეგ, რაც ჩვენ განვმარტეთ „რეალობისა“ და „ფენომენალურის“ მნიშვნელობა, აღარ უნდა იყოს ძნელი იმის წარმოდგენა, თუ როგორ პასუხს გასცემს ჩვენს კითხვაზე მატერიალიზმი, საერთოდ, და დიალექტიკური მატერიალიზმი, კერძოდ. ფსიქიკური რომ აღჭურვილი იყოს საკუთარი არსებობის, საკუთარი რეალობის ნიშნით, მაშინ სრულიად გაუგებარი იქნებოდა იმის მტკიცება, რომ იგი მეორეული მოვლენაა და თავისთავად კი არ არსებობს, არამედ არსებობს, როგორც ორგანიზებული მატერიის თვისება. დიალექტიკური მატერიალიზმი გვასწავლის, რომ ფსიქიკური ორმაგად არის დამოკიდებული რეალურ სინამდვილეზე: თავისი არსებობით და თავისი შინაარსით. თავისი არსებობით იგი ტვინზეა

---

[1] პ. ნატორპის მოთხოვნა ფსიქოლოგიისაგან, რომ მან თავისი „საგნის“ ობიექტივაცია არ მოახდინოს, შეუძლებელის მოთხოვნაა. არც ის საშიშროებაა აქ, რაც ნატორპს აწუხებს. ამ შიშს საფუძველი აქვს მხოლოდ შემეცნების ისეთი გაგების შემთხვევაში, როცა შემეცნება და შექმნა უდრის ერთმანეთს. ჩვენთვის აქ არავითარი საშიშროება შესაცნობის დამახინჯებისა ობიექტივაციის გამო არ არის.

დამოკიდებული, ხოლო თავისი შინაარსით — გარე (და შინა) სამყა-როზე, იმაზე, რის ასახვასაც ფსიქიკა წარმოადგენს. ფსიქიკა ტვი-ნის პროდუქტია, მისი ფუნქციაა, ეს იმას ნიშნავს, რომ სადაც არ არის ტვინი, იქ არც ფსიქიკური მოვლენა შეიძლება იყოს. გან-მარტებას საჭიროებს სიტყვა „პროდუქტი". ჩვეულებრივ, ეს სიტყვა იხმარება ისეთი მნიშვნელობით, რომლის მიხედვით, პროდუქტი პირველად, მართალია, საჭიროებდა იმას, რისი პროდუქტიც ისაა, მაგრამ იმის შემდეგ, რაც ეს პროდუქტი გაჩნდა, მას სავსე-ბით დამოუკიდებლად შეუძლია იარსებოს და თავისი საკუთარი ისტორია ჰქონდეს. შეიძლება პროდუქტი იყოს და მისი გამომ-წვევი აღარ იყოს. ქართული ანბანი, მაგალითად, ადამიანების პროდუქტია. ეს ადამიანები დიდი ხანია აღარ არიან, მაგრამ მათი პროდუქტი, ქართული ანბანი, არის და იქნება. ასეთია, საერ-თოდ კულტურის არსებობის ფორმა: კულტურის ინდივიდუალური შემოქმედი კვდება, მისი შემოქმედება რჩება. ასეთი გაგება „პრო-დუქტისა" ფსიქიკურის მიმართ არ შეიძლება იქნეს გამოყენებული. არასოდეს, არც ერთ მომენტში. ფსიქიკური არ შეიძლება არსე-ბობდეს, თუ არ არსებობს ის, რისი პროდუქტიც ის არის. შე-წყვეტს თუ არა ტვინი მუშაობას, იმავე მომენტში შეწყვეტს ფსი-ქიკა არსებობას. თუ არსებობს ფსიქიკა, ეს იმის უდავო მომასწა-ვებელია, რომ ტვინი მუშაობს. საკმარისია ამ პუნქტში ოდნავ დავაშოროთ დროში ფსიქიკა და ტვინი, რათა დუალიზმმა პრინ-ციპული გამარჯვება მოიპოვოს: თუ ერთ მომენტში (დროის ხან-გრძლივობას აქ არა აქვს მნიშვნელობა) ფსიქიკამ მოახერხა უტვი-ნოდ არსებობა, იგი ამას მოახერხებს საერთოდ და მის არსებითს დამოუკიდებლობას ტვინისგან აღარაფერი გადაელობება წინ: შე-საძლებლობას ერთი შემთხვევაც დადებითად ჭრის, რაც ერთხელ შეიძლება, ის საერთოდ შეიძლება. რაც ითქვა „პროდუქტზე", იგივე ითქმის, რა თქმა უნდა, ფუნქციაზედაც. იგი აბსოლუტურად განუყრელად იგულისხმება ფუნქციის საფუძვლისაგან, ტვინისაგან. ფსიქიკური პროცესი და მისი შესატყვისი ფიზიოლოგიური სუბ-სტრატული პროცესი აბსოლუტურად ერთდროულად მიმდინარე-ობს[1]. ბუნების განვითარების უმაღლესი და უძვირფასესი ყვავილი,

---

[1] აქ ჩვენ ვერ შევეხებით ფსიქო-ფიზიკური პრობლემის მარქსისტული გადა-ჭრის საკითხს. საბჭოთა ფსიქოლოგიაში ეს პრობლემა არასოდეს ისე მწვავედ არ იდგა, როგორც ახლა. სამწუხაროა, რომ ამ პრობლემას მხოლოდ რეპლიკებით ეხმაურებიან და საფუძვლიან შესწავლას არ უთმობენ საჭირო ყურადღებას. უკუ-გდებულ იქნა ერთ დროს თითქმის საერთოდ მიღებული ე. წ. „მთლიანობის თე-

ფსიქიკა, უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული თავის ფუძესთან და უფრო მეტად არის მასზე დამოკიდებული, ვიდრე [illegible] ყვავილი, რომელსაც ის მაინც შეუძლია, რომ მოწყდეს [illegible] ძირს ჩამოვარდეს. ფსიქიკას ესეც არ შეუძლია, იგი სასიკვდილოდაც ვერ დაშორდება ტვინის აქტიურ ცხოვრებას. რას შეიძლება მისგან ველოდეთ? რას შეიძლება ფსიქიკა შეიცავდეს თავის თავში, როგორც პოტენცია, როგორც ენერგიის კონცენტრაცია, როგორც რეალური პროცესის დასაბამი? ვერავითარი პირდაპირი დაკვირვება და ექსპერიმენტი ვერ გაგვცემს პასუხს ამ კითხვაზე. არ შეიძლება განხორციელდეს იმის შემოწმება, თუ რა შეუძლია ფსიქიკას, როგორც ასეთს, როგორც საკუთარი ძალების ამარა დარჩენილ მოვლენას. ფსიქიკას ვერავინ ნახავს მარტო, „საკუთარი ძალის“ ამარა დაშთენილს. მაგრამ საკითხს სწორედ ეს ფაქტი წყვეტს: ის, რაც თავის არსებობით აბსოლუტურად სხვაზეა დამოკიდებული ყოველ მომენტში, ამით ამტკიცებს თავის აბსოლუტურ „უძლურებას“, თავის სრულს ფენომენალობას. რამდენადაც, მაშასადამე, ფსიქიკა ტვინის პროდუქტია, მისი ფუნქციაა, მისი „შინაგანი“ მხარეა, იგი არაა თავისთავადი რეალობა და არა აქვს არც ნამდვილი რეალობისათვის დამახასიათებელი კანონები. ფსიქიკური მოკლებულია კონკრეტულ არსებობას, იგი კონკრეტულის აბსტრაქტული მომენტია მხოლოდ [1].

შევხედოთ ახლა ფსიქიკურს, მისი შინაარსის მხრივ, როგორც სინამდვილის ასახვას. რას წარმოადგენს იგი, როგორც ასახვა, რეალობის სამსჯავროს წინაშე?

---

ორია“ და ახლა ამ საკითხში ერთგვარი სიცარიელე იგრძნობა. ეს საკითხი, როგორც ცნობილია, მიზეზობრიობის ცნების დაზუსტებასაც მოითხოვს და პარალელური ცნებისასაც. თუ მაგ., მივიღებთ, რომ მიზეზი წინ უნდა უძღოდეს შედეგს, მაშინ მარტო ამ საბუთით შეგვიძლია უარვყოთ ფიზიოლოგიურისა და ფსიქიკურის კაუზალური ურთიერთობა: ეს პროცესები ხომ ერთდროულად მიმდინარეობენ. მაგრამ არსებობს ხომ მიზეზობრიობის სხვა გაგებაც?!

[1] საბჭოთა ფსიქოლოგიაში შეიმჩნევა ერთი უცნაური მანერა „თეორიების“ დაცვისა: ხან ემყარებიან გამოთქმას „ფსიქიკა პროდუქტია“, ხან კი გამოთქმას — „ფსიქიკა თვისებაა“ ან „შინაგანი მხარეა ტვინისა“ და ავითარებენ ისეთ შეხედულებას, რომელიც საზრდოობს ამ გამოთქმათა დაპირისპირებით ისეთ მოსაზრებებს იცავენ, რომლებიც, მაგ., ეგუება თითქოს ერთს ამ გამოთქმათაგანს, მაგრამ არ ეგუება და ეწინააღმდეგება სხვებს. თითქოს არ იცოდნენ, რომ ყველა ეს გამოთქმა მარქსიზმის კლასიკოსებს ეკუთვნის, და თანაბრადაა ანგარიშგასაწევი საჭიროა ისიც, რომ საკითხი დამუშავდეს და ამ გამოთქმების კავშირი და მათი გამოყენების ბუნებრივი ადგილი იქნეს ზუსტად განმარტებული. ეს ამოცანაც ვალად გვდევს საბჭოთა ფსიქოლოგებს.

საგანმა A-მ მოახდინა ზემოქმედება ჩვენს ნერვულ სისტემაზე, ტვინზე და გამოიწვია ფსიქიკური პროცესი, რომელიც A-ს ასლს წარმოადგენს. შემეცნების თეორია ამ ფაქტში, საგნის ცნობიერ ასლში ხედავს შემეცნებას. იგი შემეცნება არ იქნებოდა, საგნის ასლი რომ არ იყოს, მაგრამ ის (ასლი) არც მაშინ იქნებოდა შემეცნება, ცნობიერების ფაქტს რომ არ წარმოადგენდეს, როგორც არ არის შემეცნება ის ასლი, ის ასახვა, რომელიც ჩნდება სარკეში მასზე საგნის „ზემოქმედების" გამო.

წარმოვიდგინოთ, რომ საგანმა A-მ შეწყვიტა ჩვენზე ზემოქმედება და საერთოდ გაწყვიტა ჩვენთან ურთიერთობა. ამის შემდეგ რაც არ უნდა მოუვიდეს A-ს, რა ცვლილებებიც არ უნდა განიცადოს მან, არაფერი არ იქნება აღნიშნული ჩვენს ცნობიერებაში. ის ასლი, რომელიც პირველად გაჩნდა ჩვენში A-ს შესახებ მისი ზემოქმედების საპასუხოდ, არაფრით არ გადმოგვცემს იმ ცვლილებებს, რომელიც A საგანმა განიცადა აღნიშნული ურთიერთობის შემდეგ. თუ რამე ცვლილება მოხდა მასში, ეს სრულიად არ იქნება დამოკიდებული საგან A-ზე. ეს საგანი შეიძლება მოისპოს, მაგრამ მისი ასლი დარჩეს. ჩვენ ვიცით, თუ რა ინახავს, რა აცოცხლებს ამ ასლს, ფსიქიკურს. ეს არის ტვინი, რომელზედაც არის ამიერიდან დამოკიდებული ყოველგვარი ცვლილება მიღებულ ასლში, მის არსებობიდან მის მოსპობამდე.

წარმოვიდგინოთ, რომ ეს ასე არაა. დავუშვათ, რომ სინამდვილის ასახვამ, როგორც ასახვამ, დაიწყო განვითარება, დაიწყო, ასე ვთქვათ, დამოუკიდებელი ცხოვრება. რა შეიძლება მივიღოთ ამ უცნაური ფაქტის შედეგად? სრულიად გაუგონარი და უცნაური მოვლენა: A საგნის ასლი თავისით გადაიქცევა არა A-ს ასლად, არასოდეს მოხერხდება შემეცნების (შედარებითი) დამთავრება, მისი ფიქსაცია, არ გვექნება ცოდნა და, მით უმეტეს, ცოდნის სისტემა მეცნიერების სახით. ასახვა, როგორც გნოსეოლოგიური ცნება, როგორც შემეცნება, დაკარგავდა თავის მნიშვნელობას, მას რომ საკუთარი ცხოვრებით შეეძლოს ყოფნა. ცხადია, „ცნობიერება მეტი არაფერია, თუ არა გაცნობიერებული ყოფიერება" (მარქსი). ეს „უსუსურობა" ასახვისა მართლა მისი დეფექტი კი არ არის, არამედ აუცილებელი და შეუნაცვლებელი ღირსებაა მისი. ცნობიერების ეს „პასივობა" არის მისი ერთადერთი შესაძლებელი და ერთადერთი საჭირო აქტივობა: მას სხვა არა ევალება რა, გარდა იმისა, რომ „სხვა" ასახოს, სხვისთვის იყოს. ინტენციის ცნება გამოდგებოდა აქ არსებული საქმის ვითა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებ.ს გადმოსაცემად. მას რომ იდეალისტური შინაარსი არ [illegible] ბურჟუაზიულ მეცნიერებაში და რეალისტური აზრი არ [illegible] ლიყო „ფენომენოლოგიური რედუქციის“ წყალობით.

ასლში, ასახვაში ცვლილებაზე ითქვა. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ დათმობაა ჩვეულებისა, მეტყველების ინერციის გამოვლინებაა. ფსიქიკურში იმ აზრით არ შეიძლება მოხდეს ცვლილება, რა აზრითაც ამ ცნებას ვხმარობთ ფიზიკურის მიმართ. როცა საქმე ფიზიკურ ფაქტს ეხება, ერთიმეორეს ვადარებთ ერთისა და იმავე (ძირითადი ნიშნების უცვლელობის საფუძველზე) საგნის თავისებურებას, მის ნიშან-თვისებებს, სხვადასხვა დროში მოცემულს. A საგანი P მომენტში და $P_1$ მომენტში უნდა შევადაროთ ერთმანეთს და ამ შედარების შედეგად შემჩნეული განსხვავების საფუძველზე ვიმსჯელებთ მომხდარი ცვლილებების მეტ-ნაკლებობაზე. მთავარი აქ ის არის, რომ ფიზიკური მოვლენა პრინციპულად შეიძლება არსებობდეს დროის ორსა და უსასრულო რაოდენობის მომენტში. ამას ვერ ვიტყვით ფსიქიკურზე. ის არსებობს მხოლოდ ერთ მომენტში, გაჩენის უმალვე ისპობა და არასდროს იგი თვითონ არ გამოვლინდება, არ დაიჭერს ადგილს დროში. ამიტომ ფსიქიკურის „ცვლილება“ მისი მოსპობა და გაჩენაა, ხოლო ფიზიკური (მთლიანად აღებული) არც ისპობა და არც ჩნდება. ფსიქიკური, როგორც ასეთი, განყენებულად აღებული, არ იცვლება იმიტომ კი არა, რომ იგი უცვლელია, არამედ იმიტომ, რომ მას არ გააჩნია ის შინაგანი ენერგია, რომელიც ცვლილებისთვისაა საჭირო.

ხშირად ვამბობთ, „ფსიქიკური პროცესებიო“. ბევრი ითქვა იმაზედაც, რომ ფსიქიკურის შემეცნებას აქ მოცემული, თუ შეიძლება ასე ითქვას, მაქსიმალური პროცესუალობაც აძნელებსო და სხვა. ნამდვილად, რა თქმა უნდა, ფსიქიკური მოვლენები პროცესის სახით არ არსებობენ. ის, რაც დროის ერთს მომენტს ვერასოდეს შორდება, არ შეიძლება პროცესის სახით არსებობდეს. პროცესი სხვადასხვა მომენტებს შორის გულისხმობს რეალურ კავშირს, რომელიც სუბსტანციალური მომენტით არის უზრუნველყოფილი. ფსიქიკურს არა აქვს ეს სუბსტანციალური მომენტი და ამიტომ ვერც პროცესს შექმნის იგი: როგორც ცნობილია, არაცნობიერის ცნება ლაიბნიცმა სწორედ იმიტომ შემოიტანა ფილოსოფიაში, რომ მისი სათაყვანებელი პრინციპი უწყვეტობისა ფსიქიკურშიც განემტკიცებინა და უნივერსალური ფსიქო-ფიზიკური პარალელიზმი დაესაბუთებინა. ცხადია, მთელი ეს ფანტასტიკური აზრთა წყობა (გავიხსენოთ პრესტაბილური ჰარმონია) ზედმეტი იქნებოდა. უწყვე-

ტობა და პროცესუალობა ცნობიერების სფეროში რომ აღმოჩენილიყო. უდიდესი მნიშვნელობის ჭეშმარიტებაა მარქსის სიტყვები: „ცნობიერებას არ აქვს ისტორია“.

იგივე ითქმის ფსიქიკურის მთლიანობის შესახებ. რა თქმა უნდა, არსებითად სხვადასხვაა მთლიანობის განცდა და განცდის მთლიანობა ამის მიუხედავად, „მთლიანობის ფსიქოლოგიის“ მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები ჩვენში და ბურჟუაზიულ მეცნიერებაშიც ყოველთვის არ უწევენ ანგარიშს ამ განსხვავებას.

როცა მთლიანობის განცდაზე ვლაპარაკობთ, საკითხი ფაქტს ეხება, განცდის ფაქტს და გასარკვევი და დასადგენი აქ არის მხოლოდ და მხოლოდ ასეთი ფაქტის არსებობა. აქ ეგზისტენციალური მსჯელობა უნდა შემოწმდეს. რომელსაც მეტი პრეტენზია არა აქვს, თუ არა ის, რომ იყოს ასერტორული მსჯელობა, ფაქტის აღნიშვნა. შეიძლება არ ვიდავოთ ასეთი ფაქტის არსებობაზე. თუმცა აქაც ბევრი რამ არის დასაზუსტებელი[1]. მაგრამ, როცა მთლიანობის განცდიდან ასკვნიან განცდის მთლიანობაზე, ან განურჩევლად ხმარობენ ამ ცნებებს, თითქოს ისინი ერთსა და იმავე საქმის ვითარებაზე მიუთითებდნენ, ან ტლანქ შეცდომას უშვებენ.

დებულება განცდის მთლიანობის შესახებ, როგორც აღვნიშნეთ, „უპრეტენზიო“ დებულებაა. იგი ფენომენზე ლაპარაკობს და საბუთად იგივე ფენომენია მოწოდებული. აქ დესკრიფციულ (ემპირიულს) მუშაობას ვერ ვშორდებით. მაგრამ დებულება მთლიანობის განცდის შესახებ ნიშნავს იმას, რომ ლაპარაკია არა ჩვენს განცდაზე, არა იმაზე, თუ რა როგორ გვეძლევა, არა ფენომენზე (მოვლენაზე), არამედ „თვით საგანზე“, როგორც არის იგი თავისთავად, თავისთვის. აქ მსჯელობამ რეალისტური ხასიათი მიიღო და მის საბუთად განცდის ფაქტი, ის, რომ ჩვენ ასე გვევლინება, აღარ გამოდგება. განცდაზე აქ ლაპარაკია, როგორც თავისთავადზე, დამოუკიდებელ რეალობაზე და მთლიანობაც, რომელსაც ეხება ეს მსჯელობა, რეალური მთლიანობაა განცდისა და არა ფენომენალური. ცხადია, ფენომენალური მთლიანობიდან რეალურ მთლიანობაზე გადასვლა, თუ სხვა საბუთი არ მოინახა, არაა დასაბუთებული ლოგიკურად. ასეთ საბუთად პირველ რიგში თვით ფსიქიკურის

---

[1] კერძოდ, როგორმე უნდა განვასხვაოთ მთლიანობის განცდა იმისგან, რასაც ჩვენ ვუწოდებთ სიმარტივის განცდას. განცდა, როგორც ასეთი, ყოველთვის მთლიანია და ამაში არაფერს ცვლის „მისი შინაარსის“ სირთულე, რომელიც შემდგომი ანალიზისთვის არსებობს მხოლოდ. ხომ არ არის იგივე ორი ცნება: განცდის მთლიანობა და მისი სიმარტივე, შედგენილობითი ხასიათის არ ქონება?!

თავისთავადი, რეალური არსებობა უნდა გვქონდეს. ფსიქიკურის რეალური მთლიანობა ნიშნავს განცდილი მრავალსახეობის შემონახვას ერთი კომპლექსის სახით. რამდენადაც განცდაზეა ლაპარაკი, ასეთი შემონახვა სრულიად წარმოუდგენელია: განცდა ერთ მომენტს დროისას ვერ შორდება, ხოლო მთლიანობის რეალობის თეზისი მოითხოვს განცდების მუდამ არსებობას ადამიანის ინდივიდის სიცოცხლის განმავლობაში მაინც. ა. ბერგსონი შეეცადა ყველაზე სერიოზულად განცდის რეალური მთლიანობა დაესაბუთებინა და ყველამ იცის, რა მეტაფიზიკური ხასიათის მსჯელობა დასჭირდა მას ამისთვის. მისი დებულება, რომ ადამიანის ყოველი ამჟამინდელი განცდა შეიცავს ამავე ადამიანის ყველა განცდას, რომელიც კი მას ჰქონია მისი ცნობიერების გაჩენიდან, მისტიკაა და არა დასაბუთებული აზრი. არაფერი ამის მსგავსი არასოდეს არ დადასტურებულა და ვერც დადასტურდება. და ეს მარცხი ეხება არა მარტო ბერგსონს, არამედ ყოველგვარ ცდას ფსიქიკურის რეალური მთლიანობის დასაბუთებისას.

ფსიქოლოგიის ისტორიიდან ცნობილია, რომ ე. წ. ემპირიული ფსიქოლოგიის გაბატონების შემდეგ, ერთხანს სუბსტანციალურად გაგებულ „სულს“ აღარავინ იცავდა თითქმის. „უსულო ფსიქოლოგია“ ჩვენი მეცნიერების სახელმძღვანელო ლოზუნგად იქცა და შეიძლებოდა ამის გამო დაბადებულიყო აზრი სულის მატერიალისტურად გაგების შესახებ. რა თქმა უნდა, ასეთი შეხედულება ყოველთვის იყო და იქნება. მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს, რა ხდება იდეალისტი ფსიქოლოგის (ან ფილოსოფოსის) აზროვნებაში, როცა ის იმარჯვებს ლოზუნგს: „ფსიქოლოგია უსულოდ“ [1]? ცხადია, აქ უბრალო ოპერაცია, „სულის“ ცნების უკუგდება ისე, რომ მისი ადგილი არაფერმა დაიჭიროს, არ შეიძლება. სანამ სუბსტანციალური სულის ცნება იხმარებოდა, „სულიერ მოვლენას“ გასაგები მნიშვნელობა ჰქონდა. ეს იყო წარმოდგენილი, როგორც სულის მოვლენა ანალოგიურად ფიზიკური მოვლენისა, რომელიც სუბსტანციის სახით წარმოდგენილი მატერიის გამოვლინებად ითვლება. აქ „მოვლენა“ იმაზე მიუთითებდა, რომ იგი თავისთავადი და თვითკმარი სინამდვილე არ არის და რომ მის „უკან დგას“ ნამდვილი რეალობა, სული, რომელიც ასულდგმულებს ფსიქიკურ

[1] „მატერიალიზმის ისტორიის“ ავტორი ფრ. ა. ლანგე, რომელმაც ეს ლოზუნგი წამოაყენა, ნეოკანტიანელია და არა მატერიალისტი. ამიტომაა საკითხავი, რამ შეცვალა ფსიქოლოგიაში „სული“, ფსიქიკურ მოვლენებს რა მიენიჭათ „სულის“ ჩამოშორების საკომპენსაციოდ?

მოვლენას. მატერიალიზმისთვის აქ არაფერია გასარკვევი, იგი სპირიტუალიზმს ის იმაში კი არ ედავებოდა, რომ ის, რაც ჩვენ ემპირიულად გვეძლევა სულიერი მოვლენის სახით, მართლა მოვლენაა და არა საგნობრივი რეალობა, არამედ იმაში, რომ ამ მოვლენის დასაყრდენს, მის სუბსტრატს შეადგენს ტვინი და არა სული. ამიტომ ემპირისტული ტენდენციების გავლენით „უკუგდებული სულის“ ადგილის პრობლემა იდგა მხოლოდ იდეალისტური ფსიქოლოგიის წინაშე.

როგორ გადაწყდა იგი? აქ არსებობდა მხოლოდ ორი შესაძლებლობა: ან მატერიალური სუბსტრატის, ტვინის, მიჩნევა სულიერი მოვლენების საფუძვლად ან ფსიქიკური პროცესების რეალიზმის დებულების დაცვა. ცხადია, სპირიტუალიზმი პირველი გზით ვერ წავიდოდა. მან აირჩია მეორე გზა: თვით ფსიქიკურ მოვლენებს მიანიჭა ის თვისება, რაც ჰქონდა სუბსტანციალურ სულს. სული, როგორც გამოცდილების მიღმა არსებული, ფსიქოლოგიის დღის წესრიგიდან მოიხსნა, მაგრამ კი არ გაუქმდა (როგორც ეს ეგონათ), არამედ გადმოინაცვლა ადგილი და თვით ემპირიულ სამყაროში დამკვიდრდა: „სული“ გამაერთიანებელ ტერმინად იქცა, მაგრამ ის, რასაც ახლა იგი აერთიანებს, მისი გამოვლენანი კი არ არიან, არამედ თავისთავად არსებული რეალობანი, რომელნიც სხვას აღარ საჭიროებენ წარმოშობისა და არსებობის შენარჩუნებისათვის და, ამდენად, აღარც არიან მოვლენები ამ სიტყვის პირველი მნიშვნელობით. როგორც მატერიალისტისათვის „მატერია“ არის საერთო სახელი მატერიალური, თავისთავად არსებული საგნების აღსანიშნავი, ისე „სული“ იდეალისტისათვის თავისთავად არსებული სულიერი საგნების აღსანიშნავი ტერმინია. მატერიალურ სამყაროს გვერდში ამოუდგა მეორე სამყარო, სულიერი, რომელსაც არანაკლები თავისთავადობა და არსებობის ძალა აქვს, ვიდრე მატერიალურ, ფიზიკურ სამყაროს. ფსიქო-ფიზიკური დუალიზმი აქ მთლიანად აღდგენილია და მთელი სიმკაცრით დაცული. ასეთი თვალსაზრისი უდევს საფუძვლად, მაგ., ისეთ კვლევა-ძიებას, რომელიც განცდებში ეძებს ნამდვილსა და არანამდვილ ფაქტებს, რეალობასა და მოჩვენებას. მხოლოდ ფსიქოლოგიური რეალიზმის საფუძველზე ხდება გასაგები მსჯელობანი ნამდვილი და არანამდვილი განცდების (უმთავრესად გრძნობების) შესახებ, რომელთაც ადგილი აქვს პლატონის, შოპენჰაუერისა და ახალ დროში ჰაასის კონცეფციებში. ამავე საფუძველს ემყარება ფროიდისა და მისი მონათესავე იუნგადლერის ფსიქოლოგიური კონცეფციები. როგორც აღვნიშნეთ,

არაცნობიერი ფსიქიკურის ცნება უმთავრესად ფსიქიკური რეალიზმის დაცვას ემსახურება. ამით აიხსნება ის ფაქტიც, რომ ილუზიებზე და ჰალუცინაციებზე ლაპარაკობენ ფსიქოლოგიაში არა მარტო ისინი, ვინც ფსიქიკური რეალიზმის თვალსაზრისზე დგანან (მათ აქვთ ამის უფლება), არამედ ისინიც, ვინც ფსიქიკურის საგნობრივ რეალიზმს უარყოფენ და ფსიქიკური ფენომენალიზმის ნიადაგზე დგანან: თითქოს ფსიქიკურს ორმაგი არსებობა ახასიათებდეს — თავისთავად და ჩვენთვის[1].

თავისი დროის ახსნითი ფსიქოლოგიით უკმაყოფილო ვ. დილტაი შეეცადა ფსიქოლოგიისათვის ახალი ამოცანები დაესახა: შეეზღუდა ახსნის კატეგორიის სარბიელი ფსიქიკურ სინამდვილეში და გაებატონებინა აღწერის, ანალიზისა და გაგების ცნებები. დილტაის აზრით, მთავარი საქმე ფსიქოლოგიაში შეიძლება გაკეთდეს არა ახსნის, არამედ გაგების მეთოდის საშუალებით. ბუნება უნდა ავხსნათ, რადგან ბუნების მოვლენების ურთიერთობა გაგების საშუალებას არ იძლევა, მოკლებულია საზრისის (смысл, Sinn) ნიშანს, ხოლო ფსიქიკური ცხოვრების მაგისტრალური ხაზი სწორედ საზრისიან კავშირებისაგან შედგება და, რაც მთავარია, ეს კავშირები საძებარი კი არ არის, არამედ უშუალოდაა მოცემული განცდაში. სტრუქტურული მთლიანობა, რომელიც ფსიქიკურის წყობის დამახასიათებლად ითვლება, დილტაის აზრით, განცდილი მთლიანობაა და მხოლოდ ასეთ მთლიანობას შეიძლება ეწოდოს სტრუქტურული.

დილტაის (და შპრანგერის, ერისმანის) ძირითადი შეცდომა იმაშია, რომ მან ფენომენალურად მოცემული განცდის დახასიათება (თუ, რასაკვირველია, დავუშვებთ, რომ აქ ყველაფერი რიგზეა და მოვლენა ისეა აღწერილი, როგორც ის იყო განცდაში) ლოგიკურ-ობიექტურ საქმის ვითარებად დასახა. განცდაში რომ A გვეძლევა B-ს საზრისად ან მიზეზად ან მიზნად, მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ასეთი განცდა არსებობს. აქედან ვერ დავასკვნით განცდის ვერც მიზეზობრიობისა და ვერც მიზნობრიობის შესახებ, რადგან არსებითად სხვადასხვაა — განცდის მიზეზობრიობა და მიზეზობრიობის განცდა, განცდის საზრისიანობა და საზრისიანობის განცდა. ერთი ფსიქოლოგიური კატეგორიაა, სუბიექტური ფაქტია, მეორე — ობიექტური, ლოგიკური საქმის ვითარებაა; პირველის არსე-

---

[1] ფსიქიკურ რეალიზმს თავგამოდებით იცავს განსაკუთრებით მ. შელერი (იხ. მისი „Umsturz d. Werte“, ტ. I, II, 1919).

ზობიდან მეორის შესახებ დასკვნა ლოგიკური შეცდომაა, განცდას არ შეიძლება მეტი პრეტენზიის უფლება მიეცეს, გარდა მოწმობისა, გარდა იმისა, რომ ეს ასე გვეძლევა. დილტაი და მისი მიმდევრები ფსიქიკურს თავიდანვე პირველხარისხოვან რეალობად წარმოიდგენენ და თან სხვა უპირატესობათა შორის, რომელიც, მათი აზრით, ამ სინამდვილეს მიეწერება, განსხვავებით ფიზიკური სინამდვილისაგან, მისი კანონზომიერების უშუალოდ მოცემულობაცაა. აქედან გასაგებია დილტაის მსჯელობაში ლოგიკური ნახტომი: განცდილი მთლიანობა აქცია მთლიანობის განცდად.

მაგრამ ასეთი წინამძღვრის ნიადაგზე საწინააღმდეგო შეცდომაც შესაძლებელია (ასეთი შეცდომა ფაქტიურად ხშირად გვხვდება, განსაკუთრებით, ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიაში), რადგან ფსიქიკურის შესახებ კანონზომიერებითი მსჯელობის გამოთქმისათვის განცდითი მონაცემები არ კმარა (რადგან განცდა საბუთი არ არის), ჩვენ სხვა გზა უნდა მოვნახოთ იმის დასაბუთებისათვის, სადაც ფსიქიკური მოვლენა გვეძლევა. ე. ი. აქაც ბუნებისმეტყველებისთვის ჩვეულ გზას დავადგეთ: ანალოგიების, ჰიპოთეზების, ინდუქციის მეთოდების გამოყენების გზით დავამტკიცოთ, რომ მაგ., განცდა A გამოიწვია განცდა B-მ, რომ A არის B-ს საზრისი და სხვა (ან პირიქით, რომ ეს ასე კი არ არის, არამედ სულ სხვანაირად, და ესეც დავამტკიცოთ). ასეთი მუშაობა ფსიქოლოგიაში დილტაისაც პრინციპულად შესაძლებლად და კანონიერად მიაჩნია, მაგრამ მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როცა განცდილი მთლიანობა, უშუალოდ მოცემული კავშირები არ გვეძლევა (ასეთი შემთხვევები უმთავრესად შეგრძნებებისა და მარტივი გრძნობების სფეროში გვხვდებაო, გვარწმუნებენ). სადაც ასეთი კავშირები პირდაპირ გვეძლევა, იქ, დილტაის მიხედვით, ზედმეტია ბუნებისმეტყველური მეთოდის გამოყენება: უშუალოდ მოცემულის უბრალო აღწერა მოვლენათა კანონზომიერებითს სურათს გვაძლევსო.

ეს მოთხოვნაც, განცდათა შორის კაუზალურ-ტელეოლოგიური ურთიერთობის ძებნა, როცა იგი უშუალოდ არაა მოცემული, ემყარება ფსიქიკურის დამოუკიდებელ რეალობად წარმოდგენის ფაქტს: თითქოს ის, რაც ფსიქიკურს ეკუთვნის და რაც ფსიქიკურია, განცდის უკან შეიძლება იყო მიმალული, ან ფსიქიკურის კუთვნილებად შეიძლება გამოვაცხადოთ ის, რაც არაა განცდა. როცა საკითხი ფიზიკურს ეხება, ამგვარი მსჯელობა სავსებით კანონიერია: შესაძლებელია, რომ ფიზიკურის მოვლენაში არც ყველა თვისება ფიზიკურისა იყოს მოვლენილი და არც გამოვლენილთა შორის

იყოს ყველაფერი სწორად ასახული. ამიტომაა საჭირო [illegible] რება მოვლენაზე და მისგან „თვით საგანზე" მისვლა [illegible] თავადი ნიშან-კანონების წვდომა. ამიტომ აქ პრინციპულად შესაძლებელია მოჩვენებაცა და ილუზიაც, რაც ფსიქიკურში, თუ ფენომენალიზმის თვალსაზრისზე დავდგებით, სრულიად შეუძლებელია[1]. როცა ფსიქიკურში გვეძლევა ორი მოვლენის თანმიმდევრობა და განიცდება კავშირი მათ შორის, არაა საჭირო მითოლოგიური, არაცნობიერი ფსიქიკური წევრებით შევავსოთ ეს ხარვეზი, არამედ უნდა მოინახოს, თუ დავისახავთ მიზნად ფენომენთა არსებობის ახსნას, რეალური, მატერიალური საფუძველი ამ გარემოებისა. როცა განცდათა შორის კავშირი გვეძლევა, დამატებით არის ასახსნელი იმის განცდა, რომ თითქოს ერთი განცდა მეორეს იწვევს თავისი საკუთარი ძალით. ასე რომ ის, რაც დილტაის ფსიქოლოგიის ლოგიკურ საფუძვლად მიაჩნია, თვით საჭიროებს ახსნას და ფსიქოლოგის მდგომარეობა აქ გამარტივებული კი არ არის, არამედ უალრესად გართულებული: უნდა მოინახოს რეალური საფუძველი (ფსიქიკურს გარეთ) როგორც იმისი, რომ განცდა A-ს მოჰყვა განცდა **B**, ისე იმისიც, რომ ამას მათი რეალური ურთიერთზემოქმედების განცდაც დაერთო. ცხადია და გასაგები, რომ, როგორც კი ფსიქიკური რეალობის ასპექტში განხილვის საგანი გახდება, ყოველი კატეგორია ამისთვის საჭირო და ყოველი საფუძველი მისი არსებობისა, ცვლილებისა და სხვა, მის გარეთ, ე. ი. მატერიალურ, ობიექტიურ შუალობაში უნდა ვეძებოთ. თუ სიტყვა „ახსნა" რეალობისათვის დამახასიათებელი კატეგორიების (სუბსტანცია, მიზეზობრიობა, რეალური კავშირ-მთლიანობა და სხვა) გამოყენებას უნდა ვუწოდოთ, ცხადია, რომ ფსიქიკური, რადგან იგი ფენომენია და მეტი არაფერი, ამ კატეგორიებისათვის უნდა დაესესხოს სხვა მეცნიერებას, სხვა სინამდვილეს.

ფსიქიკური მოვლენების, ცნობიერების ასახსნელად ფსიქიკურსა და ცნობიერებას უნდა გავცილდეთ. ამ აზრს იცავენ ისეთი მკვლევარები, რომელთაც მსოფლმხედველობრივად არაფერი აკავშირებთ ერთმანეთთან. ამ დებულებას იცავს, მაგ., ედ. ჰარტმანი, ზ. ფროიდი, თ. ციჰენი (და მთლიანად „ფიზიოლოგიური ფსიქოლოგიის" პრინციპზე მდგომნი). ფსიქოლოგიური მეცნიერების შესაქმნელად

---

[1] შეად. მ. შელერი, რომელიც განსაკუთრებით იცავს ფსიქიკურის მოჩვენების (**Tauschung**) შესაძლებლობას. ეს ფსიქიკურის მეტაფიზიკურად წარმოდგენიდან მომდინარეობს.

ცნობიერების მიღმა კვლევა-ძიების აუცილებლობის აზრი [illegible] განწყობის თეორიაც და სხვა. რა თქმა უნდა, არსებითი [illegible]ვებაა მკვლევართა შორის იმ საკითხში, თუ როგორი წარმოვიდგინოთ ის სინამდვილე, რომელზედაც გადასვლამ ფსიქიკურის (ცნობიერის) ახსნა უნდა მოგვცეს. აქაც მატერიალიზმი და იდეალიზმი უპირისპირდება ერთმანეთს. ამ კითხვაზე არაა საჭირო აქ შეჩერება: საქმის ვითარება აქ ნათელია, ჩვენ ასეთი საკითხი გვაინტერესებს: რატომ გავდივართ საერთოდ ფსიქიკურიდან, ცნობიერიდან, როცა მისი ახსნის საკითხი დგება? ზოგი აქ არაჩვეულებრივს არაფერს ხედავს: როგორც სინამდვილის სხვადასხვა ფენა ეკვრის ერთმანეთს, გადადის ერთმანეთში და, ამგვარად, სისტემატურ მთლიანობას ქმნის, ისე სინამდვილის ამ ფენების ამსახავი მეცნიერებანიც გადადიან ერთმანეთში და სისტემის სახით ყალიბდებიან[1]. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ასეა. როდესაც, მაგალითად, ბიოლოგია ცოცხალ პროცესს (რომელიმე მარივ) შეისწავლის და ბიოლოგიური კატეგორიებით შესაძლებელ სამუშაოს დაასრულებს, შეიძლება გადავიდეს ქიმიური და ფიზიკური ცნებების გამოყენებაზე, მაგრამ ეს არ არის იმავე სახის გადასვლა მეცნიერების (ან სინამდვილის) ერთი სფეროდან მეორეში, როგორსაც ადგილი აქვს ფსიქოლოგიაში. აქ პრინციპულად განსხვავებული მდგომარეობაა და თავს იტყუებენ ის ფსიქოლოგები, რომელთაც ჰგონიათ, რომ ფიზიოლოგიიდან ქიმიაში გადასვლა ფიზიოლოგიური ფაქტების ასახსნელად ისეთივე ხასიათისაა, როგორისაც — გადასვლა ფსიქოლოგიიდან ფიზიოლოგიაში. საქმე იმაშია, რომ ფიზიოლოგიაში ფიზიოლოგიური ახსნის ცნება სავსებით გასაგები და კანონიერია. იგი ძირითადი ამოცანაა ფიზიოლოგიისა და მის შესაბამისად წარმოებს ძირითადად და უმთავრესად მუშაობა ამ მეცნიერებაში. მაგრამ, როცა საკითხი შეეხება ისეთს მოვლენებს, რომელნიც ქიმიურსა და ფიზიკურს ესაზღვრებიან, როცა ახსნის საგანს შეადგენს სინამდვილის ის განზომილება, სადაც ფიზიკური „გადადის“ ფიზიოლოგიურში, იქ, რასაკვირველია, საჭირო ხდება ფიზიკის მონაცემებსაც გაეწიოს ანგარიში. გადასვლა, რომელზედაც ლაპარაკია ფიზიოლოგიის შემთხვევაში, არის გადასვლა, თუ შეიძლება ასე

[1] შეად. ფრ ენგელსის აზრი მეცნიერებათა კლასიფიკაციის შესახებ („ბუნების დიალექტიკა“, გვ. 258). უთუოდ ბევრი ფსიქოლოგი ჩააფიქრა იმან, რომ აქ ფსიქოლოგია არაა ნახსენები, მაგრამ მივაგენით თუ არა ამ ფაქტის ნამდვილ მიზეზს? ენგელსის გულმავიწყობით ან უყურადღებობით ხომ არ უნდა ავხსნათ ეს? რასაკვირველია, არა!

ითქვას, მუშაობის დამთავრებისას, გადასვლა მაშინ, რო[illegible] რიგ ფიზიოლოგიური შესწავლილია და საკითხი მომი[illegible] ერების საგნამდე მიდის. აქ საქმე გვაქვს ერთი მეცნიერების მეორეზე „დაშენებასთან“.

სულ სხვა მდგომარეობაა ფსიქოლოგიაში. როდესაც ფსიქოლოგიაში დაისმის საკითხი ისეთი მეცნიერების მოპოვების შესახებ, რომელიც რეალობისათვის დამახასიათებელი კატეგორიების გამოყენებას გულისხმობს, როცა ფსიქიკურის გაჩენისა და მოსპობის, მისი შეცვლისა და რეალური კავშირების შესახებ გვინდა მეცნიერული ცოდნა გვქონდეს, აუცილებელია ფსიქიკურის არეს გავცდეთ და მის სუბსტრატში ვეძებოთ აღნიშნული ფაქტების საფუძველი. აქ ფსიქოლოგიიდან და ფსიქიკურიდან გასვლა ხდება არა ძირითადი სამუშაოს შესრულების შემდეგ, არა მაშინ, როცა (მსგავსად ფიზიოლოგიის შემთხვევისა) საკუთრივ ფსიქიკური შევისწავლეთ და მივადექით სხვა სინამდვილის მიჯნას[1], არამედ ახსნითი (და მასთან დაკავშირებული) საკითხების დაწყების პირველ მომენტიდანვე. ამ მომენტიდან ჩვენ ფსიქიკურის (ცნობიერების) გარეთ უნდა ვიმუშაოთ, რეალობის მოვლენები უნდა ვიკვლიოთ. რეალობის საკითხები შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ რეალობის სფეროში, ამ სფეროსთვის დამახასიათებელი ცნებების გამოყენების გზით. ფსიქიკური მხოლოდ ფენომენია და მისი საშუალებით არ შეიძლება ისეთი ფაქტების ახსნა, როგორიცაა: წარმოშობა, არსებობა, რეალური ურთიერთობა, მიზეზობრიობა. განვითარება და სხვა. პრინციპული ხასიათის შეცდომასთან გვაქვს საქმე, როცა ზოგი საბჭოთა ფსიქოლოგი ფსიქიკური მოვლენების ახსნის მიზნით ფიზიოლოგიურის (და სოციალურის) გამოყენებას ფიქრობს მხოლოდ „უკანასკნელ მომენტში“, როცა ფსიქიკურით ფსიქიკურის ახსნის საშუალება ამოიწურა, გათავდა ცნობიერების ჯაჭვი და ძალაუნებურად ცნობიერების გარეშე მდებარე სინამდვილეს უნდი მივმართოთ (ასე მსჯელობს, მაგ., პროფ. სმირნოვი და სხვებიც).

მეცნიერების (და ფილოსოფიის) განვითარების ფაქტს არარავინ უარყოფს. ცნობილია, რომ ჰეგელმა თავისი დიალექტიკა განსაკუთრებული გულისყურით ფილოსოფიის ისტორიის შესწავლისას გამოიყენა. დედააზრი, რომელსაც აქ (და ყველგან) ჰეგელი ატა-

[1] ასე აქვს დილტაისა და მის მიმდევრებს წარმოდგენილი საქმე: აღწერითი ფსიქოლოგია საკუთრივ ფსიქიკურს შეისწავლის, ხოლო შეგრძნებებსა და მარტივ გრძნობებს, რომელნიც ფიზიოლოგიურს ესაზღვრებიან და ემსგავსებიან, შეისწავლის ახსნითი ფსიქოლოგია.

რებს როგორც ობიექტური იდეალიზმის დამცველი, ისაა, რომ ფილოსოფიური აზრები და სისტემები ლოგიკურად გამომდინარეობენ ერთმანეთიდან (ან ლოგიკურად უარყოფენ ერთმანეთს), იდეების შინაგანი დიალექტიკა ის ძალაა, რომელსაც წინ მიჰყავს მეცნიერება. განვითარების ყოველი ახალი საფეხური იმის გაშლა და დასრულებაა, რაც ჩანასახოვან მდგომარეობაში წინა საფეხურზე იყო. ნამდვილი განვითარება, ჰეგელის აზრით, იდეების შინაგან კანონებს ემყარება და, ამდენად, არაფერს გარედან აღარ მოითხოვს (რომ იყოს კიდეც ასეთი რამ, იდეისათვის აბსოლუტურად გარეგანი). ამას უკავშირდება სუბსტანციის ადგილზე სუბიექტის ცნების აღმოცენება ჰეგელის სისტემაში.

ცნობილია მარქსიზმის კლასიკოსების აზრი ჰეგელის, როგორც განვითარების იდეის დამცველის შესახებ, მაგრამ ცნობილია ისიც, რომ აქ ყველაფერი თავდაყირა დგას და განვითარების სუბიექტად ბუნების, მატერიის ნაცვლად იდეა, ცნებაა გამოცხადებული. ჰეგელს იმიტომ ეძახიან ობიექტური იდეალიზმის წარმომადგენელს, რომ მან იდეას ის ნიშნები მიაწერა, რაც მხოლოდ ნამდვილ რეალობას შეიძლება მიეწეროს. ჰეგელის თავდაყირა მდგარი სისტემის ფეხზე დაყენება კ. მარქსის მიერ იმას ნიშნავს, რომ მატერია იქნა გამოცხადებული იმ რეალისტურ-დიალექტიკური ნიშნების მატარებლად, რომლებსაც იდეალიზმი აბსოლუტურ იდეას მიაწერდა. თუ ჰეგელის სისტემაში ბუნება თავისთავადი რამ კი არ არის, არამედ მხოლოდ თავისებური გამოვლინება სულისა, თუ ბუნებას, მაშასადამე, განვითარებისა და ცვლილებების საკუთარი ძალა არ გააჩნია, ასეთივე ბედი ეწევა იდეას, აზროვნებას, ფსიქიკას, როცა ბუნება, მატერია აღდგენილია თავის უფლებებში და ერთადერთ რეალობად და, მაშასადამე, განვითარების და სხვა ყოველგვარი რეალური ცვლილების ერთადერთ სუბიექტადაა ცნობილი. იდეა მატერიის ასახვაა, ბუნების (ფართო მნიშვნელობით) სხვა ფორმაში მოცემულობაა (**инобытие природы**), ცხადია, ამის შემდეგ, რომ ფსიქიკა თავისით არ შეიძლება განვითარდეს და, თუ ჩვენ ფსიქიკის განვითარებაზე ვლაპარაკობთ, ეს არაპირდაპირი მნიშვნელობით უნდა გვესმოდეს, როგორც მატერიალურ სამყაროში მომხდარი ცვლილება — განვითარების გამოვლინება — ასახვა ცნობიერებაში. თვითგანვითარება ფსიქიკურისა მითოლოგიური აზროვნებაა, ხოლო განვითარება, რომელიც არ არის თვითგანვითარება, არაა ნამდვილი განვითარება. მხოლოდ რეალურსა და თავისთავადს შეუძლია განვითარდეს. ის, რაც მხოლოდ ასახავს სინამდვი-

ლეს, არ შეიძლება განვითარების საკუთარი უნარის მქონე ფენომენი[1] ის, რასაც არისტოტელე შესაძლებლობას (dinamis) ეძახდა, და რის გარეშეც განვითარების გააზრება შეუძლებელია, სრულიად არ მიუდგება ფსიქიკურს, როგორც ასეთს. ამ მხრივ ფსიქიკა მაქსიმალურად განსხვავდება სიცოცხლისაგან: სიცოცხლის ძირითადი, სპეციფიკური ნიშნები სრულიად უცხოა ფსიქიკისათვის. ისიც ხომ ცნობილია, რომ არისტოტელეს ცნება — „სული — ენტელექია" მხოლოდ და მხოლოდ ბიოლოგიურ ფუნქციებს ასრულებს და არავითარ შემთხვევაში ფსიქიკას ასახვის მნიშვნელობით არ წარმოადგენს. რეალურად მხოლოდ ერთი დიალექტიკა არსებობს, ბუნების ობიექტური დიალექტიკა. სუბიექტური დიალექტიკა მხოლოდ ასახვაა მისი.

მიზეზობრიობის ფაქტი რომ ყოველთვის მეცნიერულად არ იყო გააზრებული, ეს უდავოა. არც ისაა ჩახისა და მახისტების აღმოჩენა, რომ ეს ცნება შეიცავდა მითიურ-მაგიურსა და ფეტიშისტურ ელემენტებს, რომელთა წინააღმდეგაც მეცნიერება მანამდეც იბრძოდა, სანამ ამ საქმეში მახისტები და მათი თანამგრძნობნი ჩაერეოდნენ. ახალი და სპეციფიკური, რაც მახისტებს მართებულად უნდა მივაკუთვნოთ, ეს არის უცნაური დასკვნა, სადაც მიზეზობრიობა იმიტომ, რომ იგი მეცნიერებამ ფეტიშიზმიდან გაათავისუფლა, ფუნქციონალობად იქცა. როგორ შეიძლება მოვლენა (ცნება) იმის გამო, რომ ჰეტეროგენულ მომენტებისგან გათავისუფლდა და თავისი საკუთარი ბუნების მიხედვით (წმინდად) იქნა წარმოდგენილი, სხვა მოვლენად იქცეს? ასე რომ იყოს, საერთოდ, შემეცნება შეუძლებელი გახდებოდა და ცნებათა სიწმინდისა და სიზუსტისათვის ბრძოლა უბრალო თამაშობად გადაიქცეოდა.

მიზეზობრიობის ცნებასა და ფუნქციონალობის ცნებას შორის არსებითი ხასიათის განსხვავებაა, რომელიც რეალობის, ძალის, მოქმედების ცნებას უკავშირდება. მიზეზობრიობაზე ლაპარაკი გუ-

[1] განვითარების (საკუთარ) უნარში არ უნდა ვიგულისხმოთ ის, რომ ცალკეული საგანი არაფერს არ საჭიროებს, როგორც გარედან მიღებულს; ასეთი „საგანი" არის მხოლოდ ერთი — ბუნება. რაც შეეხება ცალკეულ მოვლენებს, განვითარების უნარში უნდა ვიგულისხმოთ ის, რითაც ესა თუ ის არსება აზერხებს მოცემული პირობების გამოყენებას განვითარებისათვის, მათს თავისებურ „ასიმილაციას". ფსიქიკურს, რა თქმა უნდა, ასეთი უნარი არ შეიძლება მიეწეროს. ფსიქიკურს შეიძლება მხოლოდ „მიემატოს", თუ ტვინის ახალი პროცესი წარმოიშვა, ახალი ფენომენი. თავისთავად ფენომენში ე. წ. ჩანასახის არსებობაზე ლაპარაკი შეუძლებელია. ამ აზრით, ფსიქიკური ყოველთვის მარტივია და „გაამლელს" არაფერს შეიცავს.

ლისხმობს მთელი რიგი კატეგორიების მოცემულობას. ფუნქციის ცნებას ეს კატეგორიები არ სჭირდება, მათ არ ეხება [illegible] მისი სპეციფიკა. კერძოდ, მიზეზობრიობა ვერ წარმოიდგ[illegible] ალური ძალის მოქმედების გარეშე. მიზეზი იწვევს შედეგს, ეს არის დებულება, რომელიც პირდაპირი მნიშვნელობით უნდა იქნას გაგებული და ურომლისოდ მიზეზობრიობა კარგავს თავის ნამდვილ შინაარსს. როცა „გამოწვევას" ებრძვიან, ებრძვიან რეალობას, იმას, რითაც ყოველი მატერიალური განსხვავდება მოჩვენებისგან, ფენომენალურისგან, აბსტრაქტულისგან. ფუნქციონალური ურთიერთობა როგორც აბსტრაქტულში, ისე ფენომენალურშიც არსებობს. მაგრამ რა აზრი ექნებოდა. მაგ., მიზეზობრიობის ცნებას მათემატიკაში, ლოგიკაში? რა დარჩებოდა ბუნებისმეტყველებაში ბუნებისეული, იქედან მიზეზობრიობის, რეალური მოქმედებისა და ძალის ცნება რომ გამოგვეტანა? ბუნებისმეტყველების დაყვანა მათემატიკაზე, ლოგიკაზე რეალურის იდეალიზაციაა და არსებითად ბუნებისა და რეალობის უარყოფაა. მოვლენათა ფუნქციონალური ურთიერთობა არსებითად არსობრივი ხასიათისაა და, ამდენად, არც გულისხმობს არსებობას, რომელთანაც განუყრელად არის დაკავშირებული მიზეზობრიობა.

რა თქმა უნდა, დიდი საკითხია და აქტუალურიც, თუ რატომ არ საჭიროებს მათემატიკა და ლოგიკა მიზეზობრიობას და ამას საჭიროებს ფსიქოლოგია, თუმცა თავისთავად ფსიქიკა, ცნობიერება მოკლებულია იმ ძალას, რომლის მოქმედებაც არის მიზეზობრიობა. საბჭოთა ფსიქოლოგიის აქტუალურ საკითხთა შორის ამ პრობლემამ ცენტრალური ადგილი უნდა დაიჭიროს[1]. ჩვენ მაქსიმალური განსხვავება დავადგინეთ ფიზიკურსა და ფსიქიკურს შორის. ერთი დავახასიათეთ, როგორც რეალური სინამდვილე,

[1] ამ საკითხის აქტუალობისა და პრინციპული მნიშვნელობის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მხოლოდ ერთ დაპირისპირებას. ჰუსერლმა ცნობიერების ნამდვილი მეცნიერების (როგორც მას ჰგონია) გვერდით ცნობიერების ბუნებისმეტყველება კანონიერად სცნო და მას ფსიქოლოგია უწოდა. საბუთად სულის ანომალურ არსთან ემპირიულად მოცემულობა მოიყვანა, მაგრამ რა ძალა და მნიშვნელობა აქვს ჰუსერლის კონცეფციაში „ემპირიულ მოცემულობას", როგორც საბუთს, როცა ფსიქიკურისათვის ასეთი მოცემულობა და არსებობა, ჰუსერლის თქმით, მოჩვენებითია?

სულ სხვა საფუძველს ემყარება მარქსის „რეალური ფსიქოლოგია". აქ ფსიქიკური ფუნქციების კავშირი კონკრეტულ, რეალურ ადამიანთან აღიარებულია, როგორც აუცილებელი ფაქტი. ცხადია, კაუზალობის ცნების გამოყენება აქ ევრისტული და კონსტრუქტული (შდრ. მიუნსტერბერგი) კი არ არის, არამედ ნამდვილი, კონსტიტუტური. მაგრამ თავის მოტყუება იქნებოდა, თუ ვიფიქრებ-

ხოლო მეორე, ფსიქიკური, — როგორც ფენომენალური, იდეალური სინამდვილე. ასეთი რადიკალური განსხვავება სამყაროს ნაწილებს შორის სხვა არ არის. ამ ორი ნიშნის ქვეშ თავს იყრის ყოველივე არსებული. სხვა სინამდვილე, გარდა ფიზიკურისა და ფსიქიკურისა, როგორც ლენინი გვასწავლის, არ არსებობს. ამ ორი სინამდვილის განსხვავების საკითხია ის, რაც უმთავრესად ასხვავებს ერთმანეთისგან მარქსამდელსა და მარქსისტულ მატერიალიზმს, ვულგარულსა და დიალექტიკურ მატერიალიზმს. მარქსიზმის კლასიკოსები კარგად იცნობდნენ ისეთი არსებულის ცნებას, რომელიც მატერიას არ წარმოადგენს. საქონლის ღირებულების საკითხთან დაკავშირებით მარქსი წერს: „მისი (საქონლის) ღირებულებითი საგნობრიობა არ შეიცავს ნივთიერების არც ერთ ატომს. ამიტომ საქონელი, რამდენიც უნდა აბრუნოთ და სინჯოთ, როგორც ღირებულება, მუდამ უხილავი დარჩება“ [1].

ვ. ლენინმა მკაცრად გააკრიტიკა ი. დიცგენი, როცა ამ უკანასკნელმა აურია ერთმანეთში სხვადასხვა თვალსაზრისები და აზროვნება მატერიად გამოაცხადა. „რომ აზრიც და მატერიაც „ნამდვილია“, ე. ი. არსებობენ, ეს სწორია, მაგრამ აზრის მატერიალურ რამედ დასახვა ნიშნავს შემცდარი ნაბიჯის გადადგმას მატერიალიზმისა და იდეალიზმის შერევისაკენ“ [2].

რა აზრი ექნებოდა იმის მტკიცებას, რომ აზრი არაა მატერია, თუ მას (აზრს) მაინც მიეწერებოდა ისეთი ნიშნები, რომლებითაც მხოლოდ მატერია ხასიათდება? რით არ იქნებოდა ფსიქიკა მატერია, თუ მას ექნებოდა უნარი ახალი მოვლენის გამოწვევისა, საკუთარი ძალებით შეცვლისა და განვითარებისა, თუ ის ჩართული იქნებოდა მიზეზობრიობის ფიზიკურ რკალში (სხვა არ არსებობს), როგორც ერთ-ერთი სრულყოფილი და სრულუფლებიანი წევრი რეალობის უნივერსალური წყობისა [3]. ფილოსოფიის ისტორია,

---

დით, რომ ფსიქიკურის კავშირი ადამიანთან, როგორც ბუნების მოვლენასთან, ისეთივე საკითხია, როგორც ბუნების ერთი მოვლენისა მეორესთან. ფსიქოფიზიკური პრობლემა დღეს არანაკლებადაა აქტუალური, ვიდრე მარქსის დროს. ამ პრობლემის გასაშუქებლად აკად. ი. პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრების გამოყენება ჯერ კიდევ მომავლის საქმედ რჩება.

[1] კ. მარქსი, „კაპიტალი“, ტ. I, 1930, გვ. 15.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 14, 1950, გვ. 307.

[3] ასე წარმოიდგინა ფსიქიკური ვ. ოსტვალდმა. ენერგიის ახალი ფორმის სახით მან ფსიქიკური შეიტანა თავის ენერგეტიკულ სურათში სამყაროს შესახებ. არსებითად ეს მოლეშოტის ვულგარული მატერიალიზმისაგან არ განსხვავდება, სულ ერთია, იცის ეს ოსტვალდმა თუ არა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იდეალიზმისა და მატერიალიზმის საუკუნოებრივი ბრძოლა ყოველივე აზრს დაკარგავდა და უჩვეულო გაუგებრობად უნდა გვეცხადებინა, თუ მატერიალურთან ერთად იდეალურიც არ არსებობს. მატერიალიზმისა და იდეალიზმის საცილობელი საკითხი გაუგებრობა კი არ არის, არამედ უდიდესი და ურთულესი, სავსებით კანონიერი პრობლემა. ამას ვერ ვიტყოდით, თუ თავიდანვე წავშლიდით არსებითს განსხვავებას სულსა და მატერიას შორის.

ჩვენ გვევალებოდა შეძლებისდაგვარად გაგვეშუქებინა საკითხი ფსიქიკურის კანონის არსებობისა და მისი ბუნების, მისი სპეციფიკის შესახებ. საკითხი წამოიჭრა ამჟამად იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენში, საბჭოთა ფსიქოლოგთა შორის, არის დავა იმაზე, აქვს თუ არა ფსიქიკას თავისი კანონები, თუ კანონები, რომლებიც ფსიქიკურ სინამდვილეში მოქმედებენ, ფიზიოლოგიური კანონებია და ფსიქიკურს საკუთარი რამ ამ მხრივ არაფერი აქვს. საკითხის გასარჩევად საჭირო შეიქნა სინამდვილისა და მეცნიერული კანონის ზოგადი ნიშნების გათვალისწინება. დავრწმუნდით იმაში, რომ ასეთი ზოგადი საკითხი — აქვს თუ არა ფსიქიკურს თავისი რაიმე კანონზომიერება, არაა კანონიერი კითხვა. ეს იქედან ჩანს, რომ ყოველი სახის კვლევა ამ საკითხისა, თუ ამ კვლევას მეცნიერული ხასიათი უნდა ჰქონდეს, კანონის უეჭველ არსებობას გულისხმობს. იქ, სადაც წინასწარ არაა ნაგულისხმევი, რომ საკვლევი საგანი თავისთავში მტკიცედ გარკვეულია და თავისი რაობის მატარებელია, საერთოდ, უაზროა კვლევა. კანონის ობიექტურად არსებობას, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ემყარება ყოველგვარი კვლევა, ყოველი მკვლევარი. ის საკითხიც უაზროა, რომელიც საკუთარი და არასაკუთარი კანონის არსებობას ეხება. კანონი მოვლენის, საგნის რაობაა, მისი გარკვეულობაა და, ცხადია, რომ ეს იქ არის და იმას აქვს, სადაც არის და რაც არის საგანი ან მოვლენა. შეუძლებელია დავუშვათ, რომ ერთი მოვლენის კანონი არის მეორე მოვლენაში. როგორღა უნდა ვიაზროთ ასეთი მოვლენა და როგორ უნდა მოახერხოს მან არსებობა, თუ მას არავითარი „სახე“, არავითარი „რაობა“ არა აქვს? ან როგორ შეიძლება მისი შემეცნება, როცა იგი მაქსიმალურად მოცემულობის შემთხვევაშიც (რაც, რასაკვირველია, აგრეთვე შეუძლებელია) არაფერს გვეუბნება იმ კანონის შესახებ, რომელსაც ჩვენ ვეძებთ და რომელსაც იმისთვის, რომ სწორედ მისი შემეცნება განხორციელდეს და არა სხვისი, კანონი თვითვე უნდა ჰქონდეს, მისგან უნდა იყოს ასახული. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემეცნების პრინციპად უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიგველო შემდეგი მაქსიმა: A — მოვლენის კანონი ეძებე არა-A-ში, A-ს ახსნისათვის უნდა ასახო არა—A და ა. შ.[1].

ნათქვამიდან ცხადია ისიც, რომ ჩვენი გამოკვლევა იმდენად დასაბუთება არ არის, რამდენადაც ცხადყოფა მხოლოდ იმ საქმის ვითარებისა, რომელიც გვაქვს კანონის არსებობასთან დაკავშირებით, საერთოდ, და ფსიქიკურში, კერძოდ. კანონის არსებობა სინამდვილეში, როგორიც არ უნდა იყოს იგი, წინასწარ იგულისხმება, როგორც ყოველგვარი კვლევა-ძიების ობიექტური აპრიორი. ამ დებულების მხოლოდ ცხადყოფაა შესაძლებელი. შეუძლებელია დაასაბუთო ყოველგვარი დასაბუთების წინაპირობა. ჩვენი ძირითადი ამოცანაც ამ საქმის ვითარების ჩვენება იყო.

რაც შეეხება მეორე საკითხს, იმას თუ როგორია ფსიქიკურის კანონები, ისეთი, როგორიცაა, მაგ., ფიზიკურის, ბიოლოგიურის, ე. ი. რეალური ფაქტების კანონები, თუ მათგან განსხვავებული, ის ჩვენ გადავჭერით ფსიქიკური სინამდვილის ფენომენალიზმის საფუძველზე: ფსიქიკური არ არის (დამოუკიდებელი) რეალური სინამდვილე და ამიტომ მას, თავისი შესატყვისი, „მხოლოდ ფენომენისთვის" დამახასიათებელი კანონები აქვს.

როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ფსიქოლოგია როგორც მეცნიერება, როდესაც ფსიქიკა წარმოდგენილია ფენომენის სახით, როდესაც მას „ჩამოერთვა" რეალობის კატეგორიები? ბუნებრივია, რომ სანამ ჩვენ წინაშე მხოლოდ ეს ნეგატიური შედეგია, სადაც ლაპარაკია იმაზე მარტო, თუ რა არ შეიძლება ფსიქიკურს მიეწეროს, ფსიქოლოგიის მდგომარეობა უსუსურად, მქლედ და უიმედოდ გამოიყურება. მაგრამ ასე ჩანს მხოლოდ მაშინ, როცა ის ამ მხრიდან არის მხოლოდ განხილული. როგორც კი ჩვენ თვალსაზრისს გადავიტანთ იმისგან, რაც არა აქვს ფსიქიკურს, იმაზე, რაც მას აქვს, რაც მას პოზიტიურად ახასიათებს, ჩვენ წინაშე უზარმაზარი პერსპექტივები იშლება ფსიქოლოგიურ-მეცნიერული შემოქმედებისათვის. საჭიროა მხოლოდ გაბედულად დავდგეთ ამ თვალსაზრისზე და ფსიქიკური სინამდვილე ისე ავსახოთ, როგორც ის არის, ავალაპარაკოთ იგი ჩვენს ცნობიერებაში თავისი საკუთარი ენით, თავისი საკუთარი კანონებით. ნურც ფსიქიკას ვეტყვით უარს იმ უფლებაზე, რაც ყოველგვარ ონტიურ არსს აქვს ბუნებრივად მოცემული. ჯერ გავარკვიოთ ის, თუ რა არის თავისთავად ფსიქიკური, როგორია მისი „სახე", მისი კანონი და მხოლოდ ამის

[1] ასე მსჯელობს რუბინშტეინი, იხ. „Вопросы психологии", № 1, 1955.

შემდეგ შეიძლება გახდეს ნაყოფიერი საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ გაჩნდა იგი, როგორ და რა წესით არის იგი, როგორც ფენომენი, დაფუძნებული თავის სუბსტრატზე. აქსიომაა ჩვენთვის ის დებულება, რომ ფსიქიკური იდესლაც არაფსიქიკურისაგან წარმოიშვა, მაგრამ ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერება, რომელიც ფსიქიკურს, როგორც მოცემულ ფაქტს იკვლევს, ვალდებულია პირველ რიგში ის გააკეთოს, რისი გაკეთებაც შესაძლებელია ფსიქიკურის ახსნის გზით, მის შიგნით არსებული კანონების აღმოჩენის გზით. ფსიქიკურიდან განსვლის აუცილებლობა და შესაძლებლობა ფსიქიკური ფენომენის ახსნის სახით გააზრებას ემყარება: თუ ფსიქიკური ფენომენი (ზემოაღნიშნულის მნიშვნელობით) არ ყოფილიყო, დაუსაბუთებელი იქნებოდა სპეციალური მეცნიერებისათვის, ფსიქოლოგიისათვის (ფილოსოფიას ამის უფლებაც აქვს და ევალება კიდეც) მოგვეთხოვა ფსიქიკურის გარეთ ეწარმოებინა კვლევა-ძიება ფსიქიკურისვე გასაგებად, შეუძლებელიც იქნებოდა ეს აქტი, თვით ფენომენი ფსიქიკისა რომ არ უჩვენებდეს იმას, თუ სად, რა მიმართულებით უნდა მოხდეს ეს განსვლა.

ის, რაც აქ არის ნათქვამი, მხოლოდ პირველი რგოლია პრობლემატიკის იმ გრძელი ჯაჭვისა, რომელსაც წარმოადგენს ფსიქიკურის შემეცნება, ფსიქოლოგიის გნოსეოლოგიური გააზრება. მარქსისტული ფსიქოლოგიის გადაუდებელი ამოცანები იმავე ბუნებისაა, როგორიცაა ჩვენი პრობლემა. ამ ამოცანების უბრალო ჩამოთვლაც საკმარისია იმის ცხადსაყოფად, თუ რაოდენ ბევრია ჯერ კიდევ გასაზრებელი და გადასაჭრელი.

(შემოვიდა რედაქციაში 15. V. 1956).

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XV, 1956.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XV, 1956.

შ. ჩხარტიშვილი

# განწყობის ილუზიები აბსოლუტურ ოდენობაზე *

რაოდენობრივი ხასიათის ილუზიის საფუძვლებას შესაქმნელად საჭიროა, ცდის პირმა საგანწყობო ცდებში მიწოდებული, განსხვავებული სიდიდის წყვილი ობიექტი რამდენჯერმე ურთიერთმიმართებაში განიცადოს. მხოლოდ ასეთი წინაპირობის დაცვის შემდეგ ხდება შესაძლებელი კრიტიკულ ცდებში მიწოდებული ტოლი სიდიდეების ილუზიური აღქმა. აქ ილუზიათა მიმდინარეობას, როგორც ამტკიცებენ, დიდ-პატარას აღქმის განმეორების შედეგად ფიქსირებული განწყობა განსაზღვრავს.

მაგრამ ჩვენ ოდენობას მიმართების გარეშეც განვიცდით და, აი, საინტერესოა: შეიძლება თუ არა მიმართების გარეშე განცდილი აბსოლუტური ოდენობის აღქმის განწყობის ფიქსაცია მოვახდინოთ და მის ნიადაგზე მეორე აბსოლუტური ოდენობის ილუზიური აღქმა მივიღოთ. ამ საკითხის გამორკვევა შეადგენს წინამდებარე ექსპერიმენტული ნაშრომის ძირითად მიზანს.

აღნიშნული საკითხის გამოსარკვევად ჩვენ შემდეგი ცდები ჩავატარეთ:

1. ცდის პირს საგანწყობო ცდებში ცალ ხელში ეძლეოდა 61 მმ დიამეტრის ბურთი, რომელიც რჩებოდა მის განკარგულებაში მთელი საგანწყობო ცდის მანძილზე. მას ევალებოდა, ყურადღება მიექცია ბურთის მოცულობისათვის და დაემახსოვრებინა იგი. კრიტიკულ ცდებში ეძლეოდა ტოლი ბურთები ორივე ხელში. ცდის პირს უნდა მოეხდინა მათი შედარება მოცულობის მიხედვით. ბუნებრივი გადახრისა და სხვა შემთხვევითი ფაქტორების გამორიცხვის მიზნით ცდები ტარდებოდა ორ სერიად: პირველ სერიაში

* წაკითხულია მოხსენებად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში 1946 წლის აპრილში.

საგანწყობო ბურთი ეძლეოდა მარჯვნივ, ხოლო მეორეში — მარცხნივ. კრიტიკული ცდები ორივე შემთხვევაში ერთნაირი [illegible]
აღწერილი ცდების შედეგები მოცემულია № 1 ცხრილში.

ცხრილი № 1

(საგანწყობო ეძლეოდა მარჯვნივ)

| ცდის პირის №№ | მ ც ი რ ე ა | | ტოლია |
|---|---|---|---|
| | მარცხნივ | მარჯვნივ | |
| 1 | — | 15 | — |
| 2 | — | 15 | — |
| 3 | — | 2 | 3 |
| 4 | — | 4 | 3 |
| 5 | — | 15 | 3 |
| 6 | 1 | 15 | 3 |
| 7 | — | 5 | 3 |
| 8 | — | 4 | 3 |
| 9 | — | 6 | 5 |
| 10 | — | 15 | 4 |
| 11 | — | 5 | 5 |
| 12 | — | 2 | 3 |
| 13 | — | 11 | 3 |
| 14 | — | 15 | — |
| 15 | — | 6 | 3 |
| 16 | — | 15 | — |

როგორც ცხრილიდან ჩანს, ცდის პირები, ჩვეულებრივ, კონტრასტულ ილუზიებს იძლევიან და ზოგჯერ იმდენად ძლიერს, რომ 15 ექსპოზიციის შემდეგაც ილუზია კონტრასტული რჩება. ცდებს ვწყვეტდით, როცა ცდის პირი სამჯერ ზედიზედ დაგვიდასტურებდა ტოლობას, ხოლო იქ, სადაც ამას იგი ვერ ახერხებდა, ცდებს ვაგრძელებდით 15 ექსპოზიციამდე. ზოგან ცხრილში ტოლობის რიცხვი სამს აღემატება; ეს იმის მაჩვენებელია, რომ ცდის პირს ვერ მოუხერხებია ტოლობის სამჯერ ზედიზედ დადასტურება, რომ ტოლობის შემდეგ ისევ უტოლოდ აღუქვამს, შემდეგ — ისევ ტოლად და ა. შ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 16 ცდის პირიდან ასიმილატური ილუზიის შემთხვევა მხოლოდ ერთ ცდის პირს ჰქონდა და ისიც ერთხელ.

2. ზემოთ აღწერილ ცდებში ცდის პირს ევალებოდა საგანგებო ყურადღება მიექცია მოცულობისათვის. ამ გარემოებას შეეძლო

კაცისთვის ეფიქრებინა, რომ ცდის პირი მიწოდებული ობიექტის მოცულობაზე საგანგებო დაკვირვების დროს ამ უკანასკნელს რომელიმე სიდიდესთან შედარების აქტს ახდენს და, მაშასადამე, განწყობის აღმოცენება აქაც მიმართების საფუძველზე ხდებაო. ამგვარი ეჭვის გამოსარიცხავად შემდეგი ცდები ჩავატარეთ: ცდის პირს ვაძლევდით ცალ ხელში ტენისის ბურთს, რომლის დიამეტრი 63 მილიმეტრისა იყო. ბურთის ზედაპირი შეხებისას უხეში შალის ქსოვილის მაგვარ შეგრძნებას იძლეოდა. ზედაპირის სამ მეოთხედს უვლიდა 1,5 მმ სიფართის დახშული ხაზი. ხაზის ადგილი, რომელსაც რეზინის სუფთა ზედაპირი ქმნიდა, ოდნავ ჩაღრმავებული იყო.

ცდის პირს ეძლეოდა ცალ ხელში ბურთი (მეორე ხელი მშვიდ მდგომარეობაში ჰქონდა) და ევალებოდა აღეწერა იგი, ეთქვა ყველაფერი, რასაც გაიგებდა ხელის საშუალებით მის შესახებ. ცდის პირის განცხადების შემდეგ, რომ მას მეტის არაფრის თქმა არ შეუძლია აღნიშნული ნივთის შესახებ, ვაწვდიდი კრიტიკულ ცდებს. კრიტიკულ ცდებში ეძლეოდა 49 მმ დიამეტრის წყვილი ბურთი ორივე ხელში და ევალებოდა მოეხდინა მათი შედარება მოცულობის მიხედვით.

საგანწყობო ცდებში ცდის პირი განსაკუთრებული ინტერესით სინჯავდა მიწოდებულ ბურთს, ზოგჯერ მთხოვდა შეხედვის უფლება მიმეცა. სანიმუშოდ მოვიყვანოთ აქ ერთი ოქმი.

ოქმი № 2. ისტორიის ფაკულტ. II კ. სტუდ. გ. ქ.

საგანწყობო ცდები: რეზინის ბურთი მარჯვნივ.

დაბეჯითებით სინჯავს თითებით. ამბობს: „მრგვალი ნივთია... გარედან რაღაც მატერია აქვს, შხუნავს... შალის უნდა იყოს... შალია, აბა რატომ შხუნავს?!. რეზინის ბურთს ჰგავს, მაგრამ ეს რა ხორკლიანი ზედაპირი აქვს!.. აქ ჩაღრმავებული ადგილია (თითით აჩვენებს), ღარი უნდა უვლიდეს ირგვლივ... მაგრამ არა, სულ არ უვლის, ვერ გავიგე საით მიდის... მეტი რა ვთქვა!.. (ერთხანს კიდევ სინჯავს). მეტი არაფერი!" ვეუბნები: „კარგად დაუკვირდი! ნუთუ მეტის არაფრის თქმა არ შეგიძლია ამ საგნის შესახებ?!" საკმაო ხანს ატრიალებს ბურთს ყურადღებით ხელში და შემდეგ იქვნეულად ამბობს: არა, მეტი რა უნდა ვთქვა?. მეტს ვერაფერს ვიტყვი.

კრიტიკული ცდები: 49 მმ დიამეტრის ბურთებით.

მარცხნივ დიდი: მარჯვნივ დიდი:

14+

+ ცოტა მოიმატა მარჯვნივ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

+ ცოტა კიდევ მოიმატა მარჯვნივ.
+ მარჯვნივ მოიმატა.
+ მარჯვნივ მოიმატა, მაგრამ მაინც მარცხენაა დიდი.
+ მაინც მარცხენაა დიდი.

როგორც ოქმიდან ჩანს, ცდის პირს საგანწყობო ცდებში აზრადაც არ მოსდის, მიწოდებული სხეულის რაოდენობითი დახასიათება მოგვცეს. ბურთის სიმძიმე და მოცულობა მას თითქოს ყურადღების გარეშე რჩება. სამაგიეროდ ის საგნობრივი შინაარსი აქვს მძაფრად განცდილი, რომელიც ამ მოცულობას ავსებს. იგი ახლა ოდენობას, როგორც სიდიდეს, როგორც რაოდენობას კი არ განიცდის, არამედ როგორც ამ შინაარსთა სავსეობას, როგორც ამ საგნის ვრცეულობას. საგნის აღქმას ყოველთვის ახლავს თან იმ ვრცეულობის განცდა, რომელსაც ეს საგანი იჭერს. ბურთი აქაც განსაზღვრულ ვრცეულობაშია ცდის პირის მიერ განცდილი, ოღონდ მისი ცნობიერება არაა მასზე საგანგებოდ მიმართული. საკმარისია ცდის პირმა მას შემდეგში ოდენობის ან რაოდენობის თვალით შეხედოს, რომ განცდილი შინაარსი გარკვეული ოდენობის ან განსაზღვრული რაოდენობის სახით წარმოუდგეს. საგანწყობო ცდის მიმდინარეობაში ფიქსირებული განწყობა ამ ცდის ობიექტის აღქმის განწყობაა და ამიტომ იგი იმ აბსოლუტურ ოდენობასაც გულისხმობს, რომელშიც მიწოდებული ბურთი იყო განცდილი. ის გარემოება, რომ ოდენობა ცდის პირის მიერ საგანგებოდ არ ყოფილა აღქმული, საქმის ვითარებას არ ცვლის.

24 ცდის პირიდან მხოლოდ ორმა მიუთითა სიდიდეზე, როგორც მიწოდებული საგნის ერთ-ერთ ნიშანზე. ერთმა თქვა: სათამაშო ბურთი რომ არის, იმხელა არისო, ხოლო მეორემ: მოცულობასთან შედარებით ცოტათი მსუბუქიო. დანარჩენ ცდის პირებს აზრადაც არ მოსვლიათ, ა.' ეთ რამეზე მიეთითებინათ.

კრიტიკულ ცდებში თავი იჩინა მკვეთრად გამოხატულმა ილუზიებმა. № 2 ცხრილში მოცემულია ამ ცდების რაოდენობრივი მაჩვენებლები. შიგ შეტანილია კრიტიკული ცდების მხოლოდ პირველი შვიდი ექსპოზიციის შედეგები. ცხრილში წარმოდგენილი 169 ექსპოზიციის მონაცემებიდან 148 ილუზიუ^რი აღქმის შემთხვევაა; აქედან 133 მოდის კონტრასტულ ილუზიებზე. 15-ჯერ ასიმილატურ ილუზიას ჰქონდა ადგილი, ხოლო 21-ჯერ — ტოლობის დადასტურებას.

ზოგიერთი ცდის პირი მეოცე ექსპოზიციაზედაც კონტრასტულ

ილუზიას იძლეოდა, მაგრამ, როგორც აღნიშნული იყო, ცხრილში მხოლოდ პირველი შვიდი ჩვენების მონაცემია მოყვანილი.

ცხრილი № 2.

| საგანწყობო მარცხნივ | | | | საგანწყობო მარჯვნივ | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ცდის პირ-თა №№ | დ ი დ ი ა | | ტოლია | ცდის პირ-თა №№ | დ ი დ ი ა | | ტოლია |
| | მარჯვნივ | მარცხნივ | | | მარჯვნივ | მარცხნივ | |
| 1 | — | 7 | — | 13 | 2 | 5 | — |
| 2 | — | 7 | — | 14 | 4 | 1 | 2 |
| 3 | — | 7 | — | 15 | 7 | — | — |
| 4 | — | 7 | — | 16 | 5 | 2 | — |
| 5 | — | 7 | — | 17 | 5 | 2 | — |
| 6 | — | 7 | — | 18 | 6 | 1 | — |
| 7 | — | 7 | — | 19 | 7 | — | — |
| 8 | 1 | 4 | 2 | 20 | 7 | — | — |
| 9 | — | 5 | 2 | 21 | 7 | — | — |
| 10 | — | 4 | 3 | 22 | 2 | — | 5 |
| 11 | — | 7 | — | 23 | 2 | 3 | 2 |
| 12 | — | 7 | — | 24 | 3 | — | 4 |

3. ზემოთ დასმული საკითხის გამოსარკვევად მხედველობის სფეროში ჩვენ შემდეგი ცდები ჩავატარეთ: ტაქისტოსკოპის დახმარებით საგანწყობო ცდებში ცდის პირს ვაწვდით ერთ წრეს (სპილენძის შაურიანის ოდენას) ისე, რომ წრე ტაქისტოსკოპის ფანჯრის მარჯვნივ (მეორე სერიაში — მარცხნივ) სულ კიდეზე იყო მოთავსებული. ფანჯრის მარცხენა არე თავისუფალი იყო. მოჩანდა მხოლოდ ის სუფთა ქაღალდი, რომლის მარჯვენა არეზე წრე იყო დახაზული. ცდის პირს ევალებოდა ყოველი ექსპოზიციის დროს აღნიშნა წრის სიდიდისა და ადგილმდებარეობის შესახებ. ასეთი ინსტრუქცია საჭირო იყო იმისთვის, რომ ცდის პირს მიწოდებული ობიექტი რიგიანად განეცადა. 6—8 ექსპოზიციის შემდეგ ცდის პირს კრიტიკულ ცდებში ეძლეოდა შესადარებლად ორი თანასწორი წრე (ვერცხლის ორშაურიანის ოდენა); ერთი მათგანი სწორედ იმ ადგილას იყო მოთავსებული, რომელზედაც საგანწყობო ცდებში მიწოდებული წრე თავსდებოდა.

ნავარაუდევი იყო, რომ საგანწყობო ცდებში მიწოდებული წრის აღქმის განწყობით გამოწვეული პიროვნული ცვლილებები წრის აღქმაზე მოახდენდა გავლენას, რომ[illegible] ადგილას მოექცეოდა. ახლა კრიტიკულ ცდებში ცდის პირს ორი წრის აღქმის განწყობა უნდა შექმნოდა, მაგრამ იმ პიროვნულ ცვლილებებს, რომლებიც საგანწყობო ცდებმა გამოიწვია, ამ განწყობაშიც უნდა მოენახა თავისი ადგილი, ამ განწყობის აღმოცენებაშიც უნდა მიეღო მონაწილეობა, რადგან სიტუაცია ამისათვის სათანადო პირობებს ქმნიდა.

ცდის შედეგებმა მოლოდინი სავსებით გაამართლა. ცდის პირთა შორის ჩვეულებრივად იჩინა თავი ილუზიებმა. 120 ექსპოზიციიდან, რომლებიც 10 ცდის პირის მიერ მიღწეულ შედეგებს მოიცავს, 90 ილუზიურად იყო აღქმული, ხოლო 30-ჯერ ტოლობის დადასტურების შემთხვევას ჰქონდა ადგილი. ილუზიური აღქმის საერთო რიცხვიდან 61 კონტრასტული ილუზიის შემთხვევა იყო, ხოლო 29 — ასიმილატიურისა.

როგორც ჰაპტური და ოპტიკური სფეროების მონაცემების ურთიერთშედარებიდან ჩანს, აქ მხედველობის ილუზიები არ ემყარება ისე მტკიცე საფუძველს, როგორსაც — ჰაპტური: აქ ილუზიები უფრო სუსტია და ნაკლებად გამოკვეთილი; მაგრამ ჩვენთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი ისაა, რომ კრიტიკულ ცდებში ყველა ცდის პირის მიმართ დადასტურდა ილუზიური აღქმის ფაქტი.

4. ზემოთ აღწერილ ცდებში ილუზიის ფაქტი თავს იჩენს კრიტიკულ ცდებში შესადარებლად მიწოდებული წყვილი ტოლი სიდიდეების მიმართებაში აღქმისას. ამის გამო შესაძლებელი იყო, კაცს რაიმე მოსაზრებით ეფიქრა, რომ ილუზიათა საფუძვლის წარმოშობაში კრიტიკულ ცდებში მიწოდებულ წყვილ სიდიდეთა განცდას აქვს მნიშვნელობაო. ამიტომ შევეცადეთ კრიტიკულ ცდებშიაც ერთი ობიექტით გვესარგებლა.

ცდის პირს მარჯვენა (ან მარცხენა) ხელში ვაწვდიდით ხუთ-ექვსჯერ ერთ ბურთს. კრიტიკულ ცდებში ვაძლევდით შედარებით მცირე მოცულობის ბურთს მორიგეობით, ერთხელ საგანწყობო ხელში, მეორეჯერ — მეორეში. ცდის პირებს ერთი და იგივე ბურთი საგანწყობო ხელში გაცილებით უფრო პატარა ეჩვენებოდათ, ვინემ მეორე ხელში.

მაგრამ აქაც კრიტიკულ ცდებში მაინც ორი ობიექტი მოქმედებდა, რადგან ბურთი, მართალია, ერთი იყო, მაგრამ იგი მორიგეობით ეძლეოდა ხან მარჯვენა, ხან მარცხენა ხელში, რის გამოც იგი სუბიექტურად განიცდებოდა როგორც ორი ბურთი (მით უმე-

ტეს, ილუზიური აღქმის დროს). მაგრამ ამ შემთხვევაში უფრო დამაჯერებელი ჩანს ის აზრი, რომ მეორე ხელი საგანწყობო ცდებში მონაწილე ხელის მიმართ მხოლოდ კონტროლის როლს ასრულებს, რადგან ოდენობა უკვე ილუზიურად იყო აღქმული მანამ, სანამ კრიტიკული ბურთი მეორე (საკონტროლო) ხელში გადავიდოდა, მაგრამ, რომ ილუზიურად იყო აღქმული, ეს მხოლოდ იმავე ობიექტის ამ მეორე ხელით აღქმამ გამოამჟღავნა.

5. კრიტიკულ ცდებში ცდის პირს, ჩვეულებრივ, წყვილი სიდიდეები ეძლევა. ილუზია იმაში იჩენს თავს, რომ ეს სიდიდეები უტოლოდ განიცდება. საინტერესო იყო იმის გამორკვევა, მიწოდებული წყვილიდან იცვლება ორივე, თუ ერთი რომელიმე მათგანი? თუ ორივე იცვლება, რომელი რა მიმართულებით შეიძლება შეიცვალოს? ამ საკითხის გამოსარკვევად ჩვენ შემდეგი ცდები ჩავატარეთ: საგანწყობო ცდებში ცდის პირებს ტაქისტოსკოპით ვაწვდიდით ერთ ვერცხლის ათშაურიანს, ხოლო კრიტიკულში — სამშაურიანებს. ფული დაკრული იყო შავი ფერის მუყაოზე. ჩანდა ის მხარე, რომელზედაც ღერბია ამოჭრილი. წინასწარ ვამოწმებდით, რამდენად სწრაფად შეეძლო ცდის პირს ამ მხრიდან ფულის გამოცნობა ტაქისტოსკოპში და გარეთ — პირდაპირი შეხედვით.

საგანწყობო ცდებში ათშაურიანი ეძლეოდა ტაქისტოსკოპის ფანჯრის მხოლოდ მარჯვნივ ან მხოლოდ მარცხნივ. კრიტიკული ცდების წყვილ სამშაურიანთაგან ერთი სწორედ იმ ადგილას ეძლეოდა, სადაც საგანწყობო ცდის ათშაურიანი იყო მოთავსებული. სამშაურიანები განზრახ იყო შერჩეული, რომ მისი გადიდების (აბაზიანად განცდის) ან შემცირების (ორშაურიანად აღქმის) შესაძლებლობა მისცემოდა ცდის პირს.

ილუზიებმა აქაც ჩვეულებრივად იჩინა თავი. უფრო ხშირად ცდის პირები კრიტიკული ცდის ობიექტებიდან ერთს ადეკვატურად — სამშაურიანად, ხოლო მეორეს ილუზიურად — ორშაურიანად აღიქვამდნენ. ორშაურიანს აღიქვამდნენ იქ, სადაც საგანწყობო ცდებში ათშაურიანი ეძლეოდათ. იყო წყვილი სამშაურიანის სამშაურიანად და აბაზიანად აღქმის შემთხვევები, მაგრამ ეს გარემოება შეიძლება იმით აიხსნას, რომ ხშირად ცდის პირს ტაქისტოსკოპში მიწოდებული ობიექტი საგანწყობო ცდების გარეშეც ნამდვილზე დიდად ეჩვენება. აქაც ორივე წევრის პროპორციული გადიდების შემთხვევები ტაქისტოსკოპური აღქმით უნდა იყოს გამოწვეული.

ჰაპტურ სფეროში ასე ვიმოქმედეთ: ცდის პირს ვაწვდიდით მოცულობით მნიშვნელოვნად განსხვავებულ ბურთებს მარჯვნივ დიდს და მარცხნივ — პატარას (ცდები წარმოებდა შებრუნებულადაც). ბურთებს ვუტოვებდით ხელში ხანგრძლივად, მთელი საგანწყობო ცდის განმავლობაში, ვთხოვდით შეედარებინა ისინი ერთმანეთისათვის და ეთქვა, რა სიდიდის არის მათ შორის არსებული სხვაობა. როცა დავრწმუნდებოდით, რომ ცდის პირმა ბურთების ზეგავლენა საფუძვლიანად განიცადა, ხელიდან ვართმევდით დიდ ბურთს და მის ნაცვლად ვაწვდიდით მარცხენა ხელში დაჭერილი ბურთის ტოლს. ვთხოვდით შეედარებინა ისინი ერთმანეთისათვის. მარცხენა ხელში ცდის პირს ბურთი განუწყვეტლად ჰქონდა მთელი საგანწყობო და კრიტიკული ცდების განმავლობაში.

ცდის პირების ჩვენების მიხედვით, მარცხენა ხელში დაჭერილი ბურთის სიდიდე მთელი ცდის მანძილზე უცვლელი რჩებოდა, ხოლო კრიტიკულ ცდებში მარჯვენა ხელში მიწოდებული ბურთი ჯერ მარცხენაზე მნიშვნელოვნად პატარად განიცდებოდა, ხოლო შემდეგ უტოლდებოდა ამ უკანასკნელს. ზოგიერთი ცდის პირი ამჩნევდა, თუ როგორ იზრდებოდა ბურთი მარჯვენა ხელში და თანდათანობით როგორ უთანასწორდებოდა მარცხენას.

სხვა ცდების საფუძველზედაც შეიძლება კაცმა ეს ფაქტი დაადასტუროს. როგორც რეზინის ბურთით ჩატარებული ცდების ზემოთ მოყვანილი ოქმიდან ჩანს, ცდის პირი კრიტიკულ ცდებში მე-14 ექსპოზიციის შემდეგ აღნიშნავს გადასვლის განცდების შესახებ: „ცოტა მოიმატა მარჯვნივ“, „ცოტა კიდევ მოიმატა მარჯვნივ“, „მარჯვნივ მოიმატა, მაგრამ მაინც მარცხენაა დიდი“, — ამბობს ცდის პირი. იგი უშუალოდ განიცდის, თუ როგორ უტოლდება ერთი ბურთი მეორეს. ეს გარემოება იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ მარცხენას იგი კრიტიკულ ცდებში ისე განიცდის. როგორც ობიექტურად არის, ილუზიურად აღიქვამს მხოლოდ მარჯვენა ბურთს.

ამ უკანასკნელი ცდებიდან შეიძლება კაცმა დაასკვნას, რომ აქ მეტ-ნაკლებობის განცდა კი არ ქმნის ილუზიის საფუძველს, არამედ აღქმა იმ ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ო დ ე ნ ო ბ ა თ ა, რომელნიც მოცემულ შემთხვევაში დიდად და პატარად განიცდებიან[1]. იმ შემთხვევაში,

[1] ეს რომ ასეა, ჩვენ მიერ ჩატარებული შემდეგი ცდიდანაც მტკიცდება: საგანწყობო ცდებში ცდის პირს ტაქისტოსკოპით ვაწვდიდით წყვილ წრეს: ერთს მარჯვნივ, 33 მმ დიამეტრისას, ხოლო მეორეს — მარცხნივ, 22 მმ დიამეტრისას. კრიტიკულ ცდებში ეძლეოდა მარჯვნივ 21 მმ, ხოლო მარცხნივ — 14 მმ დია-

როცა საგანწყობო ცდების ორივე ეფექტი განსხვავდება [illegible] ცდების ობიექტებისაგან, მაშინ ამ უკანასკნელის [illegible] ოდენობანი ალიქმებიან ილუზიებად. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც კრიტიკულ ცდებში ისეთი ობიექტები ეძლევა, რომელნიც საგანწყობო ცდების ერთ-ერთ ობიექტს უდრის, მაშინ (თუ გამორიცხულია სხვა გარემოებანი, გარდა საგანწყობო ცდების ფაქტორისა) კრიტიკული ობიექტის წყვილის მხოლოდ ერთი წევრი აღიქმება ილუზიურად, სახელდობრ, ის წევრი, რომელსაც ადგილმდებარეობის მიხედვით საგანწყობო ცდებში მისგან განსხვავებული სიდიდის ობიექტი შეეფარდება. წყვილის მეორე წევრის ადექვატური აღქმა პირველის ილუზიური აღქმის დადასტურების საშუალებას იძლევა.

6, რა შეიძლება ითქვას ზემოთ ჩვენ მიერ აღწერილი განწყობის ილუზიების შესახებ? შეიძლება თუ არა ისინი დღემდე ცნობილ განწყობ'ის რაოდენობრივი ილუზიების რიგში მოთავსდეს?

ამ საკითხზე პასუხის გაცემა შემდეგი საკითხის განხილვას მოითხოვს: რაოდენობისა და ოდენობის, ანუ მოცულობის, განცდები ერთისა და იმავე რიგის განცდებია, თუ მათ შორის არსებობს რაიმე არსებითი ხასიათის განსხვავება? თუ ოდენობის აღქმა არ ნიშნავს რაოდენობის აღქმას, მაშინ ცხადია, რომ ოდენობის აღქმის განწყობაც არ არის რაოდენობის აღქმის განწყობა და ამიტომ არც ოდენობისა და რაოდენობის ილუზიები შეიძლება ერთისა და იმავე რიგის ილუზიები იყოს.

გავრცელებული შეხედულების მიხედვით, სიდიდე მხოლოდ მიმართებაში, მხოლოდ მეორე სიდიდესთან შედარების აქტში აღიქმება. მაგრამ, თუ ოდენობის განცდა მიმართების გარეშე მართლაც შეუძლებელია, მაშინ რაღა აზრი შეიძლება ჰქონდეს ცდებს, რომელიც აბსოლუტური ოდენობის აღქმის შესაძლებლობას ემყარება და აბსოლუტური ოდენობის აღქმის განწყობის

---

მეტრის წრე. კრიტიკული ცდების ობიექტების ურთიერთმიმართება ისეთივე იყო, როგორიც საგანწყობოსი: დიდის პატარასთან შეფარდების მაჩვენებელი ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე იყო. კრიტიკული ობიექტების ჩვენების შემდეგ ცდის პირს ტაქისტოსკოპის გარეთ ეძლეოდა რამდენიმე წყვილი წრე. ყოველი წყვილის ობიექტების ურთიერთშეფარდება უდრიდა 3 : 2. ცდის პირები ხშირად 18 და 12 მმ დიამეტრის წრეებზე ამბობდნენ, ეს იყო ნაჩვენები კრიტიკულ ცდებში. როგორც ჩანს, აქ ილუზიამ იჩინა თავი, თუმცა მიწოდებულ ობიექტთა მიმართება უცვლელი დარჩა.

ფიქსაციის დადასტურებასა და მისგან გამომდინარე შედეგების აღნუსხვას ისახავს მიზნად?

რა შემთხვევებში შეიძლება ვილაპარაკოთ სიდიდის მიმართებაში აღქმის შესახებ და როდის უნდა გვქონდეს საქმე ოდენობის უმიმართებო განცდასთან?

1. დიდი, პატარა, საშუალო შედარებითი ხასიათის ცნებებია და ამიტომ ისინი მხოლოდ მიმართებაში შეიძლება იქნას განცდილი. შეუძლებელია განცდა „დიდი“ ისე იყოს ჩვენს ცნობიერებაში წარმოდგენილი, რომ იგი მოცემული ობიექტის აბსოლუტური სიდიდის გვერდით მიმართების იმ წევრის თვალსაჩინო ან არათვალსაჩინო განცდას არ გულისხმობდეს, რომელთან შედარებითაც ის დიდად განიცდება. *არ არსებობს „დიდი“ როგორც აბსოლუტური განცდა.* ეს წიგნი, ეს მაგიდა, ის კაცი, ის მთა თავისთავად არც დიდია და არც პატარა, მაგრამ იმის მიხედვით, თუ რა მიმართებაში იქნება აღქმული, დიდადაც შეიძლება იქნას განცდილი და პატარადაც. მიუხედავად ამისა, თითოეულ მათგანს აქვს თავისი აბსოლუტური ოდენობა, რომელიც თითქმის უცვლელად განიცდება განურჩევლად იმისა, თუ რა სიდიდის საგანთან მიმართებაში აღვიქვამთ ჩვენ მას. ეს ბურთი ამ ბურთთან შედარებით პატარაა, მაგრამ იმ ბურთზე საკმაოდ დიდია. განვიცდი მე მეორე ბურთს პირველთან შედარებით თუ მესამესთან, ე. ი. განვიცდი მე მას პატარად თუ დიდად, სულერთია, ადექვატურ აღქმაში მისი აბსოლუტური ოდენობა თითქმის ერთი და იგივე რჩება: ახლა, როცა ვამბობ, დიდია მეთქი, მას იმავე ოდენობისად განვიცდი, როცა ვამბობდი, პატარაა-მეთქი.

2. მაგრამ ჩვენ ხშირად „დიდის“ ან „პატარას“ ისეთ განცდასთანაც გვაქვს საქმე, როდესაც ცნობიერებაში მხოლოდ ის საგანია წარმოდგენილი, რომელიც დიდად ან პატარად განიცდება. მეორე საგანი, რომელთანაც პირველის ოდენობის შედარებითი განცდა იქნებოდა შესაძლებელი, არც თვალსაჩინოდ არის მოცემული და არც არათვალსაჩინოდ იგულისხმება.

რა პატარა იყო ის ავტო, ჩემს წინ რომ ჩაიარა წელან! მაგრამ ეს ბუზი, ფანჯრის მინას რომ დაეჯახა და კინაღამ გაიტანა, დიდია, უზარმაზარია.

მე აქ ბუზი დავინახე და დავინახე იგი, როგორც დიდი, უზარმაზარი, წინად ნახულ ბუზთან თუ რომელიმე სხვა საგანთან მიმართების გარეშე. *თვითონ ბუზის აღქმაში უშუალოდ მისი დიდობაც იყო წარმოდგენილი.*

შეიძლება თუ არა ასეთ შემთხვევაში ვილაპარაკოთ [illegible] და „პატარას“ აბსოლუტური განცდის შესახებ? რა [illegible] არა. საქმე ის არის, რომ პირველადი და უშუალოა საგნის განცდა. აღქმაში, უპირველეს ყოვლისა, საგანია წარმოდგენილი და ყველაფერი ის, რაც გრძნობადი მასალის სახელწოდებით არის ცნობილი, სივრცით ფორმებთან ერთად, ამ საგნის გამოსახვას ემსახურება. მოცემულ აღქმაში სიდიდე ისეა გაშუალებული საგნის განცდით, როგორც სიმძიმე, ფერი ან სხვა რომელიმე გრძნობადი მომენტი. საგანი, გამოცდილების შესატყვისად, თვითონ გულისხმობს განსაზღვრულ გრძნობად მასალას, სივრცითს ფორმასა და სიდიდეს, რომლის იქითაც იგი არ შეიძლება ნაგულისხმევი იქნას. ამ უკანასკნელთა ცვალებადობა შეიძლება, მაგრამ მხოლოდ გარკვეულ ფარგლებში.

მხედველობის საშუალებით ვაშლად აღქმულ ობიექტს რომ ხელში აღებისას ისეთივე სიმძიმე აღმოაჩნდეს, რომელიც ვაშლისთვის შეუფერებელია, საგნის გულისხმობის აქტი მაშინვე შეიცვლება, რადგან სიმძიმე, რომელიც, მაგ., ტყვიისათვის ჩვეულებრივია, ვაშლის მიმართ შეუძლებლად დიდად იქნება განცდილი. და ეს ისე უშუალოდ და საგანგებო მსჯელობის გარეშე მოხდება, როგორც ხდება ჩვეულებრივად აღქმის დროს გარკვეული საგნის წვდომა ამა თუ იმ გრძნობად შინაარსში. აქ მიმართება, რომელშიც „დიდი“ ან „პატარა“ განიცდება, მყარდება არა ორ სხვადასხვა საგანს შორის, მაგ, არა ამ ფანქარსა და იმ ფანქარს, ამ კალამსა და იმ დანას შორის, არამედ ნაგულისხმევ საგანსა და იმ მოცემულ გრძნობად მასალას შორის, რომელშიც თვით ეს საგანი უნდა იქნას ნაწვდომი, დანახული, ამიტომ ასეთ შემთხვევაში „დიდის“ და „პატარას“ განცდა მოცემულ გრძნობად შინაარსში საგნის გულისხმობის აქტში ხორციელდება და ამდენად იგი ისევე პირველადი და უშუალოა, როგორც თვით საგნის აღქმა.

დიდი, უზარმაზარი მე იმიტომ განვიცადე, რომ ამ ვრცეულობით შთაბეჭდილებაში ბუზი მომეცა; თორემ მასში ბეღურა რომ აღმექვა, რაღაც განსაცვიფრებლად მცირის განცდა მექნებოდა, თუმცა ამის გამო ჩემს ცნობიერებაში მოცემული შთაბეჭდილების აბსოლუტური ოდენობა არსებითად არ შეიცვლებოდა.

სხვა შემთხვევაში შესაძლებელი იყო ბუზი მე არც დიდად განმეცადა და არც პატარად. შესაძლებელი იყო, საერთოდ არ წარმოდგენილიყო ჩემს ცნობიერებაში მისი სიდიდე საგანგებოდ, სწო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედ ისე, როგორც ახლა მისი ფერი არ იყო საერთო გეშტალტიდან საგანგებოდ გამოყოფილი და განცდილი.

ახლა რომ ბუზი სიდიდის ნიშნით აღვიქვი, ეს იმიტომ მოხდა, რომ სიდიდის მოცემული აბსოლუტური შთაბეჭდილება ღამის გადაშორდა ზომას, რომელშიც ჩემ მიერ, საერთოდ, ბუზი შეიძლება იქნას ნაგულისხმევი.

3. აქ შეიძლება აღვნიშნოთ სიდიდის მიმართებაში განცდის კიდევ ერთი შემთხვევა. საგანი შეიძლება ერთ აღქმაში ორი ოდენობითი განსაზღვრულობით — ინტენსივობითა (სიმძიმე) და ექსტენსივობით (განფენილობა) — მოგვეცეს. მოცულობა და სიმძიმე, რომლებიც ამ საგნის აღქმის ცალკე მომენტებს წარმოადგენენ, შესაძლებელია ურთიერთმიმართებაში განცდილ იქნას როგორც „დიდი“ და „პატარა“. ლითონი ჩვენ მიერ განიცდება როგორც მძიმე და პატარა, ბამბა კი — როგორც დიდი და მსუბუქი. ასე განვიცდით, თუმცა, შესაძლებელია, ბამბა, რომელსაც მე აღვიქვამ, იმ ლითონზე უფრო მძიმე იყოს, რომელიც ხელში მიჭირავს. ამიტომ, შესაძლებელია, ჩემთვის სრულიად უცნობი საგანი, ხელში აღებისთანავე, საგნის გულისხმობის აქტამდეც, განვიცადო როგორც მძიმე და როგორც მსუბუქი იმის მიხედვით, თუ რა შეფარდება არსებობს აღქმული საგნის მოცულობასა და მის სიმძიმეს შორის. ამგვარ შემთხვევებში მძიმის განცდას, ჩვეულებრივ, თან ახლავს პატარას, ხოლო მსუბუქისას — დიდის განცდა. ხელში აღებული უცნობი საგანი მძიმე იმიტომ მეჩვენება, რომ მისი აბსოლუტური ვრცეულობითი ოდენობა პატარაა განცდილ სიმძიმესთან შედარებით. თორემ მისი მოცულობა რომ, მაგ., ათჯერ დიდი ყოფილიყო, მაშინ მე იმავე სიმძიმეს „მსუბუქად“ განვიცდიდი, თუმცა ამის გამო სიმძიმის აბსოლუტური მოცემულობა ჩემს ცნობიერებაში არ შეიცვლებოდა[1].

4. რა შეიძლება ვთქვათ აბსოლუტური სიდიდის მიმართების გარეშე განცდის შესახებ? რა შემთხვევაში შეიძლება ვილაპარაკოთ თავისთავად მოცემული ოდენობის აღქმის შესახებ?

აქ შეიძლება ორი შემთხვევა განვასხვაოთ: ერთი, როდესაც ჩემი აღქმის საგანს, მაგ., თვით ეს სამელნე შეადგენს, როგორც ასეთი. ახლა მე ყურადღებას მის სიდიდეზე საგანგებოდ არ ვაჩე-

---

[1] აქ ჩვენ მხედველობაში არა გვაქვს ის კერძო შემთხვევები, სადაც ილუზია იჩენს თავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებ. რამდენი ხანია ეს სამელნე დგას აქ, რამდენჯერ მქონია საქმე მასთან, მაგრამ, შესაძლებელია, აქამდე ერთხელაც [illegible]ნოდა შემთხვევა მისი სიდიდე განსაკუთრებული დაკვირვების საგნად მექცია.

სხვა შემთხვევაში, შესაძლებელია, მე ყურადღება ოდენობაზე მივმართო და ამდენად ჩემი აღქმის საგნად თვით იგი ვაქციო. ამ დროს ჩემი ცნობიერება, უპირველეს ყოვლისა, ოდენობაზეა შეჩერებული, ხოლო საგანი უკანა რიგში დგას და აღიქმება როგორც მხოლოდ ვრცეულობითი მოცემულობა. ამიტომ ახლა ოდენობითი შთაბეჭდილება განიცდება საგნობრივი შინაარსისადმი მეტად თუ ნაკლებად ინდიფერენტულ მოცემულობად: საგნის გეშტალტი იჩრდილება და წინა რიგში თვით ოდენობა გამოდის. ეს ისე ხდება, რომ შეცდომა არ იქნება, თუ ასეთ შემთხვევაში ვიტყვი: ახლა თვითონ ოდენობაა ჩემი აღქმის საგანი-მეთქი.

შევჩერდეთ ჯერ პირველ შემთხვევაზე. ჩემი სამელნის ოდენობა აქამდე განსაკუთრებული აღქმის საგნად არ გამიხდია, მაგრამ ჩემთვის რომ ვინმეს სადმე სხვა სამელნე ეჩვენებინა და ეკითხა, როგორია შენი სამელნე ამასთან შედარებითო, თუ ნაჩვენები სამელნე ჩემსაზე მნიშვნელოვნად დიდი იქნებოდა, უეჭველად ვუპასუხებდი, ჩემი სამელნე ამაზე გაცილებით პატარაა-მეთქი. ამასვე დამიდასტურებდა იქვე მდგომი მეორე პირი მაშინაც, რომ იგი ჩემი სამელნის სილამაზით ყოფილიყო დაინტერესებული რამდენიმე წუთის წინათ და ერთხელაც არ მიექცია ყურადღება მისი სიდიდისათვის.

არ შეიძლება იგივე ითქვას საგნის რომელიმე სხვა მომენტის შესახებ, მაგ., იმ შავი ლაქის შესახებ, რომელიც სამელნეს მარჯვენა მხრიდან ამჩნევია. ლაქის შესახებ სამელნის რამდენჯერმე აღქმის შემდეგაც ვერაფერს ვიტყოდი, რომ იგი ახლა შემთხვევით არ შემენიშნა. ამ წუთში, მაგ., ბევრი ვეცადე, მაგრამ ვერ მოვახერხე დამედასტურებინა ჩემთვის X, რომელთანაც მე უკანასკნელი ათი დღე გავატარე, ულვაშებს ატარებს თუ არა. მისი ოდენობა კი, მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით ცნობიერება მე არასოდეს არ შემიჩერებია, ახლაც თავისუფლად შემიძლია განვსაზღვრო.

მე რომ ამ სამელნის აბსოლუტური ოდენობა რაღაცნაირად წინა აღქმაში არ განმეცადა, ახლა საიდან მექნებოდა საფუძველი მეთქვა: ჩემი სამელნე ამაზე გაცილებით პატარაა-მეთქი? შეიძლება ვინმემ მითხრას: ახლა შენ შენი სამელნის წარმოდგენა გაქვს ცნო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიერებაში და შედარების აქტი მას ემყარებაო. ეს, რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ საქმე ის არის, რომ შეუძლებელი [illegible] საგნის წარმოდგენაში აღმოჩენილიყო სიდიდე, რომ იგი თავის დროზე რაღაცნაირად აღქმაში არ ყოფილიყო განცდილი. მართალია, ახლა წარმოდგენილი საგნის ოდენობაზე გარკვეულ მიმართებაში ვახდენ დაკვირვებას, მაგრამ ეს არ ცვლის საქმის ვითარებას, რადგან ადრე იგი მიმართების გარეშე განმიცდია, როგორც საგნის უბრალო მოცემულობა, და შედარების აქტი ახლა მას ემყარება.

როგორ განვიცდით საგნის ოდენობას, როცა იგი არ შეადგენს ჩვენი ცნობიერების ინტენციის ობიექტს? სიდიდე არ არის საგნის ისეთი მომენტი, რომელიც შეიძლება გააჩნდეს მას და შეიძლება არა; იგი აღქმული საგნის ვრცეულობაა, რომლის გარეშედაც ჩემს წინაშე არსებული საგანი არ შეიძლება ჩემი ცნობიერების საგანი იყოს. საგანი განფენილობით შემოდის ცნობიერებაში; მისი მთელი გეშტალტი ამ ვრცეულობაში ამ მოდუსში განიცდება და ამიტომ ეს უკანასკნელი შეუძლებელია საგნის აღქმიდან ამოვარდეს. შეუძლებელია ოპტიკურსა და ჰაპტურ სფეროში საგანი ისე იქნას აღქმული, რომ მისი ვრცეულობა, მისი აბსოლუტური ოდენობაც არ იქნას განცდილი. სამელნე მე ამ ვრცეულობითს ფორმაში, ამ აბსოლუტურ ოდენობაში მეძლევა, მიუხედავად იმისა, თუ მისი რომელი მხარე — ფორმა, ფერი, სილამაზე თუ სხვა — არის ცნობიერების წინა პლანზე წამოწეული. იგივე ითქმის საგნის რეპროდუქტული ხატის შესახებაც. წარმოდგენაში მოცემული საგანიც იმავე ვრცეულობაში, იმავე მოცულობაში განიცდება, რომელშიც აღქმული იყო განცდილი. ამგვარად განცდილი მოცემულობა აბსოლუტური ოდენობაა. იგი წარმოდგენილია ყოველგვარი მიმართების გარეშე, როგორც ამ საგნის თავისთავადი მოცემულობა, როგორც ამ საგნის ვრცეულობა, განფენილობა. იქ, სადაც საგნის გულისხმობის აქტის განხორციელება რაიმე მიზეზის გამო ფერხდება, გვიანდება, აბსოლუტური ოდენობა განიცდება საგნის გულისხმობის აქტის უწინარესადაც, რადგან იგი იმ გრძნობადი შთაბეჭდილების სახით შემოდის ჩვენს ცნობიერებაში, რომელიც მას ავსებს.

ამგვარად განცდილი სიდიდე მოცემული გეშტალტის რომელობითი დახასიათება უფროა, ვიდრე რაოდენობ-

რივი. მაგრამ საკმარისია შემდეგ ოდესმე რეტრო[illegible] მივმართოთ ყურადღება მისკენ, რომ იგი, იმის მ[illegible] მეორე რა აბსოლუტურ სიდიდესთან მოვიყვანთ მას ახლა მიმართებაში, „დიდადაც" იქნას განცდილი და „პატარადაც". წინათ რომ ხელში ბურთი მეჭირა, იგი არც დიდად განმიცდია მაშინ და არც პატარად, სრულიად არ მქონია მის მიმართ რაიმე რაოდენობრივი მიმართების განცდა. მაგრამ ახლა რომ ბურთი ავიღე, აი, ამასთან შედარებით იგი ახლა მნიშვნელოვნად პატარად მეჩვენება, თუმცა ამის გამო მას ჩემს ცნობიერებაში თავის პირვანდელი ოდენობა არსებითად არ შეუცვლია. მოხდა ისე, რომ ნათლად თითქოს მხოლოდ ახლა დავინახე, ამ მიმართებაში შევამჩნიე, თუ რა სიდიდის, რაოდენობის იყო პირველი ბურთი.

5. როგორ განვიცდით საგნის სიდიდეს მაშინ, როცა ჩვენი ყურადღება საგანგებოდაა მასზე შეჩერებული, მაგრამ ისე, რომ იგი სხვა რომელიმე სიდიდესთან მიმართებაში არ ეძიებს მოცემული საგნის სიდიდის განსაზღვრისათვის საჭირო დასაყრდენს?

როდესაც მე მსურს რომელიმე საგნის ოდენობა დავიმახსოვრო, ვცდილობ, რამდენადაც შეიძლება, უყურადღებოდ დავტოვო საგნის სტრუქტურა, მისი შინაგანი აგებულობა და ცნობიერება მხოლოდ მის ვრცეულობაზე შევაჩერო. მაგრამ თავისთავად აღებულ განფენილობაზე იგი დიდხანს ვერ ჩერდება, რადგან თვით ოდენობას, როგორც განფენილობას, არა აქვს რაიმე ისეთი მომენტი, რომელზედაც ცნობიერების შეჩერება იყოს შესაძლებელი. იმის გამო, რომ სიდიდის განცდა შინაგანად დაუნაწევრებელია, შეუძლებელია მისი აღწერა, მისი გამოთქმა[1]. მასზე შეგვიძლია რამდენადმე მივუთითოთ მხოლოდ მეორე სიდიდის დახმარებით. ასე ვიქცევი, მაგალითად, მე, როცა ვამბობ: ჩემი ბურთი ამ ბურთზე გაცილებით პატარაა, ხოლო იმ ბურთზე ოდნავ დიდია-მეთქი.

ამ თვალსაზრისით, სიდიდის მიმართ დაახლოებით ისეთივე მდგომარეობაში ვიმყოფებით, რომელშიც ვართ იმ ფერების მიმართ, რომელთაც საკუთარი სახელები არ გააჩნიათ. როცა ვამბობ: ამ ფანქრის ფერი ცის ფერზე ოდნავ უფრო მუქია-მეთქი, დაახლოებით ისეთსავე დამოკიდებულებაში ვიმყოფები ფანქრის ფერის მიმართ, როგორშიც ვარ მის სიდიდესთან მაშინ, როცა ვამბობ:

---

[1] ამ გარემოების გამო შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ თითქოს აბსოლუტური ოდენობის განცდა, საერთოდ, შეუძლებელი იყოს.

ეს ფანქარი იმ კალმისტარზე. ოდნავ უფრო პატარაა-მეთქი, იმი-სათვის, რომ მე ფანქრის ოდენობა საგანგებოდ ალვიქვა, არამედ სხვა სიდიდეზე მითითება არ არის საჭირო სწორედ ისე, როგორც ფანქრის ფერის განცდისთვის არ არის აუცილებელი რომელიმე სხვა ფერთან მიმართებაში გავაცნობიეროთ იგი. ცისფერისათვის მიმართვა აქ მხოლოდ იმისათვის დამჭირდა, რომ ჩემ მიერ ადრევე განცდილი ფერი სხვისთვის გასაგებ ენაზე გამომეთქვა. როცა ჩემ წინ მდგომი საგნის შესახებ მეკითხებიან, რა სიდიდის არისო, რა თქმა უნდა, მე ყოველგვარი მიმართების გარეშე ვჭვრეტ, რომ იგი იმხელაა, რამხელაც არის და ამიტომ ჩემთვის მისი სიდიდე საძიებელი არ არის. მაგრამ, თუ ახლა მეორე საგანს ვეძებ, ეს მხოლოდ იმისთვის, რომ მკითხველს მასზე მითითებით, მისი დახმარებით, გავაგებინო, თუ რა ოდენობის არის ეს საგანი.

ამგვარად, საგნის ალქმაში მოცემულია მისი განფენილობა, მისი ვრცეულობითი ოდენობა. ეს უკანასკნელი შეიძლება ყურადღების საგანგებო საგნად ვაქციოთ და ამ გზით უფრო მკვეთრად განვიცადოთ, უფრო ნათლად ალვიქვათ იგი და ალვიქვათ ყოველგვარი მიმართების გარეშე, ისე, როგორც არის იგი თავისთავად.

როგორც ზემოთ ალვნიშნეთ, ოდენობის, ვრცეულობის ასეთი განცდა უფრო რომელობით ხასიათს ატარებს, ვიდრე რაოდენობის. მაგრამ საკმარისია მას მეორე ოდენობასთან მიმართებაში შევხედოთ, რომ იგი მაშინვე რაოდენობითი ხასიათის განცდად იქცეს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში იგი რჩება იმავე ოდენობად, მაგრამ აქ მას თან ერთვის რაოდენობის განცდები: „დიდობა“, „პატარობა“, „ტოლობა“, „ამხელობა“, „ნაკლებობა“, „მეტობა“ და ა. შ., რის გამოც იგი სხვა კატეგორიის განცდად იქცევა.

თვით სიტყვაც გვიჩვენებს, რომ **რა**ოდენობა, ოდენობასთან შედარებით, რაღაც მეტს შეიცავს; სახელდობრ, იგი მიმართებასაც გულისხმობს: რა ოდენობა, რისი ოდენობა. გამოდის, რომ „**რა**ოდენობა“ „ოდენობის“ მიმართ დასმული კითხვაა, რომლის პასუხიც აბსოლუტურ სიდიდეთა შედარების აქტს მოითხოვს.

ჩვენ მიერ ზემოთ ალწერილი სიდიდის უმიმართებო ალქმას, რომელიც საგნობრივი შინაარსის სივრცითი განფენილობის უბრალო განცდას წარმოადგენს რაოდენობრივი ხასიათის მოვლენებისგან განსხვავებულად, შეიძლება ოდენობის განცდა ვუწო-

დოთ; თვით ტერმინები „ოდენობა“ და „რაოდენობა“ ძალდაუტანებლად მიუთითებს ამ ორ განსხვავებულ მნიშვნელობაზე.

7. ჩვენ მიერ ჩატარებულ საგანწყობო ცდებში ცდის პირები ან საერთოდ არ აჩერებენ ყურადღებას მიწოდებული ობიექტების მოცულობაზე (ცდები რეზინის ბურთებით), ანდა საგანგებოდ ჩერდებიან მასზე, როგორც უბრალო ვრცეულობაზე, როგორც თავისთავად მოცემულ აბსოლუტურ ოდენობაზე. პირველ შემთხვევაში ცდის პირი საგნობრივ შინაარსს განიცდის მძაფრად, ხოლო ის ვრცეულობა, რომელსაც ეს შინაარსი ავსებს, საგანგებოდ არ არის ცნობიერებაში წარმოდგენილი. მაგრამ იმდენად, რამდენადაც საგნობრივი შინაარსი ყოველთვის განსაზღვრულ ვრცეულობაში განიცდება, ცდის პირს, თუ იგი ამას მოისურვებს, ყოველთვის შეუძლია შინაარსი ცნობიერების ჩრდილში დააყენოს და წინა რიგში მოცულობა წამოსწიოს, იგი საგანგებოდ განიცადოს. მეორე შემთხვევაში აბსოლუტური ოდენობაა პირველ რიგში ნათლად განცდილი, ხოლო საგნობრივი შინაარსი შედარებით გაურკვეველი სახითაა ცნობიერებაში წარმოდგენილი.

საგანწყობო ცდებში, მიუხედავად იმისა, ოდენობაა განცდილი საგანგებოდ თუ საგნობრივი შინაარსი, ცდის პირს არავითარი რაოდენობითი ხასიათის განცდა არ უჩნდება, მას მხოლოდ უბრალო ოდენობით მოცემულობასთან აქვს საქმე. ამიტომ გასაგებია, რომ ის განწყობა, რომელიც ამ ცდების პერიოდში ცდის პირის ცნობიერების მიმდინარეობას განაგებს, ოდენობით ხასიათს უნდა ატარებდეს, ოდენობის განცდის შესაძლებლობას უნდა შეიცავდეს.

შედარებით განსხვავებულ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე კრიტიკულ ცდებში. აქ ცდის პირს პირდაპირ ევალება კრიტიკული ობიექტების შედარებითი სიდიდე განსაზღვროს. ამიტომ შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ თითქოს აქაც რაოდენობრივი ხასიათის ილუზიასთან გვქონდეს საქმე. მაგრამ ნამდვილად ეს ასე არ უნდა იყოს. ჯერ ერთი, ილუზიის საფუძველი შედარების აქტამდე ისეთი საგანწყობო ცდებითაა მომზადებული, რომ არ შეიძლება მას მიმართების ხასიათი ჰქონდეს. შემდეგ, რაც მთავარია, ერთ-ერთი კრიტიკული ობიექტის ილუზიური აღქმა წინ უსწრებს მიმართების განცდას: ცდის პირი ილუზიურად აღქმული ოდენობის თვალით რომ შეხედავს კრიტიკული ცდის მეორე ოდენობას, მისთვის მაშინვე ორივე ოდენობა რაოდენობად იქცევა: ერთი — დიდად, მეორე კი — პატარად განიცდება. ხოლო მანამ, სანამ ილუზიურად აღქმული ოდენობა ობიექტურად მეორე ასეთსავე ოდენობასთან

მიმართებაში არ მოსულა, ილუზიური აღქმის ფაქტი ჩვენთვის შეუმჩნეველი რჩება. სწორედ ამიტომ ვხვდებით იძულებული, რომ კრიტიკულ ცდებში წყვილი ობიექტით ვისარგებლოთ. თორემ ისე საგანწყობო ცდების შემდეგ სრულიად საკმარისია, ცდის პირს ხელში საგანწყობო ბურთისაგან განსხვავებული სიდიდის ბურთი მივცეთ, რომ მისი აბსოლუტური ოდენობა ილუზიურად აღიქვას. მაგრამ საიდან გინდათ, რომ ილუზიურად აღქმის ფაქტი დაადასტუროთ, თუ ცდის პირს არ მიეცით საშუალება განცდილი ოდენობა სათანადო პირობებში რაოდენობად აქციოს, სათანადო შედარების აქტი აწარმოოს?

აქ გამოთქმულ მოსაზრებას ყველაზე ნათლად ადასტურებს ჰაპტურ სფეროში ჩვენ მიერ ერთი ობიექტით ჩატარებული კრიტიკული ცდები. ამ ცდებში ცდის პირს კრიტიკული ბურთი ჯერ საგანწყობო ხელში ეძლევა, ხოლო შემდეგ — მეორე ხელში, რომელიც აქ კონტროლის როლს ასრულებს. საგანწყობო ხელში მიწოდებული კრიტიკული ობიექტის ოდენობა განიცდება როგორც აბსოლუტური მოცემულობა, როგორც ბურთის უბრალო ვრცეულობა, მაგრამ განიცდება ილუზიურად. შემდეგ, როცა ბურთი ცდის პირის მეორე ხელში გადადის, მის მიერ საგანწყობო ხელით ილუზიურად აღებული აბსოლუტური ოდენობა საკონტროლო ხელით განცდილ ოდენობასთან მოდის მიმართებაში და ამიტომ იგი მყისვე რაოდენობის („დიდი", „პატარა") განცდად იქცევა. ამგვარად, აბსოლუტური ოდენობა მანამდეა ილუზიურად აღქმული, სანამ მიმართების — „დიდის" და „პატარას" — განცდა გაჩნდებოდეს.

(შემოვიდა რედაქციაში 25. X. 1955).

ეროვნული ბიბლიოთეკა

Ш. Н. ЧХАРТИШВИЛИ

# ИЛЛЮЗИЯ УСТАНОВКИ НА АБСОЛЮТНУЮ ВЕЛИЧИНУ


## Резюме

В данной статье рассмотрен вопрос: установка создается лишь на количественном отношении или может возникнуть и на почве абсолютной величины? Как дается абсолютная величина вне отношения?

Экспериментальным исследованием доказано, что установка создается и на абсолютной величине, пережитой вне отношения.

Абсолютная величина переживается как протяженность, как пространственная данность чувственного материала вне сравнения ее с другими величинами. Обязательность сравнения возникает при выражении и передаче мысли о пережитой величине.

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. XV, 1956.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XV, 1956.
ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. ზარქუა

# ეგრეთ წოდებული ფსიქოლოგიზმის შესახებ თ. მ. დოსტოევსკის შემოქმედებაში

(საკითხის პრინციპული განხილვის ცდა)

## I.

თ. მ. დოსტოევსკის შემოქმედებაში ორი მეტად დამახასიათებელი მომენტი იქცევს ხოლმე განსაკუთრებულ ყურადღებას. ეს მომენტებია: 1. მეტად ჭარბი და ღრმა ანალიზი ადამიანის ფსიქიკური ცხოვრებისა; 2. თითქოს საგანგებო შერჩევა პათოლოგიური სულიერი მდგომარეობისა და მისი დეტალური განხილვა. ეს ფაქტია, ისეთი ფაქტი, რომელსაც ყოველი საშუალო მკითხველიც კი ადვილად შეამჩნევს. ცხადია, არც ლიტერატურულ კრიტიკას გამორჩებოდა ესენი მხედველობიდან; არც გამორჩენია. ამის გამო გავრცელდა რუსულსა და საზღვარგარეთის კრიტიკაში აზრი დოსტოევსკის შემოქმედებაში გადაჭარბებული ფსიქოლოგიური ანალიზის, ე. წ. ფსიქოლოგიზმის, ცალმხრიობისა და ფაქტების ულმობელი დამახინჯების შესახებ. ამის გამო უწოდა დიდ რუს რომანისტს სხვადასხვა ავტორმა სხვადასხვა დროს „ავადმყოფი სინიდისი“, „ულმობელი ტალანტი“, „დიდი მწვალებელი“ და მისთანანი.

ყველაფერ ამას, რასაკვირველია, თავისი გამართლება აქვს. შეიძლება ასეთი აზრები გაუჩნდეს დოსტოევსკის ქმნილებათა მკითხველს, რადგან დოსტოევსკის მთელი თავისი საკმაოდ ხანგრძლივი შემოქმედებითი გზის მანძილზე არასოდეს უღალატნია პრინციპისათვის — ანალიზჰყოს და უჩვენოს მკითხველს ადამიანის შინაგანი ქვეყნის იმდენად ღრმა და იმდენად ინტიმური ელემენტები, რომელთაც პიროვნება არა თუ სხვას, არამედ ხშირად თავის თავსაც კი არ გაუმხელს. ამასთანავე დოსტოევსკის გმირთა დიდი ნაწილი, მართლაც, პათოლოგიურად გამოიყურება. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მწერალს სიამოვნებას ჰგვრიდეს ის, რომ ტანჯოს, აწამოს საცოდავი გმირები და მათთან ერთად მკითხველიც. ამიტო-

მაც უწოდეს მას „ულმობელი ტალანტი“. ამიტომ [illegible] ფსიქოლოგიზმიე დოსტოევსკის შემოქმედებაში.

ამ სტატიაში ავტორის მიზანს წარმოადგენს დაამტკიცოს, რომ 1. ფსიქოლოგიზმს დოსტოევსკის შემოქმედებაში ადგილი არა აქვს და 2. რომ მას მკითხველის სატანჯავად, შურისსაძიებლად კი არ გამოჰყავს შეშლილობის მიჯნაზე მდგარი გმირები, არამედ იმ უდიდესი მხატვრული და მორალური სიმართლის გამოსახატავად, რომლითაც ასე ბრწყინავს თ. მ. დოსტოევსკის მხატვრული შემოქმედება.

როდესაც ფსიქოლოგიზმზე ვლაპარაკობ, მხედველობაში მაქვს ის, რაც ამ ცნებაში ნამდვილად იგულისხმება, ე. ი. ფსიქოლოგიის უკანონო გამოყენება იქ, სადაც იგი საჭირო არ არის. ფსიქოლოგიზმმა ძალზე ფართო გავრცელება ჰპოვა ერთ დროს მეცნიერებათა მთელ რიგში — ისტორიაში, ენათმეცნიერებაში, სოციოლოგიაში, ესთეტიკაში, სამართალში — და ყველგან უარყოფითი როლი ითამაშა. ასევე მხატვრულ ლიტერატურაშიაც: ახალი დროის მწერლობაში გაბატონებულმა ფსიქოლოგიზმმა ფსიქიკურის დაუსრულებელი ანალიზი ხელოვნების თვითმიზნად, მისი მხატვრული ძიების საგნად გამოაცხადა და ამით ხელოვნებას უდიდესი ზიანი მიაყენა. პათოლოგიური გმირების ჩვენება აუცილებელ წესად იქცა. ხელოვნება დაკნინდა.

თ. მ. დოსტოევსკის შემოქმედებაში ფსიქოლოგიზმს ადგილი არა აქვსო, რომ ვამბობთ, ამით არც იმის თქმა გვინდა, თითქოს იქ ჭარბად არ იყოს წარმოდგენილი ფსიქოლოგიური მომენტები, და არც იმისი, თითქოს მისი გმირების დიდი ნაწილი ფსიქიკურად არანორმალური არ იყოს. არა! ჩვენ ვცდილობთ დავამტკიცოთ, რომ, ამ ფაქტების არსებობის მიუხედავად, არც ფსიქოლოგიზმია დოსტოევსკის შემოქმედებაში და არც მკითხველის წამება წინასწარი მოსაზრებით; რომ დოსტოევსკის შემოქმედებაში ადამიანის შინაგანი ქვეყნის ანალიზიცა და პათოლოგიურ გმირთა გამოყვანაც სრულიად კანონზომიერი მოვლენაა და არა თუ ზიანს არ აყენებს იგი მხატვრულ პროდუქციას, არამედ უამისოდ ვერ იარსებებდა ის უდიდესი კულტურული მემკვიდრეობა, რომელსაც დოსტოევსკის შემოქმედება ეწოდება და რომელიც შესულია მსოფლიოს კლასიკური მემკვიდრეობის ოქროს ფონდში. არ არის დოსტოევსკის შემოქმედებაში ფსიქოლოგიზმი იმიტომ, რომ ადამიანის შინასამყაროს ანალიზი აქ მიზანი კი არ არის,

არამედ მხოლოდ მეთოდია. როგორ უნდა გა[illegible]ლაფერი ეს? როგორ უნდა დავაღწიოთ თავი ამ თით[illegible] მიუტანელ შინაგან წინააღმდეგობას? ვფიქრობთ, ეს საკითხი ასე შეიძლება გაგებულ იქნას: თ. მ. დოსტოევსკის მთელი შემოქმედებითი ცხოვრების წარმმართველი პათოსია ზნეობის უმაღლესი ნორმების ძიება, საერთოდ, და ზნეობრივად მოწესრიგებული ადამიანის ემპირიული ფორმის ძიება, კერძოდ. ესაა მწერლის ესთეტიკური იდეალის განხორციელებისათვის აუცილებელი საშენი მასალა; ის საგანი, რომელშიაც მხატვრული იდეა უნდა განსახიერდეს, ის ნიადაგი, რომელზედაც ესთეტიკური შენობა უნდა აიგოს. მაშასადამე, საძიებელია მორალის უმაღლესი პრინციპი, ერთი მხრივ, და მისი გამოვლინების ემპირიული ფორმა, მეორე მხრივ. ამათ შესაბამება ეთიკურ-ფილოსოფიური ძიება, რომელიც ასე უხვადაა წარმოდგენილი დოსტოევსკის მხატვრულსა და პუბლიცისტურ ნაწარმოებებში, ერთის მხრივ, და ფსიქიკურის დაულალავი ანალიზი, მეორე მხრივ, რადგან პრინციპები უნდა დადგინდეს იდეების სახით, ერთის მხრივ, და ზნეობის ემპირიული არსებობის ფორმები განცდის სახით, მეორე მხრივ. ეს გარემოება იწვევს შინაგანი ქვეყნის ანალიზის იმ სიჭარბეს (და არა გადაჭარბებულობას), რომელზედაც ზევით იყო ლაპარაკი. ამიტომ მიგვაჩნია ეს სიჭარბე სრულიად ნორმალურ მოვლენად, კანონიერად და არა ფსიქოლოგიზმად, არა უკანონოდ. ეს კარგი, მაგრამ რა გამართლება შეიძლება ჰქონდეს სულით ავადმყოფთა წარმომადგენლებია (გოლიადკინი, მიშკინი, მარმელადოვი, სმერდიაკოვი...) ასე უხვად გამოფენას? რა საჭირონი არიან არანორმალური ადამიანები? ვფიქრობთ, ეს საკითხი ასე უნდა იქნას გაგებული: შინაგანი ადამიანის ყოველი შესაძლებელი ელემენტის მეტი სიკხადით გამოვლინებისათვის საჭიროა ფსიქიკური ცხოვრების განხილვა მისი უკიდურესი დაძაბვის მომენტში, სულიერი კრიზისის მომენტში, როცა დაპირისპირებული ძალები უდიდესი დაძაბულობითა და სიცხადით წარმოდგებიან ხოლმე. საძიებელი მოვლენა არსებობის ზედაპირზე არაა მოცემული. იგი სიღრმის მოვლენაა და ამიტომაც ინტენსივობის მაქსიმუმია საჭირო

ცნობიერების ზედაპირზე მის ამოსატანად. ეპოქის [illegible]
ლიერი კრიზისების განხილვა მათს უკიდურეს ფორმებში.

## II

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ პრინციპულად ყველაფერი ეს სწორად უნდა ჩაითვალოს, რომ საზოგადოების მორალური მოწესრიგებისათვის ჯერ თვით მორალის პრინციპების ძიებაა საჭირო, ხოლო შემდეგ კი მათი ემპირიული არსებობის შესაძლებლობათა და საზღვართა გამოკვლევა. არც ის შეიძლება იყოს სადავო, რომ ხელოვანს უფლება აქვს ესთეტიკური ფენომენი მორალური ფაქტების შინაარსზე ააგოს. სულ სხვა საკითხია, გავიზიარებთ თუ არა თ. მ. დოსტოევსკის ზნეობრივი იდეალის პრინციპულ დებულებებს, მივიღებთ თუ არა მის მორალურ შეხედულებებს. ამ მხრივ ბევრი რამ ექნება მასთან სადავო მარქსისტულ მსოფლმხედველობას. ამ მიმართულებით სრულიად სამართლიანია საბჭოური ლიტერატურული კრიტიკის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც დოსტოევსკის საზოგადოებრივი და მორალური შეხედულებანი სასტიკი კრიტიკის ქარცეცხლშია გატარებული. სრულიად სამართლიანია ეს იმიტომ, რომ დოსტოევსკიმ არა მარტო უარყო სოციალიზმისა და რევოლუციის იდეები, არამედ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ერთსაც და მეორესაც. ამით იგი — სუბიექტურად ყოველგვარი რეაქციისა და დესპოტიზმის შეურიგებელი მტერი — ფაქტიურად რეაქციის მხარეზე აღმოჩნდა თავისი შემოქმედების მრავალ პუნქტში. ამას თავისი ობიექტური და ფსიქოლოგიური მიზეზები ჰქონდა.

ობიექტური მიზეზი თუ ფაქტორი იყო რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ნიკოლოზ პირველის დროინდელი სინამდვილე. ეს დრო საზოგადოებრივი, პოლიტიკური, მორალური და ეკონომიური ჩაგვრის აუტანელ პერიოდს წარმოადგენდა. სახელმწიფოს სათავეში იდგა ჯალათი. მმართველობის ქვედა ინსტანციების არხებს ავსებდნენ უფრო მცირე რანგის ჯალათები. ისინი ტერორით მართავდნენ ქვეყანას. ალალი სიტყვა დუმილისთვის იყო განწირული, ხოლო კაცური კაცობა — სახრჩობელისათვის ან მათხოვრობამდე მისული სიღატაკისთვის. ტერორი, სულით მონობა, დესპოტიზმი ქმნიდა კოშმარულ სინამდვილეს და სინიდისი ტკიოდა უზარმაზარ იმპერიას — სინიდისი და გული. ასეთი იყო ობიექტური ვითარება.

შეიძლება სადავო იყოს საკითხი, თუ რატომ უნდა გა[illegible] ნიკოლოზ პირველის სისხლიანი ტერორი იმის საფუძველზე, რომ დოსტოევსკის მსოფლმხედველობაში რეაქციული ელემენტები გაძლიერებულიყო. რატომ უნდა გამხდარიყო რეაქციის მომხრე ის ადამიანი, რომელსაც რეაქციული ტერორის სუსხი ყველაზე ძლიერ მოჰხვდა? ამაზე მართლაც დავობენ, გამოთქვამენ ვარაუდებს. მაგალითად, იმის შესახებ, თუ გადასახლებამ, საკატორღო ცხოვრებამ რატომ შეუწყო ხელი რეაქციულ განწყობილებათა გაძლიერებას. მართლაც და, რატომ უნდა მოხდეს ასე? რატომ უნდა მიემხროს რეპრესირებული ადამიანი მჩაგვრელის იდეოლოგიას? ეს მართლაც. მეტად რთული საკითხია და მოითხოვს სულ სხვაგვარი თვალსაზრისის მომარჯვებას, ვიდრე ამჟამად არის გამოყენებული. ჯერ ერთი, დ о ს ტ ო ე ვ ს კ ი რ ე ა ქ ც ი ო ნ ე რ ი ა რ ა რ ი ს, ა რ ა მ ე დ მ ი ს ი შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ა შ ე ი ც ა ვ ს რ ე ა ქ ც ი უ ლ ე ლ ე მ ე ნ ტ ე ბ ს. რეაქცია და რეაქციონერი კულტურის ისტორიის შავი ლაქაა, რეგრესია და სიბნელე. ამის გამო რეაქციონერის შემოქმედება კლასიკურ ფონდში ვერ შევა. დოსტოევსკი კი საყოველთაოდ აღიარებული დიდი კლასიკოსია. ასე რომ უნდა ვილაპარაკოთ არა დოსტოევსკი-რეაქციონერზე, არამედ დოსტოევსკის შემოქმედებაში არსებულ რეაქციულ ელემენტებზე და ისიც არა პოლიტიკური რეაქციის გაგებით, არამედ სრულიად თავისებურ ფორმებში. ამ თავისებურ ფორმაზე ქვემოთ გვექნება საუბარი. მეორეც: მხედველობაში არაა მიღებული კრიტიკოსების მიერ მწერლის შემოქმედების სუბიექტური ფაქტორი. ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა ისე მიიჩნია ყოველი ლიტერატურული მოვლენის მხოლოდ ობიექტური ფაქტორებით ახსნას, რომ სრულიად ავიწყდებათ ან ანგარიშს არ უწევენ მეორე დიდ ფაქტორს — სუბიექტურ ფაქტორს, რომელიც მარად და ყველგან არსებობს იქ, სადაც ადამიანურ შემოქმედებასთან გვაქვს საქმე და რომელიც მოცემულია ი ნ დ ი ვ ი დ ი ს თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ი ფ ს ი ქ ი კ უ რ ი წ ყ ო ბ ი ს ს ა ხ ი თ. თუ ობიექტური სინამდვილე არის ის, რაც უნდა დანახულ იქნას, ინდივიდის ფსიქიკური წყობა არის ის, ვინც უნდა დაინახოს. და რამდენადაც უდავოა ის დებულება, რომ დანახული არასოდეს არ უდრის არსებულს, ამდენადვე სწორია აზრი იმის შესახებ, რომ რთული მოვლენის დანახვა განისაზღვრება ა რ ა მ ხ ო ლ ო დ იმით რ ა ც უნდა დავინახოთ, არამედ ი მ ი თ ა ც, თუ ვ ი ნ ხედავს მას.

პიროვნების ფსიქიკური წყობა დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რომელი ფსიქიკური ელემენტი ჭარბობს მასში; ძლიერია თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუსტი, მგრძნობიარეა თუ ინდიფერენტული, შიგნითაა [illegible] მართული თუ გარეთ და მისთანანი. ყველაფერი ეს [illegible] ფაქტორთან ერთად ქმნის ერთ მთლიანს, რომელიც ამ პიროვნების ნამოქმედარში გამოვლინდება ხოლმე ამა თუ იმ მიმართულებით.

დოსტოევსკის შემოქმედებითს ისტორიაში ამ სუბიექტურ ფაქტორს მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ჯერ ერთი, ის იყო მეტად მგრძნობიარე პიროვნება, რომელსაც ინდიფერენტულ მდგომარეობაში ყოფნა საერთოდ არ შეეძლო და, მეორეც, მისი ფსიქიკური წყობა იყო ისეთი, რომ მისი თვალთახედვის ისარი საზოგადოდ შიგნით იყო მიმართული. თანაც მან თავის თავზე გამოსცადა ნიკოლოზ პირველის სადიზმის უკიდურესი ღონისძიება, როცა დასახვრეტად გამოიყვანეს, თოფები დაუმიზნეს და მორალურად დახვრეტილს ფიზიკური სიცოცხლე შეუნარჩუნეს.

აღნიშნული ობიექტური და ფსიქოლოგიური მიზეზების გამო დოსტოევსკის შეგნებული არსებობის გაბატონებულ შინაარსად იქცა მორალური ძიება. სწორედ სინიდისი სტკიოდა ქვეყანას და დიდ მწერალსაც სინიდისი და გული შესტკიოდა მასზე. მართალია, მორალური ძიების ერთადერთი გზა, არაა ფსიქოლოგიური ანალიზის გზა; არც საზოგადოების მორალური მოწესრიგების ერთადერთი გზაა თვითანალიზისა და თვითაღზრდის გზა; საზოგადოებრივი მორალის სრულყოფა უნდა მოხდეს საზოგადოებისავე მამოძრავებელ ძალთა მოწესრიგებით, ხოლო ეს მოწესრიგება დესპოტიზმის დამხობით იყო შესაძლებელი, მაგრამ უაღრესად რთული და ამჟამად ჩვენი კვლევაძიებისათვის სრულიად მიუწვდომელი ფსიქოლოგიური (და არა ობიექტური) მიზეზებისა გამო დოსტოევსკი არ დაადგა რევოლუციის გზას. პირიქით, მან რევოლუციასა და სოციალიზმს შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა. მაგრამ აქ ერთი გარემოებაა მეტად მნიშვნელოვანი: დოსტოევსკი ებრძვის არა თვითონ სოციალიზმს, როგორც ასეთს, არამედ იგი ებრძვის რევოლუციის როგორც თეორიას, ისევე პრაქტიკას, რადგან რევოლუცია ძალადობასთან, სისხლთან, კაცისკვლასთან არის დაკავშირებული. დოსტოევსკისთვის უმაღლეს ღირებულებას წარმოადგენს თვითონ ადამიანი. არავის არა აქვს უფლება მისი სიცოცხლის ხელყოფისა, მისი გამოყენებისა რაიმე მიზნის მისაღწევ საშუალებად. და აი, რევოლუცია რომ სისხლთან, მკვლელობასთან არის დაკავშირებული, ამ გარემოებამ მოახდინა გადამწყვეტი გავლენა: დიდ რუს ჰუმანისტს სისხლში შეაძულა რევოლუცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო სოციალიზმი კი — რევოლუციამ. დოსტოევსკის მთელი შეგნება ჩამოყალიბდა ისე რომ მან უარყო რევოლუციის გზით საზოგადოების ზნეობრივი მოწესრიგების იდეა, მაგრამ ეს უკანასკნელი დარჩა პრობლემად, რომლის გადაჭრის გარეშე საზოგადოების არსებობა შეუძლებელი ჩანდა. უაზრო იყო თვით მწერლის არსებობაც.

## III.

მაგრამ როგორ უნდა გადაიჭრას ეს პრობლემა? როგორ შეიძლება საზოგადოების ზნეობრივი მოწესრიგება? ამ კითხვის გადასაჭრელად უნდა მოძებნილიყო ჯერ თვით ზნეობის აუცილებელი პოზიტიური პრინციპი და შემდეგ კი — ის ადამიანური შესაძლებლობანი, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი გახდებოდა ზნეობრივი ადამიანის რეალური ჩამოყალიბება და შედეგად — საზოგადოების ზნეობრივი მოწესრიგება. ასეთ აუცილებელ აბსოლუტურ მორალურ პრინციპად დოსტოევსკიმ მიიღო სიყვარული. ისევე როგორც ემპიდოკლეს კოსმოგონიაში სამყაროს ერთიანობას ქმნის სიყვარულის ნივთიერება, ასევე დოსტოევსკისათვის საზოგადოებრივი ცხოვრების მაერთებელ უნივერსალურ ძალას წარმოადგენს ქმედითი სიყვარული.

მაგრამ სიყვარულის ცნება არსებითად ფსიქოლოგიური ცნებაა, ხოლო სიყვარული როგორც ფაქტი ფსიქიკური ფენომენია. თუ სიყვარული გამოცხადდება სოციალური მორალის აუცილებელ ქვაკუთხედად, მაშინ უნდა გამოკვლეულ იქნას ადამიანის სულიერი ცხოვრების საზღვრები და შესაძლებლობანი ნათელსაყოფად იმისა, თუ რამდენად დამახასიათებელია ეს ელემენტი ადამიანის სულიერი ცხოვრებისათვის, როგორაა იგი მოცემული, რასთანაა დაკავშირებული და რა ადგილი უჭირავს ამ დაკავშირებულ ელემენტთა მთლიანობაში. აი რა იწვევს, ჩვენი აზრით, დოსტოევსკის შემოქმედებაში შინაგანი ადამიანის ყოველმხრივი ანალიზის საჭიროებას; აი რატომ არ შეიძლება ლაპარაკი ამ შემოქმედებაში ფსიქოლოგიზმის არსებობის შესახებ.

ადამიანის შინაგანი ქვეყნის ანალიზისას დოსტოევსკის წინაშე დადგა საკითხი იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ზნეობრივი თვალსაზრისით ინტელექტის ძალა, აზროვნების უნარი; როგორ შეიძლება მისი გამოყენება ადამიანის ზნეობრივი მოწესრიგების საქმეში. ამ საკითხის განხილვას მეტად ფართო ადგილი აქვს დათმობილი დოსტოევსკის შემოქმედებაში და საბოლოოდ დადგენილია

(რასაკვირველია, მისთვის), რომ ინტელექტი ვერ გამოდგება ზნეობრივი ქცევის საფუძვლად, რომ ცოდნა იმისა, რაც საჭიროა, არ ნიშნავს კეთებას იმისა, რაც საჭიროა; რომ ზნეობის მიმართ ინტელექტი წარმოადგენს ისეთ ფორმალურ ძალას, რომლის გამოყენება ზნეობის სასარგებლოდ შეიძლება და მეტიც: თუ დაეხმარა, მაშინ მიიღწევა უმაღლესი მორალი, მაგრამ შესაძლებელია ისიც, რომ იგი მორალს დაუპირისპირდეს კიდეც და ამორალური ქცევის მოსარჩლის როლში გამოვიდეს. „მე იმიტომ ვარ ადამიანი, რომ შემიძლია ვიცრუოო“, ამბობს დოსტოევსკის ერთ ერთი გმირი და ამით მჭერალი მიუთითებს შემდეგზე: მართალია, ინტელექტი უდიდესი ძალაა ადამიანის ხელში, რადგან მხოლოდ იგი შეიძლება მისწვდეს ჭეშმარიტებას, მაგრამ ჭეშმარიტების ცოდნა არ ნიშნავს მის აღიარებას, თუ კი ეს აღიარება პიროვნებისთვის ხელსაყრელი არ არის. ინტელექტი ხედავს სიმართლეს, მაგრამ მან ისიც იცის, თუ როგორ დამალოს ეს სიმართლე, თუ ამას სიმართლის მხილველის ინტერესები მოითხოვენ.

პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში თავს იჩენს ხოლმე რომელიმე ვნება, რომელიც თანდათანობით ვითარდება და გაბატონდება ხოლმე. ეს იქნება პიროვნების წამყვანი ვნება, რომლის სასარგებლოდაც მუშაობს შემდეგ ინდივიდის მთელი სულიერი და ფიზიკური ძალები. კარგია, თუ ეს გაბატონებული ვნება მორალურად დადებით ფაქტს წარმოადგენს. მაგრამ დიდი უბედურებაა, თუ იგი მორალურად მანკიერია. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ინტელექტიც მანკიერების დამცველად გამოდის და საზოგადოებრივი თვალსაზრისით მით უფრო დიდი იქნება უბედურება, რამდენად უფრო ძლიერი იქნება ინტელექტი ამ მორალურად მანკიერ პიროვნებაში. საქმე იმაშია, რომ ამ შემთხვევაში ძლიერი ინტელექტი ქმნის თეორიებსაც კი მანკიერი ვნების გასამართლებლად და პიროვნებაც ამ თეორიის მიხედვით მოქმედებს. თუ ასეთი პიროვნების ნებისყოფაც ძლიერია, მაშინ საზოგადოების უბედურება განუზომლად იზრდება. ბუნებით ავაზაკია და მკვლელი სმერდიაკოვიცა („ძმები კარამაზოვები“) და ვერხოვენსკიც („ქაჯები“), მაგრამ პირველის გონება ჩლუნგია და ნებისყოფა — სუსტი. ამიტომ მან ერთი კაცი ძლივს მოკლა და ისიც სხვისი (ივანე კარამაზოვის) თეორიის დახმარებით. მეორე კი გონებრივადაც ძლიერია და ნებისყოფითაც ამიტომ იგი პროფესიული მკვლელია და ამ საქმეში არავისგან დახმარებას არ საჭიროებს. ასე რომ ინტელექტი და ნებისყოფა რომ უკიდურესად განვითარდეს ზნეობრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვად მანკიერ პიროვნებაში, იგი ქვეყანას ამოაგდებს. [illegible] ბანდიტი კაცობრიობის თავზე რისხვით მოსული [illegible] კრულვაა.

მაშ, სად უნდა ვეძიოთ ადამიანის ზნეობისათვის აუცილებელი საფუძველი? დოსტოევსკის აზრი ამ საკითხში ზღვრულად ნათელია: ემოციების სფეროში! კერძოდ — სიყვარულის სახით. მაგრამ ამ დებულების მიღებისთანავე დგება საკითხი: არის თუ არა ადამიანის შინაბუნება აგებული ისე, რომ შესაძლებელი იყოს მასში სიყვარულის გაბატონება. ამის გამოსარკვევად საჭიროა ანალიზი და აი იწყება კიდეც ეს ანალიზი. მაგრამ რადგანაც საკითხი შეეხება საზოგადოების ზნეობრივ მოწესრიგებას, ამიტომ ეს საკითხი შეეხება ყველა ადამიანს. ე. ი. არის თუ არა შესაძლებელი სიყვარულის გარდაქცევა გაბატონებულ გრძნობად ყველა ადამიანში. თუ კი — მაშინ მორალური მიზნის მიღწევა შესაძლებელია, თუ არა — მაშინ ან კაცობრიობა ზნეობრივად უნდა დაიღუპოს, ან რაიმე გამოსავალი უნდა იქნას მოძებნილი. საკითხის ასე დაყენებით დოსტოევსკი დგას ურთულესი პრობლემის წინაშე: როგორ უნდა მოექცეს საზოგადოება ადამიანთა იმ თუნდაც უმნიშვნელო ჯგუფს, რომელსაც სიყვარულის (და ამით ზნეობრივი მოწესრიგების) უნარი არ აღმოაჩნდება. ამ ადამიანთა დასჯა არ შეიძლება, რადგან პრინციპულად მიღებულია დებულება, რომ ადამიანია უმაღლესი ღირებულება და მისი სიცოცხლის ხელყოფა დაუშვებელია. ამაზე ქვემოთ. ჯერ ვნახოთ, თუ დაახლოებით რამდენი კატეგორიის ადამიანი შეიძლება ამ მხრივ არსებობდეს და რა შეიძლება მათგან გამოვიდეს. ცხადია, ასეთი კლასიფიკაცია თვითონ დოსტოევსკის არ მოუცია. ეს მხოლოდ ჩვენ ვცდილობთ დოსტოევსკის გმირთა საერთო რიცხვიდან დამახასიათებელი, ტიპიური ჯგუფები გამოვყოთ. ასეთი ჯგუფები იქნება: 1. ჯგუფი ადამიანებისა, რომელთაც უყვართ ყოველივე და ყველაფერი ყოველგვარი გამოძიების, განსჯის, დაეჭვებისა და კითხვის („რატომ?") დასმის გარეშე; 2. ადამიანები, რომელთაც უყვართ ყოველივე და ყველაფერი და იციან კიდეც რომ სიყვარული საჭიროა, რომ ადამიანი ასე უნდა მოიქცეს; 3. ადამიანები, რომელნიც სიყვარულის შესაბამისად იქცევიან; უყვართ კიდევაც, მაგრამ მხოლოდ ზოგი რამ და ზოგი ვინმე. ამავე დროს აქვთ სიძულვილის ძლიერი განცდაც; 4. ადამიანები, რომელთაც სძულთ უმთავრესად ან ინდიფერენტული არიან ემოციურად. რაოდენობის მიხედვით რომ ვიანგარიშოთ, პირველი და მეორე ჯგუფის წარმომადგენელნი ძალზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცირეა, მესამისა — ძალზე დიდი, ხოლო მეოთხე — საერთოდ მცირეა, მაგრამ პირველსა და მეორეზე უფრო დიდი.

რომელია ამათ შორის ზნეობრივად ყველაზე უფრო მისაღები და საიმედო? ვფიქრობთ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ დოსტოევსკის ზნეობრივ იდეალს ყველაზე უფრო მეორე ჯგუფის ადამიანები შეესაბამებიან. ასე ვფიქრობთ შემდეგი ფაქტობრივი მონაცემებისა გამო: არის მრავალი მაგალითი დოსტოევსკის შემოქმედებაში, რომ პირველი ტიპის ადამიანები, განსჯის უქონლობის გამო, ხშირად ფაქტიურად ამორალურად იქცევიან, თუმცა ამის არც განზრახვა აქვთ და არც ხალისი. თანაც ესენი ჯერ კიდევ ვერ ამაღლებულან სრულყოფილი ადამიანის დონემდე, რადგან ჯერ არ უგემნიათ ნაყოფი ხისაგან ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა; რადგან ისინი ობიექტურად კეთილნი არიან, მაგრამ არაფერი იციან ამის შესახებ და ამიტომ სიკეთისათვის სიკეთე ვერ დაურქმევიათ, ხოლო ბოროტებისათვის — ბოროტება. ამ ჯგუფის ყველაზე მკაფიო წარმომადგენელია სონია მარმელადოვა („დანაშაული და სასჯელი"). იგი მეტად საყვარელი, მაგრამ ოდნავ სასაცილო ადამიანია. მისი პიროვნება მთლიანად შთანთქმულია სიყვარულში. მისი მანავანი ცხოვრების ერთად ერთი ფორმაა სიყვარული. ამიტომ იგი საყვარელია. მაგრამ იგი ამორალურად იქცევა, ზნეობრივ დანაშაულს სჩადის. მწერლის შეხედულებაა გამოთქმული სონიასადმი რასკოლნიკოვის მიმართვაში — ჩვენ ორივენი ბოროტმოქმედი ვართ; ჩვენ ორივემ ადამიანის სიცოცხლე გავსწირეთ: მე მევახშე დედაბრისა, შენ — შენი საკუთარიო. სონია იმდენად ზნეობრივია, იმდენად მოყვარული, რომ იგი მზად არის ზნეობრივი მოთხოვნილებისათვის უზნეობაც ჩაიდინოს, მაგალითად, სხეულით ივაჭროს ღატაკი ნათესავების დახმარების მიზნით. და რამდენად მიუღებელია ზნეობრივი საქმე უზნეობის საშუალებით, იმდენადვე ნაკლოვანია სონია მარმელადოვას სახე, მისი ჯგუფის ადამიანები საერთოდ. თანაც ამ ჯგუფის ადამიანებისათვის ერთი დიდი საფრთხეა მოსალოდნელი: რადგან ამათ ჯერ კიდევ არ უგემნიათ შემეცნების სიტკბო, ამიტომ როცა მათში შემეცნება გაიღვიძებს, შეიძლება მორალურად ყალბ გზას დაადგნენ. ასე მოუვიდათ, მაგ., იმ ქვეყნის მცხოვრებთ, რომელიც სიზმარში იხილა სასაცილო ადამიანმა („სასაცილო ადამიანის სიზმარი"). არსებობს აუცილებლობა, რომ ადამიანი შემმეცნებელი უნდა იყოს. უამისოდ იგი ადამიანად ვერ ჩაითვლება. ამიტომ ის, ვინც აქამდის არ ამაღლებულა, ვის ცნობიერებასაც მხოლოდ ერთი ორგანო აქვს —

განუსჯელი სიყვარული, იგი მორალის უმაღლეს მოთ[illegible] ვერ დააკმაყოფილებს, რადგან შესაძლებელია მორ[illegible] ამორალური გზით განახორციელოს. მაშასადამე, აქ ნამდვილი მორალი არ არის. არ არის ნამდვილი მორალი მიუხედავად იმისა, რომ არის მისი აუცილებელი პირობა — სიყვარული. ამ კატეგორიის ადამიანებს წინ უძევთ მეტად დიდი და სახიფათო გზა — გაიარონ შემეცნების ბეწვის ხიდზე ისე, რომ ყოვლად ძლიერი სიყვარული შეინარჩუნონ, არ დაუშვან მცდარი წანამძღვრები, მოიყვანონ ჰარმონიაში სიყვარული და გონება და ასე უზრუნველყონ საზოგადოების მოწესრიგება. დოსტოევსკისათვის ყველაფერი ეს შინაგანი გამოცდილების საქმეა. ინტელექტუალური და მორალური მოწესრიგება თვითშეგნების, თვითაღზრდის გზით უნდა მოხდეს.

გაცილებით უფრო დიდი სიძნელის წინაშე დგანან მესამე ჯგუფის ადამიანები. მათში არსებობს თანაბარი შესაძლებლობა როგორც მორალური, ისე ამორალური განვითარებისა, რადგან მათში არის გრძნობა სიყვარულისაც და სიძულვილისაც. ამავე დროს ისინი მეტ-ნაკლები სიძლიერის გონებით, ლოგიკური მსჯელობის უნარით არიან დაჯილდოებული. გონებას, ლოგიკურ აზროვნებას თავისი გზა და მოქმედების სფერო აქვს. მისი საქმე ჭეშმარიტების დადგენაა. მაგრამ როდესაც საქმე შეეხება ზნეობის საკითხებს, ზნეობრივ ჭეშმარიტებებს, მაშინ გონებამ ამოსავალ წერტილად, წანამძღვრებად უნდა აიღოს სიყვარულით ნაკარნახევი მსჯელობები და არა ეგოისტური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გამოგონილი ყალბი პოსტულატები. ამ ჯგუფის ადამიანთა შინაგანი გარდაქმნა უნდა მოხდეს იმ მიმართულებით, რომ მათში გაბატონებულ ვნებად იქცეს სიყვარული. სიყვარული უშუალოდ განაცდევინებს ადამიანისადმი უაღრეს პატივისცემას და ამის საფუძველზე დადგინდება ამოსავალი თვალსაზრისი მორალური დასკვნებისათვის. მაშინ დადგინდება ის, რომ ადამიანია უმაღლესი ღირებულება, რომ იგი თვითონაა მიზანი კაცობრიობის ისტორიისა და არავის არ აქვს უფლება ადამიანი ისტორიის მასალად, მიზნის მისაღწევ საშუალებად გამოიყენოს. თუ სიყვარული არ იქნა გაბატონებული, თუ მას სიძულვილმა წაართვა უპირატესობა, მაშინ მორალური მსჯელობაც ისევე მანკიერი იქნება, როგორც მის ამოსავალ წერტილად გამოყენებული გრძნობა სიძულვილისა. ამ ტიპის მრავალი წარმომადგენელია მოცემული დოსტოევსკის რომანებსა და მოთხრობებში, მაგრამ ყველაზე უფრო დამუშავებული, გარკვე-

ული და გამოკვეთილი არიან: რასკოლნიკოვი („დანაშაული და სასჯელი"), ივანე კარამაზოვი („ძმები კარამაზოვები"), [illegible] კირილოვი („ქაჯები")... ყველა ამათ უყვართ ადამიანები, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ. ასევე ნაწილობრივ სძულთ. ნამდვილ ადამიანურ ცხოვრებასთან დაკავშირებული არიან ესენი იმდენად, რამდენადაც გააჩნიათ სოციალურად პოზიტიური ძალა — სიყვარული. ამით ისინი ღებულობენ ცხოვრებას, აღიარებენ თავიანთი მორალური არსებობის ფაქტს და ღებულობენ მას. მაგრამ მათშია აგრეთვე გრძნობა სიძულვილისა — სოციალურად ნეგატიური ელემენტი და ამის გამო ისინი წყდებიან ცხოვრებას, ვერ ღებულობენ არსებობას ისე, როგორც ის არის; აღიარებენ თავიანთ არსებობას, მაგრამ ვერ ღებულობენ მას როგორც გონივრულს, გამართლებულს, საჭიროსა და სასარგებლოს. აქედან: მისწრაფება გარდაქმნისადმი. მაგრამ გარდაქმნა, მათი აზრით, უნდა მოხდეს არსებული ქვეყნისა; უნდა გარდაიქმნას ქვეყანა მათი ეგოისტური ზრახვების შესაბამისად. სიძულვილი ადამიანებისადმი აიძულებს მათ, ამოსავალ წერტილად მიიღონ მცდარი წანამძღვარი და ამაზე აშენონ თავიანთი მორალურად მანკიერი თეორიები. ასეთი მანკიერი თეორია რასკოლნიკოვის თეორია, რომლის მიხედვითაც, ადამიანები დაყოფილი არიან ისტორიის წამყვანად და ისტორიის მასალად და როგორც ლოკომოტივის მემანქანეს არა თუ უფლება აქვს, არამედ ევალება კიდეც ხარჯოს საწვავი მასალა მანქანის წასაყვანად, ასევე ისტორიის წამყვანთ უფლება აქვთ „ხარჯონ" ადამიანები იმისათვის, რომ ისტორიის ლოკომოტივი აამოძრაონ. აქედან გამოდის მისი ამორალური საქციელი — კაცისკვლა. ამას მოსდევს უდიდესი შინაგანი დუღილი, სინიდისის ქენჯნა, უძლიერესი კრიზისი, შეშლილობის საზღვრამდე მისვლა და... განახლება, მორალური დაბადება, ახალი ცხოვრების დასაწყისი, საზოგადოებრივი ადამიანის წარმოშობა სიყვარულის გამარჯვების სახით.

კიდევ უფრო მძიმეა ივანე კარამაზოვის ბედი. მას ტანჯავს ის, რომ ქვეყნის არსებობის გონივრულობა ვერ დაამტკიცა; მიიღო (თითქოს), აღიარა ღმერთი, მაგრამ მისი გაჩენილი ქვეყანა ვერ მიიღო და ამით თვით ღმერთიც უარყო ფაქტიურად და ქვეყანაც. გენიალური გულთამხილავი მწერალი საოცარი პლასტიკურობით აგვიწერს შინასამყაროს იმ ადამიანისას (ივანე კარამაზოვისა), რომლის სულშიაც იბრძვის ორი დაპირისპირებული ძალა: უდიდესი სიყვარული ადამიანისადმი და უდიდესი ზიზღი მისდამი. მას იმდენად უყვარს ადამიანი, რომ ერთადერთ ბავშვსაც კი ვერ გასწი-

რავდა კაცობრიობის გასაბედნიერებლად. შეუძლებელია აღუშფოთვებლად წაიკითხოთ „ძმები კარამაზოვების“ ის ადგილი, სადაც ივანე ეკითხება თავის უმცროს ძმას ალიოშას: რომ შეიძლებოდეს მთელი კაცობრიობის გადარჩენა ყოველგვარი ტანჯვისაგან, მისი სამარადისო გაბედნიერება და ამისათვის საჭირო იყოს ერთადერთი ბავშვის წამებით სიკვდილი და ეს უზენაესი ძალა ხელთ გქონდეს, რას იზამდი მაშინო. ტექსტში აშკარად ჩანს, რომ თვითონ ივანე ვერ გასწირავდა ერთ ბავშვს, ვერ გასტანჯავდა მას, რადგან ტანჯვა ტინჯვაა ერთისაც და მილიონისაც, რადგან, როგორც განცდა, მილიონის ტანჯვა არაფრით არაა მეტი ერთის ტანჯვაზე და არც ერთეულის ტანჯვაა ნაკლები მილიონისაზე. მაგრამ ასევე შეუძლებელია წაიკითხოთ აღშფოთების გარეშე ის ადგილები იმავე რომანიდან, სადაც იგივე ივანე ერთმანეთზე მტრულად გადაკიდებულ საკუთარ მამასა და ძმაზე ამბობს „ერთი ბილწი შემუსრავს მეორე ბილწსო“, ან ის ადგილი, სადაც კათოლიკური ეკლესიის კარდინალი, დიდი ინკვიზიტორი თვითონ ქვეყნად ჩამოსულ ქრისტეს აპატიმრებს, მძიმე დანაშაულად უთვლის მას ადამიანებისადმი თავისუფლებისა და სიყვარულის მინიჭებას, რადგან „ბრბოსთვის თავისუფლება უმძიმესი ტვირთია“ და მადლს შვრება არა ის, ვინც მას ნამდვილ თავისუფლებას მიანიჭებს, არამედ ის, ვინც თავისუფლების დემაგოგიური ქადაგებით ნამდვილ თავისუფლებას წაართმევს, მონად გაიხდის და ისე დააბეჩავებს, რომ ყოველი ლუკმა პურის სამადლო გადმოგდებაზე განმათავისუფლებელი, ბრძენი მამა და მასწავლებელი უწოდონ იმას, ვინც ნამდვილად მონად გაიხადა, თავისუფლება წაართვა, დააბეჩავა. ივანე კარამაზოვის ამგვარი ფილოსოფიით შთაგონებული, ბუნებით კაცისმკვლელი სმერდიაკოვი კლავს ივანეს მამას, ძარცვავს მას და ივანესავე სთავაზობს ნაძარცვს. ივანეს შინაგანი ქვეყანა ვერ უძლებს ამ სიბილწეს. მცდარი წანამძვრებიდან ამოსულმა მისმა აზროვნებამ პრაქტიკულად მკვლელობის აპოლოგიის ფორმა მიიღო. აქამდის მისვლა არ სურდა ივანეს. მასში არის სიყვარულის უნარი. და შეძრწუნდა ყალბ გზაზე დამდგარი მართალი სული. აქაც კრიზისი, შეშლილობამდის მისვლა, სინიდისის ქენჯნა, „ეშმაკთან საუბარი“, უგრძნობლად დაცემა, ავადმყოფობა და... ახალი, საზოგადოებრივი, ზნეობრივი ადამიანის დაბადება.

ნათელი უნდა იყოს, რომ არც რასკოლნიკოვისა და არც ივანე კარამაზოვის შემთხვევაში ავადმყოფური სულიერი მდგომარეობა „მკითხველის სატანჯავად“ არაა გამოგონილი!

ამ ტიპის ადამიანთა ტრაგიკული ბედი ძნელად წარმოსადგენ დაძაბულობას აღწევს კირილოვის („ქაჯები“) შემთხვევაში. კირილოვს არ აკლია სიყვარულის უნარი, მაგრამ ეს გრძნობა ვერ გარდაქცეულა ქმედით, აქტიურ, გაბატონებულ ძალად. კირილოვი მთლად შთაუნთქავს ფიქრებს იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ადამიანი, აქვს თუ არა ადამიანს თავისუფალი ნება. ეს პრობლემა მას დაუკავშირებია ღვთის არსებობის პრობლემასთან და შეუქმნია ასეთი თეორია: თუ ღმერთი არსებობს, მაშასადამე, მთელი ძალაუფლება მას აქვს. მაშინ ადამიანისთვის თავისუფლება გამორიცხულია, ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ სიცოცხლე არ ღირს; არსებობას აზრი არა აქვს. მაგრამ, თუ ღმერთი არსებობს, თავს ვერ მოიკლავ, რადგან შენი სიცოცხლეცა და სიკვდილიც იმის ხელთაა. ამიტომ კირილოვი შთანთქმულია თვითმკვლელობაზე ფიქრებში: თუ შესძელი თავის მოკვლა, მაშინ განახორციელებ შენს უფლებას და, მაშასადამე, შენ თვითონ გახდები ღმერთი. და რომ ღმერთკაცად ქცეულიყო, კირილოვმა თავი მოიკლა...

მეორე კატეგორიის ადამიანები კი, შეიძლება ითქვას, ზნეობრივი ყოფნა-არყოფნის საზღვართან, უფსკრულის პირას დგანან. ინდიფერენტიზმი და სიძულვილია მათი წამყვანი პათოსი. მაგრამ ესენი არსებობის ნეგატიური ელემენტებია, დოსტოევსკის აზრით, და მათს მფლობელს არსებობის უფლება არა აქვს. რა არის მათი ხვედრი? ცხადია, სიკვდილი! მაგრამ ამ შემთხვევაში დგება ასეთი საკითხი: ვინ უნდა მოკლას ესენი? ვინ უნდა მოაშოროს საზოგადოებას ეს ხორცმეტი, ეს მავნე ელემენტები? თავისთავად ცხადია, რომ დოსტოევსკის ზნეობრივი იდეალი არავის მისცემს უფლებას, რომ ესენი სიკვდილით დასაჯოს. ადამიანი, ვინც უნდა იყოს იგი და როგორიც უნდა იყოს იგი, ხელუხლებელია. მისი სიცოცხლის ხელყოფა დაუშვებელია. სასამართლოს შეუძლია თავისუფლების აღკვეთით დასაჯოს დამნაშავე, მაგრამ, დოსტოევსკის აზრით, ციხეში ყოფნა ან საკატორღო მუშაობა დასაშვებია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც შეიძლება იქ ადამიანი გამოსწორდეს. გამოსწორება კი შესაძლებელია მხოლოდ სინიდისის ქენჯნის, დანაშაულის შინაგანი აღიარებისა და სინანულის საშუალებით. სინიდისის ქენჯნა, სინანული შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა პიროვნებაში არსებობს ამის საფუძველი. პოზიტიური ემოციის სახით, როცა სული არაა გამოქმული ნეგატივიზმისა და ნიჰილიზმის მღრღნელი ჭიისგან, როცა აღიარებ არსებობის კანონიერებას, როცა ღებულობ ქვეყანას. მაგრამ ასეთი რამ ამ ადამიანებს არ გააჩნიათ.

მაშინ გამოდის ისე, რომ ამათგან თავის დახსნა კაცობრიობას არ შესძლებია: სიკვდილით ვერ დასჯით მათ, რადგან ადამიანის სიცოცხლის მოსპობა შეუძლებელია პრინციპულად, ხოლო [illegible]ლაციაც უაზროა, რადგან ამით მიზანს ვერ მიაღწევთ. მაშ სად არის გამოსავალი?

მართალია, აღნიშნულ ღონისძიებათა გატარება ამათ წინააღმდეგ არ შეიძლება, მაგრამ ეს არც კია საჭირო. არაა საჭირო იმიტომ, რომ ამ ტიპის ადამიანთა არსებობა ისედაც განწირულია. განწირული არიან იმიტომ, რომ ესენი შინაგანად დაცლილი არიან და როგორც კი ამაში თვითონაც დარწმუნდებიან, მაშინვე თავს მოიკლავენ. ნეგატიური შინაარსით არსებობა არ შეიძლება, რადგან ნეგატივიზმი მორალური არარაობაა, ხოლო არარაობას არ შეუძლია უზრუნველყოს ადამიანის აოსებობა. დარწმუნდებიან ამ ტიპის ადამიანთა ყველაზე უფრო გამოკვეთილი წარმომადგენლებია: სვიდრიგაილოვი („დანაშაული და სასჯელი"), სმერდიაკოვი („კარამაზოვები"), სტავროგინი, ვერხოვენსკი („ქაჯები")... ამათ სოციალური ცხოვრება არა აქვთ, რადგან არა აქვთ სოციალურად აქტიური ელემენტი შინაგან სამყაროში. მათში გაბატონებული პათოსი სიძულვილია, რომელიც არარაობას წარმოადგენს და როგორც კი ეს არარაობა შეიმეცნება, ესენიც თავს მოიკლავენ. ასე მოიქცა სვიდრიგაილოვი, ასე მოიქცნენ სმერდიაკოვიც, სტავროგინიც. განსაცვიფრებელია და თან შემაძრწუნებელი ის ცინიზმი, რომლითაც ესენი ადამიანის სიცოცხლეს ეპყრობიან. მათ შორის საკუთარ სიცოცხლესაც. ეს იმიტომ, რომ მათთვის ადამიანი რაღაც მიზნის მისაღწევი საშუალებაა, მასალაა, რომელიც რაღაცისთვის უნდა დაიხარჯოს. მაგრამ არც მათი მიზანია რაიმე ღირებული თავისთავად. ან რა უნდა იყოს ისეთი მიზანი, რომლის განხორციელება ღირდეს იმად, რომ „ციცერონს ენა მოჭრა, კოპერნიკს თვალები დასთხარო, შექსპირი ქვით ჩაქოლო" („ქაჯები"). ამ ადამიანთა მიზნის განხორციელება კი სწორედ ამ მსხვერპლს მოითხოვს. მაგრამ ეს ხომ ბოდვაა ცნობიერების მქონე ცხოველისა. და ეს ბოდვა შეწყდება მისთა ავტორთა თვითმკვლელობით, შეწყდება, რადგან მათთვის ადგილი აღარ რჩება არც ცხოველთა შორის, არც ადამიანთა შორის.

მაშ, ვინ არის საზოგადოების მორალური დასაყრდენი, მისი სინიდისისა და ნამუსის ალამდარი? დოსტოევსკის აზრი აქაც ნათელია: ესენია ჩვენ მიერ ზემოთ მეორე რიგითი ნომრით აღნიშნული ადამიანები — ბერთაუხუცესი ზოსიმე („კარამაზოვები"), სა-

საცილო ადამიანი („სასაცილო ადამიანის სიზმარი“), ალიოშა კარამაზოვი... განსაკუთრებით ეს უკანასკნელი, ვინ არიან ისინი, რა უპირატესობა აქვთ მათ ისეთი, რომ მორალური ღირსების მაქსიმუმი დააკმაყოფილონ?

ამათი უპირატესობა ისაა, რომ მათ აქეთ გაბატონებული, ყველაფრის დამძლევი და ყველაფრის შემცველი პოზიტიური გრძნობა — გრძნობა სიყვარულისა, რომელიც განათებულია ცნობიერებით, იმის შეგნებით, რომ ადამიანები უნდა გიყვარდეს და იქადაგო კიდეც ეს სიყვარული. ამათ ახასიათებთ ქმედითი სიყვარული, მსხვერპლის გამღები სიყვარული, დამთმობი სიყვარული. ამ ადამიანებს გზას უნათებს სიყვარული, ხოლო მათი გონება ადამიანის შესახებ მსჯელობისას ამოდის ამ სიყვარულით შეპირობებული წანამძღვრებიდან. ამის გამო მათ არ შეუძლიათ შეხედონ ადამიანს როგორც საშუალებას; პირიქით, მათი აზრით, ყოველგვარი საშუალება უნდა გამოყენებულ იქნას ადამიანის ბედნიერებისა, თავისუფლებისა და ხელშეუხებლობისათვის. დათმე, შეიწყნარე, დამშვიდდი, შეიყვარე — აი მათი დევიზი. „დამშვიდდი, ამაყო ადამიანო! შეიცან თავი შენი, დაეუფლე შენსავე თავს და იხილავ უკვდავსა და მარადიულ სიმართლეს“ („სიტყვა პუშკინზე“), ქადაგებს დიდი რუსი გულთამხილავი. ამ იდეის მქადაგებელია მისი გმირები, რომელნიც მორალური იდეალის განსახიერებათ ჰყავს გამოყვანილი დოსტოევსკის. „მე ვიხილე ჭეშმარიტება და უნდა ვიქადაგო იგი; უნდა ვიქადაგო სიყვარული, რადგან *არა მგონია ბოროტება წარმოადგენდეს ადამიანთა ნორმალურ მდგომარეობასო*“, ქადაგებს სასაცილო ადამიანი, მას არ შეუძლია არ იქადაგოს სიყვარული, რადგან სიყვარულის სამეფოს ხილვამ სიზმარში გადაარჩინა თვითონ იგი თვითმკვლელობას (მას თავი უნდა მოეკლა. ამ გადაწყვეტილებით რევოლვერი მიიდო შუბლზე... მაგრამ ოდნავ დააყოვნა. ჩაეძინა... სიზმარში იხილა სიყვარულის სამეფო).

ნიშნეულია, რომ სიყვარული, დამშვიდება, დათმობა და შეწყნარება წარმოადგენენ ისეთ პოზიტიურ ელემენტებს, რომელნიც ადამიანის სოციალური ყოფნის სადარაჯოზე დგანან და ამით თვითონ სიცოცხლის სადარაჯოზედაც. ესენი თვითმკვლელობის გადაწყვეტილებასაც კი შეაცვლევინებენ ადამიანს, რადგან ავსებენ მას შინაარსით, გარკვეული რაობით, ავსებენ ყოფნის ენთუზიაზმით არარაობად ქცეულ, შინაგანად დაცლილ სულს. სიყვარული შინაგანი, უშუალო და ურეფლექსიო „დასაბუთებაა“ ადამი-

ანის არსებობისა. იგი დაცვაა ადამიანის უზენაესი [illegible] ლაფერი ამის შეგნება კი ლოგიკური დასაბუთებაა [illegible] რივი ზნეობისა, აპოლოგიაა სოციალურად ღირებული ადამიანისა. ამიტომ ადამიანობის იდეალია ისეთი პიროვნება, რომელსაც გზას უნათებს ყოვლად ძლიერი და ყოვლის შემძლე სიყვარული, ხოლო გონება კი მიდის, მიჰყვება ამ ნათელ ზოლს და ასაბუთებს, ლოგიკური კატეგორიებით ამტკიცებს იმას, რაც უშუალოდ უკვე დანახულია. ესაა ადამიანური, უაღრესად ადამიანური ფორმა არსებობისა. ესაა შინაგანი მოწესრიგება, ჰარმონია ცალკეული პიროვნებისა და აუცილებელი პირობა ზნეობრივად მოწესრიგებული საზოგადოებისა. ამის გამო ადამიანები უნდა ამაღლდნენ ამ დონემდე. ესენი დგანან მწვერვალზე ზნეობრივი არსებობისა. აქ უნდა ამოვიდეს ყველა, თორემ ისე ადგილი არ ექნება საზოგადოებაში. ხოლო თუ საზოგადოებაში არ ექნა ადგილი, მაშინ მისი ფიზიკური არსებობაც გაუმართლებელია და ამიტომ საერთოდ უნდა უარი თქვას არსებობაზე. მაგრამ ყველაფერი ეს უნდა მოხდეს პიროვნების შინაგანი მოწესრიგების საფუძველზე. შინაგანი მოწესრიგება კი მოითხოვს ჯერ ამ შინაგანისავე ანალიზს, ფსიქიკურის ანალიზს, ე. ი. იმის დადგენას, თუ რა შეუძლია ადამიანს, რა გააჩნია მას ისეთი, რომელზედაც შეიძლებოდეს ბედნიერების აშენება და ამის შემდეგ კი ქადაგება იმისა, რაც დადებითია, მისაღები და აუცილებელი ამ ბედნიერი ცხოვრებისათვის. ამ საქმეს ემსახურება დოსტოევსკის შემოქმედება თავისი შინაარსით. ამ შინაარსობრივ მონაცემებზეა აგებული თ. მ. დოსტოევსკის უდიდესი მხატვრული მემკვიდრეობა. ცხადია, აქ ფსიქოლოგიზმზე ლაპარაკი მხოლოდ გაუგებრობით შეიძლება იყოს გამოწვეული.

მაგრამ ადამიანის შინაგანი ქვეყნის შესწავლა მრავალ სიძნელესთანაა დაკავშირებული ამ სინამდვილის სირთულის გამო. კიდევ უფრო ძნელია იმის ჩვენება, თუ როგორ მიმდინარეობს ამ სინამდვილის ელემენტთა შინაგანი დაპირისპირება და ადამიანში კეთილი საწყისის გამარჯვება, ან მისი დამარცხება და ბოროტების, უარმყოფელობის, სიძულვილისა და შეუწყნარებლობის ზეიმი. ეს პროცესი მშვიდობიანად არ მიმდინარეობს ადამიანის შინაგან სამყაროში. ეს პროცესი უაღრესი შინაგანი გამძაფრების პროცესია, კრიზისია და, მაშასადამე, სიგიჟის მიჯნაზე დგომა. მისი ნამდვილი ჩვენება იწვევს ამ კრიტიკული მდგომარეობის გამომხატველი გმირების დახატვას. დოსტოევსკიმ, როგორც უდიდესმა რეალისტმა, განსაცვიფრებელი სისრულით დაგვიხატა ეს გმირები.

ცხადია, აქ მკითხველის საწამებლად განგებ გამოგონილი გმირე-ბის გამოყვანაზე ლაპარაკი მხოლოდ გაუგებრობით უნდა იყოს გამოწვეული.

(შემოვიდა რედაქციაში 15. IV. 1956).

М. Б. ЗАРКУА

## К ВОПРОСУ О Т. Н. ПСИХОЛОГИЗМЕ В ТВОРЧЕСТВЕ Ф. М. ДОСТОЕВСКОГО

(Опыт принципиального исследования)

1. В данной статье автор пытается доказать, что наблюдаемый во всем творчестве Достоевского тщательный анализ глубинных психических явлений, с одной стороны, и склонность показать массу психически ненормальных героев, с другой, следует рассматривать как вполне законный способ искания содержаний художественных произведений и, следовательно, отнюдь не как противоречащее принципу художественного творчества самоволие писателя, или как злое намерение автора мучить своего читателя показом внутренне терзающихся сумасбродов, или, наконец, как психологизм, в известном (отрицательном) смысле этого понятия.

2. Выработанная под непосредственным влиянием духа времени, общая направленность личности Достоевского заставляла его искать высшие нормы общественной морали, вообще, и наилучшие формы ее эмпирического проявления, в частности. Отсюда — глубочайшие философские искания (правда, подчас доходящие до крайнего религиозного мистицизма), с одной стороны, и тончайший анализ глубинных человеческих переживаний, — с другой.

3. Высшей формой общественной морали Достоевский считает смиренную и мирную гармонию, обеспечивающую глубокое уважение и абсолютную неприкосновенность к человеческой личности, а необходимой формой ее эмпирического проявления — деятельную любовь, способную довести человека до самопожертвования. Ненависть же — это только негативная, разрушающая сила бытия.

4 При такой постановке вопроса требовалось основательное исследование пределов и возможностей человеческого духа; установление того, насколько способен реально существующий человек к самоотверженной любви и терпимости. Отсюда — тщательный анализ душевных способностей человека.

5. Вследствие психологического анализа оказалось, что человеку присущи равным образом как любовь и доброта, так и вражда и ненависть. Моральное же усовершенствование человека требует полного уничтожения злобы, вражды и ненависти и безраздельного господства любви. Процесс борьбы для окончательного восторжествования любви (добра) над ненавистью (злом) в человеческой душе происходит не гладко и спокойно, а с величайшим внутренним напряжением, доходящим нередко до грани безумия и сумасшествия. Отсюда — выдвижение многих психически ненормальных героев в романах Достоевского.

Следовательно, несправедливо говорить о психологизме и тем более о преднамеренном истязании читателя в творчестве Ф. М. Достоевского.

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური
ინსტიტუტის შრომები, XV, 1956.
Труды Кутаисского Государственного Педагогического
Института имени А. Цулукидзе, XV, 1956.
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლ. ტოროშელიძე

# ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტი

სახალხო უნივერსიტეტების წარმოქმნა როგორც საზღვარგარეთ, ასევე ჩვენშიც გარკვეულმა პირობებმა განსაზღვრა. კაპიტალიზმის განვითარებამ, მანქანური წარმოების, მრეწველობის გაძლიერებამ, საწარმოო საშუალებებზე კერძო საკუთრებისა და შრომის დაქირავებული სისტემის არსებობამ დაჩაგრულთა და უუფლებოთა წინაშე ცოდნის აუცილებლობის საჭიროება დააყენა. სწორედ ამ დროს ჩაეყარა ინგლისში საფუძველი საჯარო ლექციების კითხვას. 1867 წელს კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორის, ჯემს სტიუარტის ინიციატივით დაარსდა პირველი სახალხო უნივერსიტეტი.

ამერიკაში 70-იან წლებში გავრცელდა საჯარო ლექციების კითხვა. იქ სახალხო უნივერსიტეტის პიონერი იყო ადამსი.

დანიაში, ნორვეგიასა და შვეციაში 1943 წელს დაარსდა ე. წ. საგლეხო უნივერსიტეტი. პარიზში ცნობილი იყო მარია ანტუანეტას სახელობის სახალხო უნივერსიტეტი.

რუსეთში 70-იან წლებში დაარსდა სახალხო უნივერსიტეტები. ქ. ნოვოროსიის ბუნებისმეტყველთა საზოგადოებამ 1871 წელს ოდესაში მოაწყო ლექციების კითხვა. 90-იან წლებში ლექციებს სისტემატურად კითხულობდნენ სხვა ქალაქებშიც: ხარკოვში, ყაზანში, სარატოვში, ნოვგოროდში, პეტერბურგში, ნიკოლაევსა და სხვაგან, მაგრამ არსებული პოლიტიკური ვითარება ხელს უშლიდა ასეთი დაწესებულებების განვითარებას. მაშინდელ სახალხო უნივერსიტეტებში მეცნიერული თვალსაზრისით ლექციები დაბალ დონეზე იდგა, ამ შემთხვევაში გამონაკლისს შეადგენდა მოსკოვის ა. ლ. შანიავსკის სახელობის სახალხო უნივერსიტეტი.

1906 წელს სახალხო უნივერსიტეტები მეტწილად გახსნილ იქნა დიდ საგუბერნიო ქალაქებში, მოსკოვსა და პეტერბურგში.

იმავე წელს სახალხო უნივერსიტეტები დაარსდა რიგაში, ტომსკში, ვარშავაში, რადომში, ორენბურგში, სიმფეროპოლში, სარატოვში, ეკატერინობურგში.

1908 წელს შედგა სახალხო უნივერსიტეტების წარმომადგენელთა I ყრილობა.

სახალხო უნივერსიტეტის წარმოქმნის საჭიროება დღის წესრიგში დადგა საქართველოშიც.

დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ სიმონის-ძე გოგებაშვილი 1905 წელს დაწერილ სტატიაში „სახალხო უნივერსიტეტი ჩვენში“ ცოდნისა და ენის გამდიდრებისათვის მარტო სახალხო სკოლებს არ თვლის საკმარისად და მოითხოვს საქართველოს ყოველ კუთხეში დაარსებას ქართული სახალხო უნივერსიტეტებისას, სადაც ხმარებაში იქნება ქართული ცოცხალი სიტყვა. ი. გოგებაშვილის აზრით, ხალხის განათლება ნათელ პედაგოგიურ გზაზე რომ დავაყენოთ, დაუყოვნებლივ „უნდა დავაარსოთ საქართველოს ყოველ სოფელში ჯერ ქართული წერა-კითხვის სკოლები, სახალხო სკოლები, და ბოლოს ქართული სახალხო უნივერსიტეტები“ [1].

მართლაც, 1907 წელს თბილისში დაარსდა პირველი სახალხო უნივერსიტეტი. თბილისმა მაგალითი მისცა საქართველოს დანარჩენ ქალაქებს: ბათუმს, ფოთს, ჭიათურას, სოხუმს და, რასაკვირველია, ქუთაისსაც არ აუვლია გვერდი ასეთი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის.

1908 წლის იანვარში ქუთაისის რამდენიმე ინტელიგენტმა იკისრა სახალხო უნივერსიტეტის დაარსება. მათ უნივერსიტეტის წესდების პროექტი წარუდგინეს გუბერნატორს, მაგრამ მისგან უარი მიიღეს, რის გამოც კარგა ხანს მიყუჩდა ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის დაარსების საქმე. მხოლოდ 1909 წლის 11 აპრილს პეტრე ყიფიანის, კიტა აბაშიძისა და ი. ბაქრაძის თაოსნობით ადგილობრივმა ადმინისტრაციამ დაამტკიცა ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის წესდება, რომელიც ითვალისწინებდა პროვინციებში ფილიალური განყოფილებებისა და სკოლების დაარსებას, საღამოს კურსების მოწყობას.

1909 წლის 25 აპრილს ქუთაისში ალ. გარსევანიშვილის ინიციატივით დაარსდა სახალხო უნივერსიტეტი, რომელსაც პირველ ხანებში თავმჯდომარეობდა მ. ქიქოძე, ხოლო თავმჯდომარის მოადგილე (როგორც მაშინ ეძახდნენ, ამხანაგი) იყო თვით ალ. გარსევანიშვილი. მ. ქიქოძე სახალხო უნივერსიტეტის თავმჯდომარედ დიდხანს არ ყოფილა. მისი ადგილი დაიჭირა ალ. გარსევანიშვილმა,

---

[1] ი. გოგებაშვილი, პედაგოგიური თხზულებანი, ტ. II. სახელგამი, 1940 გვ. 444.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის არსებობის განმავლობაში მისი უცვლელი თავმჯდომარე იყო.

ცნობილი ქართველი მწერალი დავით კლდიაშვილი ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის დაარსების შესახებ წერდა: „მე დღესაც მიკვირს, როგორ გამოსტყუა ალ. გარსევანიშვილმა მთავრობას სახალხო უნივერსიტეტის გახსნის ნებართვა, როგორ მოიპოვა საშუალება ფართო მასასთან მისასვლელად! მთავრობა თუ ფიქრობდა, არაფერი გამოვაო და ნებასაც იმიტომ რთავდა, თუ ასე იყო, შეცდა კი ძალზედ, მეტად. თავდაპირველში ჩვენ ძლიერ გვეეჭვებოდა ამ საქმის მოგვარება, მატერიალური საშუალება კიდევ მოიძებნებოდა უნივერსიტეტის მოწყობისათვის — ღიმილით, უნდობელ ღიმილით წვლილის გამოღებაზედ უარს არავინ ამბობდა. მაგრამ საჭირო იყო ლექტორთა. ქართულ ენაზედ ლექციათა ჯგუფის შედგენა. როგორც მოგახსენებდით, საზოგადოდ ეძნელებოდათ საჯაროდ ქართული ენით გამოსვლა. — სხვადასხვა საგნების კითხვა ხომ უარესი საძნელო გასაბედავი უნდა ყოფილიყო. ასედაც იყო, მაგრამ გარსევანიშვილმა არ მოუსვენა ლექტორებად განზრახულ მისაწვევ პირებს, მასთან აენთო მათში გაჩაღებული ცეცხლის ალი და... შესაძლებელი გახდა ქუთაისში გახსნილიყო სახალხო უნივერსიტეტი“[1].

ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის მიზანი, ამოცანები და ორგანიზაციული პრინციპები გათვალისწინებულია საუნივერსიტეტო საზოგადოების წესდებაში.

ქუთაისის გუბერნატორის გენერალ-მაიორ სლავოჩინსკის ნებართვით 1909 წლის 25 აპრილს რეგისტრირებულ იქნა ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის წესდება, რომელიც შედგება ხუთი თავისაგან და 26 მუხლისაგან. I თავში განსაზღვრულია საუნივერსიტეტო საზოგადოების მიზანი და უფლება-მოვალეობანი. წესდების მიხედვით, სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოება მიზნად ისახავს სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მოწყობას ქუთაისში, ქუთაისის გუბერნიასა და მის რაიონებში. ამ მიზნით საზოგადოება აარსებს სახალხო უნივერსიტეტებს, მართავს საჯარო ლექციებს, სისტემატურ საზოგადო განათლებისა თუ პროფესიონალურ კურსებს, აწყობს ექსკურსიებს, სამეცნიერო მუზეუმებს, ლაბორატორიებსა და დრამატულ საღამოებს, ხსნის ბიბლიოთე-

[1] დავით კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე, მოთხრობები და პიესები, 1947 წ., გვ. 833—884.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კებს, წიგნის საწყობებს, სცემს ბროშურებს, სურათებს, რუკებს და სხვა.

სახალხო უნივერსიტეტს ჰქონდა თავისი საკუთარი ბეჭედი, რომელზედაც ეწერა: „ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოება“.

წესდების II თავი ეხება საზოგადოების შედგენილობას. საზოგადოების წევრებად შეეძლოთ ყოფილიყვნენ დაწესებულებები, ერობები, ქალაქები, ამხანაგობები და საზოგადოებები. მიიღებოდნენ ორივე სქესის კერძო პირები (განურჩევლად წოდებისა და სარწმუნოებისა), რომლებიც იქნებოდნენ 18 წლისა და მეტის. წევრად შესვლას სჭირდებოდა 2 წევრის რეკომენდაცია. წლიურად შეჰქონდათ 25 მანეთამდე.

III თავი ეხება საზოგადოების ორგანიზაციასა და მის საქმეთა წარმოებას. საზოგადოების საქმეებს განაგებდა: ა) საზოგადო კრებები, ბ) გამგეობა და გ) სარევიზიო კომისია.

ა) საზოგადო კრებებს გამგეობა წელიწადში ერთხელ იწვევდა. საზოგადოების კრება საჯარო სახითაც ტარდებოდა. ის განიხილავდა მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვას და ამტკიცებდა გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ანგარიშებს; გამგეობის განკარგულებაში გადადებდნენ თანხას ხარჯთაღრიცხვის გარეშე ხარჯებისათვის, ამტკიცებდნენ გამგეობის მუშაობის წლიურ გეგმას. საზოგადო კრებაზე ყველა საკითხი ხმის უმრავლესობით წყდებოდა.

ბ) საზოგადოება სამი წლით ირჩევდა გამგეობას, რომელიც აწარმოებდა მიმდინარე საქმიანობას. გამგეობას უფლება ჰქონდა სხდომებზე გარეშე მცოდნე პირები და სექციების წარმომადგენლები მოეწვია. გამგეობის სხდომა თვეში ერთხელ იმართებოდა. საზოგადოებას ჰყავდა მდივანი, რომელიც აწარმოებდა სხდომის ოქმებსა და საზოგადოების მთელ მიწერ-მოწერას, აგრეთვე — მოლარე, რომელიც, საზოგადო კრებისა და გამგეობის გადაწყვეტილების თანახმად, ინახავდა და ხარჯავდა თანხებს, გამგეობის სხდომაზე განსახილველად ადგენდა შემოსავალ-გასავლის ანგარიშს, რასაც შემდეგ წარუდგენდნენ საზოგადო კრებას.

გ) სარევიზიო კომისიას ყოველწლიურად ირჩევდნენ 3 წევრისა და 2 კანდიდატის შემადგენლობით, რომლებიც ამოწმებდნენ საზოგადოების მთელ საქმიანობასა და შემოსავალ-გასავალს.

IV თავი ეხება „საზოგადოების საშუალებას“. სახალხო უნივერსიტეტის არსებობისათვის საშუალებას წარმოადგენდა საზოგადოების წევრებისაგან მიღებული საწევრო გადასახადები, ფასიანი

ლექციების შემოსავალი, საზოგადო დაწესებულებათა და მთავრობის შემწეობა, ფულის ნებადართული შეკრება, შემოსავალი ბანკებიდან, საღამოებიდან, კონცერტებიდან, გამოცემებიდან, ანდერძით დატოვებული ფულის პროცენტები და სხვა.

წესდების V თავში განხილულია საკითხი საზოგადოების დახურვის შესახებ. აქ გათვალისწინებული იყო, რომ, თუ რაიმე მიზეზით დაიხურებოდა საზოგადოება, მთელი მისი ქონება რომელიმე დაწესებულებას მოხმარდებოდა საზოგადო კრების გადაწყვეტილებისამებრ.

აი, ასეთი იყო ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების წესდება.

სახალხო უნივერსიტეტის პირველი საზოგადო კრება ჩატარდა 1909 წლის 24 ნოემბერს და, წესდების თანახმად, არჩეულ იქნა ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობა, 15 წევრისაგან შემდგარი. გამგეობის წევრებად აურჩევიათ: მ. ქიქოძე, ალ. გარსევანიშვილი, დ. უზნაძე, კ. აბაშიძე, გ. ნათაძე, ე. ხელთუფლიშვილის ასული, ე. ნიკოლაძის ასული, ი. მანდარია, გ. ნასარიძე, ვ. კაკიტელაშვილი და გიგინეიშვილი. ამასთან საზოგადოების თავმჯდომარედ აურჩევიათ მ. ქიქოძე, თავმჯდომარის მოადგილედ — ალ. გარსევანიშვილი, მდივნად — დ. უზნაძე და მოლარედ — ე. ხელთუფლიშვილის ასული. ამავე კრებას აურჩევია სარევიზიო კომისია შემდეგი შემადგენლობით: ქრ. შარაშიძის ასული, დ. კლდიაშვილი, მ. ბერიშვილი.

ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შემდეგ სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობა შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას.

1909 წელს გაზეთ „ფონში“ გამოქვეყნებული ცნობის მიხედვით, ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის პირველი კრება შემდგარა 1909 წლის 24 ნოემბერს. უნივერსიტეტის საზოგადოების წევრებად ჩაწერის სურვილი განუცხადებია 160 კაცს, საწევრო გადასახადი 1 მანეთის რაოდენობით შეუტანია 80 წევრს. საზოგადოების გამგეობაში გაუყვანიათ მუშათა წარმომადგენლებიც. ამავე კრებაზე დაუდგენიათ, რომ სახალხო უნივერსიტეტი ხელს უნდა უწყობდეს მასების გათვითცნობიერების საქმეს. ამ მიზნით სახ. უნივერსიტეტი აწყობს ხალხში გასვლას და ლექციების კითხვას საქართველოს წარსულზე, ბატონყმობის უკუღმართობაზე, ქართველ პოეტებსა და მწერლებზე, გეოლოგიისა და ფსიქოლოგიის საკითხებზე და სხვა.

პირველ ხანებში საზოგადოებას გაუძნელდა ლექციების ორგანიზებულად ჩატარება. სახალხო უნივერსიტეტის ხაზით ლექციებს ატარებდნენ მხოლოდ ქუთაისის გუბერნიის სხვადასხვა სამეურველო ცენტრებში. როგორც 1909 წელს გაზეთ „ვარსკვლავი“ აცხადებს, ლექტორ ი. ბაქრაძეს ლექციები ჩაუტარებია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში თემაზე: „ბატონყმობა და დანიელ ჭონქაძე“. 1909 წლის გაზ. „შრომა“ აქვეყნებს განცხადებას, რომ ლექციები ჩატარებულა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და სააგარაკო ადგილებში.

ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობას აურჩევია სექცია ალ. გარსევანიშვილის თავმჯდომარეობით. ამ სექციას ევალებოდა ლექციების ჩატარება და კრებების მოწვევის ორგანიზაცია. ლექციების ჩასატარებლად გამოუნახავთ ბინა. ლექციებს ატარებდნენ უმეტესად თეატრ „რადიუმში“ (ახლანდელი კინოთეატრი „კომუნა“) და ზოგჯერ ქალაქის თეატრში. ლექციის კონსპექტებს ამტკიცებდა ქუთაისის გუბერნატორი. ლექციის წაკითხვის ნებართვას ღებულობდნენ გუბერნატორისაგან, რომ ამ ლექციებში მთავრობის საწინააღმდეგო აზრი არ გაპარულიყო. ლექციებისათვის თემატიკის შერჩევა ეკისრებოდა ალ. გარსევანიშვილს, რომელსაც ძალ-ღონე არ დაუზოგავს, რომ ეს ლექციები მაღალხარისხოვნად ჩატარებულიყო და ხალხის განათლების საქმეში ერთგვარი წვლილი შეეტანა.

ჩვენ საჭიროდ მივიჩნიეთ, სახ. უნივერსიტეტის მუშაობა ქრონოლოგიურად აღვნუსხოთ, რომ უფრო სრული წარმოდგენა გვქონდეს იმ დიდ მუშაობაზე, რასაც უნივერსიტეტი აწარმოებდა მშრომელ ხალხში ცოდნის შეტანის მიზნით.

ნამდვილი სახე ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტმა მიიღო 1910 წლიდან. პირველი ლექცია წაკითხულ იქნა 1910 წლის 31 იანვარს თემაზე: „სახალხო უნივერსიტეტები საზღვარგარეთ, რუსეთში და ჩვენში“. ლექცია ჩატარებულა ქალაქის თეატრში[1]. 1910 წელს ჩატარებულა 48 ლექცია. ლექციები უკითხავს 13 ლექტორს: დ. უზნაძეს, კ. აბაშიძეს, გ. ნათაძეს, ალ. გარსევანიშვილს, გ. ნიორაძეს, ქ. შარაშიძეს, ე. ნიკოლაძეს, გ. ბადრიძესა და სხვებს. საშუალოდ თითოეულ ლექციას დასწრებია 470 მსმენელი. წაკითხული ყოფილა ლექციები ქართული ლიტერატურიდან (ლექტორი კ. აბაშიძე)[2], პოლიტიკური ეკონომიიდან, მედიცინიდან, კერძოდ,

[1] გაზ. „ფონი“, 1910 წ., №№ 6, 7.

[2] იქვე, № 15.

ჰიგიენიდან[1], კულტურის ისტორიიდან[2], საქართველოს ისტორიიდან და სხვა. ლექციების შემდეგ ხშირად გამართულა კონცერტები.

ასეთივე მდგომარეობაა 1911 წელს. შემუშავებულია ჩასატარებელი ლექციების წლიური სამუშაო გეგმა[3], რომელიც დაცულია ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ალ. გარსევანიშვილის არქივში. ამ გეგმას ჩვენ ვადგენთ უცვლელად იმ მიზნით, რომ გათვალისწინებულ იქნას ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის მუშაობა მთელი სისრულით 1911 წლის განმავლობაში:

გლეხების განთავისუფლების ისტორიიდან რუსეთში; საიუბილეო დილა გლეხთა განთავისუფლების 50 წ. შესრულების გამო; ბატონყმობის განვითარებისა და დაცემის ეკონომიური მიზეზები; ბატონყმობის მოსპობის ზნეობრივი მნიშვნელობა; ბატონყმობის ისტორიიდან საქართველოში მე-18 საუკუნეში (2 ლექცია); ლექსების კითხვა და კონცერტი; რუსული ლიტერატურიდან — ანდრეევის მსოფლმხედველობა; ჰაერის ფიზიკური თვისებები (2 ლექცია); საიუბილეო დილა ტარას შევჩენკოს პატივსაცემად: ტარას შევჩენკოს ცხოვრება; ტარას შევჩენკოს პოეზიის მნიშვნელობა; სილოვან ხუნდაძის ლექსი ტარას შევჩენკოს საიუბილეოდ; კონცერტი პატარა მოწაფეთა და სიმებიანი ორკესტრის მონაწილეობით; კაცობრიობის ცხოვრების პირველყოფილი ხანა (4 ლექცია); ეგვიპტის სულიერი კულტურა; ერეკლე II როგორც სარდალი (2 ლექცია); კონცერტი მანდოლინისტთა ჯგუფის მონაწილეობით; საშუალო საუკუნეების ისტორიიდან — დანტე; სწავლა-აღზრდის საქმე ძველ ხალხთა შორის; პროფესიონალური კავშირები; ახალგაზრდა მგოსნების ნაწარმოების კითხვა; კონცერტი სიმებიანი ორკესტრის მონაწილეობით; ომის წარმოშობა და მისი მნიშვნელობა; კოოპერაცია და წვრილი კრედიტის დაწესებულებანი; სახალხო სკოლა და უნივერსიტეტი შვეციაში; საფაბრიკო კანონმდებლობა; ქართველი ერის ტრაგედია მე-17 საუკუნეში (2 ლექცია); პოლიტიკური ეკონომიიდან — მოგება და რენტა; პედაგოგიკა საშუალო საუკუნეებში; სატირა საშუალო საუკუნეებში; კონცერტი სიმებიანი ორკესტრის მონაწილეობით; გიორგი სააკაძე (2 ლექცია); სახელმწიფო და მისი შემადგენელი ნაწილები (2 ლექცია); ტოლსტოის დრამა

---

[1] გაზ. „ფონი", 1910 წ., № 15.

[2] იქვე, № 18.

[3] იხ. ალ. გარსევანიშვილის არქივი (ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი).

„ცოცხალი ლუ̈ში“; აღმოსავლეთის ისტორია — ასურეთ-[illegible]ლონი (3 ლექცია); რუსეთის კრიტიკოსი დობროლიუბ[illegible] მნიშვნელობა; ქორწინება და ნათესაობა წინათ; საიუბილეო დილა ბელინსკის სახელის პატივსაცემად; ბელინსკის ცხოვრება; ბელინსკი როგორც კრიტიკოსი; კონცერტი სიმებიანი ორკესტრის მონაწილეობით; მგოსანი ვახტანგ ორბელიანი და დრამატურგი გ. ერისთავი; თბილისის აოხრება მე-19 საუკუნეში; კონცერტი მგალობელთა გუნდის მონაწილეობით (სვანური სიმღერები).

გეგმაში გათვალისწინებულ საკითხებზე ჩატარებულა 48 ლექცია. თითოეულ ლექციას საშუალოდ დასწრებია 376 მსმენელი. ლექციებს კითხულობდნენ: ალ. გარსევანიშვილი, კიტა აბაშიძე, დ. უზნაძე, გ. ნიორაძე, ს. ქვარიანი, გ. ნასარიძე, გ. ნათაძე და სხვ.

სახალხო უნივერსიტეტის მოღვაწეობას იმ პერიოდის გაზეთები აქტიურად ეხმაურებოდნენ. სხვადასხვა სტატიაში მოცემულია მკვეთრი კრიტიკა სახალხო უნივერსიტეტის შესახებ. სტატიის ავტორები მოითხოვენ უნივერსიტეტის მუშაობის გაუმჯობესებას და კიდევ უფრო მეტ მოთხოვნილებას უყენებენ მას, რადგან სწამთ, რომ დიდია უნივერსიტეტის მნიშვნელობა ქართველი ხალხის გათვითცნობიერების საქმეში, მაგალითად, 1911 წლის გაზეთ „კოლხიდაში“ ვ. წ. ათავსებს სტატიას სახალხო უნივერსიტეტის შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ უმეტესობა ხალხისა უმეცრებაში იმყოფება, რომ საჭიროა ინტელიგენციის დაუღალავი ბრძოლა ქართველ ხალხში განათლების შესატანად. წერილის ავტორი დიდ ნაკლად თვლის ლექციების მხოლოდ უქმე დღეებში წაკითხვას.

იმავე წლის „კოლხიდის“ მე-7 ნომერში „ფარის“ ფსევდონიმით იაკობ ფანცხავა ათავსებს სტატიას სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის საყურადღებოდ. ავტორი წერს: „დღეს უკვე უტყუარ ჭეშმარიტებად არის აღიარებული ის აზრი, რომ ხალხის უვიცობა უმთავრესი მიზეზია მისი. ზნეობრივი და ქონებრივი სიღატაკისა. ყველა ცოტათი მაინც შეგნებული და ხალხის ავ-კარგით გულწრფელად დაინტერესებული ადამიანი ზნეობრივად მოვალეა, მასზე დამოკიდებული ყოველივე ღონე იხმაროს, ხალხში გამეფებული წყვდიადი გაფანტოს და ამის ნაცვლად სწავლა-განათლების მაცოცხლებელი შუქი და თვითშეგნების სხივები მოფინოს. ამ დიად საქმეს ჩვენში ემსახურება სახალხო უნივერსიტეტი. უსამართლობა იქნება ვთქვათ, რომ უნივერსიტეტის გამგეობა ამ ფრიად სიმპატიურ საქმეს გულგრილად ეკიდებოდეს და ამ მხრივ კეთილსინდისიერად არ შრომობდეს“.

სახალხო უნივერსიტეტს განზრახული ჰქონდა, გაეხსნა საღა-მოს კურსები", სადაც გაერთიანდებოდნენ ხელოსნები [illegible] გლები. სტატიის ავტორი მოითხოვს, არსებულ „საკვირაო სკოლასაც" სახალხო უნივერსიტეტმა უხელმძღვანელოსო.

1911 წლის „კოლხიდის" 30-ე ნომერში სტატიას ათავსებს „კაკაბი" სახალხო უნივერსიტეტის შესახებ. იგი წერს, რომ ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტი თავის ხელმძღვანელთა მეცადინეობით საზოგადოებას გონებრივ განათლებასთან ერთად ესთეტიკურ სიამოვნებასაც აწვდის. „ეს ისეთი გონივრული, კულტურული გასართობია, სიამოვნება-კმაყოფილებას განიცდის ადამიანი და ჭკუაგონების სალაროში ახალი რამ ცოდნა შეაქვს. აგრეთვე ხშირად აქ ლექციებთან ერთად დამსწრე საზოგადოებას ატკბობს სააზნაურო გიმნაზიის სიმებიანი ორკესტრი, მომღერალთა გუნდი და ლექსთა დეკლამატორები".

II ლექცია ჩატარებულა პროფესიონალურ კავშირებზე. ლექტორი შეხებია რუსეთის პროფესიონალურ კავშირებს. ავტორი მოუწოდებს სახალხო უნივერსიტეტის გამგეობას, რომ უფრო ხშირად გამართოს ლექციები ქართული ლიტერატურიდან. ბოლოს ავტორი აღნიშნავს, რომ „ნახევარ წელზე მეტია ქართული ლიტერატურიდან არაფერი წაკითხულა მაშინ, როდესაც ხალხს მოუთმენლად სწყურიან ბატონ კიტა აბაშიძის ლექციის მოსმენა, ამიტომ შემდეგ კვირას დროის შესაფერი იქნება ლექცია გაიმართებოდეს ეკ. გაბაშვილის ნაწარმოებზედ"[1].

როგორც ჩანს, ხალხი იწონებდა სახალხო უნივერსიტეტის მუშაობას და მოუთმენლად ელოდა ყოველი ლექციის ჩატარებას.

ალ. გარსევანიშვილს ლექცია წაუკითხავს საქართველოს ისტორიიდან თემაზე — „მეფე ერეკლე II როგორც სარდალი". მას აუდიტორიისათვის დაუსურათებია ერეკლეს გმირული თვისებები, მისი შეუპოვრობა და ქართველი ხალხის სიყვარული[2].

დიმიტრი უზნაძეს სამი ლექცია ჩაუტარებია აღმოსავლეთის ისტორიიდან ასურეთსა და ბაბილონზე. იგი შეხებია ასურეთისა და ბაბილონის ხუროთმოძღვრებას, ქანდაკებას, რელიგიას, მათს სარწმუნოებრივ შეხედულებებს, მათს აზრს სამყაროს წარმოშობის შესახებ და სხვა. ლექტორს ყველა წაკითხული ლექციისათვის რეზიუმე გაუკეთებია და დაუსკვნია, რომ „მესოპოტამიის ისტორია

[1] გაზ. „კოლხიდა", 1911 წ., № 30.
[2] იქვე, № 10.

ინტერესს მოკლებული არ არის, კაცობრიობის განვითარე[illegible] ცესს საკმაო ნათელსა ფენს და გასაცნობად რამდე[illegible] დაპარჯვა უნაყოფო არ იქნება და ამაოდ არ ჩაივლის“ [1].

სახალხო უნივერსიტეტს 1911 წლის 11 დეკემბერს თეატრ „რადიუმში“ გაუმართავს ლიტერატურული დილა, მიძღვნილი რუსეთის დიდებული კრიტიკოსის ბელინსკის ხსოვნისადმი. მოხსენება ბელინსკის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ წაუკითხავს გ. ნათაძეს [2].

1911 წლის გაზ. „კოლხიდაში“ „მოკეთეს“ ფსევდონიმით მოთავსებულია სტატია „კიდევ სახალხო უნივერსიტეტის შესახებ“. მასში აღნიშნულია, რომ „სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა ცდილობს, საქმე წინ წაიყვანოს და მსმენელები მიიზიდოს ლექციებზე. ლექციები სისტემატურად იმართება, მუხიანში მუშაობს „საკვირაო სკოლა“, სვირსა და ობჩაში კი მალე გაიხსნება ბიბლიოთეკა და „საღამოს კურსები“, პროვინციებიდან ყოველ კვირაში მოდის წერილები, რითაც თხოულობენ ლექტორებს ლექციების ჩასატარებლად. გამგეობაც მზად არის, დააკმაყოფილოს მათი თხოვნა“.

ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტმა რუსეთის პრესის ყურადღებაც მიიქცია. რუსული გაზეთები თხოულობენ კორესპონდენციებს ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის მუშაობის შესახებ. საკვირაო პედაგოგიური გაზეთის „Школа и жизнь“-ის რედაქციისაგან გამგეობის სახელზე მოსულა წერილი, რომლითაც ითხოვდნენ მასალების მიწოდებას ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის მუშაობის შესახებ. პეტერბურგის ერთ-ერთი გაზეთის რედაქტორი წერს: „გვსურს დავახასიათოთ და ნათელი მოვფინოთ იმ დაწესებულებას, რომელიც ემსახურება ერის განათლების მიზანსო“ [3].

სახალხო უნივერსიტეტის გამგეობას საინტერესო სურათები უჩვენებია საზოგადოებისათვის. ეს შემოსავალი გადაუდვიათ ადგილობრივ „ბავშვებზე მზრუნველი საზოგადოების“ სასარგებლოდ [4].

„ფარი“ შეფასებას აძლევს ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტში ალ. გარსევანიშვილის მიერ წაკითხულ ლექციას თემაზე: „საქართველოს ისტორია XVIII საუკუნეში, სპარსელების შემოსევა საქართველოში“. ავტორი შეხებია საქართველოს დაკავშირებას რუსეთთან, ამ შეერთების მნიშვნელობას ქართველი ხალხისათვის,

[1] გაზ. „კოლხიდა“, 1911 წ., № 204.

[2] იქვე, № 205.

[3] იქვე, № 13.

[4] იქვე, № 199.

მეფე ერეკლეს პოლიტიკასა და მეფობას საქართველოში. მეორე ლექცია წაუკითხავს კიტა აბაშიძეს: „ვახტანგ ორბელიანი და დრამატურგი გ. ერისთავი“. უნივერსიტეტის გამგეობა, — წერს სტატიის ავტორი, — როგორც არა ერთხელ აღნიშნულა ჩვენს გაზეთებში, მხნედ და ხალისით პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას და ნაკისრი საქმის სასურველად წარმატებისათვის შრომასა და ჯაფას არ ერიდება, ამ ფრიად სიმპატიურ დაწესებულებას განსაკუთრებული ყურადღებითა და მზრუნველობით ეკიდება ბატონი ალ. გარსევანიშვილი, რომელიც ღირსეულ ჭირისუფლობას უწევს მას“[1].

1911 წელს ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტში ჩატარებულა 48 ლექცია. ლექციებს კითხულობდნენ თითქმის იგივე ლექტორები. თითოეულ ლექციას საშუალოდ დასწრებია 375 მსმენელი. ლექციები წაკითხულა საქართველოსა და რუსეთის ისტორიიდან, ქართული ლიტერატურიდან, რუსული ლიტერატურიდან, პოლიტიკური ეკონომიიდან, პედაგოგიკიდან, კულტურის ისტორიიდან, საშუალო საუკუნეების ისტორიიდან, ბუნებისმეტყველებიდან, იურიდიული მეცნიერებიდან, მედიცინიდან, კერძოდ, ჰიგიენიდან და სხვ.

1912 წელს სახალხო უნივერსიტეტს სეზონი გაუხსნია თავდადებული პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, განსვენებულ ი. გოგებაშვილის, ხსოვნის პატივსაცემად გამართული დილით, რომელზედაც ალ. გარსევანიშვილს აუდიტორიისათვის გაუცნია ი. გოგებაშვილის ბიოგრაფია და მისი ნაწერების ფასდაუდებელი მნიშვნელობა[2].

სახალხო უნივერსიტეტის ლექტორების: დიმიტრი უზნაძის, ალექსანდრე გარსევანიშვილის, ალექსანდრე ჯანელიძის, ჯაჯუ ჯორჯიკიას, ალ. თორაძისა და სხვათა შემადგენლობით დაარსებულ იქნა „სამეცნიერო წრე“ ხალხში მეცნიერული იდეების პოპულარიზაციის მიზნით. 1912 წლის 10 თებერვალს მათ ჩაუტარებიათ თათბირი, რომელზედაც შეუმუშავებიათ წრის წესდება და განუზრახავთ მისი წარდგენა ქუთაისის გუბერნატორისათვის დასამტკიცებლად[3].

სახალხო უნივერსიტეტი ცდილობდა, მსმენელთათვის გაეცნო მსოფლიოს გამოჩენილი პოეტები და მწერლები, მათი მოწინავე

---

[1] გაზ. „კოლხიდა“, 1911 წ., № 217.
[2] გაზ. „იმერეთი“, 1912 წ., № 24.
[3] გაზ. „კოლხიდა“, 1912 წ., № 32.

იდეები. მაგალითად, ალ. გარსევანიშვილს ლექცია წაუკითხავს თემაზე: „მსოფლიო მგოსანი შილერი და მისი მნიშვნელობა [illegible]რიობის განვითარების ისტორიაში“. უსაუბრია შილერის შემოქმედებაზე, მის ჰუმანურ იდეებზე. ალ. გარსევანიშვილს განსაკუთრებით ხაზი გაუსვამს იმ ფაქტისათვის, რომ შილერი გამოდის ჩაგრულთა მოსარჩლედ.

ალ. ჯანელიძეს (ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს) წაუკითხავს მოხსენება თემაზე: „სიცოცხლის საზღვრები“. იგი შეხებია დედამიწისა და ცოცხალი ბუნების წარმოშობის საკითხს[1]. ლექცია ჩატარებულა აგრეთვე სახალხო უნივერსიტეტის ხაზით ქალაქის თეატრში „ხელოვნებისა და სინამდვილის შესახებ“[2]. სახალხო უნივერსიტეტს თეატრ „რადიუმში“ მოუწყვია კინო-სურათის ჩვენება — „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“[3]. ალ. გარსევანიშვილს ლექცია წაუკითხავს თემაზე: „მეფე ქართლ-კახეთისა გიორგი XII“. როგორც იმდროინდელი გაზეთი „იმერეთი“ აცხადებს, ალ. ჯანელიძეს გაურჩევია „ევოლუცია და შემოქმედება; ნაცია, ენა, როგორც მთავარი საფუძველი ეროვნებისა. ბრძოლა ეროვნებისათვის. ეროვნული შემოქმედება და მისი პირობები. ეროვნული ბრძოლა წარსულსა და აწმყოში“[4]. გაზეთი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ამგვარი ლექციები მანამდე არ წაკითხულა და ხალხში ამიტომ მან დიდი მოწონება დაიმსახურაო. იასონ გაბილაიას (გაზეთ „კოოპერაციის“ რედაქტორს) ლექცია წაუკითხავს თემაზე: „დანია როგორც სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციების სამეფო“. იგი აღნიშნავს, რომ კოოპერაციის იდეა ჩვენში ვრცელდება და ნიადაგს პოულობს[5].

როგორც გაზ. „იმერეთის“ 1912 წლის 49-ე ნომერში ვკითხულობთ, ქალაქის თეატრში 25 ნოემბერს სახალხო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობით ჩატარებულა ილიას დილა. ს. ქვარიანს მგოსნის ბიოგრაფიაზე ულაპარაკნია, ალ. გარსევანიშვილს — ილიას პოეზიის მნიშვნელობაზე; მწერალი დავით კლდიაშვილი მოგონებით გამოსულა ილიას შესახებ. დასასრულს გამართულა კონცერტი. მომღერალთა გუნდს შეუსრულებია ილიას სიმღერები. ე. ხელთუფლიშვილს და ა. შუბლაძეს წაუკითხავთ ილიას ლექსები.

[1] გაზ. „კოლხიდა“, 1912 წ., № 40.
[2] იქვე, № 69.
[3] იქვე, № 121.
[4] გაზ. „იმერეთი“, 1912 წ., № 16.
[5] იქვე, № 21.

ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოება სისტემატურად აწყობდა ახალგაზრდა ლექტორის ალ. ჯანელიძის ლექციების კითხვას შემდეგ ადგილებში: ფოთში, სამტრედიაში, ხონში, ზესტაფონში, ჭიათურაში, ზუგდიდში, ბათუმში, სოხუმში. მისი ლექციები საზოგადოებას იზიდავდა, რადგან იგი ლაპარაკობდა გასაგები, მარტივი სასაუბრო ქართული ენით. მას ლექციების წაკითხვის ნებართვა მიუღია ქუთაისის გუბერნატორისაგან.

სახალხო უნივერსიტეტის ინიციატივით დაარსებულა „საღამოს კურსები“, რომელსაც მეცადინეობა დაუწყია 1912 წ. 16 დეკემბერს. კურსებზე მეცადინეობა ყოფილა ქართულ და რუსულ ენებზე მსმენელად მიიღებოდნენ 16 წლის ასაკიდან, უმეტესად ნოქრები, შეგირდები და, საერთოდ, სკოლის გარეთ დარჩენილი ახალგაზრდობა. „საღამოს კურსების“ ხელმძღვანელობა დაკისრებული ჰქონია სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის წევრს ელენე ხელთუფლიშვილს.

1912 წლის განმავლობაში სახალხო უნივერსიტეტში ჩატარებულა 39 ლექცია. თითოეულ ლექციას საშუალოდ დასწრებია 260 მსმენელი;

რაც დრო გადიოდა, კიდევ და კიდევ ახალ მოთხოვნილებას უყენებდა ცხოვრება სახალხო უნივერსიტეტს. უნივერსიტეტი აწყობდა ლექციებს ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორიც იყო პოლიტექნიკური ინსტიტუტის გახსნის მნიშვნელობა, ქუთაისის წყალსადენის საკითხი, მუშათა დაზღვევის საკითხი, კოოპერაციული მოძრაობა და მისი მნიშვნელობა ადამიანის ეკონომიური ცხოვრებისათვის, ბეჭდვითი სიტყვის მნიშვნელობა და სხვა. მაგალითად, გაზეთ „დილის“ 1913 წლის მე-15 ნომერში ვკითხულობთ, რომ სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოება მიმდინარე წლის შემოდგომიდან აპირებს ეკატერინობადში პოლიტექნიკური ინსტიტუტის გახსნას ინსტიტუტის მსმენელთა კონტინგენტი შემდგარი იქნება განსაკუთრებით მუშათაგანო [1].

თეატრ „რადიუმში“ ჩატარებულა ლექცია თემაზე: „კოოპერაცია და მისი ეკონომიური მნიშვნელობა“ და „კანონმდებლობა ბეჭდვის შესახებ ევროპაში [2].

ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობას ხშირად გაუმართავს უფასო წარმოდგენები [3].

---

[1] გაზ. „მერცხალი“, 1913 წ., № 15.

[2] იქვე, № 56.

[3] იქვე, №№ 35, 36, 45, 51, 87 და სხვა.

ალ. გარსევანიშვილს 1913 წელს ლექცია წაუკითხავს თემებზე: „საბა-სულხან ორბელიანის მოღვაწეობა საზოგადოებრივ ასპარეზზე“ [1], „ქართველი ქალი მე-18 საუკუნეში“, „თამარ ვაშლოვანელი“, „მაია წყნეთელი“ [2], გრ. ნასარიძეს — ზღვის, ტბის და მდინარის წყლის შესახებ [3], მუშათა დაზღვევის საკითხზე და ქუთაისში წყლის მიწოდების და წყალსადენის საკითზე [4]. ლექტორი გ. ბადრიძე შეხებია მემკვიდრეობისა და აღზრდის საკითხს [5]. სახალხო უნივერსიტეტი აწყობდა ლექციების კითხვას ფსიქოლოგიის საკითხებზეც. მაგალითად, როგორც გაზეთი „მერცხალი“ აღნიშნავს, 1913 წლის 1 თებერვალს თეატრ „რადიუმში“ ლექცია წაკითხულა შემდეგ თემაზე: „დეტერმინიზმი, ანუ ნების უთავისუფლობა“.

გაზ. „მერცხალი“ 1913 წლის 61-ე ნომერში აქვეყნებს განცხადებას, საიდანაც ვტყობილობთ, რომ ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობას ოზურგეთიდან მიუღია 25 კაცის ხელმოწერილი თხოვნა, რომელშიც ასაბუთებდნენ კულტურულ დაწესებულებათა ფართო მნიშვნელობას და ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობას სთხოვდნენ, რომ დაჩქარებით გაეხსნა ოზურგეთში ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის განყოფილება.

ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტი თავის მუშაობას აგებდა მსმენელთა განწყობილებისა და სურვილების მიხედვით. კერძოდ, სახალხო უნივერსიტეტის თავმჯდომარის ალ. გარსევანიშვილის მიერ შემუშავებულ იქნა საანკეტო ფურცელი, რომლითაც მიმართავდა აუდიტორიას, გამოეთქვა თავისი აზრი უნივერსიტეტის მოღვაწეობის შესახებ. ეს კითხვარები შემონახულია ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ალ. გარსევანიშვილის არქივში.

1913 წლისათვის ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტს ჩაუტარებია 38 ლექცია. თითოეულ ლექციას საშუალოდ დასწრებია 342 მსმენელი. ლექციები წაკითხულა ქართული ლიტერატურიდან, პოლიტიკური ეკონომიიდან, ბუნებისმეტყველებიდან, საქართველოს გეოგრაფიიდან, კანონმდებლობიდან, მედიცინიდან, და სხვ.

1914 წელს ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტს კიდევ უფრო გაუძლიერებია თავისი მუშაობა პროვინციებში ლექციების ჩატა-

[1] გაზ. „მერცხალი“, 1913 წ., № 72.
[2] იქვე, № 83.
[3] იქვე, № 72.
[4] იქვე, № 81.
[5] იქვე, № 91.

რებისა და „საღამოს კურსების“ მუშაობის მხრივ. [illegible]
რიცხულ მსმენელთა კონტინგენტი საგრძნობლად გაზ[illegible]

სახალხო უნივერსიტეტის ხაზით ლექცია წაკითხულა „სიცოცხლის ღირებულებაზე“ ჩოხატაურში, აიამაში, სეხაკში, მარტვილში, ტყიბულში, ბაღდათში, ბელაგორში, საჩხერეში [1], ხოლო ალ. გარსევანიშვილს ლექცია წაუკითხავს ქიათურაში თემაზე: „ქართველი ქალი მე-18 საუკუნეში“ [2], ასევე გ. ნიორაძეს წაუკითხავს ლექცია „იაკობ გოგებაშვილი და მისი პედაგოგიური იდეები“ [3]. ყვირილაში კ. ცაგარელს მოუწყვია ი. გედევანიშვილის „სინათლის“ ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური გარჩევა [4].

გაზ. „კოოპერაციის“ რედაქტორს იასონ გაბილაიას ლექცია ჩაუტარებია ოზურგეთში თემაზე: „კოოპერაცია და მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა“, აგრეთვე წაუკითხავს „პრაქტიკული ნაბიჯები“ [5]. ქრ. შარაშიძეს ლექცია წაუკითხავს თემაზე: „შოთა რუსთაველის შეხედულება ქალზე“. ლექტორი შეხებია რუსთაველის შეხედულებას ქალ-ვაჟთა თანასწორუფლებიანობის საკითხზე [6].

ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობას სეანსები გაუმართავს „ღარიბ ბავშვებზე მზრუნველი საზოგადოების“ სასარგებლოდ [7].

სახალხო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობით ეწყობოდა ლიტერატურული გასამართლებანი. მაგალითად, ქალაქის თეატრში გამართულა ლიტერატურული გასამართლება ბ. მიუკაშვილის პიესის „სიმახინჯის“ გმირი ქალის, სონასი. ამ გასამართლებაში მონაწილეობა მიუღია აკაკი წერეთელს. გასამართლება ჩატარებულა კიტა აბაშიძის, ქრ. შარაშიძისა და ია ეკალაძის მონაწილეობით [8].

სახალხო უნივერსიტეტი აწყობდა ლიტერატურულ დილებს. „საღამოს კურსების“ მოწაფეების მიერ გამართულა ალ. ყაზბეგის დილა. II განყოფილებაში ჩატარებულა ლიტერატურული გასამართლება ალ. ყაზბეგის ნაწარმოების „მოძღვარის“ გმირი ქალის, მაყვალასი.

---

[1] გაზ. „შრომა“, 1914 წ, № 8.

[2] გაზ. „სიმართლის ხმა“, 1914 წ., № 20.

[3] გაზ. „აზრი“, 1914 წ., № 33.

[4] იქვე, № 90.

[5] გაზ. „ჩვენი ერი“, 1914 წ., № 20.

[6] გაზ. „თემი“, 1914 წ., № 197.

[7] გაზ. „ახალი ივერია“, 1914 წ., № 39.

[8] გაზ. „აზრი“, 1914 წ„ № 68.

სახალხო უნივერსიტეტი მართავდა აგრეთვე ლიტერატურულ საღამოებსაც. ქალაქის თეატრში განსვენებული ბელეტრისტის გ. წერეთლის პატივსაცემად გამართულა ლიტერატურული საღამო[1].

1914 წელს ჩატარებულა 37 ლექცია, თითოეულ ლექციას საშუალოდ დასწრებია 260 მსმენელი.

ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტი ისე მაღალხარისხოვნად მუშაობდა, ისე მიმზიდველი, პოპულარული და საინტერესო იყო მის მიერ წაკითხული ლექციები, რომ მთელი საქართველოს ყურადღებას იმსახურებდა. მრავალი ქალაქი სთხოვდა მას დახმარებას კვალიფიციურ ლექტორთა მიერ ლექციების წაკითხვით მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან. ამ მხრივ, განსაკუთრებით დამახასიათებელია სოხუმის სახალხო უნივერსიტეტის თავმჯდომარის ანა შანიევას განცხადება (1914 წ. 13 თებერვალს), რომელშიც სთხოვს ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოებას, რომ გაგზავნილ იქნას ამ უნივერსიტეტიდან ლექტორები სოხუმის სახალხო უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხავად კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიაში, პოლიტიკურ ეკონომიაში და სხვ. ა. შანიევას აინტერესებს, აგრეთვე, მიავლინონ ქუთაისიდან ლექტორი ქალთა საკითხზე ლექციის წასაკითხავად[2].

1915 წლისათვის მოცემულია სახალხო უნივერსიტეტში ჩასატარებელი ლექციების შემდეგი ცხრილი (დაცულია ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ალ. გარსევანიშვილის არქივში): ნეკრასოვის ბიოგრაფია; მგოსნის მნიშვნელობა; დროებით ვალდებულ გლეხთა ლიკვიდაცია; თავადაზნაურობა და გლეხობა ვახტანგ VI-ის კანონისა (2 ლექცია); ჭლექი და მასთან ბრძოლა; აღმოსავლეთ საქართველო (2 ლექცია); დანაშაული და სასჯელი; მუცლის ტიფი; დასახლებული ადგილების ჰიგიენა; ა. ცაგარელი როგორც დრამატურგი; დანაშაული, დამნაშავე და საზოგადოება (2 ლექცია); კანონმდებლობა ბეჭდვითი საქმის შესახებ; კოოპერაციის ეკონომიური მნიშვნელობა; კახეთი; სარწმუნოებრივი თავისუფლება ევროპაში; მდინარის, ზღვისა და ტბის წყალი; საბასულხან ორბელიანი; ქართველი ქალი ახალ ქართულ მწერლობაში (2 ლექცია); წყლის მიწოდების მოწყობა; რუსეთის სწავლე-

---

[1] გაზ. „ჩვენი ერი", 1914 წ., № 35.

[2] იხ. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ალ. გარსევანიშვილის არქივი.

ბის გავრცელება ამიერ და იმიერ კავკასიაში; ქართველი ქალი მე-18 საუკუნეში; მემკვიდრეობა და აღზრდა; წყალსადენი ქუთაისში; შამილი.

1915 წლის განმავლობაში სახალხო უნივერსიტეტში ჩატარებულა 32 ლექცია. თითოეულ ლექციას საშუალოდ დასწრებია 270 მსმენელი.

1916 წლისათვის შედგენილია სახალხო უნივერსიტეტში ჩასატარებელი ლექციების ცხრილი, რომელიც ალ. გარსევანიშვილის მიერაა შემუშავებული (დაცულია ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ალ. გარსევანიშვილის არქივში): ფინლანდიის სკოლა; პრესა ფინლანდიაში; საქართველოს კულტურა. თამარ მეფე; საქართველოს ისტორია მე-18 საუკუნეში. დავით ბატონიშვილი; საქართველოს კულტურა მე-12 საუკუნეში. რუსთაველი; ფინლანდიის კულტურა, სწავლა-განათლება და ხელოვნება; ი. მეჩნიკოვი როგორც მეცნიერი და მოაზროვნე; მოკლე ცნობები ქუთაისის ისტორიიდან; ერობა და მისი მნიშვნელობა; ხოლერა და მის წინააღმდეგ ბრძოლა; ინგლისის ახალი ისტორიიდან (3 ლექცია); ფულის ტრიალი (3 ლექცია); თანამედროვე ოსმალეთი; ქართული მუსიკა და მისი თავისებურება; ცხოვრება და ხელოვნება (მათი ურთიერთობა); საქართველოს ისტორია მე-18 საუკუნეში, გლეხის მდგომარეობა ევროპიელ მოგზაურთა აღწერით; აჭარა და ლაზისტანი (2 ლექცია); სოლომონ ლეონიძის მოღვაწეობა ქართლ-კახეთ-იმერეთში; მგოსანი ბესიკ გაბაშვილი; საბა-სულხან ორბელიანი; ადამიანის სხეულის ბრძოლა სხვადასხვა გადამდებ სენთან; საქართველოს ისტორიიდან მე-18 საუკუნეში, ზრუნვა განათლებაზე და მისი ნაყოფი.

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, სახალხო უნივერსიტეტის მუშაობა 1916 წელს სხვადასხვა საკითხის შემცველი ყოფილა. ამას ადასტურებს იმდროინდელი პრესაც.

ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტთან არსებულ „ღარიბ ბავშვთა მზრუნველ საზოგადოებას“ რამდენჯერმე ჩაუტარებია ამ საზოგადოების სასარგებლოდ სეირნობა[1].

1916 წლის განმავლობაში სახალხო უნივერსიტეტში სულ ჩატარებულა 36 ლექცია. თითოეულ ლექციას საშუალოდ დასწრებია 350 მსმენელი.

ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობას შედგენილი ჰქო-

[1] გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1916 წ., №№ 47, 59, 64. 65.

ნია ხარჯთაღრიცხვის გეგმა. მისი შემოსავალი ყოფილა ზოგჯერ ჩატარებული ფასიანი ლექციების ფული, საზოგადოების წევრებისაგან შემოსული საწევრო გადასახადი, სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების მიერ მოწყობილი სეირნობის შემოსავალი, ქალაქის თვითმართველობის შემოწირულება, ანდერძით დატოვებული ფული და ნებაყოფლობითი შემოწირულება.

ლექციები იკითხებოდა ქართულ ენაზე, ძირითადად — კვირაობით, გამონაკლისს შემთხვევაში — სხვა დღეებშიც. თითოეული ლექციის წაკითხვის ნებართვას ღებულობდნენ ქუთაისის გუბერნატორისაგან. ეს მუშაობა მიმდინარეობდა მთავრობის კონტროლის ქვეშ. ყოველ ლექციას უნდა დასწრებოდა მთავრობის წარმომადგენელი.

უნივერსიტეტში ლექციები იკითხებოდა უფასოდ, მაგრამ ხანდახან ფასიანიც იყო, რადგან უნივერსიტეტს შემოსავალი სჭირდებოდა. თითოეულ ლექციას საშუალოდ ესწრებოდა არა ნაკლებ 250—300 მსმენელისა. მსმენელთა უმრავლესობას შეადგენდნენ ნოქრები, შეგირდები, უფროსი კლასის მოსწავლეები, სტუდენტობა და ქალაქის ინტელიგენცია. ლექციების გარდა, იმართებოდა ლიტერატურული დილა-სალამოები და ლიტერატურული გასამართლებანი.

1917 წლის ივნისში ჯერ ისევ არსებულა ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტი. ამას მოწმობს ალ. გარსევანიშვილის სიტყვა, წარმოთქმული ელენე ხელთუფლიშვილის დასაფლავებაზე [1].

როგორც გაზ. „ჩვენი მეგობარი“ იუწყება, 1917 წელს ალ. გარსევანიშვილის მონაწილეობით ჩატარებულა ლიტერატურული გასამართლება „სამშობლოს“ გმირი ქალის, ქეთევანისა [2].

ალ. გარსევანიშვილს ლექცია წაუკითხავს დაბა საჩხერეში 1917 წლის 30 მაისს „ფინეთის ავტონომიის შესახებ“ [3].

ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის მუშაობის შესწავლა ცხადს ხდის, რომ მის მოღვაწეებს ხალხის ულონობის მიზეზად მიაჩნდათ უმეცრება და უცოდინარობა. ისინი ხალხში სწავლა-განათლების გავრცელების ერთ-ერთ საშუალებად, სკოლასთან ერთად, მიიჩნევდნენ სახალხო უნივერსიტეტსაც, სადაც ლექციების გარდა, უნდა ჩაეტარებინათ ხოლმე საზოგადო მოღვაწეთა და მწერალ-მგოსანთა

[1] გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1917 წ., № 56.
[2] გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1917 წ., № 263.
[3] გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1917 წ., № 47.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილა-საღამოები, კონცერტები, ლიტერატურული გასამართლებები და სხვ.

ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის მესვეურებს — ალ. გარსევანიშვილს და მის თანამოღვაწეებს ამოძრავებდათ არა მატერიალური კეთილდღეობისადმი მისწრაფება, არამედ თავისი სამშობლოსა და ხალხის ღრმა სიყვარული, ამ ხალხში განათლების შეტანის წყურვილი.

ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის ავტორიტეტი განსაკუთრებით დიდი იყო იმის გამო, რომ იგი ხალხს ცოდნას აწვდიდა მშობლიურ ენაზე, რის გამოც ლექციები ყველა მსმენელისათვის გასაგები იყო.

სახალხო უნივერსიტეტის მნიშვნელობას განსაზღვრავდა ისიც, რომ მასთან არსებობდა „საღამოს კურსები", რომელიც დიდ მუშაობას ატარებდა ნოქრებთან და შეგირდებთან.

ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტი დიდ მზრუნველობას იჩენდა უპატრონო ბავშვების მიმართაც. სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობის თაოსნობით დაარსებული „ღარიბ ბავშვებზე მზრუნველი საზოგადოება" მის მიერ ჩატარებული ლექციებით, ფასიანი წარმოდგენებით და დილა-საღამოებით მატერიალურ დახმარებას უწევდა უდედმამო და ღარიბ ბავშვებს. სახალხო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას დაუარსებია სპეციალური სკოლაც, სადაც გაერთიანებული ყოფილა 140 უპატრონო ბავშვი.

ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტი დიდ მუშაობას ატარებდა მეცნიერებისა და ხელოვნების სიყვარულის დანერგვის მხრივაც.

ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის დიდ მუშაობაზე მეტყველებს ის შემოწმება, რომელიც 1911—12 წლებში რუსეთის იმპერიის ხაზით მოხდა და ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტმა, რომელსაც ალ. გარსევანიშვილი ხელმძღვანელობდა, მეორე ადგილი დაიჭირა. პირველი ადგილი არგუნეს სამარის სახალხო უნივერსიტეტს.

როგორც ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის შესახებ არსებული მასალები მოწმობს, მისი მუშაობა შეწყვეტილა 1917 წელს. ცხოვრების შეცვლილი ვითარება, აზვირთებული რევოლუციური მოძრაობა მუშაობის სხვა მიმართებითა და სახით წარმართვას მოითხოვდა და სახალხო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო მუშაობა უკვე საკმაო აღარ იყო. ამას, რა თქმა უნდა, გრძნობდნენ სახალხო უნივერსიტეტის მესვეურნიც, მაგრამ მუშაობის სხვაგვარად წარმართვა მთავრობის გაძლიერებული კონტროლის გამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ არ შეეძლოთ. მართალია, სახალხო უნივერსიტეტის მუშაობა მხოლოდ საგანმანათლებლო მიზნებით ისაზღვრებოდა, მაგრამ ამითაც მან დიდი როლი ითამაშა ქართველი ხალხის გათვითცნობიერების საქმეში.

(შემოვიდა რედაქციაში 25. IV. 1956).

Л. П. ТОРОШЕЛИДЗЕ

## КУТАИССКИЙ НАРОДНЫЙ УНИВЕРСИТЕТ


### Резюме

Народный университет в Грузии был основан в 1907 г. в Тбилиси, а затем в других городах: Кутаиси, Батуми, Сухуми, Поти и др.

Народный университет, основанный в Кутаиси в 1909 г. 25 апреля, привлёк большое количество слушателей, так-как лекции отличались общественно-политической направленностью, читались на грузинском языке и касались актуальных и злободневных практических вопросов.

При Кутаисском Народном университете существовали „вечерние курсы“, на этих курсах проводилась большая просветительная работа с приказчиками, подмастерьями и рабочей молодежью, оставшейся вне школы. Занятия на „вечерних курсах“ велись на грузинском и русском языках.

При народном университете был создан т. н. „научный кружок“ в составе: Ал. Гарсеванишвили, Д. Узнадзе, А. Джанелидзе, Д. Джорджикия и др. Целью этого кружка была популяризация научных идей.

Правление Народного университета проявляло большую заботу по отношению к безпризорным и бедным подросткам и детям; при правлении было основано „общество вспомоществования бедным детям“, оказывавшее таковым материальную помощь и открывшее для них специальную школу, в которой обучались 140 учеников.

Деятельность Народного университета была многосторонней, например, при нем была открыта театральная секция, которая бесплатно устраивала общедоступные народные представления.

В 1911—1912 г. г. была проведена оценка работы народных университетов и Кутаисский народный университет занял второе место. Роль Кутаисского университета в деле повышения политического, научного и культурного уровня трудящихся была значительна.

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XV, 1956.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XV, 1956.
ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. როგავა

# ხანმეტობისა და ჰაემეტობის საკითხისათვის

ქართული ენის ისტორიის შესწავლისათვის, როგორც ცნობილია, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება უძველესი ხელნაწერების, ე. წ. ხანმეტური და ჰაემეტური ძეგლების აღმოჩენას. ეს ძეგლები გამოსცეს და სათანადო გამოკვლევა მიუძღვნეს მათს ენას ივ. ჯავახიშვილმა და ა. შანიძემ[1]. ამ ძეგლების ენას ეხებოდნენ სხვა ავტორებიც.

ამჟამად ცნობილი ხანმეტი ძეგლები V, VI, VII საუკუნეების ძეგლებად არის მიჩნეული, ჰაემეტ ძეგლს კი მომდევნო საუკუნეებისად თვლიან.

როგორც დადგენილია, ამ ძეგლების ენაში **ხ-** || **ჰ-** პრეფიქსები როგორც ხმოვნით, ისე თანხმოვნით დაწყებულ ფუძეებთან გამოხატავს, ერთი მხრით, მეორე სუბიექტურ პირს (შენ **ხ**უწყი იგი, შენ ალ**ხ**ილე იგი, შენ **ხ**ტირ || შენ **ჰ**უწყი იგი, შენ **ჰ**ტირ, შენ ალ**ჰ**ილე იგი), მეორე მხრით, — მესამე ირიბი ობიექტის პირს (მან **ხ**რქუა მას იგი, იგინი მი**ხ**ეახლნეს მას || მან **ჰ**რქუა მას იგი, იგინი მი**ჰ**ეახლნეს მას). ამავე დროს **ხ-** || **ჰ-** პრეფიქსი, როგორც ირიბი ობიექტის აღმნიშვნელი, გამოყენებულია ძველ ქართულში ზედსართავის შედარებით-აღმატებით ფორმებთან: **ხ**უდიდჱს || **ჰ**უდიდჱს, **ხ**უფროჲს || **ჰ**უფროჲს.

ცნობილია აგრეთვე, რომ მომდევნო საუკუნის ძეგლების ენაში ხმოვნით დაწყებული ფუძეების წინ დასახელებული პრეფიქსები არ ჩანს არც ერთი ფუნქციით, ხოლო თანხმოვნით დაწყებული ფუძეების წინ წინაენისმიერ ხშულებთან **ჰ-**ს ნაცვლად იხმარება **ს-**: მან მი**ს**ცა მას იგი, მან **ს**თხოვა მას იგი, შენ **ს**ტირ და სხვ.,

---

[1] იხ. ამის შესახებ ივ. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელთნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. II, 1922—23 წ.; ა. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. III, 1923 და სხვ.

ხოლო დანარჩენ თანხმოვნებთან რჩება ჰ- პრეფიქსი: [illegible] მას იგი, მან ჰკითხა მას იგი, მან შეჰმოსა მას იგი, [illegible] და სხვ. ხ- პრეფიქსი ფუძისეულ თანხმოვნებთან ასიმილაციით გადასულა ზ-, შ-, ჟ- ბგერებში[1].

ხ- და ჰ- პირის აფიქსების ურთიერთმიმართების შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში გამოითქვა რიგი მოსაზრება. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ხ- პრეფიქსი ქართულის საერთო კუთვნილება უნდა ყოფილიყო, რომელიც შემდეგში ჰ-დ ჩანს შეცვლილი. ხ ბგერის ჰ-დ შეცვლა მას მიჩნეული აქვს ქართული ენის ფონეტიკის ბუნებრივი განვითარების შედეგად[2].

საწინააღმდეგო მოსაზრება აქვს გამოთქმული ამ საკითხის შესახებ ა. შანიძეს. მისი აზრით, დასახელებული აფიქსების ძირითად სახედ უნდა მივიჩნიოთ ჰ, რომელიც რიგ დიალექტში აქამდისაც შემონახულა, ხოლო ხ-, ისე როგორც ლ-, ს-, ზ-, შ-, ჟ-, ამ ძირითადი სახის ფონეტიკურ შენაცვლებას უნდა წარმოადგენდეს. ა. შანიძე, სრულიად სამართლიანად, არ თვლის შესაძლებლად, რომ ხ პრეფიქსი შეიძლებოდა ფონეტიკურ ნიადაგზე გადასულიყო ჰ-ში, რამდენადაც ქართულ ენას საერთოდ არ ახასიათებს ხ-ს დასუსტება და ჰ-თი შეცვლა. „როგორ უნდა ავხსნათ, — წერს ა. შანიძე, — რომ ხანის ჰაედ შეცვლა მხოლოდ პრეფიქსებში მოხდა, ხოლო სხვაგან კი არა? რატომ გვაქვს ჩვენ დღეს ხარება, ხატი, ახალი, ხედვა, სახელი ხილვა, ხოლო, ხუთი და სხვა მრავალი, და არა (ჰ)არება, (ჰ)ატი, ა(ჰ)ალი, (ჰ)დვა, სა(ჰ)ელი, (ჰ)ოლო, (ჰ)უთი და მისთ“.[3]

ხანმეტსა და ჰაემეტ ტექსტებს შორის დამოკიდებულება ა. შანიძეს შემდეგნაირად აქვს წარმოდგენილი: განსხვავება მათ შორის იმდენად ქრონოლოგიური კი არ არის, რამდენადაც დიალექტური, ე. ი. ისინი იმდენად სხვადასხვა ეპოქებს კი არ ეკუთვნიან, რამდენადაც სხვადასხვა კილოს. ხანმეტი ტექსტები ერთ კილოზეა დაწერილი და ჰაემეტი კი — მეორეზე[4].

ხანმეტი და ჰაემეტი კილოების განლაგებისა და მათი საზღვრე-

[1] იხ. ამის შესახებ, ა. შანიძე, დასახელებული ნაშრომი; მისივე, პირის ნიშანი ბრუნვიან სიტყვასთან ქართველურ ენებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, I, 1936.

[2] ივ. ჯავახიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 365.

[3] ა. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. III, გვ. 360.

[4] იქვე, გვ. 361.

ბის შესახებ ა. შანიძე ვარაუდობს, რომ ხანმეტი კილო უნდა ყოფილიყო სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით „მცხეთა-ბოლნისის რაიონებში და მიმდგომ მხარეებში", რამდენადაც ხანმეტი წარწერები დადასტურებული იყო მცხეთასა და ბოლნისში, ჰაემეტი კილო კი უნდა ყოფილიყო დასავლეთ საქართველოში[1].

გარკვეული მოსაზრება აქვს ა. შანიძეს გამოთქმული იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში ხანმეტობის გაქრობა მერვე-მეცხრე საუკუნეებიდან და ჰაემეტობის დამკვიდრება. ამის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ყოფილიყო, მისი აზრით, აღნიშნულ ხანაში არაბების შემოსევა აღმოსავლეთ საქართველოში და მასთან დაკავშირებული გადანაცვლება ქართული კულტურის ცენტრისა დასავლეთ საქართველოში[2].

ა. შანიძეს დადგენილი აქვს, რომ **ხ-** პრეფიქსი და მისი ფონეტიკური სახეობა **ლ-** იმავე მეორე სუბიექტურისა და მესამე ობიექტური პირის გამოსახატავად იხმარება ქართული ენის მთის კილოებში — ხევსურულში, თუშურსა და მოხევურში. ეს აფიქსი არსებითად თანხმოვნით დაწყებული ფუძეების წინ გვხვდება[3].

ა. შანიძის აზრით, მთის კილოებში **ხ-** ამ შემთხვევაში **ჰ**-საგან არის მიღებული შედარებით უფრო გვიან. **ხ** და მისი ფონეტიკური ვარიანტი ისევე მეორეულია, როგორც **ს-** და მისი ბგერითი ნაცვალი **ზ-**, **შ-**, **ჟ-** პრეფიქსები[1].

დასახელებული **ხ-** || **ჰ-** აფიქსების გენეზისისა და მათი უძველესი ფონეტიკური სახის საკითხს ეხება არნ. ჩიქობავა. მისი აზრით, ამ აფიქსების ამოსავალი შეიძლებოდა ყოფილიყო **ხ-** პრეფიქსი. ეს აფიქსი ისტორიულად პირის აღმნიშვნელი არ უნდა ყოფილიყო. იგი თავიდანვე ზმნაში გამოხატავდა გრამატიკულ კლასს, უკეთ, ნივთის კლასს. პირის ნიშნად ეს პრეფიქსი შემდეგ ჩამოყალიბებულა. ქართული ზმნის პიროვანი უღლილების ჩამოყალიბების დროს ამ პრეფიქსს ორი ფუნქცია დაჰკისრებია: მეორე სუბიექტურისა და მესამე ობიექტური პირების გამოხატვა. ამოსავალი **ხ** ბგერისაგან შეიძლებოდა მიგვეღო, ერთი მხრით, **ჰ**, ისე

---

[1] ა. შანიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 361.

[2] იქვე, გვ. 362.

[3] ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, ტფილისი, 1920, გვ. 157—171.

[4] ა. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. III, გვ. 360.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ეს დასტურდება აჭარულ კილოში (ჰად=სად), ხოლო მეორე მხრით **ხ** ბგერაც: ს → **ჰ** || **ხ**[1].

ასეთი ახსნის შედეგად სრულებით გარკვეული ხდება ის საკმაოდ უცნაური მოვლენა, რომ ძველ ქართულში ერთი და იმავე (ხ- || ჰ-) ფორმანტით იყო წარმოდგენილი ზმნაში მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირები.

**ხ**- პრეფიქსი ძირითადად იმავე ფუნქციით, რაც მას ძველ ქართულში ჰქონდა, როგორც ცნობილია, შემონახული აქვს სვანურ ენას ხმოვნით დაწყებული ფუძეების წინ: **ხ**ამპ̈რე „შენ ამზადებ მას“, **ხ**ამპ̈რჷნე „იგი მას ამზადებინებს მას“ და სხვა... თანხმოვნით დაწყებული ფუძეების წინ **ხ**- პრეფიქსი, როგორც წესი, არა ჩანს. ა. შანიძეს, სრულიად სამართლიანად, **ხ**-ს ამოსავალ საერთოდ სვანურისთვისაც მიაჩნია **ჰ**-. ეს პრეფიქსი ამჟამად არ იხმარება სვანურ ზმნებში. დასახელებულ ავტორს დადასტურებული აქვს აქ მისი ოდესღაც არსებობის კვალი: **ად**- პრევერბიან ზმნის ფორმებში, სადაც ირიბი ობიექტი ივარაუდება, პრევერბისეული **დ** ყრუვდება პირის **ჰ** პრეფიქსთან შერწყმის შედეგად: ათ-მეჩ ← ← *ად-ჰ-მეჩ „შენ დააბერე ის“, შდრ. **ად**-მეჩე „მან დააბერა ის“; ათ-ბიშე ← **ად**-**ჰ**-ჴბიშე „მიაწოდა“[2].

ამგვარად, როგორც გარკვეულია, ქართველურ ენებში მეორე სუბიექტურისა და მესამე ობიექტური პირების **ჰ**- || **ხ**- პრეფიქსების ხმარების მიხედვით ამჟამად შემდეგი სურათი ჩანს: **ხ**- პრეფიქსი სალიტერატურო ქართულში გადავარდნილია მერვე საუკუნიდან დაწყებული (გამონაკლისია სამი ზმნა). მთის კილოებში გვხვდება **ხ**- პრეფიქსი, **ჰ**-საგან მიღებული (ა. შანიძე). ისიც არსებითად თანხმოვნით დაწყებული ფუძეების წინ; **ჰ**- პრეფიქსი შემონახულია ქართულის აღმოსავლურ კილოებში. დასავლურ კილოებში **ჰ**-ს არსებობის კვალი-ღა ჩანს[3]. ზანური ენის დიალექტებში არ დასტურდება არც **ჰ**-სა და არც **ხ**-ს ოდესღაც არსებობის კვალიც. ვარაუდობენ, რომ ზანურისათვის ოდესღაც **ჰ**- პრეფიქსი უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი (ა. შანიძე).

---

[1] არნ. ჩიქობავა, გრამატიკული კატეგორია და ზმნის ულვლილების ზოგი საკითხი ძველ-ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. V, 1953, გვ. 59.

[2] ა. შანიძე, უბლაუტი სვანურში, არილი, 1925, გვ. 182; ვ. თოფურია, სვანური ენა, I, ზმნა, 1931, გვ. 16.

[3] ქ. ლომთათიძე, ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსისა გურულსა და აჭარულში, ტფილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, 1937, XI, გვ. 123—138.

სვანურში შემონახულია ხ- პრეფიქსი მხოლოდ ხმოვნით დაწყებული ფუძეების წინ. ჰ პრეფიქსის არსებობის კვალი [illegible]

ამ წერილში ჩვენ გვინდა შევეხოთ ხ-სა და ჰ-ს [illegible] ურთიერთობის საკითხს. არ უნდა იყოს სადავო ა. შანიძის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, ხ- ბგერას, მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირების აფიქსს, არ შეეძლო გადასვლა ჰ-ში, პირიქით, შესაძლებელი იყო ჰ- პრეფიქსს მოეცა ხ-. მართლაც, ასეთი პროცესი ჩატარებულა ქართულის მთის კილოებში: ხევსურულში, მოხევურსა და თუშურში. დასახელებულ კილოებში ჰ- პირის ნიშანი რიგი თანხმოვნით დაწყებული ბგერის წინ შეცვლილა ხ-თი. მაგრამ მთის კილოების თანამედროვე ვითარება გენეტურად არ უკავშირდება ძველ ქართულში ნავარაუდევ ხანმეტ კილოს. მთის კილოები არ ითვლება ხანმეტი კილოს შთამომავლად (ა. შანიძე). ამავე დროს საეჭვოდ გვეჩვენება ქართულის დიალექტებს შორის ე. წ. ხანმეტი დიალექტის არსებობაზე ლაპარაკი აღმოსავლეთ საქართველოს მცხეთისა და ბოლნისის რაიონებში, მაშინაც კი, როცა ამ ადგილებში დაწერილ ძეგლებში, ე. წ. ხანმეტ ძეგლებში, გვხვდება ხ- პრეფიქსი. ჩვენი აზრით, ძველ ქართულში ზმნის მეორე სუბიექტურისა და მესამე ობიექტური პრეფიქსების ორი სახეობა ჰ- და ხ- არ უნდა ყოფილიყო ფონემურად განსხვავებული ორი ბგერა ჰ და ხ. მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირების აღმნიშვნელად დასახელებულ ეპოქაში (და უფრო ადრეც) ქართულ ზმნებს უნდა ჰქონოდა ერთი და იგივე ლარინგალური (თუ: ლარინგალურ-ფარინგალური) სპირანტი ჰ, რომელიც, ზოგან უფრო ღრმად გამოთქმული იძლეოდა უკანაენისმიერი ხ სპირანტის შთაბეჭდილებას. ზოგ ძეგლში ამ აფიქსის ხანითა და ზოგში ჰაეთი აღნიშვნა არსებითად გრაფიკული ხასიათის სხვაობა უნდა ყოფილიყო. ე. ი. ერთმა ლიტერატურულმა სკოლამ ამ ლარინგალურ-ფარინგალური ბგერის გადმოსაცემად ჰაე ასო იხმარა, ხოლო მეორემ ხანი აირჩია. ეს არჩევანი, შესაძლებელია, თვით ჰ ბგერის დიალექტური სხვაობით იყო შეპირობებული: ზოგ დიალექტში ეს ჰ შეიძლება უფრო ღრმად და ინტენსიურად გამოითქმოდა, ზოგში კი — ნაკლებ ინტენსიურად.

დავუშვათ ახლა ამის საწინააღმდეგო დებულება, უკვე გავრცელებული შეხედულება, რომლის მიხედვითაც ქართული ენის ზოგ

დიალექტში მეორე სუბიექტისა და მესამე ობიექტის პირების პრეფიქსად გამოყენებული იყო **ხ**- სპირანტი, ამ აფიქსის პირვანდელი, ამოსავალი სახეობა (ივ. ჯავახიშვილი), ანდა იგივე **ხ**- სპირანტი მეორეული, **ჴ**-საგან მიღებული (ა. შანიძე); „შენ აღ**ხ**ილე იგი, შენ **ხ**იხილე იგი, იგი მი**ხ**ეახლა მას, იგი **ხ**უნდა მას“ და სხვებში **ხ** ისეთივე ფონემა იყო, როგორიც სიტყვებში **ხ**ატავს, სა**ხ**ე, ა**ხ**ალი და სხვა. ასეთ შემთხვევაში რით უნდა ავხსნათ ამ დიალექტებში დასახელებული **ხ**- პრეფიქსის დაკარგვა თავისი ორივე ფუნქციით? ა. შანიძეს სრულებით დამაჯერებელი საბუთი მოჰყავს იმის უარსაყოფად, რომ ძველს ქართულში **ხ**- პრეფიქსისაგან არ შეიძლებოდა მიგვეღო **ჴ** პრეფიქსი, რამდენადაც **ხ** ბგერა სხვა შემთხვევაში (სა**ხ**ე, ი**ხ**ილა და სხვ.) **ჴ**-ში არ გადასულა. მაგრამ აუხსნელი რჩება მეორე მხარე: თუ კი **ჴ** პრეფიქსი გარკვეულ დიალექტებში (ხანმეტ დიალექტებში) მართლა **ხ**-თი შეიცვალა, როგორც ამას ა. შანიძე ვარაუდობს, რატომ უნდა დაკარგულიყო ასეთი **ხ**- პრეფიქსებში, მაშინ როდესაც იგი (**ხ**) არც ერთ სხვა შემთხვევაში არ დაკარგულა. **ხ** ბგერა ქართულში, ისე როგორც სხვა ქართველურ ენებში, მეტად მყარი ბგერა ჩანს. ძნელია დაშვება შესაძლებლობისა, თითქოს ნავარაუდევი ხანმეტი დიალექტი ასე უკვალოდ გამქრალიყო, რამდენადაც ამ დიალექტის გამოყენების არე (მცხეთა, ბოლნისი, სამხრეთ საქართველო და სხვა) არც ისე მცირე და უმნიშვნელო იყო ქართული ენის გავრცელების თვალსაზრისით.

ვიმეორებთ, ქართული ენის დიალექტთა შორის საეჭვო ჩანს ხანმეტი კილოს ისტორიული არსებობა. ასეთი კილო რომ მართლაც ყოფილიყო V, VI, VII და წინა საუკუნეებში, იგი შემდგომ საუკუნეებშიც განაგრძობდა არსებობას და, შესაძლებელია, აქამდისაც მოეღწია, რამდენადაც **ხ** ბგერა ქართულში მყარი ბგერაა. დასახელებული აფიქსების დაკარგვა კი, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, მხოლოდ ფონეტიკურ ნიადაგზე მოხდა.

ფონეტიკურად არამყარი ბგერა, მეტნაკლებად არამყარი ყველა ქართული დიალექტისათვის იყო **ჴ** ბგერა.

ამავე წარმოშობის **ჴ** პრეფიქსი ხმოვნით დაწყებული ზმნის ფუძის წინ (და აგრეთვე ზედსართავის შედარებით-აღმატებითი ფორმის წინ) **ხ**-ში ჩანს გადასული სვანურ ენაში (ა. შანიძე). რამდენადაც **ხ** ბგერა საერთოდ მყარია ქართველურ ენებში, იგი აქამდის შემოინახა სვანურმა. ასევე, რიგი, თანხმოვნით დაწყებული ზმნის ფუძის წინ მთის კილოებში **ჴ** პრეფიქსი გადასულა **ხ**-ში და იგი აქამდის შემოინახეს კიდეც ამ კილოებმა. ამგვარად, იმ

ქართველურ ენებსა და მათს დიალექტებში, სადაც ხ[illegible] პრეფიქსი მართლაც ხ-თი შეიცვალა, ეს უკანასკნელ[illegible] მონახული ჩანს.

სხვა მონაცემებიც შეიძლება დავასახელოთ ამ მოსაზრების სასარგებლოდ: რომ, მართლაც, ძველ ქართულში, როგორც ვარაუდობენ, ხანმეტი კილო ყოფილიყო გამოყოფილი, მაშინ მოსალოდნელი იყო მჟღერი თანხმოვნებით დაწყებული ზმნის ფუძის წინ ხ- პრეფიქსი გამჟღერებულიყო (ე. ი. გადასულიყო ღ-ში), როგორც ამას ადგილი აქვს მთის კილოებში, მაგალითად, ხევსურულში — ღდგომივ, ღალმალავს; თუშურში — ღლესავს, მოხეურში — ღნახე (შენ ის) და სხვა[1]. ხანმეტ ხელნაწერებში გვხვდება დახდევ (ხანმეტი ლექციონარი ი. 20,$_{27}$) და არა დაღდევ, ხრქუა (ხან. ლექც. მრ. 16,$_{25}$) და არა ღრქუა, ხრწმენა (ხან. ლექც. ი. 20,$_{8}$) და არა ღრწმენა, შთახბერა (ხან. ლექც. ი. 20,$_{22}$) და არა შთაღბერა და სხვ.

მეორე მხრით, მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ხანმეტი ხელნაწერები, რომლებიც ამჟამად არის დადასტურებული, ჩვეულებრივ წმინდა ხანმეტი არ ჩანს, რამდენადაც მათში სპორადულად მაინც გვხვდება ხანების ნაცვლად ჰაეები. ხანმეტი ლექციონარის ენის შესახებ ა. შანიძე წერს: „ხანმეტი ლექციონარი ხანმეტი ხელნაწერიაო, ვამბობთ ჩვენს ძეგლზე, მაგრამ არის კი სავსებით შესაფერისი მისთვის ეს სახელწოდება? არა და თითქოს ჰოც. არა, იმიტომ რომ ძეგლში გვხვდება ისეთი ფორმებიც, სადაც „მეტი“ ხანების ნაცვლად „მეტი“ ჰაები გვაქვს“... საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ხანთან ერთად ჰაეს ხმარება შეიძლება მარტო ამ ძეგლს არ ახასიათებდეს. ხანმეტი პალიმფსესტების საბოლოო ამოკითხვა ალბათ სხვაგანაც დაადასტურებს ჰაეს არსებობას. მაგრამ ახლაც შემიძლია გადაჭრით ვთქვა, რომ ამ მხრივ ლექციონარის ენა ყოველ შემთხვევაში განმარტოებით არ დგას, მას მხარს უჭერს ხანმეტი იერემიას ნაწყვეტების ტექსტი, სადაც 20 ფორმათაგან 17 ხანმეტია, 3 კი — ჰაემეტი“[2].

ჩვენი აზრით, ხანის გვერდით ხანმეტ ხელნაწერებში ჰაეს ხმარება მაჩვენებელი უნდა იყოს იმისა, რომ ლიტერატურული სკოლა, რომელიც ლარინგალურ-ფარინგალურ ჰ ბგერას ჩვეულებრივ ხანით

---

[1] ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, 1920, გვ. 157—167.

[2] ა. შანიძე, ხანმეტი ლექციონარი, გვ. 023.

გამოხატავდა, ხშირად ბოლომდე ვერ იცავდა ამ პრინციპს, ზოგჯერ ამავე ჰ ბგერას აღნიშნავდა ჰაე ასოთი. ცოცხალ მე[illegible] რომ მართლაც ისეთი ბგერა ყოფილიყო პირის ა[illegible] როგორიცაა ხ-, არ იქნებოდა მოსალოდნელი, ამ დიალექტის წარმომადგენელს ეს ბგერა ნაწერში გამოეხატა ჰაეთი.

ვფიქრობთ, ამ მოსაზრებას არ ეწინააღმდეგება უკვე ცნობილი ისეთი შემთხვევები, სადაც ამჟამადაც ქართულში შემონახული ჩანს სამ ზმნაში მეორე სუბიექტური პირის ხ- პრეფიქსი: ხარ, წახვალ, წახვედ. ეს ფორმები შემონახულია არა მხოლოდ იმ დიალექტებში, სადაც ისტორიულად ნავარაუდევია ხანმეტობა, ე. ი. აღმოსავლურ კილოებში, არამედ იმ დიალექტებშიც, სადაც ხანმეტობა არაა ნავარაუდევი, ე. ი. დასავლურ კილოებში. თვით ძველი ქართულის ჰაემეტ ძეგლშიც დასახელებულ ზმნებთან იხმარება არა ჰ- პრეფიქსი, არამედ ხ- პრეფიქსი: შენ ხარა მომავალი იგი (ჰაემეტი ტექსტების ნიმუშები, 30r, 13)[1].

არ იქნებოდა მართებული გვევარაუდნა, რომ ხ პრეფიქსის ხმარება ამ სამ ზმნასთან ყველა ქართულ კილოში სავარაუდო ხანმეტი კილოდან იყოს შეთვისებული, ანდა ეს ფორმები სალიტერატურო ენის გავლენით იყოს გავრცელებული.

როგორც ა. შანიძე ვარაუდობს, საერთო ქართულისათვის თავის დროზე დამახასიათებელი იყო ჰ- პრეფიქსი, ე. ი. ჰაემეტობა იყო საერთო მოვლენა ქართული კილოებისათვის. ამ საერთო ჰაემეტობის პირობებში ქართულ კილოებში დასახელებული სამი ზმნის წინ ჰ გადასულა უფრო მყარ ბგერაში, ხ სპირანტში: *ჰარ → ხარ, *წარ-ჰ-ვალ → წარ-ხ-უალ, *წარ-ჰ-ვედ → წარ-ხ-უედ. ამ ზმნებთან ჰ-ს გადასვლას ხ-ში შეიძლება მორფოლოგიურმა მომენტმაც შეუწყო ხელი, რამდენადაც სამივე დასახელებული ზმნა დეფექტურია. ვალ და ვედ ზმნებთან ისიცაა შესაძლებელი, რომ თხრობით კილოში პირველი პირის ფორმისაგან გასარჩევად მე წარვალ, მე წარვედ მეორე პირის ფორმაში წარმოდგენილი ყოფილიყო ხაზგასმით მეორე პირის პრეფიქსი ჰ — შენ *წარჰვალ, შენ *წარჰვედ, რომელიც თავის დროზე ყველა კილოში გადასულა ხ-ში — შენ წარხუალ, შენ წარხუედ (არაა გამორიცხული ამ შემთხვევაში ფონეტიკური შესაძლებლობა ვ-ს მეზობლობაში ჰ-ს გადასვლისა ხ-ში).

---

[1] ა. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, III, გვ. 366.

სპეციალურ ლიტერატურაში დადასტურებულია გაქვავებული ხ- პრეფიქსიანი სახელები: ხ უ ც ე ს ი, შდრ. სვან. ხოშა, [illegible] უჩოში „უფროსი“[1], ხ ე რ თ ვ ი ს ი, ნაწარმოები ზმნისაგან ურთვის იგი მას[2], საკუთარი სახელი ხ ა ხ ა რ ე. (შდრ. ზმნის ფორმა ა ხ ა რ ე შენ მას)[3].

არ გვეჩვენება დამაჯერებლად, თითქოს ნააფიქსარი ხ- ამ შემთხვევებში ნავარაუდევი ხანმეტი კილოს გადმონაშთი იყოს. ხ- ამ მაგალითებში საერთო ქართულის ჰ- პრეფიქსისაგან უნდა იყოს მიღებული. ჰ- პრეფიქსი ამ სიტყვებთან გაქვავების შედეგად იქცა უფრო მყარ ხ სპირანტად. საყურადღებოა ამასთან დაკავშირებით ის ფაქტი, რომ საქართველოში გაქვავებული ხ- პრეფიქსიანი ხ ე რ თ ვ ი ს ი სიტყვა გეოგრაფიული ადგილის მნიშვნელობით გვხვდება არა მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, სადაც ხანმეტი კილოა ნავარაუდევი, არამედ ისეთ ადგილებში, სადაც ხანმეტობა არ ივარაუდება, მაგალითად, აჭარაში[1].

დასკვნა: ძველი ქართული ე. წ. ხანმეტი და ჰაემეტი ხელნაწერების არსებობა არ უნდა იყოს ისტორიულად ორი კილოს — ხანმეტი და ჰაემეტი კილოების არსებობის ანარეკლი. კერძოდ, ხანმეტი კილოს არსებობა ქართულში ისტორიულად არ უნდა ვივარაუდოთ. ქართულისათვის დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო მეორე სუბიექტურისა და მესამე ობიექტური პირების აღსანიშნავად ჰ- პრეფიქსი, რომელსაც გენეტურად უკავშირებენ ნივთთა კლასის ხ- პრეფიქსს. ამ ჰ-ს ზოგი ლიტერატურული სკოლა ძველ საქართველოში გამოხატავდა ჰაეთი, ზოგი სკოლა კი — ხ ა ნ ი თ, რაც შეიძლებოდა შეპირობებული ყოფილიყო თვით ამ ერთი და იმავე ლარინგალურ-ფარინგალური ჰ ბგერის დიალექტური თავისებურებით.

(შემოვიდა რედაქციაში 15. II. 1956).

---

[1] ა. შ ა ნ ი ძ ე, პირის ნიშანი ბრუნვიან სიტყვასთან ქართველურ ენებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. I, გვ. 388.

[2] ა. შ ა ნ ი ძ ე, ნაშთები მესამე პირის ობიექტურის პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ ქართულ ზმნებში, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, II, გვ. 272.

[3] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, კიდევ ერთი ნაშთი ხანმეტობისა თანამედროვე ქართულში წელიწდეული, 1923—1924, გვ. 117.

[4] იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 273.

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XV, 1956.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XV, 1956.
ეროვნული ბიბლიოთეკა

პ. ჯაჯანიძე

# გურული კილოს მორფოლოგიის საკითხები*

**სახელთა ბრუნება.** 1. სახელობით ბრუნვაში ხმოვანფუძიან სახელებს ბრუნვის ნიშანი მოუდის. ეს ნიშანია დასავლურ გურულში ჲ|ი: რაცხაჲ|ი, ქვაჲ|ი, დამალვაჲ|ი, ვანიჩქაჲ|ი, ლვინოჲ|ი[1], აღმოსავლურ გურულში — ი.

საგულისხმოა ისიც, რომ აღმოსავლურ გურულში ყველა ხმოვანფუძიანი სახელის სახელობითი ბრუნვის ფორმა ერთნაირი არაა: ერთმარცვლიანი ხმოვანფუძიანი სახელები სახელობითის ნიშნად ყოველთვის ი-ს მიიღებს: გზა-ი გუკეთებიენ; ხეი წიექცა და იმან მუკლა ბალანე..., მაგრამ განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს ა ხმოვანფუძიან ორ და მეტმარცვლიან სახელებთან, როგორიცაა: დედა, მამა, ბიგა, ბალანა, ლაფერა, ჯინჭველა, ჯიკუნტალა, ნაკოტარა. ამ და მსგავს სახელებს სახელობითში ა-ს ადგილზე ე აღმოაჩნდება, ან ე და ი: დედე — დედეი, ბაბე — ბაბეი, ბიგე — ბიგეი, ლაგინე — ლაგინეი, ლაფერე — ლაფერეი... დასავლურ გურულში ა ბოლოხმოვანს პირდაპირ მოჰყვება ბრუნვის ნიშანი ჲ ან ი და გვაქვს აჲ|ი[2].

სპეციალურ ლიტერატურაში დედეი, ბაბეი, ბიგეი, ლაგინეი... ან დედე, ბაბე, ბიგე, ლაგინე... ფონეტიკურ მოვლენათა შედეგად მიღებულ ფორმებადაა მიჩნეული: დედეი, ლაგინეი... ასიმილირებული ფორმებია[3]. ასიმილატორი ი იმსგავსებს ფუძის ა ბოლოხმოვანს და ე-დ აქცევს, ხოლო შემდეგ

---

* ნაშრომი ეყრდნობა მახარაძისა და ჩოხატაურის რაიონების მცხოვრებთა მეტყველების მონაცემებს.

[1] შრომაში მაგალითები შეტანილია იმ ფორმით, რა ფორმითაც იგი ჩვენ მიერ ჩაწერილ ტექსტებშია.

[2] ს. ჟღენტი, გურული კილო, 1936, გვ. 45.

[3] შ. ძიძიგური, ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საფუძველი ქართულ კილოებსა და ზანურში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, გვ. 23.

ეს ი, სახელობითის ნიშანი, შეიძლება დარჩეს სიტყვასთან და შეიძლება ჩამოშორდეს კიდეც[1].

2. მოთხრობით ბრუნვაში ხმოვანფუძიან სახელებს ალმოსავლურ გურულში ზოგჯერ -მა სუფიქსიც მოუდის: ზღვამა, გზამა, ჯდომამა...

ამ მოვლენით ალმოსავლური გურული ქვემოიმერულს შორდება და ზემოიმერულთან პოულობს საერთოს. ამასთან ერთად, საგულისხმოა, რომ დასავლურ გურულში ხმოვანფუძიან სახელებს ც ნაწილაკის დართვის შემთხვევაშიც მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად მ მოუდის, გურული წარმოთქმისათვის ეს სიძნელეს არ ქმნის: მამამც, დამც, ციცამც, გოგიამც...

მსგავს ფორმებს უფრო იშვიათად ალმოსავლურ გურულშიც ვპოულობთ.

ორი ზედიზედ მომდევნო ბგერის შერწყმის კანონის მოქმედებით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ მ-თი დაბოლოებულ სახელებთან მოთხრობითში ერთი მ ისმის: ლომა, ქათამა, კალამა.

„მარტო" ო- ხმოვანფუძიანი სახელის მსგავსად იბრუნვის: მარტომ მეიყვანა ხარები.

3. ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში ხმოვანფუძიანი სახელები ბოლოხმოვანს არ მოიკვეცს, ოლონდ დასახელებული ბრუნვის ნიშნების ი დასავლურ გურულში შეიძლება ჲ-ად იქცეს: ღვინოჲს, ციცაჲს, ნიკოჲს, ელპიტეჲს.

4. ვითარებით ბრუნვაში იან სუფიქსიან სახელებს დ არ მოუდის[2]: ცოლშვილიანა, გიდლიანა, გოჭებიანა...

5. წოდებითის ნიშანია ვ: ციცავ, გოგიავ... იშვიათად თანხმოვანფუძიან სახელებთან ო-ც იხმარება.

6. თანხმოვანფუძიან საკუთარ სახელებს ზოგჯერ სახე-

---

[1] კათედრის სხდომაზე (1955 წ. 25 ნოემბერს) მოხსენებაში „ჩოხატაურის რაიონის მცხოვრებთა მეტყველების თავისებურებანი" გამოვთქვით მოსაზრება, რომ ალმოსავლურ გურულში (და იმერულშიც) დედე, ლაგინე... და მსგავს ფორმებში სახელობითში გამოვლენილი ე წარმოშობით სახელობითი ბრუნვის ნიშანია, რომელიც ოდესლაც ხმარებული „ეგე" მსაზღვრელი ნაწევრიდან მოდის: ლაგინ ეგე, ხოლო ლაგინეი ფორმაში სახელობითის ორი ნიშანი გვაქვს: ე-ი: ლაგინ ეგე → ლაგინე იგი → ლაგინეი.

დასახელებულ მოხსენებაში წარმოდგენილი მოსაზრების დასამტკიცებელი საბუთებიცაა მოტანილი. საკითხი დამუშავების პროცესშია.

[2] შდრ. არნ. ჩიქობავა, მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობის, წარმოებისა და ისტორიისათვის, ენიმკი-ს მოამბე, ტ. I, 1937, გვ. 18.

ლობითის ნიშანი არ აქვს: ს ა მ ს ო ნ წევიდა ერკეთში; [illegible] და შენ ერთათ იყავით? ს ა ბ ა, ე ნ უ ქ და ე ლ ი ა შეიქნა [illegible]

7. ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ბრუნვაში დასმულ მსაზღვრელს იშვიათად ბრუნვის ნიშნის **ს** ეკვეცება (როგორც ამას ადგილი აქვს ქართული ენის კილოთა უმეტესობაში): ც ე ც ხ ლ ი პ ი რ ჩ ი, გ ო გ ი ტ ი ძ ი შ ვ ი ლ ი, კ ა ც ი თ ვ ა ლ ი.

როცა მსაზღვრელად გამოყენებულია ნათესაობით ბრუნვაში დასმული **ძე**-ზე დაბოლოებული გვარი, **ძ**-ს წინ თავს იჩენს წარმოშობით ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ხმოვანი **ი**: ვ ა ს ა - ი (ს) - ძ ე → → ნათეს. ვ ა ს ა - ი ძ ი ს; **ძს** ბგერების შორის მოთავსებული **ი** იკარგვის, ხოლო **ძს**-ს შერწყმით ვღებულობთ **ც**-ს: ვ ა ს ა ი ც დ ა | ჲ, ს ა ლ უ ქ ვ ა ი ც მ ა მ ა ჲ...

**თანდებულები. ში** თანდებული **ჩი**-თაა შეცვლილი[1], თუ სახელი თავდება წინაენისმიერი სამეულების რომელიმე წევრით ან სონორი ბგერებით (ანალოგიით შეიძლება სხვა შემთხვევაშიც). თავდაპირველად **ჩი** მიღებული უნდა იყოს **თ** (**დ**, **ტ**) თანხმოვანფუძიან სახელებზე **ში**-ს დართვით. როცა **ში**-ს წინ მიცემითი ბრუნვის ნიშანი დაიკარგა, **თ**-ს უშუალო მეზობლობაში აღმოჩნდა **შ**[2]. **თშ**-მ მოგვცა რთული აფრიკატი **ჩ**—კალათსში → კალათში → კალაჩი (შდრ. ძვ. ქ. ა თ შ ვ ი დ მ ე ტ ი → ჩ ვ ი დ მ ე ტ ი, შ თ ა ვ ი დ ა → ჩ ა - ვ ი დ ა). აქედან უნდა იყოს იგი გავრცელებული სხვა ბგერებით დაბოლოებულ სახელებთანაც. იშვიათად **ჩ**-ს წინ **თ** ისევ იჩენს თავს: კალათ**ჩი**. პროცესი მეორეულია.

საყურადღებოა, რომ გურულში ზოგჯერ უთანდებულო მიცემითსაც შეუძლია გადმოსცეს **ში** (— **ჩი**) თანდებულიანი სახელის მნიშვნელობა: ახლა რუ ვარ ჩაცმული, ამფერა ჩავალ ლ ი ხ ა უ რ ს; დიომიდე წევიდა ა ჭ ს (ლიხაურის მეზობელი სოფელია); ჩვენი სახლიკაცები ძალუანი ბეური იყო ჭ ა ნ ი ე თ ს (შდრ. ძვ. ქ.: დააგდო ვეცხლი იგი ტ ა ძ ა რ ს ა მ ა ს, მ. 27, 5 C).

ერთმა მოხუცმა საუბარში შ ი ნ ა თანდებულიც იხმარა: სოფელთა შ ი ნ ა ცხოვრება მარტო შრომით შუძლია კაცს.

**თვის** თანდებულის პარალელურად „**თვინ**“ ფორმაც იხმარება. ამ მხრივ გურული ქართული ენის სხვა დასავლური კილოების

---

[1] ს. ჟ ღ ე ნ ტ ი, დასახ. შრ., გვ. 50.

[2] **ში**-ს მთარაჭულშიც ცვლის **ჩი**, მაგრამ, როგორც შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი ს მიერ მოტანილი მაგალითებიდან ჩანს, მხოლოდ **ლ** თანხმოვნით დაბოლოებულ სიტყვებთან (შ. ძიძიგური, ქართული ენის მთარაჭული დიალექტის ძირითადი თავისებურებანი; ენიმკის მოამბე, ტ. II, ნაკ. I, გვ. 77).

ნორმას იმეორებს[1]. უფრო საყურადღებო და გურულისათვის ნიშანდობლივი უნდა იყოს ის ფაქტი, რომ მას დღემდე შემოუნახავს ძველი ქართულის ფორმები **თვის** თანდებულიან ნაცვალსახელთა ფუნქციით: ჩ ე მ დ ა – ჩ ე მ თ ვ ი ს, შ ე ნ დ ა — შ ე ნ თ ვ ი ს, მ ი ს დ ა — მ ი ს თ ვ ი ს. უკანასკნელი უფრო ხშირად მ ი ზ ა ფორმითაც გვევლინება (მ ი ს დ ა → მ ი ზ დ ა → მ ი ზ ა).

მაგალითები: ჩ ე მ დ ა რო არ გეთქვა, ისთე არ შეიძლებოდა?! შ ე ნ დ ა უკეთესია, რო ისტავლო; ი მ ი ზ ა შევეხვეწე, რო ჩემ ბალანას არ შუძლია კაი წერაი (შდრ. ძვ. ქ.: უნებს რაჲმე სიტყუად შ ე ნ დ ა, მ. 12,27; საქმჱ კეთილი იქმნა ჩ ე მ დ ა, მ. 26,10).

ნათესაობით-ვითარებითი ბრუნვების ნიშანთა შეერთების შედეგად ფონეტიკურ მოვლენათა საფუძველზე მიღებული **ზა** სემანტიკურად **თვის** თანდებულს უტოლდება. იგი გურულში ფართოდაა გავრცელებული. **თვის** მეტად იშვიათად იხმარება.

**ზე** თანდებული ნაცვალსახელებთან ყოველთვის არ იხმარება: ჩემს უფრო იცის... შენს უფრო, მის უფრო. „**უფრო**" სიტყვის ხმარება ასეთ შემთხვევაში აუცილებელია.

**კენ** თანდებული უფრო მეტად **კე**-ს სახითაა გამოყენებული, როგორც ამას ადგილი აქვს იმერულში: გომის**კე** წეიყვანა ფილარები; კანტორის**კე** მიდოდა თავჯდომარე...

**გარდა** თანდებულის მნიშვნელობით შემონახულია საშუალო ქართულის **გან** სიტყვა „**მეტის**" დართვით „განმეტი" → გინმეტი (საშუალო ქართულში **გან**-ს „**კიდე**" ერთვოდა,[2] გვქონდა რთული თანდებული **განკიდე**: **მისგანკიდე** არვინ შეჰყვა, „ვეფხ.-ტყ." 101; **შენვანკიდე**, იქვე, 133. ეს „**კიდე**" სემანტიკურად იგივეა, რაც გურულში „**მეტი**"): ერთის**გამეტს** არ გესრიო, — დუძახა ფირალმა; მეზობლის**გამეტი** ვინ გეიგებს ჩემ ზორს; მაღლარის**გამეტი** ვენახი ჩვენში არ იცოდენ.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, **მ**-ს მეზობლად **გან**-ის **ნ** დაკარგულია. დისიმილაციით უნდა იყოს მიღებული **განმეტის** ნაცვლად **გინმეტი** → **გიმეტი**: მატრონაჲს**გიმეტს** არ აქ პენსიაჲ|ი ჩვენ სოფელჩი! შენ**გიმეტი** ვერვინ დეინახა იმან?!

„**განმეტი**" ქვემოიმერულში მხოლოდ ნაცვალსახელებთან გვხვდება და ისიც მარტო მოხუცთა მეტყველებაში, უმეტესად წყევლისა და ლოცვის დროს: **შენგამეტს** დეეფსო თვალები.

---

[1] ს. ჟღენტი, დასახ. შრ., გვ. 66.

[2] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, 1953, გვ. 622.

**თქვენგანმეტი** გლახა არ შემხვედრია ჩემი შვილიზა ცოლით. უკანასკნელ წინადადებაში „თქვენგანმეტი“ „თქვენზე [illegible] უდრის თავისი მნიშვნელობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძლება ერთი წარმოშობისა იყოს ზმნისწინი **გან** და გურული თანდებული **გან** განმეტში, მაგრამ ამჟამად ისინი ძალიან შორს დგანან ერთმანეთისაგან ფუნქციის მიხედვით.

სპორადულად გურულში უთანდებულო მოქმედებითი **გან** თანდებულიანი სახელის ფუნქციას ასრულებს, როგორც ეს ჩვეულებრივი იყო ძველი ქართულისათვისაც: გამოვიდეს ქალაქით, ი. 4,30.

**თან** თანდებულს ხმოვანფუძიან სახელებთან მიცემითი ბრუნვის ნიშნის **ს**-ს შემდეგ მოხვედრილი **თ** ეკვეცება: დედასან წევიდა ციცაჲ|ი; თანხმოვანფუძიან სახელებთან კი მიცემითი ბრუნვის ნიშანი იკარგება, ხოლო **თან** თანდებული უცვლელად ინახება.

**ნაცვალსახელი.** თავისებურებას ამჟღავნებს მესამე პირის ნაცვალსახელი: მხოლობითში მარტო **იგი** იხმარება; გურული მეტყველებისათვის უცხოა ნაცვალსახელი **ის**. მრავლობითის სახელობითში გვაქვს **იგის** **ნ**-არიან ფორმა **იგინი**. ახალ სალიტერატურო ქართულში **იგი**-სათვის ორი ფუძეა გამოყენებული: სახელობითში — **იგი**-ნი, დანარჩენ ბრუნვებში — **მა**-თ.

გურულის მთავარ თავისებურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ, **იგი**-ს მრავლობითის ყველა ბრუნვაში ფუძედ აღებულია სახელობითის ფორმა და მას ერთვის ბრუნვათა მხოლობითობის ფლექსია. მისი ბრუნება ასეთ სახეს ღებულობს:

| | | | |
|---|---|---|---|
| სახ. | იგი-ნ-ი | | შემცვლელი: — |
| მოთხრ. | იგი-ნ-მა | | იმგენ-მა |
| მიც. | იგი-ნ-ს | ანალოგიით: **ისინს** | იმგენ-ს |
| ნათეს. | იგი-ნ-ის | | იმგენ-ის |
| მოქმ. | იგი-ნ-ით | | იმგენ-ით |

აქ განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ყველა ბრუნვაში მრავლობითის ნიშნად არის **ნ**; მსგავსი მოვლენა უცნობია როგორც ძველი ქართულისათვის, ისე ქართული ენის სხვა დიალქტებისთვისაც (შემცვლელი „იმგენმა“... სხვა დასავლურ კილოებშიც იხმარება). უჩვეულოა აგრეთვე **ნ**-არიან მრავლობითზე მხოლობითის ფლექსია — მოთხრობითში, მიცემითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში. ეს თვისება **ებ**-იანი მრავლობითიდან თუა შეთვისებული, თუმცა გაუგებარია, რატომ მხოლოდ ამ ნაცვალსახელთან გატარდა ეს ანალოგია.

ბრუნების აღნიშნულ წესს მიჰყვება ჩვენებითი ნაცვალსახელები „აგი“, „მაგი“, რომელთაც მხოლობითში ზოგჯერ ეკარ[illegible]მენტი.

**მრავლობითის წარმოება.** სახელთა მრავლობითი გურულშიც ისევეა ნაწარმოები, როგორც სალიტერატურო ქართულში. მისი მაწარმოებელია სუფიქსი -ებ.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ გურულში მრავლობითს ორმაგი (**ნ-ებ**-იანი) წარმოებაა გავრცელებული[1].

არნ. ჩიქობავას გამოკვლევით ძმანებსა, დანებსა და სხვა მსგავს ფორმებში **ნ** (←ან) წარმოშობით ფუძის მაწარმოებელი აფიქსია[2]. **ძე**-ზე დაბოლოებულ გვარებში მრავლობითში (გოგიტიძნები, ჩხაიძნები) გამოვლენილი **ნ** შეიძლება **ძენ**-იდან (**ძენ → ძე**) იყოს მიღებული[3].

ადამიანთა გვარის აღმნიშვნელ **ძე**-ზე დაბოლოებულ სახელებში რომ **ნ** სუფიქსი მრავლობითის ნიშანი არაა, ამაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ შვილზე დაბოლოებული გვარების მრავლობითში **ებ**-ის წინ **ნ** არასოდეს იჩენს თავს — გვაქვს: თაყაიშვილები, იორაშვილები... და არა თაყაიშვილნები, იორაშვილნები.

საკითხის ადგილზე შესწავლით გამოირკვა ისიც, რომ **ნ-ებ**-იანი მრავლობითი მხოლოდ ნათესაობის აღმნიშვნელ რამდენიმე სახელს (ძმა, და, ბიძა, დეიდა და სხვა) ახასიათებს. სხვა სახელებთან იგი არ ჩანს. ეს გარემოება უთუოდ იმით უნდა აიხსნას, რომ ამ რიგის სახელები სხვებთან შედარებით უფრო გამძლენი აღმოჩნდნენ. ფუძის უძველესი წარმოებაც მათ შემოგვინახეს. ფუძის მაწარმოებელი უმტკივნეულოდ და უფრო ადრე ჩამოშორებია სხვა სახელებს.

გურულში **ა** ხმოვნით გათავებულ სახელებს მრავლობითში ეს ხმოვანი არ ეკვეცება, ამის გამო **ებ** სუფიქსის **ე** ა-ს სრულ ასიმილაციას ახდენს და გვაქვს: ყანა→ყანეები. პროცესი აქ არ ჩერდება, დისიმილაციით[4] ვღებულობთ — ყანეები→ყანიები, გზიები, ქვიები. აგრეთვე დისიმილაციით მსგავსსავე ფორმებს გვაძლევს **ე** ხმოვანფუძიანი სახელებიც: კტიები, ღელიები, ხიები, ტყიები...

---

[1] ს. ჟღენტი, დასახ. შრ., გვ. 59.

[2] არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, გვ. 8.

[3] იქვე, გვ. 9.

[4] შდრ. ს. ჟღენტი, დასახ. შრ., გვ. 60.

ნ-არიანი მრავლობითის ფორმები აქა-იქ შელოცვებში ეროვნული ბიბლიოთეკა თვით ეს შელოცვებია უძველესი და იმიტომ.

მაგალითები: ხელსა ეჭირა სამი *ფიქალნი ქვისანი*,
ზედა ეწერა სამი *სიტყვანი ხთისანი*.

მოტანილ მაგალითებში საზღვრულ-მსაზღვრელის წყობაც მის სიძველეზე მიუთითებს (*სიტყვანი ხთისანი*...).

**თანაბრობითი ხარისხი აღმოსავლურ გურულში.** სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ქართულს გრამატიკული ელემენტით ნაწარმოები თანაბრობითი ხარისხის ფორმები არ მოეპოვება. მეგრულში მისი მაწარმოებელია პრეფიქსი **მა**: **მა-მხვ-ა** — „ისე მსხვილი როგორც“. სალიტერატურო ქართულში თანაბრობითი ხარისხის შინაარსის გადმოსაცემად გამოყენებულია ზედსართავისაგან ნაწარმოები აბსტრაქტული სახელები: *სიგრძე*, *სიმაღლე*, *სიმსხო*, *სისქე* და სხვა[1].

აღმოსავლურ გურულში (და ქვემოიმერულშიც) თანაბრობითი ხარისხი ნაწარმოებია ვითარებითი ზედსართავი სახელებისაგან ქონების **-ოვან** სუფიქსის საშუალებით: *გრძელვანი*, *მსხვილვანი*, *მაღლვანი*, (მაღვლანი), *დაბლვანი*, *პატვრანი* — *პაიწვანი*, *დიდრვანი*... თხემლაის ხიები *მაღვლანი* იზრდება ჩვენში; ყურძენს წრეულ *პაიწვანი* მარცვლები აქ; აქანაი *დიდრვან* თავებს იკეთებს ქართოფილი; *სქელვანი* ფიცრებით იყო აი სახლი აშენებული, მარა ძველებური ნაშენი იყო და მე გადავაკეთე.

როგორც მოტანილი მაგალითებიდან ჩანს, *მაღვლანი* (ვ გადასმულია), *დიდრვანი*, *სქელვანი*, *პაიწვანი* სახელის მსაზღვრელადაა გამოყენებული.

თავდაპირველად ამ სახელებთან **ოვან** სუფიქსი უთუოდ მარტო ქონებას აღნიშნავდა: *მაღლვანი* — ვინც ან რაც მაღალია (სიმაღლე აქვს), *სქელვანი* — რაც სქელია (სისქე მოეპოვება)..., მაგრამ შემდეგ ქონების აღნიშვნასთან ერთად ამ სუფიქსმა მრავლობითის გაგებაც შეიტანა: *მაღვლანი*, *სქელვანი*, *გრძელვანი* — ერთზე მეტის გაგებას შეიცავს, მაგრამ, რაც უფრო საყურადღებოა, ეს ერთზე მეტი დაახლოებით მაინც ტოლნი, თანაბარნი არიან. ამდენად, აღმოსავლური გურულისა და ქვემოიმერულისათვის ასეთ შემთხვევაში ნახმარი **ოვან სუფიქსი შეგვეძლო**

---

[1] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I. მორფოლოგია, 1953, გვ. 143.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მოგვეჩნია თანაბრობითი ხარისხის სპეციალურ მაწარმოებელ ელემენტად.**

საგულისხმოა ისიც, რომ დასახელებულ დიალექტებში **ოვან** სუფიქსის მიერ მრავლობითის აღნიშვნით არ კმაყოფილდებიან და გრამატიკული მრავლობითის გამოსახატავად მასთან **ებ** სუფიქსს ხმარობენ: მ ა ღ ვ ლ ა ნ ე ბ ი, გ რ ძ ე ლ ვ ა ნ ე ბ ი, დ ი დ რ ვ ა ნ ე ბ ი, ს ქ ე ლ ვ ა ნ ე ბ ი..

თანაბრობითი ხარისხის შინაარსის გამოსახატავად ზედსართავი სახელებისაგან ნაწარმოებ აბსტრაქტულ სახელებსაც **ოვან** სუფიქსი დაერთვის, მაგრამ ასეთ შემთხვევაში შესადარებელი სახელი ყოველთვის ნათესაობით ბრუნვაშია: კ ა ც ი ს თ ა ვ ი ს ს ი ს ხ ვ ა ნ ი იზდება აი ხაპი; თ ი თ ი ს ს ი გ რ ძ ვ ა ნ ი ბალნები ყოლიფერს აკეთებენ. ა მ ს ი მ ა ღ ვ ლ ა ნ ი ხეები (ხიები) თქვენში არაა?; ჩემს უ ფ რ ო ს ვ ა ნ ე ბ ი ცყვენ; მ ა ჯ ი ს ს ი ს ხ ვ ა ნ ე ბ ი ვენახები მაქ.

* *
*

**ზმნა. პირის ნიშნები.** 1. მხოლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის ნიშნად, ნაცვლად ახალი ქართულის **ო** სუფიქსისა, რამდენიმე ზმნაში ძველი ქართულისებურად **ა** სუფიქსი იხმარება: გ ა ა ს წ რ ა, დ ა ი პ ყ რ ა, შ ე ი პ ყ რ ა, გ ა ა ხ მ ა, ც ნ ა.

**ცნა** ზმნა საინტერესოა არა მარტო იმით, რომ მას შემონახული აქვს ძველი ქართულის მესამე სუბიექტური პირის ნიშანი, არამედ იმითაც, რომ მთელი ზმნა ძველი ქართულის ფორმითაა მოღწეული — ძირს არ ერთვის **ი-** თავსართი, რომელიც ჩვეულებრივია ახალი ქართულის მედიოაქტივისათვის II სერიის მწკრივთა ფორმებში (შდრ. ახ. ქართ. **იცნო**)[1]. ზოგჯერ **იცნაც** გვხვდება გურულში, მაგრამ ეს ახალი ქართულის ფორმის გავრცელებითაა გამოწვეული.

2. მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის ნიშნად გურულმა (განსაკუთრებით აღმოსავლურმა გურულმა და იმერულმა) იცის მხოლოდ **-ენ** და **-ნ** სუფიქსები: თაში (მთაში) თლი**ენ** სამძახლებს; ამ ახლო-მახლო ხეს ვერ მოშპრი**ენ**: ყალაურები **ხავენ**; რო არ მოგაგნონ, იმიზა გმალავ აქანე.

აღსანიშნავია ისიც, რომ გურულში რეალური ობიექტის მრავლობითობაც გრამატიკული სუბიექტის **ენ** (**ან**) სუფიქსებით აღი-

---

[1] შდრ. ს. ჟ ღ ე ნ ტ ი, დასახ. შრ., გვ. 19—20.

ნიშნება: მალე ოუშენებიენ აი სახლი; კარალოკი ბეურა გაჰტანენ ბაზარზე, მარა არ გაყიდულა.

მეგრულ-ჭანურისა და ქართულის სუბიექტ-ობიექტურ ნიშანთა განხილვისას არნ. ჩიქობავა წერს: „ქართულ კილოთაგან მესამე პირის სუფიქსებითაა ობიექტთა მრავლობითობა გამოხატული იმერულსა და გურულში (გაქვენ, გყავენ, მან დაგიძახენ...); საფიქრებელია, რომ ეს ზანურის გავლენას მიეწერება“ [1].

3. მესამე ობიექტური პირის ნიშანი **ს**- ნაშთის სახით შემონახულია დ, თ, ტ; ძ, ც, წ; ჯ, ჩ, ჭ ბგერების წინ: დახთხუა, მოსთხუა, მასტაცა, დასძახა...

ჯ, ჩ, ჭ ბგერების წინ **ს** ასიმილაციით **შ**-დ იქცევა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა მეცხრე საუკუნიდან სალიტერატურო ქართულის ძეგლებში: დ ა შ ჭ ე დ ე ს, მ ო შ ჭ რ ა...

მაგრამ უფრო საინტერესოა ის ფაქტი, რომ აღმოსავლურ გურულში მესამე ობიექტური თავსართის **ს**- წინ ზოგჯერ **ჰ** ისმის: მო[ჰ]სტეხა, მო[ჰ]სწყვიტა, [ჰ]სტკლიცა...

თუ ზმნა ჯ, ჩ, ჭ ბგერებით იწყება, მაშინ ობიექტურ თავსართად ასიმილაციით მიღებული **შ** ისმის, მის წინ კი **ჰ** არ ჩანს (და ეს სავსებით კანონზომიერიცაა): დ ა შ ჯ ე რ დ ა, დ ა შ ჭ ყ ი ვ ლ ა.

მესამე ობიექტური პირის **ჰს** პრეფიქსიცაა ძველი ქართულის ჰაემეტიდან სანნარევზე გარდამავალი პერიოდის მოვლენაა. გურულის ეს მონაცემი ამ თვალსაზრისითაც არაა ინტერესსმოკლებული, მაგრამ დიალექტის ამ ჩვენებასთან დაკავშირებით შეიძლება დაისვას სხვა საკითხებიც, რომელთა გადასაჭრელად საჭიროა უფრო ხანგრძლივი მუშაობა და სათანადო მასალების მეტი რაოდენობა.

მახარაძის რაიონში დიალექტოლოგიურ საკითხებზე მუშაობისას გამოირკვა, რომ მაკვანეთის, ლიხაურისა და ჭანიეთის მცხოვრებთა მეტყველებას დღემდე შემოუნახავს მესამე ობიექტური თავსართი **ხ** ზმნაში **ხირეკავს**, რომელიც იხმარება ცუდად მოსხმული ხილის (ვაშლის, მსხლის, ყურძნის, თხილის და სხვათა) კრეფის აღსანიშნავად: ჩემი ადესაჲ|ი არაა კაი მოსხმული: თელი დღეჲ|ი ვ ხ ი რ ე კ ა ვ და ვორ ცვარ ღვინოს ვერ მუყრი თავს.

უდავოა, რომ **ვხირეკავ** (ხ ი რ ე კ ა ვ, ხ ი რ ე კ ა ვ ს) ზმნაში **ხ**

---

[1] არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 102.

ეს მოვლენა სოფ. კურსების მცხოვრებთა მეტყველებაში დადასტურებული აქვს ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის კურსდამთავრებულს ვ. ბოჭორიშვილს (იხ. სტუდენტთა სამეცნ. კონფ. თეზისები, თელავი, 1954, გვ. 13).

პრეფიქსი მესამე ობიექტური პირის ნიშანია. მართალია, [illegible] ობი-ექტური პირი არაა ირიბი, მაგრამ ხომ ცნობილია, რომ [illegible] ერთ-ერთი დიალექტური მიმართულება წიკემითში დასმულ ობიექტს უჩენდა ნიშანს; არ არჩევდა იმას, ეს ობიექტი პირდაპირი იყო, თუ ირიბი.

ცხადია, **ხ** აღნიშნული კუთხის მცხოვრებთა მეტყველებაში ახლა მესამე ობიექტური პირის ნიშნად არაა გაგებული. იგი გაქვავებული სახითაა ზმნაში. ამაზე მიუთითებს ისიც, რომ **ხ** დასახელებული ზმნისაგან ნაწარმოებ სახელებშიც იჩენს თავს: მ ო ხ ი რ ე კ ვ ა დეიწყო ვაშლის, მარა რას იშოვის კაცი; შოთაჲი ს ა ხ ი რ ე კ ვ ა თ არი შესრული ფსხალზე.

**„ხირეკავს“** გურულში ითქმის არა მარტო მეჩხრად მოსხმული ხილის კრეფის აღსანიშნავად, არამედ მიწაზე გაფანტული მარცვლების ასაკრეფადაც.

თქმულიდან სრულიადაც **არ მიგვაჩნია საღავოდ გურულში ძველი ქართულის ხანმეტის გადმონაშთის არსებობა „ხირეკავს“ ზმნაში.** გურულის ეს მონაცემი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული ენის გრამატიკული წყობის ისტორიისათვის. იქნებ იგი იმასაც ამტკიცებს, რომ ძველად ხანმეტური უნდა ყოფილიყო დასავლური კილოებიც.

* *
*

**ვნებითის ტიპების ურთიერთობის საკითხისათვის.** გურულში ფართოდაა გავრცელებული პირველი ტიპის (ენიანი) ვნებითის მეორე ტიპის (დონიანი) ვნებითით შეცვლა: ჩ ა ს ი ძ დ ა, მ ო ფ ა რ დ ე ბ ა, მ ო ქ წ ო ნ დ ე ბ ა, შ ე ს ძ ი ნ დ ა, დ ა ზ ა რ დ ე ბ ა...

ე-ნიანი ვნებითის გვერდის ავლის სხვა შემთხვევებიც შეინიშნება: მ ო წ ყ ვ ა, მ ც ი ნ ი, ქ ც ი ნ ი.

ვნებითის ტიპებს შორის ამგვარი ურთიერთობა მარტო გურულისათვის არაა სპეციფიკური. იგი გვხვდება იმერულშიც, ქართული ენის ზოგ აღმოსავლურ კილოშიც და მწერალთა ნაწერებშიც. იგი არც ძველი ქართულისთვის იყო უცხო.

აღმოსავლური გურულის მეტყველებასა და აქ მოტანილ მაგალითებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ:

1. ე-ნიანი ვნებითის **დ**-ონიანით შეცვლა სპორადულ მოვლენად არ ჩაითვლება, იგი ფართოდაა გავრცელებული.

2. ე-ნიანი ვნებითის **დ**-ონიანით შეცვლას უმეტესად ადგილი აქვს ზმნისწინიან ფორმებში.

3. ე-ნიანი ვნებითის ხმარებას საზოგადოდ გაურბის [illegible] თუ ამის შესაძლებლობა აქვს (მოეწყო → მოწყვა, შეც[illegible] → მცინი, ქცინი).

ძნელი სათქმელია, რატომ ხდება ვნებითის ტიპის შეცვლა, რა აუცილებლობითაა იგი გამოწვეული. ამ საკითხის შესახებ ა. შანიძე წერს: „შენება“ ზმნას ძველად პრეფიქსიანი ვნებითი ჰქონდა. მაგ., ნარზმის სამრეკლოს წარწერაში იკითხება: „აღეშენა წმიდაჲ ესე ეკლესიაჲ...“, მაგრამ ის სუფიქსიანთა ჯგუფშია გადასული: აშენდა, წარმოების ტიპის გამოცვლისათვის ამ შემთხვევაში ალბათ გადამწყვეტი იყო ის გარემოება, რომ „აღეშენა“ ერთპირიანად იყო ქცეული და რელატური ფორმების გასაკეთებლად არავითარი საშუალება არ არსებობდა“ [1].

ა. შანიძის ეს მოსაზრება უთუოდ მართებულია „აღეშენა“ ვნებითის „აშენდა“თი“ შეცვლის ასახსნელად, მაგრამ იგი არ შეიძლება საზოგადოდ ე-ნიანი ვნებითის დ-ონიანით შეცვლის სხვა შემთხვევებისთვისაც გამოვიყენოთ. ზმნის პირიანობის საკითხს ამ მოვლენისათვის საერთოდ არ უნდა ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ეს მოტანილი მაგალითებითაც დასტურდება.

მეგრულსა და ჭანურში დ-ონიანი ვნებითი მეტად იშვიათი მოვლენაა. იგი მათი გრამატიკული წყობისათვის ბუნებრივად ვერ მიიჩნევა. როგორც ფიქრობენ, ეს ტიპი ქართულიდანაა შესული ზანურში [2].

დ-ონიანი ვნებითი კიდევ უფრო გავრცელებული უნდა ყოფილიყო ძველად გურულში, ვიდრე დღეს არის. პირდაპირ შეგვეძლო გვეთქვა, რომ იგი მეგრულ-ჭანურში გურულიდანაა გადასული. სამაგიეროდ „მეგრულის უთუო გავლენას მიეწერება გურულში ხმარებული ე- ვნებითი ქართული ჩვეულებრივი დ-იანი ტიპის ნაცვლად“ [3].

არნ. ჩიქობავას ამ მოსაზრებას მთლიანად ადასტურებს გურულის მონაცემები. როგორც ჩანს, მეგრულ-ჭანურის ახლო ურთიერთობის გამო გურულში შემცირებულა დ-ონიანი ვნებითი ე-ნიანის გავრცელების ხარჯზე, მაგრამ გურული ერთგულია თავისი ძველი ტრადიციისა და, თუ კი ეს შესაძლებელია, ე-ნიან ვნებითს გასაქანს არ აძლევს.

[1] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I მორფოლოგია, 1953, გვ. 310.

[2] არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 114.

[3] იქვე.

**-ავ** და **-ამ** თემისნიშნიანი ზმნების ვნებითები ძველი სახითაა შემონახული: არ დაერთვის **-ებ** თემის ნიშანი; აწმყოსა და მყოფადის მხოლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის ნიშნად **ს** სუფიქსს იყენებს, ნაცვლად ახალი ქართულის **ა** სუფიქსისა: ემალვის, მიეპარვის.

აღნიშნულ მწკრივებში სპორადულად სხვა ტიპის ვნებითის ძველი ფორმაც იჩენს თავს: კაცი რო დაბერდების, აფერია მერე მისი ცხოვრება.

**ზმნის თემის წარმოება.** ზმნები, რომლებიც სალიტერატურო ქართულში თემის ნიშნით იხმარება, გურულში თემის ნიშანს არ დაირთავს: ნახს, დახედს, ვხოცდით, ვთესდით, მორეკს.

გვაქვს საწინააღმდეგო შემთხვევებიც, რომლებიც ანალოგიური წარმოებისა ჩანს: უნდებიენ, მწყინოფს, მწერავდა.

გვხვდება თემის ნიშანთა შენაცვლების მაგალითებიც: ცეკ(ვ)ობს, დაგეშება, მუასროფს (მუასწრებს), გატენავდა, ზდობენ.

თემის წარმოების არქაული ნიმუშებიც მოიპოვება გურულში: მუყვანებენ, მუუტანებენ, გაგზანებენ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დახედს, ვხოცდით, ნახს და მსგავსი უთემისნიშნო ფორმები, რომლებიც იმ დროის გადმონაშთს უნდა წარმოადგენდეს, როდესაც საზოგადოდ თემის ნიშნები ზმნებს არ მოეპოვებოდა[1].

სალიტერატურო ქართულში ხმარებული (ა)ვ არ გვხვდება „დაგლახავება", „გამოაშკარავებას" ზმნურ ფორმებში: ბეჟრი კაი მაქ გაკეთებული, მარა ვერ გამუაშკარდა ჩემი ნამუშიერი; ძველი ცხოვრებიდან დავგლახთი, ახლა რაღაი მინდა?!

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ზმნებში ისტორიულად არც იყო მოსალოდნელი ვნებითში ვ: **გლახა — გლახ-დ-ებ-ა, აშკარა — აშკარ-დ-ებ-ა; ა-(ვ)-ებით** ნაწარმოებია ამ ზმნის მოქმედებითი: **ა-გლახა-ვ-ებ-ს, ა-აშკარა-ვ-ებს.** უთუოდ ამ უკანასკნელთაგან **ვ** გადავიდა ვნებითშიც (გლახავდება, აშკარავდება). გურულში ამგვარ ჩანართს ადგილი არ აქვს.

**I თურმეობითის ფორმები.** დადგენილია, რომ გარდამავალი

[1] არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში... ენიმკის მოამბე, ტ. XII, გვ. 223.

ზმნის I თურმეობითი ძველსა და ახალ ქართულში ზმნის [illegible] ან მეორე სერიის ფუძისაგანაა ნაწარმოები[1]. გამორ[illegible]რეთვე ისიც, რომ I თურმეობითის ის წარმოებაა უფრო ძველი, რომლისთვისაც ამოსავალია ზმნის II სერიის ფუძე[2].

მახარაძისა და ჩოხატაურის რაიონების მცხოვრებთა მეტყველების შესწავლამ გვიჩვენა, რომ გურულში გარდამავალ ზმნათა დიდი უმრავლესობისათვის I თურმეობითი ნაწარმოებია II სერიის თემისაგან: დუხოცია, მჷკლია, გითქვია, გჷმართია.

გურულშიც გვხვდება I თურმეობითის დუწერავს ტიპის ანალოგიური წარმოება, რომელიც ქართული ენის სხვა დიალექტებშიაც ცნობილია, მაგრამ დამსიზმია, დუსვენია, დამკლია, გაჰკიდია, დუხოცია, მჷკლია, გჷმართია, გითქვია და სხვა მსგავს ფორმებს გურულში ანალოგიურ წარმოებად ვერ მივიჩნევთ, რადგან იგი სისტემური ხასიათისაა და არც შემთხვევითს წარმოადგენს.

გურულის ეს მონაცემები მეტად მნიშვნელოვანია ქართულში ზმნის თემის აღნაგობის, განვითარებისა და მწკრივთა წარმოშობის ისტორიისათვის. იგი ერთხელ კიდევ ადასტურებს გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ზმნის II სერიის თემა უძველესია[3]; მისგანაა ნაწარმოები პირველი და შემდეგ, უფრო გვიან, III სერიის მწკრივები. I თურმეობითის I სერიიდან წარმოება ახალი მოვლენაა. ამ ახალი წარმოების ანალოგიაა გურულში „გუყოფია“, „გუცემია“ ფორმათა არსებობა: ჩემთვის არ გჷყოფია, ისთე წყლია სახში|ჩი; ბეჸრი ველაპარიკე, მარა პასუხი არ გუცემია. .

**ვედ (ვიდ) ზმნა გურულში.** ასპექტის წარმოების ახალ საფუძველზე გადასვლის შემდეგ ძველი ქართულის აწმყოს ფორმები მოვალ, წავალ და სხვა მყოფადად იქნა გაგებული[4]. აწმყოში ვალ ფუძის ნაცვლად მოგვევლინა დი პირველ-მეორე პირში (მხ.-მრ.) დამხმარე ზმნით ვარ, ხარ: მოვდივარ, მოდიხარ... უწყვეტელსა და I კავშირებითშიც (მყოფ. კავშ.) ეგევე

[1] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I მორფოლოგია, 1953, გვ. 446.

[2] არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, გვ. 91.

[3] არნ. ჩიქობავა, თურმეობითი პირველის წარმოების ერთი თავისებურება ქართულში, ლიტერატურული ძიებანი, II, 1954, გვ. 138.

[4] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, 1953, გვ. 523.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფუძეა გამოყენებული: მოვდიოდი, მოდიოდი; მოვდი-ოდე, მოდიოდე.

ძველს ქართულში უწყვეტელსა და მისგან ნაწარმოებ მწკრივებში ვედ (ვიდ) ფუძე იხმარება, მაგრამ, რადგან უწყვეტლის ზმნისწინიანი ფორმები მყოფადის წრეში გადავიდა[1] და I ხოლმეობითი ჩამოყალიბდა, უწყვეტელმა და I კავშირებითმა (აწმყოს კავშ.) დი ფუძე გამოიყენა.

ე. წ. I ხოლმეობითში გვაქვს — მოვიდოდი, მოხვიდოდი, მოვიდოდა...

ვედ (ვიდ) ზმნის უწყვეტლისა და უწყვეტლის ხოლმეობითის (ახ. ქართ. I ხოლმეობითი) ფორმათა ხმარება დიალექტებში არაა გარჩეული. მაგალითად, იმერული უწყვეტლისთვისაც და ხოლმეობითისთვისაც ერთსა იმავე ფორმას იყენებს — უწყვეტლის ფორმას. მივდიოდი უწყვეტელიც შეიძლება იყოს და ხოლმეობითიც (ხოლმეობითი არცაა არსებითად იმერულში).

სხვა დიალექტთაგან ამ მხრივ გამოირჩევა გურული კილო, რომელიც უწყვეტელსა და ხოლმეობითს კარგად არჩევს ამ ზმნის სხვადასხვა ფუძეთა გამოყენებით: უწყვეტლისათვის დი, I ხოლმეობითისათვის ვიდ:

| | | |
|---|---|---|
| უწყვეტელი: | მივდიოდი | მივდიოდით |
| | მიდიოდი | მიდიოდით |
| | მიდიოდა | მიდიოდენ |
| ხოლმ. (I) | მივიდოდი | მივიდოდით |
| | მიხვიდოდი | მიხვიდოდით |
| | მივიდოდა | მივიდოდენ |

ულლებიდანაც ჩანს, რომ **გურულმა უცვლელად შემოგვინახა ამ ზმნის ძველი ქართულის უწყვეტლის ხოლმეობითის** I—II პი**რის ფორმები**, რომლებიც მას ახლა გამოყენებული აქვს (როგორც სალიტერატურო ქართულსაც) I ხოლმეობითის გადმოსაცემად.

საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ ვედ (ვიდ) ზმნის I ხოლმეობითი ახალ სალიტერატურო ქართულშიც რამდენადმე ხელოვნურად არსებობს. იმერულმა იგი ვერ შეითვისა. არც გურულს **ექნებოდა, რომ იქ არა გვქონოდა ძველი ქართულის** უწყვეტლის **ხოლმეობითი, როგორც დღესაც მოქმედი მწკრივი.**

[1] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, 1953, გვ. 523.

საყურადღებოა ისიც, რომ **ვედ (ვიდ)** ზმნას უგეზო და ურიენტაციო **იარ** ენაცვლება I სერიის აწმყოს წრესა და II სერიაში.

ამგვარად, დავალ, დავდივარ ზმნების ნაცვლად ვიარები იხმარება გურიის თითქმის ყველა კუთხეში.

**საწყისისა და მიმღეობის შესახებ.** თემისნიშნიანი ზოგი ზმნისაგან გურულში საწყისი და მიმღეობა ნაწარმოებია უთემისნიშნოდ: გათხოვა, დატოვა; გამზადილი, დახავსული, ჩამოკიდული.

„დავობს“ ზმნის საწყისი ნაწარმოებია -ილ სუფიქსით: დავილი (ნაცვლად ლიტერატურაში გავრცელებული ფორმისა **„დავა“**).

მიმღეობის **მე — ოლ, მე — არ** აფიქსების ნაცვლად გვაქვს: **მა — ოლ:** მა-ბძ-ოლ-ი; **მა — არ:** მა-ომ-არ-ი.

ვნებითი გვარის წარსული დროის მიმღეობა ზოგ შემთხვევაში ნაწარმოებია **ნა** პრეფიქსით: განაგონს ვჩივი, ბიძია; დანაბარები ვერ მეიტანე?!

შინაარსის მიხედვით, ვნებითი გვარის მომავლისა და წარსული დროის მიმღეობა გაიგივებულია: „კაი შეხედულია ი სახლი, რო გაკეთა მერე“. აქ „შეხედული“ უდრის „შესახედავს“, „სანახავს“.

**შუალობითი კონტაქტი.** შუალობითი კონტაქტის **ევ-ინ**, ინ მაწარმოებელთაგან მხოლოდ **ი** რჩება: დაამბია, გარაახთია, დააწერია, გააკეთებიე, მაშონიე.

როგორც ცნობილია, შუალობითი კონტაქტის მაწარმოებელი იმერულში მარტო **ნ**-ს კარგავს: აკვლევიებდა, ანდა **ვ**-ს (ევინ სუფიქსიდან): ახთეინებდა (ზემოიმერული)[1].

გურულში შუალობითი გზის წარმოების ერთი უჩვეულო მაგალითიც შეგვხვდა: ი კაცს (ლაპარაკია ვიღაც აჭარელზე) ღამე ჩვენსა გავათიებიეთ. ამგვარ წარმოებაზე საგანგებო დაკვირვება არ გვიწარმოებია.

**ზმნისწინები.** ზმნისწინი **გადა** გურულში ხშირად **ა** ბოლოხმოვანს მოიკვეცს: გადუხვია, გადვიტანე.

იხმარება გარაც: ხეჲ გარააგდო კტეში; გარამრია ქალი მისმა ზორმა.

---

[1] პ. ჯაჯანიძე, ვახანურას ხეობის მცხოვრებთა მეტყველების თავისებურებანი, ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, გვ. 73.

შემო შამო-ს სახით იხმარება. მარტივი **შე შა**-თი კი არა-სოდეს იცვლება: არა ხარ სახში შამოშობის ღრი[illegible] [illegible]-დგა ლაგინაჟი ფიცარზე. ამასვე იმეორებს იმერულიც.

**გა** — წმნისწინის მაგივრად **წა** იხმარება ზოგჯერ: თუთუნს წა-ვატანდი; დიომიდეს წავატანე აჭის გაზეთები.

**შენიშვნები ხოლმეობითის შესახებ.** წერილში „ხოლმეობითის გადმონაშთისათვის გურულში“[1], ვეყრდნობოდით რა გამოცემულ გურულ ტექსტებს, რომლებშიც, ჩოხატაურის რაიონის მცხოვ-რებთა მეტყველების ბევრი ნიმუშია დაბეჭდილი, შეცდომა დავუშ-ვით, როცა -ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნათა უწყვეტლის ხოლმე-ობითის არსებობა მხოლოდ მდ. ბჟუჟის ხეობის მცხოვრებთა მეტ-ყველებისათვის მივიჩნიეთ ნიშანდობლივად; მისი არსებობა გამივ-რიცხეთ ჩოხატაურის რაიონის მცხოვრებთა მეტყველებიდან. ახლა კი გამორკვეულია, რომ **-ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნათა უწყვეტ-ლის ხოლმეობითის ძველი ქართულის ფორმები იმგვარადვეა შე-მონული ჩოხატაურის რაიონის ხევ-ერკეთის მცხოვრებთა მეტყვე-ლებაშიც, როგორც მახარაძის რაიონის მდ. ბჟუჟის ხეობის მცხოვ-რებთა მეტყველებაშიც.** კიდევ მეტი, 1956 წლის აგვისტოში ლანჩხუთის რაიონის სოფლების — აცანის, მამათისა და აკეთის მცხოვრების მეტყველების მასალებზე მუშაობისას აღმოჩნდა, რომ **ვიდ** — **მიდ**-იანი წარმოება აქაც. ამგვარად, იგი გურიის სამსავე რაიონში გვხვდება, მაგრამ ფაქტია, რომ ამნაირი ფორმები ნაშ-თის სახითაა შემონახული გურიის, მეტწილად მთიანი მხარის, მცხოვრებთა მეტყველებაში. საზოგადოდ კი გაქრობის გზაზეა დამდგარი[2].

(შემოვიდა რედაქციაში 15. II. 1956).

[1] ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრო-მები, ტ. XIII, 1955.

[2] ცალკე ვამუშავებთ საკითხს -ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნათა შესახებ გუ-რულში.

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. XV, 1956.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XV, 1956.
ეროვნული ბიბლიოთეკ

დ. გეწაძე

# სტატიკური ვნებითის -ე სუფიქსის შესახებ ძველ ქართულში*

ძველი ქართული ენის წერილობით ძეგლებში გვხვდება ერთი რიგი თავისებური სტატიკური ზმნებისა, რომლებიც სპეციალურ ლიტერატურაში სტატიკური ვნებითის სახელწოდებითაა ცნობილი. მათს ერთ-ერთ თავისებურებას შეადგენს ის, რომ აწმყოში -ი-ე დაბოლოება აქვთ. ასეთი ზმნებია: ჰგონიეს, ჰგიეს, უპყრიეს, ჰმოსიეს და სხვ.

სტატიკური ვნებითის უღვლილება აწმყოში ასეთ სურათს იძლევა:

| | | | |
|---|---|---|---|
| მე | ვჰგონიე | მას ‖ მათ | |
| შენ | ჰგონიე | „ | |
| იგი | ჰგონიეს | „ | |
| ჩუენ | ვჰგონიეთ | „ | |
| თქუენ | ჰგონიეთ | „ | |
| იგინი | ჰგონიან | „ | და სხვ. |

-ი-ე დაბოლოება, გარდა სტატიკური ვნებითისა, ძველ ქართულში გარდამავალ ზმნათა თურმეობით პირველშიც გვხდება:

| | | |
|---|---|---|
| მე | უპოვნიე | მას ‖ მათ |
| შენ | უპოვნიე | „ |
| იგი | უპოვნიეს | „ |
| ჩუენ | უპოვნიეთ | „ |
| თქუენ | უპოვნიეთ | „ |
| იგინი | უპოვნიან | „ |

* წაკითხულია მოხსენებად ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედ-ინსტიტუტის XX სამეცნიერო სესიაზე 1956 წლის 27 თებერვალს. იბეჭდება შემოკლებით.

გარდამავალ ზმნათა თურმეობითი პირველის ანალოგიურ ფორმებში (განუმზადებიეს, უწყიეს, შეუჩუენებიეს, განუბნევიეს...) -ი-ე დაბოლოება სტატიკური ვნებითის წარმოებულია უდავოდ. ამიტომ ბუნებრივია, თუ -ე სუფიქსის საკითხს ძირითადად სტატიკურ ვნებითებთან დაკავშირებით განვიხილავთ.

-ი-ე დაბოლოების მქონე ზმნებში -ი სუფიქსის რაობა გარკვეულია დასაბუთებულია, რომ იგი ხოლმეობითის -ი-ს ტოლფარდი მორფოლოგიური ოდენობაა[1]. რაც შეეხება -ე სუფიქსს, მისი ფუნქციისა და გენეზისის შესახებაც სპეციალურ ლიტერატურაში გარკვეული მოსაზრებებია გამოთქმული[2].

ამ მოსაზრებათაგან განსხვავებით, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ სტატიკური ვნებითის მხოლობითი რიცხვის ფორმებში (მე ვჰგონიე... შენ ჰგონიე... მას ჰგონიეს...) ე სუფიქსს არავითარი მორფოლოგიური ფუნქცია არა აქვს. იგი აქ გადმოსული უნდა იყოს 1 და 2 პირის მრავლობითი რიცხვის ფორმებიდან, სადაც ამავე პირთა მრავლობითობა აღნიშნულია არა -თ, არამედ ეთ სუფიქსით. 1 და 2 პირის მხოლობითი რიცხვის ფორმებში -ე ფუძეს უნდა შეკედლებოდა მას შემდეგ, რაც მრავლობითი რიცხვის ნიშნად გააზრებულ იქნა მხოლოდ -თ. რაც შეეხება 3 პირის ფორმას (ჰგონიეს), აქ -ე გაჩენილი უნდა იყოს 1 და 2 პირის ფორმათა გავლენით[3]. მაშასადამე, თავდაპირველად ჰგონიეს ტიპის ზმნათა უღლილება აწმყოში ასეთი სახისა უნდა ყოფილიყო:

| | | | |
|---|---|---|---|
| მე | ვჰგონი | მას ‖ მათ | |
| შენ | ჰგონი | „ | |
| იგი | ჰგონი-ს | „ | |
| ჩუენ | ვჰგონი-ეთ | „ | |
| თქუენ | ჰგონი-ეთ | „ | |
| იგინი | ჰგონი-ან | „ | და სხვ. |

[1] არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, 1948, გვ. 93—98.

[2] იხ. **Н. Марр, Грамматика др.-лит. грузинского языка**, 1925, გვ. 125, 175, 176.,. ვ. თოფურია, ნამყოს სახეობათა საერთო ნიშნისათვის ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VII, 1955, გვ, 453—459; ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ქართულში, 1954, გვ. 180—192.

[3] ეს მოსაზრება, წინასწარი ვარაუდის სახით, გამოთქმული გვქონდა ჩვენს სადისერტაციო ნაშრომში (იხ. ავტორეფერატი: **„Формы III группы времен и наклонений переходных глаголов в древнегрузинском языке“**, 1953, გვ. 6—7).

სტატიკური ვნებითის 1 და 2 პირის ფორმებში მრავლობითობის ნიშანი რომ -ეთ შეიძლება იყოს, ამას გვავარაუდებინებს შემდეგი ფაქტები:

1. სპეციალურ ლიტერატურაში გარკვეულია, რომ ქართულ ენაში ზმნა მრავლობითი რიცხვის აღსანიშნავად იყენებს იმავე აფიქსებს, რასაც სახელი:

სახელებში გვაქვს: -თ ← -(ე)დ კაც-თ-ა
-ნ კაც-ნ-ი;
ზმნებში გვაქვს: -თ ← დ ვწერ-თ
-ნ (← ენ) დაფარ-ნ-ა... დავფარ-ენ იგინი[1].

ფაქტია ისიც, რომ მრავლობითი რიცხვის ნიშნად სახელებში გადმონაშთის სახით შემონახულია -ეთ სუფიქსიც:

ა) «ვინ» ნაცვალსახელთან:

ვი-ეთ-მე ...იწყეს ვიეთმე ნერწყუად პირსა მისსა... მრ. 14,65.
...დედათაცა ვიეთმე ჩუენგანთა დამაკჳრვეს ჩუენ... ლ. 24,2;

ბ) საკუთარ სახელთაგან ნაწარმოებ კრებით სახელებში: «ლიპარიტეთი», «ვახტანგეთი», «პავლეეთი». კ. კეკელიძის შენიშვნით, „ამ სახელებში იგულისხმებიან მიმდევარნი, თანამოაზრენი და წევრნი იმ საზოგადოებისა, რომლის სათავეში იდგა...“ ლიპარიტი, ვახტანგი, პავლე[2]. ეჭვი არაა, რომ აქ-ეთ მრავლობითობის სუფიქსია;

გ) გეოგრაფიულ სახელებში: სვანეთი, სომხეთი, ჯავახეთი, შავშეთი, სადაც ეთ სუფიქსის თავდაპირველი ფუნქცია უთუოდ მრავლობითობის აღნიშვნაა.

რაკი -ეთ სუფიქსი დასტურდება მრავლობითი რიცხვის ნიშნად სახელებში, შეუძლებელი არაა იგივე სუფიქსი გვქონდეს მრავლობითობის აღმნიშვნელად ზმნებში, ამ შემთხვევაში სტატიკურ ვნებითში (ჩუენ ვჰგონი-ეთ... თქუენ ჰგონი-ეთ).

2. ვარაუდობენ, რომ მრავლობითობის -თ სუფიქსი მიღებულია იმავე ფუნქციის მქონე -(ე)დ სუფიქსისაგან[3]. თუკი -თ სუფიქსი

[1] შდრ. არნ. ჩიქობავა, მრავლობითობის სუფიქსთა გენეზისისათვის ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VI, 1954, გვ. 75.

[2] კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტ. ისტორიიდან, III, 1955 გვ. 116—119.

[3] არნ. ჩიქობავა, მრავლობითობის სუფიქსთა გენეზისისათვის ქართულში, გვ. 75.

მიღებულია -(ე)დ სუფიქსისაგან, ცხადია, მისი არქაული სახე უნდა ყოფილიყო -ეთ და ამ სახით უნდა გვქონდეს [illegible] ხული ისეთ უძველეს ზმნებში, როგორიც სტატ[illegible] თებია.

3. ცნობილია, რომ, ჩვეულებრივ, მრავლობითი რიცხვის -ნ სუფიქსი სახელებში უხმოვნოდ არის წარმოდგენილი (კაც-ნ-ი), ზმნაში კი ხმოვანი ელემენტი ახლავს (აღადგენ-ენ... რბი-ან...). უხმოვნოდ არის წარმოდგენილი სახელებში -თ სუფიქსიც. თუ -ნ სუფიქსის ვითარებას გავითვალისწინებდით, მოსალოდნელი იყო -თ აფიქსის ხმოვანდართული ვარიანტიც ზმნაში. სწორედ ასეთ ვარიანტთან უნდა გვქონდეს საქმე -ეთ სუფიქსის სახით სტატიკურ ვნებითებში.

ამრიგად, ჩვენი დაშვება, რომ სტატიკური ვნებითის 1 და 2 პირის ფორმებში მრავლ. რიცხვი აღნიშნულია -ეთ სუფიქსით, ვფიქრობთ, უსაფუძვლო არ უნდა იყოს.

ზემოთ აღნიშნული გვაქვს, რომ მხოლობითი რიცხვის ფორმებში -ე სუფიქსის გაჩენა მეორეული მოვლენაა, რომ სტატიკური ვნებითის უღვლილება მხოლ. რიცხვში ამ სახისა უნდა ყოფილიყო[1]:

| | | |
|---|---|---|
| მე | *ვჰგონი | მას ‖ მათ |
| შენ | *ჰგონი | „ |
| იგი | *ჰგონის | „ |

ამაზე მიგვითითებს, ჯერ ერთი, ის ფაქტი, რომ -ი სუფიქსიანი სტატიკური ზმნები მხოლობითს რიცხვში სწორედ ასეთსავე სურათს გვიჩვენებენ:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| შდრ. | მე | ვრბი | ვძრწი | ვზი |
| | შენ | ჰრბი | სძრწი | ჰზი |
| | იგი | რბის | ძრწის | ზის |

ჩვენთვის საინტერესო ზმნებიც, ვფიქრობთ, **ისტორიულად** სხვა არაფერია, თუ არა -ი სუფიქსიანი სტატიკური ზმნები, განსხვავებულნი ამ უკანასკნელთაგან მხოლოდ და მხოლოდ 1 და 2 პირის მრავლ. რიცხვის ნიშნებით.

---

[1] შდრ. ივ. ქავთარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 183.

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | სტატიკური ვნებითი (ისტორიულად) | | -ი სუფიქსიანი სტატიკური ზმნა | |
|---|---|---|---|---|
| შდრ. | მე | *ვჰგონ-ი | მე | ვძრწ-ი |
| | შენ | *ჰგონ-ი | შენ | სძრწ-ი |
| | იგი | *ჰგონ-ი-ს | იგი | ჰრწ-ი-ს |
| | ჩუენ | ვჰგონ-ი-ეთ | ჩუენ | ვძრწ-ი-თ |
| | თქუენ | ჰგონ-ი-ეთ | თქუენ | სძრწ-ი-თ |
| | იგინი | ჰგონ-ი-ან | იგინი | ძრწ-ი-ან |

შემდეგ, ჩვენ მიერ აღდგენილი ფორმების (*ვჰგონი, *ჰგონი, *ჰგონის) რეალურად არსებობის შესაძლებლობაზე უნდა მიუთითებდეს თანამედროვე ქართული ენის შესაბამისი ზმნის ფორმებიც:

მე **ვგონ**-ი-ვარ
შენ **ჰგონ**-ი-ხარ
ის **ჰგონ**-ი-ა...

ცნობილია, რომ სტატიკური ვნებითები, ე. ი. ისეთი ზმნები, რომლებშიც 1 და 2 პირის მრავლობითობა აღნიშნულია **-ეთ** სუფიქსით, მცირე რაოდენობით გვხვდება ძველ ქართულში[1]. აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენენ ისეთი ზმნები, რომლებშიც 1 და 2 პირის მრავლობითობა აღნიშნულია **-თ** სუფიქსით (ჩუენ ვრბი**თ**... ვზი**თ**... ვძრწი**თ**... ვყოფ**თ**... ვაკეთებ**თ**; თქუენ ჰრბი**თ**... ჰზი**თ**... სძრწი**თ**... ჰყოფ**თ**... აკეთებ**თ**...). ასეთ პირობებში ბუნებრივია, რომ სტატიკური ვნებითის ფორმებშიც მრავლობითი რიცხვის სუფიქსად გაგებული იქნებოდა არა **-ეთ**, არამედ **-თ**. თუ კი ამის შესაძლებლობას დავუშვებთ, მაშინ ადვილი ასახსნელია ის ცვლილება, რაც სათანადო პირთა მხოლობითის ფორმებში მოხდა -ე სუფიქსის ფუძეზე მიკედლებით.

ამრიგად:

მრავლ. რ. ჩუენ ვჰგონი-**ეთ** → ვჰგონიე-**თ** → მხ. რ. მე ვჰონი**ე**.
მრავლ. რ. თქუენ ჰგონი-**ეთ** → ჰგონიე-**თ** → მხ. რ. შენ ჰგონი**ე**.

3 პირის მხოლობითი რიცხვის ფორმებში (იგი ჰგონი**ე**ს, ჰგი**ე**ს, უპყრი**ე**ს, უპყრი**ე**ს...) -ე სუფიქსის არსებობა 1 და 2 პირის ფორმათა ანალოგიით უნდა აიხსნებოდეს:

---

[1] შდრ. ივ. ქავთარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 180.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...და რათა მტკიცედ ეგოს სულიერი სიყუარული ჩუენ შორის აღშენებულთა მონასტერთაჲ... ხანძთ. 77,$_{27}$;

...და აღასრულა სიტყუაჲ იგი, წინაჲსწარმეტყუელისა მიერ თქუმული... აბო, 60,$_{35}$;

...და აჳ შეუდეგ მე ჭეშმარიტსა ქრისტჱს მიერ მომადლებულსა სარწმუნოებასა... აბო, 69,$_{26}$;

...ნეტართა მამათა მოძღუართა მიერ განსაზღვრებული სარწმუნოებაჲ... აბო, 62,$_{22}$;

...ერთბამად ყოველნი ივლტოდეს მათ-მიერ ოტებულნი... წარტყ. იე, 12;

...ესე წიგნი ჩემ-მიერ აღწერილი აუწყებს წარტყუენვასა... წარტყ. ბ, 1;

...და ირწყვებოდა იგი ვითა ხჱ, დანერგული ღუთისა მიერ... ათონ. 71,$_{17}$;

...და იხილა ხატი მის მიერ შექმნული წარწყმედულად... კიმ. I, 45,$_{15}$;

...და თჳთ იგინი მის მ҃რ განკურნებულნი კმამაღლად ქადაგებენ... კიმ. I, 68,$_{5}$;

...განწესებაჲ მეფისა მ҃რ დაწერილი არა შენ შეაჩუენეა... კიმ. I, 74,$_{10}$;

...სარწმუნოებაჲ მათ მ҃რ დამტკიცებული განაგდეს... კიმ. I, 74, 21.

2. **მიერ**-თანდებულიანი სახელი ნათესაობითში ამავე ფუნქციით იხმარება შედგენილ შემასმენელთან, რომლის სახელადი ნაწილი ვნებითი გვარის მიმღეობაა. მაგალითები:

...ცთომაჲცა მათი ერთად შემტკიცებულ არს მტერისა მიერ... ხანძთ., 129,$_{11}$;

...ეგრეთცა გლახაკთა ნაწილი თქუენ მიერ განწესებულ არს... ხანძთ. 70,$_{9}$;

...ნეტარი მამაჲ ჩუენი გრიგოლ პატივცემულ იყო ზეგარდამო ღმრთისა მიერ... ხანძთ. 67,$_{3}$;

...და ესრეთ ყოვლით კერძო შეზღუდვილ არიან მთათა მიერ... ხანძთ. 54,$_{28}$;

...ღმრთისა მიერ დაცვულ არსო... წარტყ. ია, 31;

...მოძულებულ ხართ თქუენ მის მიერ... წარტყ. ლდ, 23;

ეროვნული ბიბლიოთეკა

…ყ´ლთა მიერ საწადელ იყო და საქებელ… კიმ. I, 91;

…ღ´თისა მიერ მოვლინებულ არიან ძმანი იგი… კიმ. I, 65, $_{18}$;

…ესე წერილ არს წინაჲსწარმეტყუელისა მიერ… C მ. 2, $_{5}$.

3. **მიერ**-თანდებულიანი ნათესაობითი ბრუნვის ფორმა მიერთვის ვნებითი გვარის ზმნას და აღნიშნავს რეალურ სუბიექტს.

…ხოლო ნეტარსა გრიგოლს ეუწყა უფლისა მიერ… ხანძთ. 76, $_{14}$;

…წმიდისა ანგელოზისა მიერ ეუწყა მათ… ხანძთ. 118, $_{21}$;

…რომელთა მიერ დაემტკიცოს ქებაჲ ქრისტჱსი… ხანძთ. 58, $_{19}$;

…და მეორედ აღეშენა ამის ნეტარისა მიერ… ხანძთ. 66, $_{22}$;

…გამოეცხადა ღმრთისა მიერ ნეტარსა გრიგოლს… ხანძთ. 46, $_{7}$;

…ლოდ საკიდურ ეწოდა წინაჲსწარმეტყუელისა მიერ… აბო, 60, $_{37}$;

…ხოლო ნეტარი ჰაბო განძლიერდა ქრისტჱს მიერ… აბო, 69, $_{16}$;

…ხოლო აწ შენ მიერ მოგუეახლა ქრისტჱ… აბო, 79, $_{18}$;

…სიტყუაჲ თქუენი უფლისა-მიერ იყო… წარტყ. ია, 32;

…მის-მიერ ნუგეშინის გეცეს. . წარტყ. ლა, 4;

…კეთილ გეყოს თქუენ ჩუენ-მიერ… წარტყ. კ, 24;

…განძლიერდი ქრისტჱს-მიერ… წარტყ. მ, 4;

…მოიკლა… ძისა-მიერ… წარტყ. ჲე, 1;

…ნეტართა-მიერ გუეუწყა… წარტყ. ჲა, 17;

…ეჩუენა მას ო´სა მ´რ… კიმ. I, 243, $_{24}$;

…განიკურნებოდეს ო´სა მ´რ… კიმ. I, 238, $_{23}$;

…შენ მ´რ იდიდოს სახელი მისი… კიმ. I, 237, $_{13}$;

…ყოველივე მომეცა მე მამისა ჩემისა მიერ… C მ 11, $_{27}$;

…უფლისა მიერ იყო ესე… C მარკ. 12, $_{11}$;

…და თთუესა მას მეექუსესა მიივლინა გაბრიელ ანგელოზი ღმრთისა მიერ… C ლ 1, $_{26}$.

4. **მიერ-თანდებულიანი** სახელი ნათესაობითში ეწყობა მასდარს და აღნიშნავს მოქმედების ჩამ-დენს. მაგალითები:

...ღმრთისა მიერ კურთხევაჲ პირითა შენითა იყავნ ჩუენ ყოველთა ზედა, წმიდაო... ხანძთ. 39, $_{17}$;

...აუწყა კეთილად-განმარჯუებაჲ მონასტრისაჲ მის ქრისტესს მიერ... ხანძთ. 64, $_{23}$;

...რათა ჰპოვნ ღმრთისა მიერ წყალობაჲ... ხანძთ. 126, $_{19}$;

...და მან მოგჳთხრა ღმრთისა მიერ მშჳდობით დაცვაჲ... ხანძთ. 112, $_{20}$;

...ღუარძლი დასთესა... და ენება მათ მიერ დაბრკო-ლებაჲ მათ... წარტყ. ზ, 12;

...მოწამედ გამოჩინებითა ქრისტე იესუჲს მიერ... აბო, 62, $_{38}$;

...ქადაგებაჲ... ი̃ჳ ქ̃ჳსა წ̃თა მოციქულთა მიერ... კიმ. I, 106, $_{30}$.

5. **მიერ-თანდებულიანი** ნათესაობითი ბრუნვის ფორმა მიერთვის მოქმედებითი გვარის ზმნას და აღნიშნავს ზმნით გამოხატული მოქმედების რე-ალურ შემსრულებელს. გრამატიკულად მოქმედი სხვაა. მოქმედების ჩამდენი აქ ეფარდება კაუზატიური ფორმის ირიბ ობიექტს (ალაშენებინებს მას. შდრ. ალაშენებს ქრისტე-ფორეჲს მიერ).

...ხოლო აწ ქრისტე აღაშენებს ორთა მათ მონასტერთა ფრიად კეთილთა ქართლს შინა თევდორეჲს და ქრისტე-ფორეჲს მიერ... ხანძთ. 77, $_{19}$;

..აწ ჩემ მიერ აღაორძინენ ნების-მყოფელნი შენნი... ხანძთ. 125, $_{4}$;

...და მიშუებითა აურაცხელად სულგრძელისა ღმრთისაჲთა საჰაკ ამირისა მიერ მოითხოვა აშჩისა საყდარი ბაგრატ კურაპალატისაგან, უკეთურმან მან ცქირმან... ხანძთ. 115, $_{12-13}$;

...ქრისტემან კეთილად იზრუნოს მკევლისა თჳსისათჳს, რო-მელიცა ჰოვა შენ მიერ, ღირსო მამაო... ხანძთ. 105, $_{26}$;

...ესე თქუა უფალმან ეზეკიელის-მიერ... წარტყ. ვ, 3;

...განრცხა მწიკული იგი ბრალთა ჩუენთაჲ მტერთა ჩუ-ენთა-მიერ. ვითარცა კელითა მრცხელთაჲთა... წარტყ. ლბ, 1;

...და სპარსთა იგი სიმრავლე ჰერეკლეს-მიერ მეფისა დაამდაბლა... წარტყ. ია, 7;

ეროვნული

...და ჰრქუა წ˜სა სახარებასა შ˜ა მოწაფეთა დ[illegible] ყ˜ლსა სოფელსა... კიმ. I, 80, $_{2}$;

..რ˜ლთა აღასრულებდა ღ˜თი წ˜დისა სჳმიონის მიერ... კიმ. I, 254, $_{12}$;

...კაცისა მის მიერ იტყოდა... კიმ I, 251, $_{21}$;

...სხუაჲ სასწაული აღასრულა ღ˜მა ნეტარისა მიერ... კიმ. I, 253, $_{18}$;

...ადიდებდა ღ˜სა მონისა მისისა სჳმიონის მიერ... კიმ. I, 221, $_{12}$;

...და ძე იგი ღ˜საჲ შენ მიერ აღასრულებს სასწაულთა... კიმ. I, 251, $_{5}$;

...რ˜ლი იხილა ანგელოზისა მიერ... კიმ. I, 257, $_{4}$.

პირველ ოთხ პუნქტში აღნიშნული მიერ თანდებულის ფუნქციებით ძველ ქართულშივე გვევლინება გან-თანდებულიანი ნათესაობითი[1]. მათ ხშირად ერთიმეორის გვერდით ვხვდებით. მასთან, იგრძნობა ამ ფუნქციებით გან-თანდებულიანი ნათესაობითის მოჭარბებული ხმარება. თუმცა ეს ფუნქციები მისთვის მეორეული ჩანს. მისი პირველადი ფუნქცია სულ სხვაა. იგი, ძველ ქართულში, დაერთვის სახელს ნათესაობითში და აღნიშნავს სახელთან შეწყობილი ზმნით (resp. სახელზმნით) გამოხატული მოქმედების მიმართულება-მოძრაობას.

...აბრაჰამ ქუეყანისაგან მისგან ურწმუნოთა ნათესავთაჲსა განაშორა ღმერთმან... ხანძთ. 18, $_{12}$;

...კეთილად-მსახურისა ქუეყანისაგან გამოიყვანა... ხანძთ. 19, $_{1}$;

...ზღჳსაგან წუეთი ერთი წყალი ვინმე აღმოიღო.. ხანძთ. 47, $_{15}$;

...მოიწია გუნდი წმიდათა მოციქულთაჲ კიდეთაგან ქუეყანისათა... ხანძთ. 131, $_{20}$;

---

[1] ამ თანდებულთა მონაცვლეობაზე მითითება მოეპოვებათ: ა. შანიძეს (იხ. ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი I, ფონეტიკა და მორფოლოგია, სახელმძღვანელო V—VI კლასებისათვის, 1949, § 196, გვ. 218; იგივე, ნაწ. II, სინტაქსი, სახელმძღვანელო VII—VIII კლასებისათვის, 1949, § 33, გვ. 34—35), ა. მარტიროსოვს (იხ. მისი „თანდებული ქართულში“: იბერ.-კავკას. ენათმეცნიერება, ტ. I, 1946, გვ. 229, 242).

...მოხუცებულ იყო ფრიად და მიახლებულ კორცთაგან განსლვად... ხანძთ. 30,$_{26}$.

ამავე ფუნქციით გვხვდება მოქმედებითთანაც. მაგრამ, როგორც ეს გარკვეულია, „-გან თანდებულიან მოქმედებით ბრუნვას ადგილის აღნიშვნა შედარებით გვიან დაეკისრა, რადგანაც ამ მნიშვნელობით ჩვეულებრივ იხმარებოდა უთანდებულო მოქმედებითი, ანუ დაწყებითი (გამოსვლითი) და ზოგჯერ -გან თანდებულიანი ნათესაობითიც“[1].

მასალის, მიზეზის... აღნიშვნა შემდეგ შეძენილი ფუნქციებია.

ასევე მეორეული უნდა იყოს, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, **-გან** თანდებულის **მიერ** თანდებულის ფუნქციით გამოყენება.

ა) **გან**-თანდებულიანი ნათესაობითი, ისე როგორც **მიერ**-თანდებულიანი, ვნებითი გვარის მიმღეობასთან შეწყობისას აღნიშნავს მოქმედების ჩამდენს (იგი სუბიექტის ნათესაობითია, genetivus subjectivus).

...რაოდენცა შეუძლო უწყებად მსმენელთა ჭეშმარიტად თხრობილი მოწაფეთაგან და მოწაფის მოწაფეთაგან მის წმიდისათა... ხანძთ. 12,$_{18}$;

...მიუწდომელად ჩუენგან დაწერილთა... ხანძთ. 12,$_{21}$;

...და მრავლით ჟამითგან უშჯულოთაგან ზარგანხდილთა ქრისტიანეთა ასწავა სიმჴნეჲ ძლიერი... ხანძთ. 37,$_{21}$;

...რამეთუ ბუნებით ერთ-გუამ არს ქუეყანაჲ უდაბნოთაჲ მათ, და კეთილად შეზავებულ მზისაგან და ჰაერისა... ხანძთ. 54,$_{10}$;

...წესსა, შენგან დამტკიცებულსა... ხანძთ. 60,$_{1}$;

...ნუ იყოფინ ჩემდა წესისა მის პირველთა წმიდათა მამათაგან შეკრებულისა ცვალებაჲ... ხანძთ. 60,$_{9}$;

...ღირსთა მათ მღდელთ-მოძღუართაგან განსაზღვრებულსა კანონსა... ხანძთ. 93,$_{16}$;

...შეიწყალე უფალი ჩემი, სამართლად ღმრთისაგან განპატიჟებული შენ ძლით... ხანძთ. 109,$_{10}$;

...ტფილისს აღზრდილი საჰაკ ამირისა ისმაელის-სიძისაგან... ხანძთ. 115,$_{8}$;

...ხოლო მან სრულიად საღმრთოჲ შიში განაგდო ამპარტავანებისაგან ძლეულმან... ხანძთ. 115,$_{23}$;

---

[1] ქ. ძოწენიძე, „-გან თანდებულიანი მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციისათვის ძველ ქართულში“: იბერ.-კავკას. ენათმეცნიერება, ტ. I, 1946 წ., გვ. 195—202.

ეროვნული ბიბლიოთეკა

..ესოდენჲა დღეთა არა მოსლვაჲ შენი ჩუენდა, [illegible] ფრიად სირცხჳლ არს და ჩუენთა ყოველთა საკდემელ ყოველთა კაცთაგან... ხანძთ. 122,$_{7}$;

...კაცთაგან უხილავად შესწყვიდეს... ხანძთ. 102,$_{17}$;

...ფრთეთაგან საუფლოჲსა ჯუარისაჲთა შეცვული... ხანძთ. 62,$_{23}$;

...ბრძენთაგან შეუცავი სიბრძნეჲ მისი შეცვალებულ არს სიბერითა.. ხანძთ. 93,$_{1}$;

..უდებობისა მედგრობათაგან ძლეული... ხანძთ. 27,$_{19}$.

ბ) ამავე ფუნქციის მქონეა, როცა ეჳყობა შედგენილ შემასმენელს, რომლის სახელადი ნაწილი ვნებითი გვარის მიმღეობაა.

...შეწირულ იყო ღმრთისა დედისაგან თჳსისა... ხანძთ. 14,$_{6}$;

...რომელთაგან მოწერილ იყო ესე ეპისტოლეჲ... ხანძთ. 111,$_{12}$;

...წყეულ არს უფლისაგან.. ხანძთ. 74,$_{10}$;

...რომლისა კელნი და ფერჴნი მტერისაგან მიხუმულ იყვნეს... ხანძთ. 102,$_{10}$;

...სიჭაბუკესა ჩემსა სამ-გზის ოპიზით განძებულ ვიქმენ მამისა გრიგოლისგან... ხანძთ. 114,$_{13}$;

...უცხო ქმნულ არიან წმიდისაგან დედისა ჩუენისა მხოლოჲსა... ხანძთ. 129,$_{27}$.

ერთსა და იმავე წინადადებაში დასტურდება მიერ და გან თანდებულთა მონაცვლეობა.

...და ესრეთ ყოვლით კერძო შეზღუდვილ არიან მთათა მიერ, კევნებისა, და წყალთა მათგან... ხანძთ. 54,$_{25}$;

...და ყოვლითავე კეთილისა საქმითა სწორად პატივცემულ არს ღმრთისა მიერ და კაცთაგან... ხანძთ. 131,$_{11}$.

გვხვდება ასეც:

...იყო იგი სასწაულთ-მოქმედ და დიდად პატივცემულ ღმრთისა და კაცთაგან... ხანძთ. 104,$_{3}$.

აგრეთვე:

იბ. ...მოცემულ არს სიბრძნეჲ ღირსი კეთილისა მიზეზისა ქრისტეჲს მიერ... ხანძთ. 11,$_{10}$.

შდრ. ...ბუნებით მხიარულებაჲ მოცემულ არს ღმრთისაგან... ხანძთ. 54,$_{20}$.

იხ. ...მკეცისაგან შეჭმულ ვიქმენ და დაკლებულ ასოთაგან... სიბრძნე ბალაჰვ. 5,$_{27}$.

შდრ. ...მკეცისა მიერ ვნებულ იყო... სიბრძნე ბალაჰვ. 5,$_{22}$.

იხ. ...კაცთაგან ესე ვერ შესაძლებელ არს, ხოლო ღმრთისაგან ყოველი შესაძლებელ არს... C მ 19,$_{26}$.

შდრ. ...კაცთაგან ესე შეუძლებელ არს, ხოლო ღმრთისა მიერ ყოველივე შესაძლებელ არს... ДЕ მ 19,$_{26}$.

იხ. ...განმზადებულ არს მამისა ჩემისაგან... C მ 20,$_{23}$.

შდრ. ...განმზადებულ არს მამისა მიერ ჩემისა... ДЕ მ 20,$_{23}$.

იხ. ...თქუმულ არს დანიელ წინაჲსწარმეტყუელისაგან... C მ 24,$_{15}$.

შდრ. ...თქუმული დანიელ წინასწარმეტყუელისა მიერ... ДЕ მ 24,$_{15}$.

იხ. ...ვაჲ მას კაცსა, რომლისაგან ძე კაცისაჲ მიეცემის... C მ 26,$_{24}$.

შდრ. ...ვაჲ კაცისა მის, რომლისა მიერ ძჱ კაცისაჲ მიეცეს... ДЕ მ 26,$_{24}$.

იხ. ...კაცთაგან ვერ შესაძლებელ არს, ხოლო ღმრთისაგან არა ეგრე, არამედ ყოველი შესაძლებელ არს ღმრთისაგან... C მარკ. 10,$_{27}$.

შდრ. ...კაცთა მიერ შეუძლებელ არს ესე, არამედ არა ღმრთისაგან, რამეთუ ყოველივე შესაძლებელ არს ღმრთისა მიერ... ДЕ მარკ. 10,$_{27}$.

იხ. ...და იყო მისა უწყებულ სულისაგან წმიდისა არა ხილვად სიკუდილი... ДЕ 2,$_{26}$.

შდრ. ...და იყო მისა ბრძანებულ სულისა მიერ წმიდისა არა ხილვად სიკუდილი... C ლ 2,$_{26}$.

იხ. ...უკუეთუ არა არს მისა მოცემულ მამისაგან ჩემისა... ДЕ ი 6,$_{65}$.

შდრ. ...არათუ მოცემულ იყოს მისა მამისა მიერ ჩემისა... C ი 6,$_{65}$.

გ) ამავე ფუნქციით გამოდის გან-თანდებულიანი ნათესაობითი, როცა იგი შეწყობილია ვნებითი (ან საშუალი) გვარის ზმნასთან.

...მისგან იშვა... ხანძთ. 75,$_{19}$;

ეროვნული ბიბლიოთეკა

...იგუემნეს ეშმაკთაგან... ხანძთ. 108,$_{4}$;

...მტერისაგან ფრიად იტანჯებოდეს... ხანძთ. [illegible]

...მღდელნი და დიაკონნი მათნი ანჩელთა ეპისკოპოსთაგან იკურთხევიან... ხანძთ. 114,$_{14}$;

...ემხილა წმიდათა მათ პირველთა კლარჯეთისა მეუდაბნოეთაგან მამათა და ყოველთა მათგან... უფროჲს ხოლო მამისა გრიგოლისაგან... ხანძთ. 115,$_{18-19}$;

...კეთილად იხილვებოდეთ მახლობელთა და შორიელთაგან... ხანძთ. 123,$_{29}$;

...გამოიცადებოდიან მახეთაგან... ხანძთ. 92,$_{14}$.

ერთსა და იმავე წინადადებაში ვპოულობთ მიერ და გან თანდებულთა მონაცვლეობას:

...და ამის მიერ არა ხოლო თუ მონასტერნი მისნი განმტკიცნებოდეს, არამედ სიბრძნისა მისისა მდინარეთაგან ირწყვოდეს ყოველნი უდაბნონი კლარჯეთისანი... ხანძთ. 81,$_{11-12}$.

გვხვდება ერთსა და იმავე ძეგლში ერთსა და იმავე ზმნასთან როგორც მიერ-თანდებულიანი, ისე გან-თანდებულიანი სახელის შეწყობის შემთხვევები.

იხ. ...ეუწყა ღმრთისაგან... ხანძთ. 131,$_{23}$.

შდრ. ...ეუწყა უფლისა მიერ.. ხანძთ. 6,$_{14}$.

...ანგელოზის მიერ ეუწყა... ხანძთ. 118,$_{21}$.

ან კიდევ: იხ. ...და იგინიც იკურთხნენ წმიდათაგან ლოცვათა შენთა... ხანძთ. 24,$_{28}$.

შდრ. ...რათა იკურთხნენ მის მიერ... ხანძთ. 131,$_{23}$.

ოთხთავის პარალელურ ტექსტებში გვაქვს:

...რომელნი არა სისხლთაგან, არცა ნებითა კორცთაჲთა, არცა ნებითა მამაკაცთაჲთა, არამედ ღმრთისაგან იშვნეს... ДЕ ი 1,$_{13}$.

შდრ. ...რომელნი არა სისხლთაგან და არცა ნებითა კორცთაჲთა და არცა ნებითა მამაკაცისაჲთა, არამედ ღმრთისა მიერ იშვნეს... C ი 1,$_{13}$.

იხ. ...უკუეთუმცა არა იყო ესე ღმრთისაგან... ДЕ ი 9,$_{33}$.

შდრ. ...თუმცა არა იყო ღმრთისა მიერ... C ი 9, 33.

დ) ამავე ფუნქციის მქონეა, როცა ეწყობა მასდარს.

...ჯერ იყო პირველად მღდელთ-მოძღუართაგან ბრძანებაჲ... ხანძთ. 92,$_{16}$;

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ვჰგონებდ ცხორებისა ამისა დაწერად ბრძენთაგან და სრულთა მამათა... ხანძთ. 100,$_{16}$;

...მოწაფეთაგან ცნობაჲ დიდებულებისაჲ [illegible] მშობელთაჲ... ხანძთ. 39,$_{1}$.

ოთხთავის C რედაქციაში გან-თანდებულიანი ნათესაობითი გვაქვს, ხოლო ДЕ რედაქციაში მიერ-თანდებულიანი ამ წინადადებაში:

1. ..არღარას შემძლებელ არნ იჯი, გარნა განგდებად გარე და დათრგუნვად კაცთაგან... C მ 5,$_{13}$.

2. ...არღარა საკმარ არს მიერითგან, არამედ და განგდებად გარე და დათრგუნვად კაცთა მიერ... ДЕ მ 5,$_{13}$.

ამგვარად, ძველ ქართულში, როგორც ვხედავთ, ძალიან ხშირია **მიერ** და **გან** თანდებულთა სინონიმური ხმარების შემთხვევები.

როგორ გახდა შესაძლებელი **მიერ** და **გან** თანდებულთა სინონიმური გამოყენება. რა არის მათში საერთო?

ამაზე პასუხი რომ მივიღოთ, ამისათვის საჭიროა გავითვალისწინოთ შემდეგი.

**მიერ**, როგორც ცნობილია, იშლება ელემენტებად: **მ-ი(ვ)-ერ**, სადაც **მ-** ნაცვალსახელური ძირია, **-ი(ვ)**-კლასიანი ბრუნების დროის ბრუნვის მაჩვენებელი, **-ერ** (**-ი(ვ)**-თან) სიტყვაწარმოებითი აფიქსი.

**მიერ**'ის ***მი(ვ)** ჩვენებითი ნაცვალსახელი უნდა ყოფილიყო იმავე რიგისა, როგორც მით (← *მიდ), მის. უფრო გვიან ეს ნაცვალსახელები მსაზღვრელ („განსაზღვრულ") ნაწევრადაც გამოიყენება. ***მი(ვ) -ერ** სუფიქსის დართვის შემდეგაც (მიერ) იხმარებოდა ძველ ქართულში ამ ფუნქციით, ოღონდ ადამიანის კლასის სახელთან შეწყობის უნარი დაკარგული ჰქონდა. ალბათ, ამან შეუწყო ხელი მის ზმნიზედად (და შემდეგ თანდებულად) ქცევას. საინტერესოა ისიც, რომ დამოუკიდებლადაც **-ივ** ზმნიზედათა მაწარმოებლად იქცა.

ზმნიზედა მიერ ადგილს აღნიშნავს (= იქიდან).

ბრუნვის ფორმებთან თანდებულების ხმარება შედარებით ახალი მოვლენაა. როგორც ცნობილია, თანდებულები მეტწილად სახელებისა და ზმნიზედებისაგან მომდინარეობენ. ზოგი ქართული თანდებულის წარმოქმნის პროცესის გათვალისწინება ხერხდება. ზმნიზედათა და სახელთა თანდებულებად ქცევის პროცესი დღესაც არ არის შეწყვეტილი.

ის სინტაქსური დამოკიდებულება, რომელიც ახლა მხოლოდ თანდებულიანი ბრუნვის საშუალებით მყარდება, ადრე უთანდებულო (წმინდა) ბრუნვის ფორმით აღინიშნებოდა. მაგალითად,

ძველ ქართულში შინა, ზედას... თანდებულ[illegible] პროცესილაა დაწყებული. ერთი და იგივე სახელი მი[illegible]ვის ფორმით, ერთგვარ სინტაქსურ კავშირში, უთანდებულოდაც გვხვდება და თანდებულითაც.

რამ გამოიწვია თანდებულის დართვის აუცილებლობა?

როგორც ცნობილია, ბრუნვის ერთ ფორმას ჩვეულებრივ სხვადასხვა ფუნქცია აქვს დაკისრებული. იბადება საჭიროება განსხვავებულ ფუნქციათათვის დიფერენცირებულ ფორმათა წარმოქმნისა.

მაგალითისათვის ავილოთ მიცემითი ბრუნვის ფორმა-

იგი აღნიშნავს ზმნით გამოხატული მოქმედების ობიექტს ან სივრცეში საგანთა ლოკალიზაციას — ადგილის გარემოებას. უკანასკნელი შეიძლება გამოხატავდეს შიგნით, ზედაპირზე, ვინმესთან ან რამესთან ყოფნა-მდებარეობას... ამ ფუნქციებისათვის ენამ შეიმუშავა განსხვავებულ-თანდებულიანი ფორმები.

ძველ ქართულში მხოლოდ იწყებოდა ეს პროცესი. მაგალ., „ზღუაჲ“ სახელის მიცემითი ბრუნვის ფორმა „ზღუასა“ გვხვდება შემდეგი მნიშვნელობით:

1. ...შეჰრისხნა ქართა მათ და ზღუასა.. მ. $8,_{27}$ ДЕ.
2. ...იყო ნავი საშოვალ ზღუასა. მარკ. $6,_{47}$ С.
3. ...რამეთუ ვიდოდა ზღუასა მას ი. $6,_{19}$ С.
4. ...მივედ ზღუასა... მ. $17,_{27}$ С.

ამათგან უთანდებულო მიცემითი მხოლოდ პირველ მნიშვნელობას (ობიექტის გამოხატვას) განეკუთვნა. დანარჩენისათვის გამოყენებულ იქნა სხვადასხვა თანდებული. კერძოდ: მეორისათვის — შინა, მესამისათვის — ზედა და მეოთხისათვის — თანა.

და მივიღეთ:

2. ...ძვრაჲ იყო დიდ ზღუასა შინა... მ. $8,_{24}$ С.
3. ...ვიდოდა რაჲ ზღუასა ზედა... ი. $6,_{19}$ ДЕ.
4. ...ყოველი იგი ერი მის თანა ზღუასა თანა ქუეყანასა ზედა იყო... მარკ. $4,_{1}$ С.

თანდებული ერთვის ბრუნვის ფორმას უკანასკნელის მნიშვნელობის გასაძლიერებლად ან მისი სხვა მნიშვნელობათაგან გამოსაყოფად. იგულისხმება, რომ თანდებულის მნიშვნელობა შეესაბამება ბრუნვის ფორმის მნიშვნელობას.

დაისმის კითხვა: თუ მეორეული წარმოშობის მიერ და განთანდებულიანი ბრუნვის ფორმები მოქმედების ჩამდენს აღნიშნავენ, თავდაპირველად რომელ უთანდებულო ბრუნვის ფორმას უნდა გადმოეცა ეგევე მნიშვნელობა? — საფიქრებელი იყო, ის-იან ფორ-

მას მაგრამ ეს მაინცდამაინც ასე არ არის. ძვ. ქართულში არ მოგვეპოვება იმის მოწმობა, რომ მოქმედების ჩამდენის [illegible] შესძლებოდა უთანდებულო ნათესაობითის ის-იან ფორმას [illegible] რამ ახლა შესაძლებელია, მაგრამ ეს მეორეულია). სამაგიეროდ ძვ. ქართულში მოიპოვება იმის ჩვენება, რომ ეს ფუნქცია დაკისრებული ჰქონდა **-ივ** სუფიქსიანი ბრუნვის ფორმას.

მართლაც, მოქმედების ჩამდენობა, აქტიურობა ადამიანის კლასის საგანს შეეფერება, და, ამრიგად, ბუნებრივი იქნებოდა ადამიანის კლასის სახელთან *__მივ__ ნაცვალსახელის (ადამიანის კლასის ნიშნის შემცველი ნაცვალსახელის) ხმარება.

ივარაუდება, რომ იგი (*მ ი ვ) შეთანხმებული იქნებოდა მასთან მდგომ სახელთან ბრუნვაში ისე, როგორც ეს გვაქვს ძვ. ქართულში **მით, მის** ნაცვალსახელების ნაწევრად გამოყენებისას. და ამგვარად, სახელს ექნებოდა **-ივ** დაბოლოება.

**-ივ** დაბოლოებიან სახელს უნდა გამოეხატა მოქმედების ჩამდენობა. ასეთი ვითარება დასტურდება ძვ. ქართულში ნაშთის სახით. მხედველობაში გვაქვს ისეთი კონსტრუქცია, როგორიცაა ღ მ რ თ ი ვ ა შ ე ნ ე ბ უ ლ ი.

მაგრამ ეს **-ივ -ის** ფლექსიით შეიცვალა ყველა სხვა შემთხვევაში. მასთან **-ივ**-ის აღნიშნული ფუნქცია მას არ შეთავსებია.

ასეთ პირობებში საჭირო იყო თანდებულის გამოყენება. არჩევანი მიტანილ იქნა ყველაზე შესაფერის **მიერ**'-ზე, რომელიც (დეფექტურად) შეიცავს **-ივ**-ს.

*__მივ__ ნაცვალსახელმა **-ერ** სუფიქსის დართვისა და ზმნიზედად და თანდებულად ქცევის შემდეგაც შეინარჩუნა რამდენიმე ხნით ნაწევრის ფუნქცია. მართალია, შეცვლილი სახითა და ფუნქციით (ის იხმარება ძვ. ქართულში გამოსვლითის ფუნქციის მქონე მოქმედებითთან: მ ი ე რ მ თ ი ი თ).

აქედან წარმოდგა **მიერ** ა დ გ ი ლ ი ს ზმნიზედა და **მიერ** თანდებული.

**გან** თანდებულიც, როგორც ეს გარკვეულია, უკავშირდება **განი** სახელს. „გ ა ნ ი ადგილია და მისი ეს მნიშვნელობა დაცულია გ ა ნ - თანდებულში... ჩ ე მ გ ა ნ — იმ ადგილიდან, სადაც მე ვარ; შესაბამადვე — შ ე ნ გ ა ნ, მ ი ს გ ა ნ, თ ბ ი ლ ი ს ი თ გ ა ნ და ა. შ."[1].

ამრიგად, რამდენადმე მჟღავნდება ამ ორი თანდებულის (მ ი ე რ

---

[1] ვ ა ხ ტ ა ნ გ   ბ ე რ ი ძ ე, საგან-სიტყვის ეტიმოლოგიისათვის. საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, № 4, 1942, გვ. 382.

და *გან*'-ის) სემანტიკური სიახლოვე. ამან შეუწყო ხელი [illegible] მათს სინტაქსურ მონაცვლეობას, რასაც, როგორც ვნახეთ, [illegible] ფართო გასაქანი აქვს ძვ. ქართულში.

ქართული სამწერლობო ენის სათავეებთან **გან** თანდებულის ჩვენთვის საინტერესო ფუნქციით **მიერ**'-ის გვერდით გახშირებული ხმარება და შემდგომ პერიოდში მისი პოზიციის კიდევ უფრო გაძლიერება კაცს აფიქრებინებს, ხომ არაა ამ მხრივ **გან**'-ის გამოყენება პირვანდელი და ხომ არ შეეცვლია მას უფრო გვიან წარმოქმნილი **მიერ** თანდებული?

ასეთი შესაძლებლობა გამორიცხულია. ამ მხრივ, გარდა ზემოაღნიშნულისა, საყურადღებოა ერთი გარემოება.

შენიშნულია პარალელური ხმარება ასეთი კონსტრუქციებისა, როგორიცაა: *ღმრთივ მოცემული*, *ღმრთისა მიერ მოცემული* და *ღმრთისაგან მოცემული*. ეჭვს გარეშეა, რომ ამათგან ყველაზე ძველია პირველი (*ღმრთივ მოცემული*) და დანარჩენი ორი — მერმინდელი. ამ უკანასკნელთაგან რომელს უნდა შეეცვალა თავდაპირველად და ბუნებრივად *ღმრთივ*: **მიერ**-თანდებულიან კონსტრუქციას, თუ **გან**-თანდებულიანს? — ცხადია, **მიერ**-თანდებულიანს: *ღმრთისა მიერ*-ს. ეს უკანასკნელი იგივეა, რაც *ღმრთივ*, ოღონდ სახეშეცვლილად. **მიერ**'-შიც **ივ** გვაქვს, როგორც *ღმრთივ*-შიც.

ისიცაა მხედველობაში მისაღები, რომ **მიერ**'-ს, როგორც თანდებულს, სხვა ფუნქცია არ გააჩნია. მოქმედების ჩამდენობის აღნიშვნა — ეს მისი ერთადერთი ფუნქციაა. თუ დავუშვებთ, რომ ამ ფუნქციით **მიერ**-ზე ადრე **გან** გამოიყენებოდა, მაშინ სრულიად ზედმეტი იქნებოდა **მიერ**'-ის აღმოცენება იმავე ფუნქციით და მისი **გან**'-ის პარალელურად ხმარება. სულ სხვაა **გან**'-ის საკითხი. იგი სხვა ფუნქციებით მეტად მდიდარი და გავრცელებული თანდებული იყო. მან **მიერ**'-ის ფუნქციის შესრულებაც შეითავსა.

* * *

როგორია ვითარება **მიერ** და **გან** თანდებულთა სინონიმური გამოყენების მხრივ ახალ ქართულში?

ახალ ქართულში ამ თანდებულების ხმარება განსხვავებულია სალიტერატურო ენის სხვადასხვა სტილის მიხედვით: მხატვრულ-ბელეტრისტიკულ ნაწარმოებებში შემთხვევათა აბსოლუტურ უმეტესობაში იხმარება **გან**, ხოლო საზოგადოებრივ-პუბლიცისტიკურ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეცნიერო-ტექნიკურ და სხვა ლიტერატურაში უპირატესად გამოყენებულია მიერ.

ნათქვამის ნათელსაყოფად გავეცნოთ სხვადასხვა დროის მწერალთა ენაში ამ მხრივ არსებულ მდგომარეობას.

დავიწყოთ „ვეფხისტყაოსნით“.

„ვეფხისტყაოსანში“ მიერ არ გვხვდება. ორიოდე შემთხვევა დასტურდება მიერ'-ის წარმოქმნის ელემენტად გამოყენებისა.

„მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა“ (1).

„ამის მეტსა ნუმცა ვჰნახავ კვლავა წიგნსა შენ მიერსა“ (401).

გან თანდებულის ხმარება ჩვენთვის საინტერესო ფუნქციით „ვეფხისტყაოსანში“ ძალიან ხშირია (ორ ასეულზე მეტი შემთხვევა დაითვლება).

იგი უმეტესად ნაცვალსახელებს ერთვის. გვხვდება სხვა სახელებთანაც (უფრო იშვიათად). გან-თანდებულიან ნათესაობითს აქ მოპოვებული აქვს განუყოფელი ბატონობა.

დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს.

გან-თანდებულიანი სახელი ვნებითი გვარის მიმღეობებთან.

ჩემგან ხმობილი (43); მამისაგან სწავლებული (53); მტერთაგან დაულეწელი (167); ქართაგან მონატაცი (227); ბრძენთაგან თქმული (1323); შდრ. ბრძენთა თქმული (902); მეფისაგან მოგზავნილი (561) და სხვა.

გან-თანდებულიანი სახელი მასდართან.

ჩემგან თქმაღა ვით იქმნების? ('26); ჩემგან ალპყრობა ხელისა (257)...

გან-თანდებულიანი სახელი ვნებითი გვარის ზმნასთან.

ქარისაგან ირხევის (140); ჩემგან ეამების (27?); მისგან მომეცა (384)...

დავით გურამიშვილის „დავითიანში“ სამიოდე მაგალითი გვხვდება მიერ თანდებულის ხმარებისა.

სულისა მიერ გრძნობილი (27,$_{2}$); მის მიერ ქმნული (46,$_{136}$);

ძისა მიერ აქვს წმინდობანი (118,$_{13}$).

ერთგან მიერი-ც გვხვდება: თქვენ მიერი (118,$_{8}$).

გან-თანდებულიანი ნათესაობითის ხმარება აქ ჩვეულებრივია. იგი იხმარება იმავე ფუნქციებით, როგორც „ვეფხისტყაოსანში“.

მაგალითები.

ბრძენთაგან ბრძნობილი (27,$_{2}$); მტერთაგან გაბასრული (62,$_{184}$).

საწყაულის მოწყვა ღვთისაგან (გვ. 49); რუსი კელმწიფისაგან მიპატიჯება (გვ. 52)...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისგან შეირყა (53, $_{188}$); მისგან დაიქცა (53, $_{188}$)...

ილია ჭავჭავაძის მხატვრულ ნაწარმოებთა ენაში მიერ თანდებული არ გვხვდება. მიერ'-ის ფუნქციითაც აქ ყველგან გან თანდებული გამოდის.

ამათგან დაწნული (I, 23, $_{10}$); შენგან დარგული (I, 31, $_{3}$); მისგან მოცემული (I, 45, $_{12}$); თქვენგან ჩაგრული (I, 94, $_{18}$); თქვენგან გმობილი (I, 98, $_{17}$); კაცთაგან გმობილ-დევნული (I, 96, $_{1}$ ქვ.).

ილიას წერილების ენაში აქა-იქ **გან**-თანდებულიანი ნათესაობითის გვერდით იმავე ფუნქციით **მიერ**-თანდებულიანი ნათესაობითი ბრუნვის ფორმებიც გვხვდება.

მის მიერ თქმული (III, 167, $_{1}$); განდიდებული ჩვენ მიერ (III, 175, $_{8}$); ლექტორის მიერ სასაცილოდ აგდებული (III, 169, $_{2}$ ქვ.)...

ვაჟა-ფშაველასთანაც არ გვხვდება **მიერ**-თანდებული. მისი ფუნქციით აქაც **გან** თანდებულია გამოყენებული:

მგლისაგან დაგლეჯილი (V, 47, $_{13}$ ქვ.); ნიავისაგან გაშრიალებული (V, 10, $_{13}$); ღვარისაგან დალარული (V, 17, $_{9}$) და სხვა.

აქა-იქ გვხვდება უთანდებულოდ შეწყობის შემთხვევებიც.

მეფის გაგზავნილი კაცები (V, 269, $_{10}$); პატრონის მოტანილი ბალახი (V, 267, $_{11}$).

ა. ყაზბეგთანაც არა ჩანს **მიერ**. იქ, სადაც ეს უკანასკნელი იყო მოსალოდნელი, ყველგან გვაქვს **გან**.

ღმრთისაგანაც და კაცისაგანაც მოძულებული (I, 10, $_{11}$); ღვთისაგან არის დანიშნული (I, 48, 9); ღვთისაგან გვაქვს მოცემული (I, 272, $_{12}$ ქვ.; 306, $_{3}$ ქვ.)...

უთანდებულოდ შეწყობის მაგალითია:

ღვთის გაჩენილები (I, 128, $_{18}$).

გ. ლეონიძე **მიერ** თანდებულს ხმარობს, მაგრამ მასთანაც მეტწილად **მიერ**'-ის ფუნქციით **გან**- თანდებული გვხვდება.

**მიერ:**

სიკვდილის მიერ ნაკოცნი (3.4, $_{11}$); კავადის მიერ გამოგზავნილი (447, $_{14}$); ყორნის მიერ მოტანილ თესლზე (511, $_{13}$); ბუნების მიერ წყეული (512, $_{7}$ ქვ.); მოკვდეს ჩემ მიერ (461, $_{15}$).

**გან:**

ჩვენგან ნაპოვნი და ნაქები (89, $_{19}$); შენგან დაწნული (127, $_{15}$)...

კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარში" **მიერ**'-ის ხმარების ერთადერთი მაგალითი გვაქვს: „მტრის მიერ გაწეულმა სამსა-

ხურმა კაცი ისე შებოჭა...“ (133,$_{10}$). სხვაგან ყველგან **მიერ**-ის ფუნქციით **გან** თანდებულია გამოყენებული. მაგალითად, ყველასა-გან მოძულებული (3$^{1}$,$_{2}$ ქვ.); ქვისაგან... დაშლილი (3ნ,$_{15}$)...

თანამედროვე სალიტერატურო ენის საზოგადოებრივ-პუბლიცისტიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ სტილებში **მიერ** ერთ-ერთი ყველაზე ხშირად ხმარებული თანდებულთაგანია.

რამდენიმე მაგალითი.

„იგი წააწყდა მეთოდიკურ სიძნელეს სისხლის მიერ ჟანგბადის მიერთების განსაზღვრის საკითხში“ (გაზ. „კომუნისტი“ 15. XI. 55);

„იმხანად ცნობილი იყო ძმების ვებერების მიერ აღმოჩენილი ფაქტი“... (იქვე);

„...სეჩენოვის მიერ... წამოყენებული“ (იქვე);

„მის მიერ თავის თავზე ნათქვამი...“ (აკ. შანიძე, ქართ. გრ. საფ., გვ. 42).

ბუნებრივად დაისმის კითხვა: რა უნდა იყოს იმის მიზეზი, რომ **მიერ** და **გან** თანდებულების გამოყენება ერთგვარი ფუნქციით ასეა განაწილებული: მხატვრული ლიტერატურის ენაში ჩვეულებრივია **გან**, ხოლო პუბლიცისტიკურ-სამეცნიეროსაში — **მიერ**.

როგორც ცნობილია, მხატვრული ლიტერატურის საფუძველი, მისი მასაზრდოებელი წყარო ხალხური მეტყველებაა, ცოცხალი მეტყველება. ხალხურ ენაში კი **მიერ** ჩვეულებრივ არ იხმარება. პუბლიცისტიკურ-სამეცნიერო ლიტერატურის დასაყრდენია წიგნის ენა, რომელიც უფრო ინახავს ენობრივ ტრადიციას. ვფიქრობთ, ეს უნდა იყოს მიზეზი უკანასკნელში **მიერ** თანდებულის უპირატესი ხმარებისა.

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XV, 1956.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XV, 1956.
ეროვნული ბიბლიოთეკა

კ. მეძველია

# დასების საკითხისათვის მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში*

ამ რამოდენიმე ხნის წინათ, გარკვეული მიზეზების გამო, შეუძლებელი იყო საქართველოში დასების თეორიების შესახებ მსჯელობა.

ამჟამად კი, როდესაც ეს შესაძლებელი გახდა, ჩვენც შევეცადეთ ზოგიერთი მოსაზრება წამოგვეყენებინა დასების ან ლიტერატურული დაჯგუფებების იდეური სხვაობისა და ხასიათის გასარკვევად.

ჩვენ აუცილებლად არ მიგვაჩნია XIX საუკუნის მეორე ნახევარში არსებული ლიტერატურული დაჯგუფებების დასებად დაყოფა. შესაძლებელია, დასების არსებობა უფრო მეტ განმასხვავებელ ნიშნებსა და წინააღმდეგობებს მოითხოვდეს, ვინემ ეს XIX საუკუნის მეორე ნახევარში ცალკე ჯგუფებს შორის იყო წარმოდგენილი.

მაგრამ ერთი კი ცხადია: ამ პერიოდის ქართული აზროვნება და მხატვრული ლიტერატურა ერთიანი ნაკადის სახით არ განვითარებულა; ცალკე მიმართულებას შორის არსებობდა სერიოზული, ზოგჯერ პრინციპული ხასიათის წინააღმდეგობები და ამ წინააღმდეგობათა გარკვევისა და განსაზღვრის გარეშე შეუძლებელია XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ჭეშმარიტი შესწავლა და მისი პერიოდებად დაყოფა.

ჩვენ არ ვაცხადებთ პრეტენზიას ამ რთული იდეოლოგიური საკითხების საბოლოოდ გარკვევისას, მაგრამ ვფიქრობთ, პრობლე-

---

* წაკითხულია მოხსენებად ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედინსტიტუტის ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის სხდომაზე 1955 წლის 17 დეკემბერს, ხოლო 1956 წლის 27 თებერვალს — ინსტიტუტის XX სამეცნიერო სესიაზე (იხ. სესიის გეგმა. აქვეა დაბეჭდილი თეზისებიც).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის დასმა და მის შესახებ წარმოდგენილი ზოგიერთი მოსაზრება ხელს შეუწყობს მომავალში ამ საკითხის სწორად და [illegible] გადაჭრას.

* * *

სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის ბრძოლა მაშინ წამოიჭრება, როდესაც ერის სულიერ სამყაროში აზროვნების პროგრესული განვითარება ხდება, როდესაც ახალი აზრი ძველს ეჯახება და ამ ბრძოლაში გზა იკაფება ჭეშმარიტებისაკენ.

„იმ ერის ცხოვრებაში, რომელშიაც ცოტად თუ ბევრად დაწყებულა გონებრივი მოძრაობა... ხშირად არის დავა ძველსა და ახალ თაობას შორის იმაზე, თუ რომელი მათგანი ადგია ჭეშმარიტების გზას და რომელი ცდება. დავას იწვევს ის გარემოება, რომ ძველი თაობა, აღზრდილი თავისდროინდელ სწავლა-მეცნიერების თეორიებზე და ზნეობრივ პრინციპებზე, ვეღარ ითვისებს იმ თეორიებს და პრინციპებს, რომლებიც მისი ნოხუცების შემდეგ ახალმა თაობამ შეიმუშავა და გაარკვია...“ [1]

არსებითად, XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში აზროვნების სფეროსა და, საერთოდ, ინტელექტუალური ცხოვრების ყველა დარგში მოდუნება და უმოძრაობა იგრძნობოდა. ამ დროს ჯერ კიდევ ცოცხლობდა XVIII საუკ. სქოლასტიკური მოაზროვნის ანტონ პირველის თეორიები. მაშინდელი ჩვენი სინამდვილე, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის დახასიათებით, ერთ ადგილზე დამდგარსა და დამყაყებულ გუბეს წარმოადგენდა. მაგრამ სამოციანი წლებიდან ცხოვრებას მოძრაობა დაეტყო, სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა რუსეთის რევოლუციურ ტრადიციებზე აღზრდილი ახალი თაობა, რომელმაც „აიღო თოხი, ბარი, ნიჩაბი, და ყოველგვარი საჭირო იარაღი, მიადგა პირდაპირ კიდეს და მოინდომა მისი გაჭრა, არხის გაყვანა, რომ დიდი ხნის დაგუბებული წყალი გამოუშვას, გაწმინდოს, გაასუფთაოს და შიგ ახალი, მარაგი წყალი ხელახლა ჩააყენოს. პირველ ხანში, როცა ტბა დაიძვრის, რასაკვირველია, წყალიც აიმღვრევა და სიმყრალეც სუნს გამოსცემს და ეს ქვეყნის უმეტესობას აღელვებს დაააშფოთებს, და გულწრფელადაც იტყვიან... „ეს რა გვიყვეს ამ შეჩვენებულებმა?

---

[1] ეგ. ნინოშვილი, ძველი დავა ახალ ქურქში, თხზულებათა სრული კრებული, 1954 წ., გვ. 527.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვიდნენ, აგვიმღვრიეს წყალი, აამყრალეს აქაურობა, და ჩვენს თანაგრძნობასაც ითხოვენო“ [1].

მართლაც, სამოციანი წლების მოღვაწეებმა, თერგდალეულებმა, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გააჩაღეს ძველი, დრომოჭმული აზროვნებისა და ლიტერატურის დამცველების წინააღმდეგ. ახალგაზრდობამ შეარხია თავზე მოპრიალებული, მაგრამ ძირში ლექით ავსებული ქართული ინტელექტუალური ყოფის გუბე და სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა ანტონ კათალიკოსის თეორიებით შეიარაღებულ ძველ თაობასა და რუსეთის რევოლუციურ ტრადიციებზე აღზრდილ თერგდალეულებს შორის. თერგდალეულებმა მზის სინათლეზე გამოიტანეს წუმპეში მობინადრე ორფეხა ცხოველების საქმიანობა და ქვეყანას დაანახვეს მათი მოქმედების უმსგავსოება.

ასეთმა მკაცრმა კრიტიკამ კიდევაც აღაშფოთა ეს პაწაწკინტელა კალმოსნები და „ცისკრის“ „თეორეტიკოსებმა“ — ბარბარე ჯორჯაძისამ, რევაზ ერისთავმა, სარდიონ მესხიშვილმა, გიორგი ბარათაშვილმა, ექვთიმე გორისელმა და სხვებმა — პაექრობაც კი გამართეს ილია ჭავჭავაძისა და მისი დასის წინააღმდეგ, მაგრამ კოლოები რას გახდებოდნენ სპილოსთან?! მათ არც ილიას ოდენი ცოდნა ჰქონდათ და არც საკითხის ჭეშმარიტება უწყობდათ ხელს. ისინი კატის კნუტებივით კნაოდნენ ბუმბერაზი მოაზროვნის წინაშე და ხის თოფებით შეიარაღებულნი მძიმე არტილერიას ეომებოდნენ.

„ცისკრის“ თანამშრომლები თვითონვე ღიარებდნენ, რომ მათ არაფერი გაეგებოდათ ხელოვნების თეორიისა, რომ ისინი ანბანთ თეორეტიკის მეტს არაფერს იცნობდნენ ამ საკითხზე.

ამიტომ ილია ჭავჭავაძე საპასუხო წერილში ირონიულად შენიშნავდა:

„ბარაქალა, ჩემო სტატიავ, ბარაქალა! ვისაც თავის დღეში კალამი ხელში არ აუღია, იმას აალებინე... ვისაც „შინიდამ ფეხი კარში არ გამოუდგამს“ და რაღაც ანბანის თეორეტიკის მეტი არა უკითხავს რა, ისიც კი აალაპარაკე თეორეტიკის გარე საგანზედ“ [2].

რაკი 60-იანი წლებიდან მკაცრი შეჯახება დაიწყო ანტონ კათალიკოსის თეორიების დამცველთა წინააღმდეგ, რაკი ერთხელვე დაიძრა დამდგარი გუბე ჩვენი ცხოვრებისა და ახალი დროშა აფრიალდა ქართული აზროვნების ცაზე, ამის შემდეგ XIX საუკუნის მეორე ნახევარში არ შეწყვეტილა იდეური ბრძოლა სხვადასხვა

---

[1] აკაკი წერეთელი, ტ. I, 1930, გვ. 105.

[2] ი. ჭავჭავაძე, ტ. IV, 29.

დაჯგუფებებს შორის. ერთ ლიტერატურულ მიმართულებას ცვლიდა მეორე, მეორეს — მესამე, მაგრამ ეს ცვლილება ხდებოდა დიდი წინააღმდეგობის შედეგად.

ჯგუფებს შორის ბრძოლასა და ახალი იდეური მისწრაფებების მძლავრ აღმავლობას ხელი შეუწყო საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში სხვადასხვა მიმართულების მქონე ჟურნალ-გაზეთების არსებობამ.

სამოღვაწეოდ გამოსული დასები ან ჯგუფები პრესის საშუალებით ცდილობდნენ დაემტკიცებინათ თავიანთი მსოფლმხედველობის უპირატესობა და ამავე საშუალებით ებრძოდნენ ისინი მოწინააღმდეგე მიმართულებებს. ამ მხრივ XIX საუკუნის ქართული აზროვნებისა და ლიტერატურის განვითარების საქმეში დიდი როლი ითამაშა ჟურნალ-გაზეთებმა: „ცისკარმა“, „საქართველოს მოამბემ“, „დროებამ“, „კრებულმა“, „შრომამ“, „მნათობმა“, „იმედმა“, „ივერიამ“, „კვალმა“ და სხვებმა.

გასული საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში მოქმედი დასების ხასიათის გამორკვევა, მათი სოციალ-პოლიტიკური მიმართულებისა და იდეურ მისწრაფებების შესწავლა თვით XIX საუკუნეშივე დაიწყო, მაგრამ საკითხის ჭეშმარიტი გადაჭრა იმ ჟამად შეუძლებელი შეიქნა.

დასების პირველი კლასიფიკაცია ამ ეპოქის ცნობილმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ გიორგი წერეთელმა მოახდინა, თუმცა მან ამ საკითხში თავიდანვე გაუგებრობა შეიტანა. მისი კლასიფიკაციის მიხედვით, პირველ დასში მოთავსდნენ ხალხოსნები, „იმედის“ თანამშრომლები; მეორე დასში — „ივერიის“ ჯგუფი ი. ჭავჭავაძის მეთაურობით, რომელიც გ. წერეთლის აზრით 80-იან წლებში თავადაზნაურთა დამცველი გახდა; ხოლო მესამე დასის სახით მან „კვალის“ თანამშრომლები წარმოადგინა.

1895 წლის „კვალის“ ფურცლებზე გ. წერეთელი წერდა: „მეოთხმოცე წლებში გაჩნდა ჩვენში ერთი პაწია დასი განათლებული თაობისა, რომელმაც დაარსა თავისი საკუთარი გამოცემა „იმედი“ და აღიარა, რომ საქართველოს ხსნა გლეხკაცობიდან უნდა წარმოდგესო. იმან იცნო მხოლოდ გაუნათლებელი გლეხკაცობა ერად და წამდა, რომ მხოლოდ განათლებული გლეხკაცობის საშოდან უნდა წარმოდგესო გონებრივი მოძრაობა, რომელმაც უნდა შეამაგროს ერიი...

წინააღმდეგ გლეხკაცობისა „ივერიამ“ წამოაყენა თავად-აზნაურობა, როგორც წარსული საქართველოს ისტორიული კულ-ტურის ნაყოფი, უპირატესი წოდება... სალიტერატურო ასპარეზზე გამოჩნდა ორი დასი: ერთი, რომელიც ქადაგებს თავადაზნაურობის კეთილდღეობის პრინციპს, მეორე, რომელიც მარტო გლეხკაცობის ბედისწერის გაუმჯობესებაში ხედავდა საქართველოს ერის ხსნას.

„კვალის“ მეთაურებმა უარყვეს პირველი დასის შეხედულებაც და მეორისაც, რადგან ორივე იყო ცალკერძი და უსრული. როგორც მთელი კაცის ტანს ვერ აცოცხლებს მარტო წელქვემოთი ტანი ან მარტო წელზემოთი, ისე მთელს საქართველოს ერს სიკეთე არ დაეყრება, თუ მარტო მის თავადაზნაურობაზე ვიზრუნეთ ან მარტო მის გლეხობაზე. ამისათვის „კვალი“ დიდი სიხარულით და აღტაცებით მიეგება იმ ახალ გზაზე მოსიარულე „მესამე დასს“, რომელმაც უარყო წოდებათა განკერძოება და მათზე მზრუნველობა. იმან გამოაცხადა საგნად თავისი ზეგავლენისა მთელი საქართველოს ერი, განურჩევლად წოდებისა, მოხელეობისა“ [1].

როგორც ვხედავთ, აქ არა მარტო დასების კლასიფიკაციაა არეული, არამედ სრულიად ყალბად არის გაგებული „ივერიის“ ჯგუფისა და „მესამე დასის“ იდეური ბუნება.

ასეთ მოსაზრებათა წინააღმდეგ დავა გაიმართა ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში.

„ივერიის“ თანამშრომელი ლალი (გიორგი ლასხიშვილი — კ. მ.) სამართლიანად უსაყვედურებდა გ. წერეთელს დასების საკითხის ასეთი აღრევისათვის, ლალს შეუძლებლად მიაჩნდა სამოციანი და სამოცდაათიანი წლების მოღვაწეთა გამოთიშვა საერთო მოძრაობიდან. იგი წერს: „როგორც მოგვითხრობს გიორგი წერეთელი „პირველი დასი“ გამოჩენილა თურმე მეოთხმოცე წლებში და თავისი ორგანოც დაუარსებია. ამ დასმა რუსეთის „ნაროდნიკების“ მიხედვით აღიარა, რომ ხსნას მხოლოდ გლეხკაცობისაგან უნდა მოველოდეთო... ამ დროს, — განაგრძობს გ. წერეთელი, — ცხოვრებაში ახალი მიმართულება დაიბადაო... მეორე დასს, წინააღმდეგ პირველისა, წინ წამოუყენებია თურმე თავადაზნაურობა და მხოლოდ მის კეთილდღეობისათვის დაუწყია ბრძოლა და მოქმედება. როგორც ვხედავთ, ტეზისიც არის და ანტიტეზისიც... მაშასადამე, უნდა აღმოჩენილიყო სინტეზი. ამ სინტეზად გახდა თურმე „მესამე

[1] „კვალი“, 1895 წ., № 5.

დასის“ მიმართულება...“ იმან გამოაცხადაო საგნად... თავის ზრუნვა-ლენისა მთელი საქართველოს ერი, განურჩევლად წოდებისა და მოხელეობისა“... ბ-ნ წერეთელს ერთი დიდი და შესანიშნავი ისტორიული ხანა ჩვენის განვითარებისა სრულიად მხედველობაში არ მიუღია, დავიწყებია, ეს ხანაა მესამოცე და მესამოცდაათე წლები ჩვენში“ [1].

ლალი სამართლიანად აკრიტიკებს გ. წერეთლის მიერ წამოყენებულ დებულებებს, მაგრამ მისი კრიტიკა მაინც ამომწურავი არაა.

გ. წერეთელი ცდილობს ლალის პასუხი გაცეს, მაგრამ იგი საკითხის მხოლოდ ერთ მხარეს ეხება. „ჩვენ ამ წარსულს ხანებს ჯერ არ შევეხებით კრიტიკულად — წერს გ. წერეთელი, — და როცა შევეხებით მაშინ ვეცდებით კიდეც, ბატონ ლალის დავანახვოთ, ვინ იყვნენ ამ დროებათა ნამდვილი ეროვნული პრინციპის დამცველნი და ვინ არა“ [2].

მართლაც, შემდგომ წლებში, გ. წერეთელი ცდილობს 60—70-იანი წლების ლიტერატურული დაჯგუფებები მოათავსოს დასების საერთო კლასიფიკაციაში, მაგრამ ვერც ამით შეძლო ამომწურავი პასუხი გაეცა წინათ დასმულ კითხვებზე.

ამ შემთხვევაში იგი პირველ დასს მიაკუთვნებს თერგდაულებს „საქართველოს მოამბის“ თანამშრომლებს, მეორე დასში გაერთიანებული ჰყავს „ახალი ახალგაზრდობა“ — „დროება“ — „კრებულის“ ჯგუფი, ხოლო მესამე დასის შემადგენლობაში კვლავ „კვალის“ თანამშრომლები დატოვა“ [3].

როგორც ვხედავთ, გ. წერეთელი შეეცადა დაშვებული შეცდომა გამოესწორებინა, მაგრამ დასების ახლებური კლასიფიკაცია მთლიანად მაინც ვერ ამოწურავს XIX საუკუნის მეორე ნახევრის რთულ პოლიტიკურსა და იდეოლოგიურ მოვლენებს და, რაც მთავარია, გიორგი წერეთელმა ყალბად გააშუქა ზოგიერთი მომენტი დასების ხასიათის გარკვევის დროს. მაგალითად, „ივერიის“ თანამშრომლები და პირადად ი. ჭავჭავაძე 80-იან წლებში თავადაზნაურთა დამცველად გამოიყვანა, ხოლო 60-იან წლებში საქართველოში ახალი ენის დამკვიდრება მეორე დასის დამსახურებად ჩათვალა, რითაც მან დაამცირა ი. ჭავჭავაძის როლი ამ დიდ ეროვნულ საქმეში, ხალხოსნები, ყოველგვარი პრინციპის გარეშე, „ივე-

---

[1] ივერია, 1895 წ., № 19.

[2] კვალი, 1895 წ., № 6.

[3] კვალი, 1897 წ., № 46.

რიის“ ჯგუფთან გააერთიანა და მესამე დასი თავადაზ[illegible] გლეხთა იდეოლოგად წარმოადგინა.

დასების კლასიფიკაციას შეეხო სილიბისტრო ჯიბლაძეც, მაგრამ ისიც წინააღმდეგობათა ქსელში გაეხლართა. მან მხოლოდ „პირველი დასის“ ე. ი. თერგდალეულებისა და „მესამე დასის“ არსებობა აღიარა და მეორე დასი სრულიად გამორჩა მხედველობიდან[1]. ამის გამო სამართლიანად უსაყვედურებს ლალი ს. ჯიბლაძეს: „ეს ხომ პირველი დასი და მესამეა, მეორე სადღაა?“[2].

გ. წერეთლის დასების კლასიფიკაციის მოწინააღმდეგენი იყვნენ აგრეთვე ცნობილი საზოგადო მოღვაწეები: ხომლელი, არჩილ ჯორჯაძე და სხვები.

მიუხედავად ასეთი საფუძვლიანი წინააღმდეგობისა და დავისა, დასების საკითხი მაინც გადაუჭრელი დარჩა დღემდე. არსებითად დღესაც გაბატონებულია ქართულ ლიტერატურასა და ისტორიულ მეცნიერებაში გ. წერეთლის მცდარი მოსაზრება XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში სამი დასის არსებობის შესახებ.

ახლახან გამოსული XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის ავტორი წერს:

„საქართველოს მოამბეში“ შემოკრებილი „ცისკრის“ წინააღმდეგ მებრძოლი დასი“ ქართველი საზოგადოებისა იყო „პირველი დასი“. მას მეთაურობდა ილია ჭავჭავაძე... 1866 წლიდან, მას შემდეგ, რაც „საქართველოს მოამბე“ აღარ არსებობდა... თერგდალეულთა ერთი ჯგუფი გ. წერეთლისა და ნ. ნიკოლაძის მეთაურობით შეიკრიბა გაზეთ „დროების“ გარშემო. ეს იყო უკვე მეორე დასი თერგდალეულთა ჯგუფიდან[3]. „კვალის“ გარშემო შეიკრიბა ქართველი ინტელიგენციის ახალი თაობა, რომელიც მარქსიზმის იდეებს ქადაგ ბდა, ეს ახალი მიმდინარეობა ქართულ პუბლიცისტიკაში ადრე შენიშნა „მესამე დასის“ იდეოლოგმა (?) გ. წერეთელმა და ამ მიმდინარეობის წარმომადგენელთა ჯგუფს „მესამე დასი“ ეწოდა“[4].

ამავე აზრისაა დასების საკითხზე პროფ. გ. ხაჭაპურიძე, რომელიც თავის წიგნში „К истории Грузии...“ წერს: „На смену общественного течения, выразителем которого явилась „Пирвели

[1] კვალი, 1895 წ., № 9.

[2] მოამბე, 1895 წ., № 4, გვ. 157.

[3] ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია XIX საუკუნე), 1953 წ., გვ. 323.

[4] იქვე, გვ. 379.

Даси", с 1866 года складывается новое, буржуазно-демократическое направление, получившее название „Меоре даси" („Вторая группа"), возглавляемая А. Церетели, Н. Николадзе, Г. Церетели, С. Месхи и др." [1].

ლიტერატურის ისტორიის მკვლევარებიც ასევე უცვლელად იყენებენ გ. წერეთლის დასების კლასიფიკაციას.

პროფესორი შალვა რადიანი ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის მეორე წიგნში დასების შესახებ წერს: „1865 წელს ჩამოყალიბდა „მეორე დასი", ან „ახალი ახალგაზრდობის" ჯგუფი. მისი მეთაურები იყვნენ გიორგი წერეთელი და ნ. ნიკოლაძე. მათ უკვე არ აკმაყოფილებდათ თერგდალეულთა („პირველი დასის") სამოღვაწეო გეგმები" [2].

დასების ტრადიციული კლასიფიკაციას იზიარებენ პროფ. მ. ზანდუკელი („ახალი ქართული ლიტერატურა", ტ. 2), აპ. მახარაძე („ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან", 1952 წლის გამოცემა), გ. აბზიანიძე (აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებული, წინასიტყვაობა, 1950 წლის გამოცემა) და სხვ.

ამასთანავე, აღსანიშნავია დოც. დ. გამეზარდაშვილის სამართლიანი შენიშვნები „მამათა" და „შვილთა" ტერმინების დაზუსტების შესახებ, მაგრამ იგი ამ შემთხვევაში არ ეხება დასების თეორიის გადასინჯვის საკითხს [3].

გ. წერეთლისა და, საერთოდ, დასების საკითხების ყველა მკვლევარის შეცდომა ის იყო, რომ ისინი ამ საკითხის განხილვის დროს არ ითვალისწინებდნენ რუსეთის სინამდვილეს, ივიწყებდნენ იმას, რომ XIX საუკუნეში ქართული აზროვნება და მხატვრული ლიტერატურა ვითარდებოდა რუსულ კულტურასთან ურთიერთობაში, მასთან მჭიდრო კავშირში.

ჩვენ უარვყოფთ გ. წერეთლის დასების კლასიფიკაციას [4] და

---

[1] К истории Грузии первой половины XIX века, 1950, გვ. 523.

[2] ახალი ქართული ლიტერატურა, (წიგნი მეორე), 1953, გვ. 18.

[3] ლიტერატურული გაზეთი, 1955, № 17.

[4] უნდა შევნიშნოთ, რომ ეს შრომა ჩვენ გათვალისწინებული გვქონდა ინსტიტუტის 1955 წლის სამეცნიერო-საკვლევ გეგმაში, წაკითხული იყო კათედრის სხდომაზე და, აგრეთვე, მიღებული ჰქონდა ინსტიტუტის „შრომების" რედაქციას მორიგ XV ტომში დასაბეჭდად, როდესაც „ლიტერატურული გაზეთის" ფურცლებზე გამოქვეყნდა პ. რატიანის სტატიები „დასების თეორიის გადასინჯვისათვის". ამის თაობაზე მაშინვე ეცნობა როგორც გაზეთის რედაქტორს, ისე თვით ავტორს. აგრეთვე შემოკლებით დაიბეჭდა ჩემი პასუხი „ლიტგაზეთის" 1956 წ. 14 და 15 ნომრებში.

სათანადო მასალებზე დაყრდნობით ვამტკიცებთ საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში სამი დასის ნაცვლად ხუთი სხვადასხვა ლიტერატურული ჯგუფის ან დასის არსებობას[1].

## ეს ჯგუფებია:

პირველი — ფეოდალურ-რეაქციული, „ცისკრის“ ჯგუფი რომლის შემადგენლობაში შედიან რევაზ ერისთავი, ბარბარე ჯორჯაძისა, სარდიონ მესხიშვილი, ალექსანდრე ორბელიანი, გიორგი ბარათაშვილი, ექვთიმე წერეთელი, გრ. რჩეულიშვილი და სხვები.

მეორე — ბურჟუაზიულ-პროგრესიული — თერგდალეულები, „საქართველოს მოამბის“ თანამშრომლები. ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ ლოლობერიძე. ბესარიონ ლოლობერიძე, დავით ყიფიანი. მიხეილ ყიფიანი, პეტრე ნაკაშიძე, ილია ოქრომჭედლიშვილი და სხვები.

მესამე — რადიკალურ-ბურჟუაზიული — „ახალი ახალგაზრდობა“, „დროება“ — „კრებულის“ თანამშრომლები: გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, კირილე ლორთქიფანიძე, აკაკი წერეთელი, პეტრე უმიკაშვილი, სერგეი მესხი და სხვები.

მეოთხე — ხალხოსნები — „ტეტიათა მოტრფიალენი“, „შრომის და „იმედის“ თანამშრომლები: მიხეილ გურგენიძე, სტეფანე ჭრელაშვილი, ანტონ ფურცელაძე, გიორგი მაიაშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი, ნიკო ლომოური, მიხეილ ასათიანი, დიმიტრი ნაზარიშვილი და სხვები.

მეხუთე — „კვალის“ თანამშრომლები: სილიბისტრო ჯიბლაძე, ეგნატე ნინოშვილი, ნოე ჟორდანია, მიხა ცხაკაია და სხვები.

თვითეულ აქ დასახელებულ დაჯგუფებას აქვს ერთმანეთისაგან განსხვავებული ეკონომიური საფუძვლები, პოლიტიკურ-იდეური მისწრაფებები და ამ მისწრაფებათა გამომხატველი სამოქმედო პროგრამა, ჰყავთ თანამშრომელთა გარკვეული ჯგუფი და აქვთ თავიანთი იდეების პროპაგანდისათვის საკუთარი ლიტერატურული ორგანო.

[1] ეს დებულება არსებითად ემყარება პროფ. ს. ხუნდაძის სქემას (იხ. „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“, ტ. 2, გვ. 218).

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ცისკრის“ თანამშრომელთა უმე-ტესი ნაწილი, რომლებიც რეაქციული მსოფლმხედველობით გამო-ვიდნენ სამოღვაწეო ასპარეზზე. ენისა და ლიტერატურის დარგში ემყარებოდნენ ანტონ კათალიკოსის დრომოჭმულ შეხე-დულებებს. ეკონომიკასა და პოლიტიკაში ცდილობდნენ ბატონ-ყმობის სისტემის დაცვასა და ქართველი ფეოდალური არისტო-კრატიის მმართველობის რესტავრაციას.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ანალოგიურ შემთხვევას ვხვდებით რუსეთშიც.

გრიბოედოვის, პუშკინის, ლერმონტოვის მგზნებარე პოეტური მეტყველების გვერდით თავი იჩინა უაღრესად რეაქციონურმა ლი-ტერატურულმა მიმართულებამ, რომელსაც სათანადო ნიადაგი მოუმზადა დეკაბრისტების ისტორიულმა დამარცხებამ. ამის შედე-გად გამეფებულმა ნიკოლოზ პირველის სუსხიანმა რეაქციამ დეკა-დენტიზმის გზაზე დააყენა ხელოვნებისა და ლიტერატურის მუ-შაკთა დიდი ნაწილი. ამ დროს ფეხი მოიკიდა იდეალისტურმა შეხედულებამ ხელოვნებაში, მეტი დამცველები გაუჩნდნენ „წმინდა ხელოვნების“ თეორიას.

რუსეთის ამდროინდელ რეაქციონურ ფრთას სათავეში ჩაუდგა ბელეტრისტი და ჟურნალისტი ფადეი ბენედიქტეს-ძე ბულგარინი (1789—1859). იგი რედაქტორობდა უაღრესად რეაქციონურ გა-ზეთს „სევერნაია პჩელას“ და ჟურნალს „სევერნი არხივს“. ის და მისი თანამებრძოლები — სენკოვსკი, ტიმოფეევი, კალაშნი-კოვი და სხვები — ავითარებდნენ უკიდურეს დეკადენტურ შეხედუ-ლებებს ხელოვნების პრობლემების შესახებ. ბულგარინი, როგორც ცარიზმის ერთგული გუშაგი, მოქმედებდა უშუალოდ ჟანდარმთა შეფის, ბენკენდორფის, ხელმძღვანელობით. იგი ყოველგვარ ღონეს ხმარობდა იმისათვის, რათა ცეცხლითა და მახვილით წაელეკა ჭეშმარიტი ხელოვნება, თავისუფლებისა და ჰუმანიზმის იდეებით გამსჭვალული ლიტერატურა.

სამართლიანად წერს გ. პლეხანოვი, რომ „ნიკოლოზ პირველის ხელმწიფობის დასაწყისი აღინიშნება 14 დეკემბრის კატასტროფით, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ჩვენი საზოგადოების მერმინ-დელ განვითარებაზე. — დამარცხებული მაშინდელ საზოგადოებრივ ასპარეზს ჩამოცილდნენ ყველაზე უფრო განათლებული და მოწი-ნავე წრეები. ამას არ შეიძლებოდა არ მოყოლოდა საგრძნობი ზნეობრივი და გონებრივი დაქვეითება...“ [1].

[1] ხელოვნება და საზოგადოებრივი ცხოვრება, 1923, გვ. 13.

როგორც ვხედავთ, დეკაბრისტების ისტორიულმა დამარცხებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა XIX საუკუნის პირველი ნახევრის რუსეთის სულიერ სამყაროზე.

ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია, რუსეთის დეკაბრისტული მოძრაობა საქართველოში 1832 წლის შეთქმულებას შევადაროთ, მაგრამ ერთი კი ფაქტია, რომ 1832 წლის შეთქმულების დამარცხებამ ერთგვარად ხელი შეუწყო საქართველოშიც XIX საუკუნის პირველ ნახევარში არისტოკრატიულ ინტელიგენციის წრეში რეაქციული იდეების გამოცოცხლებას. ეს განწყობილება კიდევ უფრო საგრძნობი გახდა მას შემდეგ, რაც ლიტერატურულმა ჟურნალმა „ცისკარმა“ იწყო გამოსვლა.

ჟურნალის არსებობამ ორგანიზაციული ხასიათი მისცა მანამდე დაქსაქსული მწერლების მოქმედებას, თვით „ცისკრის“ ფურცლებზე თვალსაჩინო გახადა წინააღმდეგობა რეაქციულ და პროგრესულ მიმართულებებს შორის და ამ წინააღმდეგობამ უკვე მალე ჯგუფობრივი ხასიათი მიიღო.

ამ ჯგუფის იდეური მისწრაფება „ცისკარში“ გამომჟღავნდა. ალექსანდრე ორბელიანის, ბარბარე ჯორჯაძის, სარდიონ მესხიშვილის, გიორგი ბარათაშვილის, რევაზ ერისთავის, დიმიტრი ყიფიანის, ექვთიმე წერეთლისა, გრ. რჩეულიშვილისა და სხვების სახით.

„ცისკრის“ ზოგიერთი თანამშრომელი, მართალია, ვერ იცნობდა ლიტერატურის თეორიულ საკითხებს, და ამდენად, მოწინააღმდეგეებთან კამათის დროს ვერ იმარჯვებდა „წმინდა ხელოვნების“ თეორიულ დებულებებს, მაგრამ მათი ფაქტიური საქმიანობა, მათი მხატვრული პროდუქცია, ძირითადად ამ თეორიის პრაქტიკულ განხორციელებას წარმოადგენდა.

„ცისკარში“ სამოციან წლებამდე გაბატონებული იყო ანტონ კათალიკოსის დრომოჭმული თეორიები ენისა და ლიტერატურის შესახებ. ჟურნალში მოთავსებული ლიტერატურული მასალა უმთავრესად შემთხვევით ხასიათსაა და ამ ნაწარმოებთა უინტერესო შინაარსს ხალხისათვის კიდევ უფრო მიუწვდომელს ხდიდა არქაული ენა.

ენის საკითხში „ცისკარი“ ანტონ კათალიკოსის „სამი შტილის“ თეორიას იცავდა. სამწერლო ენა დაყოფილი იყო სამ კატეგორიად. პირველ კატეგორიას მიეკუთვნებოდა მაღალი სტილის საეკლესიო ენა, რომელიც გამოყენებული იყო სასულიერო წიგნებისათვის; მხატვრული ნაწარმოები დარბაისელთა სტილით უნდა ყოფი-

ლიყო დაწერილი, ხოლო უბრალო საკითხებისათვის დაბალ სტილს იყენებდნენ. ანტონ კათალიკოსის ამ ყალბმა თეორიამ [illegible] კუნით უკან დასწია ხალხისათვის გასაგები სალიტერატურო [illegible] საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილის ენა[1].

ამდენად, „ცისკრის“ ფურცლებზე იბეჭდებოდა ისეთი მხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც ხალხისათვის გაუგებარი ენით იყო დაწერილი და შინაარსეულად მოწყვეტილი იყო ცოცხალ სინამდვილეს.

„ცისკრის“ თანამშრომლების დიდი ნაწილი უიდეო და შემთხვევით ფაქტებზე აგებულ ნაწარმოებებს ქმნიდნენ. მაგალითად, 1852 წლის „ცისკრის“ მე-2 ნომერში დაბეჭდილია ოჯახის წევრების ან სხვა საპატიო პირებისადმი მიძღვნილი ლექსები:

აი ამ ლექსების სახელწოდება:

1. კნიაჟნა სოფ. ერ.
2. ეკატერინე ჭავჭა.
3. კნიაჟნა ელ. ნ.
4. თავ. სვ. მაჩაბელს.
5. კნიაჟნა დარია ბეგთაბეგოვისას ლეკურის თამაშობაში.

ხოლო 1853 წლის „ცისკრის“ პირველ ნომერში დაბეჭდილია ლექსები:

2. ჩემი ქალის შობაზე თვალადობა ეკითხა
   კნეინა მარიას და იმას მივწერე პეტერბურს.
2. ალბომზე სახსოვრად მინაწერი ანასტასიას.
3. ბაგრატ ბატონიშვილის ქალის დაბადებაზე თქმული.
4. ფარნაოზ ბატონიშვილის ქალის დაბადებაზე თქმული.

მოგვაქვს დამახასიათებელი ადგილები ასეთი ციკლის ლექსებიდან:

„რა გკადრო ქება მშვენებით
ქვეყნადა უსაჩინოსა,
შუქმთოვარისა უფლისწულობით
სათაჯო სამგვირგვინოსა
და მივულოცავ დღეობას
სახელ სატრფოსა ნინოსა“.

[1] არნ. ჩიქობავა, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, გვ. 020.

ამგვარი ხასიათის ლექსების გამოქვეყნებას შემდეგშიც აგრძელებს „ცისკრის“ რედაქცია. 1857 წლის მე-6 ნომერში დაბეჭდილია ლექსი:

„კნეინა ქეთევან წერეთლისას ვუძღვნი“.

ეს ლექსიც ასევე უშინაარსოა. შიგ გვხვდება უხეირო სტრიქონები:

„ნინა, ნანა, ნანინა,
ნეტავ ვინ შეგაშინა,
ეგრე უმანკო გული
ნეტარ შეგიფრთხო ვინა“.

ამ ლექსების წაკითხვის დროს არ შეიძლება არ მოაგონდეს მკითხველს თერგდალეულის — კირილე ლორთქიფანიძის სამართლიანი შეფასება „ცისკრის“ პროდუქციისა: „ჩვენი „ცისკარი“, — წერს იგი, — როგორც მოგეხსენებათ, შეიქმნა ფოჩტის მაგიერი, ვისაც კი სადმე წიგნის გაგზავნა მოესურვება, „ცისკრის“ რედაქციას მიმართავს და თხოვს თვითონ (სტატიაში) „თქვენი მუხლის ქირიმე ეს წიგნი (ხანდისხან უსტარსაც უწოდებენ) თქვენს ჟურნალში ჩაბეჭდეთ; თუმც ბევრი არ არის შიგ რამე, მაგრამ ამ ჩემი სიტყვით მინდა ქართულს ენას შევეწიო (სასაცილოა)“. უფ. კერესელიძე უქვეშევრდომილესის თხოვნის ერთგული აღმასრულებელი იმ წიგნს ჩვენს „ცისკარს“ აკისრებს. საცოდავს ჟურნალს კისერი მოეხხა ამდენი სიმძიმის ზიდვით“ [1].

ძველი თაობის წარმომადგენლები სრულიადაც არ გრძნობდნენ ჩამორჩენილობას და უხერხულობას. პირიქით, ისინი ცდილობდნენ ბოლომდე ერთგული დარჩენილიყვნენ ანტონ კათალიკოსის თეორიებისა როგორც ენისა და ლიტერატურის საკითხებში, ისე აზროვნების სხვა სფეროშიც. ბარბარე ჯორჯაძისა კიდევაც იქვეხნიდა, რომ იგი აღზრდილი იყო ანბანთ თეორეტიკაზე და სახარების მოძღვრებაზე.

„რადგანაც ჩვენ მოვმდინარეობთ მამა-პაპათა ჩვეულებაზედ და უმაღლეს პოეზიას, გინა ფილოსოფიას ვპოებთ უმეტესად საღმრთო წიგნებში, ამისათვის შემოვიტანეთ ჩვენის აზრის დასაწყისში ეს რამდენიმე საღმრთო სიტყვა“ [2].

---

[1] „ცისკარი“, 1862 წ. აპრილი, გვ 342.

[2] „ცისკარი“, 1861 წ., № 5.

ანდა: „თუ ლიტერატორობაზე თავს დებს, რატომ არ ჰნდა მოეხსენებოდეს, რომ ლიტერატურა უნდა შეიცავდეს [illegible]ნურსა და დარბაისლურს ენას და არა უშვერობას. ის გვიწერს (ლაპარაკია ილია ჭავჭავაძეზე — კ. მ.) რომ ვითომც ჩვენ ვახდენთ ენას... თუ უკაცრავად არ ვიქნებით, მგონია თვითონ უფრო ახდენს...“ [1]

ასეთივე მოსაზრებებს იზიარებდნენ ენის შესახებ რევაზ ერისთავი, სარდიონ მესხიშვილი, ექვთიმე წერეთელი და სხვები.

მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ „ცისკარი“ მხოლოდ რეაქციონერების ორგანო არ ყოფილა, მის ფურცლებზე ამასთან ერთად იბეჭდებოდა, განსაკუთრებით სამოციან წლებიდან, ახალი იდეების შემცველი მხატვრული და პუბლიცისტური ნაწერები.

* *
*

„ცისკრის“ ჯგუფის დიდი ნაწილის სოციალ-პოლიტიკური თვალსაზრისიც რეაქციონურია. ისინი ცდილობდნენ ბატონყმობის სისტემის შენარჩუნებას და ამისათვის ყოველგვარ საშუალებას ხმარობდნენ, რათა ბატონისა და ყმის ურთიერთობა იდეალურ მოვლენად დაეხატათ. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ალექსანდრე ორბელიანის ყალბ საფუძვლებზე აგებული სტატია „ძველი დროის ბატონყმობის შესახებ“. აი რას წერს ალ. ორბელიანი: „უწინდელ დროში გარეშე კაცი იმას ეძებდა, მებატონე ვიშოვნო და იმას შევეხიზნოვო, ამისათვის, რომ მებატონე თავის ყმას შვილსავით ყურს უგდებდა და შვილის მსგავსად გული სტკიოდა ყმისათვის... ყმას მებატონე მამასავით უყვარდა, მამასავით შიში ჰქონდა, მამასავით პატივს ცემდა და ყოველთვის გაფრთხილებული იყო, „არა ვაწყენიო რამეო“. ერთგულება ხომ რაღა უნდა ითქვას, ყმისაგან მებატონისა, ასეთი მაგალითები მომხდარა, რომ მებატონის ერთგულებისათვის სახლეულობით მსხვერპლად შეეწირებოდა მებატონეს. ბევრჯერ მძიმე ავადმყოფს თავის ბატონს, თავისი გლეხი გარს შემოევლებოდა გულსმხურვალე ვედრებით. ღმერთო, თუ ამ ჩემს ბატონს სასიკვდილო სჭირდეს რაიმე, იმის მაგიერ მე მოვკვდე, ოღონდ ეს მშვიდობით ამყოფეო...“ [2]

აშკარად ჩანს, რომ ალ. ორბელიანმა ყალბად დაგვიხატა ბატონყმობის სისტემა და მისი დებულების ლოგიკური განვითარება

[1] „ცისკარი“, 1861 წ., № 5.

[2] „ცისკარი“, 1859 წ., № 11.

იქამდე მიდის, რომ გლეხი ბატონყმობის წინააღმდეგ კი არ უნდა იბრძოდეს, არამედ თვით უნდა ეძებდეს ბატონს, რადგან უპატრონოდ ყოფნა, მისი აზრით, უპატრონოდ ყოფნას ნიშნავდა.

ამდენად, „ცისკრის“ თანამშრომლების უმეტესი ნაწილის საქმიახობა, მათი იდეური მისწრაფებები რეაქციონური ხასიათისაა. ისინი მხოლოდ გაბატონებული კლასის ინტერესებზე ფიქრობდნენ და საზოგადო მიზანი, ხალხის სამსახური, ფიქრადაც არ მოსვლიათ.

ნიკო ნიკოლაძე ასე ახასიათებს ამ თაობის უნაყოფო მოქმედებას: „ძველი თაობის დამხობა ჩვენში დღეს ბრმისათვისაც ცხადი საქმე შეიქნა... ვინც უწინდელ დროში, 1861 მდი, ჩვენს საზოგადოებას გონიერების გამოცდილების, მოხერხების და ჭკუის მადნად მიაჩნდა... ის დღეს ყველას საბრალო უმეცრად, გაფლიდებულ მკითხავად მიაჩნია... მათმა მოქმედებამ განუზომელი უმეცრება და ანგარება გამოაშკარავა. საზოგადოებამ მათში მარტო ხეპრული თავმოყვარეობა დაინახა... ეს ბატონები მარტო საკუთარ სარგებლობას ეძებდნენ... არ მგონია, რომ ოდესმე საქართველოს ხალხმა ეს თაობა სიკეთით მოიხსენიოს და ძეგლი დაუდგას, მაგრამ კარგი კი იქნებოდა, მომავალი თაობის სამაგალითოდ ამ თაობის მოთავე პირებს რომ ძეგლი აუშენოს ჩვენმა ხალხმა და ზედ ეს წარწერა ამოჭრას:

„აქ მარხია თაობა, რომელსაც საკუთარი სარგებლობა ღმერთად მიაჩნდა, რომელიც ბრმად ატარებდა თავის სიცოცხლეს და დაბრმავების გამო ახალი ცხოვრების ფეხქვეშ გაითელა...“[1]

ასეთი მკაცრი განაჩენი გამოუტანა ნ. ნიკოლაძემ ძველი თაობის მოღვაწეებს.

* * *

60-იანი წლებიდან კიდევ უფრო აშკარა გახდა „ცისკრის“ ჯგუფის ერთი ნაწილის რეაქციონური ბუნება. ამ დროიდან არსებითი გარდატეხა ხდება ჩვენი ხალხის ეკონომიურსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ბატონყმობის სისტემის გაუქმებასთან დაკავშირებით სამოქმედო ასპარეზზე გამოვიდა ახალი კლასი — ბურჟუაზია, რომელმაც ბრძოლის დროშაზე, წინააღმდეგ ფეოდალური კლასისა, შრომის თავისუფლების ლოზუნგი წააწერა. ახალმა კლასმა თავისი მძლავრი სამოქმედო იარაღით შეანგრია ფეოდალიზმის ჯებირები,

---

[1] „ახალი ახალგაზრდობა“, კრებული, 1873 წ., № 1, თავი 1-ლი და მე-2.

ქვეყანა ერთ მთლიან ორგანიზმად გააერთიანა და მანამდე დაქსაქსული ერი ერთ დროშის ქვეშ დაირაზმა.

60-იანი წლები ახალი ეტაპია XIX საუკუნის ქართულ აზროვნებასა და ლიტერატურაში. ამ დროს სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსულმა, რუსეთის რევოლუციონურ ტრადიციებზე აღზრდილმა ახალმა თაობამ — თერგდალეულებმა — ილია ჭავჭავაძის მეთაურობით გამოაღვიძა მრავალი ათეული წლების განმავლობაში მიძინებული ჩვენი ხალხის სულიერი ცხოვრება.

„საქართველოს მოამბის“ ჯგუფის — თერგდალეულების — მოქმედების ისტორია 1861 წლის აპრილის თვიდან იწყება. ეს ის მნიშვნელოვანი თარიღია, როდესაც ამ ჯგუფის მეთაურმა ილია ჭავჭავაძემ თავის პირველი სტატიით ბრძოლის ცეცხლი გააჩაღა რეაქციონურად მოაზროვნე თავადაზნაურთა წინააღმდეგ და ამით საზოგადოებას ახალი ხანის დასაწყისი ამცნო.

რუსეთის რევოლუციონური იდეებით შეიარაღებულმა ილია ჭავჭავაძემ მკაცრი ბრძოლა გამართა ძველი თაობის წინააღმდეგ. მანვე მტკიცე მეცნიერულ საფუძველზე დაყრდნობით უარყო ძველი სალიტერატურო ენა, სამი სტილის თეორია და მის ნაცვლად ახალი, ხალხურ პრინციპზე აღმოცენებული მეტყველება გააბატონა. ცხოვრებისაგან მოწყვეტილი უიდეო მწერლობა უტილიტარული ხელოვნებით შესცვალა, საქართველოს წარსულზე გოდების ნაცვლად, ნაციონალურ-განმათავისუფლებელი იდეები წამოაყენა და ალ. ორბელიანის მიერ გაიდეალებული ბატონყმობის სისტემის მაგიერ შრომის თავისუფლების პრინციპი იქადაგა.

თერგდალეულებმა „ცისკარში“ დაწყებული ბრძოლის დროშა „საქართველოს მოამბის“ ფურცლებზე კიდევ უფრო მაღლა აღმართეს. დასებს შორის დავამ ორგანიზაციული ხასიათი მიიღო. ილია ჭავჭავაძის გარშემო დაირაზმნენ რუსეთის რევოლუციონურ ტრადიციებზე აღზრდილი ახალგაზრდები: გიორგი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე, დავით ყიფიანი, ნიკოლოზ ლოლობერიძე, პეტრე ნაკაშიძე, გიორგი ჩიქოვანი, ილია ოქრომჭედლიშვილი, მიხეილ ყიფიანი და სხვები.

„საქართველოს მოამბის“ გამოსვლამ უდიდესი როლი ითამაშა ჩვენი ხალხის სულიერი კულტურის ამაღლების საქმეში. ახალმა ჟურნალმა გზა გაუკაფა ლიტერატურას ჭეშმარიტებისაკენ და იგი ხალხის ინტერესებს დაუკავშირა. ამ თვალსაზრისით დიდი როლი ითამაშა ჟურნალის საპროგრამო სტატიამ „საქართველოს მოამბეზედ“, რომელშიც ილია ჭავჭავაძემ მისთვის ჩვეული სიღრმითა და

დამაჯერებლობით გაარკვია მოწინავე მეცნიერებისა და ხელოვნების პრობლემატიკური საკითხები და მათი მაღალი ამოცანები მხოლოდ ხალხის სამსახურში დაინახა.

ამის შესახებ ი. ჭავჭავაძე წერს: „მეცნიერებას და ხელოვნებას ჩვენ ვუყურებთ როგორც ცხოვრების გასამჯობინებელ ღონისძიებათა. დაე ზოგიერთმა მწიგნობარმა მეცნიერების სახელითა გაიწყალოს თვალი და გონება იმის გამოძიებაში, რომ ამა და ამ ეგვიპტის პირამიდაზედ ეს იეროგლიფი ისე არ უნდა იყოსო, ან წარტოლვილ ჭეშმარიტების ძებნაში ავარჯიშოს თავისი გონება; ან ზოგიერთმა უნაყოფო პოეტმა ხელოვნების სახელითა უკუარიდოს პირი თავისი ხალხის ცხოვრებასა, მეშვიდე ცას შეაჩეროს გაბეცებული თვალები და ბულბულსავით უაზრო შტვენა დაიწყოს და აღარ გაათავოს. ჩვენ იმათთან საერთო გზა არა გვაქვს... ჩვენ მეცნიერებას და ხელოვნებას მოვსთხოვთ არსებითსა პურსა ცხოვრებაში გამომცხვარსა და მშიერთათვის მოსახმარსა და გამოსადეგსა. მეცნიერებამ უნდა გვიშველოს თავის გამოცნობილ ჭეშმარიტებაებით ცხოვრების ახსნა და გაგება; მან უნდა მოგვცეს პირდაპირი პასუხი ყოველ საჭირო კითხვაზედა... დროა ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირშია, იქ მონახოს შიგ მდებარე აზრი თავის ცხოველი სურათებისათვის. იქ, ცხოვრების ძირში, ის იპოვის ბევრ მარგალიტსა და უფრო ბევრ ლექსა და ლაფსა, არც ერთის გამოხატვა არ უნდა აშინებდეს ხელოვნებასა და არც მეორისა, არც ერთის გამოთქმას და არც მეორისა არ უნდა აშინებდეს ჟურნალსა“ [1].

იმავე სტატიაში ილია აგრძელებს ცხოვრებისაგან მოწყვეტილი ხელოვნების წარმომადგენლებთან დავას: „დროა ხალოვნებამ თავი დაანებოს „ღრუბლების ცურვასა“... მთვარის ხვეწნასა, რომ ჩემ საყვარელს უთხარიო: ცხრა მთას იქით ერთი უბედური პოეტია, რომელსაც შენ გამო „ოხვრის კვამლი“ თვალებსა სწვავს და ცრემლებს აღენსო. დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს უგემო ღმეჭასა და თვალების სრესასა, ეგება ცრემლი მომივიდესო“ [2].

ამ შემთხვევაში ილია ჭავჭავაძეს მხედველობაში ჰყავს „ცისკრის“ ორი თანამშრომელი: გრიგოლ რჩეულიშვილი და რევაზ ერისთავი.

როდესაც ილია ლაპარაკობს მთვარის ხვეწნასა და ღრუბლებში ცურვაზე, ან ცხრა მთას იქით მყოფ სატრფოზე, რომელიც

[1] ტ. მე-3, 1953 წ., აკად. გამოცემა, გვ. 68—69.

[2] იქვე, გვ. 68—69.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თურმე პოეტს ცხარე ცრემლს ადენს, აქ იგი გულისხმობს [illegible] ულიშვილის ლექსს „ახ მთვარევ, მთვარევ“.

აი, ილიას კრიტიკული სტრიქონების შესატყვისი ადგილები ამ ლექსიდან:

ახ მთვარევ, მთვარევ, დამწვართ იმედო,
მსურს ჩემი ტანჯვა შენ გაგიმჟღო!..
მთვარევ შენ მოგთხოვ ჩემს საყვარელსა,
მონახო იგი ყოველ მხარესა.
თუ ნახო, მთვარევ, ჩემი მტანჯველი,
უთხარ, იმ ხის ძირს ყოველ ღამ ველი.
უთხარ, რად მტანჯავს, რად არ მიბრალებს,
რატომ არ მოვა და არ მახარებს“...[1]

ხოლო სტატიის იმ ნაწილში, სადაც ლაპარაკია თვალების სრესაზე და ცრემლების დენაზე, აქ ილიას მხედველობაში ჰყავს სენტიმენტალისტი კოზლოვი, რომლის „შეშლილი“ ქართულად თარგმნა რევაზ ერისთავმა.

ილია ჭავჭავაძე, როგორც უტილიტალური ხელოვნების მედროშე, მკაცრად ილაშქრებს უიმედო და უშინაარსო ხელოვნების წინააღმდეგ, იგი სამართლიანად უსაყვედურებს რევაზ ერისთავს ამ საკითხში: „არა, როგორც ვხედავთ, თქვენ ძალიან სულწასულად გუვარებიათ რითმების რახარუხი, იმისათვის შეგიწირავთ აზრიც, ფიქრიც და ის ცოტაოდენი გულის სითბოც, რომელიც ალაგ-ალაგ ჩანან ორიგინალში[2].

ილია ჭავჭავაძის პოლემიკა რომ არსებითად „ცისკრის“ თანამშრომლებისადმია მიმართული, ეს აშკარად ჩანს სხვა სტატიებიდანაც, მაგალითად, ილია პატივისცემით იხსენიებს ქართველ რომანტიკოსებს, მაგრამ მიწასთან ასწორებს „ცისკრის“ სხვა თანამშრომლებს.

„კიდევ მადლობა ღმერთს, რომ ცისკარი მაგ ყოფაშია. ორიოდე თავ. ალ. ჭავჭავაძის, თავ. ნ. ბარათაშვილის და გრ. ორბელიანის ლექსებთან მაინც გაგვაცნო, რომ სხვა არა იყოს რა. სხვა ახალი პროზაიკოსები და მოლექსეები, ზოგიერთს გარდა, ღმერთმა შეინახოს“[3].

სხვა ადგილზე ილია ჭავჭავაძე კიდევ უფრო ნათელყოფს „ცის-

[1] „ცისკარი“, 1860 წ., № 12, გვ. 307.
[2] ტ. მე-4, გვ. 21.
[3] იქვე, გვ. 14.

კრის“ პოეტების უიდეობას და ცხოვრებისაგან ჩამორჩენილობას.

„უბედურება ჩვენი ის არის, რომ შევბეჭავთ თუ არა ანბანის თეორეტიკის კანონით უაზრო ლექსებს, გვგონია, რომ ხელოვნებას დიდი რამე შევსძინეთ“ [1].

ცხადია, რომ აქ ილიას საბრძოლო მახვილი მიმართულია ბარბარე ჯორჯაძის წინააღმდეგ, რადგან იგი ყოველთვის იკვეხნიდა ანბანთ თეორეტიკის ცოდნით.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძის ბრძოლა „ცისკრის“ თანამშრომლების წინააღმდეგ ამავე დროს იყო ბრძოლა უიდეო, ცხოვრების ყოველდღიურობისაგან მოწყვეტილი მწერლობის წინააღმდეგ.

ილია მკაცრი და დაუნდობელი იყო „ცისკრის“ კალმოსნების მიმართ. და, ამდენად, მისი ბრძოლის მთავარ ობიექტს „ცისკრის“ უხეირო თანამშრომლები წარმოადგენდნენ. ამ მოსაზრებას ადასტურებს ილიას აქ მოყვანილი სიტყვებიც:

„ნუთუ მართლა, რაც „ცისკარში“ იწერება, საქართველოს ხალხის ფიქრია, ჭკუაა, გონებაა, ჩვეულებაა? ნუთუ მართლა „ცისკარში“ ჩვენი განვითარებაა, ჩვენი განათლების ხარისხია გამოთქმული? ნუთუ მართლა ეგრე დაეცა რუსთაველის ხალხი, რომ ეგრე ფიქრობს, ეგრე გრძნობს?“ [2].

საინტერესოა ისიც, რომ ეს დიდი ბრძოლა ილია ჭავჭავაძემ ენის საკითხებიდან დაიწყო. იგი რუსეთიდან ახალი აზრებით შეიარაღებული დაბრუნდა და, ბუნებრივია, ახალი აზრების გამოსახატავად ახალი სალიტერატურო ენა იყო საჭირო. ამდენად ილიას ბრძოლა ახალი ენისათვის ახალი აზრისათვის ბრძოლას ნიშნავდა.

მართალია, ასე პრინციპული იყო ბრძოლა თერგდალეულებსა და ძველ თაობას შორის ენის საკითხზე, მაგრამ ამ დავის დროს მთავარს მაინც სოციალური ხასიათის საკითხები წარმოადგენდა. თერგდალეულები, იცავდნენ რა მშრომელი ხალხის ინტერესებს, საქვეყნოდ გმობდნენ ბატონყმობის სისტემას, როგორც სამარცხვინო მოვლენას.

„საქართველოს მოამბეში“ დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის ღრმა შინაარსის მქონე მხატვრული ნაწარმოები: „კაცია-ადამიანი?!“ და „გლახის ნაამბობი“, აქვე გამოქვეყნდა „კაკო ყაჩაღისა“ და „აჩრდილის“ ნაწყვეტები.

---

[1] ტ. მე-4, გვ. 33.
[2] იქვე, გვ. 40.

თუ ძველი თაობის წარმომადგენელი ალექსანდრე ორბელიანი ბატონყმობის სისტემას აიდეალებდა და ბატონისა და ყმის ურთიერთობას მამაშვილურ დამოკიდებულებად თვლიდა, ილია ჭავჭავაძემ და მისმა თანამებრძოლებმა სასტიკი ბრძოლა გააჩაღეს მონური შრომის წინააღმდეგ.

თავისუფალი შრომის ჰიმნი იმღერა ილია ჭავჭავაძემ „აჩრდილში“:

„შრომა, აწ ქვეყნად ტყვედა პყრობილი,
მძარცველობის ქვეშ ჩაგრულ-ვნებულა,
ხოლო როვეულა მისი ბორკილი
და დასამსხვრევად გამზადებულა.

შრომისა ახსნა — ეგ არის ტვირთი
ძლევამოსილის ამ საუკუნის,
კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი
მაგ ახსნისათვის მედგრადა იბრძვის“.

და ბოლოს მონური შრომის უსამართლობით გულმოკლული პოეტი წამოიძახებს:

„ვინა შრომობდა და ვინა ჰძლება,
ღმერთო, სად არის აქ სამართალი?!“

და თუ ილია ჭავჭავაძემ თავის მხატვრულ ნაწარმოებებში პრინციპულ სიმაღლემდე აიყვანა თავისუფალი შრომის საკითხი და მშრომელი ხალხის სრული თავისუფლება მოითხოვა, ილიას თანამებრძოლმა, თერგდალეულთა ჯგუფის თვალსაჩინო მოღვაწემ დავით ყიფიანმა პუბლიცისტური ხასიათის წერილში, მსგავსად ილია ჭავჭავაძისა, თავისუფალი შრომის იდეა წამოაყენა და მისი უპირატესობა პრაქტიკული მაგალითებით დაამტკიცა. ამის შესახებ „საქართველოს მოამბის“ ფურცლებზე დავით ყიფიანი წერს: „საზოგადოებაში რომ ერთი ნაწილი სულ არ შრომობდეს და სხვისი შრომით ირჩენდეს თავს და იმ შრომასაც რომ თავისუფლება არა ჰქონდეს, ე. ი. ურთიერთნებაყოფლობაზე დამოკიდებული რომ არ იყოს, საზოგადოებისათვის ცუდია თუ არა?.. მე რომ ეხლა თავისუფალი•კაცი არ ვიყო, ფეხებში ბორკილი მქონდეს გაყრილი, ხეირიანი შრომა, ცხადია, არ შემეძლებოდა... თავისუფალი შრომა უფრო ნაყოფიერია, მერე ისა, რომ მთელს საზოგადოებაში ყოველი კერძოობით კაცი უნდა იყოს მშრომელი და მშრომელი თავისუფ-

ლადა და, მაშასადამე, ნაყოფიერათა, და თუ საზოგადო[illegible] ველი მისი წევრი ნაყოფიერადა შრომობს, საზოგადო[illegible] მდგომარეობაში შევა“ [1].

ამ მეტად საინტერესო სტატიაში დავით ყიფიანმა ილია ჭავჭავაძის პოზიციები გაამაგრა და ბატონყმობის სისტემის უმსგავსოება თვალსაჩინო მაგალითებით დაამტკიცა.

მაგრამ ხანმოკლე აღმოჩნდა „საქართველოს მოამბის“ არსებობა და თერგდალეულების თავდადებული შრომა. 1863 წელს ჟურნალი დაიხურა და თერგდალეულთა ჯგუფი, როგორც ორგანიზაციული გაერთიანება, ფაქტიურად დაიშალა. თანამშრომელთა უმრავლესობა სახელმწიფო სამსახურში მოეწყო და ცხოვრებისათვის საარსებო საშუალებათა ძებნას შეუდგა.

თვით ილია ჭავჭავაძე 1864 წელს ქუთაისში იწყებს სამსახურს საგანგებო მინდობილობათა მოხელის თანამდებობაზე გენერალ-გუბერნატორთან, ხოლო ამავე წლის ბოლოს მომრიგებელ შუამავლად ინიშნება დუშეთში, სადაც იგი 1873 წლამდე რჩება.

თერგდალეულებმა თავიანთი ხანმოკლე მოღვაწეობის განმავლობაში დიდი მნიშვნელობის საქმე გააკეთეს, როგორც სამართლიანად წერს ს. ხუნდაძე: „ახალი ეპოქის სულის ჩამდგმელი და მისი იდეების განმსახიერებელი შეიქმნა საქართველოში ახალი თაობის ინტელიგენცია... რომელიც რუსეთის 60-იანი წლების გონებრივი მოძრაობის ქვეშ იზრდებოდა. ამ ახალი თაობის ინტელიგენციამ ენერგიულად გაილაშქრა დახავსებული წყობილების, ბატონყმური ურთიერთობისა და სქოლასტიკურ-რელიგიური აზროვნების წინააღმდეგ და ქართულ ლიტერატურაში რაციონალიზმის, უტილიტარიზმისა და დემოკრატიზმის პრინციპები შემოიტანა“ [2].

ამრიგად, „ცისკრის“ ჯგუფის წინააღმდეგ გამოვიდა ახალი იდეებით და მსოფლმხედველობით შეიარაღებული ახალგაზრდობა, რომელსაც ძალასა და უპირატესობას აძლევდა არა მარტო თეორიული საკითხების ცოდნა და მხატვრული აზროვნების სიდიადე, არამედ თვით ცხოვრების მიმდინარეობა და ჭეშმარიტებისადმი სამსახური.

1863 წელს „საქართველოს მოამბის“ დახურვასთან დაკავშირე-

---

[1] „საქართველოს მოამბე“, № 4, გვ. 109.

[2] მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის, გვ. 6.

ბით ჯგუფის მოქმედებაც არსებითად შეწყდა, შეწყდა [illegible] საბრძოლო პროგრამა ბოლომდე განუხორციელებელი დარჩა.

მართალია, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვები შემდეგშიც განაგრძობდნენ ბრძოლას ჩვენი ქვეყნის საჭირბოროტო საკითხების მოსაგვარებლად, განსაკუთრებით მათ სიკვდილამდე არ დაუხრიათ ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის დროშა და ერთი წუთითაც არ შეუწყვეტიათ ქართული ენისა და ქართველი ხალხის ღირსებისათვის ბრძოლა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თერგდალეულთა დასი, როგორც ორგანიზაციული დაჯგუფება, შემდეგშიც იმავე სახით არსებობდა.

ამასთანავე, ეს ბრძოლა უაღრესად პრინციპული ხასიათისა იყო, „აქ ორი საქართველო შეეჯახა ერთი მეორეს: საქართველო მიმავალი, ბატონყმური, ძველი და საქართველო მომავალი, მშობიარობის პროცესში მყოფი, ახალი, ბურჟუაზიული“ [1].

### მესამე — რადიკალურ-ბურჟუაზიული მიმართულება

1863 წლიდან 1866 წლამდე საქართველოში პერიოდული გამომცემლობა არ იყო და ამ დროისათვის რაიმე ლიტერატურულ დაჯგუფებაზე ლაპარაკი შეუძლებელია, რადგან პრესის გარეშე, კოლექტიური აზრის პროპაგანდის გარეშე, რაიმე დასი ვერ იარსებებდა. ხოლო 1866 წლიდან გამოდის გაზეთი „დროება“ და აქედან იწყება ახალი ჯგუფის ისტორიაც.

ამ ჯგუფის ორგანიზატორი გიორგი წერეთელი წერს: „1866 წლიდან გამოჩნდა ახალი, უფრო პროგრესული მოძრაობა ქართულ ლიტერატურულ-პუბლიცისტურ სფეროში. ამ დროს გამოჩნდა მეორე დასი [2]. განსაკუთრებით თავი იჩინა ამ მეორე დასმა 1869 წლიდან 1877 წლამდე. ეს დასი შეჯგუფდა და შეკავშირდა „დროება“-„კრებულის“ რედაქციაში. ამ დასის ნამდვილი წარმომადგენლები იყვნენ ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი, კირილე ლორთქიფანიძე და პეტრე უმიკაშვილი, ამათვე შემოუერთდა განკერძოებულად მოღვაწე აკაკი წერეთელი. ეს მეორე დასი იყო პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულების მიმდევარი. ამ დასმა განუწყვეტლად იშრომა ერთად მთელი ათი წელიწადი — 1877 წლამდის [3].

[1] ს. ხუნდაძე, ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ. XXV.

[2] ჩვენი კლასიფიკაციით, ყოფილი მეორე დასი მესამე დასად ან ჯგუფად იწოდება. კ. მ,

[3] კვალი, № 46, 1897 წ.

როგორც გ. წერეთელი აღნიშნავს, მეორე დასის [illegible]ული გაფორმება მოხდა გაზ. „დროების“ გამოსვლას[illegible]რებით 1866 წელს.

მაგრამ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ოპოზიციური ბრძოლა თერგდალეულების წინააღმდეგ და პირადად ილიას მიმართ გაცილებით უფრო ადრე დაწყებულა, ვიდრე ეს ახალი დასი ორგანიზაციულ ხასიათს მიიღებდა. თერგდალეულებს შორის იდეური განხეთქილების პროცესი ჯერ კიდევ 1863 წლიდან ჩანს.

მაგალითად, „საქართველოს მოამბის“ ისტორიული ნაწილის რედაქტორს ნიკოლოზ ლოლობერიძეს თავიდანვე არ აკმაყოფილებდა ჟურნალის მასალა. ამის შესახებ იგი პეტერბურგში მყოფ კირილე ლორთქიფანიძეს წერს: „საქართველოს მოამბე“, ხომ მოგეხსენებათ, წახდა, მეორე ნომერი საძაგელია, არც ერთი სტატია არ ვარგა. მესამე ჯერ, ე. ი. 29 აპრილამდე არ გამოსულა, ღმერთმა იცის, როგორ გათავდება მისი ბედი“[1].

მკითხველს ალბათ დააინტერესებს ნ. ლოლობერიძის მიერ დაწუნებული „საქართველოს მოამბის“ მასალა, რომელსაც მან საძაგელი უწოდა და ასე ხელაღებით უარყო. ამ ჟურნალის საერთო შინაარსი ასეთია:

1. შეშლილი — თ. გ. ერისთავისა.

2. ზეციური მნათობები — მიტჩელისა. თარგმანი დიმიტრი ყიფიანისა.

3. ლექსები: ლოთური მუხამბაზი — გრ. ორბელიანისა; მადლი შენს გამჩენს, ლამაზო ქალო — თ. ნ. ბარათაშვილისა; მას აქეთ, რაკი შენდამი ვჰსცან მე სიყვარული ..

4. სხვადასხვა ამბები:

გამოფენა — საქართველოს გამიჯნავების გამო; ქორწინება ახლო ნათესავთა შორის; იაროსლავის თავადაზნაურთა წინადადება ოთხს საგანზე; გასამართლების რეფორმის გამო; მიმინო; კოროლი უფროსი რედაქტორი ჟურნალისა; შედარებითი სქემა კაცის მკვლელობისა ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოში; საფუფო და შტოლცი.

5. საბრალონი — რომანი ვიქტორ ჰიუგოსი, თარგმანი გიორგი ჩიქოვანისა.

ცხადია, ნ. ლოლობერიძის კრიტიკა ჟურნალის მხატვრულ განყოფილებას არ ეხება, იგი მხოლოდ სტატიებს იწუნებს. „არც

[1] ქუთაისის ისტორიული მუზეუმი, კირილე ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 790.

ერთი სტატია არ ვარგაო“, და ეს იმიტომ, რომ აქ დასახელებულ წერილებში ყურადღებაა გამახვილებული „ზეციურ მნათობებზე“, „მიმინოზე“, გასამართლების რეფორმაზე“, „კაცის მკვლელობის სქემაზე ევროპაში“, „საფფოსა და შტოლცზე“ და მშრომელი ხალხის საარსებო საკითხებზე, ხალხის პრაქტიკულ დახმარებაზე ნაკლებად არის ლაპარაკი. ამდენად, ნ. ლოლობერიძის კრიტიკა შეიძლება გადაჭარბებულია, მაგრამ საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს.

მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სტატიის ის ადგილი, სადაც ნ. ლოლობერიძე კირილე ლორთქიფანიძეს წერს:

„როდის იქნება ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენი საზოგადოება, ჩვენი ამხანაგები შევიკრიბებით ქუთაისს ჩვენი საქმის ასასრულებლად, ჩვენი ძმობის დამცველად?“[1] (ხაზი ჩვენია — კ. მ.).

დარწმუნებული ვართ, დაკვირვებული მკითხველი გაიზიარებს ჩვენს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ აქ დასახელებული სტრიქონების აზრი არ გულისხმობს უბრალო ამხანაგურ შეხვედრას, რომ ნ. ლოლობერიძე კირილეს არ ეპატიჟება დროის გასატარებლად და ამხანაგებთან სალაღობოდ, არამედ ოპოზიციაში მყოფი ნ. ლოლობერიძე ოცნებობს იმ ბედნიერი დღის შესახებ, როდესაც ქუთაისში შეიკრიბება მისი „საზოგადოება“ „საქმის ასასრულებლად“ და „ძმობის დასაცავად“. ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ იგი უკვე მოქმედების პრაქტიკულად დაწყებას აპირებს ახალი დასის ჩამოსაყალიბებლად და ცდილობს ამ მიზნით ამხანაგებს თავი მოუყაროს ქუთაისში. წერილს თარიღი არა აქვს, მაგრამ შინაარსიდან ირკვევა, რომ იგი დაწერილია 1863 წელს 29 აპრილამდე, ე. ი. „საქართველოს მოამბის“ მე-3 ნომრის გამოსვლამდე.

რომ 1863 წლიდან თერგდალეულთა შორის ოპოზიცია მართლაც არსებობს და ცალკე პირები ზრუნავენ ახალი დასის ჩამოყალიბებისათვის, ეს კიდევ უფრო მტკიცდება გ. წერეთლის პირადი ბარათიდან, რომელიც მას პეტერბურგში, აგრეთვე კირილე ლორთქიფანიძისათვის მოუწერია. წერილი ასე იწყება:

„საყვარელო ძმაო კირილე! თუ ეგზამენიას არ იჭერ და წამოსვლა გინდა, საშუალება თავისუფალ ცხოვრებისა აჩენილი გაქვს[2].

---

[1] ქუთაისის ისტორიული მუზეუმი, კირილე ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 790.

[2] თავისუფალი ცხოვრების საშუალება ნიშნავს სამსახურის გარეშე ცხოვრებას — კ. მ.

თბილისშიდ რომ ვიყავი, ილიკომ მითხრა[1], კირილე, რომ მოვიდოდეს, „ქართლის მოამბის" რედაქციას გადავცემო. რასაკვირველია, ეს ჩვენთვისაც კარგი იქნება, თუ შენ ჩვენ წრიდან არ გამოხვალ და ჩვენის შემწეობით იმოქმედებ. ახლა შენ გინდა წამოსვლის საშუალება. მანდ ვერსაიდან აიჩენ თორემ კარგი იქნება...[2] (ხაზი ჩვენია — კ. მ.).

ჩვენთვის ჯერჯერობით გაურკვეველია იმის მიზეზი, თუ რატომ აპირებდა ილია ჭავჭავაძე „საქართველოს მოამბის", ან როგორც გ. წერეთელი უწოდებს, „ქართლის მოამბის" ხელმძღვანელობა კირილე ლორთქიფანიძისათვის გადაეცა, მაგრამ ერთი კი ფაქტია, რომ გ. წერეთელი დაინტერესებულია „საქართველოს მოამბე" კირილე ლორთქიფანიძის ხელში გადავიდეს და ამით ჟურნალს მათი წრე დაეპატრონოს. ამას ნიშნავს მისი სიტყვები: „თუ შენ ჩვენ წრიდან არ გამოხვალ და ჩვენს შემწეობით იმოქმედებო". ჩანს, ილია ჭავჭავაძეს გ. წერეთელი თავის წრეში არ თვლიდა, ხოლო კირილე ლორთქიფანიძე მათი ჯგუფის წევრად იგულისხმებოდა. ესეც ფაქტია, რომ კირილე ლორთქიფანიძე შემდეგში ახალი დასის აქტიური წევრი გახდა.

თარიღი არც ამ წერილს აქვს, მაგრამ შინაარსის მიხედვით ისიც 1863 წელს ეკუთვნის. წერილი დაწერილია მანამდე, სანამ „საქართველოს მოამბე" დაიხურებოდა, თორემ აკრძალული ჟურნალის სხვაზე გადაცემას რა აზრი ექნებოდა?

ოპოზიცია ი. ჭავჭავაძის წინააღმდეგ კიდევ უფრო მწვავე ხასიათს ღებულობს. იგივე ნ. ლოლომბერიძე 1864 წლის 25 მაისის თარიღით პეტერბურგში კვლავ კირილე ლორთქიფანიძეს კიდევ უფრო მწვავე ხასიათის წერილს სწერს.

„...ჭავჭავაძეზედ რა მოგწერო? ის ისე ადვილ საქმეთ უყურებს რედაქტორობას და კიდევაც გამოიჩინა, რა მოსდევს ამისთანა შეხედულებას. დაიწყო ჟურნალის გამოცემა მოუფიქრავათ და უკითხავად და ისეც მოსპო, როდესაც იმას ეთხოვა ჟურნალის გამოცემის ნება, მაშინ მე აქ არ ვყოფილვარ და არც კი არაფერი უკითხავს ჩემთვის, ქუთაისიდამ რომ ჩამოვედი ტფილისს სექტემბერში 1862-ში მაშინ მითხრა, რომ ნება მივიღეო გამოცემისა და

[1] ილიკომ — ილია ჭავჭავაძემ — კ. მ.

[2] ქუთაისის ისტორიული მუზეუმი, კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 88Ე.

უნდა მომეხმაროთო, მე ვუთხარი, რომ შეუძლებელს საქმეს იწყებთქო, სტატიები არ გვაქვს-თქო, საიმედო თანამშრომლები არ გვყავს, არავინ მომზადებული არა ვართ-თქო ამ საქმისათვის და სხვადასხვა. ამაზე მან მოიყვანა ჩვეულებრივი თავისი არგუმენტი: სულ ამას ვამბობთო და საქმეს ხელს არ ვკიდებთო, რომ დავიწყებთ ჟურნალის გამოცემას, მაშინ გამოჩნდებიან მწერლებიცო და ჩვენც გავიწვრთვნებით წერაშიო. ეხლა მაინც, როდესაც ნება მივიღეთ, სხვა არაფრის ღონისძიება არ არისო, უნდა გამოვცეთ. განცხადება გამოსცა და იმაში ნაწილების რედაქტორებად გავვხადა რამდენიმე პირნი, რომელნიც წინააღმდეგი ვიყავით ჟურნალის გამოცემისა. პირველად მართლაც კარგად შრომობდა და მეტი იმედი მომეცა, იქნებ რამე გამოვიდეს-თქო, მერე კი თავისებრივ აუკრა და ასე სამარცხვინოდ წავიდა საქმე“ [1].

ნ. ლოლობერიძის ეს წერილი თავიდან ბოლომდე ტენდენციური ხასიათისაა. იგი ცდილობს დაამციროს ი. ჭავჭავაძისა და მისი ჟურნალის დამსახურება ქართველი ხალხის წინაშე. მაგრამ წერილი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც აქ აშკარად ჩანს ავტორის ოპოზიციური მიმართულება და მტრული დამოკიდებულება ილიასადმი. იგრძნობა, რომ ნ. ლოლობერიძე მოწინააღმდეგეთა ბანაკიდან უტევს ილია ჭავჭავაძეს.

ილია ჭავჭავაძის ჯგუფსა და გიორგი წერეთლის „ახალ ახალგაზრდობას“ შორის ბრძოლა სისტემატურ ხასიათს ღებულობს. ასევე გამწვავდა დამოკიდებულება პირადად ილია ჭავჭავაძესა და გიორგი წერეთელს შორის, მაგრამ ეს უბრალო კინკლაობა კი არ არის, არამედ პრინციპიალური ბრძოლაა ორი სხვადასხვა მსოფლმხედველობის მქონე მოაზროვნეთა შორის. ბრძოლამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო „ივერიისა“ და „კვალის“ ფურცლებზე, მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ გ. წერეთელმა პოლემიკა პუბლიცისტიკიდან მხატვრულ ნაწარმოებებშიც გადაიტანა. მაგალითად, თერგდალეულებისა და პირადად ილიას წინააღმდეგ ბრძოლის საკითხს მთელი თავები დაუთმო მან „მგზავრის წერილებსა“ და „გულქანში“. აქ დასახელებულ ნაწარმოებებში გ. წერეთელს ჩიტორელიძისა და რუსეთუმეს სახით ილია ჭავჭავაძე ჰყავს გამოყვანილი.

აი, როგორ ახასიათებს გ. წერეთელი ჩიტორელიძეს:

---

[1] ქუთაისის ისტორიული მუზეუმი, კირილე ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 825. ნ. ლოლობერიძისა და გ. წერეთლის ეს წერილები პირველად ქვეყნდება. კ. მ.

„ჩიტორელიძემ... ჟურნალის გამოცემის ნება აიღო, მერე თავის მეგობრებში ხელის მოწერა გამართა. მთელ ქართლ-კახეთში და იმერეთში ოთხი თვის განმავლობაში ხუთასი ხელისმომწერი იშოვა და წინასწარ ორასი თუმანი ნაღდი ფული მოაგროვა... მაშინ მწერლობა ქართველ კნიაზებში და კნეინებში მოდად იყო. ჩიტორელიძეს ცოლი უნდოდა შეერთო, კარგი მზითვიანი ქალი, სამსახურში კარგი ადგილის შოვის იმედი არ ჰქონდა და ჟურნალის გამოცემა მოინდომა. გამოსცა კიდეც. ერთი ორასი თუმანი ხელში ჩაიგდო ხელმომწერლების ფული, ამ დროს ცოლის შერთვა მოახერხა და მერე რაღა ჟურნალის ეცხელებოდა, წლის გასულს კიდეც დახურა“ [1].

ჩიტორელიძის სახით რომ გ. წერეთელს ი. ჭავჭავაძე ჰყავს გამოყვანილი, ეს სრულიადაც არ წარმოადგენს სადავო საკითხს, რადგან ილიას ბიოგრაფიული მონაცემები არსებითად ემთხვევა აქ დასახელებულ ფაქტებს, მაგრამ გ. წერეთელმა ეს ფაქტები გაყალბებულად წარმოადგინა.

მოთხრობა „გულქანში“ კი თერგდალეულების საქმიანობასა და მათი ბელადის ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობას ასე ახასიათებს გიორგი წერეთელი:

„რუსეთუმე და მისი დასი დიდი იმედებით იყო გამხნევებული, იმათ ეგონათ, რაკი ისინი სხვადასხვა გამგეობასა და სასამართლო ნაწილებში ადგილებს დაიჭერდნენ, ქვეყანა ფერს იცვლიდა... ისინი იყვნენ გატაცებული ეგოისტური აზრით, რომ მხოლოდ მათი მეოხებით მიენიჭებოდა ქვეყნიერებასა და სამშობლო მხარეს განახლების ხანა... მათი აზრის, მოწინააღმდეგენი ყველანი უგნურთა და უმეცართა დასში უნდა მოქცეულიყვნენ. პირველად რუსეთუმემ და მისმა ამყოლმა დასმა შემოიღეს ტერმინათ ქართულ ენაზე „ძველი და ახალი თაობა“; მათი აზრით, „ახალი თაობა“ იყო სინათლე „ძველი თაობა“ კი სიბნელე... რუსეთუმე იმ დროს ლიტერატურაშიაც მოწონებული კაცი შეიქმნა. ის დასცინოდა ძველი კაცების მექრთამეობას, მებატონეების უქმ ცხოვრებას და ტიპათ გამოყავდა ბუზი ყლაპია და ღორის კანჭისჭამია თავადები... თერგდალეულთა შორის რუსეთუმემ და ზოგიერთმა მისმა ამხანაგებმა მთავრობის წრეში წინ წარდგეს ნაბიჯი, პატივსაცემი ალაგები დაიჭირეს... თვით რუსეთუმემ შეირთო მზითვიანი ქალი, შემდეგ მემკვიდრეობითაც ბევრი მიწა-წყალი და შემოსავლიანი ადგილ-მამული ერგო...“ [2]

---

[1] გ. წერეთელი, რჩეული ნაწერები, ტ. 1, გვ. 144—145.

[2] იქვე, ტ. II. გვ. 463—466.

ამის შემდეგ გ. წერეთელი ეხება „ახალი ახალგაზრდობის“ სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის მომენტს და გვიჩვენებს მათ [illegible]თეს საქმიანობას თერგდალეულებთან და მის ხელმძღვანელ რუსთუმესთან შედარებით.

„თვით თავადაზნაურობა დარწმუნდა, — წერს გ. წერეთელი, — რომ რუსეთუმესთანა ჭკუიანი დედამიწაზე არ მოიპოვებოდა. მაგრამ დახეთ უკუღმართობას? რუსეთუმეს გენიოსობას უცბად გადაელობა წინ ახალ გამოჩენილი წრე ლიტერატორთა, რომელზედაც ზემოთ გვქონდა გაკვრით ლაპარაკი და რომელსაც დაარქვეს „ახალი ახალგაზრდობა“... რუსეთუმეს გენიოსობა მათ არაფრად მიაჩნდათ და მის დიდ ღვაწლს ხორხინეთის საზოგადოების წინაშე ჩირადაც არ აღებდნენ... იმ დროს ბევრი არ იყვნენ ზემოხსენებული პროგრამის ახალგაზრდები, მაგრამ ვინც იყვნენ, ყველანი ლიტერატურულ შრომას ეწეოდნენ და სასტიკად დევნიდნენ ყველას, ვისაც კი პირფერობას და უზნეო მოქმედებას შეწამებდნენ... „ახალი ახალგაზრდობის“ წრე მართლაც მედგრად იბრძოდა; ერთ უბრალო შემთხვევასაც არ აგდებდა უყურადღებოდ, მისი წევრნი სასტიკად დასცინოდნენ... ატარებდნენ კრიტიკის დარეკაში მოძველებულსა და დაობებულს აზრებს რუსეთუმეს და იმისი პარტიისას. ახალგაზრდა წრეს არ მოსწონდა რუსეთუმეს და იმის ამხანაგების პირფერობითი ლაპარაკი, არ მოწონდათ მათი აჩქარებულად შეხანხლული, ანუ უკეთ ვთქვათ, სიტყვა სიტყვით გადმოწერილი უცხო ბანაკის პროექტი“ [1].

ამ სტრიქონებიდან აშკარად ჩანს, რომ გ. წერეთელმა ერთმანეთს დაუპირისპირა თერგდალეულებისა და „ახალი ახალგაზრდობის“ ჯგუფები და შეეცადა, თერგდალეულების დამცირების ხარჯზე „ახალი ახალგაზრდობის“ ავტორიტეტი აემაღლებინა.

თერგდალეულების წინააღმდეგ ასევე მკაცრი კრიტიკით გამოვიდა „ახალი ახალგაზრდობის“ იდეური ხელმძღვანელი ნიკო ნიკოლაძე. მას გ. წერეთელთან და სხვებთან შედარებით ის უპირატესობა ჰქონდა, რომ იგი არასოდეს არ ყოფილა თერგდალეულების დასის წევრი. მას მონაწილეობა არ მიუღია „ცისკრის“ ფურცლებზე ძველსა და ახალ ჯგუფებს შორის გამართულ ბრძოლაში და არაფერი არ დაუბეჭდავს ილია ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბეში“. ცხადია, ნ. ნიკოლაძეს თავიდანვე მემარცხენე ხაზი ჰქონდა აღებული სამოციანი წლების მოღვაწეთა შორის და ამან მკვეთრი

[1] გ. წერეთელი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 170—172.

გამოხატულება „ახალი ახალგაზრდობის“ დასის ჩამოყალიბების საქმეში ჰპოვა.

ნ. ნიკოლაძე ვრცლად ჩერდება „ახალი ახალგაზრდობის“ მოღვაწეობაზე, მათს სამოქმედო პროგრამაზე და ცდილობს თერგდალეულების დამცირებით უპირატესობა მიანიჭოს ახალ ჯგუფს. თერგდალეულები ნ. ნიკოლაძის აზრით, სრულიად მოუმზადებელნი გამოვიდნენ სამოღვაწეო ასპარეზზე, მათ არც პროგრამა ჰქონდათ სრულყოფილი და არც რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა მოუხდენიათ ცხოვრებაზე.

„ამ თვალით რომ შევხედოთ ჩვენ იმ ახალ თაობას, რომელიც ჩვენი ხალხის ცხოვრებაში 1861 წელს გამოვიდა, დავინახავთ, რომ ამ თაობას ძლიერ მცირედი გავლენა და მოქმედება ჰქონია, არა თუ მარტო ხალხის ბედზე და ცხოვრებაზე, არამედ მის გონებაზე და ძველი თაობის დამხობის მიზეზზედაც. უმთავრესი გავლენა უძლიერესი მეხი თვითონ ცხოვრების შეცვლას, ახალი წესის შემოღებას ჰქონია. და ახალ თაობას ის სარგებლობაც ვერ მოუპოვებია, რომელსაც იმას ხელში ცხოვრების მიმდინარეობა აჩეჩებდა“[1] (ხაზი ჩვენია — კ. მ.).

ნ. ნიკოლაძის აზრით, ი. ჭავჭავაძის ჯგუფის წევრებს არც ნიჭი ჰქონდათ და არც სათანადო ცოდნა უწყობდათ ხელს.

„ამ თაობის, ამ ახალ რაზმს შეადგენდა თითქმის მარტო ერთი კაცი — ილია ჭავჭავაძე, რომელიც წინამძღოლიც იყო და რაზმიც. ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, ურაზმო წინამძღოლი იყო იმ ახალი თაობისა... ამ თაობის ნაკლოვანება იმაში მდგომარეობდა, რომ მის ნიჭიერ და გონიერ წარმომადგენელს, ილია ჭავჭავაძეს დამხმარე და თანამოაზრე ბევრი არავინ ყავდა. მის თანამშრომლებს, საზოგადოდ რომ ვთქვათ, არც დიდი ნიჭი ჰქონდათ, არც დახელოვნებული ცოდნა, ისინი რიცხვითაც მცირენი იყვნენ და ძალითაც...[2].

მკითხველს, პირველ ყოვლისა, თვალში ეცემა ის გარემოება, რომ ნ. ნიკოლაძე მოწინააღმდეგე პოზიციებიდან უტევს თერგდალეულებს და ცდილობს მათი როლი დაამციროს საზოგადოების წინაშე. მაგრამ, რაც მთავარია, ნ. ნიკოლაძე ილიას ჯგუფის წევრებს, მის „თანამებრძოლებს“, უნიჭოებსა და უცოდინარებს უწო-

---

[1] ნ. ნიკოლაძე. კრებული. 1873 წ., № 1.

[2] იქვე, თავი IV, ხაზი ჩვენია — კ. მ.

დებს და ეს უკვე გარკვევით ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ იგი თავის თავს ილია ჭავჭავაძის ჯგუფში არ თვლის. არ[illegible] ნ. ნიკოლაძე ასეთი გულუბრყვილო ყოფილიყო, რომ [illegible] და უვიცების რიგში ყოფნა მოესურვებინა. ჩანს, ნ. ნიკოლაძე თავიდანვე ოპოზიციაში ედგა თერგდალეულებს.

ნ. ნიკოლაძე კიდევ მეტ სიმკაცრეს იჩენს თერგდალეულებისადმი, მას არა მარტო ცალკეული პიროვნების მოქმედება არ მოსწონს, არამედ თერგდალეულების სამოქმედო პროგრამასაც იწუნებს.

„1861-ში რომ ჩვენი ახალი თაობა მართლა დარაზმული ყოფილიყო საბრძოლველად, იმას მტკიცე პროგრამა და მიზანი რომ ჰქონოდა და განსაკუთრებით ბლომათ ჰყოლოდა მარჯვე, გონიერი და დამარაგებული წარმომადგენლები, დღეს ჩვენი ცხოვრება სულ სხვა სურათს წარმოგვიდგენდა, დღეს ჩვენი საზოგადო საქმის თაოსნობა, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება და ბედი სრულიად ახალი თაობის ხელში იქნებოდა...“[1] (ხაზი ჩვენია — კ. მ.).

ამ სტრიქონებიდან ისიც ჩანს, რომ თერგდალეულებს თავიანთი უხეირო მოქმედებითა და სათანადო ძალების უყოლობის გამო თავი ვერ გაურთმევიათ დაწყებული საქმისათვის და კიდევაც დაუკარგავთ ხელმძღვანელი როლი. ნიკოლაძე ცდილობს, რომ გამოარკვიოს თერგდალეულთა დამარცხების მიზეზი, და ასეთ მიზეზად იგი პრაქტიკული ცხოვრებისაგან მოწყვეტილ, მაშინდელ საუნივერსიტეტო სქოლასტიკურ განათლებას თვლის.

„რათ დაემართა ჩვენს ახალგაზრდობას ამნაირი უბედურება?.. ეს ადვილი ასახსნელი და გამოსაძიებელი კითხვაა... იმათ ლექციები იზეპირეს, ოთხი-ხუთი წელიწადი ყური უგდეს იმის დაწვრილებით აღწერას: თუ სეზოსტრისმა ვინ სად დაამარცხა... ან და კიდევ რანაირი ულვაში ან ფერი აქვს სხვადასხვა გვარ პეპლებს, კიბორჩხალებს, და მორიელებს... ამის გამო უნივერსიტეტებიდან გამოდიოდნენ ახალგაზრდები, რომლებსაც გაცნობილი ჰყავდათ პეპლები და ბუზანკალები, იუსტინიანის ინსტიტუტები, ეგვიპტელი მონუმენტები, მაგრამ ნამდვილი ცოდნით... და სამოქმედო ხასიათით თვითონ პეპლებზე უფრო სუსტნი იყვნენ და ეგვიპტელ მონუმენტებივით უსარგებლო...“[2]

---

[1] ნ. ნიკოლაძის სტატიის ეს ადგილი დაბეჭდილი არ არის, იგი მხოლოდ ხელნაწერშია. იხ. ქუთაისის მუზეუმის კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 803, თავი IV.

[2] ახალი ახალგაზრდობა, კრებული, 1873 წ. № 1, თავი VI.

შეიძლება დაისვას კითხვა, რომ ნ. ნიკოლაძეც ხომ თერგდალეულებთან ერთად სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, მაშასადამე, იმასაც ასეთი განათლება ექნებოდა მიღებული. ამ კითხვაზე ნ. ნიკოლაძე საინტერესო პასუხს იძლევა, რითაც ჩვენ მიერ შემჩნეულ, თითქოს, უხერხულობიდან უმტკივნეულოდ აღწევს თავს. აი მისი პასუხიც: „ვისაც მაშინ დიდი ნიჭი ჰქონდა, ვისაც მძლავრი ტვინი დაჰყოლოდა... იმას როდი აკმაყოფილებდა ადამის წლის პროფესორების დაძველებული და მამა-პაპური ლექციები, იმას... მოსვენებას არ აძლევდა ის კითხვები, რომელნიც ყოველი ხეირიანი ახალგაზრდობის გონებაში ჯგუფ-ჯგუფად იბადებიან და პასუხს მოუსვენრად ეძებდენ. ამისთანა ყმაწვილები თვითონ, თავიანთი შრომით და გაგებულობით შეუდგნენ გონების გამხსნელ სწავლას, რომელთაც არავითარი კავშირი არ ჰქონიათ პროფესორების ლექციებთან“[1].

ცხადია, ნ. ნიკოლაძე თავის თავს ამ მოწინავე ახალგაზრდობის რიგებში თვლის, ხოლო თერგდალეულთა ჯგუფის წევრებს, ილიას გარდა, იმათ მიაკუთვნებს, რომლებმაც მხოლოდ ძველი პროფესორების ლექციები იზეპირეს პეპლებისა და ბუზანკალების შესახებ.

ნ. ნიკოლაძე ასე მკაცრი იყო თერგდალეულების მიმართ, მაგრამ სულ სხვა დამოკიდებულებას ამჟღავნებს იგი „ახალი ახალგაზრდობის“ ჯგუფისადმი. ყოველგვარი საშუალებით ცდილობს ეს ჯგუფი თერგდალეულებზე მაღლა დააყენოს და მეტი ძალა და შინაარსი მისცეს მათს საქმიანობას.

„ახალი ახალგაზრდობა“, — ნ. ნიკოლაძის აზრით, — მტკიცე ნაბიჯით შეუდგა მოღვაწეობას, მას მხოლოდ საკუთარი თავის იმედი ჰქონდა და შეურიგებლადაც ებრძოდა ყოველგვარ დაბრკოლებას. ავტორი ცდილობს ერთმანეთს დაუპირისპიროს ეს ორი თაობა — „თერგდალეულები“ და „ახალი ახალგაზრდობა“ — და „ახალი ახალგაზრდობის“ უპირატესობა დაამტკიცოს. ამ მიზნით იგი წერს: „რა თვალითაც უნდა უყურებდეთ ჩვენს უ წ ი ნ დ ე ლ ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ო ბ ა ს რაკი იმას გვერდით ე ხ ლ ა ნ დ ე ლ ს ა ხ ა ლ თ ა ო ბ ა ს დ ა ვ უ ყ ე ნ ე ბ თ, ე რ თ ი უ მ თ ა ვ რ ე ს ი შ ე ნ ი შ ვ ნ ა მ ა შ ი ნ ვ ე ა ზ რ შ ი მ ო ვ ა... ს ი ტ ყ ვ ი თ უ წ ი ნ დ ე ლ ი ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ო ბ ა ე რ თ ს ა მ ბ ო ბ დ ა დ ა ს ა ქ მ ი თ მ ე ო რ ე ს შ ვ რ ე ბ ო დ ა...“[2]

---

[1] ახალი ახალგაზრდობა, „კრებული“, 1873 წ., № 1, გვ. 292–293.

[2] იქვე, თავი XV, ხაზი ჩვენია — კ. მ.

დაკვირებული მკითხველი იმასაც შეამჩნევს, რომ ნ. ნიკოლაძე ამ ორი ახალი თაობის ერთიმეორისაგან განმასხვავებელ ტერმინ-საც კი ხმარობს. მაგალითად, „უწინდელი ახალგაზრდობა“ თერგდალეულებია, „ეხლანდელი ახალგაზრდობა“ გ. წერეთლის და ნ. ნიკოლაძის ახალი ჯგუფის სახელწოდებაა.

ავტორი ამ ორი თაობის დაპირისპირებით ცდილობს „ახალი ახალგაზრდობის“ უპირატესობა დაამტკიცოს, ამიტომაც მათ შესახებ მხოლოდ დადებით საქმიანობაზე ლაპარაკობს.

„ეხლანდელი თაობა უფრო მტკიცე და უფრო ძნელი დასაკმაყოფილებელია... ის დარწმუნებულია, რომ შერიგება შეუძლებელი საქმეა... ის თავის გამარჯვებას არც სხვის დამარცხებაში ეძებს! არც უნაყოფო დიპლომატიაში... იმას მარტო საკუთარი თავის, საკუთარი შრომის, საკუთარი ძალის იმედი აქვს. და ეს იმედი იმას იმ ძვირფასს ფანტაზიას აძლევს, ურომლისოდაც... არ მოპოვებულა არც ერთი გამარჯვება... აი, ეს ახალი მიმართულება გვაიმედებს და ძალას გვაძლევს ჩვენ“[1].

ყოველივე ამის შემდეგ ნ. ნიკოლაძის დამოკიდებულება „თერგდალეულებისა“ და „ახალი ახალგაზრდობის“ მიმართ გარკვეულად უნდა ჩაითვალოს. ავტორი ცდილობს „ახალი ახალგაზრდობა“ ყოველმხრივ მაღლა დააყენოს თერგდალეულებზე და დაამტკიცოს პირველის იდეური პროგრესულობა და სამოქმედო პროგრამის სრულყოფილება, ხოლო მეორის, ე. ი. თერგდალეულების, უსუსურობა და უმოქმედობა, ისინი, ნიკოლაძის აზრით, არ იყვნენ სათანადოდ მომზადებულნი, შესაფერი არც ცოდნა ჰქონდათ და არც ნიჭი უწყობდათ ხელს.

ვფიქრობთ, ამის შემდეგ მაინც სადავო არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ნ. ნიკოლაძე და გ. წერეთელი ადრიდანვე იმყოფებოდნენ ოპოზიციაში ილია ჭავჭავაძის ჯგუფთან და ეს ოპოზიცია დაგვირგვინდა 1856 წელს „ახალი ახალგაზრდობის“ ცალკე ჯგუფის ჩამოყალიბებით.

პროფესორი ს. ხუნდაძე მართალი იყო, როდესაც აღნიშნავდა, რომ „ჩვენში ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ 60-იანი წლების დასაწყისში სამოღვაწეოდ გამოსული ახალი თაობა ერთ მთლიან ოჯახს წარმოადგენდა და მათში არავითარ წინააღმდეგობას არ ჰქონია ადგილი 1877 წლამდე. მაგრამ ასეთი დებუ-

---

[1] ახალი ახალგაზრდობა, კრებული, 1873 წ, № 1, თავი XVI.

ლება ფაქტიურად არ შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს. ისტორიული ფაქტია, რომ სამოციან წლებში გამოსული [illegible] თაობა ვერ დადგა ბოლომდე თავის სიმაღლეზე და [illegible] მისი რღვევის პროცესი“ [1].

და როგორც ჩვენ ადრევე შევნიშნეთ, ეს რღვევის პროცესი ჯერ კიდევ 1863 წლიდან დაიწყო, რადგან გ. წერეთლისა და ნ. ნიკოლაძის რადიკალურ-ბურჟუაზიული მსოფლმხედველობა ვერ მოთავსდა რეფორმების ჩარჩოებში და სასტიკი ბრძოლა გაიმართა ორი სხვადასხვა მსოფლმხედველობის მქონე დასებს შორის.

უდავოდ მართალია ს. ხუნდაძე [2], როდესაც წერს:

„სულ სხვა მიმდინარეობასა და სოციალურ ფენას გამოხატავდა გ. წერეთლისა და ნ. ნიკოლაძის „ახალი ახალგაზრდობის“ ჯგუფი, ეს იყო რადიკალური ბურჟუაზიის მსოფლმხედველობის და ინტერესების გამომხატველი. ეს რადიკალური ბურჟუაზიული ინტელიგენცია ველარ ეტეოდა „რეფორმების“ ფარგლებში და მის გაღრმავებას მოითხოვდა; იგი ცდილობდა გლეხი გაენთავისუფლებია მემამულეთა ბატონობისაგან და ხელი შეეწყო ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისათვის ჩვენში“ [3].

პროფ. ს. ხუნდაძის ამ დებულებას ადასტურებს ი. ჭავჭავაძის და გ. წერეთლის არა მარტო პუბლიცისტური და ეკონომიური ხასიათის სტატიების იდეური წინააღმდეგობა, არამედ მხატვრული შემოქმედებითი ხერხები და ნაწარმოებების გმირთა ხასიათის სხვაობა.

მათი მოთხრობების ღრმა ანალიზი გვარწმუნებს იმაში, რომ სულ სხვა გარემოში მოქმედებენ და სხვადასხვა მსოფლმხედველობასა და მისწრაფებებს ამჟღავნებენ ილია ჭავჭავაძისა და გიორგი წერეთლის ნაწარმოებთა გმირები.

ილია ჭავჭავაძემ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ აგრარული ბურჟუაზიის გზა აირჩია და ოთარაანთ ქვრივი და გიორგი თავისუფალ შრომის პროცესში წარმოშობილი სოფლის ბურჟუაზიული

---

[1] ს. ხუნდაძე, გ. წერეთელი, ტ. I, გვ. XXVIII.

[2] სამწუხაროდ, ზოგიერთი მკვლევარი უგულებელყოფს ს. ხუნდაძის დამსახურებას ან უსამართლოდ ედავება მას მთელ რიგ საკითხებში. ჩვენ აქ ამის განხილვას არ შევუდგებით, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, თუ რა პირობებში უხდებოდა მუშაობა ამ დიდი ნიჭისა და ერუდიციის მკვლევარს, რომელმაც, როგორც კომუნისტმა, საკუთარი სიცოცხლის ფასად დაიცვა ჩვენი სახელოვანი მოღვაწეები უსამართლო შემოტევისაგან და ქართულ ისტორიოგრაფიასა და ლიტერატურის ისტორიაში მეტად საინტერესო შრომები დაგვიტოვა. ს. ხუნდაძის დებულებები ძირითადად დღესაც უცვლელია.

[3] გ. წერეთელი, ტ. I, გვ. XXXI.

კლასის ტიპებად დაგვიხატა, ამით ავტორმა შეგნებულად აუარა გვერდი ქალაქურ ცხოვრებას და სოფლის ბურჟუაზიის უპირატესობის დამტკიცებას შეეცადა[1]. ხოლო მსხვილი სავაჭრო-სამრეწველო კაპიტალიზმის იდეოლოგიის წარმომადგენელმა გ. წერეთელმა თავისი ნაწარმოების გმირები, სულ სხვა გარემოში მოათავსა. ისინი არა მარტო საქართველოს ქალაქებში მოქმედებენ და სხვაგვარი მისწრაფებებით ცოცხლობენ, არამედ ცეცხლის გემებითა და რკინიგზების საშუალებით ევროპის ქვეყნებთანაც კი ამყარებენ სავაჭრო ურთიერთობას. მაშინ, როდესაც ი. ჭავჭავაძემ წოდებათა შორის თანამშრომლობა შესაძლებლად ჩათვალა და ოთარაანთ ქვრივი და გიორგი არჩილისა და კესოს გვერდით თავისუფლად აამოქმედა, გ. წერეთელმა თავის მოთხრობებში ბურჟუაზიული კლასის ტიპები — ბახვა ფულავა და პეტრიელა კვესაძე ფეოდალური კლასის ნაძირალებთან — იერემია წარბასა და რევაზ ბაკურიძესთან — ბრძოლაში დალუპა. ამრიგად, გ. წერეთელს შეუძლებლად მიაჩნია სხვადასხვა კლასებს შორის შეთანხმება და თანამშრომლობა[2]. ამის გამო მათი გმირები ერთმანეთის მიმართ

[1] შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ ილია ჭავჭავაძემ ჯერ კიდევ ბატონყმობის დროს დაწერილ ლექსში „მუშა“ სოფლიდან ლუკმაპურის საშოვნელად გაქცეულ გლეხს მუქი ფერებით დაუხატა ქალაქში მისი მომავალი ცხოვრება და ისევ სოფლად დაბრუნება ურჩია. აი, როგორი ტონით მიმართავს პოეტი მუშას:

„ვინა ხარ შენა, ჩემო ძმაო? სიდამ მოსულხარ?
ბატონის მათრახს ვერ გაუძელ, გამოქცეულხარ?
მოშორებიხარ ჯალაბობას, შენსა სახლ-კარსა,
მინდორს მამეულს და შეჩვეულს მიწასა, წყალსა...
აქ სად მოსულხარ?.. რაც დაკარგე და რაც დატოვე,
მის მაგიერა ტფილისშია აბა რა ჰპოვე?“

ილია ჭავჭავაძე ცდილობდა, როგორი სასტიკიც არ უნდა ყოფილიყო მათი ცხოვრება, გლეხი მაინც სოფლად დაეტოვებინა მაშინ, როდესაც გ. წერეთელი ცდილობს ვაჭრობას დააწაფოს ხალხი და თბილისი დასახოს საასპარეზო მოედნად. „რა რომ რკინიგზა გაიხსნა, — წერს გ. წერეთელი, — იმან მიუთითა საქართველოს ტომის ვაჭარს ხალხს ხელი ტფილისზე და უთხრა: აი შენი დედა ქალაქი და საქართველოს ბურჯი გარეშე ხალხს ჩაუგდიათ ხელში. შენ ეს აქამდი არ იცოდი და, რომ გცოდნოდა მაინც, აქამდის ვერას გაარიგებდი. აწ მიესიეთ და იჩინეთ თავი ტფილისის სავაჭრო ასპარეზზედ. ეხლა იქ არის ბურთი და მოედანი“ (კრებული, 1872, № 8—9).

[2] ვერ გავიზიარებთ დოც. ა. ჩავლეიშვილის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ გ. წერეთლის გმირები თითქოს იმიტომ იხოცებიან, რომ ისინი უკანონოდ აგროვებენ ქონებას, ეს მოსაზრება რომ მართალი ყოფილიყო, მაშინ მსოფლიო ლიტერატურაში შეუძლებელი იქნებოდა ბურჟუაზიული კლასის ტიპის სრულყოფილი დახატვა (იხ. ნარკვევები მეცხრამეტე საუკუნის ქართ. ლიტ. ისტორიიდან, გვ. 10).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტაგონისტურ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ. მათ შორის მუდმივი წინააღმდეგობაა. სხვა საკითხია, რამდენად სრულყოფილად დახატა გ. წერეთელმა ბურჟუაზიული კლასის ტიპები.

აი, ასეთია სხვაობა ილია ჭავჭავაძისა და გიორგი წერეთლის გმირებს შორის, რასაც საფუძვლად უდევს სხვადასხვა ეკონომიური და პოლიტიკური მისწრაფებები. მათ შორის არსებული იდეური წინააღმდეგობა ბუნებრივად იწვევს მხატვრული ხერხების სხვადბასაც.

„ილია ჭავჭავაძე აუცილებლად დიდი მხატვარია და ამავე დროს რეალისტური სკოლის მიმდევარიც, მაგრამ მას აკლია ის, რაც ახასიათებს გ. წერეთელს — თემების ისტორიული პერსპექტივის ფონზე გაშლა. ილია ჭავჭავაძეს ახასიათებს თემის ან მასალის შემოფარგვლა, მაგრამ იმავე დროს მისი სიღრმით გაქანება, გიორგი წერეთელი ხასიათდება თემის ფართო გაშლით და შინაარსის მრავალფეროვნებით. ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში უფრო ფართოდ და სიღრმით არის გაშლილი ბატონყმური საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრება, მაგრამ შემდეგი ეპოქა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა ერთობ მკრთალად არის გადმოცემული მის ნაწერებში“[1].

ილია ჭავჭავაძე, მართლაც, ბატონყმობის სისტემის უდიდესი მხატვარია, მაგრამ ჩვენი ცხოვრების შემდგომი სოციალური სტრუქტურა მის ნაწარმოებებში შედარებით ნაკლებად ჩანს. მაშინ, როდესაც გ. წერეთლის შემოქმედებაში საწინააღმდეგო მოვლენასთან გვაქვს საქმე. მას ბატონყმობის შემდგომი დროის ასახვა უფრო ემარჯვება, მის ნაწარმოებებში ჩვენ თვალწინ იცვლებიან საზოგადოებრივი ფორმაციები, როგორც პოლიტიკური და ეკონომიური მოვლენები. მაგალითად, გუშინ რომ თავად თავფქვილაძე მამულს ფლობდა, დღეს მას ბახვა ფულავა დაეპატრონა. დიდი ფეოდალის, რევაზ ბაკურიძის, მთელი მემკვიდრეობა მისი შინაყმის, პეტრიელა კვესაძის, ხელში გადავიდა. აქ ცხოვრების მოვლენების ბუნებრივი განვითარების პროცესი ჩანს: ერთ ფორმაციას ცვლის მეორე, ფეოდალური არისტოკრატია გადის ისტორიის სცენიდან, თავფქვილაძეებისა და ბაკურიძეების სახით, და მათ ადგილს ახალი კლასის, ბურჟუაზიის, წარმომადგენლები — ბახვა ფულავა და პეტრიელა კვესაძეები — იკავებენ. ყოველივე ეს იმას ამტკიცებს, რომ გ. წერეთელი ცხოვრების ჭეშმარიტ გზას

[1] გ. წერეთელი, ტ. I, გვ. XLIV—XLV.

მიჰყვება, რომ ცხოვრების სცენაზე მოქმედებას ცვლის, ინტერესის მიხედვით, თუ რომელ კლასს აქვს დაკისრებული მთავარი როლის შესრულება.

მოვლენების ასეთი რთული პროცესები ნაკლებად ჩანს ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში. მართალია, ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობა ილიამ „ოთარაანთ ქვრივში“ დაგვიხატა, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი ცხოვრების მაგისტრალურ გზას ვერ გაჰყვა, რადგან ჩვენი საზოგადოების მამოძრავებელ ძალად, ერთის მხრივ, არჩილი და კესო, ხოლო მეორე მხრივ, გიორგი და ოთარაანთ ქვრივი წარმოადგინა და მათ შორის სრული ჰარმონიული ურთიერთობა დაამყარა. ამით მან წოდებათა შორის შეთანხმების შესაძლებლობა დაუშვა. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ ეს სოციალური პროცესი ილია ჭავჭავაძემ დაგვიანებით გვიჩვენა. „ოთარაანთ ქვრივი“ დიდი შემოქმედებითი შესვენების შემდეგ, 1887 წლის ბოლო რიცხვებში დაწერა. თანაც, ამ ნაწარმოების ზოგიერთი გმირი უფერული გამოვიდა.

ჩვენ იძულებული ვხდებით კიტა აბაშიძეს დავეთანხმოთ იმაში, რომ არჩილი და კესო უფერული ადამიანები არიან, რომ მათ საზოგადოებისათვის არც ზიანის მოტანა შეუძლიათ და არც სარგებლობისა, ისინი უფრო პოეტის სურვილებით ცოცხლობენ, ვიდრე საკუთარი სიცოცხლით.

„რასაკვირველია, არჩილი არ წარმოადგენს არავითარ მავნეს საზოგადოებისათვის, მაგრამ არც არა სასარგებლოა მისთვის... ზის თავის სახლში და ქეიფსა და უზნეო ცხოვრებას მაინც არ მისდევს, მაგრამ გონებით და მოქმედებით კი მაინც უფერულია.., მისი სულიერი სისუსტის საუკეთესო დამამშვენებელი მისი დაა. რომელზედაც ვერავითარი გავლენა ვერ იქონია ძმამ, რომელიც რაღაც განყენებულსა და უშინაარსო რამ ქმნილებას წარმოადგენს. ეგ კესო სწორედ ნულია და ავტორს სულაც რომ არა ეთქვა რა მის შესახებ და ეთქვა მხოლოდ, რომ არჩილსა ჰყავანდა ნულივით უშინაარსო და, რომელიც გიორგის უყვარდაო, ამით არას წავაგებდით“ [1].

მართლაც, არჩილი და კესო უფერულნი და უშინაარსონი არიან, ცოცხალ სინამდვილეს არ გამოხატავენ. ეს ადამიანები ავტორის ფანტაზიის ნაყოფი უფროა, ვინემ ცხოვრების აუცილებლობით ნაკარნახევი. მაშინ, როდესაც ი. ჭავჭავაძემ ბატონყმობის სისტემა

[1] ეტიუდები, ტ. I, გვ. 236—237.

სრულყოფილად დახატა, ლუარსაბ თათქარიძე და სხვა გმირები ცხოვრების „წუმპიდან“ ამოიყვანა, ბატონყმობის შემდგომდროინდელი სინამდვილე ასე ტენდენციურად გამოსახა. ამ შემთხვევაში ილია ჭავჭავაძე თავისი შემოქმედებითი სიძლიერით თვით იმორჩილებს სინამდვილეს. ამაღლებული რეალიზმი ტენდენციურობის მეტ საშუალებას აძლევს მას.

გ. წერეთლის რეალიზმი კი შეუფერავ სინამდვილეს იძლევა. აქ თვით მოვლენები იმორჩილებენ მწერალს მაშინ, როდესაც ილია ჭავჭავაძის ძლიერი მხატვრული სიტყვა ცდილობს თვით დაიმორჩილოს სინამდვილე.

და ყოველივე ეს განსაკუთრებული მხატვრული ხერხები, სინამდვილისადმი სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება, მსოფლმხედველობის სხვაობით არის ნაკარნახები.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ გ. წერეთლის ჯგუფის წევრები: კირილე ლორთქიფანიძე, სერგეი მესხი და სხვები თავიანთ პუბლიცისტურ და საპოლემიკო სტატიებში, ნათარგმნ ნაწარმოებებში და სარედაქციო-საგამომცემლო მუშაობის დროს იმავე, რადიკალურ-ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის განმტკიცებას ისახავდნენ მიზნად, რასაც თავის მხატვრულ ნაწარმოებებში ახერხებდა გ. წერეთელი. ამასთანავე, ნიკო ნიკოლაძის ორი ათეული წლის განმავლობაში ფოთში ქალაქის თავის თანამდებობაზე მოღვაწეობა მხოლოდ ამ მიზნით იყო ნაკარნახევი. თუ გიორგი წერეთელმა თავისი მოთხრობების გმირები — ბახვა ფულავა და პეტრიელა კვესაძე — შავი ზღვის სანაპირო ქალაქებში — ფოთსა და ადლერში გადაასახლა იმისათვის, რომ აქედან ქროდა კაპიტალიზმის სიო საქართველოსაკენ, ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობაც ფოთში ამ საქმის პრაქტიკულ განხორციელებას ემსახურებოდა.

ნიკო ნიკოლაძემ ფოთი პირველი ხარისხის ნავთსადგურად გადააქცია და ამით ევროპის კაპიტალიზმს საქართველოს ალაყაფის კარები გაუხსნა.

ყოველივე ამის შემდეგ „ახალი ახალგაზრდობის“ ცალკე არსებობა სადავო არ უნდა იყოს იმიტომაც, რომ მათ გააჩნდათ თავიანთი ეკონომიურ-სოციალური საფუძვლები, თავიანთი სამოქმედო პროგრამა, იყენებდნენ თერგდალეულებისაგან განსხვავებულ მხატვრულ შემოქმედებითს ხერხებსა და მეთოდებს, ჰყავდათ თანამშრომელთა გარკვეული ჯგუფი და ჰქონდათ საკუთარი იდეების პროპაგანდისათვის ლიტერატურულ-პოლიტიკური ხასიათის გაზეთი და ჟურნალი „დროება“ და „კრებული“.

**მეოთხე — ხალხოსნები „ტეტიათა მოტრფიალენი“**

ხალხოსნები 70-იან წლებში გამოდიან სამოღვაწეო ასპარეზზე. საქართველოში ხალხოსნური მოძრაობა რუსეთის ნაროდნიკების გავლენით განვითარდა. ქართული ხალხოსნური ჯგუფის აქტიური წევრი სოფრომ მგალობლიშვილი ამის თაობაზე წერს: „რუსეთიდან ჩვენში ჩამოვიდნენ გამორიცხული ქართველი სტუდენტობა, რომელიც ინტელიგენციაში ავრცელებდნენ ახალ აზრებსა. ყველას პირზე ეკერა ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, მიხაილოვი, გერცენი, ბაკუნინი, ლავროვი, კარაკოზოვი და სხვ. საქართველოში კანტიკუნტად აქტიური ხალხოსნური ან სოციალ-რევოლუციონერი მოქმედება იწყება 1873 წლიდან...“ [1]

ბაკუნინისა და ლავროვის დაჯგუფებების იდეურმა მისწრაფებებმა თავისებური გამოხატულება ჰპოვა ქართველ ინტელიგენციაში. მათ სწამდათ, რომ მხოლოდ რუს რევოლუციონერებთან კავშირში შეიძლებოდა საქართველოს თავისუფლების მოპოვება. „საქართველო მჭიდროდ არის დაკავშირებული რუსეთთან — ქართველი ხალხი თავს ვერ დაიხსნის, თუ რუსეთის სახელმწიფო წყობილება არ დაიმსხვრა. მაშასადამე, თუ ქართველი ახალგაზრდობა რუსეთის რევოლუციის საქმეს ეხმაურება, ამით ის ემსახურება არა მარტო რუსეთის ხალხს, არამედ საქართველოს ინტერესებსაც“ [2].

70-იანი წლებიდან ხალხოსანთა ორგანიზაციებმა ფეხი მოიკიდა საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში. ხალხოსანთა წრეები დაარსებულ იქნა თბილისში, გორში, ქუთაისში, თელავში და სხვაგან, მაგრამ გარდა ასეთი ცენტრალური ადგილებისა, ორგანიზაციები არსებობდა სოფლებში: ტყვიავში, საბუეში, საგარეჯოსა და იყალთოში. ამ წრეებში გაერთიანებული იყვნენ: ეგ. იოსელიანი, შიო დავითაშვილი, ი. ბაქრაძე, ლ. ჩერქეზიშვილი, მ. გურგენიძე, გ. მაიაშვილი (ზდანოვიჩი), ის. კვიცარიძე, ან. ფურცელაძე, სოფ. მგალობლიშვილი, სტ. ჭრელაშვილი, მიხ. ასათიანი, ნ. ლომოური, დიმ. ნაზარიშვილი, დიმ. დადიანი, დავ. აბდუშელიშვილი და სხვები.

ქართველი ხალხოსნები არსებითად რუსი ხალხოსნების ხაზს მისდევდნენ, ისინი უარყოფდნენ საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებას და მხოლოდ გლეხური „ობშჩინებით“ ცდილობდნენ

---

[1] ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, ტფილისი, 1939 წ., გვ. 71.

[2] შ. დავითაშვილი, ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, გვ. 40.

სოციალისტური საზოგადოების მოწყობას. მათ მხოლოდ [illegible] ჰყავდათ წარმოდგენილი ცხოვრების მამოძრავებელ [illegible]ნად სურდათ მათთან მჭიდრო კავშირის დამყარება და ამ მიზნით მოგზაურობდნენ ხალხში, ცდილობდნენ მათი გულის მოგებას, მაგრამ ხალხი მათ ნაკლებად უცხადებდა ნდობას. ეკონომიურად და მორალურად ფეხქვეშგათელილი გლეხობა გულგრილად ხვდებოდა ხალხოსნების რჩევა-დარიგებებს.

საქართველოში, ისე როგორც რუსეთში, არსებითად ხალხოსანთა ორი მიმართულება არსებობდა, რევოლუციონური და ლიბერალური, მაგრამ უფრო ძლიერი ლიბერალური მიმართულება იყო. ხალხოსნების უმეტესი ნაწილი ცდილობდა ხალხში განათლებისა და კულტურის შეტანით, აგიტაცია-პროპაგანდის საშუალებით, გაეუმჯობესებინა გლეხობის მდგომარეობა, განსაკუთრებით ეს მისწრაფება უფრო მეტად მწერლებში გამომჟღავნდა.

„ჩვენი ხალხოსნების მოღვაწეობა მხატვრულ ლიტერატურაში ძირითადში ერთი მთავარი კულტურულ-ტრეგერული მოღვაწეობის გზით გაიშალა, (ჟურნალ „იმედის" თანამშრომელთა უმრავლესობაც კულტურულ-ტრეგერული მიმართულებით განვითარდა, ამიტომ ჟურნალ „იმედს" ამ მიმართულების გარკვეული ბეჭედი აზის)" [1]. ლიბერალურ ხალხოსანთა ტიპიური წარმომადგენელია ნიკო ლომოური. მისი მოთხრობების გმირები ხალხში დიდ პროპაგანდისტულ მუშაობას ეწევიან. გიგო ლრუბელაშვილი ცდილობს, გლეხობაში სხვადასხვაგვარი პრაქტიკული ხასიათის ცოდნის შეტანით მასები იხსნას უმწეო მდგომარეობისაგან. ასეთივე კულტურულ მოღვაწეებსა და ლიბერალურ ტიპებს ხატავდნენ ეკატერინე გაბაშვილი, ნაწილობრივ ანტონ ფურცელაძე, მიხ. ასათიანი და და სხვები, ხოლო რევოლუციონერი ხალხოსნის ტიპი მოგვცა მწერალმა სოფრომ მგალობლიშვილმა, ჯორ ზაქარას სახით. აქ ავტორმა გლეხთა რევოლუციური გზა აირჩია უსამართლობის წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ ამ ბრძოლამაც ვერ გამოიღო მნიშვნელოვანი შედეგი იმის გამო, რომ ს. მგალობლიშვილი მხოლოდ გლეხობას ეყრდნობოდა და მუშათა კლასის როლს ვერ ცნობდა ამ დიდ ისტორიულ საქმეში. ხალხოსნებს ყალბი წარმოდგენა ჰქონდათ ისტორიის მამოძრავებელი ძალებისა და საზოგადოებრივი ფორმაციების განვითარების შესახებ.

---

[1] პროფ. მ. ხანდუკელი, ქართული ლიტერატურა, ტ. III, გვ. 44. აქვე უნდა შევნიშმოთ, რომ ხალხოსანი მწერლების შემოქმედებას პირველად მიაქცია ყურადღება პროფ. მ. ხანდუკელმა.

ვ. ი. ლენინის აზრით: „მათი შეცდომა ის იყო, რომ ისინი ემყარებოდნენ ისეთ თეორიას, რომელიც არსებითად სრულიადაც არ იყო რევოლუციონური თეორია. მათ არ იცოდნენ ან ვერ შესძლეს განუყრელად დაეკავშირებიათ თავიანთი მოძრაობა მზარდ კაპიტალისტურ საზოგადოებაში არსებულ კლასობრივ ბრძოლასთან“ [1].

ისე როგორც რუსეთში, საქართველოშიც ხალხოსნებმა ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე უკიდურესი უტილიტარისტული მიმართულება განავითარეს. მწერლობა ხალხის ცხოვრებას უშუალოდ დაუკავშირეს და ყოველდღიური საჭირბოროტო საკითხების გადასაჭრელად გამოიყენეს. ისინი ხშირად შედიოდნენ გლეხი კაცის ჭვარტლიან ქოხში და ზოგჯერ ემპირიულად, მაგრამ დამაჯერებლად გადმოგვცემდნენ ხალხის სავალალო მდგომარეობას. ცნობილია, რომ ხალხოსნებმა ლიტერატურის შინაარსობრივი მხარე გააფართოვეს, მაგრამ ამის ხარჯზე ხელოვნება გაამარტივეს, ძლიერ გააუბრალოვეს და პუბლიცისტიკის დონემდე დაიყვანეს. კიდევ მეტი, ქართველი ხალხოსნების უკიდურესი უტილიტარიზმი ზოგჯერ ესთეტიკის საკითხების ნიჰილისტურ გაგებამდე მიდიოდა.

ამ დროს ქართულ ლიტერატურაში უკვე იგრძნობოდა პისარევისა და ზაიცევის გავლენა.

როგორც ცნობილია, რუსმა ნიჰილისტებმა მკაცრი თავდასხმა მოუწყვეს ისეთ ბუმბერაზ მწერლებს, როგორიც იყვნენ პუშკინი და ლერმონტოვი, უარყვეს ბელინსკის სახელმძღვანელო დებულებებიც მათი პოეზიის შესახებ.

ამათი გავლენით აიხსნება ანტონ ფურცელაძის უმართებულო თავდასხმა საქვეყნოდ აღიარებულ გენიოს ქართველ პოეტზე, ნიკოლოზ ბარათაშვილზე.

ანტონ ფურცელაძე წერს: „ჩვენ გადავშალეთ თუ არა „მნათობის“ პირველი წიგნი, თაეშივე გვხვდება ჩვენი გამოჩენილი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „მთაწმინდაზე შემოღამება“... ეს დიახ კარგი და ჩინებული ლექსია, ამ ლექსიდგან ჩანს, რომ ავტორი ნამდვილი პოეტი ყოფილა, ჰქონია მგრძნობიარე სული, და სხვა არაფერი! მკითხველი რაღაც მიმზიდველობით შეუდგება ამ ლექსის კითხვას, და როდესაც გაათავებს რჩება ხახამშრალი, გულცარიელი, ეს იმიტომ, რომ აქედგან არ ამოაქვთ გონების მასაზ-

[1] ვ. ი. ლენინი, ტ. 5, გამოცემა მე-4, გვ. 602—603.

რდოებული ლუკმა, და როგორი მშიერი გრძნობითაც [illegible] ხართ ამის კითხვას, ასეთივე უფრო მშიერი რჩებით [illegible]

ცხადია, ანტონ ფურცელაძე ისეთივე არგუმენტებით ებრძვის ნ. ბარათაშვილს, როგორითაც პისარევი — პუშკინს. ჩანს, იგი ნაწარმოებისაგან მხოლოდ პრაქტიკულ ცხოვრებაში გამოსადეგ აზრებს მოითხოვს, ხელოვნების მხოლოდ ერთი მხარე, შინაარსობრივი მომენტი, აინტერესებს და, ამდენად, უარყოფს საკაცობრიო, მაღალი იდეების შემცველ ხელოვნებას.

ნიჰილისტური შეხედულებები აიძულებდა ა. ფურცელაძეს, მკაცრად დაესვა საკითხი ხელოვნების უკიდურესი სარგებლიანობის შესახებ, როდესაც წერდა:

„ცრუ ოცნებაები კი არ გვინდა პოეზიაში, — რით ვერ გაიგეს, რომ მაგგვარი ოცნებაებისა და ოხისა და უხის, ამაოდ ლაყაფის ქადაგებების დროები წავიდნენ. ჩვენ გვინდა პოეზიაშიც ისე ვხედავდეთ საქმეს, ჭეშმარიტებას, ჩვენი გულის პასუხს, ჩვენი თავის ცნობას, ჩვენს გარემოს, ჩვენს თვისებას და კუთვნილებას და არა თქვენი ოპიუმისაგან. ოცნების დაგვარსა რაღაცა რაღაცეება... ვაშა, ვუშსა და ვაგლახებსა ..“ [2].

სამართლიანად შენიშნავს პროფ. გ. ჯიბლაძე, რომ ა. ფურცელაძე რუსი ნიჰილისტების გავლენამ მიიყვანა ასეთ უკიდურეს დასკვნამდე.

„მარტო ერთი დებულება, რომელიც ანტონ ფურცელაძემ ბარათაშვილის ლექსის შესახებ „შემოღამება მთაწმინდაზე“ წამოაყენა, ჩვენ სრულ საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ მის კრიტიკულ შეხედულებებში აშკარად შეინიშნება მკვეთრად გამოხატული ნიჰილიზმი, თუმცა ჩვენ მას ჩამოუყალიბებელ ნიჰილისტად მაინც ვერ გამოვაცხადებთ და ვერ გაუტოლებთ ნიჰილისტებს — პისარევსა და ზაიცევს“ [3].

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ რუსული ნიჰილიზმის გავლენით ქართველი მწერლები არა მარტო ნ. ბარათაშვილის მაღალ პოეზიას უარყოფდნენ, არამედ პისარევისა და ზაიცევის მსგავსად, თვით პუშკინის გენიალურ შემოქმედებასაც თავს ესხმოდნენ. ამ მხრივ საყურადღებოა „ივერიის“ თანამშრომლის დავით აბდუშე-

---

[1] ივერია, 1894 წ., № 202.

[2] ა. ფურცელაძე, ქართული ლიტერატურა, ცისკარი, 1863 წ., № VIII.

[3] გ. ჯიბლაძე, ხელოვნება და სინამდვილე, მეორე გამოცემა, გვ. 519.

ლიშვილის რადიკალური პოზიცია[1]. იგი „დროება“-„ივერიის“ თანამშრომლებს არა მარტო სოციალურ საკითხებ[illegible] არამედ მკაცრად ილაშქრებს მათი ლიტერატურული [illegible] წინააღმდეგაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით აბდუშელიშვილი სასტიკ საყვედურს გამოთქვამს „ივერიის“ რედაქციისადმი იმისათვის, რომ მათ ადგილი დაუთმეს პუშკინის პოემას „ბაღჩისარაის შადრევანს“.

„ივერიის“ რედაქციამ ეს ძალიან კარგად იცის, რომ, — წერს დავით აბდუშელიშვილი, — რასაც ხელს მოავლებს — ბეჭდავს თავის ჟურნალში. აბა ერთი მიბრძანეთ, რისთვისა და ვისთვის არის საჭირო ჩვენს დროში პუშკინიდამ ნათარგმნი და მთელს ოცდა-ოვა გვერდზე გალექსილი „ბაღჩისარაის შადრევანი“. მართალია, გიმნაზიის შაგირდსაც გაუგონია, რომ პუშკინი გამოჩენილი მწერალი იყო რუსეთში, გაუგონია და იცის, რომ იმდენი გავლენა არც ერთ პოეტს არ ქონებია რუსეთის საზოგადოებაზე, მაგრამ ზოგიერთმა შეგირდმა ისიც კარგად იცის, რომ ბევრი და თითქმის უმეტესი ნაწილი პუშკინის თხზულებისა თავის მარგალიტის ენით არის შესანიშნავი და არა მათში გამოთქმული აზრებითა და იდეებით“[2].

აზრები და იდეებია დ. აბდუშელიშვილისათვის მთავარი და არა ხელოვნების სპეციფიურობა, მისი მხატვრული სამკაული. „მარგალიტის“ ენით დაწერილი ნაწარმოები მიუღებელია მისთვის, რადგან მასში ხალხისათვის უშუალოდ გამოსადეგი აზრი არ არის გამოხატული. „ბახჩისარაის შადრევანის“ შინაარსობრივი ანალიზის საფუძველზე ცდილობს იგი დაამტკიცოს თავისი ნიჰილისტური დებულების საფუძვლიანობა.

„მართალია, — წერს დ. აბდუშელიშვილი, — ბაღჩისარაის ბაღები, შადრევანი და ბუნება მშვენივრად არის აღწერილი ამ თხზულებაში, მაგრამ მოქმედება სრულებით არა ჩანს-რა. თვით მოქ-

[1] „იმედის“ თანამშრომელი ხალხოსანი დავით აბდუშელიშვილი არ არის სამოციანი წლების პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა მოძრაობის მონაწილე დავით ნიკოლოზის-ძე აბდუშელიშვილი. მართალია, აქ დასახელებულ დავით აბდუშელიშვილსაც დამთავრებული აქვს პეტერბურგის უნივერსიტეტი, მაგრამ არა 60-იან, არამედ 70-იან წლებში. დავით აბდუშელიშვილის შესახებ 1893 წლის „საქართველოს კალენდარში“ აღნიშნულია: „დავით აბდუშელიშვილი იმერელი იყო. სწავლა დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტში. უყვარდა მეცნიერება, განსაკუთრებით, მათემატიკა. კარგათ ბლომა წერილები დარჩა. მონაწილეობას ღებულობდა ჟურნალ იმედში“. გარდაიცვალა 1889 წელს“ (გვ. 430).

[2] „იმედი“, 1881 წ., № 1, გვ. 118—120.

მედნი პირნი ძლიერ სუსტად არიან დახატულნი, დარ[illegible] გარდა არც ერთი ხასიათი ხეირიანად არ არის გამო[illegible] შეეხება მარიას და ზარებას, მათ სახეს თითქმის სრულებით ვერ წარმოიდგენს მკითხველი. მარიაზე მხოლოდ ეს ვიცით, რომ ახლად მოყვანილი დიდ მწუხარებას ეძლევა და ლოცვილობს და ზარებაზე, რომ დედამისი ქართულად ლაპარაკობდა, თვითონ კი სამშობლო ენა დავიწყებია, სხვა არაფერი. თვითონ პოეტი რომ არ გვარწმუნებდეს, ვერც მარიას პოლშელად და ვერც ზარებას ქართველად კაცი ვერ იცნობს... თუ შინაარსით ასე ღარიბია ეს თხზულება, ნეტავი ვიცოდე, რას დახარბებიან ჩვენი ლიტერატორები, რომ დაუბეჭდავთ ჟურნალში ამის თარგმანი"[1] (ხაზი ჩვენია — კ. მ.).

აქაც კრიტიკოსი მხოლოდ შინაარსეულ მხარეს აქცევს ყურადღებას, რადგან ნიჰილისტებს ხელოვნება ცალმხრივად, ესთეტიკური კომპონენტის გარეშე, ჰქონდათ წარმოდგენილი. უდავოა ისიც, რომ ამ წერილის ავტორი კარგად იცნობდა დიმიტრი პისარევის შრომას „პუშკინი და ბელინსკი", რამაც აუცილებლად ბიძგი მისცა დავით აბდუშელიშვილს, დაეწერა ასეთი ტენდენციური და უსამართლო კრიტიკული გარჩევა.

აღსანიშნავია ისიც, რომ დავით აბდუშელიშვილი ასეთივე სიმკაცრეს იჩენს ქართული მხატვრული სიტყვის ბუმბერაზების — ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის მიმართაც. ამავე რეცენზიაში იგი არჩევს აკაკი წერეთლის საახალწლო ლექსს „ახალი წლის გამო", და ილია ჭავჭავაძის ნათარგმნ რომანს „იზას" და ორივეს მკაცრი კრიტიკის ცეცხლში ატარებს.

იმის ნაცვლად, კრიტიკოსის აზრით, რომ აკაკი წერეთელს საახალწლო ლექსში საბრძოლო პროგრამა წამოეყენებინა და ოპტიმისტური სულისკვეთება ჩაენერგა ხალხისათვის, პოეტი უიმედობის ჩიხში მომწყვდეულა და ღრმა პესიმიზმს შეუპყრია. კრიტიკოსს ამ დებულების დასამტკიცებლად მოაქვს ადგილები ლექსიდან:

„მას უხაროდეს ახალი წელი,
ვინც კი ცხოვრების კმაყოფილია,
ვისი წარსული არ იყო მწველი
და მომავალი ვისიც ტკბილია".

---

[1] „იმედი", 1881 წ., № 1, გვ. 118—120.

ლექსის დასასრულიც ასეთივე სასოწარკვეთილებას [illegible]

„მაშ, ნუ მილოცავ მე ახალსა წელს!
ჩემთვის ერთია „ახალი“, „ძველი“!
თუ შარშან ვსვამდი მწარესა ნაღველს,
ამ სასმელს წელსაც ველი და ველი“.

დავით აბდუშელიშვილი, სამართლიანად, ვერ შერიგებია პოეტის ასეთ მელანქოლიურ ჰანგს და მკაცრად გმობს ცხოვრებისაგან მოწყვეტილ პოეზიას. მისი აზრით, აკაკის ჭინჭველას ფრთები შებმია და დედამიწას მოშორებულს, ე. ი. მასებისაგან მოწყვეტილს, უშინაარსო და უმიზნო სევდიანი ლექსები შეუთხზავს.

„ჭინჭველას რომ ფრთები გამოესხმება, ღმერთიც მაშინ გაუწყრებაო — ანდაზაა. ღვთის წყრომისა და რისხვისაგან ღმერთმა დაიფაროს აკაკი, მაგრამ მას უკან, რაც იგი ფრთოსანი ჭიანჭველასავით დედა-მიწას მოშორდა და ჰაერში დაიწყო ფრენა, მისი ჩანგიც უწინდელ ხმას აღარ სცემს. როცა ამ პოეტს დედამიწაზე ედგა ფეხი, მისი ჩანგი ხალხის კვნესა და ტანჯულის მოთქმა იყო, მაშინ მისი გესლიანი ენა მომძლავრეთ და მჩაგვრელთ გულში ეკლათ ესობოდათ; მაგრამ ახლა მაღლიდგან ეს ხმა ხან ეშმაკების ზარად და ხან ალილუიათ მოისმის... გამოთქვით პოეტო ნათლად, ვის ეკუთვნის ახლა თქვენი გული: თქვენსავე პირადოვან სურვილებს, კერძოდ ვისმეს, თუ ხალხს?. ვისი ჩანგიც ჩვენი ქვეყნის ცოცხლად მმარხველებს მოზარედ ეყოლებათ, ის ნურასოდეს ნუ მოელის ნამდვილი მამულის მოყვარეთ, გონიერთ, მხნეთ და თავგანწირულთა თანაგრძნობას“[1].

როგორც ვხედავთ, დ. აბდუშელიშვილმა მკაცრი მოთხოვნილებები წაუყენა მწერლებსა და მწერლობას, მან ერთი პატარა ლირიკული ლექსისათვის ასეთი მკაცრი განაჩენი გამოუტანა საქვეყნოდ ცნობილ, ხალხის მოჭირნახულე პოეტს აკაკი წერეთელს და იგი ცხოვრებისაგან მოწყვეტილად, უშინაარსო ლექსების მომღერლად გამოაცხადა.

ასევე მკაცრად დაესხა თავს დ. აბდუშელიშვილი ი. ჭავჭავაძესაც. იგი არ მოერიდა ილიას ძალასა და ავტორიტეტს და საქვეყნოდ გაკიცხა მწერალი იმისათვის, რომ მან თარგმნა და „ივერიაში“ დაბეჭდა ბულვარული რომანი „იზა“.

კრიტიკოსი წერს: „ივერია“ თარგმნის იმისთანა საძაგელ რო-

[1] დ. აბდუშელიშვილი, „იმედი“, 18:1 წ., № 1, გვ 123—124.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანს, რომელსაც საფრანგეთში ბონაპარტის მომხრეებ[illegible] რიკალების მეტი ხელს არავინ მოჰკიდებს და რომელ[illegible] ციის მშვენიერი გიური გამოყვანილია უმანკო მტრედად. ამისთანა კაცზე გვითათებს „ივერია“ და თითქოს გვეუბნება: „აჰა კაცი მას მიბაძეთო! ნეტავი თუ იპრიანოს ღმერთმა, რომ ჩვენი მწიგნობარნი და ფილოსოფოსნი ოდესმე გონს მოვიდნენ და კარგის ავისაგან გარჩევა შეიძლონ“ [1].

ამ შემთხვევაშიაც, ნაწარმოების შეფასების დროს დ. აბდუშელიშვილის კრიტერიუმი ერთგვარია, იგი მხოლოდ სასარგებლო აზრს მოითხოვს მხატვრული ნაწარმოებებისაგან, მასში დახატული გმირი მისაბაძი უნდა იყოს ხალხისათვის.

თავისთავად ეს დებულება სწორია და დღესაც ამ მოთხოვნილებას უყენებს მწერლობას ხალხი, მაგრამ ნიჰილისტების შეცდომა ის იყო, რომ ისინი უარყოფდნენ მხატვრული ნაწარმოების სპეციფიურობას, მის მხატვრულ ფორმას. ეს დებულება პრაქტიკულად განახორციელა ქართველი ხალხოსნების უმეტესობამ. მათ ნაწერებში სიზუსტით არის აღწერილი მაშინდელი სოფლის დუხჭირი ცხოვრების სურათები, არაადამიანური ყოფის დამახასიათებელი ფაქტები, მაგრამ ყოველივე ეს ემპირიული სახით არის მოცემული. მათ აკლიათ მხატვრული განზოგადება და სახის სრულყოფილება, ამდენად, ასეთი ნაწარმოებების ზემოქმედების ძალაც სუსტია. პუბლიცისტიკამ დასძლია მხატვრულ აზროვნებას და შინაარსის სიძლიერემ ვერ შესძლო ფორმის უქონლობით გამოწვეული დანაკლისის ანაზღაურება.

ასე ცალმხრივია ზოგიერთი ქართველ ხალხოსანთა შეხედულება ხელოვნების საკითხებზე, რაც მათ რუსი ნიჰილისტების,—პისარევისა და ზაიცევის გავლენით შეითვისეს.

ქართველმა ხალხოსნებმა ეროვნული საკითხიც თავისებურად გადაჭრეს. მართალია, ისინი ნაციონალურ-განმათავისუფლებელ იდეებს აღვივებდნენ ხალხში, მაგრამ ამ საკითხსაც ხალხის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას უკავშირებდნენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველი ხალხოსნები, მსგავსად თერგდალეულებისა, მკაცრად იბრძოდნენ ცარიზმის ტირანიის წინააღმდეგ, მაგრამ ისინი საქართველოს ხსნას დიდ რუს ხალხთან მჭიდრო კავშირში ხედავდნენ. ამის თაობაზე გ. მაიაშვილი საინტერესო აზრს გამოთქვამს: „...რაკი ერთხელ და ერთხელ ბედი

[1] დ. აბდუშელიშვილი, „იმედი“, 1881 წ., № 1, გვ. 112

ჩვენის ქვეყნისა და ბედი რუსეთის საზოგადოებისა ასე დაკავშირებულია ერთმანეთზე, რაკი რუსეთის ცხოვრების ვითარება და მიმართულება ასე აუცილებლად ცოტად თუ ბევრად ზედ-მოქმედებს ჩვენში, ცხადი არ არის განა, რომ კულტურულ წარმატებას რუსეთისას ბეჯითად თვალი უნდა ვადევნოთ და გულხელდაკრეფით არ უნდა ვუცქერდეთ...“ [1]

სხვა შემთხვევაში გ. მაიაშვილი კიდევ უფრო მეტი სიმწვავით აყენებს საკითხს რუსეთის მოწინავე ინტელიგენციასთან კავშირის შესახებ:

„რუსეთის ინტელიგენცია მეტად მიმზიდველი და საყვარელი ინტელიგენციაა სხვა ინტელიგენციათა შორის. ვრცელი განათლება, პატიოსანი კაცობრივი ნატვრა-სურვილი, პირდაპირი, გულუბრყვილო და პატიოსანი ხასიათი, უნარი აღტაცებისა რმ დიდებულის აზრითა და საქმით, რომელიც აღელვებს მთელს ეხლანდელს კაცობრიობას, — აი რა არის განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი მისი თვისება. რა თქმა უნდა, აქ ჩვენ სახეში გვყავს არა მთელი ინტელიგენცია რუსეთისა, არამედ უმაღლესი და უკეთესი ნაწილი. დაახლოება ინტელიგენციის ამისთანა ნაწილთან საკეთილოა... მე მგონია, რომ მახლობლობას მცირედი საზოგადოებრივი მნიშვნელობა არ ექნებოდა ჩვეულის ჩვენის ქვეყნისათვის“ [2].

მაშასადამე, როგორც ვხედავთ, ქართველმა ხალხოსნებმა ეროვნული საკითხი ძირითადში სწორად გადაჭრეს, როცა ჩვენი ქვეყნის ხალხის ბედი დიდი რუსი ხალხის ბედს დაუკავშირეს.

ხალხოსნების ასეთი მოქმედება შეუმჩნეველი არ დარჩენია ცარიზმის პოლიციას. 1876 წლიდან დაიწყო საქართველოში ხალხოსნების მასობრივი დაპატიმრება. დაპატიმრებულთა უმეტესი ნაწილი მეტეხის ციხეში მოათავსეს, მათ შორის ეგ. იოსელიანი, ლევ. ჩერქეზიშვილი, არს. კალანდაძე; ქუთაისში დააპატიმრეს მიხეილ ყიფიანი, ვარლამ გაბიჩვაძე; გორში — ვასო დეკანოზიშვილი; სოფ. მერეთში — დ. ფურცელაძე; სოფ. ტყვიავში — მღვდელი ვასო სამადაშვილი [3].

მიუხედავად ასეთი მკაცრი რეპრესიებისა, 80-იანი წლებიდან კვლავ თავს იჩენს ახალი ტალღა ხალხოსანთა მოძრაობაში და ეს

[1] გ. მაიაშვილი, ძველი და ახალი თაობა და მათ გამო ლაპარაკი ჩვენში, „ივერია“, № 226, 1889 წ.

[2] „ივერია“, № 226, 1889 წ.

[3] იხ. მ. დავითოვი, მოგონებები, რევოლუციის მატიანე, 1923 წ., № 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯგუფები უმთავრესად თავს იყრიან „იმედისა“ და „შრომის“ გარშემო“ [1].

ამათ მუშაობას თავისებური დაღი დაასვა ალექსანდრე III-ის სასტიკმა რეაქციამ, მკაცრმა ცენზურულმა პირობებმა მნიშვნელოვნად შეზღუდა აზროვნების ფორმები და, ამდენად, ამ პერიოდის ქართველი ხალხოსნები არსებითად კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაზე გადადიან. სცემენ ჟურნალ-გაზეთებს, აარსებენ ბიბლიოთეკებსა და სამკითხველოებს, დადიან ხალხში და ეწევიან პროპაგანდა-აგიტაციას.

XIX საუკუნის ბოლო წლებში ნაროდნიკების მებრძოლი ხასიათი არსებითად სხვა სახეს ღებულობს. 80-იანი წლების ნაროდნიკებმა, ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის adrინდელი პოლიტიკა შემრიგებელი პოზიციით შეცვალეს. ზოგჯერ ამ დროის ხალხოსნები იმედის თვალით შეჰყურებდნენ მეფესა და მის მოხელეებს. მეფისაგან მოელოდნენ შეღავათს და დახმარებას:

„...გქონდეს იმედი, რომ იმპერატორი ალექსანდრე III თავის ხალხს მისცემს შეღავათს, მოსწმენდს თვალზე ცრემლსა, აღასრულებს ნდობას და დააკმაყოფილებს საჭიროებას“ [2].

მიუხედავად ღრმა იდეოლოგიური შეცდომებისა, რაც ხალხოსნებს ახასიათებდათ, მათ მაინც გარკვეული როლი ითამაშეს მასების გამოფხიზლებისა და რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის საქმეში. ხალხოსნური მოძრაობის საერთო მნიშვნელობის შესახებ ლენინი წერს: „1825 წელს რუსეთმა პირველად დაინახა ცარიზმის წინააღმდეგ რევოლუციონური მოძრაობა, და ეს მოძრაობა, წარმოდგენილი იყო თითქმის მხოლოდ თავადაზნაურობით. იმ მომენტიდან 1881 წლამდე, როცა ალექსანდრე მეორე მოკლულ იქნა ტერორისტების მიერ, მოძრაობის სათავეში იდგნენ ინტელიგენტები საშუალო წოდებიდან. მათ უდიდესი თავგანწირვა გამოიჩინეს და თავისი ბრძოლის გმირულ ტერორისტულ მეთოდით მთელი მსოფლიო განაცვიფრეს. ეს მსხვერპლი ტყუილუბრალოდ არ იყო გაღებული. უეჭველია, მან ხელი შეუწყო — პირდაპირ თუ

---

[1] გაზეთ „შრომის“ შესახებ იხილეთ საინტერესო გამოკვლევა დოც. არ. გოგუაძისა „ქუთაისის ლიბერალურ-ხალხოსანთა ჯგუფი და გაზეთი „შრომა“. ხელნაწერი ინახება ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის პედინსტიტუტში. ნაწილი შრომისა გამოქვეყნებულია აგრეთვე ქუთაისის პედინსტიტუტის „შრომების“ XIV ტომში.

[2] „იმედი“, 1881 წ., № 2, გვ. 163.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა პირდაპირ — რუსეთის ხალხის შემდეგ რევოლუციურ აღზრდას, მაგრამ თავის უშუალო მიზანს, სახალხო რევოლუციის გამარჯვება, მან ვერ მიაღწია და არც შეეძლო მიეღწია“ [1].

დასასრულს უნდა შევნიშნოთ ხალხოსნების მიმართ ერთი უმართებულო მოსაზრების შესახებ, რომელიც პირველად გ. წერეთელმა გამოთქვა და რომელსაც შემდეგშიაც გაუჩნდნენ დამცველები. ეს არის საკითხი ხალხოსანთა ჯგუფის „ივერიის“ თანამშრომლებთან გათქვეფისა და იდეური გაერთიანების შესახებ.

გ. წერეთელი 1895 წლის „კვალში“ წერდა:

„მეოთხმოცე წლებში გამოჩნდა ჩვენში ერთი პაწია დასი [2] განათლებული თაობისა, რომელმაც დაარსა საკუთარი გამოცემა „იმედი“ და აღიარა, რომ საქართველოს ხსნა გლეხკაცობიდან უნდა წარმოდგესო... ეს დასი ქადაგებდა მხოლოდ გლეხკაცობაში მოქმედებას... ამ სახით დაარსდა რუსეთის მიბაძვით ჩვენშიაც ესრეთწოდებული Народнико-ბის დასი... მაგრამ გამოჩნდა, რომ ამ ცალკერძმა მიმართულებამ ვერ მოიპოვა თანაგრძნობა საქართველოს ერისა და მალე დაკარგა ნიადაგი მოქმედებისა. ის დაინთქა ცხოვრების ახალ მიმართულების მორევში და ზოგიერთ გადარჩენილთა მალე შეაფარეს თავი „ივერიის“ რედაქციას, რომლის ხელმძღვანელმა თავისი ზეგავლენით ადვილად შეუცვალა „ტეტიათ მოტრფიალეთა“ მათი ელფერი, ის კი არა, კიდეც შეიტკბო ისინი და გადასცა მათ სავსებით თავისი საკუთარი შეხედულება, თავისი საკუთარი გულის წადილი. ამ სახით ძველი ნაშთი „ტეტიათა მოტრფიალეების“ შეუსისხლხორცდა ახალი „ივერიის“ მიმართულებას [3].

გ. წერეთლის სიტყვებიდან ისე გამოდის, რომ ხალხოსნებმა დაჰკარგეს საკუთარი პოლიტიკური სახე, საკუთარი იდეოლოგიური მისწრაფებები და „ივერიის“ ჯგუფში გაითქვიფნენ, ივერიის პოლიტიკური ხაზი გაიზიარეს, რაც აშკარად მცდარ მოსაზრებას წარმოადგენს.

კიდევ მეტი, ცნობილმა ქართველმა მოღვაწემ დავით კარიჭაშვილმა „ივერია“ და „იმედი“ ერთნაირი იდეოლოგიის ორგანოდ გამოაცხადა, არსებითად მათ შორის განსხვავება ვერ დაინახა.

დ. კარიჭაშვილი ამის შესახებ წერდა:

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. XIX, III გამოცემა, გვ. 431.

[2] ფაქტიურად ეს დასი, გამოჩნდა არა 80-იან, არამედ 70-იან წლებში.

[3] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, „კვალი“, 1895 წ., № 5, გვ. 19.

„მიმართულებით „იმედი“ არაფერს არ წარმოად[illegible] რომ მკითხველი დიდს განსხვავებას ვერ დაინახავდა [illegible] „ივერიას“ შორის, გარდა იმისა, რომ „ივერია“ უფრო ლიბერალური იყო“ [1].

ყოველივე ეს იმას ადასტურებს, რომ აქ დასახელებული სტრიქონების ავტორები ნაკლებად ერკვეოდნენ ამ საკითხებში. მაშინ, როდესაც „ივერია“ 80-იან წლებში ლიბერალიზმის პოზიციას ადგა და თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის შემრიგებლობის პოლიტიკას აწარმოებდა, „იმედის“ თანამშრომლები, სასტიკად იბრძოდნენ ლიბერალიზმის წინააღმდეგ. ხალხოსნები არა მარტო ხედავდნენ გლეხებსა და თავადებს შორის არსებულ კლასობრივ უფსკრულს, არამედ ყოველ ღონეს ხმარობდნენ ამ უკანასკნელის გაღრმავებისათვის, რათა კლასობრივ ინტერესთა შეჯახების საფუძველზე გლეხობისათვის თავისუფლება მიენიჭებინათ. საკმარისია გავიხსენოთ ს. მგალობლიშვილის „ჯორ-ზაქარა“ და სხვა.

„იმედის“ რედაქტორი მ. ყურგენიძე ამ წინააღმდეგობის შესახებ წერდა: „გლეხობა უყურებს თავადაზნაურობას არა როგორც მამას, არამედ როგორც მტერს...“ [2].

„ივერიის“ წინააღმდეგ საბრძოლო პოზიცია ნათლად ჩამოაყალიბა ხალხოსანმა დავით აბდუშელიშვილმა. როგორც ადრევე დავინახეთ, იგი მთელი სიმკაცრით თავს დაესხა „ივერიას“ და მის თანამშრომლებს ხელოვნების გაგების საკითხში, ასევე მკაცრად გააკრიტიკა ეს ჯგუფი მან გლეხობის საკითხშიც. იგი „ივერიის“ თანამშრომლებს უსაყვედურებდა, რომ „გლეხს თოკი აქვს ყელში მოჭერილი და ჩვენი ლიტერატურა მათ ბედნიერათა რაცხს, თუმცა არწმუნებს, რომ მაშინ კიდევ უბედნიერესი იყო, როცა ხელფეხში ბორკილიც გაყრილი ჰქონდა... თითქმის ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან იწერებიან სიღარიბეს და სილატაკეს გლეხისას, რომელიც ღმერთს თაყვანს სცემს, თუ კი დღიური ლუკმა პური არ შემოაკლდა, ტანზე ძველი შალის ჩოხა და ფეხზე ქალამანი, მაინც არ შემოაცვდა, და თვითონაც კარგად ვიცით, რომ ზოგიერთ ქვეყანაში გლეხის ბოსელი სახლათ გამოჩნდება ჩვენებური გლეხის სახლთან, რომელსაც არც ბუხარი აბადია, არც ფანჯრები და არც იატაკი... მაგრამ ჩვენი ახლანდელი ლიტერატურა [3], ნაცვლად

[1] „წიგნის მეგობარი“ №№ 1, 2, 1925 წ., გვ. 109.

[2] „იმედი“, 1881 წ. ივნისი, გვ. 107—111.

[3] იგულისხმება „ივერიის“ ჯგუფის მწერლები.

იმისა, რომ საზოგადოებისათვისაც და მმართველობისთვისაც გლეხობის ნამდვილი ეკონომიური მდგომარეობა დაენახვებინათ, გვარწმუნებს, რომ ჩვენებური გლეხი ბევრად უფრო მდიდრადა ცხოვრობს, ვინემ გვგონიათო... „ივერია“ კი რაც ძალი და ღონე აქვს ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ ჩვენი გლეხობა მეტად უკეთა ცხოვრობს...“ [1] განა ამის შემდეგ შეიძლება „ივერიისა“ და „იმედის“ ჯგუფების იდეურ ერთიანობაზეა ლაპარაკი? თუნდაც „იმედის“ დახურვის შემდეგ?

## მეხუთე — „კვალის“ თანამშრომლები

როგორც ვიცით, ხალხოსნები ცდილობდნენ დაემტკიცებინათ საქართველოში კაპიტალიზმის არარსებობა და გამოენახათ მისი თავიდან აცილების საშუალებებიც, მაგრამ ცხოვრება მაინც თავისი გზით წავიდა და კაპიტალიზმი საქართველოში 90-იან წლებში არა მარტო ფაქტი იყო, არამედ მისი შედეგი, პროლეტარიატი, ამ დროს უკვე გარკვეულ პრეტენზიებით გამოდიოდა.

საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების შესახებ სილიბისტრო ჯიბლაძე ასე ლაპარაკობდა ეგნატე ნინოშვილის დასაფლავების დროს: „ამ ახალმა ბატონ-ყმობამ კარგახანია დაამთავრა ზრდა მოწინავე ერთა შორის, სადაც საშინელი ბრძოლა გამოიწვია. ჩვენში კი, თუმცა ის ახალ დაბადებულია, მაგრამ სამაგიეროდ ეს ბავშვი საუცხოვო თვისებისაა, შესანიშნავი სისწრაფით იცის ზრდა...“ [2]

არსებითად, „მესამე დასის“ პროგრამა ს. ჯიბლაძემ ამ სიტყვაში ჩამოაყალიბა. ამის შესახებ გ. წერეთელი წერს: „ერთი რამ შესანიშნავი მოვლენა აღმოჩნდა ნინოშვილის დასაფლავებაზე. მის კუბოს გარს შემოიკრიბენ, ასე ვთქვათ, მესამე დასი ახალგაზრდობისა, ესე იგი, სულ უკანასკნელი თაობა — ისინი, რომელნიც გამოსულან ასპარეზობაზე ვეროთხმოცდაათე წლებიდან... ნინოშვილის კუბოზე პირველად წარმოთქვეს იმათ თავისი პროგრამა მოქმედებისა და თითქოს რაზმად დაეწყვნენ...“ [3]

ამრიგად, ახალმა კლასმა, პროლეტარიატმა, გაღატაკებულ გლეხობასთან ერთად, წარმოშვა თავისი იდეოლოგიის გამომხატველი დასი, რომელიც მარქსისტული იდეების პროპაგანდას ეწე-

---

[1] „იმედი“, 1881 წ., № 1. გვ. 104—106.

[2] „კვალი“ 1894 წ., № 22.

[3] იქვე, № 21.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდა საქართველოში. ამასთანავე, აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში და ამიერკავკასიაში მარქსიზმის გავრცელების საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვის რუს სოციალ-დემოკრატებს: ი. კოგან'ს, ი. ლუზინს და გ. ფრანჩესკოს. ისინი გადმოსახლებულნი იყვნენ საქართველოში და გარკვეულ გავლენას ახდენდნენ ქართველ მოწინავე ინტელიგენციაზე.

„მესამე დასელებმა“ თავიანთი იდეების პროპაგანდისათვის გამოიყენეს ჟურნალი „კვალი“. აქ თანამშრომლობდნენ ეგნატე ნინოშვილი, სილიბისტრო ჯიბლაძე, ნოე ჟორდანია, მიხა ცხაკაია, კარლო ჩხეიძე, ფილიპე მახარაძე და სხვები.

„კვალის“ თანამშრომლებმა სასტიკი ბრძოლა გააჩაღეს ხალხოსნებისა და „ივერიის“ ჯგუფის წინააღმდეგ, ისინი, იყენებდნენ მარქსის ზოგიერთ დებულებას ცალკეული საკითხების ახსნის დროს, მაგრამ არ ცნობდნენ მარქსიზმის მთლიან სისტემას და, ამდენად, მცდარ მოსაზრებებს ავითარებდნენ საზოგადოების განვითარების მნიშვნელოვან მოვლენებზე, ხოლო დიდი უმრავლესობა „კვალის“ ჯგუფისა — ჟორდანია, რამიშვილი და სხვები — არასოდეს არ ამაღლებულან ნამდვილი მარქსიზმის მწვერვალამდე.

„კვალის“ ჯგუფის ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული ცნობილი ქართველი ბელეტრისტისა და პუბლიცისტის ეგნატე ნინოშვილის არა მარტო დასაფლავებასთან, არამედ მის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან. პირველად ამ ჯგუფის წევრები 1893 წელს ეგნატეს ბინაზე იკრიბებიან ზესტაფონში.

იმავე წელს, ეგნატე „კვალში“ ათავსებს პუბლიცისტურ სტატიებს, სადაც დამაჯერებლად ამტკიცებს საქართველოში არა მარტო კაპიტალიზმის აუცილებლობას, არამედ მისი მუდმივი თანამგზავრის, პროლეტარიატის, წარმოშობის აუცილებლობასაც. „აგერ-აგერ იჩენს თავს ჩვენშიაც მრეწველობა და კაპიტალისტური წესწყობილება. იმას არც ჩვენი ნებართვა ესაჭიროება და არც ჩვენი ქება-დიდება მოდის ჩვენთან დაუკითხავად“.

ან და „კაპიტალიზმი და მრეწველობა ისეთი მდინარეა, რომ თუნდაც კიდეც ძლიერ მოინდომოთ მისი შეფერხება, ვერ შეაყენებ და უნდა მოგახსენოთ, არც სასურველია მისი შეყენება არა თუ საქართველოსათვის, არც ერთი ქვეყნისათვის“.

მართალია, ეგ. ნინოშვილმა თავის მხატვრულ ნაწარმოებებში ვერ შესძლო კაპიტალიზმის მიერ გაყვლეფილი პროლეტარიატის ყოფის ჩვენება, მაგრამ მან სამაგიეროდ კარგად დაგვიხატა სოფლის ბურჟუაზიის მიერ ნახევრად გაპროლეტარებული გლეხობის

უმწეო ცხოვრება. ნათლად წარმოადგინა სოფლად გამწვავებული კლასთა ბრძოლა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ დარგში გა[illegible] მას მიმბაძველებიც — ლალიონისა, დიმიტრი ერისთავ[illegible] ნიას და სხვათა სახით.

საინტერესო ფაქტზე მიუთითებს ისიც, რომ ეგ. ნინოშვილმა თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ნაბიჯი გადადგა მუშათა კლასის ყოფაცხოვრების დასახატავად. მაგრამ ნაადრევმა სიკვდილმა არ დააცალა მას ამ დიდი გეგმის განხორციელება. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს მისი დაუმთავრებელი მოთხრობა „მუშათა თავშესაფარი“.

ნაწარმოების შინაარსიდან ჩანს ავტორის შემოქმედებაში არა მარტო თემატური სიახლე, არამედ საკითხის ახლებურად გადაჭრის ცდაც. ნინოშვილი მიზნად ისახავს ქალაქის პროლეტარიატის უმწეო ცხოვრება დაგვიხატოს და კონკრეტულ მასალად იღებს ბათუმის ნავთის გადამამუშავებელი ქარხნის მუშათა ცხოვრებას. მწერალი მკვეთრი ფერებით ხატავს მუშათა უბნის ცოცხალ სურათებს, შევყავართ მათ ფარღალალა ქოხმახებში, რომელთა ირგვლივ გაუვალი წუმპე და ტალახის გუბეებია გადაჭიმული. და ეს ქოხმახები „თავშესაფარია იმ რამდენიმე ათასი მუშისა, რომლებიც მუშაობენ ბათუმის ნავთის ქარხანაში“.

შემოქმედების ასეთ აღმავლობის გზაზე იდგა ნინოშვილი, როდესაც განუკურნებელმა სენმა, ჭლექმა, იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდა იმსხვერპლა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეგნატე ნინოშვილი თავიდანვე გამოირჩეოდა თავისი საღი აზროვნებით მისი ჯგუფის ზოგიერთი წევრისაგან. იგი არ ეთანხმებოდა ნოე ჟორდანიას, ის. რამიშვილსა და სხვებს მთელ რიგ პრინციპულ საკითხებში, რითაც აშკარად ვლინდებოდა ნინოშვილის მისწრაფება ჭეშმარიტი მარქსიზმისაკენ.

* *
*

ამრიგად, ჩვენ შევეცადეთ დაგვემტკიცებინა XIX საუკუნის მეორე ნახევარში სხვადასხვა მიმართულების მქონე ხუთი ჯგუფის არსებობა საქართველოში. გამოგვერკვია მათი ეკონომიური და პოლიტიკური მისწრაფებები, გვეჩვენებინა განმასხვავებელი ლიტერატურული მიმართულებები და იდეური თავისებურებანი.

მკითხველს შეიძლება თვალში მოხვდეს ის ფაქტი, რომ შედარებით მცირე ისტორიულ მონაკვეთში საქართველოში მრავალ-

გვარი დაჯგუფება აღმოჩნდა, მაგრამ ეს განსაზღვრ[illegible]
ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური თავისებურებ[illegible]
ლების დასამტკიცებლად მოვიტანოთ მარქსის სიტყვები პლეხანო-
ვისადმი.

მარქსი რუსეთის თავისებურების შესახებ პლეხანოვს სწერს: „ისეთ ქვეყანაში, როგორიც თქვენი ქვეყანა, სადაც თანამედროვე ძნხვილი მრეწველობა დამყნობილია პირველყოფილ გლეხურ თემზე და სადაც ერთდროულად წარმოდგენილია ყველა შუალედი ფაზები... გასაკვირი არ არის „იდეათა ყოვლად უცნაური და გაუგონარი კომბინაციების წარმოშობა“[1].

მარქსის ეს დებულება შეიძლება უშუალოდ გამოყენებულ იქნას საქართველოს მიმართ: აქაც XIX საუკუნის მეორე ნახევარში. სხვადასხვა ეკონომიური და პოლიტიკური ფაქტორების ერთდროულად არსებობამ წარმოშვა „იდეათა ყოვლად უცნაური კომბინაციები“.

(შემოვიდა რედაქციაში 27. XII. 1955).

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, „რჩეული წერილები“, სახელგამი, 1944 წ., გვ. 530.

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XV, 1956.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XV, 1956.
ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. მაისურაძე

# „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ადგილის დაზუსტებისათვის

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში (სტროფი 576) ერთი სტრიქონის სიტყვა წინააღმდეგობაშია წინა სტროფების შინაარსთან და საფიქრებელია, რომ იქ გადამწერის მიერ შეცდომაა დაშვებული.

„დავარს, დასა მეფისასა, უთხრა ვინმე ღმრთისა მტერმან:
„თავი ფიცა ძმამან შენმან, არ დაგარჩენს, იცის ერმან“ [1].

ფარსადან მეფემ ხვარაზმშას შვილი სთხოვა სასიძოდ, ნესტან-დარეჯანის საქმროდ. ინდოეთში მოსული სპარსი უფლისწული ტარიელმა მოკლა ნესტანის რჩევითა და წაქეზებით. ფარსადან მეფემ რომ მკვლელობის ამბავი გაიგო, განრისხდა, გასატკივარდა. მკითხველისათვის სრულიად მოულოდნელად მეფის რისხვა მის დას, დავარს, დაატყდა თავს. მეფემ დაიფიცა: „აწ თავმან ჩემმან: მას მოვკლავ, ჩემად დად ვინცა მადესა“.

მკვლელობის გამო მეფის აღშფოთება გასაგებია. მან პასუხი უნდა აგოს ხვარაზმშას წინაშე, ფარსადანს კი არ შეხვეწნიან. პირიქით, ხვარაზმელი მისი მოწვევით მოვიდა ინდოეთში. მისმა მოკვლამ კი შეურაცხყო მეფის სიტყვა და დასაბამი მისცა სამეფოთა შორის მტრობას.

დამნაშავე, ცხადია, უნდა დაისაჯოს, მაგრამ რატომ დავარი და არა სხვა?

„დავარ იყო და მეფისა, ქვრივი, ქაჯეთს გათხოვილი,
მას სიბრძნისა სასწავლებლად თვით მეფემან მისცა შვილი“.

ტარიელმა მოკლა სასიძო; იგი წააქეზა მისმა საყვარელმა ნესტანმა. მაგრამ, მეფის აზრით, მთავარი დამნაშავე აღმზრდელია,

[1] ვეფხისტყაოსანი, უნივერსიტ. გამომც., 1937 წ.

დავარი. მას შთაუნერგავს ნესტანისათვის უკეთური ჩვევებს, აღმზრდელის მაღალი მოვალეობისათვის უღალატნია. „მე ღმერთსა ვუთხარ, დაუბამს მას ეშმაკისა ბადესა“ — ამბობს მეფე.

დავარისადმი მეფის რისხვა უმართებულოა.

ტარიელის მიმართ მეფე მხოლოდ საყვედურით დაკმაყოფილდა, მკვლელობის წამქეზებელის ნესტანის დასჯის შესახებ ერთი სიტყვაც არ უთქვამს. მეფე არც კი გრძნობს, რომ ხვარაზმშას შვილის სიკვდილი მისი ბრალია, მისივე თვითნებობისა და წინდაუხედაობის შედეგი.

მეფემ ქალს გათხოვება დაუპირა. სპარსელი უფლისწული მოიწვია და მას აძლევდა როგორც ქალს, ისე ინდოეთის ტახტს.

„აწ ქალისა ჩვენისათვის ქმარი გვინდა, სად მოვნახოთ,
რომე მივსცეთ ტახტი ჩვენი, სახედ ჩვენად გამოვსახოთ“.

ტარიელი ინდოეთის ერთ-ერთი მეფის შვილი იყო და, როგორც ინდოეთის ტახტის ერთადერთი მემკვიდრე, იზრდებოდა ლაშქართა და ქვეყანათა საპატრონოდ. ეს გარემოება თითქოს დაავიწყდა ფარსადან მეფეს და ინდოეთის ტახტზე სხვა მოიწვია.

მეფე ხედავს, რომ ნესტანი და ტარიელი გამიჯნურებული არიან.

„მეფე ბრძანებს: „ვიცი, ვიცი; მეტად კარგად შემიგნიან;
მას უყვარდა ქალი ჩემი, სისხლნი ველთა მოუღვრიან.
რა ნახიან ერთმანეთი, არ შეხედვა ვერ დათმიან“...

დიახ, მეფემ იცის ეს ამბავი და ნესტანისათვის სხვა საქმრო მოყავს. მეფემ შელახა ტარიელის მიჯნურობის გრძნობა და მისი ტახტის მემკვიდრეობის უფლება.

მეფემ იცოდა მიჯნურობის ძალა, იცოდა ტარიელის ვაჟკაცობა და ხასიათიც, მაშ ისიც უნდა გაეთვალისწინებინა, რომ მისი სპასალარი არც ტახტს დასთმობდა და არც სატრფოს.

არა დავარის მიერ ნესტანის ცუდად აღზრდამ, არამედ ფარსადან მეფის თვითნებობამ და არაშორსმჭვრეტელობამ გამოიწვია ტარიელის განდგომა და სასიძოს მოკვლა.

იმ სტრიქონის შემდეგ, სადაც ნათქვამია, მეფემ თავისი ქალი დას მისცა სიბრძნის სასწავლებლადო, ამბის განვითარებაში დავარი ნახსენები აღარაა. ჩანს, იგი მნიშვნელოვან როლს აღარ თამაშობს ნესტანის ცხოვრებაში. დავარის მიერ ნესტანის უშუალოდ აღზრდის პროცესი დამთავრებულია (მეფე ქალს ათხოვებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე). რაც შეეხება ზედამხედველობას, მეთვალყურეობას, საამისოდ ნესტანი ცალკე იზრდება კოშკში, მცველებითა და მსახურებით გარემოცული.

დავარმა არაფერი იცის ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის ურთიერთობის შესახებ. გულწრფელად ამბობს იგი: „უბრალო ვარ, იცის ღმერთმან სახიერმან“.

დავარი უბრალოა ნესტანის საქმროს მკვლელობაში. არ მიუძღვის მას ბრალი აგრეთვე როგორც ცუდ აღმზრდელს. ნესტან-დარეჯანის საქციელი დავარის აღზრდის შედეგი არაა. აქ მთავარი ფაქტორია ინდოეთის ბუნება, ასაკი და პიროვნების ტემპერამენტი.

დავარი, კიდევაც რომ სცოდნოდა მას ახალგაზრდების ურთიერთობა, მიჯნურობას ხელს ვერ შეუშლიდა, იგი არც მოინდომებდა ამას. შეთქმულებაში კი დავარს მონაწილეობა არ მიუღია. ნესტან-დარეჯნისა და ტარიელის გამიჯნურება, მათი შეთქმულება და სასიძოს მოკვლა არაა დავარის მიერ ჩატარებული აღზრდის შედეგი. დავარი უდანაშაულოა და ამიტომ გაუგებარია სიტყვები:

„დავარს, დასა მეფისასა, უთხრა ვინმე ღმრთისა მტერმან:
თავი ფიცა ძმამან შენმან, არ დაგარჩენს, იცის ერმან“.

რა ღვთისმტერობაა დავარისათვის ამბის გადაცემა! ფარსადან მეფეს ხომ რაიმე საიდუმლო განკარგულება არ მოუხდენია დის შესახებ და ეს ხომ არავის გაუმჟღავნებია?! მეფემ საჯაროდ დაიფიცა, დას მოვკლავო. დავარისათვის ხომ არვის ურჩევია, რაიმე ღონისძიება მიეღო, ძმის წყრომას მორიდებოდა და მიმალულიყო. პირიქით, მეფემ მხოლოდ დაიფიცა. დავარმა კი განკარგულებას დაასწრო და თავი მოიკლა.

„ვეფხისტყაოსნის“ მეფე უმაღლესი ხელისუფალია, ხელშეუხლებელი, თაყვანსაცემი, მისი ყოველი ნება-სურვილი უნდა სრულდებოდეს, სულერთია, სამართლიანი იქნება იგი თუ უსამართლო. მეფის სურვილი არ შესრულდა. მას უნდოდა დავარი დაესაჯა. (შეიძლება ეფექტისათვისაც კი). გაფრთხილებულმა დავარმა დაასწრო, თავი მოიკლა, მეფის სურვილის წინააღმდეგ მოიქცა. ეს ხომ არაა ღმრთის მტერობა?

მეფის ნება-სურვილის წინააღმდეგ, უპირველეს ყოვლისა მოქმედებენ მისი ქალიშვილი ნესტან-დარეჯანი და მისი სპასალარი ტარიელი, პოემაში კი მათი საქციელი ღვთის მტრობად არ ითვლება.

დავარს რომ წინასწარ არ სცოდნოდა, რასაც უპირებდნენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი ნესტან-დარეჯანს არ სცემდა, არ გადაკარგავდა. ამიტომ ხომ არ უნდა ჩაითვალოს ღმრთის მტრად გამფრთხილებელი, ცხადია, მას, ვინც დავარს მეფისაგან წყრომა უამბო, წარმოდგენაც არ ექნებოდა, თუ რა მოხდებოდა შემდეგ. თვით ამბის მთქმელიც ხომ დავარივით უბრალოა, ყოველგვარი ქვენა ზრახვების, ბოროტების გარეშე. არავითარი ბოროტებაა არაა უდანაშაულო ადამიანს რამდენიმე საათით ადრე გააგებინო მის თავზე მოწეული უბედურება.

ამბის მიმტანის საქციელი დავარისადმი ტ ე რ ე ბ ა ა და არა ღმრთის მ ტ ე რ ო ბ ა.

სიტყვა „ტერება“ სამჯერ გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“ შველის, პატრონობის მნიშვნელობით.

1. „აწ წადით და მე დამაგდეთ, ეტერენით თავსა თქვენსა“.
2. „ფატმან წამგვარა გრძნეულთა, ღმერთიმცა მას ეტერების“.
3. „ეგე თათბირი არ ვარგა, სხვაებრ ვქმნათ თავის ტერება“.

სიტყვა „ტერი“ გვხვდება „შაჰ-ნამეში“ და ქართული ტექსტის რედაქტორ-კომენტატორების მიერ ლექსიკონში ახსნილია როგორც უფალი, მფლობელი, პატრონი, მომვლელი, მომხედავი, ჭირისუფალი [1].

„შენ მოგკლა, ვინ დაგიტირებს, ან შენი ტერი ვინ არი?
გვ. 119.

„შენ მოგკლა, ვინ დაგიტირებს, შენი ტერი ვინ არია?
გვ. 141.

სტრიქონში: „დავარს, დასა მეფისასა, უთხრა ვინმე ღმრთისა მტერმან“ —

სიტყვები „ღმრთისა მტერმან“ გაუმართლებელია და უადგილო. სავარაუდოა, ხომ არ იქნებოდა აქ „ტერმა“ ნაცვლად სიტყვისა „მტერმა“. თუ არ ივარგებდა გამოთქმა „ღმრთისა ტერმა“, შეიძლება ყოფილიყო „მისმა ტერმა“, დავარის ტერმა, მასი მომხედავის თუ მშველელის მნიშვნელობით.

მეორე მცირე შენიშვნა ტექსტში უკვე შეტანილი შესწორების შესახებ.

---

[1] ფ ი რ დ ო უ ს ი, შაჰ-ნამე. ქართული ვერსიები, პროფ. იუსტ. აბულაძის, დოც. ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას, პროფ. კ. კეკელიძის და პროფ. აკ. შანიძის რედაქციით, კომენტარიებით და ლექსიკონით, ტ. II, თბილისი, 1934 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„თამარს ვაქებდეთ მეფესა, სისხლისა ცრემლ დათხეული,
ვთქვენი ქებანი ვისნი მე, არ ავად გამორჩეული,
მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მინა რხეული
ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეული“.

ასე იკითხება ეს სტროფი „ვეფხისტყაოსნის“ ყველა ხელნაწერში და გამოცემაში. გამონაკლისს წარმოადგენს 1937 წ. გამოცემა.

იქ სტროფის მესამე სტრიქონი ასეა შესწორებული:

„მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული“ [1].

ეს შესწორება, მგონი, მარიდან მომდინარეობს და ალბათ, ასე შევა შემდეგ გამოცემებშიც.

რა უდევს საფუძვლად გასწორებას, რატომ უნდა შეიცვალოს „მინა რხეული“ სიტყვებით „მე ნა რხეული“, რა უპირატესობა აქვს სიტყვათა მეორე რიგს პირველზე?

სტრიქონში საუბარია იმის შესახებ, თუ რა შთაბეჭდილება, რა შთაგონება მოუხდენია პოეტზე თამარის თვალ-წარბსა და სილამაზეს. აქ ნ ა არის რხეული თუ მ ი ნ ა ა რხეული, ერთი უდავოა, ორივე შემთხვევაში ქალის სხეულზე, ტანზეა საუბარი. საქმე მხოლოდ იმაშია, ამ სიტყვათაგან რომელს უფრო შეეფერება ზედსართავი „რხეული“.

ვინც ამ სტრიქონს ასწორებდა, გულისხმობდა, რომ ნა და ლერწამი ერთი და იგივეა და, ცხადია, ასე ფიქრობდა, რომ ცოცხალი, მოქნილი, აშოლტილი ნა უფრო მოხდენილად გამოხატავს ტანის სინარნარეს, ვიდრე უსიცოცხლო, უხეში და მოუქნელი მინა. სტრიქონი მხოლოდ ამ თვალსაზრისით შეიძლებოდა შესწორებულიყო.

ჯერ ისაა გასარკვევი, ნა ლერწამია თუ არა. ეს სიტყვა იხმარება „ვეფხისტყაოსანში“:

„მოვშორდი ლხინსა ყველასა, ჩანგსა, ბარბითსა და ნასა“
სტრ. 179.

„უთქვენოდ მყოფსა არ გვინდან ნიშაგნი, ნა-ჩანგ-დაფენი.
1445

აქ ნა ლერწამი კი არაა, ლერწმისგან გაკეთებული ინსტრუმენტია, რომელსაც რხევის თვისება დაკარგული აქვს. მაგრამ კიდე-

[1] სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1937 წ., სტროფი 4.

ვაც რომ გვ᾽ვდებოდეს ეს სიტყვა გინდ ახალ, გინდ ძველ ქარ-თულში ცოცხალი. მერხევი ლერწმის მნიშვნელობით, [illegible] მაინც არ უშველიდა, იგი მაინც ვერ შეცვლიდა სტრიქ[illegible] სიტყვას. რუსთაველის ეპოქაში ლერწამი სინამდვილეში იხმარებოდა კალმად. კალამი ლერწმის მსგავსი მცენარეა, რომელმაც სახელი მისცა საწერ ხელსაწყოს.

ხსენებულ სტროფში პოეტური ფორმა უმაღლეს ხარისხამდეა აყვანილი. ამ სტროფს შეიძლება ავტორი მართლაც ლერწმითა წერდა და რა დისონანს შეიტანდა, რა უხეში იქნებოდა ამ მაღალ ფორმაში გარეულიყო თქმა — კალმად ლერწამი ვიხმარეო.

დაუსაბუთებელია, რატომ უნდა დავიწუნოთ შესავლის ერთ სტრიქონში სიტყვა, რომელიც პოემის ავტორს თერთმეტჯერ უხმარია ტექსტში სხეულისა და მისი ნაკვთების სილამაზის გამოსახატავად.

სატრფოს დაშორებული, მტირალი ავთანდილი მოდის ფრიდონისას:

„მიაცორვებს და მიუბნობს, მოსთქვამს მისსავე ლხინასა,
ნარგისნი ქუხან, ცრემლსა წვიმს, ჩარცხის ბროლსა და
მინასა“. (975)

აქ ბროლი და მინა ავთანდილის ლაწვებია.

ავთანდილი უამბობს თინათინს ტარიელის ამბავს:

„მუნ სარო, მსგავსი ვარდისა, ვნახე, მისჭირდა მი-ნები;
იტყვის: „დავკარგე ბროლი და სადა ჰროთავს ბროლსა
მინები“. (697)

ავთანდილი იყო „სადარო ბროლ-მინა საცნობარისა“. (40)
ნესტანი „შეიქნა პირითა მინა-ვარდითა“. (331)

ავთანდილი შედის ფატმანთან:

„შემოვიდა ლაწვი-ვარდი, ბროლ-ბადახში, მიჩა, სათი“. (1074)

რუსთველთან სიტყვა „მინა“ არის ლაწვების, გულ-მკერდისა და კეხარი ტანის იგივეობა.

„მინა“ რუსთველისათვის ტროპია, რომელშიც ხშირად იგულისხმება მთლიანად რომელიმე თვალწარმტაცი გმირი. ავთანდილი გაიპარა ტარიელთან შესაყრელად, მეორე დღეს ვაზირმა იგი ვეღარ ნახა.

„რა გამოვიდა, ვაზირმან ძებნა, ვერ პოვა მინანი“. (817)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს მინა მთლიანად ავთანდილია.

ტარიელს ეძნელება ნესტანის დაშორება: „მეძნელდებოდე [illegible] შორე მისი ბროლ-ბადახშ-მინისა“. (419).

მინას მგოსანი ხმარობს სხეულის განსაკუთრებული სილამაზის, სიფაქიზის, სინატიფის აღსანიშნავად. ამიტომ დასაწყისის მეოთხე სტროფში ეს სიტყვა უადგილო არ უნდა იყოს.

მ ი ნ ა, გ ი შ ე რ ი, ბ რ ო ლ ი პოემაში ან მთლიანად სხეული ან მისი ნაკვთებია და, სადაც მელნად გიშრის ტბაა ნახმარი, კალმად აუცილებლად მინა იქნება გამოყენებული.

რატომ უნდა დავუკარგოთ რუსთაველის სტრიქონს მისი დამათრობელი სურნელება? თქმის სილამაზე და უჩვეულობა სწორედ იმაშია, რომ მინაა რხეული და არა ლერწამი.

სტრიქონი უნდა დარჩეს ისე, როგორც ეს ხელნაწერებშია:

„მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მინა რხეული“.

(შემოვიდა რედაქციაში 24. III. 1956)

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XV, 1956.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XV, 1956.
ეროვნული ბიბლიოთეკა

თ. ნიჟარაძე

## ალ. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩას“ სწავლებისათვის*

VII კლასის ლიტერატურული კითხვის კურსში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ალ. ყაზბეგის „ხევისბერ გოჩას“.

ამ ნაწარმოების შესწავლა დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს მასწავლებელს. მან ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლე ახალგაზრდობაში შემეცნებითი უნარის განვითარებას, მგზნებარე პატრიოტიზმის, ურყევი მეგობრობისა და ესთეტიკური გრძნობის აღზრდას.

„ხევისბერი გოჩას“ შესწავლისათვის პროგრამით გათვალისწინებულია 7 საათი. ცხადია, სხვადასხვა პირობებში სხვადასხვა სკოლის მასწავლებლებს შეუძლიათ ამ დროის თავისებურად გამოყენება. ჩვენი აზრით, საორიენტაციოდ შეიძლება ეს დრო განაწილდეს შემდეგი სახით:

1. შესავალ მეცადინეობას უნდა დაეთმოს 1 საათი;
2. ტექსტზე მუშაობას „ „ 4 საათი;
3. დასკვნას და შეჯამებას „ „ 1 საათი;
4. საკლასო წერას „ „ 1 საათი.

მასწავლებელი „ხევისბერი გოჩას“ ტექსტის გაცნობამდე ჩაატარებს შესავალ მეცადინეობას.

ცნობილია, რომ შესავალი მეცადინეობის სახეები და შინაარსი მეტად მრავალფეროვანია. მასწავლებელი თვითონვე ირჩევს ამ მხრივ საჭირო მასალასა და გზებს. კონკრეტულ შემთხვევაში „ხევისბერ გოჩასთან“ დაკავშირებით მასწავლებელმა შეიძლება აღნიშნოს, რომ ნაწარმოებში მწერალი გადმოგვცემს XVIII საუკუნის ბრძოლებს, კერძოდ, ქართველი ხალხის შინაური მტრების — ფეოდალების გალაშქრებას ხევზე. სასტიკი ფეოდალის ნუგზარ ერის-

* ეს სტატია წარმოადგენს ავტორის სადისერტაციო ნაშრომის „ალ. ყაზბეგის შემოქმედების სწავლება საშუალო სკოლაში“ ნაწილს. იბეჭდება შემოკლებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის მიზანი იყო დაემორჩილებინა თავისუფალი მოხევენი და ყმად ექცია ისინი. მასწავლებელმა უნდა მოიშველიოს [illegible] ლექსი: „ნუგზარ ერისთვის დროსაო, სისხლის წვიმების დროსაო“.

მასწავლებელმა უნდა გადასცეს კლასს, რომ ნაწარმოების მოქმედი პირი, ნუგზარ ერისთავი ისტორიულად ცნობილი პიროვნებაა. მემატიანის გადმოცემით, არაგვის ერისთავი ნუგზარი გულზვიადი და განუსაზღვრელი ბატონობის მოტრფიალე ყოფილა. ხალხის მუსვრა და სისხლის ღვრა მის ბუნებრივ თვისებას შეადგენდა.

როგორც საქართველოს ისტორიიდან ვიცით, საქართველოს სამეფო XVII საუკუნეში მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, იგი დაქსაქსული და დაუძლურებული იყო. ამით სარგებლობდა ნუგზარ ერისთავი და ცდილობდა თავის საპრძანებელი გაეფართოებინა. ზვიადი ფეოდალი მთიულეთის დაპყრობამ როდი დააკმაყოფილა, იგი ხევის დაპყრობასაც ცდილობდა.

მასწავლებელმა უნდა აღნიშნოს, რომ ალ. ყაზბეგი „ხევისბერ გოჩაში“ ისტორიულ წარსულს მიმართავს იმ მიზნით, რომ წარსულის ბრწყინვალე მაგალითები აწმყოსთან დაკავშირებული ამოცანებისათვის გამოიყენოს.

ისტორიული წარსულის გამოყენებას ხშირად მიმართავდნენ თავიანთ მხატვრულ შემოქმედებაში ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელიც, რათა უბადლო გმირების საარაკო საქმიანობის ჩვენებით გაეღვივებინათ ხალხში ეროვნული თვითშეგნება, სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლის სულისკვეთება.

ამ მხრით, მათ მუდამ მდიდარ მასალას აწვდიდა ქართველი ხალხის სახელოვანი ისტორია, რომელიც აღსავსეა გმირობითა და მამაცობით, სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მაგალითებით.

„არა, ტყუილად არ მიყვარს მე ჩვენი წარსული! მიყვარს ისე, როგორც დედას კარგი შვილი და მიტომაც გულგაუმაძღარს მსურს, რომ ის გადატანილი ვნახო მომავალში, დრო და ვითარების შეხამებით, კიდევ უფრო ძლიერად და ბედნიერად“, — წერდა სასიქადულო მგოსანი აკაკი წერეთელი. ილია ჭავჭავაძესაც მტკიცედ სწამდა, რომ „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“.

ალ. ყაზბეგი ქართველთ გმირობასა და ვაჟკაცობას რეალურ სახეებში აყალიბებს და ამდენად მათი (გმირების) მოქმედების გრანდიოზულობა ხელშესახები ხდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ხევისბერ გოჩას" გმირები წარმოგვიდგებიან როგორც ნამდვილი ადამიანები და ამიტომაც მათი საგმირო საქმიანობა დამაჯერებელია.

მწერლის ღრმა გაგებით, მამულის სიყვარული და ერთგულება ადამიანის უწმინდესი გრძნობაა და მოქალაქობრივი ვალიც.

პატრიოტულ იდეათა მატარებელი პერსონაჟები უხვად მოგვეპოვება ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში, როგორც კლასიკოსების, ისე თანამედროვე მწერალთა მდიდარ შემოქმედებაში.

მასწავლებელი მოსწავლეებს მოაგონებს უკვე ნასწავლ კლასიკოსთა და თანამედროვე მწერალთა იმ ნაწარმოებებს, სადაც პატრიოტული გრძნობაა გამოხატული[1].

ალ. ყაზბეგი „ხევისბერ გოჩაში" ისტორიული ფაქტების, პატრიოტიზმისა და გმირობის მოტივის გადმოცემასთან ერთად, მოხევეთა მისწრაფებასა და ყოფა-ცხოვრებასაც გადმოგვცემს.

ალ. ყაზბეგის მდიდარ შემოქმედებას მთის ბუნების სურნელება ასაზრდოებს. მას უყვარს მთა მთელი თავისი დიდებულებით: დათოვლილი ქედებით, ჩანჩქერებით, ნისლებით, არწივებით, ირმებით, ღრუბლებით, ქექა-ქუხილითა და მართალი ადამიანებით, გაუტეხელი და მტკიცე მთიელებით.

მწერალი ამაყობს მით, რომ თვითონაც ღირსეული მთიელია: „მე ვარ მთიელი, დიახ მთიელი, აღზრდილი ხალხში, იქ, სადაც ყმა და მონობა ძველადგანვე სამარცხვინოდ ყოფილა ხალხში, სადაც სიტყვას „ბატონყმობა" ადგილი არასოდეს არა ჰქონია და სადაც კაცს პატივისცემა მხოლოდ პირადი ღირსებით შესძლებია".

მასწავლებელმა შესავალი მეცადინეობის ჩატარებისას მოსწავლეებს უნდა გააცნოს „ხევისბერი გოჩას" დაწერის ისტორია და მისი ურთიერთობა ხალხურ მასალებთან.

შესავალი მეცადინეობის დროს მასწავლებელმა რუკაზე უნდა მოხაზოს არაგვის ხეობა, ის ადგილები, რომელნიც ნუგზარ ერისთავს ეკავა, და ხევი, სადაც მოხევეები ცხოვრობდნენ.

შესავალი მეცადინეობის ჩატარების შემდეგ წარმოებს ტექსტზე მუშაობა.

## ტექსტზე მუშაობა

საბჭოთა პედაგოგიკა ტექსტის კითხვასა და შინაარსის მტკიცედ დაუფლებას ახალგაზრდობის აღზრდის აუცილებელ საშუალე-

---

[1] ვაჟა ფშაველას „არწივი", აკ. წერეთლის „თორნიკე ერისთავი", ილ. ჭავჭავაძის „ჩემო კარგო ქვეყანავ", „ქართვლის დედას", გ. ტაბიძის „სამშობლო", კ. ლორთქიფანიძის „როგორ მოკვდა მოხუცი მებადური".

ბად თვლის. რადგანაც დიდტანიანი ნაწარმოების კლასში მთლიანად წაკითხვა არ ხერხდება, ნაწარმოებისათვის პროგრამით გათვალისწინებული დროის ეკონომია რომ დავიცვათ და მაქსიმალურად გამოვიყენოთ მოცემული დრო ნაწარმოების იდეურ-მხატვრული ანალიზისათვის, ნაწარმოების ნაწილი კლასში უნდა წავიკითხოთ და ნაწილი — შინ.

კლასში წასაკითხავად უნდა შევარჩიოთ შინაარსობრივად და ენობრივად რთული და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი თავები, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ტექსტის ანალიზისთვის.

კლასში უნდა წავიკითხოთ აგრეთვე მხატვრულობის თვალსაზრისით ღირსშესანიშნავი თავები, რათა მოსწავლეებს განვაცდევინოთ მხატვრული სიტყვის ძალა და მნიშვნელობა და ასეთი მუშაობით ხელი შევუწყოთ მოსწავლეების ესთეტიკურ აღზრდას.

ამ მიზნით კლასში წაკითხული იქნება: I, II, VII, VIII, IX, XIII, XIV, XVII, XX, XXVI, XXVIII თავები.

ნაწარმოების დანარჩენი თავები კი მოსწავლეებმა უნდა წაიკითხონ შინ, რაც გზადაგზა უნდა მოწმდებოდეს მასწავლებლის მიერ. შინ წაკითხული და კლასში დამუშავებული მასალა ორგანულად უნდა იქნეს შერწყმული. ნაწარმოების შინ წაკითხვა იმითაცაა გამართლებული, რომ იგი ხელს უწყობს მოსწავლეებში დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების დანერგვასა და განმტკიცებას.

კლასში გასაცნობ ყველა თავს მასწავლებელი კითხულობს გამომეტყველებით. ასეთი კითხვით იგი მთელ ყურადღებას წარმართავს მნიშვნელოვანი ადგილების დაკვირებისაკენ. მოსწავლეები ყურადღებით აკვირდებიან მნიშვნელოვან სურათებს, ითვისებენ და საფუძვლიანად ერკვევიან მის მხატვრულ ღირსებებშიც. სწვდებიან პერსონაჟთა სულიერ განწყობილებას და ტკბებიან მათი ჰუმანური თვისებებით.

ნაწარმოების დასაწყისიდანვე უნდა დავანახოთ მოსწავლეებს მწერლის დიდი ოსტატობა, აზრის პოეტურ ფორმაში გადმოცემის უნარი.

იმ ადგილის კითხვისას, სადაც აღწერილია ქორწილი მთაში, მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა მიუთითოს, რომ დიდი მწერალი ცხოვრების საუკეთესო მცოდნეა, იგი ცხოვრების სინამდვილიდან იღებს ადამიანთა ყოფის ნამდვილ სურათებს, ამიტომაა, რომ მას არც ქორწილი ავიწყდება მთაში და იგი ღრმა ცოდნას იჩენს საქორწილო ცერემონიალისა და მისი დამახასიათებელი ჩვეულებების მიმართაც.

მოსწავლეები უნდა დავაკვირვოთ ნაწარმოების იმ ადგილებზე, სადაც საქორწილო სუფრა და საქორწილო ჩვეულებებია აღწერილი.

მთის ადათ-წესებისა და ტრადიციების გაცნობისას მასწავლებელი მოსწავლეებს განუმარტავს, რომ ზოგიერთი ტრადიცია თვით ალ. ყაზბეგსაც არ მოსწონდა. მაგალითად, ხელისმომკიდისა და პატარძლის გამგზავრება მეფის გარეშე. ამ მიზნით, მასწავლებელმა კლასს უნდა გააცნოს ალ. ყაზბეგის ის შენიშვნა, რომელიც მან „ხევისბერი გოჩას“ ამ ნაწილს გაუკეთა: „ეს ჩვეულება ახლა შეიცვალა, ამ ბოლო დროს მეფე-დედოფალი და ხელისმომკიდე ერთად სხდებიან ქალის სახლიდანვე, რადგან ჯვარისწერა უმეტეს შემთხვევაში ქალის სამშობლოში ხდება“ [1].

ტექსტზე მუშაობის პროცესში ტარდება სალექსიკონო მუშაობაც. მოსწავლეები ამოკრებენ უცნობ სიტყვებსა და გამოთქმებს. მასწავლებელი განმარტავს და შემდეგ იწერენ სალექსიკონო რვეულებში, მაგალითად: ლაზათიანი, წარმოსადეგი, ჰარმონია, ხელისმომკიდე და სხვა.

მასწავლებელი სალექსიკონო მუშაობის ჩატარების შემდეგ მოსწავლეებს დაასახელებინებს ნაწარმოების გმირებს ონისესა და გუგუა ფიჩიტაურს. შემდეგ ასათაურებენ პირველ და მეორე თავს.

პირველი თავი შეიძლება ამგვარად დასათაურდეს: „სოფელ ყანობში“. მეორე თავში შეიძლება გამოიყოს ორი სურათი: „ლხინი“ და „ხაზუას და ონისეს საუბარი“.

დაგეგმვა-დასათაურება მოსწავლეებს შეაქვთ ლიტერატურის რვეულებში.

ხაზუას და ონისეს დიალოგში მასწავლებელი მოსწავლეებს განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევინებს მოხეურ დიალექტზე და ამავე დროს მოაგონებს უკვე ნასწავლ სხვა მწერალთა ნაწერებს, სადაც კუთხური მეტყველებაა ნახმარი.

ნაწარმოების მესამე თავში განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება ძიძიას პორტრეტის აღწერაზე.

მეშვიდე თავის დამუშავების დროს მასწავლებელი მოსწავლეთა ყურადღებას მიაპყრობს ხევისბერი გოჩას შთამაგონებელ პიროვნებაზე. დააკვირვებს გოჩას ავტორისეულ დახასიათებაზე: „გოჩა იყო მშობელი მამა თავის ხალხისა, აღზრდის ჩვეულებათა შორის ანდაზად გადაქცეული „რწმუნება, ხმა ღვთისა და ხმა ერისა“ სისხლსა და ხორცში გასჯდომოდა“.

---

[1] აკ. მახარაძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, 1955 წ., გვ. 222.

„ასეთი იყო მოხუცებული გოჩას სახე, რომლისთვისაც განუწყვეტელ ზრუნვას, ფიქრს, გამოცდილებას და გონებრივ [illegible] უფრო უმეტესი პატიოსნების, შკუისა და ადამიანობის [illegible] დაესვა“.

ტექსტის აზრიანი კითხვით მასწავლებელი მოსწავლეებში გოჩას სიყვარულსა და პატივისცემას ნერგავს.

განსაკუთრებული დაკვირვებით კითხულობს მეცხრე თავის იმ ადგილს, სადაც დაეჭვებული ხევისბერი შვილთან საუბარს მართავს და განსაკუთრებით ხაზს უსვამს სიტყვებს: „გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ და კაცი კი ტანჯვისათვის არის გაჩენილი, ვინძლო ქვეყანა არ გააცინო“.

მასწავლებელი აგრეთვე ყურადღებას მიაქცევინებს მოსწავლეებს ქეკლუცი გაზაფხულის სურათის აღწერასა (მეცხრე თავი) და ონისეს განცდებზე. „რომლის გულსაც ვაზაფხული არ წვეოდა და ზამთრის ღრუბლივით ნისლმოხვეული მწარედ ჩაბნელებულიყო“.

აქ მასწავლებელმა მოხდენილად უნდა დაუპირისპიროს ერთმანეთს გაზაფხული ბუნებაში და ზამთარი ონისეს გულში; კლასს უნდა გაურკვიოს, რომ ავტორი აქ იყენებს დაპირისპირების ხერხს— ანტითეზს, რის შემდეგ იგი მოსწავლეებს განუმარტავს ანტითეზის მნიშვნელობას (ისეთი ფიგურა, რომელშიც დაპირსპირებულია ერთიმეორის საწინააღმდეგო ცნებები და სახეები).

მასწავლებელმა ყურადღებით უნდა წაიკითხოს მოთხრობის მეცამეტე თავი, „გარიყრაყის სურათი ხევში“ და მოსწავლეებს უნდა აგრძნობინოს ალ. ყაზბეგის სიდიადე, როგორც ბუნების უბადლო მხატვრისა.

მასწავლებელი კითხულობს მეთოთხმეტე თავს და კლასს უხსნის, რას ნიშნავს „დამწყალობება“. მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს მასზე, თუ როგორი მოკრძალებით ექცეოდა ხალხი სათემო კავშირის ნიშანს, რომელსაც „ცეცხლშიაც წარბშეუხრელად გადაჰყვებოდა“, რომ დროშის წინაშე ნათქვამი სიტყვა ველარ გადაბრუნდებოდა“. ყოველი მოხევე სიკვდილს ირჩევდა, მოშორდებოდა დედას, ძმას — გულის საყვარელსაც კი, მაგრამ სათემო კავშირის ნიშნის წინ მიცემულ სიტყვას კი ველარ უღალატებდა.

ამ თავში მასწავლებელი ყურადღებას გაამახვილებს გოჩას პატრიოტულ სიტყვაზე, გამარჯვების რწმენაზე, ნუგზარის გადაწყვეტილების უსამართლობაზე, საქართველოს ერთიანობის მხარდაჭერაზე, მოხევეების უშუალობასა და სიმართლეზე, ონისეს გულმართალ სიტყვაზე, სადაც ერის ხმა ისმის: „მოკვდეს ის კაცი, ვინც

მოძმეს ვერ გაიტანს, შერცხვეს ის ქუდოსანი, ვინც მეზობელს ღალატად შეადგების! მაგრამ ის მოხევეც დაიმარხოს, ვინც ყმის გახდომა ისუროს!“

მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს მოხევეთა სიმტკიცეზე, ვაჟკაცობაზე, სიტყვის გაუტეხლობაზე: „ჰაი, ჰაი, რომ ვაჟკაცს შერცხვენილს სიცოცხლეს სიკვდილი ურჩევნიან, გაწბილებას — ცოცხლად მიწაში ჩამარხვა“.

ამ მასალას მასწავლებელი შესაფერად უნდა იყენებდეს მოსწავლეებში საბჭოთა პატრიოტიზმის, კოლექტივიზმის, პირდაპირობისა და ვაჟკაცობის გრძნობების აღსაზრდელად. ეს თავი (მეთოთხმეტე) მასწავლებელმა ასეთი დასკვნით უნდა დაამთავროს: მოხევეთა ბრძოლა ნუგზარის წინააღმდეგ სამართლიანი ბრძოლა იყო, რომ ამ ომში ყველა მონაწილეობდა, დედაკაცებიც კი არ იყვნენ უსაქმოდ დარჩენილი.

„ხევისბერ გოჩას“ ტექსტზე მუშაობის პროცესში მასწავლებელმა ყურადღება უნდა შეაჩეროს „სამების ტაძრის“ აღწერაზე: მოსწავლეებს უნდა გააცნოს, რომ სამების ტაძარი უდიდესი კულტურული მნიშვნელობის ძეგლია, ქართული ხელოვნების საუკეთესო ნიმუშია.

მასწავლებელი კლასს მოკლედ უნდა ესაუბროს ქართული ხელოვნების საუკეთესო ძეგლების საერთო-სახალხო მნიშვნელობის შესახებ.

კლასში ვკითხულობთ მეჩვიდმეტე თავს, მაგრამ, სანამ ამ თავის დამუშავებას დაიწყებდეს მასწავლებელი, ერთხელ კიდევ მოხაზავს გოჩას პიროვნებას, რადგან მეჩვიდმეტე თავში გოჩას უპირისპირდება ნუგზარ ერისთავის სისხლისმსმელი ბუნება, მისი ქედმაღლობა, ამპარტავნობა, პირადი გამდიდრების მიზნით ხალხის აწიოკება და ა. შ.

ნუგზარის ბუნების გაცნობის მიზნით, მასწავლებელი კითხულობს მეჩვიდმეტე თავის იმ ადგილს, სადაც ნუგზარის მიმართვაა მთიულებისადმი.

ამ ადგილის შესაფერი ცოდნით წაკითხვამ მოსწავლეებში სიძულვილის გრძნობა უნდა გამოიმუშაოს ხალხის საზარელი მტრის მიმართ.

ნუგზარის სიტყვებს მასწავლებელი უპირისპირებს გოჩას ტკბილ მამულიშვილურ, ვაჟკაცობის აღმგზნებ სიტყვას: „ხალხო და ჯამაათო! ნუგზარისაგან მთიულების გაშორებამ ომი თავიდგან არ აგვაცილა“ — აქედან, ვიდრე: „ვის გიცემსთ ქუდოსანთ გული, ვის გერჩით მკლავი? ყველა ერთისათვის და ერთი ყველასათვის!“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტექსტზე მუშაობის დროს მასწავლებელმა განსაკუთრებით უნდა დააკვირვოს მოსწავლეები ადამიანთა სულიერ მდგომარეობას იმდაგვარად, რომ მოსწავლეები წაკითხულში აზრთან ერთად გრძნობადს სახეებს ხედავდნენ.

მასწავლებელი კითხულობს მეოცე თავს („ბინდ-ბუნდი იყო: დღე წყნარადა ჰქრებოდა“ — აქედან ვიდრე: „მამაისი, რაი გატირებს?).

აქამდე მოსწავლეები იცნობდნენ გოჩას, როგორც ხალხის ბრძენ ხელმძღვანელს, მეოცე თავის გააზრების შემდეგ მათ წინ აღიმართა გოჩას სახე, როგორც მოსიყვარულე მამა-მშობლისა, რომელსაც „მზე და მთვარე“ თავის ერთადერთ ვაჟზე ონისეზე ამოსდის. როცა სამშობლოს გასაჭირი დასდგომია და ონისე სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა, გოჩა შიშის გრძნობით შეჰყურებს შვილის მომავალს და, როგორც მამა-მშობელს, ცრემლი ერევა, გული ტკივა, მაგრამ ღვთაებას მასაც შესთხოვს, რომ ონისეს სიცოცხლე მოუსპოს, თუ იგი გაწბილდება.

მასწავლებელი განსაკუთრებით ამახვილებს მოსწავლეთა ყურადღებას ამ სიტყვებზე: „თუ სიკვდილი შეგემთხვა, ისიც უფლის ნებაა... ერთხელ ნაშობი ერთხელ მოკვდების! მაგრამ ვაჟკაცურად კი მოკვდი, ისე მოკვდი, რომ ხევს შენი დამარხვა არ ეთაკილებოდეს“.

ამ თავში მასწავლებელი ხაზს უსვამს გოჩას პატრიოტულ სიტყვას, როცა იგი სამშობლოს სადარაჯოზე მიმავალ შვილს მოძღვრავს: „არ დაივიწყო, რომ სადაც შენი მამა-პაპა გაჩენილა და დამარხულა, სადაც მათი ძვლებია ჩაფლული, იმას გედავებიან და არ დაანებო“.

ოცდამესამე თავში მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს ონისეს სინანულით გამოწვეულ ტკივილებზე, რომელიც ფიზიკურ ტკივილს აღემატება.

კითხულობენ ამ ადგილს: „საცოდავი გრძნობდა, რა ძვირად დაუჯდა წუთის თავდავიწყება“ — აქედან, ვიდრე: „რაი გინდოდათ, მოვეკალი! ჩემი სირცხვილი თქვენ რას შეგმატებსთ?“

მასწავლებელი განაგრძობს ტექსტზე მუშაობას, კითხულობს იმ ადგილს, გოჩამ რომ გუგუას ღალატი შეიტყო (თავი ოცდამეექვსე).

„ჯერ კიდევ დღე-ღამე არ გაყრილიყო, როდესაც სიონის სიმაგრეში მთელი ხევის ჯარი მოძრაობაში მოვიდა“ — აქედან, ვიდრე: „მოუთმენლად ელოდა მტერზე გალაშქრების წამს“.

განსაკუთრებით ხაზს უსვამს გოჩას სიტყვებს: „უფალო, რაი შეგცოდეთ, რომ მოძმეთ ღალატიც გვაჩვენე!“ სადაც გოჩა გამოჩანს, როგორც მზრუნველი მამა ხევისა.

მასწავლებელი კითხულობს ოცდამეექვსე თავს, სადაც გადმოცემულია მოხევეთა მეორედ გალაშქრება ნუგზარ ერისთავის წინააღმდეგ. მოსწავლეებს წიგნები გადაშლილი აქვთ და ინიშნავენ საყურადღებო ადგილებს. მასწავლებელი ამახვილებს ყურადღებას გოჩას და ნუგზარ ერისთავის სახეზე ბრძოლის მომენტში. ასევე დააკვირებს მოსწავლეებს ონისეს ვაჟკაცობასა და თავგანწირვაზე, მოხევეთა სულისკვეთებაზე.

მასწავლებელი გააზრებით კითხულობს იმ ადგილს ოცდამერვე თავიდან, სადაც გოჩა დამნაშავე გუგუას მიმართავს: „გულს არ სჯერა, რომ ხევის მიწა-წყლის კაცი, ხევის ძუძუთი გაზრდილი, მოძმეთ უღალატებდა, ამხანაგთ გაჰყიდდა, მიწას შეარყევდა და ცას ჩამოანგრევდა! გული სამუდამოდ იკვნესებს, სევდა არ დაელევის, ნისლს ველარ გაიცლის, თუ მართლა მოძმეთ გამსყიდავად იცნო“.

მასწავლებელი ტექსტზე მუშაობის პროცესში გზადაგზა ნაწარმოების იდეურ-მხატვრულ გარჩევას ახდენს. ყურადღებით კითხულობს და აანალიზებს თათბირის განაჩენს, რომელსაც გუგუას გამოუტანენ თემის მოთავეები.

მასწავლებელმა უნდა აუხსნას მოსწავლეებს, რას ნიშნავს თემიდან განდევნა და რაოდენ საშინელი სასჯელი იყო იგი მოხევისათვის.

მასწავლებელი დააკვირებს მოსწავლეებს ონისესა და გუგუას დადებითს თვისებებზე, ვაჟკაცურ გულწრფელობაზე და სინიდისზე, ნაწარმოების უკანასკნელ სურათზე, როცა სამშობლოსა და ხალხის მაღალი იდეალების მატარებელი გოჩა საკუთარ შვილს ჰკლავს, რითაც ამტკიცებს, რომ მისთვის ყველაზე მაღლა სამშობლოს წმიდათა-წმინდა ინტერესები დგას.

გზადაგზა მასწავლებელი განმარტავს გაუგებარ სიტყვებსა და ფორმებს, ყურადღებას ამახვილებს მხატვრულ სახეებზე, კუთხურ გამოთქმებზე.

ამით მთავრდება „ხევისბერი გოჩას“ ტექსტზე მუშაობა კლასში, დანარჩენი მუშაობა ნაწარმოების შინაარსის განსამტკიცებლად გადატანილია შინ, რისთვისაც მოსწავლეებს ეძლევათ სხვადასხვა სახის დავალებანი, რომელთაც მასწავლებელი გზადაგზა ამოწმებს.

კლასს საშინაო დავალებად შეიძლება მიეცეს IX, X, XI თავებიდან, სახელდობრ, შემდეგი სახის კითხვები, რომლებზედაც უნდა მოამზადონ პასუხები:

1. აღწერეთ ონისეს განცდები. 2. ხევისბერი გოჩას პორტრეტი,

3. გაარკვიეთ გოჩას ნათქვამის აზრი: „იცი, ვისი გორისა ხარ?" „ვინძლო ქვეყანა არ გააცინო". 4. დაახასიათეთ ძიძიას ოჯახური მდგომარეობა და განცდები. 5. წაკითხული თავები დაყავით ნაწილებად და დაასათაურეთ. 6. გადმოეცით წაკითხული თავების შინაარსი. 7. გადმოეცით გაღვიძებული ბუნების სურათები. 8. პოეტური სახის რა საშუალებებს იყენებს მწერალი გაცოცხლებული, მხიარული ბუნების მეჯლიშის დასასათაურებლად? 9. როგორ უკავშირებს მწერალი ონისეს სულიერ მდგომარეობას კეკლუც ბუნებას? 10. მონახეთ უცნობი სიტყვები და გამოთქმები, თავისებური კუთხური სიტყვები და გრამატიკული თავისებურებანი და ამოწერეთ საშინაო დავალების რვეულებში!

ამგვარი მუშაობა მოსწავლეებში ზრდის პასუხისმგებლობის გრძნობას, ავითარებს მოსწავლეების აზროვნების უნარს და ნიადაგს ამზადებს ტექსტის ანალიზის ჩასატარებლად.

მუშაობის ეს სახე იმითაც არის დადებითი, რომ იგი დამოუკიდებელი გზით ზრდის მოსწავლეებში შრომისმოყვარეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობას.

იმ შემთხვევაში კი, როცა მასწავლებელი მოსწავლეებს წინასწარ დამუშავებულ მზამზარეულ მასალას აწვდის, იგი მათ ინტერესს ანელებს, მთელი კლასი ლაპარაკობს ერთი და იმავე სიტყვებით და კლასში შემოქმედებითი მუშაობა არ წარმოებს.

გამოჩენილი მეთოდისტი რიბნიკოვა ამ საკითხზე წერდა: „Обычно течение урока в моем представлении сводится к беседе, учитель, если можно и нужно, читает произведение, ставит вопросы, и на следующем уроке ученики отвечают на эти поставленные вопросы, ответы всегда требуют обсуждения и дополнения товарищем, это и есть основной материал урока" [1].

„ხევისბერი გოჩას" ტექსტზე მუშაობის დამთავრების შემდეგ (რომელსაც მოსწავლეები აწარმოებენ კლასში და შინ) დგება ნაწარმოების მთლიანი, საბოლოო გეგმა. გეგმის მიხედვით, საკვანძო სურათებს მოკლე თხრობით გადმოსცემენ მოსწავლეები; ყურადღებას ვამახვილებთ სამშობლოს სიყვარულის იდეაზე, გმირობასა და ვაჟკაცობაზე, პირდაპირობასა და უშიშრობაზე, საზოგადო ინტერესების წინა პლანზე დაყენების აუცილებლობაზე.

[1] ამის შესახებ იხილე: К. И. Спасская — Методические указания к преподаванию литературы в X классе, გვ. 25—26.

Н. К. Крупская — О воспитании и обучении. 1946 г., გვ. 177.

М. И. Калинин — О коммунистическом воспитании и обучении, 1948, გვ. 142.

მოსწავლეების აქტიური მონაწილეობით მასწავლ[illegible] მოყოფს იმ ადგილებს, რომლებშიც პატრიოტიზმის [illegible] ველი ფაქტიური მასალა ხვდება; მასწავლებელი მოსწავლეებს დაკვირვებით გამოკითხავს VIII თავს, XII თავის იმ ადგილს, სადაც მოხევეები გაიგებენ, რომ ნუგზარ ერისთავს მათი ყმად გახდომა განუზრახავს და მოსალოდნელი ომის ცნობა ონისემდე მიაღწევს. XIII თავიდან საზეპირო ადგილს: „გარიჟრაჟი იყო“; დამწყალობების სურათს, გოჩას პატრიოტულ მოწოდებას, ონისეს ვაჟკაცურ პასუხს „ერთხელ დაბადებულებს ერთხელ გვინდის სიკვდილი. . გავწყდეთ, ხალხო, და ცხო ხალხს კი ნუ ვიბატონებთ“; XIX თავიდან მოხევეთა საომარ განწყობილებას და ადგილს: „ერთ საღამოს მზე ჯერ არ ჩასულიყო“ — ვიდრე: „ნეტავი იმას, ვინც ამგვარ საქმეში მოკვდების, სასუფეველის გზა გაკაფული აქვს“: გამოიკითხავს XX თავს, ხევისბერი რომ ჯვარცმის წინ ლოცულობს: „მამაისი რაი გატირებს“ — აქედან, ვიდრე: „ახლა თქვენ იცით, რასაც იქთ“...

გამოიკითხავს XXI თავიდან ონისეს ნაროვანისაკენ გამგზავრებას და ძიძიასთან შეხვედრას.

ასევე გულისხმიერად გამოიკითხავს მასწავლებელი XXVI, XXVII, XXVIII თავებს. მნიშვნელოვანი ადგილების გამოკითხვით მასწავლებელი არკვევს ტექსტის ცოდნას.

როდესაც დარწმუნდება, რომ მოსწავლეებს ტექსტის შინაარსი კარგად აქვთ ათვისებული, კარგად ერკვევიან მასში ასახული ეპოქის მოვლენებში, შესწევთ უნარი სხვადასხვა სახის თხრობისა, დაგროვილი აქვთ მასალები გმირთა დასახასიათებლად, ამოწერილი აქვთ კუთხური მეტყველების გრამატიკული თავისებურებანი და ერკვევიან მათში, ამოწერილი აქვთ მხატვრული ხერხების გამოყენების მაგალითები, მასწავლებელი შემდგომ ვადადის ტექსტზე მუშაობის ისეთ გადამწყვეტ ეტაპზე, როგორიცაა მისი იდეურმხატვრული ანალიზი.

### ტ ე ქ ს ტ ი ს ა ნ ა ლ ი ზ ი

„ხევისბერი გოჩას“ ტექსტის ანალიზის დროს სისტემაში მოგვყავს სწავლების პროცესში შეძენილი ცოდნა და საბოლოოდ ვარკვევთ ნაწარმოების თემას, იდეას, მხატვრულ საშუალებებს, გრამატიკულ და სტილისტიკურ თავისებურებებს.

მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა გააგებინოს, რომ „ხევისბერი გოჩა“ მაღალიდეური მხატვრული ნაწარმოებია, სადაც სამშობლოს, საკუთარი ხალხის სიყვარული დასახულია უმაღლეს იდეალად, რომლის მატარებელია ნაწარმოების მთავარი გმირი გოჩა.

ნაწარმოების ანალიზს ვიწყებთ სახე-პერსონაჟის დახასიათებით, რადგანაც სახე-პერსონაჟის საშუალებით გამოხატულია ნაწარმოების იდეური მხარე და ამის გამო ნაწარმოების იდეური შინაარსისა და მხატვრულ თავისებურებათა გათვალისწინება გაგვიადვილდება[1].

სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია გმირთა დახასიათების სამი სახე:

ინდივიდუალური, შედარებითი და ჯგუფური.

„ხევისბერი გოჩას“ გმირთა დახასიათებისას ჩვენ სამივე სახეს გამოვიყენებთ.

## ა. პერსონაჟთა დახასიათება

„ხევისბერი გოჩას“ პერსონაჟთა დახასიათებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გოჩას, რომლის სახელს ატარებს ნაწარმოებიც.

გოჩას სახის სწორ და საფუძვლიან გაგებაზე არის დამოკიდებული ნაწარმოების იდეური შინაარსის გაგება. მასწავლებელმა მუშაობა ისე უნდა წარმართოს. რომ მან გაარკვიოს კლასი პერსონაჟის „პირდაპირი“ და „არაპირდაპირი“ დახასიათების რაობაში და ტექსტის სათანადო ადგილებზე დაყრდნობით დაანახვოს მოსწავლეებს, რომ გოჩას დახასიათებისას ორივე შემთხვევასთან გვაქვს საქმე.

სახე-პერსონაჟი რომ სრულყოფილად იქნეს დახასიათებული, ამისთვის საჭიროა ნაწარმოების დაკვირვებული კითხვა და ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ადგილების გახაზვა ტექსტში. საჭიროა მოსწავლეებს მასალების მოგროვება ვასწავლოთ, რის შემდეგ ამოწერილი ფაქტიური მასალა უნდა განვაზოგადოთ.

[1] ამ საკითხზე შდრ.: В. В. Голубков, Методика преподавания литературы, 1952 г., стр. 120.

გ. ნიორაძე, „ხევისბერი გოჩას“ სწავლება, გაზეთი „სახალხო განათლება“, 1948 წ., № 40.

ვ. მახარაძე, „მხატვრული ნაწარმოების მოქმედი პირის დახასიათების საკითხისათვის“, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება სკოლაში, VI—VII, გვ. 252.

პირველ ყოვლისა მოსწავლეთა ცნობიერებაში უნდა აღვადგინოთ გოჩას პორტრეტი. აქ ჩვენ საშუალება არა გვაქვს გოჩას პორტრეტის დასახასიათებლად დავიმოწმოთ სათანადო ადგილები. მივუთითებთ, რომ ნაწარმოების 270, 278, 285, 317 გვერდებზე მოიპოვება მასალა ამ პორტრეტის სრულყოფილად წარმოდგენისათვის.

გოჩას პორტრეტის დახასიათების შემდეგ ყურადღებას ვამახვილებთ გოჩას პიროვნების დამახასიათებელი მასალების ამოკრებაზე: 1. გოჩას ღმობიერება და გულკეთილობა (გვ. 270, 320, 321); 2. გოჩას გრძნობიერი ბუნება (გვ. 272, 273, 321, 323); 3. გოჩა, როგორც ადამიანის სულიერი სამყაროს მცოდნე (გვ. 271, 273, 275, 276); 4. როგორც მოსიყვარულე მშობელი (გვ. 295, 305, 306, 313—314, 324). 5. როგორც პატრიოტი (გვ. 303, 305, 320, 321); 6. ცხოვრებაში გამოცდილი და მოაზრებული (275, 287, 288, 293, 295, 312); 7. მებრძოლი და უშიშარი გმირი (გვ. 317, 319, 324); 8. როგორც სამშობლოსა და ხალხის მოღალატისადმი ულმობელი (გვ. 313, 317, 319, 323, 324)[1].

მასწავლებელი გოჩას დახასიათებისას მთელ კლასს აბამს მუშაობის პროცესში, აფართოებს და ავსებს მოსწავლეთა ცოდნას და საბოლოოდ მთლიანობაში იძლევა გოჩას დახასიათებას:

ხევისბერი გოჩა ხალხის ჭეშმარიტი მეთაურია, მშვიდობიან ცხოვრების დროს იგი არის თემის ბრძენი წინამძღოლი, მეგობარი ჭირსა და ლხინში (სახალხო დღესასწაულებზე, ქორწილში და სხვა); ომიანობის შემთხვევაში კი — შორსმჭვრეტელი, შთამაგონებელი და უშიშარი სარდალი (მასწავლებელი მოხდენილად იშველიებს ტექსტიდან აზრის ცხადსაყოფად ნიშანდობლივ დამადასტურებელ ადგილებს).

გოჩას პიროვნებაში მუდამ იგრძნობა ხალხის ბრძენი მეთაური, რომლისთვისაც „განუწყვეტლივ ზრუნვას, ფიქრს, გამოცდილებას და გონებრივ მუშაობას უფრო უმეტესის პატიოსნების, ჭკუის და ადამიანობის ბეჭედი დაესვა".

პირად ცხოვრებაში გოჩა გონიერი აღმზრდელი და მგრძნობიარე მამა-მშობელია.

გოჩა ხალხის ბრძენი ხელმძღვანელია. მისი გონიერების შედეგი

[1] ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. II, 1956 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო, რომ მთიულები მოხევეებთან ბრძოლაში არ ჩაებნენ და ნუგზარ ერისთავმა მარცხი განიცადა.

ბრძენი გოჩა უმძიმეს წუთებში-აც წონასწორობას ინარჩუნებს ბრძოლის ველზე, როცა პირგამეხებული მოხევეები თვალებანთებულნი მტრისგან სამაგიეროს ითხოვენ და გაიძახიან. „სისხლი. სისხლი! მომშეთ სისხლი ავიღოთ!“... „მათ შორის მხოლოდ ერთადერთი კაცი იყო, რომელსაც არაფერი არ ავიწყდებოდა, როგორის მდგომარეობაშიაც უნდა ჩავარდნილიყო და ყოველთვის დროსა პოულობდა საქმის ყოველივე მხრისათვის ყურადღება მიექცია“ (გვ. 312).

გოჩა მგზნებარე პატრიოტია, რაც ნაწარმოების მთელ მანძილზე მოჩანს (დამპყრობელი ერისთავის წინააღმდეგ მოხევეთა სამზადისის მომენტი, ლაშქართან შეტაკებისა და ნუგზარის განდევნის შემდეგ საკუთარ ოჯახში დატრიალებულ ტრაგედიის შემთხვევაში და სხვა).

გოჩა საზოგადო საქმეს პირადზე მაღლა აყენებს, შვილის სიყვარულზე მაღლა მას ხალხის ინტერესები აქვს დაყენებული. მიუხედავად იმისა, რომ „მოხუცს მზე და მთვარე ონისეზე ამოსდიოდა“, ხევის ინტერესები ისე მაღალ მცნებად მიუჩნევია, რომ იგი თავისუფლად ისტუმრებს თავის ერთადერთ იმედს ნაროვანისაკენ.

გოჩას პატრიოტობა და სიდიადე განსაკუთრებით იგრძნობა ბრძოლის ველზე: შორსმჭვრეტელი, უშიშარი, შთამაგონებელი სარდლის გამოჩენა მებრძოლთა გულებს ფოლადივით აწრთობს.

ბოლოს გოჩა მოჩანს თემის წევრთა შორის როგორც მკაცრი მსაჯული, სამართლიანობის დამცველი, მოუსყიდველი და გაუტეხელი, მოღალატისადმი ულმობელი.

გოჩას დახასიათებამ მოსწავლეებში უთუოდ უნდა აღძრას სამშობლოსათვის თავდადების სულისკვეთება.

გოჩას სრულყოფილი დახასიათების შემდეგ მათთვის ნათელი უნდა გახდეს, რომ ნაწარმოების ცენტრალური გმირი გოჩა აღჭურვილია მოწინავე, საზოგადოებრივი და მაღალი ზნეობრივი იდეალით. იგი თავგანწირულ ბრძოლას აწარმოებს სამშობლოს თავისუფლების დასაცავად და მზად არის თავისი თავი და შვილის სიცოცხლეც ხალხის სამსახურს შესწიროს.

მასწავლებელმა უნდა დაუმტკიცოს მოსწავლეებს, გოჩას სახეს რომ დიდი შემეცნებითი ღირებულება აქვს, გოჩა რომ ტიპია, რადგან „სისრულითა და სიმახვილით გამოხატავს მოცემული სოციალური ძალის არსს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოჩას დახასიათების შემდეგ მასწავლებელმა მოსწავლეებს გოჩას თავგადასავალი უნდა მოუთხროს, რადგან ხშირია შემთხვევა, როცა მოსწავლეები ნაწარმოების სახე-პერსონაჟის დახასიათებას თავგადასავალში ურევენ, და დაავალოს: 1. გოჩას დახასიათებისა და 2. თავგადასავლის დაწერა. დახასიათებასა და თავგადასავალს შორის განსხვავების საპოვნელად მასწავლებელმა წინასწარი გზა უნდა მისცეს მოსწავლეებს: დახასიათების დროს გმირის გარეგანი და შინაგანი სამყარო უნდა გადმოსცენ, თავგადასავლის თხრობის დროს კი გმირის ცხოვრების მთავარ მომენტებსა და ძირითად მოქმედებას უნდა მიექცეს მოსწავლეთა მთავარი ყურადღება.

გოჩას დახასიათებისა და თავგადასავლის განხილვის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ავალებს მასალების ამოკრებას „ხევისბერი გოჩადან“ უარყოფითი სახე-პერსონაჟის ნუგზარ ერისთავის დასახასიათებლად.

როცა მოსწავლეები დააგროვებენ საჭირო მასალას ნუგზარ ერისთავის დასახასიათებლად, შემდეგ მასწავლებელი დაასკვნის, რომ ნუგზარ ერისთავის პორტრეტისა და ხასიათის, თვისებების გაცნობა გვაძლევს წარმოდგენას, რომ ნუგზარი უარყოფითი ტიპია. მწერალი არ იშურებს ეპითეტებს მისი გარეგნული სიმახინჯისა და შინაგანი სამყაროს უარყოფითი თვისებების გამოსამჟღავნებლად (გვ. 295—296).

მასწავლებელი კლასს აძლევს განმარტებას, რომ ალ. ყაზბეგი „ხევისბერ გოჩაში“ ეპითეტების ორ კატეგორიას იძლევა დადებით და უარყოფით გმირთა დასახატავად. ეპითეტების საშუალებით დადებით გმირს გვაყვარებს, უარყოფითს გვაძულებს. გარდა გარეგნული სხვაობისა, ავტორი გოჩასა და ნუგზარს შორის პრინციპულ განსხვავებისაც იძლევა: გოჩა ხალხის ინტერესებისათვის იღწვის, ნუგზარი კი — პირადი სარგებლობისათვის. გოჩა მშობელი მამაა თავისი ხალხისა, მათზე მზრუნველი და გულშემატკივარი. ნუგზარი კი ვერაგია და სისხლით გაუმაძღარი, იგი მტაცებლური ბუნების ადამიანია, მისი მოქმედება ანგარებაზეა დაფუძნებული და ამიტომ სიძულვილს იმსახურებს.

ონისეს დახასიათებისას მასწავლებელი მოსწავლეთა ყურადღებას გაამახვილებს: 1. ონისეს სულგრძელობაზე, 2. მის პატრიოტობაზე, 3. თავგანწირულებასა და გულადობაზე, 4. სინდისიერებასა და კეთილშობილებაზე.

ონისეს დახასიათებისათვის ნაწარმოებში არსებული მასალების

ამოკრების შემდეგ მასწავლებელი განიხილავს მათ და დასკვნის, რომ ონისე გულადი, უშიშარი, მამაცი გმირია, იგი კეთილშობილია. მართალია, სიყვარულმა მას მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობა დაავიწყა, მაგრამ როგორც კეთილშობილი ადამიანი, ონისე გულწრფელად წარდგა ხევის წინაშე, ჩადენილი შეცდომა აღიარა და ამით უდანაშაულო გუგუა ხალხის რისხვისაგან იხსნა.

ონისეს დახასიათების შემდეგ მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს საერთოდ მოხევეთა სამართლიანობაზე, გულწრფელობაზე, სიტყვის გაუტეხლობაზე, უშიშროებაზე და გულადობაზე.

### „ხევისბერი გოჩას“ კომპოზიციური ანალიზი

სანამ მასწავლებელი „ხევისბერი გოჩას“ კომპოზიციურ ანალიზს შეუდგებოდეს, მანამ მოსწავლეებს უნდა მოაგონოს ლიტერატურის თეორიაში ნასწავლი კომპოზიცია და მისი ელემენტები, ელემენტების დახასიათება, უნდა მოაგონოს ნასწავლი მოთხრობებიდან კომპოზიციური ანალიზის გეგმა და ადგილები.

მასწავლებელი განმარტავს, რომ „ხევისბერი გოჩა“ კომპოზიციური თვალსაზრისით ერთ-ერთი ძლიერი ნაწარმოებია, სადაც მხატვრული სურათები იშლება წინასწარ დასახული ძირითადი მიზნის გარშემო ისე, რომ ყოველ ახალ ფურცელს მოვლენათა და მოქმედებათა მიზეზობრივი განვითარების ახალ სამყაროში შევყავართ.

მასწავლებელი დასვამს კითხვებს: სად იწყება ამბავი? სად არის ექსპოზიცია? მოქმედების განვითარება? კულმინაცია? და სხვა.

მოსწავლეებს მოაქვთ „ხევისბერი გოჩადან“ ამ თვალსაზრისით დამახასიათებელი ადგილი: 1. ბუნების პეიზაჟი და საქორწინო სურათის გარეგნული აღწერა (I—II თავში) ნაწარმოების ექსპოზიციური ნაწილია, რომელიც ამზადებს ნიადაგს ნაწარმოების კვანძის შესაქმნელად.

2. კვანძი იქ იკვრება, სადაც მოხუცი ძიძიას აბარებს ხელის მომკიდეს (გვ. 261) სიტყვებიდან: „ონისემ ხელი შეახო თუ არა ქალს“ — ვიდრე: „თავი ისევ შეიკავა“.

3. მოქმედება ვითარდება — ძიძია და ონისე მარხილით მიემგზავრებიან (გვ. 264) „ონისე იჯდა მარხილზედ, გადაეგდო თავიდგან კაბალახი“ — ვიდრე: „შეპყრობილთ ერთის გრძნობით, აღგზნებულთ ერთი რიგის წადილით“.

4. მოქმედების შენელების ცხადსაყოფად უნდა გამო[illegible] ის ადგილი, როცა გოჩა მიმართავს შვილს: „გახსოვდეს, [illegible] რისა ხარო“ და ონისეც გრძნობს მამის სიტყვების მნიშვნელობას და აგონებს იმ მოვალეობას, რომელიც ერთ პირს მთელს სახლობასთან აკავშირებს (გვ. 276).

ამ მიზნით იგი ტოვებს თავის სოფელს, ფშავში მიდის, თუშის ქალებთან ერთობა, გრძნობას ებრძვის „ძნელი და მწარე იყო მისი ცხოვრება“ — აქედან ვიდრე: „ძიძია არ უნდა ჰყვარებოდა და უნდა დაევიწყა“ (გვ. 279).

5. მოვლენათა აღმავლობა — როცა მოსალოდნელი ომის ცნობა ონისემდე მიაღწევს, იგი იძულებულია, შინ დაბრუნდეს, თავი ისახელოს ომში. მაგრამ იგი ძიძიას შეხვდება და მიძინებული გრძნობა კიდევ უფრო ძლიერად იფეთქებს (გვ. 291). აქედან: „მოხევე შესცქეროდა ძიძიას აღგზნებულის თვალებით“... ვიდრე: „თითქოს ქვეყანაზე მისთვის ამის მეტი სიტყვა აღარ მოიპოვებოდა“.

მასწავლებელმა უნდა დააკვირვოს მოსწავლეები იმ ფაქტს, რომ მოვლენათა განვითარება ნაწარმოებში მარტო ერთი გზით არ ხდება, მოვლენები ორი გზით ვითარდებიან: 1. სამშობლოს დაცვის იდეის თვალსაზრისით და 2. სიყვარულის გრძნობის მიხედვით.

ხალხი ნუგზარ ერისთავის წინააღმდეგ ემზადება, გოჩა ხალხს ბრძოლისაკენ მოუწოდებს. საომარი მოქმედება ვითარდება. ხევის ყოველი მისადგომი გამაგრებულია. ონისეს საზღვრის საგუშაგო აქვს ჩაბარებული. მან უნდა ამცნოს თემს მტრის მოახლოება.

6. კულმინაცია — გუგუა ონისეს სიკვდილს გადაწყვეტს, რადგან ძიძიამ გულახდილად უთხრა ქმარს, რომ მას იგი არ უყვარს და ვერც შეიყვარებს.

გუგუამ ხანჯლის ტარს ხელი გაივლო, ძიძიამ მიატოვა და ონისეს მოსაკლავად გაემართა. ძიძია კლდიდან უნდა გადავარდეს, მაგრამ ონისე მას თვითმკვლელობისაგან იხსნის.

ძიძიასთან ტრფიალების ცეცხლი ონისეს იმონებს და მოვალეობას ავიწყებს, მაგრამ თავდავიწყებიდან ონისეს გამოიყვანს თოფის სროლის ხმა. თავზარდაცემულ ონისეს „თვალწინ გადაეშალა შემაძრწუნებელი სურათი. ქვევით გაიმართა კვირცხლი თოფის სროლა თოფები ელავდნენ, ცეცხლები ენებსავით გრძელდებოდნენ და გრიალით განაქრობდნენ ლომებრივ მამაცთა სიცოცხლეს“ (გვ. 308).

7. კვანძის გახსნა — კვანძი იხსნება მაშინ, როდესაც ონისეს არსებაში გრძნობა და მოვალეობა ერთმანეთს ეჯახება, გრძნობა

მოვალეობას ავიწყებს, ავიწყებს თავისთავთან მიცემულ ფიცს [illegible] („ულვაში მაქვს, ქუდი მხურავს და გულიც უნდა დამშ[illegible]

ონისე მარცხდება და მისდაუნებურად სამშობლოს [illegible] გამოდის (გვ. 308). ონისე თავის თავს გამოუტანს განაჩენს: ეს არის სიკვდილის წადილი და სიკვდილი უეჭველად იმ ხელით, რომელმაც მისი ამხანაგების სიცოცხლე გააქრო. იმ მახვილით, რომელიც იმისი მეზობლების უბრალო სისხლით არის შეღებილი.

8. მოქმედება მთავრდება კატასტროფით: ხევისბერი კლავს ონისეს. გუგუა თავს იკლავს, ძიძია გადაიკარგება, გაგიჟებული გოჩა თოვლში იღუპება.

ნაწარმოების კომპოზიციური ანალიზის შემდეგ გადავდივართ ენობრივ ანალიზზე.

## ენის ანალიზი „ხევისბერი გოჩას“ მიხედვით

მხატვრული ნაწარმოების იდეა და მხატვრული მხარე რომ სწორად და ზუსტად გაიგოს და ღრმად შეითვისოს მოწაფემ, ამისათვის აუცილებელი პირობაა მწერლის ენის შესწავლა, შესწავლა იმ ფორმებისა, რომლებშიაც ჩამოყალიბებულია ნაწარმოების იდეა, შინაარსი და რომელიც გადმოსცემს მის მხატვრულ თავისებურებას.

„ხევისბერი გოჩას“ სწავლებასთან დაკავშირებით გარკვეული უნდა იქნას ალ. ყაზბეგის ენის სპეციფიკური თავისებურება, მის მიერ გამოყენებული მოხეური კილოს ფაქტები. ენის ანალიზისათვის მასწავლებელმა გარკვეული მოსამზადებელი მუშაობა უნდა ჩაატაროს: კლასს უნდა განუმარტოს თავისებური სიტყვები, დაავალოს სახელმძღვანელოში მოცემულ უცნობ სიტყვებსა და გამოთქმებზე, განუმარტოს ნაწარმოებში მოცემული ლექსიკური, ფონეტიკური და გრამატიკული თავისებურებანი [1], რის შემდეგ დაავალებს მოსწავლეებს მაგალითების ამოწერას (ლექსიკურ, ფონეტიკურ, გრამატიკულ თავისებურებებიდან).

ალ. ყაზბეგის ენის თავისებურებათა სწავლებისას მასწავლებელი გააანალიზებს მხოლოდ იმათ, რაც ახალი ქართული ენის პროგრამით აქვთ მათ ნასწავლი და შეთვისებული.

კლასს განუმარტავს ფონეტიკურ მოვლენებს. სათანადო მაგა-

[1] ამ საკითხზე დაწერილი აქვს შრომა ივ. ქავთარაძეს, მოხეური კილო ალ. ყაზბეგის ენაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXXVъ, 1949.

ლითებით უჩვენებს, რომ კომპლექსები სკ, სხ, სტ, ზღ იძლევა კომპლექსებს შკ, ცხ...

მაგალითად: შკამზე, ცხვები, ლაქლანდარობით; მასწავლებელი მოსწავლეებს განუმარტავს, ვა კომპლექსი ო-ს რომ იძლევა. მაგალითად: ვისი გორისა ხარ (გვ. 275), ცხორი.

მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს, რომ სახელობით ბრუნვაში ხმოვნიან სახელებთან ზოგჯერ „ი“ იხმარება: ნუგზარაი (გვ. 300), გუგუაი (გვ. 259).

ასევე მასწავლებელი განმარტავს, ნაცვალსახელი „რა“ ნათესაობითში უკვეცელი ფორმით რომ იხმარება: რაისთვი ექადი (გვ. 307).

მასწავლებელი მოსწავლეებს გადასცემს, რომ „ხევისბერ გოჩაში“ (და საერთოდ ალ. ყაზბეგის შემოქმედებაში) გვხვდება წოდებითი ბრუნვის თავისებურად ხმარების შემთხვევები. მაგალითად: დათაუ (გვ. 289), ბიჭაუ (გვ. 281), გოჩაუ (გვ. 287), ქალაუ (გვ. 290).

გან-თანდებულიანი მოქმედებითის ფუნქციით გვხვდება უთანდებულო მოქმედებითიც (საით მოხვედი, გვ. 291).

სიტყვაწარმოებიდან განსაკუთრებულია ნათესაობით ბრუნვის ფორმისაგან საზღვრულის დაკარგვის შედეგად ისეთი თავისებური, დამოუკიდებელი საალერსო ფორმების გავრცელება, როგორიცაა: „დედაისი“, „ხაზუასი“, „მამაისი“ და სხვ.

სახელთა ბრუნებისას თავისებურებათა გარკვევის შემდეგ მასწავლებელი არკვევს ზმნების თავისებურებას: დინამიკურ ვნებითებს აწმყოს მწკრივის III სუბიექტურ პირის ნიშნად მხოლობით რიცხვში ს მოუდის, ახალი სალიტერატურო ქართულის ა-ს ნაცვლად. მაგალითად: დაილევის (გვ. 259), მოეტყუების (გვ. 259), გაისვლების (გვ. 259). გაცხარდების (გვ. 303), მიძნელდების (გვ. 321).

მასწავლებელი აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ II თურმეობითში ოდიანი ფორმის ნაცვლად ზოგჯერ აღწერითი წარმოებაა გამოყენებული: მოსდებიყო (გვ. 265).

ბრძანებითი ფორმები, როცა მუდარას, თხოვნას გამოხატავს, ასეთ სახეს იღებს: „დაარიგოდე ეს ბალღი“ (გვ. 259).

„შე“ ზმნისწინი „შა“-ს სახით იხმარება: შაეკრა (გვ. 258), შაეპყრო (გვ. 216), შაეშინებინა (გვ. 166).

„თუ“ კავშირს „ხომ“ ნაწილაკის დანიშნულება აქვს: „ბიჭაუ რაი მოგსვლია, დამთვრალი თუ არ ხარ?“ (გვ. 268), „ზოვმა სადმე ჩავმარხოს, ის თუ არ გინდა?“ (გვ. 275).

მოსწავლეებს დავაკვირვებთ სინტაქსიდან შეთანხმების საკით-ხებზე და განვუმარტავთ, რომ მხოლობითში დასმულ, მაგრამ შინაარ-სიკურად მრავლობითის გამომხატველი სახელით აღნიშნული ქვე-დებარე შემასმენელს რიცხვში ითანხმებს: „ყველამ შეამჩნიევს“ „ყველამ თოფები ჩამოუშვეს“ (გვ. 309).

მოხეური კილოსათვის დამახასიათებელი ფონეტიკურ-გრამატი-კული თავისებურებების გარკვევისას მასწავლებელმა უნდა მოხაზოს, რომ ისინი უპირატესად გამოყენებულია არა ავტორის, არამედ პერსონაჟთა მეტყველებაში.

მასწავლებელმა „ხევისბერი გოჩას“ შესწავლასთან დაკავშირე-ბით ყურადღება უნდა გაამახვილოს მხატვრულ ხერხებსა და საშუ-ალებებზე, რადგან მათზე სისტემატური ვარჯიში მოსწავლეთა გე-მოვნებას ზრდის, ხელს უწყობს მათი მეტყველების კულტურის განვითარებას და ესთეტიკურ აღზრდას.

მოსწავლეები გზადაგზა უნდა კრებდნენ, რვეულებში იწერდნენ სათანადო მაგალითებს და მას უნდა იყენებდნენ როგორც შინა-არსის თხრობის, ასევე ტექსტის ანალიზის პროცესში; მაგრამ არა მარტო ამოწერა და დასწავლა კმარა, არამედ საჭიროა მოსწავ-ლეებს გავურკვიოთ მათი დანიშნულება, ფუნქცია ნაწარმოებში. მაგალითად: 1. „ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდა მშვენიერი შეხედუ-ლების მოხუცი, თეთრის წვერით და თეთრსავე ჩალმით თავზე... თეთრს გასუქებულს ცხენს, რომელიც გედსავით მოცურავდა, მაღლა და ამაყად აელო თავი, თითქოს გრძნობდა, თუ რა მხედარი მოჰყავდა“ — საყვარელი გმირის გარეგნობის და საქებური თვისე-ბების შესატყვისი ეპითეტებია.

2. „იმისი ტლანქის პირისახის ნაკვთები, სქელი და რაოდე-ნადმე გადმობრუნებული ტუჩები, მსხვილი და მოგრძელო ცხვირი, განიერი ნესტოებით და პატარა, ქუთუთოებ შეშუპებული თვა-ლები“ — უარყოფითი ტიპის ნუგზარ ერისთავის გარეგნული სი-მახინჯის განმსაზღვრელია, რათა ავტორმა ამით ხაზი გაუსვას ნუგზარ ერისთავის შინაგან უარყოფით თვისებებს და მით უზრუნ-ველყოფილი იქნას უარყოფითი პერსონაჟის, უარყოფით თვისე-ბათა სრულყოფილად, დამაჯერებლად გადმოცემა.

3. „გაიარა ბნელმა და გულჩათხრობილმა ზამთარმა და მასთან ერთად გაჰქრა სევდის ამშლელი ტყვიისფერი ღრუბელი, რომე-ლიც მწუხრის ზეწარივით აბნელებდა მთის წვერებს და ხევებს“ — ზამთრის ბუნების სურათის გადმომცემია.

4. შედარება — „აგერ მორბის, დამკრთალს არჩვსავით მოხევის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შავთვალა ქალი“ — ქალის სილამაზის და სინაზის გამომხატველია.

5. „მიუახლოვდნენ საყდარს, რომლის წინაც იდგა [illegible] მოსადევი მოხუცი, გათეთრებული როგორც თოვლი“ [illegible] პეტაკის გამომხატველია.

6. შედარება — „ონისე ოხრავდა, ქშინავდა, მოსვენება ვერ ეპოვა და დაჭრილს ლომივით გამძვინვარებული გმინვით დადიოდა მთა-ბარად“ — ონისეს ძლიერი განცდების და ტკივილების გადმოცემაა.

7. „ნუგზარ ერისთავი ლომსავით ბრდღვინავდა“ — მტრის ფიზიკური ძლიერების და სისხლისმსმელი განწყობის გამომხატველია.

და ასე ამ გზით მოსწავლეებმა, მასწავლებლის მითითების მიხედვით, დამოუკიდებლად უნდა აწარმოონ დაკვირვება მხატვრულ სახეებსა და საშუალებებზე, შესძლონ მათი გაშინაარსება, რაც ხელს შეუწყობს „ხევისბერი გოჩას“ მხატვრულ ღირებულებაში გარკვევას და მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრდას.

## დასკვნითი ეტაპი

ზემოაღნიშნულ სამუშაოთა შესრულების შემდგომ მასწავლებელი არკვევს ნაწარმოების თემას, იდეას, მიზანდასახულებას და აკეთებს საერთო დასკვნას, რომ „ხევისბერი გოჩა“ მაღალიდეური ნაწარმოებია.

თხზულებაში წამყვანია პატრიოტული მოტივი, ნაწარმოების დადებითი პერსონაჟები შთაგონებულნი არიან მაღალი სახალხო მიზნებითა და იდეალებით. ისინი თავის ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძვიან. მათთვის უდიდესი ბედნიერებაა სამშობლოს საკეთილდღეოდ თავის გაწირვა.

„ყველა მიდიოდა პირზედ ღიმილით, — წერს ალ. ყაზბეგი. — რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ წმინდა მოვალეობას ასრულებდა და, თუ სიკვდილი შეემთხვეოდა, მისი სახელი ხალხში დიდხანს მოიხსენებოდა და შორის მთებში გაითქმებოდა... ბრძოლა თავის მიწაწყლის დასაცავად მეჯლისში წასვლას ემსგავსებოდა“ (გვ. 314—315).

ალ. ყაზბეგის გმირებს მტკიცედ სწამთ და სჯერათ, რომ სამშობლოს ღალატი „მიწის შერყევა ცის ჩამონგრევაა“, რომ „მოძმეთ მოღალატე სიცოცხლის ღირსი არ არის“, ის, ვინც სამშობლოს წინაშე მოვალეობის წმინდა გრძნობას პირად განცდებს და-

უმორჩილებს, მას შურისგება და ხალხის რისხვა არ ასცდება, მას თემისაგან განდევნა და ჩაქოლვა მოელის.

მასწავლებელი მოსწავლეებს გადასცემს, რომ „ხევისბერ გოჩაში“ მთავარი ადგილი უჭირავს ოპტიმიზმის იდეას: ნაწარმოების გმირებს სჯერათ, რომ გამარჯვება მათი იქნება. მათ სწამთ ნუგზარ ერისთავთან თავიანთი ბრძოლის სამართლიანობა და ამიტომ მტკიცედ ირაზმებიან საერთო მტრის წინააღმდეგ: „რაი ვუყოთ, რომ ერთზედ ათი მოვა?! ასიც რომ მოვიდეს, მაინც გამარჯვება ჩვენი იქნების. იმად, რომ ჩვენ ღმერთთანაც და კაცთანაც მართალი ვართ. ჩვენ გვიცვივიან სახლში, ჩვენ გვიპირებენ აკლებას, ჩვენ დედაკაცებს გაწბილებას და ამგვარი საქმის საწინააღმდეგოდ სიკვდილი ღვთის მადლმა სანეტაროც არის! ვინა ხართ ბედნიერი, ვის გიცემსთ ქუდოსანთ გული, ვის გერჩით მკლავი? ყველა ერთისათვის და ერთი ყველასათვის“! (გვ. 303).

პატრიოტული მოტივის გარკვევის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეთა ყურადღებას ამახვილებს ბუნების სურათებზე, რომლის შესახებაც ადგილები ან თვითონ უნდა წაიკითხოს ან კარგ მკითხველ მოსწავლეს წააკითხოს.

მოსწავლეებისათვის ნათელი უნდა გახდეს, რომ მომხიბლავი საღებავებით დახატული ბუნების სურათები ნაწარმოებში ფონია გმირთა სულიერ სამყაროს გადასაშლელად.

გაზაფხულის დიდებულ სურათს (გვ. 277—78), ალ. ყაზბეგი ხატავს იმიტომ, რომ ხაზი გაუსვას სულიერ ტანჯვას ონისესას, რომლის გულსაც „ჯერ გაზაფხული არ სწვეოდა და ზამთრის ღრუბლივით ნისლმოხვეული მწარეუდ ჩაბნელებულიყო“.

ნაწარმოების XX თავში დახატული დაისის დიდებული პეიზაჟი გოჩას დიდ სულიერ ტანჯვასთანაა შეხამებული.

პერსონაჟის განწყობილება, საერთოდ, ბუნების რომანტიკულ სურათთან კავშირში აქვს გადმოცემული ალ. ყაზბეგს: „ცა, ღრუბელი, ვარსკვლავი, მთვარე, ბუნების მდიდარი სურათი ონისესათვის მდიდარნი და სიტკბოებით სავსენი მხოლოდ იმიტომ-ღა იყვნენ, რომ მათთან ერთად ეხატებოდა ძიძიას სურათები, სატრფოსთან დიდარეჯით, თავდავიწყებამდის ეალერსებოდა“ (გვ. 277).

პეიზაჟს „ხევისბერ გოჩაში“ შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან ავტორი მას პატრიოტული მოტივის გასაძლიერებლად ხატავს (იხ. გვ. 282—283).

ლამაზად დახატული გარიჟრაჟის სურათი მკითხველს უანგაროდ აყვარებს სამშობლოს, მის დასაცავად განაწყობს.

ამრიგად, ბუნების სურათები ალ. ყაზბეგის „ხევისბერ გოჩაში“ მხოლოდ ესთეტიკური დატკბობის მიზნით არ არის, [illegible] მას გარკვეული იდეურ-მხატვრული ფუნქცია აქვს დაკისრებული.

შემდეგ მასწავლებელი სხვა მთავარ საკითხებსაც ეხება ნაწარმოებიდან და იგი ნათელყოფს იმ ფაქტს, რომ ალ. ყაზბეგს ეხერხება სიუჟეტის ოსტატური განვითარება. ნათელი და ძლიერი ეპითეტები, შედარებანი. დიალოგის ბუნებრივობა მაღალ-მხატვრულ ღირსებას ანიჭებს „ხევისბერ გოჩას“.

ნაწარმოების ენა სრულყოფილად გადმომცემია მისი პერსონაჟების სულიერი განწყობილებისა.

მასწავლებელი მოსწავლეებს ურკვევს იმ ფაქტს, რომ „ხევისბერი გოჩა“ დაკავშირებულია ხალხურ შემოქმედებასთან, ხალხურ პოეზიასთან, რასაც ცხადყოფს ნაწარმოებში გადმოცემული სხვადასხვა ხალხური ცერემონიალი და ჩვეულება, როგორიცაა: თემობა, ქორწილი, „დამწყალობება“, სახალხო გასამართლება, ჩაქოლვა, თემიდან განდევნა.

ხალხური მეტაფორები, ეპითეტები და ხალხური ლექსები ავტორს პიროვნებათა განცდების გამოსახატავად აქვს მოცემული, ხან პირიქით, პიროვნებათა განცდების საწინააღმდეგოდ, მათ საპირისპიროდ, მაგალითად, ხალხური მაყრიონის სიმღერა:

„გაუსვი და გამოუსვი,
ვითომ ჰიანურიაო,
მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებ,
ისიც შინაურიაო“.

ბიჭს აძლევს თავშეკავებისათვის ონისეს და ძიძიას, რომლებიც გატაცებას მისცემიან, ქვეყანა და ხალხი გადავიწყებიათ.

### მოსწავლეთა ცოდნის აღრიცხვა

„ხევისბერი გოჩას“ შესწავლის პროცესში ამა თუ იმ ეტაპზე (ტექსტის კითხვა, გეგმის შედგენა, შინაარსის თხრობა, გმირთა დახასიათება და სხვა) ვახდენდით მიმდინარე აღრიცხვას. ნაწარმოების შესწავლის დამთავრების შემდეგ ერთხელ კიდევ უნდა შემოწმდეს მოსწავლეთა ცოდნა.

აღრიცხვის შემდეგ მასწავლებელი ანალიზს უკეთებს თავის მუშაობის მიღწევებს, ნაკლს და სახავს ღონისძიებას მუშაობის უკეთ წარმართვისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოწმება გვეხმარება ცოდნის საფუძვლიან სიმტკიცეში, იგი ავითარებს მოსწავლის აზროვნების უნარს. კითხვები, რომლებსაც შემოწმების დროს დავუსვამთ მოსწავლეებს, უნდა გამომდინარეობდეს პროგრამული მოთხოვნილებიდან და უნდა ატარებდეს განმაზოგადებელ ხასიათს.

„ხევისბერი გოჩას“ ცოდნის შემოწმების მიზნით მოსწავლეებს შეიძლება დავუსვათ ასეთი სახის კითხვები: (საორიენტაციოა): 1. ჩამომითვალეთ ნაწარმოების ძირითადი მოტივები; 2. დამიხასიათეთ ნაწარმოების გმირები; 3. სად არის მოთხრობაში კვანძი; კულმინაცია; კვანძის გახსნა; მოქმედების დამთავრება; 4. გაარკვიეთ ქართველ ტომთა შორის არსებული ურთიერთობა; 5. მოახდინეთ ნაწარმოების ფონეტიკურ-გრამატიკულ-სტილისტიკური ანალიზი; 6. რა მხატვრულ ხერხებს იყენებს ავტორი ამ მოთხრობაში; 7. გაარკვიეთ ნაწარმოების თემა და იდეა

მოსწავლეთა ცოდნის გამოსარკვევად, ზემოთ ჩამოთვლილი კითხვების დასმის გარდა, არსებობს სხვა საშუალებაც: შესაძლებელია მოსწავლეებს გადმოვაცემინოთ ნაწარმოების შინაარსი თხრობის სხვადასხვა სახით. გამოვკითხოთ საზეპირო ადგილები და გამოვარკვიოთ მათი ცოდნა მხატვრული კითხვის თვალსაზრისით.

მოსწავლეთა ცოდნის შემოწმების ერთ-ერთ ძირითად სახეს წარმოადგენს წ ე რ ი თ ი მ უ შ ა ო ბ ი ს ჩ ა ტ ა რ ე ბ ა (საკლასო, საკონტროლო).

წერითი მუშაობის ჩატარებისას მასწავლებელს მეტი შესაძლებლობა ეძლევა შეამოწმოს მთელი კლასის ცოდნა და სისტემაში მოიყვანოს იგი. მოსწავლეები კი წერითი მუშაობის პროცესში ახდენენ მიღებული ცოდნის განმტკიცებას, თავიანთი აზრების გადატანას ქაღალდზე, რომლის დროს მჟღავნდება მათი ნაკითხობა, ლიტერატურული ფაქტების ცოდნა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი.

თემები წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით უნდა იწერებოდეს.

„ხევისბერი გოჩას“ შესწავლის პროცესში საშინაო და საკლასო წერითი მუშაობისათვის ქვემოთ მოყვანილი საორიენტაციო თემატიკიდან შესაძლოა შევარჩიოთ შემდეგი სახის თემები:

1. ქორწილი ხევში; 2. თემის ყრილობა სამების ტაძარში; 3. მოხევეთა ბრძოლა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის; 4. გოჩას განაჩენი დამნაშავეთა მიმართ; 5. მოძ-

მეთ მოღალატე სიცოცხლის ღირსი არ არის; 6. გოჩას [illegible]ათება; 7. სამჯავროში, 8. ქართველი გმირები ბრძოლის ველზე!

„ხევისბერი გოჩას“ წარმოდგენილი ანალიზი, ვფიქრობთ, ერთგვარ დახმარებას გაუწევს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს VII კლასში ალ. ყაზბეგის შემოქმედების შესწავლისას წამოჭრილ სიძნელეთა დასაძლევად.

(შემოვიდა რედაქციაში 13. XI. 1956).

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XV, 1956.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XV, 1956.
ეროვნული ბიბლიოთეკა

К. А. КИЛАСОНИЯ

# О НЕКОТОРЫХ МОТИВАХ ПОЭМЫ А. И. ПОЛЕЖАЕВА „САШКА“

Поэма „Сашка“ была написана Полежаевым в 1825 году. Известно, что она была доставлена Николаю I, и 28 июля 1826 года студент Московского университета А. Полежаев читал вслух свою поэму, переписанную „на прекрасной бумаге“, самому государю. Известно также, что эта поэма навсегда определила судьбу молодого поэта. Как сообщает Герцен, царь не дослушал поэму до конца. „Я положу предел этому разврату. Это все еще следы, последние остатки: я их искореню,“ — заявил он[1]. Николай I направил Полежаева на военную службу в качестве солдата и, несмотря на то, что Полежаев не раз отличился в боях, что непосредственное начальство, жалея талантливого молодого человека, неоднократно пыталось выхлопотать ему офицерский чин, Николай I каждый раз отклонял эти хлопоты.

Наказывая Полежаева, Николай продолжал расправляться с первым поколением русских революционеров. По справедливому замечанию Н. Бельчикова“... участь его (Полежаева—К. К.) была не лучше участи тех, кто после разгрома восстания заключен был в тюрьму, сослан на каторгу или в глухие, гибельные места Российской империи“[2].

Хотя в словах Николая I отчетливо видно, что исключительные меры наказания были вызваны вольнолюбивым духом поэмы, ряд исследователей попытался определить поэму как невинную

---

[1] А. И. Герцен, „Былое и думы“, Л-д, 1947, стр. 88—90.

[2] А. И. Полежаев, „Полное собрание стихотворений“, Л. 1939 г. стр. V.

ეროვნული ბიბლიოთეკა

шутку молодого студента или как произведение, исполненное циническими картинами, порнографией.

В 1895 году в „Историческом вестнике“ была помещена статья Евгения Белозерского „К биографии поэта Полежаева“. В статье передаются воспоминания современницы Полежаева Е. А. Дроздовой: „Товарищи Полежаева говорили г-же Дроздовой, что в университете он шел хорошо, и начальство отличало его среди других студентов. На свою беду поэт перед окончанием университетского курса написал известную шуточную поэму „Сашка“, которая в игривой форме описывала разные похождения и кутежи студентов. Название „Сашка“ относилось собственно не к одному только Александру Полежаеву, но и ко всем другим товарищам — Коврайскому, Лазовскому, Уткину и проч., которые все назывались Александрами. Эта поэма была написана на нескольких листах писчей бумаги, а на первой странице карандашом был нарисован портрет государя с подписью „Рисовал студент Уткин“[1].

Как видим, это описание исключает какую-либо серьезную основу поэмы. Перед нами просто шутливая поэма, написанная для развлечения тесного круга товарищей (нескольких Александров).

По мнению самого Евг. Белозерского, „В другое время эта шалость и прошла бы, может быть, безнаказанно для поэта, но вскоре после движения декабристов, которое приписывалось вредному образованию юношества, трудно было расчитывать на снисходительность“[2].

Проф. Евг. Бобров утверждает, что „политических строф в „Сашке“ мало“, что „государь поэму не считал „преступлением“ и поэта „преступником“, что цинизм поэмы, откровенные порнографические картины, заставляли „всякого, чувствовавшего к Полежаеву симпатию, пожелать изменения жизненных условий молодого поэта. Для исправления военная служба была не плохим средством, но Полежаев не исправился, он запил, с еще большей стремительностью отдался разврату и погиб“[3].

---

[1] „Исторический вестник“, 1895 г., т. LXI, стр. 655

[2] Там-же.

[3] Бобров Евг. „К столетию годовщины рождения поэта Полежаева“. Варшава, 1905 г., стр. 45.

Если семидесятипятилетняя г-жа Дроздова, возможно, просто не сумела разобраться в поэме Полежаева, то Евг. Белозерский, сочувственно пересказывающий ее воспоминания, и еще более проф. Бобров явно тенденциозны; они пытаются прикрыть политическую основу „Сашки“ указанием на порнографические картины поэмы и договариааются до признания гуманности и справедливости Николая I.

Еще Герцен предупреждал такого рода толкования, указывал, что царским правительством не преследовался разврат, что гибель Полежаева была вызвана именно гражданско-политическими мотивами его поэмы и должна быть рассматриваема как одно из выражений торжества царского произвола над дворянскими революционерами.

Такой же взгляд высказан советским исследователем Н. Бельчиковым: „...если бы поэма была только грубой и непристойной — пишет он, — автор её никогда не навлёк бы на себя царского гнева, уж во всяком случае не был бы так жестоко наказан...“ [1]

Приступая к анализу поэмы „Сашка“, должны отметить её автобиографическую основу. Герой поэмы сам Саша Полежаев, автор даже не меняет фамилии. И все-таки, нельзя сводить значение поэмы к стихотворной автобиографии поэта уже потому, что облик Полежаева был слишком типичен для николаевской

---

[1] Полежаев, Полное собрание стихотворений“, Л-д, 1939 г., стр VI,

Среди работ, посвященных исследованию поэмы „Сашка“, считаем нужным отметить ненапечатанную работу, диссертацию О. В. Троцкой-Сенютович, в которой доказывается пародийность поэмы: автор диссертации видит в „Сашке“ пародию на I главу „Евгения Онегина“. Однако доказательства, приведенные автором, недостаточно убедительны. Может быть ситуации, в которые Полежаев ставит Сашу, и действительно являются пародийными, но возможно, что в них Полежаев отразил свои наблюдения, свои думы и переживания, облекая их в ироническую форму, без всякой мысли пародировать героя гениального романа в стихах.

Думаем, что прав Н. Бельчиков, когда пишет, что „термин „пародия“ неприменим к „Сашке“ уже хотя бы потому, что пародия отнюдь не претендует на самостоятельную ценность, она часто — только кривое зеркало на пародируемое произведение“.

(Диссертация О. В. Троцкой-Сенютович „А. И. Полежаев“ (Опыт историко-литературной постановки вопроса), хранится в библиотеке имени В. И. Ленина).

России. Еще Белинский отметил, что „он был явлением общественным, историческим — и говоря о нем, мы говорим не о частном человеке“ [1].

Добролюбов воспринял всё творческое наследство Полежаева как поэтическую автобиографию, исповедь, дневник, но в то же время подчеркивал, что судьба Полежаева была типична для сотен и тысяч человек, которые „падают от изнеможения, задыхаются, гибнут без шума и следа“.

Следовательно, поэма Полежаева интересна не только как автобиография. Его переживания были типичны для эпохи, и книга получила широкое значение.

Поэма „Сашка“ гражданско-политическое произведение, продолжающее традиции Пушкина и декабристов. Герой поэмы студент московского университета. Уже самый выбор героя предопределял многое. Поэма была написана в 1825 году, т. е. тогда, когда ещё господствовала романтическая поэма, с её гордым героем, борющимся с бурями страстей и природы.

I глава „Евгения Онегина“, которая появилась в печати, рисовала типичного представителя эпохи; однако, его разочарованность, утомленность, старость души в расцвете лет безусловно роднили Онегина с романтическими героями, так как в самой жизни дворянская светская молодежь культивировала в себе черты романтических героев.

Полежаев же рисует рядового студента, жизнерадостного молодого человека, активного участника студенческих похождений, лишенного этого романтического ореола.

Рассказывая об его детстве, поэт сообщает, что оно протекало в „малом селишке“ близ Саранска, а первым учителем был „лакей из дворни“. Известная демократичность Полежаева выявляется уже в картине дворянского воспитания; поэт вскрывает недостатки воспитания Саши, отданного на попечение дворни, развращенной близостью к барской усадьбе. Отсюда и познания лакея во французском языке, отсюда и его сквернословие.

В университете Саша попадает в другой круг, круг демократического студенчества. Исследователь И. Д. Воронин сообщает, что „университетские товарищи Полежаева в большинст-

[1] В. Г. Белинский, Собрание сочинений, М., 1948 г., т. II, стр. 247

ве своем были такие же разночинцы, как он сам: сын кондитера Петр Критский, уволенный из купечества П. Севастьянов, дети вольноотпущенных мещан Пель и Пузин, сын крепостного крестьянина Погодин и др. [1].

Друзья героя поэмы (Сомов, Калайдович, Жданов, Пузин, Коврайский и др.) тоже не из аристократических кругов, это не студенты, приезжающие в университет в собственных каретах, в сопровождении лакеев.

Мы уже говорили, что Полежаев выбрал героем своей поэмы студента-демократа. Нужно подчеркнуть еще, что прототипом героя был сам поэт, который прекрасно знал университетскую жизнь, настроения студентов, научный вес своих профессоров. Полежаев рисовал то, что он хорошо знал, что он видел, пережил, перечувствовал. Уже это должно было определить известную реалистичность поэмы.

На первый взгляд герой поэмы кажется гулякой, прожигающим жизнь, человеком, который не задумывается над смыслом жизни и доволен, если утопает в вине и чувственных наслаждениях. Однако, на самом деле это не так. Саша не принадлежит к людям, умеющим беззаботно наслаждаться во всех условиях, не замечая окружающего зла.

Полежаев перечисляет черты характера своего героя:

Свобода в мыслях и поступках,
Не знать судьею никого,
Ни подчиненности трусливой,
Ни лицемерия ханжей,
А жажда вольности строптивой
И необузданность страстей!
Судить решительно и смело
Умом своим о всех вещах
И тлеть враждой закоренелой
К мохнатым шельмам в хомутах“.

Перед нами образ смелого, свободолюбивого человека. Саше чужды трусость и лицемерие, для него нет в окружающей действительности незыблемых авторитетов, несокрушимых сил. Единст-

[1] И. Д. Воронин, „А. И. Полежаев“, Саранск, 1941 г., стр. 103.

венная страсть, которая может всецело подчинить его — это „жажда вольности строптивой“, и этот эпитет как бы с двойной силой звучит у Полежаева. Вольность строптива в условиях царского режима, но и герой, жаждущий её, строптив.

Черты Саши — жажда вольности строптивой, отрицание устаревших авторитетов, критическое отношение к фактам, их самостоятельная оценка, атеизм были характерны как для декабристов, так и для поколения Чернышевского.

Указанные выше качества героя определяют его отношение к окружающей действительности.

Человек, умевший „Судить решительно и смело
Умом своим о всех вещах“,

не мог оставаться равнодушным к царствующему злу. Он должен был „решительно и смело“ осудить порочность существующих порядков, и герой Полежаева поступает именно так.

Саша студент, и он в первую очередь разоблачает университетские порядки. Он противопоставляет (в VII, VIII, IX строфах) родному университету европейские университеты.

„Геттинген, Вильно и Оксфорд“ рисуются как учебные заведения, в которых царит наука и справедливость. Полежаев мог, конечно, иметь об европейских университетах самые лучшие представления. Однако, он не мог не знать, что социальное неравенство, осуждаемое им, господствовало и в западной Европе и накладывало свой отпечаток на каждую область общественной жизни, в том числе и на университет. Картина европейского университета создана Полежаевым для разоблачения родного университета. Она не столько выражает мнение поэта о западных учебных заведениях, сколько осуждает порядки московского университета, где каждый „князишка“ и каждый „дурак с червонцами“ может „шинеть, надувшись: я студент“.

Порядки московского университета — порядки крепостнической России. Социальное неравенство, политический деспотизм, дающие „дуракам с червонцами“ право быть студентами, обеспечивали им и другие права. И протест Полежаева против университетского режима перерастает в протест против самодержавно-крепостнической России в целом.

IX строфа 1 главы заканчивается тревожным вопросом гражданина:

> А ты, козлиными брадами
> Лишь пресловутая земля,
> Умы гнетущая цепями,
> Отчизна глупая моя!
> Когда тебе настанет время
> Очнуться в дикости своей,
> Когда ты сбросишь с себя бремя
> Своих презренных палачей?

Молодой поэт выступает против вериг темноты и невежества, возвышает голос за подлинное просвещение, за гуманизм. В ненависти к „просвещенным полузнайкам“ проявляется отрицание всей российской действительности мрачной николаевской эпохи.

Тревожный вопрос Полежаева, выражающий ненависть к самодержавию, однозвучен вопросу Рылеева:

> Долго ль русский народ
> Будет рухлядью господ,
> И людями
> Как скотами
> Долго ль будут торговать?

Полежаев так же, как Рылеев, осуждает угнетение человека человеком.

Проблема освобождения человеческой личности была выдвинута самой жизнью, ростом общественного самосознания России. Эта проблема, выдвинутая жизнью, легла в основу прогрессивного романтизма эпохи, который быстро развивался в русской литературе в сторону реализма.

Вся декабристская литература высоко подняла значение человеческой личности. Проблема её освобождения разрешалась не только в романтическом плане взлёта гордой индивидуальности над повседневностью, но и в чисто реалистическом плане борьбы с самодержавием и крепостничеством.

С этой проблемой освобождения личности была тесно связана мысль о раскрепощении не только крестьянства, но и всего человечества от феодально-монархических пут, в числе которых

религия играла огромную роль. Вспомним, что еще Радищев подчеркивал связь между властью монарха и властью религии:

Власть царска веру охраняет,
Власть царску вера утверждает,
Союзно общество гнетут.

Атеистические мотивы были основными в ряде стихотворений декабристов и наиболее полного выразителя декабристской идеологии — Пушкина.

Поэма Полежаева насыщена атеистическими мотивами. Церковь освящала существовавшие порядки, церковь стояла на страже невежества. Именем бога боролась она против разума, и поэт смело выступает против церкви.

Герой его поэмы „Своим аршином бога мерит“, а ветхий и новый заветы, рассказы об ангелах и чертях, разговоры о бессмертии считает сказками. Саша презрительно относится не только к „мохнатым шельмам“ и их церковной проповеди. В XIV строфе дана пренебрежительная насмешка над поповской „идеологической базой“ — над идеалистической философией Платона и Сенеки, религиозно-нравственные воззрения которых были весьма близки христианству.

Упоминание имен Платона и Сенеки в XIV строфе показывает, что поэт, несомненно, критически относится к философскому идеализму и отдает себе совершенно ясно отчет в том, что этот „скарб нелепостей“ поддерживает и защищает религию.

Полежаев понимает, что

„Конечно многим не по вкусу,
Такой безбожный сорванец“,

т. е. такой отрицатель, как Сашка, но сам вовсе не осуждает своего героя:

„Хоть и не верит он Исусу,
А право, добрый молодец“,

говорит он.

Таким образом, Полежаев смело протестует против политических, социальных, нравственных, религиозных цепей, наложенных самодержавием на русский народ.

Сказанное выше ясно показывает, что „Сашка“ произведение неизмеримо более серьезное, чем шутливо-порнографическая поэма. Это — произведение, насыщенное гражданско-политическими мотивами [1].

Однако наличие в поэме натуралистических деталей в описании студенческой жизни нарушает художественность картины и дает повод приписать поэме черты порнографии. Спрашивается: как объяснить это? Что общего между политическим протестом и натуралистическим изображением похождений студентов в увеселительных заведениях?

При разрешении этого вопроса поневоле придется затронуть уже поставленную в специальной литературе большую и сложную проблему — „Полежаев и 18 век“.

Натурализм полежаевской поэмы связан с традиционной манерой изображения картин любви еще в бюрлескной литературе 18 века. С ней роднит Полежаева площадная ирония его поэмы. Связь с „Елисеем“ Майкова прямо указана цитатой, взятой из его поэмы (Дерy „завесу темной нощи“).

Эта связь с жанром бюрлеска вовсе не случайна, она соответствует общему характеру поэмы, ее демократической основе.

Хотя ирои — комическая поэма сложилась внутри классицизма, она в то же время резким своим отличием от других жанров классицизма разрушала его каноны. Сам принцип построения — расхождение между темой и стилем — был в противоречии с главными принципами классицистической поэтики, основанной на рационализме, — хотя бы с принципом несмешиваемости, чистоты жанров.

Ирои — комическая поэма безусловно была уже по своему характеру более демократична, чем другие канонические жанры классицизма. Она приближалась к жизни и по содержанию и по языку.

Следует отметить, что вольность языка и сцен, нарисованных в жанре „бюрлеск“ не только Майковым, но и таким са-

---

[1] Наличие гражданско-политических мотивов в поэме не раз отмечалось исследователями творчества Полежаева см. Н. Бельчиков-предисловие к „Полному собранию стихотворений“ Полежаева Л-д. 1939 г. В И. Безъязычный Предисловие к „сочинениям“ Полежаева, М. 1955 г, И. Д. Воронин „А. Полежаев“ М. 1954 г.

лонным поэтом как Богданович, объясняется не только литературной традицией жанра, но и самыми нравами эпохи, выразившими протест против аскетизма.

Если придворная жизнь екатерининского дворца воспринимала обычаи легкомысленного французского двора, то в нравах площади выражалось стремление широкой массы к полнокровным радостям жизни, запрещенным всем укладом феодального мира, выявлялась стихийная сила народного протеста против наложенных цепей.

Но общее в них — тот „добросовестный, ребяческий разврат“, который был характерен для нравов 18 века и который принимал такие распространенные формы, что Радищев в своем „Житии Ф. В. Ушакова“ и в поучении крестицкого дворянина („Путешествие из Петербурга в Москву“) выступил с обличением распущенности нравов, что по его мнению объяснялось „преждевременным познанием большого общества“ [1].

Снижая высокий стиль классицистической поэмы бурлескной пародией, писатели 18 века стремились выявить комическую основу своих произведений сочетанием в языке „высокого штиля“ с „низким“.

С той же целью произвести комическое впечатление и одновременно „снизить“ высокие слова, большей частью славянские, смешивает Полежаев разнородные стилевые элементы.

Относительно „снижения“ славянизмов следует заметить, что Полежаев этим как бы полемизировал и с романтизмом. Засилие славянизмов было свойственно не только литературе 18 века, но и поэзии романтиков, которые восприняли от классиков архаический словарь, для выражения гражданского пафоса высоких тем, посвященных свободе, служению ей, борьбе за неё.

Чувство единства формы и содержания, единства стиля заставляло Полежаева прибегать при описании жизни своего студента к соответствующему языку. Посещение Сашей увеселительных заведений требовало соответствующей площадной лексики. Грубые поступки рисовались соответствующими словами.

Такой принцип подбора слов является одной из форм проявления демократического сознания автора и героя.

[1] А. Радищев, Избранные сочинения, Л-д, 1949 г., стр. 15.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Однако содержание проблемы „Полежаев и 18 век“ не исчерпывается связью его с бюрлеском.

Легкая, анакреонтическая поэзия воспевала радости земной любви и, начав звучать еще в конце 18 века, продолжала развиваться и в начале девятнадцатого.

Стихи Батюшкова, молодго Пушкина были проявлением идеи освобождения плоти от уз аскетизма. Тема любви была тесно связана с борьбой против аскетизма и церкви.

В самой легкой поэзии 19 века мы видим разные оттенки: Батюшков и его последователи в легких, изящных стихах воспевали вино и утехи любви, а Пушкин в своих „вакхических песнях“ поднимался до более широких обобщений радостей освобождения человеческой плоти, воспевая не только вино, веселье и любовь, но и светлую человеческую мысль — „всесильный разум“.

У Пушкина мы встречаем тему возрожденческой полнокровной жизни и в более поздних лирических стихах. Он раскрывал интимные переживания любовных радостей, сочетая необычайно гармонично жизненные факты с тонкостью психологического анализа, что и придавало красоту самым рискованным сценам, нарисованным великим поэтом, поднимая их до высоты реализма.

В поэме Полежаева проявляется то же желание отразить естественные стремления человеческой плоти, в их характерных, типических проявлениях. Но вследствие недостаточной зрелости творчества он впадает иной раз в натурализм.

Принято думать, что натурализм отличается от реализма, прежде всего отсутствием социальной основы. Натуралистическое искусство копирует жизнь, не отбирая существенное, не откидывая маловажное в свете мировоззрения художника, но стремясь дать верный список предмета или явления во всех его подробностях.

Между реализмом и натурализмом такая же разница, как между фотографией и картиной художника. Фотография в точности передает все черты, все пропорции человека, но сущность его, характерное, типичное, выявляющее социальную основу человека и его мировоззрения, может схватить только художник.

Таким образом, для натурализма характерно выписывание точных подробностей, не имеющих подчас отношения к общему

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

замыслу произведения, к его центральной теме, к его основной идее. Натурализм ограничивается списыванием внешней формы, внешних деталей явления, не вникая в его истоки, в его глубину, в его идейную основу, социальные корни его.

Натурализм должен был проявиться в эпоху пробуждения интереса человека к действительной жизни, когда, любуясь ею, он хотел перенести в свое изображение все подробности жизненных явлений, без соблюдения пропорции, перспективы, все с большой буквой, всё на переднем плане.

Натурализм может быть следствием разложения реализма, отмирания его, отхода от социальной тематики. Но натурализм может явиться и первым шагом к реализму.

Отдельные натуралистические штрихи могут еще оставаться и в реалистических картинах, как следствие недостаточной зрелости художника и несовершенства его мастерства, как результат его увлечения своим умением создавать картины жизни и того упоения творчеством, которое сопровождается несдержанностью кисти, невыдержанностью плана.

Вульгарность, натурализм не только отдельных выражений, но и самой темы похождений „Сашки" объясняется и тем, что поэт делал лишь первые шагами на пути обличения действительности.

Эпоха определила необходимость развития реалистического стиля. Реализм Пушкина стал складываться внутри романтической поэмы, преодолевая её основы.

Полежаев, только лишь начав писать, уже шел к реализму. Стремясь к созданию правдивой картины действительности, он не пренебрегал натуралистическими деталями. Его поэма была первым опытом начинающего свой творческий путь художника — реалиста.

(Статья поступила в редакцию 10. IV. 1956).

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური
ინსტიტუტის შრომები, XV, 1956.
Труды Кутаисского Государственного Педагогического
Института имени А. Цулукидзе, XV, 1956.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ. რევიშვილი

# მარქსი და ჰერვეგი

განატონებული კლასების იდეოლოგიის წინააღმდეგ მარქსმა და ენგელსმა გაილაშქრეს ჯერ კიდევ გასული საუკუნის 40-იან წლებში თავიანთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მეცნიერული მოღვაწეობის დასაწყისში. მაგრამ პროლეტარიატის აღიარებულ იდეოლოგებად ისინი გახდნენ გვიან; საკუთარი მოძღვრების — მარქსიზმის — შემუშავებამდე მათ განიცადეს მეტად რთული იდეური ევოლუცია. ქმნიდნენ რა პროლეტარულ პარტიას, მარქსსა და ენგელსს უხდებოდათ ბრძოლა სხვადასხვა იდეოლოგიურ მიმართულებებთან და დაჯგუფებებთან. ამ ბრძოლის პროცესში „მანიფესტის" ავტორები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ კაზმულსიტყვაობას, კერძოდ, რევოლუციურ პოეზიას.

მარქსსა და ენგელსს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ იმ დროის მოწინავე პოეტებთან: ჰაინრიხ ჰაინესა და ფერდინანდ ფრაილიგრათთან, გეორგ ვეერთსა და გეორგ ჰერვეგთან; იდეურად წვრთნიდნენ ამ პოეტებს, რაზმავდნენ მათ პროლეტარიატის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში; მაგრამ ამასთანავე ისინი მრისხანე და პირუთვნელი კრიტიკის საგნად აქცევდნენ მათ, როცა უკანასკნელნი ამას იმსახურებდნენ, როცა ამას მოითხოვდა პროლეტარიატის სასიცოცხლო ინტერესები.

წინამდებარე შრომაში ჩვენ მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა ურთიერთობა მარქსსა და გეორგ ჰერვეგს შორის. ამ საკითხის გარკვევას ერთნაირად დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც პროლეტარული პარტიის ისტორიის, ასევე გერმანული ლიტერატურის ისტორიის მნიშვნელოვანი ეტაპის შესწავლისათვის.

გეორგ ჰერვეგი (1817—1875) გერმანელი პოლიტიკური პოეტია, რომელიც მოღვაწეობდა 1848—49 წლების ბურჟუაზიული რევოლუციის სამზადისის პერიოდში. მარქსი და ჰერვეგი ურთიერთს უშუალოდ 1842 წლის გაზაფხულზე შეხვდნენ, თუმცა ადრევე

იცნობდნენ ერთმანეთს გამოქვეყნებული შრომების საფუძველზე. მარქსი (იმ დროს 24 წლის) კელნში „რაინის გაზეთის [illegible] თანამშრომლიდან გაზეთის რედაქტორი უნდა გამხდარიყო [illegible] ჰერვეგი (მარქსზე ერთი წლით უფროსი) გერმანიაში უკვე ცნობილი მგოსანი იყო თავისი „ცოცხალი ადამიანის ლექსებით“. ჰერვეგის მშობლები ოცნებობდნენ შვილის სასულიერო კარიერაზე, თვითონ ჰერვეგი კი გატაცებული იყო გერმანიის პოლიტიკური მოვლენებით და „ახალგაზრდა გერმანელთა“, კერძოდ, ლუდვიგ ბერნეს, ნაწერებით. ჰერვეგი ჩაიძირა პოლიტიკური ცხოვრების მორევში, მან შეიყვარა თავისუფლების იდეა და კიდევ მეტად დაეჭვდა რელიგიაში. ჰერვეგი სწავლობდა ჯერ ღვთისმეტყველების და მერე — იურიდიულ ფაკულტეტზე. მაგრამ ინტერესი არცერთი მათგანისადმი არა ჰქონია. იგი უფრო მეტად გატაცებული იყო კაზმულსიტყვაობით და სხვებიც მასში „ახალ შილერს“ ხედავდნენ. ჰერვეგის პოეტურმა ნატურამ ვერ აიტანა სამხედრო ყაზარმის პირობები და ამიტომ იგი გერმანიიდან გადაიხვეწა შვეიცარიაში, სადაც ლიტერატურულ კრიტიკოსად დაიწყო მუშაობა „Deutche Volkshalle“-ში. ჰერვეგი აქ საბოლოოდ დარწმუნდა იმაში, რომ გერმანიის სახელმწიფოებრივი წყობა აკანონებს დიდი უმრავლესობის ჩაგვრას უმცირესობის სასარგებლოდ. ეს ჩაგვრა, ჰერვეგის აზრით, აუცილებლად უნდა შეიცვალოს საყოველთაო თავისუფლებით. ჰერვეგი ოცნებობს იმ დროზე, როცა ადამიანს დაუბრუნდება თავისუფლება. ჰერვეგმა გაიზიარა ფოიერბახის ფილოსოფიური შეხედულებანი. მისი აზრით, პოლიტიკური და გონებრივი სიბნელიდან თავის დასაღწევად გამოდგება ჰუმანურობა, ღმერთისადმი პატივისცემის ნაცვლად — თაყვანისცემა თვით ადამიანისადმი.

ფეოდალიზმის მოძულე ჰერვეგი თანდათან დაემშვიდობა ოცნებას აბსტრაქტულ „თავისუფლებაზე“, ოცნებას ჰუმანური რელიგიის გზით ადამიანის განთავისუფლებაზე. ჰერვეგი დაუახლოვდა დემოკრატიულ ბანაკს და ბოლოს იგი რესპუბლიკელიც გახდა.

თავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეში, ჰერვეგის აზრით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება პოეზიას, რომლის უშუალო მოვალეობა არის ადამიანის განთავისუფლება. ჰერვეგი ახლა განსაკუთრებული პატივისცემით იხსენიებს პოლიტიკურ პოეტებს — ბერანჟესა და ჟორჟ ზანდს, ბერნესა და გუცკოვს. პოეზია ოპოზიციაში უნდა ჩაუდგეს სახელმწიფოს — ფიქრობს ჰერვეგი. ახალი ლიტერატურა კიდევ მეტად უნდა განიმსჭვალოს სოციალური მოტივებით.

ჰერვეგის იდეურ-პოლიტიკურ ზრდას 1842—43 წლებში განსაკუთრებით შეუწყო ხელი მარქსის „რაინის გაზეთის“ და მარქსისა და რუგეს „გერმანულ-ფრანგული წელიწდეულის“ კითხვამ; აგრეთვე პირადმა ნაცნობობამ „კაპიტალის“ ავტორთან. მარქსისა და ჰერვეგის შეხვედრა „რაინის გაზეთის“ რედაქციაში, კელნში (აქ ჰერვეგი ჩავიდა შვეიცარიიდან გერმანიის ქალაქებში მოგზაურობის დროს), მეტად გულთბილი იყო. სხვანაირად არც მოხდებოდა, რადგანაც მარქსს საუკეთესოდ ესმოდა კლასობრივ ბრძოლაში მოწინავე ლიტერატურის როლი და ამდენად ჰერვეგის მნიშვნელობა იმჟამინდელი გერმანიის პოლიტიკურ სიტუაციაში. ჰერვეგის მნიშვნელობა კი მართლაც დიდი იყო. „ცოცხალი ადამიანის ლექსებში“ (პირველი ნაწილი გამოვიდა 1841 წელს; მეორე — 1843 წელს) საკუთარი ქვეყნის ბედ-იღბლით გატაცებული ჰერვეგი ხოტბას ასხამს თავისუფლებას, ლალადებს საყოველთაო ძმობას; ამასთანავე ამხელს გერმანელი დესპოტების მანკებსა და დანაშაულებათ. ლექსების ერთ ჯგუფში ისმის მოწოდება ფეოდალური ძალების დამხობისა და საზოგადოებრივი ბორკილების დამსხვრევისაკენ. სილეზიელ ფეიქართა აჯანყებამდე სამი წლით ადრე ჰერვეგმა დაწერა რევოლუციური სულისკვეთებით გამსჭვალული რამდენიმე ლექსი, რომელთაც ჩააქსოვა ხალხის გრძნობა და ფიქრი, სიმპათია უბრალო ხალხის მიმართ და ზიზღი მონარქებისადმი. ადრინდელ ლექსებში (1840 წლამდე) ჰერვეგი იფარგლებოდა სატრფიალო ლირიკის მოტივებით და ყოფა-ცხოვრებითი თემატიკით. მათში მხოლოდ აქა-იქ შეიმჩნეოდა ტენდენციური პოეზიაზე გადასვლის მისწრაფება. „ცოცხალი ადამიანის ლექსებში“ კი ლაიტმოტივად იქცა სწორედ არსებული სინამდვილის კრიტიკა და მოწოდება მისი წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. ჰერვეგი თავს ესხმის არსებულ პოლიტიკურ სინამდვილეს, ამხელს უსამართლობის დამკანონებელ სისტემას და საქვეყნოდ ლაპარაკობს იმაზე, რომ მან აღიმაღლა ხმა ღმერთის წინააღმდეგ და იგივე გამოიჩენს შემართებას მეფის წინააღმდეგაც. ხალხმა უნდა გადალახოს ყოველგვარი დაბრკოლება, უნდა მიმართოს ხელჩართულ ბრძოლას, გაანადგუროს დესპოტიზმი. ტირანიისადმი ძველი სიყვარული უნდა შეიცვალოს ზიზღის გრძნობით („სიძულვილის სიმღერა“). პატრიოტებმა უნდა იბრძოლონ დაქსაქსული გერმანიის გაერთიანებისათვის. გერმანელმა ხალხმა თავის ორმოც მბრძანებელს უნდა აუწყოს სამშობლოს ერთიანობის საჭიროება („გერმანელი ხალხისადმი“). გერმანია არაა განწირული მარადი მონობისათვის, სამარცხვინო მშვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დობას გერმანელებმა უნდა ამჯობინონ ომში დაღუპვა. მეფეებთან ბრძოლაში მათ უნდა გადაარჩინონ თავისუფლება („ლოზუნგი") ტირანის ზოდებად გადამდნარი ჯვრებიდან გამოიჭედება ხმლები. გერმანია ცივილიზაციის მოწინავე ფარაჯია და მან უნდა დაიცვალოს ჩაგრული ხალხების განთავისუფლების საქმე („მოწოდება").

„ცოცხალი ადამიანის ლექსებში" როდია ყველა ნაწარმოები ერთნაირად გამართული და დახვეწილი. ციკლი არაა დაზღვეული ცალკეული იდეური ჩავარდნებისაგან. პოლიტიკური დაბნეულობისაგან. აქ ისევ გვხვდება აბსტრაქტული ოცნება თავისუფლებაზე, ურაპატრიოტული ფრაზები, დაბოლოს, აქვე გვხვდება შუასაუკუნეთა ძლიერი მონარქის „ბურშენშაფტული" გაიდეალება. ჰერვეგი საბოლოოდ ვერ განთავისუფლებულა იმ რეაქციულ-რომანტიკული ცრურწმენისაგან, თითქოს მეფე ფრიდრიხ-ვილჰელმ IV გააერთიანებს სამთავროებად დაქუცმაცებულ გერმანიას და ააფრიალებს ახალი დროების ალამს.

ამ ნაკლების მიუხედავად „ცოცხალი ადამიანის ლექსების" პირველმა წიგნმა ჯეროვანი მოწონება დაიმსახურა. ამ ლექსებით ჰერვეგი მშრომელებს აღვიძებდა პოლიტიკური ძილისაგან, ამხელდა მშიშარა ბიურგერობას. აღვივებდა ზიზღს ხალხის მჩაგვრელებისადმი, მეფეებისადმი. ჰერვეგი, ამასთანავე, აკრიტიკებდა მშიშარა ბიურგერობას, რომელიც მიმდინარე პოლიტიკურ ბრძოლას ასუსტებდა ნაპოლეონის გარშემო წარმოქმნილი ლეგენდების გავრცელებით.

„ცოცხალი ადამიანის ლექსების" წარმატება როდი იყო დაპირობებული მხოლოდ მისი იდეური გამიზნულობით, ღრმა ჰუმანური იდეებით. ამ წარმატებას მნიშვნელოვან წილად შეუწყო ხელი კრებულის „ბრწყინვალე ფორმამ" (ფ. მერინგი). თუ „ახალგაზრდა გერმანელები" შეგნებულად უგულებელყოფდნენ გერმანული კლასიკური ლექსის პოეტურ ინვენტარს და ამით ალარიბებდნენ თანამედროვე პოეზიას, მის ნაირფეროვანებას, სამაგიეროდ ჰერვეგმა — უარყო რა „ახალგაზრდა გერმანელთა" ესთეტიკური შეხედულებანი, — გერმანულ ლექსს დაუბრუნა კლასიკური ბრწყინვალება. თავისი მხრივ ეს ლექსი გაამდიდრა ახალი თვისებებით. ბაძავდა რა შილერსა და ჰაინეს, აგრეთვე ჰელდერლინს, ჰერვეგი იყენებდა პლატენის მკაცრ რითმებს და ხალხური სიმღერების ტონს; მაგრამ იყენებდა ისე, რომ ჰერვეგს არ დაუკარგავს საკუთარი პოეტური სიტყვა, შემოქმედებითი დამოუკიდებლობა და ორიგინალობა „კრებულის ფორმით დახვეწილ და სრულყოფილ

სონეტთა შორის, — წერს ფ. მერინგი, — მოიძებნება გერმანული პოეზიის ნამდვილი მარგალიტები“ [1]. ჰერვეგის ლექსთა კრებულის ღირსებას ერთხმად ადასტურებდა ბევრი, მათ შორის ჰაინე, რუგე და სხვები. მათ ჰერვეგში მართებულად დაინახეს თავისუფლების რაინდული მომღერალი, პოლიტიკური და ეროვნული მგოსანი, მებრძოლი პოეზიის ბრწყინვალე წარმომადგენელი; ხალხის სანუკვარ ოცნებათა გულისმესიტყვე, თავისუფლებისათვის მომღერალი. „რაინის გაზეთის“ შენიშვნაში ნათქვამი იყო, რომ მკირერიცხოვან პოეტთა შორის ჰერვეგი პროგრესისა და თავისუფლების იდეის ჭეშმარიტად პირველი და ყველაზე მეტად გაბედული წარმომადგენელია, რომ ჰერვეგის სიმღერებს ფესვი აქვთ გადგმული ხალხის გულში და მთელი გერმანია ჰერვეგს სთვლის ჭეშმარიტ და თავისებურ პოეტად [2]. მაგრამ უყურადღებოდ არ იქნა დატოვებული ჰერვეგის კრებულის ნაკლებიც. როცა ლაპარაკი სწარმოებდა ჰერვეგის კრებულის ღირსება-ნაკლოვანებებზე — ყოველთვის მხედველობაში ჰქონდათ „ცოცხალი ადამიანის ლექსების“ სწორედ პირველი ნაწილი. მეორე ნაწილმა ჯეროვანი რეზონანსი ვერა ჰპოვა თავისი იდეური და მხატვრული სისუსტის გამო. რა თქმა უნდა, კრებულის პირველი ნაწილის დიდი წარმატება იყო მთავარი მიზეზთაგანი, რომელმაც დააახლოვა მარქსი და ჰერვეგი.

„რაინის გაზეთში“ მარქსმა მოათავსა ჰერვეგის საპროგრამო ლექსი „პარტია“, — დაწერილი 1842 წელს იმ დავის გამო, რომელსაც პოეზიის პარტიულობის საკითხთან დაკავშირებით ჰქონდა ადგილი ჰერვეგსა და, მეორეს მხრივ, ფერდინანდ ფრაილიგრათს შორის. მონარქისტი გენერალის დიეგო ლეონის მკვლელობასთან დაკავშირებით 1841 წელს ფრაილიგრათმა გამოაქვეყნა ლექსი „ესპანეთი“, რომელშიც ავტორი დადგა წმინდა ხელოვნების პოზიციაზე და, გაკიცხა რა პარტიული კინკლაობა, განავითარა ის აზრი, რომ პოეტს არაფერი უნდა ჰქონდეს საერთო საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებასთან; იგი არ უნდა ერეოდეს პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტაში. ფრაილიგრათის აზრით, პოეტი დგას უფრო მაღალ კოშკზე, ვიდრე პარტიის სადარაჯო. „ესპანეთში“ ფრაილიგრათი ტენდენციური პოეზიის აშკარა მოწინააღმდეგეა. ამისდა მიუხედავად ფრანც მერინგმა მაინც სცადა მიეჩქმალა ფრაილიგრათის ეს უხეში შეცდომა და სცადა საქმე ისე

---

[1] Ф. Меринг, Литературно-критические статьи, т. II, 1934, გვ. 63.
[2] „Rheinische Zeitung“, 9 November u. 1 Oktober, 1842.

წარმოედგინა, ვითომც ფრაილიგრათის ლექსში აპოლიტიკურობის მოთხოვნა ამოიკითხეს სხვებმა და ისიც — ამოიკითხეს [illegible] პოლიტიკური ლირიკის უგულებელსაყოფად. მიუთით[illegible] პანეთის“ ავტორის განცხადებაზე, თუ როგორი პოზიცია უკავია პოეტს, ფ. მერინგი შენიშნავს: „აკეთებს რა ამგვარ განცხადებას, ფრაილიგრათს არსებითად სრულიადაც არ უნდოდა წამოეყენებინა განსაზღვრული პრინციპი, ან პროგრამა, არამედ სურდა მხოლოდ განემარტა, — რატომ მიუძღვნა ლექსი ესპანელი როიალისტის გარდაცვალებას. მაგრამ ფრაილიგრათმა ხელი ვერ შეუშალა იმას, რომ მისი განცხადება გამოიყენეს ჰერვეგის პოლიტიკური ლირიკის წინააღმდეგ“ [1].

ფრაილიგრათისაგან განსხვავებით ჰერვეგი იმ დროს უკეთ ერკვეოდა პოლიტიკურ სიტუაციასა და პოეზიის დანიშნულებაში. ჰერვეგმა არ შეიწყნარა თანამოკალმის აზრი პოეტის ესთეტობისა და პოეზიის აპოლიტიკურობის შესახებ. ჰერვეგმა პარტიაში დაინახა ყველა გამარჯვებათა სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი. პარტია თამაშობს მთავარ როლს ძველი ქვეყნის ნგრევისა და ახალი ქვეყნის შექმნის მძიმე, მაგრამ საპატიო საქმეში; პარტიის საბრძოლო ცეცხლი თავს უნდა დაატეხოს დიქტატორს. გაუკვალავი გზით მოსიარულე ხალხს ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს პარტიამ; მან უნდა აუწყოს ბრძოლის დაწყების ნიშანი გამოცდილ ლაშქარს. პარტიის ინტერესების სამსახურში, ჰერვეგის აზრით, უნდა ჩადგეს პოეზია და პოეტი. პოეზიამ თავისი რევოლუციური სიტყვით უნდა იბრძოლოს თავისუფლების იდეისათვის, მონაწილეობა მიიღოს ფეოდალურ-მონარქიული გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში; პოეტები უნდა იქცნენ ტრიბუნებად; საკუთარი ლექსები მათ უნდა აღმართონ ხმლებად. ასეთი იყო ჰერვეგის მიერ „პარტიაში“ განვითარებული აზრები. ხოლო თვით ლექსს იგი უყურებდა არა როგორც თავდასხმას პირადად ფრაილიგრათზე, არამედ როგორც ლაშქრობას პოეტების ინდიფერენტიზმის წინააღმდეგ [2]. „პარტიაში“ ჰერვეგმა გადასწყვიტა პოეზიის ნაირობისა და პარტიისადმი მისი დამოკიდებულების საკითხი; მანვე მიუთითა პარტიის უბადლო როლზე საზოგადოების ცხოვრებაში და გაკიცხა ფრაილიგრათი მონარქისტი გენერლის შექების გამო.

პარტიის დიდ როლთან დაკავშირებით ჰერვეგის მსჯელობაში

[1] Ф. Меринг, Литературно-критические статьи, т. II, გვ. 63.
[2] W. Buchner, Ferdinand Frei lig rath, 1881, o. I, s. 427.

უდაოდ გამოსჭვივის ის აზრები, რომელთაც მარქსი ამ დროისათვის ატარებდა „რაინის გაზეთისათვის“ დაწერილ [illegible] სტატიებში. „პარტიის გარეშე არაა განვითარება“[1] — წერს მარქსი და აქვე მოითხოვს, რომ ფილოსოფია პირდაპირ დაუკავშირდეს რევოლუციურ პარტიას. თავისთავად ასეთი მსჯელობა მარქსის მხრივ გასაგები იყო: სადოქტორო დისერტაციაში — „განსხვავება დემოკრიტეს ნატურფილოსოფიასა და ეპიკურეს ნატურფილოსოფიას შორის“ (1841) — ფილოსოფიას მარქსი განიხილავდა, როგორც მთავარ ძალას რეაქციული საზოგადოებრივი წყობის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში. ჰერვეგის „პარტიამ“ უდაოდ დიდი როლი ითამაშა 40-იანი წლების გერმანელი პოლიტიკური პოეტების აქტივიზაციის საქმეში. მაგრამ აქვე შემდეგიც უნდა აღინიშნოს: ლაპარაკობდა რა პარტიაზე, ჰერვეგს, რა თქმა უნდა, მხედველობაში არა ჰქონდა ისეთი პარტია, რომელიც ხუთი წლის შემდეგ („პარტიის“ დაწერიდან) შექმნეს მარქსმა და ენგელსმა, აგრეთვე მათმა თანამოაზრეებმა. და არც ფრაილიგრათისა და ჰერვეგის პაექრობა უნდა იყოს გაგებული მომდევნო ხანების თვალსაზრისით. ფ. მერინგმა მართებულად მიუთითა, რომ ჰერვეგისა და ფრაილიგრათის „ეს პაექრობა არ უნდა განიზომოს თანამედროვე მასშტაბით. იმ დროის გერმანიაში კიდევ არ იყო მტკიცედ შემჭიდროებული პარტია, და ის, რასაც იცავდა ჰერვეგი, როგორც პარტიის ბრძოლას, იყო მხოლოდ ბრძოლა წინააღმდეგ აბსოლუტურ-ფეოდალური რეაქციისა, რომელიც ტყვიისებური სიმძიმით სრესდა გერმანიის ცხოვრებას“[2]. პარტიის ცნება ჰერვეგთან მოკლებულია კონკრეტულ შინაარსს და იგი ატარებს ზოგად ხასიათს. მიუხედავად ამისა პარტიის როლის, პოეზიის დანიშნულებისა და პოეტის მოვალეობის ჰერვეგისებურ აღიარებას ჰქონდა მოწინავე აზრი და დიდი მნიშვნელობა. ამდენად გასაგებია, თუ რა ამოძრავებდა მარქსს, როდესაც მან „რაინის გაზეთში“ მოათავსა „პარტია“, ხოლო შემდეგ ფრაილიგრათთან ჰერვეგის პაექრობაში დაიკავა ამ უკანასკნელის მხარე.

ჰერვეგს მარქსის მხრივ მხარდაჭერა ჰქონდა იმავე 1842 წლის შემოდგომაზე, მაშინ, როცა ჰერვეგი განიცდიდა თავდასხმებს რადიკალური ბურჟუაზიისა და წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენელთა ე. წ. „თავისუფალთა“ მხრივ. „თავისუფლებს“

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч. т. I, 1928, გვ. 208.
[2] Ф. Меринг, Литературно-критические статьи, т. II, გვ. 63.

(ძმების ბრუნო და ედგარ ბაუერების მეთაურობით) არ ჰქონდათ რაიმე გარკვეული პოლიტიკური პროგრამა, თუმცა გამოთქვამდნენ აღშფოთებას პრუსიის ძირმომპალი სახელმწიფოებრივი წყობილების წინააღმდეგ, გამოთქვამდნენ აღშფოთებას გერმანიის მეშჩანური ყოფის გამო და პათეტური სიტყვებით მიუთითებდნენ სისხლიან ბრძოლაზე, როგორც გერმანიაში კონსტიტუციური წყობის დამყარების ერთადერთ საშუალებაზე. ასეთი რადიკალური სულისკვეთების გამო „თავისუფლებმა" საერთო ენა გამონახეს „რაინის გაზეთის" რედაქციასთან, კერძოდ კ. მარქსთან. ამავე თვისებათა გამო მათ მიიქციეს ჰერვეგის ყურადღებაც.

მაგრამ თავიანთი რადიკალური აზრების განხორციელება „თავისუფლებს" სურდათ მეტად საეჭვო გზებით და უიმედო იარაღით. მათი ლაპარაკი რევოლუციაზე დაიყვანება რელიგიური შეგნების კრიტიკამდე, მათი რევოლუციური საქმიანობა — ლუდხანებში აყალმაყალის ატეხვამდე და ქველმოქმედი ბიურგერების დაშინებამდე. „თავისუფლები" უგულებელყოფდნენ ჭეშმარიტ რევოლუციურ ბრძოლას, ქედს იხრიდნენ „კრიტიკის" წინაშე, — დარწმუნებულნი იმაში, თითქოს „კრიტიკულად" განწყობილი პიროვნება სინამდვილეში გააკეთებს იმას, რასაც „თავისუფლები" თეორიაში სასურველად სთვლიდნენ. „თავისუფლებთან ჰერვეგის დაახლოვება არ უნდა ყოფილიყო მჭიდრო და ხანგრძლივი. მხატვრულ შემოქმედებას და ყოველდღიურ პრაქტიკას ჰერვეგი მიმართავდა მასების დარაზმვისაკენ. „რაინის გაზეთში" ჰერვეგი ამუშავებს სოციალურ საკითხებს: მას სწამს, რომ დადგება აზნაურთა საშინელი სამსჯავროს დღე („საბრალო იაკობი"). რევოლუციურ მოწოდებად ჟღერენ ჰერვეგის ლექსში ფრანგული რევოლუციური სიმღერიდან ჩართული სიტყვები: „Allons, enfants de la Patrie" („სნეული ლიზა"). ცხადია, რომ ასეთი რევოლუციური სულისკვეთების ჰერვეგი ვერ გამონახავდა საერთო ენას „თავისუფლებთან". ჰერვეგმა და მასთან ერთად არნოლდ რუგემ — რადიკალურმა პუბლიცისტმა — „თავისუფლებს" პირდაპირ პირში მიახალეს, რომ მათებური რევოლუციური რომანტიკით, გენიალურობის მიჩემებით, სახელოვნებისადმი გამოდევნებით ისინი არცხვენდნენ მოწინავე საქმესა და პარტიას. ასე წერდა ჰერვეგი მარქსს „რაინის გაზეთის" რედაქციაში (1842 წლის 22 ნოემბერი).

საერთო ენა „თავისუფლებთან", განსაკუთრებით ბრუნო ბაუერთან, ჰერვეგსა და რუგეზე ადრე დაკარგა მარქსმა. დაკარგა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 1842 წლის ოქტომბერში მარქსი

„რაინის გაზეთის“ მთავარი რედაქტორი გახდა[1]. ჰერვეგის წერილობითი თხოვნით მარქსმა თავის გაზეთში (1842 წლის 29 ნოემბერი) მოათავსა შენიშვნა, რომელშიც ლაპარაკი იყო იმაზე, რომ დროა ბოლო მოეღოს „თავისუფალთა“ მხრივ აყალმაყალსა და საძრახის საქციელს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მაღალი მიზნების მისაღწევად საჭიროა სერიოზული, მამაცური და თავდაჭერილი ხასიათები. მარქსსა და „თავისუფალთა“ შორის კავშირის გაწყვეტის ერთ-ერთი მიზეზთაგანი იყო ჰერვეგისა და რუგეს ცუდი დამოკიდებულება ბრუნო და ედგარ ბაუერისადმი. ამის შესახებ თვით მარქსი წერს რუგესადმი ბარათში 1842 წლის 30 ნოემბერს: „თავისუფლებისადმი“ მის გამწვავებულ ურთიერთობას ზედ დაემთხვა რუგესა და ჰერვეგის დამოკიდებულება იმავე „თავისუფლებისადმი“ და ამან კი, — წერს მარქსი, აავსო მოთმინების ფიალა[2].

„თავისუფალთა“ ბანაკიდან ბევრი ჰერვეგს იხსენიებდა მეტად შეურაცხმყოფელი სიტყვებით. ესენი ენამწარობდნენ იმის გამო, რომ, პირველი, — ჰერვეგმა დანიშნა მდიდარი ვაჭრის ქალიშვილი; მეორე, — მას აუდიენცია ჰქონდა მეფესთან. ჰერვეგს გულუბრყვილოდ ეგონა, რომ მეფის წინაშე გაითამაშებდა მარკიზ პოზას როლს. ნამდვილად კი პოზიორის როლში გამოვიდა თვით მეფე — ფრიდრიხ ვილჰელმ IV. მეფესთან შეხვედრას დადებითი მნიშვნელობაც ჰქონდა: ჰერვეგი განთავისუფლდა კიდევ ერთი ცრურწმენისაგან. აუდიენციის შემდეგ ჰერვეგი დარწმუნდა მეფის უსაზღვრო წვრილმანობაში, დარწმუნდა იმაში, რომ მეფეები თამაშობენ მეტად საბრალო როლს[3] და როცა მეფემ აკრძალა ჰერვეგის განზრახული გაზეთის გამოცემა, პოეტმა თავი ველარ შეიკავა, დაწერა ღია ბარათი მეფისადმი და, რამდენიმე ეგზემპლარად გადაწერილი საიდუმლოდ დაუგზავნა თავის მეგობრებს. წერილის ერთი ცალი აღმოჩნდა „ლაიფციგის საყოველთაო გაზეთის“ რედაქციაში და სულ მალე იგი გამოქვეყნდა იმავე ორგანოში. ჰერვეგი ღვარძლით ლაპარაკობდა მეფის სიტყვიერ დანაპირებზე აუდიენციის დროს, და ვერაგულ ბრძანებაზე გაზეთის აკრძალვის გამო აუდიენციის შემდეგ. ბარათის გამოქვეყნებას ის შედეგი მოჰყვა, რომ მეფის სათანადო ბრძანებით ჰერვეგი დაუყოვნებლივ გააძევეს პრუსიიდან, ხოლო „ლაიპციგის საყოველთაო გაზეთი“ აკრძალეს. ცენზურამ

[1] ვ. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 21, გვ. 39.

[2] К. Маркс и Ф. Энгелс, Соч. т. I, გვ. 527—528.

[3] ჰერვეგის წერილი ემა ზიგმუნდისადმი 1842 წლის 27 ნოემბრის თარიღით.

მალე დახურა სხვა გაზეთებიც, პირველ რიგში — მარქსის „რაინის გაზეთი“. ჰერვეგი იქცა საყოველთაო დაცინვისა და წყევლის საგნად. ჰერვეგის წინააღმდეგ ენაგესლიანობდნენ თვით ფრაილიგრათი და ჰაინე[1]. ბევრი ჰერვეგში ხედავდა პროგრესული გაზეთების დახურვის უშუალო მიზეზს. ამ დევნამ ჰერვეგის ცხოვრებაში უშედეგოდ არ ჩაიარა. „ჰერვეგისათვის ეს უბადრუკი დევნა აღმოჩნდა საბედისწერო; — წერს მერინგი — ...ჰერვეგმა სამუდამოდ დაკარგა თავისუფლების გამარჯვების ის გულოვანი და ამაყი რწმენა, რომელიც ასულდგმულებდა მის პირველ ლექსებს“[2].

უდაოა, არც მარქსი იქნებოდა კმაყოფილი მეფესთან ჰერვეგის აუდიენციით, მაგრამ სხვებისაგან განსხვავებით, მარქსს ისიც ესმოდა, რომ ჰერვეგი სრულიადაც არ იყო დანაშაულებრივი მიზეზი მეფის მხრივ პროგრესული გაზეთების დახურვისა. მარქსმა იცოდა, რომ ჰერვეგს და ჰერვეგისთანა პოეტებს ესაჭიროებოდათ უმაღლ აზრდა და იდეური წრთობა, ვიდრე მათი დატოვება მათივე ცრურწმენების ბურუსში და მეშჩანურ გარემოცვაში. სწორედ ეს შეგნება ამოძრავებდა მარქსს, როდესაც მან ჰერვეგისადმი წყევის საყოველთაო გნიასში აღიმაღლა ხმა პოეტის დასაცავად. „რაინის გაზეთის“ გვერდებზე მარქსმა დაბეჭდა რამდენიმე შენიშვნა, რომლითაც მარქსს სურდა ჰერვეგი გამოეყვანა სულიერი კატასტროფის იმ მდგომარეობიდან, რომელიც, მერინგის მართებული შენიშვნით, ეგოდენ საბედისწერო აღმოჩნდა პოეტისათვის. ჰერვეგს ეს, რა თქმა უნდა, კარგად ესმოდა, ამიტომაც, როცა მარქსის „რაინის გაზეთიც“ დახურეს, ჰერვეგმა ეს ფაქტი დიდი გულისტკივილით განიცადა. ამაზე მეტყველებს ჰერვეგის წერილი ემა ზიგმუნდისადმი (1843 წლის 30 იანვარი).

„რაინის გაზეთის“ დახურვის შემდეგ მარქსს განზრახული ჰქონდა გადასახლებულიყო ციურიხში და იქ ჰერვეგთან ერთად გამოეცა ჟურნალი — „გერმანული მოამბე შვეიცარიიდან“[3]. მარქსის აზრს იწონებდა რუგეც, მაგრამ იგი დაეჭვებული იყო ჰერვეგის ფილოსოფიურსა და ლიტერატურულ განათლებაში და სწამდა, რომ ჰერვეგი ვერ გაუძლვებოდა ჟურნალს. ჟურნალის დაარსების იდეა უნიადაგო აღმოჩნდა. ციურიხი ვერ გამოდგა რადიკალური პრესის ცენტრად.

[1] მეფისადმი ნდობის ჰერვეგისეულ ილუზიას დასცინა ჰაინემ ლექსებში „გეორგ ჰერვეგი“. და სხვ... იხ. H. Heine, Ausgewälte Werke. B. 1, s. 203—204.

[2] Ф. Меринг, Литературно-критические статьи, т II, გვ. 67,

[3] მარქსის წერილი რუგესადმი 1842 წლის 25 დეკემბერს.

1844 წელს პარიზში მარქსმა რუგესა და ჰერვეგთან ერთად იწყო „გერმანულ-ფრანგული წელიწდეულის“ გამოცემა [illegible] ორგანოს ბედი არ იყო „გერმანულ მოამბეზე“ უკეთესი [illegible] ნულ-ფრანგული წელიწდეულის“ გამოცემა შეწყდა პირველსავე ნომერზე. ამისი მიზეზი იყო ცენზურული შევიწროვებანი და ფინანსური სიძნელენი; შინაგანი მიზეზი კი იყო აზრთა სხვადასხვაობა მარქსსა და რუგეს შორის. ბურჟუაზიულ დემოკრატსა და წმინდა პოლიტიკოსს რუგეს კომუნიზმი ესმოდა მეტად ვულგარულად, უხამსად. მარქსი რუგეზე უკეთ ერკვეოდა სოციალ-პოლიტიკურ საკითხებში; იგი კარგად ხედავდა საზოგადოების მამოძრავებელ ზამბარებს. მიუხედავად იმისა, რომ მარქსს ამ დროისათვის ჯერ კიდევ არა ჰქონდა ჩამოყალიბებული მეცნიერული კომუნიზმის თეორიული საფუძვლები — მარქსს გააჩნდა მთელი რიგი აღმოჩენებისა, რომელთა გათვალისწინებით უკვე იგი ერკვეოდა ისტორიის ლოგიკაში. დემოკრატი რუგესაგან განსხვავებით მარქსმა ამ დროს უკვე იცოდა, რომ საზოგადოების ინტერესები დგას სახელმწიფოს ინტერესებზე მაღლა, ხოლო სოციალიზმი — პოლიტიკაზე მაღლა. ენგელსთან ერთად მარქსმა ვარკვევით იცოდა, რომ ყოველგვარი რევოლუცია ერთდროულად არის როგორც სოციალური, ასევე პოლიტიკური მოვლენა. იგი სოციალურია რამდენადაც სპობს ძველ საზოგადოებას და პოლიტიკურია რამდენადაც ამხობს ძველ ხელისუფლებას[1]. „გერმანულ-ფრანგული წელიწდეულის“ გამოცემა შეწყდა. სტატიაში „კარლ მარქსი“ ვ. ლენინი წერს: „ჟურნალის გამოცემა შეწყდა მისი გერმანიაში ფარულად გავრცელების სიძნელეებთან დაკავშირებით და რუგესთან უთანხმოების გამო. ამ ჟურნალში მოთავსებულ თავის სტატიებში მარქსი უკვე გამოდის, როგორც რევოლუციონერი, რომელიც აცხადებს ყოველივე არსებულის ულმობელ კრიტიკას“, და კერძოდ „იარაღის კრიტიკას“, და რომელიც მიმართავს მასებსა და პროლეტარიატს“[2].

ჰერვეგისადმი დამოკიდებულების საკითხი გახდა მიზეზი უთანხმოებისა, რომელმაც გამოიწვია საბოლოო განხეთქილება მარქსსა და რუგეს შორის. ეს კონფლიქტი ჰერვეგის გამო, მერინგის თქმით, იყო უკანასკნელი წვეთი, რომელმაც აავსო მოთმინების ფიალა[3] — და რომლის გამოც საბოლოოდ დასცილდნენ მეგობრები: მარქსი

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч. т. III, გვ. 20.
[2] ვ. ლენინი, თხზულებანი, ტ. 21, გვ. 40.
[3] Ф. Меринг, Литературно-критические статьи, т. II, გვ. 68.

და არნოლდ რუგე. ფუქსავატური ცხოვრებით, რომელსაც ეწეოდა ჰერვეგი პარიზში, ერთნაირად აღშფოთებულნი იყვნენ მარქსი და რუგეც. მაგრამ თუ რუგე ჰერვეგს იხსენიებდა „უნამუსოდ“, სამაგიეროდ მარქსი გულს არ იტეხდა ჰერვეგის გენიოსობაზე, მისი გამოსწორების შესაძლებლობაზე და გამოსთქვამდა რწმენას პოეტის დიდ მომავალზე. მარქსს არა სურდა ჰერვეგი მსხვერპლად შეეწირა მისივე ცუდი მხარეებისათვის, ცალკეული მანკებისათვის. მარქსი გადაჭრით იცავდა ჰერვეგს, როგორც რევოლუციონერ პოეტს და რუგესაგან განსხვავებით მას უტოვებდა გამოსწორების საშუალებას. ჰერვეგისადმი რუგეს უტიფარსა და მარქსის გულშემატკივარ დამოკიდებულებაზე მეტყველებს თვით რუგეს ბარათი, დედისადმი: „მე ... ძალიან ნაწყენი ვიყავი ჰერვეგის ცხოვრების ნაირობისა და სიზარმაცის გამო; და გაფიცხებულმა იგი რამოდენიმეჯერ „უნამუსოდ“ მოვიხსენიე, ... — წერს რუგე, — მარქსი დადუმდა და გულითადად გამომემშვიდობა. მეორე დილით მან მომწერა: ჰერვეგი გენიოსია და მას წინ დიდი მომავალი აქვს. მარქსი აღაშფოთა იმან, რომ მე ჰერვეგი უნამუსოდ მოვიხსენე“ [1].

ჯანსაღი მეგობრული დამოკიდებულება ჰერვეგთან მარქსს არ შეუწყვეტია არც მომდევნო წლებში, კერძოდ მაშინ, როცა 1845 წელს იგი პრუსიის მთავრობის დაჟინებითი მოთხოვნით გასახლებული იქნა პარიზიდან, როგორც საშიში რევოლუციონერი. ბრიუსელში მყოფი მარქსი ყოველთვის იჩენდა ინტერესს და მზრუნველობას ჰერვეგისადმი; ცდილობდა მისი ცოდნა და ენერგია გამოეყენებინა საერთო საქმისათვის. ამაზე კარგად მეტყველებენ მარქსის ბარათები პოეტისადმი (1847 წლის 8 აგვისტო და 26 ოქტომბერი) [2].

მარქსის გულისხმიერი დამოკიდებულება ჰერვეგისადმი გაგრძელდა 1848 წლის მარტის რევოლუციის კვირაძალამდე. მარქსმა არ დაიშურა დრო და ენერგია იმისათვის, რომ გეორგ ვეერთსა და ფერდინანდ ფრაილიგრათთან ერთად ჰერვეგიც ჩაეყენებინა რევოლუციისათვის მებრძოლ პოეტთა რიგებში. მაგრამ ჰერვეგის მიმართ ყოველგვარი შრომა ამაო აღმოჩნდა. როგორც ჩანს, მარქსისა და ენგელსისაგან ტერიტორიალურად დაცილებამ, მეორე მხრივ, პარიზში ჰერვეგის დაახლოვებამ მიხეილ ბაკუნინთან —

[1] რუგეს ბარათი დედისადმი 1844 წლის 19 მაისის თარიღით. ამავე აზრს რუგე წერდა ოთხი დღით ადრე, სახელდობრ 15 მაისს, ფოიერბახისადმი გაგზავნილ წერილში.

[2] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч. т. XXV, გვ. 34—37.

ანარქიზმის იდეოლოგსა და მარქსიზმის მტერთან — ის შედეგი გამოიღო, რომ პოეტი თანდათან გულგრილი გახდა კომუნისტების საქმიანობისადმი, კერძოდ მარქსისა და ენგელსის მოღვაწეობისადმი. უფრო მეტიც: ბაკუნინის ზემოქმედებით ჰერვეგი მოექცა ვილჰელმ ვაიტლინგის ხელოსნური კომუნიზმისა და ვარნჰაგენ ფონ ენზეს ჯგუფის წევრთა იდეების გავლენაში. ჰერვეგი ერთგვარად გრძნობდა როგორც ვაიტლინგის, ასევე ენზეს მომხრეთა იდეების სისუსტეს, მაგრამ შეცდომით ყოველივე ეს ჰერვეგს მიაჩნდა უმნიშვნელო დეტალებად. აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად მარქსი, ენგელსთან ერთად, ინარჩუნებს კარგ ურთიერთობას ჰერვეგთან. მას გულთბილი შეხვედრაც კი ჰქონდა ენგელსთან (იხ. ენგელსის ბარათი მარქსთან, 1948 წელი, 14 იანვარი).

ჰერვეგი სულ უფრო მეტად მოექცა ბაკუნინის იდეურ ტყვეობაში. ბაკუნინის ანარქისტულმა იდეებმა თანდათან იჩინეს თავი ჰერვეგის პრაქტიკულ საქმიანობაშიც. იდეურად დარაზმული ბრძოლის ნაცვლად პოეტმა აირჩია ავანტიურისტული გზა. როდესაც, 1848 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, დროებითი მთავრობის წინადადებით მარქსი პარიზში დაბრუნდა, მან შეიტყო, რომ საფრანგეთში მყოფ გერმანელ ემიგრანტებს — აღფრთოვანებულთ პარიზის რევოლუციური მოვლენებით — შეუდგენიათ „შეიარაღებული ლეგიონები", რათა „მათი საშუალებით გერმანიაში რევოლუცია და რესპუბლიკა შეეტანათ"[1]; გაენთავისუფლებინათ ჩაგრული სამშობლო. მარქსმა ისიც შეიტყო, რომ მოხალისეთა რაზმების დაკომპლექტებას აწარმოებდა ჰერვეგი და, აგრეთვე, ვინმე ადალბერტ ფონ ბორნშტედტი — პრუსიის გადამდგარი ოფიცერი, და, როგორც შემდეგ გამოირკვა, პრუსიის მთავრობის აგენტი. ჰერვეგმა იმდენი იმეცადინა, რომ მოიპოვა საფრანგეთის რესპუბლიკის მორალური და მატერიალური მხარდაჭერა და მას ამჯერად სურდა მხარის დაჭერა მარქსის მხრივაც.

მარქსი კი სრულიად სხვა აზრისა იყო. კიცხავდა რა ჰერვეგისა და ბორნშტედტის საქციელს, იგი, ამასთანავე, ილაშქრებდა საფრანგეთიდან გერმანიაში რევოლუციის იმპორტის წინააღმდეგ. გადმოგვცემს რა მარქსის თვალსაზრისს, ფ. ენგელსი წერს: „გერმანიას თავისი რევოლუცია თვითონ უნდა მოეხდინა... დროებითი მთავრობის ლამარტინები საფრანგეთში უცხოეთის ყოველ ჩამოყალიბებულ რევოლუციურ ლეგიონს წინასწარ აძლევდნენ ხელში

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები ტ. II, გვ. 179.

ეროვნული

თვით იმ მთავრობას, რომელიც უნდა დამხობილიყო, როგორც ეს მოხდა ბელგიასა და ბადენში“ [1].

მარქსი იმ აზრისა იყო, რომ კომუნისტთა კავშირის ცალკეული წევრები გამგზავრებულიყვნენ გერმანიაში, შეესწავლათ სიტუაცია; ჩამდგარიყვნენ ადგილობრივი მოძრაობის სათავეში, აეზვირთებინათ ეს მოძრაობა და გადაეზარდათ იგი პოლიტიკურ რევოლუციაში. მარქსი წინასწარ ხედავდა შეიარაღებული ლეგიონების მომავალი ლაშქრობის წარუმატებლობას, ამიტომაც იგი საჯაროთ (4.000 ემიგრანტის დასწრებით) გმობდა ჰერვეგისა და ბორნშტედტის საქციელს, აცამტვერებდა მათს ტაქტიკას; ამასთანავე ბარათში ენგელსისადმი (1848 წლის 16 მარტს) მარქსი წერდა: „ბორნშტედტი და ჰერვეგი იქცევიან, როგორც არამზადები. ჩვენს საწინააღმდეგოდ მათ აქ დააარსეს შავ-წითელ-ოქროსფერი კავშირი“ [2]. შემდეგ მარქსმა თავისი ცოლის, ჟენი მარქსის, მეშვეობით ოფიციალური განცხადებით გერმანიაში მკითხველებს აუწყა, რომ პარიზში გერმანელ მუშათა კლუბს, კერძოდ, მარქსსა და ენგელსს არაფერი აქვთ საერთო გერმანულ დემოკრატიულ საზოგადოებასთან, კერძოდ ბორნშტედტსა და ჰერვეგთან. საფრანგეთისა და გერმანიის თვალში, წერდა ჟენი მარქსი, აუცილებელია გადაჭრით გავემიჯნოთ ამ საზოგადოებას, რადგანაც იგი არცხვენს გერმანელებს [3]. ქალბატონი მარქსის ეს წერილი გერმანიაში გაეგზავნა იოსებ ვაიდემაიერს, ხოლო ამ უკანასკნელმა ცნობა გამოაქვეყნა მისთვის ხელმისაწვდომ გაზეთებში.

ვაიდემაიერის ცნობამ აალელვა პარიზელი ემიგრანტები. მათ ბორნშტედტისა და ჰერვეგის ინიციატივით მარქსს ბინაზე გაუგზავნეს დელეგაცია იმის დასადგენად, თუ ვინ მიაწოდა ინფორმაცია ვაიდემაიერს. დელეგაციამ მარქსსა და ენგელს — კომუნისტთა კავშირს, გადასცა ჰერვეგის, ბორნშტედტისა და სხვათა ბარათი, რომელზედაც „მანიფესტის“ ავტორებმა შემდეგი პასუხი გასცეს (1848 წელს 1 აპრილს): „1) მარქსს სრულიადაც არა აქვს განზრახული ანგარიში ჩააბაროს ვინმეს გერმანულ გაზეთში მოთავსებული რაიმე სტატიის გამო; 2) მარქსს სრულიადაც არა აქვს განზრახული ანგარიში ჩააბაროს დემოკრატიული საზოგადოების დელეგაციას ან კომიტეტს, რომელთანაც მას არაფერი აქვს სა-

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 180.

[2] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч. т. XXI, გვ. 97.

[3] Там-же, т. XXV, გვ. 40.

ერთო; 3) უკეთუ ბატონი ბორნშტედტი და ბატონი ჰერვეგი მოითხოვენ განმარტებას პირადად, საკუთარი სახელით, და არა როგორც წევრები რომელიმე კომიტეტისა ან საზოგადოებისა, მაშინ ბ. ბორნშტედტს უკვე უთხრეს — ერთხელ კერძო საუბარში და ერთხელაც საჯაროდ, — თუ ვის უნდა მიმართონ მათ"[1].

თავიანთ ავანტურისტულ გეგმას ჰერვეგი და ბორნშტედტი არც მაშინ მოეშვნენ, როცა 1848 წელს ვენასა და ბერლინში იფეთქეს რევოლუციებმა. მათ პრაქტიკული ნაბიჯიც გადადგეს: რვა ასეულ მოხალისესთან ერთად რაინის გადალახვით ფეხი შედგეს გერმანიის ტერიტორიაზე. მოვლენათა ვითარებამ დაადასტურა მარქსის შორსმჭვრეტელობა და ჰერვეგის პოლიტიკური სიბეცე. ჰერვეგ-ბორნშტედტის ლაშქრობა დამთავრდა სამარცხვინოდ მეფის ჯარებთან პირველსავე შეჯახებაში.

ჰერვეგის სახელმა მარქსისა და ენგელსის შრომებში კვლავ იჩინა თავი 1859 წელს, ე. ი. თითქმის ათი წლის შემდეგ სამარცხვინო ავანტურიდან. ჰერვეგმა მოახერხა დაებეჭდა ერთი საკმაოდ უვარგისი ლექსი გერმანულ გაზეთ „Das Volk"-ში (გამოდიოდა ლონდონში), რომლის რედაქტორი იყო ჟურნალისტი და დემოკრატი ევალდ ბისკამპი და რომელსაც საერთო ხელმძღვანელობას უწევდნენ ინგლისშივე მყოფი მარქსი და ენგელსი. ენგელსი გაოცებული დარჩა ჰერვეგის ლექსის გამოქვეყნებით. მანჩესტერში მყოფი ენგელსი წერილობით (1859 წელი 25 ივნისი) ეკითხება მარქსს, თუ როგორ დაეთანხმა იგი რედაქტორს მოეთავსებინა გაზეთში ჰერვეგის საზიზღარი ლექსი (Lause-Gedicht)[2]. ენგელსის საფუძვლიანი აღშფოთების გამო მარქსი პასუხობს (1859 წლის 1 აგვისტო), რომ ჰერვეგის ბინძური ლექსი (Saugedicht) დაიბეჭდა მისი ცნობის გარეშე რედაქტორის დანაშაულებრივი ინიციატივით, ამიტომაც მარქსმა აიძულა ბისკამპი მორიგ ნომერში დაებეჭდა ახსნა-განმარტება და, გარდა ამისა, „მოლაშქრის სიმღერა" (როგორც ჰერვეგისათვის შესაფერისი გაგრძელება)[3].

ამ უბადალებული ლექსის გარდა, ჰერვეგს 1849 წლიდან 1860 წლამდე არაფერი დაუწერია. ჩამოშორებული კაზმულსიტყვაობის ფრონტს, იგი ჩაიძირა ფილისტერულ ცხოვრებაში და მარქსისადმი მიმართული ინტრიგების ქსელში.

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч. т. XXV, გვ. 44.

[2] იქვე, т. XXII, გვ. 429.

[3] იქვე, გვ. 430.

ლიტერატურული უმოქმედობის მდგომარეობიდან ჰერვეგი გამოიყვანა ლასალმა. ფერდინანდ ლასალმა სცადა ჰერვეგი ჩაება პრაქტიკულ-რევოლუციურ საქმიანობაში, სცადა გამოეყენებინა იგი კავშირის იდეების საპროპაგანდოდ. ლასალის ბეჯითი ცდების მიუხედავად, ჰერვეგი ვერ განთავისუფლდა ბაკუნინისეული ინდივიდუალისტური ანარქიზმისაგან. მან ალლო ვერ აუღო მუშათა მოძრაობის იდეებს, ვერ გაიგო პოეტის როლი და დანიშნულება ახალი ბრძოლების დროს. გაქლენთილი ფილისტერული სულისკვეთებით, „პარტიის“ ავტორი იქამდეც კი დაეშვა, რომ პოეტის დანიშნულებას ხედავს არა კლასობრივი ინტერესებისათვის ბრძოლაში, არამედ საერთოდ ჩაგრულთა და საბრალოთა დაცვაში — სულ ერთია, თუ ვის მხარეზე დადგებიან ეს უკანასკნელნი: ლასალისა თუ ლასალის მოწინააღმდეგეებისა (მაგალითად, შულცე-დელიჩისა)[1].

ჰერვეგის სულიერი დაცემა და იდეოლოგიური გადაგვარება აღნიშნა მარქსმაც. მან პოეტი მოიხსენია „დოყლაპიად“ და ძირს დაცემულ ადამიანად[2]. და როცა ჰერვეგი ჩამოსცილდა თვით ლასალიანობას, რომლის პოლიტიკური შინაარსი მისთვის გაუგებარი დარჩა, მაშინ მარქსს სრული საფუძველი ჰქონდა ჰერვეგისათვის ეწოდებინა „შრომის“ პლატონური მეგობარი და „მუზების“ პრაქტიკული მეგობარი“[3].

$$P_{1-3} = P_{\varphi} = \frac{\Delta m}{2 \cdot 2}, \quad P_{2-4} = P_{(\varphi + 45^\circ)} = \frac{\Delta m_{(\varphi + 45^\circ)}}{2 \cdot 2} \tag{7}$$

Формулами (7) мы и пользовались, когда имели одну пленку с двумя изображениями исследуемого обьекта, по той или иной причине. Как показали вычисления, разница в определении степени поляризации по формулам (3) и (7) незначительна.

Однако, здесь надо сделать некоторые замечания: формулы (3) и (4) — точные, а формулы (6) и (7) — приближенные и ими можно пользоваться, когда заведомо известно, что степень поляризации излучения данного объекта — небольшая величина, т. е. не превышает $10\%$.

Такой же приближенной формулой является формула Пикеринга для определения степени поляризации при использовании четырех положений анализатора. На основе формулы (7), формула Пикеринга принимает следующий вид:

$$P = \sqrt{[P(\varphi)]^2 + [P(\varphi + 45^\circ)]^2} \tag{8}$$

Эта формула также должна применяться, когда заранее известно, что $P < 10\%$, в случае $P > 10\%$ надо пользоваться точной формулой (3). Соответственно формуле (8) получается приближенная формула (см. работу [3]) для определения направления плоскости поляризации $\alpha$, тоже именуемая формулой Пикеринга.

Ввиду того, что снимки наши производились последовательно, очевидно, что исследуемые объекты фотографировались на разных зенитных расстояниях и поэтому необходимо учесть поправки за зенитные расстояния. Последовательные снимки подвержены еще ошибкам неоднородной гидировки при фотографировании отдельных изображений исследуемого объекта. К этим видам ошибок может присоединиться также неоднородность чувствительности эмульсии на двух фотопленках, неоднородность проявления и т. п.

Для учета перечисленных ошибок на каждой пленке выбирались конкретные звезды, которые измерялись во время измерений исследуемой туманности.

По измеренным звездам вводились поправки в виде $\lg J$ для остальных двух изображений (I метод), т. е. приводились к одному из трех, или остальных трех изображений (II метод).

### Степень и плоскость поляризации излучения отдельных внегалактических туманностей

Туманность NGC 205 находится вблизи большой туманности Андромеды NGC 224. Туманность NGC 205 типа $E_p$ и ввиду особенности типа представляет интерес для изучения ее с точки зрения поляризации. Однако, для выяснения вопроса какой тип туманностей показывает большую поляризацию, желательно исследовать все типы туманностей от E до J.

Степень и направление плоскости поляризации излучения для туманности NGC 205 нами дается в таблице II.

В первом столбце расстояния $d'$ даны в минутах дуги, причем начало координат совмещено с центральной частью измеряемой туманности. Верхние расстояния от нуля в этом столбце увеличиваются в сторону $(-\alpha)$, а нижние расстояния в сторону $(+\alpha)$. В случае измерения первым методом, если направление главной оси туманности совпадает с координатой $\delta$, то верхние расстояния $d'$ соответствуют $-\delta$, а нижние $+\delta$.

Таблица II

| NGC 205 $E_p$ | | | | | | | | | NGC 221 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3/IX—53 г. | | | 10/IX—53 г. | | | 20/VII—52 г. | | | 3—10/IX 1953 г. | |
| d′ | $P_2$ | $\alpha_2$ | d′ | $P_2$ | $\alpha_2$ | d′ | $P_1$ | $\alpha_1$ | d′ | P |
| 1′.7 | 14% | — | 1′.7 | 23% | −14° | 2′.8 | 2% | +63 | 0′.0 | 4% |
| 1′.1 | 9% | — | 1′.1 | 12% | +25° | 1′.4 | 17% | +62 | | |
| 0′.6 | 14% | +16° | 0′.6 | 15% | +77° | 0′.6 | 13% | +63 | | |
| 0′.0 | 12% | −59° | 0′.0 | 5% | −53° | 0′.0 | 14% | +32 | | |
| 0′.6 | 13% | −20° | 0′.6 | 5% | −81° | 0′.6 | — | — | | |
| 1′.1 | 5% | −23° | 1′.1 | 4% | −89° | 1′.4 | 13% | +51 | | |
| 1′.7 | 4% | −60° | 1′.7 | 6% | −25° | 2′.8 | 17% | +64 | | |
| Среднее 10% (7) | | | 10% (7) | | | 12% (6) | | | | |

Согласно таблице II туманность NGC 205 показывает довольно значительную поляризацию. Повидимому, значительная поляризация объясняется какими-то особенностями её типа $E_p$.

В таблице II дана также поляризация туманности NGC 221 типа E. У этой туманности измерялась лишь одна точка — ядро туманности, можно сказать, что она поляризацию не показывает, поскольку величина поляризации равна 4% и находится в пределах ошибок измерений фотографического метода.

Туманность NGC 224 типа Sb является самой большой туманностью созвездия Андромеды.

Она расположена близко от нашей Галактики. Степень поляризации излучения у этой туманности дается в доль большой оси для разных точек. Результаты измерения для неё нами даются в таблице III.

Как видно из этой таблицы, Туманность Андромеда показывает значительную поляризацию. Средняя величина поляризации этой туманности довольно хорошо согласуется с результатом, полученным для нее Оман'ом [9].

Таблица III

| NGC 224 Sb | | NGC 3031 Sb | | | NGC [illegible] | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20/VII—52 г., 14/IX—53 г. | | 19/IX—53 г. | | | 19/V—53 г. | | |
| P | n | d′ | $P_2$ | $\alpha_2$ | d′ | $P_1$ | $\alpha_1$ |
| 9% | (73) | 1′.7 | 6% | −31° | 0′.0 | 5% | +20° |
| | | 1′.1 | 15% | − 9° | | | |
| | | 0′.6 | 23% | − 2° | | | |
| | | 0′.0 | 2% | −31° | | | |
| | | 0′.6 | 14% | −17° | | | |
| | | 1′.1 | 10% | −46° | | | |
| | | 1′.7 | 8% | −52° | | | |
| | | Среднее 10% (7) | | | | | |

Относительно положения плоскости поляризации можно сказать, что по измерениям первым методом $\alpha_1$ получается довольно однородным и в среднем дает отклонение равное $\bar{\alpha} = 55°$. Если принять, что большая ось туманности Андромеды приблизительно параллельна оси $\alpha$, то плоскость поляризации ориентирована в среднем под 55° по отношению к главной оси туманности.

В таблице III мы поместили также измерения туманностей NGC 3031 Sb и NGC 4203 SBa. Эти типы туманностей помещены в таблице III с целью сравнения между собой близких типов.

Измерения туманностей NGC 598 типа Sc помещены в таблице IV.

Таблица IV

| NGC 598 Sc 3/IX—53 г. | | | | | | NGC 2976 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| d′ | $P_2$ | $\alpha_2$ | d′ | $P_2$ | $\alpha_2$ | d′ | $P_2$ | $\alpha_2$ |
| 6′.1 | 9% | — | 0′.1 | 9% | +10° | 1′.7 | 14% | + 79 |
| 5′.9 | 14% | 59° | 0′.6 | 6% | −54° | 1′.1 | 20% | + 55 |
| 5′.0 | 16% | — | 1′.1 | 10% | +23° | 0′.6 | 20% | 0 |
| 3′.9 | 20% | − 8° | 1′.7 | 16% | +10° | 0′.0 | 5% | +135 |
| 3′.3 | 25% | + 5° | 2′.2 | 4% | +50° | 0′.6 | 7% | +115 |
| 2′.8 | 18% | +35° | 2′.8 | 13% | +44° | 1′.1 | 7% | +144 |
| 2′.2 | 17% | +11° | 3′.3 | 11% | +64° | 1′.7 | 18% | + 86 |
| 1′.7 | 11% | +17° | 3′.9 | 8% | −36° | 2′.2 | 11% | +135 |
| 1′.1 | 7% | +13° | 4′.4 | 16% | +20° | Среднее 13 (8)% | | |
| 0′.6 | 8% | + 7° | 5′.0 | 17% | −40° | | | |
| 0′.0 | 9% | +10° | 5′.5 | 14% | +100° | | | |
| Среднее 13% | | | | | | | | |

У этой туманности спирали очень развиты и по форме она, в общем, представляет собой типичную спиральную систему. Как показывает таблица V, среднее значение её степени поляризации всего на 4% больше чем Андромеды.

Плотность поляризации у этой туманности ориентирована больше всего вдоль координаты $\alpha$. Если сравнить эти отклонения степени поляризации NGC 598 с отклонением плоскости туманности Андромеды, то получается, что они отличаются.

Отсюда можно сделать заключение, что степень и положение плоскости поляризации внегалактических туманностей мало связаны с поляризующей средой межзвездного пространства нашей Галактики.

Туманность NGC 598 нельзя отнести к туманностям, показывающим большие значения степени поляризации, однако, некоторые её узлы, как видно из таблицы IV показывают значительную поляризацию, которая в двух случаях достигает 20% и 25%.

В таблице IV помещена также поляризация излучения туманности NGC 2976 Sc. Степень поляризации для этой туманности определена вторым методом. Среднее значение поляризации в точности совпало со значением NGC 598. Отсюда можно заключить, что у спиральных внегалактических туманностей поляризация излучения достигает примерно 15%.

Туманности NGC 3034, 3037 и 4449 иррегулярного типа, и изучение их излучения представляет определенный интерес.

Как указывает Вайцзекер [12] иррегулярные туммапности являются самыми молодыми. Следовательно, иррегулярные туманности должны находиться в самой бурной стадии развития, поэтому в них скорее можно определить наличие большого количества темной материи и вследствие этого значительной поляризации их излучения.

На самом деле эти туманности в общем показывают значительную поляризацию и на фотографиях и у некоторых туманностей замечается заметная на глаз разница в почернениях для разного положения анализатора.

Таблица V

| NGC 3034 J 16/VII—52 г. | | | NGC 3077 J 19/IX—53 г. | | | NGC 4449 J 1/V[illegible] | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| d' | $P_1$ | $\alpha_1$ | d' | $P_2$ | $\alpha_2$ | d' | $P_3$ | $\alpha_3$ |
| 5'.5 | 6% | +84° | 1'.1 | 24% | +6° | 1'7 | 17% | +87° |
| 4'.1 | 7% | +56° | 0'6 | 16% | −2° | 1'.1 | 4% | +59° |
| 2'.7 | 4% | +80° | 0'0 | 8% | −47° | 0'.6 | 7% | −17° |
| 1'.4 | 15% | +120° | 0'.6 | 13% | −18° | 0'.0 | 30% | +45° |
| 0'.0 | 10% | +158° | | | | 0'.5 | 33% | −16° |
| 1'.4 | 10% | +82° | | | | 1'.9 | 22% | +33° |
| 2'.8 | 6% | +42° | | | | | | |
| 4'.1 | 9% | +30° | | | | | | |
| Среднее 9% | | | Среднее 15% | | | Среднее 19% | | |

Из этой таблицы видно, что лишь одна туманность NGC 3034 показывает незначительную поляризацию, поскольку среднее значение поляризации по двум разным методам определения — порядка 8%.

Туманность NGC 3077 показывает среднее значение в 15% по обоим методам, а туманность NGC 4449 — для некоторых точек больше 20%. Указанные величины несомненно ощутимы. Для туманности NGC 4449 стоит искать радиоизлучение, поскольку, как было указано выше, некоторая кореляция намечается между радиоизлучением и поляризацией света.

Определенный интерес представляет изучить эти туманности типа J с целью поляризации на более длиннофокусных инструментах и решить некоторые спорные вопросы поляризации их и нашей Галактики.

Чтобы найти связь между средним значением степени поляризации и типами внегалактических туманностей мы построили таблицу VI, где кроме вышеуказанных туманностей, внесены еще три туманности из нашей предыдущей работы [1].

Таблица VI

| №№ | NGC | $\overline{P}$ | Тип | №№ | NGC | $\overline{P}$ | Тип |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 221 | 04% | E | 7 | 4203 | 05% | SBa |
| 2 | 224 | 09% | Sb | 8 | 4449 | 21% | J |
| 3 | 598 | 13% | Sc | 9 | 4558* | 08% | Sb |
| 4 | 2976 | 13% | Sc | 10 | 5194* | 12% | Sc |
| 5 | 5031 | 10% | Sb | 11 | 5457* | 09% | Sc |
| 6 | 3077 | 15% | J | | | | |

* Звездочками обозначены внегалактические туманности, которые выписаны из моей работы.

Эти туманности в таблице VI обозначены звездочками. Как видно из этой таблицы VI, в этом списке отсутствуют туманности NGC 205 и 3034. Они были изъяты из списка ввиду того, что туманность NGC 205 типа Ер, т. е. проявляет какие-то особенности и поэтому может не соответствовать настоящему типу Е. Вторая туманность NGC 3034 у Шепли и Эймс [13] классифицирован как иррегулярная I, но по нашим определениям эта туманность скорее типа Sb чем J. Ввиду указанных причин они не были внесены в таблицу VI.

Данные таблицы VI мы представили в виде кривой. Кравая дается на рис. 1.




Рис. 1.

На оси абсцисс мы поместили основные типы туманностей, начиная от Е до J-ого, а на оси ординат среднее значение степени поляризации в процентах. Для расстояния между основными типами взяты условно одинаковые интервалы в соответствии с их показателем цвета.

Как показывает кривая, намечается некоторая зависимость между степенью поляризации и типом внегалактических туманностей.

Общий просмотр приведенных таблиц оставляет впечатление, что центры внегалактических туманностей дают излучения менее поляризованные, чем периферийные части, однако этот признак

явным образом не проявляется. Для обнаружения указанного явления необходимо построить кривые для каждой туманности в отдельности (расстояние от центра в линейных мерах — степень поляризации). С этой целью необходимы обширные измерения каждой туманности на снимках, полученным длиннофокусными инструментами.

### Поляризация излучения Крабовидной туманности

В этой работе мы приводим поляризацию излучения Крабовидной туманности, которая является диффузно-газовой туманностью нашей Галактики.

Ввиду того, что эта туманность, как указано выше, дает большое радиоизлучение, представлялось очень интересным изучить поляризацию ее излучения.

Таблица VII. Крабовидная туманность.

| | d' | 11/IX—53 г. | | 14/IX—53 г. | |
|---|---|---|---|---|---|
| | | $P_2$ | $\alpha_2$ | $P_2$ | $\alpha_2$ |
| $+\delta$ | 2'.2 | 17% | +28° | 11% | +26° |
| | 1'.7 | 26% | − 1° | 17% | −10° |
| | 1'.1 | 20% | + 6° | 27% | + 4° |
| | 0'.6 | 12% | −21° | 16% | −37° |
| | 0'.0 | 24% | +21° | 14% | +18° |
| | 0'.6 | 35% | +15° | 26% | +24° |
| | 1'.1 | 48% | +24° | 33% | +32° |
| | 1'.7 | 28% | +36° | 22% | +42° |
| $-\delta$ | 2'.2 | 9% | +20° | 6% | +13° |

Как показывает таблица VII, излучение Крабовидной туманности довольно сильно поляризовано. Мы обработали две серии негативов. Первая из них, полученная 11/IX—53 года, не совсем удачная, а вторая, полученная 14/IX—53 года, отличается своей доброкачественностью. Измерение Крабовидной туманности мы производили вдоль координаты.

Максимальная поляризация в Крабовидной туманности для одной точки достигает 50%-ов. Излучение Крабовидной туманности, повидимому, настолько сильно поляризовано, что даже по нашим снимкам, в условиях незначительного масштаба на камере

Шмидта, 1 см = 55′, на глаз замечается, что туманность значительно меняет свою форму при разных положениях анализатора. Это значит, что излучение Крабовидной туманности очень сильно поляризовано.

Ввиду того, что Крабовидная туманность дает самое мощное радиоизлучение, то корреляция между поляризацией и радиоизлучением — налицо. Повидимому, поляризация излучения этой туманности обусловлена магнитными полями, которые находятся в ней. Последние исследования будто бы показали, что радиоизлучение Крабовидной туманности неполяризовано. Однако, это совсем не говорит в пользу того, что видимая область спектра не должна быть поляризованой, поскольку видимый и радиодиапазоны очень сильно далеки друг от друга.

Дальнейшие исследования электрофотометрическим путем поляризации излучения Крабовидной туманности тоже подтвердили наличие большой поляризации, достаточно указать на работу ленинградского астронома Домбровского [7], а также Оорта. Однако, электрофотометрическим путем трудно измерить очень небольшого размера узловые точки, поэтому они больше всего поляризацию дают в суммарном излучении, ввиду этого электрофотометрические определения должны приблизительно совпадать с нашими средними значениями, что и получается на самом деле.

Очевидно, поляризация излучения этой туманности должна еще раз изучаться с помощью более длиннофокусного инструмента, что мы и предполагаем сделать на менисковом телескопе Абастуманской обсерватории.

В работе Гордона [14] указывается, что, если радиоизлучение Крабовидной туманности не поляризовано (при допущении, что механизм радиоизлучения таков же, как и механизм излучения света), тогда поляризацию излучения Крабовидной туманности можно приписать межзвездной среде. Такое заключение неправдоподобно ввиду того, что остальные узловые места туманности дают разные значения степени поляризации. Этот результат противоречит допущению, что поляризация излучения Крабовидной туманности межзвездного характера, т. е. говорит в пользу того, что поляризация присуща самой Крабовидной туманности.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ЛИТЕРАТУРА


1. Вашакидзе М. А., Бюллет. Абастум. астрофизич. обс. № 13, 103, 1953.
2. Амбарцумян В. А., Горделадзе, Ш. Г., Бюллет. Абастуманск. астрофизич. обс. № 2, 37, 1938.
3. Elvius A., Stock. obs. Ann. 17, № 4, 1951.
4. Шкловский И. С., Астроном. Ж. 30, 15, 1953.
5. Hiltner W. A., Aph. J. 114, 241, 1954.
6. Hall L. S., Science, 109, 166, 1949
7. Домбровский В. А., Вестн. Ленингр. универ. Астрономия, № 2, 1953. ДАН Арм. ССР, 12, 4, 1950.
8. Chandrasekhar S., Apr. J. 103, 351, 1946.
9. Öhman J., Stockh. obser. Ann. 14. № 4, 1642.
10. Фесенков В. Г., Астрон. Ж. 12, 309, 1935.
11. Вашакидзе М. А., Бюллет. Абастум. астрофизич. обс. № 17, 1, 1954.
12. Weizsaker C. F. Aph. J. 114, 165, 1951.
13. Shapley H., Ames, A. HA 88, № 2, 1932.
14. Гордон И. М. ДАН СССР, 1955, 100, № 1, 21—24.


(Статья поступила в редакцию 5. II. 1956).

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XV, 1956.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XV, 1956.
ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. დევდარიანი

# ტექტონიკისა და რელიეფის ურთიერთობის მაგალითები დასავლეთ საქართველოს დეპრესიაში

მიწის ქერქის ამა თუ იმ ნაწილის რელიეფის ჩამოყალიბების საქმეში დიდი როლი შეასრულა ტექტონიკურმა სტრუქტურამ. რელიეფის რომელიმე ტიპის ან ფორმის ადრინდელი ხასიათის წარმოსადგენად საჭიროა გავითვალისწინოთ ის ცვლილებები, რომლებიც მეტ-ნაკლები დროის განმავლობაში განიცადა განსახილველმა ობიექტმა.

ყოველი სტრუქტურული ელემენტის საფუძველზე განვითარებული რელიეფის თანადროული თვისებები არ არის იმის განმეორება, რაც მას ახასიათებდა წარსულში. დედამიწის ზედაპირის კონტინენტური განვითარების დასაწყისში რელიეფისათვის გეოლოგიური ფორმაციების ლითოლოგიურ სხვადასხვაობას მნიშვნელობა არ ქონდა. შემდეგ, რამდენადაც პირვანდელი სტრუქტურული ფორმები ებმებიან მთელი ზედაპირის გარდაქმნის პროცესში, იმდენად ლითოლოგიის მნიშვნელობა მატულობს, ტექტონიკის კი — პირიქით. მაგალითად პალეოზოური მთების თანადროული რელიეფისათვის პირვანდელ ტექტონიკას მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი მთები მოექცევა დიზუნქტური დისლოკაციების სფეროში, მაშინ რელიეფის განვითარების პირობებიც მკვეთრად შეიცვლება, თუმცა ის მაინც არ განმეორდება, რაც მათ თავდაპირველად ახასიათებდა. ამა თუ იმ ტიპის რელიეფის ისტორიის განხილვისას მხედველობაში უნდა მივიღოთ აგრეთვე სუბსტრატის გეოტექტონიკური რეჟიმის ცვალებადობა ცალკეული გეოლოგიური ეპოქების მიხედვით. ახალგაზრდა მთებმა განვითარების უფრო ხანმოკლე ისტორია განვლო, ამიტომ მათ მეტად ახასიათებს ტექტონიკის გავლენა რელიეფზე. ამით დასტურდება, რომ მთებს განვითარების არც ერთ სტადიაში

არ ჰქონდა სრულიად უცვლელი, იდეალურად გამოსახული სტრუქტურული ფორმები. ეს მით უნდა აიხსნას, რომ არც ე[illegible] სისტემა, ან მისი ნაწილი არ გაჩენილა ერთბაშად, ყვე[illegible] შობა მიმდინარეობდა თანდათანობით. ამდენად მთების მორფოლოგიური განვითარება დაკავშირებული იყო მათი გეოტექტონიკური რეჟიმის ცვალებადობასთან. განვითარება ყოველთვის ერთფეროვანი არ იყო, იგი იცვლებოდა როგორც რიცხობრივად, ისევე თვისობრივად რელიეფწარმომშობი ფაქტორების სხვადასხვაობის გამო.

მთების ადრინდელი მორფოლოგიური სტრუქტურის აღდგენისათვის არსებულ საშუალებებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ძველი რელიეფის რელიქტების შესწავლას. ახალგაზრდა მთებს ახლო გეოლოგიური წარსულის რელიეფის რელიქტები ახალ შეძენილ თვისებებთან ერთად დიდი რაოდენობით ახასიათებს. ამიტომ ასეთი მთებისათვის საყოველთაო მოვლენად ითვლება რელიეფის მრავალფეროვანება.

ძველი მთების რელიეფში განსაკუთრებულ გამოსახულებას პოულობს დიზუნქტური დისლოკაციები. მაგ., შუა ევროპის ჰერცინული ზონის თანამედროვე მორფოლოგია წარმოადგენს ალპური დანაოჭების გავლენის შედეგს. ახალმა დანაოჭებამ გამოიწვია გადარეცხილი და დადაბლებული ჰერცინიდების დამოუკიდებელ ერთეულებად დაწყვეტა; ამას შემდეგ დაერთო ცალკეული ნაწილების ჰორსტებად ამაღლება, ზოგის კი სრულიად დაძირვა გრაბენების სახით. იგივე შეიძლება მოხდეს ახალგაზრდა მთებშიც, მაგრამ იქ რელიეფის შექმნისათვის ეს გადამწყვეტი არ იქნება.

მთები რაც უფრო ძველია და სახეცვლილი, მით მეტად სტაბილურია. სტაბილურ მასივებზე დაგროვილი ახალგაზრდა ნალექები განიცდის სუბსტრატის გავლენას, ამიტომ მათი შრეები ან ჰორიზონტულად რჩება, ან ხდება ნარტივი ნაოჭების წარმოშობა. რამდენადაც სუბსტრატი დიდ სიღრმეზე მდებარეობს, იმდენად მეტია ახალგაზრდა ნალექებში ტექტონიკური აქტივობა.

ამრიგად, ტექტონიკურ-სტრუქტურული რელიეფის განხილვისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ სამი მთავარი გეოსტრუქტურული ელემენტი: ძველი, მეტ-ნაკლებად სტაბილური, გაშიშვლებული მასივები; ბაქნები ან ბაქნური ტიპის მთათაშუეთები და ახალგაზრდა მთები.

დასავლეთ საქართველოს დეპრესიის ფარგლებში არის შემდეგი მთავარი გეოტექტონიკური ელემენტები: 1) პალეოზოური ნაოჭები

(საქართველოს ბელტი) — ა) ზედაპირული მდებარეობით (ძირულის მასივი) და ბ) მიწისქვეშა მდებარეობით (კოლხეთის ან რიონის ვაკე). ეს უკანასკნელი შედგება ორი ნაწილისაგან — რიონის დაბლობისა და პერიფერიულ გორაკ-ბორცვიან ზონისაგან; 2) ბაქნურიდან გეოსინკლინურისაკენ გარდამავალი ზონა და 3) გეოსინკლინური ზონა.

1) პალეოზოური ნაოჭები (საქართველოს ბელტი). როგორც ცნობილია, საქართველოს ბელტი დასავლეთ საქართველოს ფარგლებში წარმოდგენილია ძირულის მასივით და კოლხეთის ბაქნური ტიპის ვაკით.

ა) ძირულის მასივს უჭირავს დასავლეთ საქართველოს დეპრესიის აღმოსავლეთი ნაწილი და ქართლის ვაკის საზღვარზე მთავრდება ქართლ-იმერეთის ქედით. ძირულის მასივი ტექტონიკურად ჰორსტს წარმოადგენს, მორფოლოგიურად — პლატოს. ამავე დროს იგი ალპური ოროგენის ნაწილია.

ძირულის პლატოს ახასიათებს საშუალო სიმაღლე, ღრმა დანაწევრება პერიფერიებში, კლაკნილი ტერასო ხეობები, მოსწორებული წყალგამყოფები ძველი განამარხებული დენუდაციური და აბრაზიული ზედაპირებით, კარსტული მოვლენები და ა. შ. დენუდაციური ზედაპირების უმეტესი ნაწილი მესამეული ასაკისაა, რადგან პალეოზოური სუბსტრატი წყალგამყოფების დიდ ფართობზე დაფარულია მიოცენური ნალექებით. ეს ნალექები სუბსტრატის გავლენის შედეგად არ დანაოჭებულა.

ლითოლოგიური პირობების სხვადასხვაობის გამო ახალგაზრდა ნალექებს ეგზოგენური პროცესების გავლენით ახასიათებს საკუთარი რელიეფი. აქედან გამომდინარე ძირულის პლატოსათვის შეიძლება აღინიშნოს ორგვარი რელიეფი — ძველი (პალეოტიპური), რომელიც საკუთრივ მასივზე განვითარდა და ახალი (ნეოტიპური), რომელიც მეზოზოურ-მესამეულ წყებებში ჩამოყალიბდა. პირველს ეკუთვნის განამარხებული დენუდაციური ზედაპირები და საერთოდ მასივის ზედაპირის მოყვანილობა, მეორეს — ეროზიული, ვულკანური, კარსტული და გამოფიტვის ფორმები. ძირულის პლატოს რელიეფის ჩამოყალიბება უმთავრესად აღმავალი მოძრაობის პროცესში მიმდინარეობდა.

ბ) კოლხეთის ვაკე. ძირულის მასივიდან აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიმართულებით პალეოზოური ნაოჭები იძირება და ბაქნური ტიპის სტრუქტურები იქმნება. ბაქნურ მხარეებში უკეთესად არის გამოსახული რელიეფზე ახალი ტექტოგენეზის გავ-

ლენა. დასავლეთ საქართველოში ბაქნური ტიპისაა კოლხეთის ვაკე, რომელიც ამავე დროს დეპრესიის ფსკერს წარმოადგენს. გეოტექტონიკური რეჟიმისა და მორფოლოგიური პირობების მიხედვით კოლხეთის ვაკე იყოფა ორ ნაწილად — დაბლობად და პერიფერიულ გორაკ-ბორცვიან ზონად. უკანასკნელ გეოლოგიურ ეპოქაში დაბლობს ჰქონდა დაძირვის, ხოლო გორაკ-ბორცვიან ზონას — ამაღლების ტენდენცია. შესაძლებელია, ადრე მოძრაობა ცვალებადობას განიცდიდა ორივე ზონაში. ღრმად მდებარე პალეოზოური სუბსტრატი ამჟამად რიონის დაბლობში იძირება, ხოლო ბორცვიან ზონაში მაღლა იწევს.

კოლხეთის ბორცვიან ნაწილში წარმოიშვა ზეწრული ნაოჭები, რომელთა კონტინენტურ პირობებში განვითარება მიმდინარეობდა ზედა მესამეულიდან. ეროზიისადმი უფრო გამძლე სტრუქტურულმა ელემენტებმა შედარებით მაღალი მდებარეობა შეინარჩუნა. ბორცვიან ზონაში სტრუქტურული რელიეფის თვალსაჩინო მაგალითია დამოუკიდებელი ანტიკლინური მაღლობები, როგორიცაა — ურთას-მთა, ეკის-მთა, აბედათის-მთა, აგრეთვე აფხაზეთის ბორცვიანი ზონის ანტიკლინური მთები მდ. ენგურის დასავლეთით მდ. გუმისთამდე. საშუალო სიმაღლის ტექტონიკური მთები არის კოლხეთის ვაკის სამხრეთ პერიფერიულ ნაწილშიც. ანტიკლინური გუმბათები ხშირად მორიგეობენ სინკლინურ მულდებთან. მთების მეტი სიმაღლე, მათ ირგვლივ მდებარე სივრცეებთან შედარებით, უპირატესად ტექტონიკურ-სტრუქტურული პირობებით უნდა აიხსნას, რომ ისინი ანტიკლინებს წარმოადგენენ; მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მათ შემადგენელ მკვრივ კირქვებსაც.

ზემოაღნიშნულით დასტურდება, რომ კოლხეთის პერიფერიული ნაწილების გორაკ-ბორცვიანობის მიზეზია დაძირული პალეოზოური სუბსტრატის გავლენა; ამავე მიზეზით უნდა აიხსნას მეზოზოური და მესამეული ნალექების მცირე სიმძლავრე და მარტივი (ზეწრული) დანაოჭება. წყალგამყოფთა მნიშვნელოვანი შეფარდებითი სიმაღლეები და ხეობებში ტერასების არსებობა ხმელეთის აღმავალი მოძრაობისა და სტრუქტურულ-ლითოლოგიური პირობების ცვალებადობის შედეგია.

2) ბ ა ქ ნ უ რ ი დ ა ნ  გ ე ო ს ი ნ კ ლ ი ნ უ რ ი ს ა კ ე ნ  გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი  ზ ო ნ ა. ამ ზონას უჭირავს კავკასიონის სამხრეთ ფერდობის ნაწილი მოხსენებული ბორცვიანი ზონის ჩრდილოეთით. იგი განსხვავდება განხილული ტერიტორიებისაგან, როგორც გეოსტრუქტურული თვისებებით, ასევე ჰიფსომეტრიული პირობებით. გარდა-

მავალი ზონა შედგება საკმაოდ მძლავრი დანაოჭებული მეზოზოური და მესამეული ნალექებისაგან. ნაოჭები წარმოდგენილია ანტიკლინებით, სინკლინებით და მონოკლინებით. საქართველოს ბელტის ზონის ფარგლებში ვრცელდება ცალკეული ლოდების სახით. ასეთ ადგილებში შრეებს ახასიათებს სუსტი დისლოცირება. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ასხისა და ხვამლის მასივები.

ზონის შემადგენელი მთების სიმაღლე ჩვეულებრივად 1000 მ. აღემატება. ზედა მესამეულში და მეოთხეულში კავკასიონის გეოანტიკლინის სიმაღლისა და სიგანის თანდათანობით მატების შედეგად ამ ზონამ განიცადა მნიშვნელოვანი ჰიფსომეტრიული განვითარება. აქაურ რელიეფში კარგად არის გამოსახული ტექტონიკური სტრუქტურა. ქედები ვრცელდება უმთავრესად კავკასიონის წყალგამყოფის პარალელურად. ყველაზე მაღალი მთები აგებულია მკვრივი კირქვებით და ბაიოსური პორფირიტებით. მაღალი ქედები ზოგან ერთმანეთისგან გამოყოფილია ტექტონიკური დეპრესიებით. ასეთია მაგ. რაჭა-ლეჩხუმის სინკლინი. სინკლინის ფსკერი მის ახლოს მდებარე ქედებთან შედარებით გაცილებით დაბლა მდებარეობს, ამიტომ იგი მდ. რიონის განიერ ხეობას უჭირავს. შეიძლება თუ არა რაჭა-ლეჩხუმის დეპრესიის რელიეფის წარმოშობა ავხსნათ მისი სინკლინური მდებარეობით? ნორმალურ პირობებში სინკლინები ქმნიან დაბალ რელიეფს და ანტიკლინები მაღალს. მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ არის. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაშიც დეპრესიის რელიეფის ჩამოყალიბება არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ მისი სინკლინური სტრუქტურით.

ა. ჯანელიძის მიხედვით, რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის წარმოშობის ისტორია მეზოზოურიდან მომდინარეობს. ამ დიდი დროის განმავლობაში მან და მის ახლო მდებარე სივრცეებმა მრავალმხრივი ცვლილებები განიცადეს. სინკლინი მიოცენის ჩათვლით ზღვით იფარებოდა. პლიოცენში და მეოთხეულში გარდამავალი ზონის და მასთან ერთად რაჭა-ლეჩხუმის დეპრესიის გადარეცხვა მიმდინარეობდა. სინკლინის ფსკერის შემადგენელი ფხვიერი ნალექების დიდი ნაწილი ადვილად გადაირეცხა, ასევე, თუმცა ნაკლები სიჩქარით, მოხდა სინკლინის მაღალი კირქვიანი კიდეების გადარეცხვაც. კირქვიან ქედებსა და სინკლინის ფსკერს შორის ჰიფსომეტრიული სხვაობა თანდათანობით მატულობდა. ამრიგად, რაჭა-ლეჩხუმის სინკლინური მულდის მორფოლოგიური ჩამოყალიბება უნდა ავხსნათ მისი სტრუქტურული დასაბამით და შემადგენელი ქანების ლითოლოგიური სხვადასხვაობით. ამასთანავე მხარის სა-

ერთო განვითარებაში სათანადო წვლილი შეიტანა ხმელეთის ვერტიკალური მოძრაობის ამპლიტუდის ცვალებადობამ სინკლინორიუმის ახლო მდებარე მთებს შორის.

ტექტონიკური სტრუქტურის რელიეფში გამოვლინება ზონის სხვა ნაწილებშიც ხდება. გარდა ანტიკლინების და სინკლინებისა რელიეფზე გავლენას ახდენს სხვა ტექტონიკური გართულებებიც, როგორიცაა — შეცოცებები, წყვეტები და სხვა.

3) გეოსინკლინური ზონა. დასავლეთ საქართველოს დეპრესიის ფერდობთა მაღალი ნაწილი გეოტექტონიკური რეჟიმის მიხედვით ძლიერ განსხვავდება განხილული ზონებისაგან. კავკასიონის სამხრეთი ფერდობის გეოსინკლინურ ზონაში და აჭარა-იმერეთის მთებში ალპურმა დანაოჭებამ შრეების ინტენსიური დისლოცირება გამოიწვია. ნალექების დიდი სიმძლავრისა და რთული ნაოჭების განვითარების გამო გეოსინკლინურ მთებს ახასიათებს მაღალი ჰიფსომეტრიული მდებარეობა.

ამ ზონის დიდი სიმაღლის წარმომშობი სხვა ფაქტორებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ხმელეთის აღმავალ მოძრაობას, რომელიც თანდათანობით მატულობდა დეპრესიის ფსკერიდან კავკასიონის მაღალი ნაწილისაკენ.

რელიეფის მაკრო-ფორმების ჩამოყალიბება ძირითადად გაპირობებულია მსხვილი ტექტონიკურ-სტრუქტურული ელემენტებით. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ გეოსინკლინური მთების თანადროული რელიეფი მარტო ტექტონიკით ვერ შეიქმნებოდა, რომ ადგილი არ ჰქონოდა მრავალფეროვან ეგზოგენურ პროცესებს, რომელთა მოქმედება აქ განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობს.

ამ ზოგადი მიმოხილვით დასტურდება ტექტონიკის გადამწყვეტი მნიშვნელობა რელიეფისათვის.

მუშაობის შემდგომი ეტაპი მოითხოვს გამოყოფილი ზონების დეტალურ დახასიათებას მათი რელიეფისა და ტექტონიკის ურთიერთობის საკითხის ამომწურავად გადაწყვეტის მიზნით. ამისათვის საჭიროა ცალკეული ზონების ტექტონიკურ-სტრუქტურული ფორმების დაჯგუფება და მათი განხილვა განვითარების პირობებისა და თანადროული მორფოლოგიური ხასიათის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Г. С. ДЕВДАРИАНИ

# ВЗАИМООТНОШЕНИЯ ТЕКТОНИКИ И РЕЛЬЕФА В ЗАПАДНО-ГРУЗИНСКОЙ ДЕПРЕССИИ

## Резюме

В Западно-грузинской депрессии известны следующие геотектонические единицы: 1) палеозойские складки (Грузинская глыба): а) поверхностного залегания (Дзирульский массив) и б) подземного залегания (Колхидская равнина); 2) Переходная зона от платформы к геосинклинали и 3) геосинклинальная зона.

Дзирульский горст морфологически представляет плато с погребенными денудационными поверхностями, покрытыми толщей маломощных третичных и мезозойских отложений. Неотипный рельеф осадочной толщи представлен вторичными формами, каковы, напр., эрозионные, карстовые и др., а палеотипный непосредственно в палеозойских породах выравненными поверхностями.

В области Колхидской равнины палеозойский субстрат погружается. По рельефу и характеру тектонической структуры эту равнину можно разделить на две части — на периферическую, имеющую холмистый рельеф на основе покровных складок и центральную аллювиальную низменность с отрицательным знаком движения.

Переходная зона от платформы к геосинклинали хорошо выражена на северном склоне депрессии. В этой зоне, достигающей свыше 1000 м., хорошо выражены в рельефе структурно-тектонические формы — антиклинальные, синклинальные и моноклинальные складки.

Ярким представителем структурного рельефа является Рачинско-лечхумская депрессия, дно которой заполнено третичными отложениями.

Высокогорная геосинклинальная часть Западно-грузинской депрессии слагается мощными, сильно дислоцированными юрскими осадками. В этой зоне образование макроформ рельефа обусловлено крупными структурно-тектоническими элементами. Сильное преобразование рельефа является результатом экзогенных процессов, протекающих при содействии восходящего движения гор.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლიტერატურა


Белоусов В. В., Основные вопросы геотектоники. Москва, 1954.

Гамкрелидзе П. Д., Общие соображения о тектоническом строении Грузии. Сб. трудов АН Груз. ССР, посвящ. Джанелидзе А. И., 1951.

Муратов М. В., История черноморского бассейна в связи с развитием окружающих его областей. БМОИП, отд. геол., т. XXVI(1), 1951.

Муратов М. В., История тектонического развития глубоководной впадины Черного моря и ее возможное происхождение. БМОИП, отд. геол. № 5, 1955.

Рубинштейн М. М., К проблеме геотектонического расчленения Грузии. Сб. трудов АН Грузинской ССР, посвящ. Джанелидзе А. И, 1951.

ჯანელიძე ა., საქართველოს ბელტის პრობლემა. საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, № 1—2, 1942.

დევდარიანი გრ., ეპიროგენეტური მოძრაობა და მისი როლი დასავლეთ საქართველოს დეპრესიის რელიეფის ჩამოყალიბებაში. ალ. წულუკიძის სახელ. ქუთ. სახელმწ. პედ-ინსტიტუტის შრ., ტ. XIV, 1955.


(შემოვიდა რედაქციაში, 1. X. 1956).

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XV, 1956.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XV, 1956.

ლ. ჭელიძე, ვ. ბრეგვაძე

# ჩუნეშის ბენტონიტური თიხის მჟავური და თერმული აქტივაციის საკითხისათვის

ბუნებრივ ადსორბენტებს შორის მათეთრა თიხები, რომლებსაც ბენტონიტურ თიხებს უწოდებენ, გამოყენებას პოულობდნენ ჩვენს ერამდე დიდი ხნით ადრე. ძველს ეგვიპტეში ასეთ თიხებს იყენებდნენ სხვადასხვა ზეთების გასაწმენდად. მე-19 საუკუნეში ზოგიერთი ბენტონიტური თიხა გამოყენებულ იქნა მაუდის წარმოებაში, ხოლო მეოცე საუკუნის დასაწყისიდან ბენტონიტურმა თიხებმა ყველაზე მეტი გამოყენება პოვეს ნავთობის მრეწველობაში.

ისინი გამოიყენებიან აგრეთვე სხვადასხვა სითხეების გასაწმენდად, ცხიმების დასამუშავებლად, საღებავების, პლასტიკური მასების, ხელოვნური კაუჩუკის, ქაღალდის წარმოებისა და მრეწველობის სხვა დარგებში.

ბუნებრივ სორბენტთა სიიაფემ და მრეწველობაში მათი ფართოდ გამოყენების შესაძლებლობამ გახადა ისინი მეცნიერული შესწავლის საგნად. სოციალისტური მრეწველობის სწრაფი განვითარება სულ ახალ ახალ მოთხოვნილებას აყენებს ბუნებრივ ადსორბენტზე, ამიტომ მათი ახალი საბადოების ძიება და ადსორბენტების ფიზიკურ-ქიმიური თვისებების შესწავლა ფრიადმნიშვნელოვანი საკითხია. რუსეთში ბენტონიტური თიხების გამოყენების ცდები ეკუთვნის აკად. ა. ე. ფერსმანს, რომელმაც 1915 წელს წამოაყენა წინადადება მათი საბადოების ძიებისა და გამოყენების შესახებ. 1916 წელს პროფ. პ. ა. ზემიატჩენსკიმ გამოაქვეყნა შრომა რუსეთის ზოგიერთი მათეთრა თიხის შთანთქმითი თვისებებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის ბენტონიტურ თიხებს შორის წამყვანი ადგილი უჭირავს საქართველოს ბენტონიტურ თიხებს, რომელთა შესწავლის საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს პროფ. ა. ა. თვალჭრელიძეს და პროფ. ს. ს. ფილატოვს [1, 2]. მათი შრომების შედეგად აღმოჩენილი და შესწავლილია ბენტონიტური თიხების მრავალი საბადო, რომელთა შორის მარაგისა და თვისებების მიხედვით გამოირჩევიან გუმბრისა და ასკანის საბადოები. ამ საბადოების თიხები ფართოდ არიან ცნობილი გუმბრინის, ასკანიტის და ასკანგელის სახელწოდებით.

გუმბრის საბადოს გარდა, წყალტუბოს რაიონში ცნობილია ბენტონიტური თიხების სხვა საბადოები, რომელთა შორის შთანთქმითი უნარით გამოირჩევა ჩუნეშის ბენტონიტური თიხა [6].

ბუნებრივი სორბენტის ადსორბციული უნარი შეიძლება გაზრდილ იქნას მისი მჟავური და თერმული გააქტივების შედეგად, რასაც თან ახლავს სორბენტის სტრუქტურის მნიშვნელოვანი შეცვლა.

ბენტონიტური თიხების გააქტივებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც მინერალური, ისე ორგანული მჟავები, მაგრამ ყველაზე მეტად გამოყენებულია გოგირდმჟავა.

1938 წელს ინჟინერმა ლ. ვ. რეხენბერგმა და ვ. გ. გურგენიძემ შეისწავლეს ბენტონიტური თიხების გოგირდმჟავათი გააქტივების პროცესი და დაადგინეს, რომ ყველაზე კარგ შედეგს იძლევა 20% მჟავა 5—6 საათის ინტერვალში.

ბენტონიტური თიხების გააქტივება შეიძლება აგრეთვე მათი თერმული დამუშავების შედეგად. ამ შემთხვევაში საჭიროა ცალკეული ბუნებრივი სორბენტისათვის დადგენილ იქნას ტემპერატურის მაქსიმუმი, რომლის შემდეგ იცვლება მისი სტრუქტურა და სორბციის უნარი. ეს საკითხი დეტალურად არის შესწავლილი ა. ვ. კისელიოვისა და კ. გ. კრასილნიკოვის მიერ [3, 4]. ამავე საკითხს არკვევს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტში წევრ-კორესპონდენტ პროფ. გ. ვ. ციციშვილისა და მეცნ. კანდ. გ. ტივაძის მიერ ჩატარებული გამოკვლევები [5].

ჩვენს მიზანს შეადგენდა, შეგვესწავლა ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილი ჩუნეშის ბენტონიტური თიხის სორბციული თვისების ცვალებადობა მისი მჟავური და თერმული გააქტივების შედეგად. ჩუნეშის ბენტონიტური თიხის გააქტივება ჩატარებულ იქნა ცნობილი წესის მიხედვით 4, 6, 8, 10, 12, 15% გოგირდმჟავათი დროის სხვადასხვა ინტერვალში თანმიმდევრობით 0,5, 1, 1,5, 2, 2,5, 3, 4,5 და 6 საათის განმავლობაში წყლის აბაზანაზე.

გარდა ამისა, აღნიშნული წესით დამუშავებული თიხის ნიმუშებს თერმული გააქტივებისათვის ვახურებდით თერმოსტატში 110°, 150°, 200°-მდე, ხოლო შემდეგ ელექტროღუმელში 300°, 400°, 650°-მდე. ექსიკატორში თიხის ნიმუშების გაცივების შემდეგ ვამოწმებდით გაუფერულების უნარს.

მჟავური და თერმული გააქტივების შედეგად მიღებული თიხით ჩავატარეთ გაუფერულების ცდები სურახანის ნავთობის და კონცენტრატის ხსნარებზე სუფთა ნავთში (50 მლ. 2 ლიტრ ნავთში). აგრეთვე შემოწმებულ იქნა სუდანპირველის ბენზოლიანი ხსნარის გაუფერულება.

ცდებისათვის ვიღებდით გააქტივებული თიხის ნიმუშებს 5 გრ. რაოდენობით, ვყრიდით კოლბაში, ვამატებდით გასაუფერულებელი ხსნარის 50 მლ. და ვანჯღრევდით 2 საათის განმავლობაში. გაფილტვრის შემდეგ ხსნარების გაუფერულებას ვამოწმებდით დუბოსკას კოლორიმეტრით. ცდის შედეგები მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ტაბულებში, ხოლო თვალსაჩინოებისათვის ცდის შედეგები გამოსახულია შესაბამის მრუდეებზე.

ტაბულა № 1

სურახანის ნავთობის ხსნარის გაუფერულების შედეგები

| მჟავას კონცენტრაცია | გააქტივების დრო და გაუფერულების ხარისხი | | | | | | | | | | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 0,5 საათი | | 1 საათი | | 1,5 საათი | | 2 საათი | | 5 საათი | | |
| | გაუფერ. %-ში | გაუფერ. ხარისხი | გაუფერ. %-ში | გაუფერ. ხარისხი | გაუფერ. %-ში | გაუფერ. ხარისხი | გაუფერ. %-ში | გაუფერ. ხარისხი | გაუფერ. %-ში | გაუფერ. ხარისხი | |
| 4% | 42.51 | 1,73 | 44,85 | 1,81 | 46,40 | 1,86 | 48.3 | 1,93 | 49,60 | 1,98 | ცდა წარმოებდა |
| 6% | 51,6 | 2,06 | 58,00 | 2,22 | 60,[illegible]0 | 2,44 | 65,[illegible]0 | 2,70 | 69,30 | 2,89 | 20°-ზე, |
| 8% | 62,00 | 2,44 | 6[illegible],70 | 2·62 | 68,50 | 2,76 | 71,70 | 3,40 | 78,30 | 3,62 | თიხა გამომშ. |
| 10% | 67.50 | 2,82 | 61,40 | 3,07 | 75,40 | 3,34 | 80,40 | 4,80 | 85,30 | 5,82 | იყო |
| 12% | 70,00 | 3,30 | 75.5 | 3,58 | 81,30 | 4.06 | 85.50 | 5·86 | 92,30 | 7,50 | 100°-ზე. |
| 15% | 74,6 | 3,80 | 81,00 | 4,08 | 87,40 | 4,56 | 91,4 | 8,5 | 97,30 | 10,80 | |

ეროვნული ბიბლიოთეკა




ტაბულა № 2

სუდანპიროველის ბენზოლიანი ხსნარის გაუფერულების შედეგები

| მჟავას კონცენ-ტრაცია | გააქტივების დრო და გაუფერულების ხარისხი | | | | | | | | | | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 0,5 საათი | | 1 საათი | | 1,5 საათი | | 2 საათი | | 5 საათი | | |
| | გაუფერ. %-ში | გაუფერ. ხარისხი | გაუფერ. %-ში | გაუფერ. ხარისხი | გაუფერ. %-ში | გაუფერ. ხარისხი | გაუფერ. %-ში | გაუფერ. ხარისხი | გაუფერ. %-ში | გაუფერ. ხარისხი | |
| 4% | 42,50 | 1,75 | 44.40 | 1,80 | 46,43 | 1,86 | 47.33 | 1,90 | 50,10 | 2,00 | |
| 6% | 45,29 | 1,82 | 48.20 | 1,93 | 50,00 | 2.00 | 01.61 | 2,06 | 56.70 | 2,16 | |
| 8% | 49,00 | 1,97 | 52.20 | 2,08 | 54,00 | 2,17 | 57.00 | 2,32 | 63,3 | 2,66 | ცდა წარ-მოებდა 20°-ზე |
| 10% | 52,29 | 2,06 | 56,00 | 2,26 | 60,10 | 2.44 | 62,90 | 2,70 | 69,40 | 2,75 | |
| 12% | 56,00 | 2,26 | 61,50 | 2,60 | 63,50 | 2,73 | 68,90 | 3,20 | 75,20 | 3,85 | |
| 15% | 62,90 | 2,80 | 67,74 | 3,10 | 73,50 | 3,60 | 76,90 | 4,50 | 85,2 | 5,7 | |

ეროვნული
ბიბლიოთეკა




ნახ. 2

როგორც ცდის შედეგებიდან ჩანს, ჩუნეშის ბენტონიტური თიხის მჟავური დამუშავების შედეგად მნიშვნელოვნად იზრდება მისი აქტიურობა. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ თიხის აქტიურობა მატულობს მჟავის კონცენტრაციის ზრდასთან ერთად და მაქსიმუმს აღწევს 15—20%-იანი მჟავას გამოყენების პირობებში.

ჩვენ მიერ შესწავლილ იქნა აგრეთვე ჩუნეშის ბენტონიტური თიხის აქტივობის შეცვლა თერმული დამუშავების შედეგად.

სხვადასხვა კონცენტრაციის მჟავათი დამუშავებულ თიხას წინასწარ ვათავსებდით თერმოსტატში და ვახურებდით 100-დან 160°-ზე, რის შემდეგ ნიმუშებს ვიყენებდით გაუფერულებისათვის. შედარების მიზნით შემოწმებულ იქნა იმავე ტემპერატურულ ინტერვალში ბუნებრივი ჩუნეშის თიხა და ფლორიდინი. გაუფერულებისათვის აღებული იყო N/10 სუდანპირველის ბენზოლიანი ხსნარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაბულა № 5

| მჟავას კონცენტრაცია | ტემპერატურული ინტერვალი 100° გაუფერ. %-ში | 100° გაუფერ. ხარისხი | 110° გაუფერ. %-ში | 110° გაუფერ. ხარისხი | 120° გაუფერ. %-ში | 120° გაუფერ. ხარისხი | 160° გაუფერ. %-ში | 160° გაუფერ. ხარისხი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4% . . . . . . . | 50,10 | 2,00 | 53,50 | 2,16 | 56,09 | 2,25 | 61,50 | 2,60 | |
| 6% . . . . . . . | 56,70 | 2,2[illegible] | 61,3 | 2,40 | 66,4 | 2,5[illegible] | 68,42 | 3,55 | |
| 8% . . . . . . . | 63,30 | 2,66 | 66,70 | 2,83 | 72,90 | 3,21 | 75.00 | 3,67 | |
| 10% . . . . . . . | 69,40 | 2,75 | 72,20 | 3,36 | 78,90 | 3,89 | 80,00 | 5,00 | ცდა წარმოებდა 20°-ზე |
| 12% . . . . . . . | 75,20 | 3,85 | 81,20 | 4,50 | 84,20 | 5,50 | 86,70 | 7,00 | |
| 15% . . . . . . . | 83,20 | 5,70 | 89,00 | 6,50 | 91,0[illegible] | 8,40 | 95,70 | 9,90 | |
| 20% . . . . . . . | 89,80 | 9,60 | 92,8 | 10,70 | 96,40 | 12,40 | 100 | — | |
| ბუნებრივი ჩუნეშის თიხა . . . . . . | 40,00 | 1,66 | 42,3 | 1,73 | 44,44 | 1,80 | 50,00 | 2,00 | |
| ფლორიდინი . . . | 40,10 | 1,66 | 42,3 | 1,73 | 43,40 | 1,76 | 48,2 | 1,90 | |




ნახ 5

ზემომოყვანილი ტაბულა და მისი შესაბამისი მრუდეები № 5 ცხადად ადასტურებენ ჩუნეშის ბენტონიტური თიხის აქტივობის ზრდას მისი მჟავური და თერმული დამუშავების შედეგად.

გუმბრინისა, ჩუნეშის და ხაიოჯის ბენტონიტური თიხების ერთნაირ პირობებში დამუშავების შემდეგ შედარებულ იქნა მათი გააქტივების ხარისხი სუდანპირველის ბენზოლიანი ხსნარის გაუფერულების მიხედვით. ცდის შედეგები მოცემულია ქვემომოყვანილ ტაბულებსა და მრუდეებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაბულა № 6

გ უ მ ბ რ ი ნ ი

| მჟავას კონ-ცენტრაცია | ტემპერატურული ინტერვალი | | | | | | | | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 100° | | 110° | | 120° | | 160° | | |
| | გაუფერ. %-ში | გაუფერ. ხარისხი | გაუფერ. %-ში | გაუფერ. ხარისხი | გაუფერ. %-ში | გაუფერ. ხარისხი | გაუფერ. %-ში | გაუფერ. ხარისხი | |
| 4% . . . . . . . . | 46,10 | 1,85 | 51,30 | 2,14 | 54,60 | 2,50 | 66,05 | 2,55 | ცდა წარმოებდა 20°-ზე |
| 6% . . . . . . . . | 54,90 | 2,55 | 59,60 | 2,50 | 63,40 | 2,75 | 69,70 | 3,22 | |
| 8% . . . . . . . . | 64,40 | 2,90 | 68,50 | 3,40 | 70,20 | 3,40 | 75,50 | 4,10 | |
| 10% . . . . . . . . | 69,50 | 3,64 | 71,50 | 3,80 | 75,40 | 4,00 | 80,40 | 5,35 | |
| 12% . . . . . . . . | 72,90 | 3,90 | 75,40 | 4,20 | 77,80 | 4,90 | 83,60 | 6,60 | |
| 15% . . . . . . . . | 76,80 | 4,60 | 78,60 | 5,50 | 81,60 | 6,30 | 87,50 | 7,50 | |
| ბუნებრ. გუმბრინი . | 37,5 | 1,60 | 40,00 | 1,65 | 42,30 | 1,73 | 47,36 | 1,90 | |

ტაბულა № 7

ბ ა ნ ო ჯ ი ს ბ ე ნ ტ ო ნ ი ტ უ რ ი თ ი ხ ა

| მჟავას კონ-ცენტრაცია | ტემპერატურული ინტერვალი | | | | | | | | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 100° | | 110° | | 120° | | 160° | | |
| | გაუფერ. %-ში | გაუფერ. ხარისხი | გაუფერ. %-ში | გაუფერ. ხარისხი | გაუფერ. %-ში | გაუფერ. ხარისხი | გაუფერ. %-ში | გაუფერ. ხარისხი | |
| 4% . . . . . . . . | 47,10 | 2,00 | 52,00 | 2,24 | 53,80 | 2,40 | 57,50 | 2,55 | ცდა წარმოებდა 20°-ზე |
| 6% . . . . . . . . | 56,30 | 2,30 | 62,30 | 2,90 | 62,90 | 2.68 | 67,60 | 3,06 | |
| 8% . . . . . . . . | 62,20 | 2,85 | 68,80 | 3,25 | 71,60 | 3,50 | 75,50 | 4,10 | |
| 10% . . . . . . . . | 67,80 | 3,10 | 72,60 | 3,70 | 74,50 | 4,50 | 76,29 | 5,00 | |
| 12% . . . . . . . . | 70,90 | 3,40 | 75,80 | 4,40 | 76,90 | 4,80 | 83,30 | 3,30 | |
| 15% . . . . . . . . | 74,50 | 4,10 | 79,40 | 5,00 | 82,40 | 6,35 | 86,00 | 6,90 | |
| ბუნებ. ბანოჯის თიხა | 35,21 | 1,53 | 36,10 | 1,57 | 37,50 | 1,60 | 42,30 | 1,73 | |

მჟავური გააქტივების შემდეგ გუმბრინის, ბანოჯისა და ჩუნეშის ბენტონიტური თიხების მიერ სუდანპირველის ბენზოლიანი ხსნარის გაუფერულების შედეგები მოცემულია № 8 ტაბულაში.

ტაბულა № 8

| თიხის დასახელება | მჟავური გააქტივების გავლენა თიხების შთანთქმის უნარზე | | | | | | | | | | | | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 4% მჟავა | | 6% მჟავა | | 8% მჟავა | | 10% მჟავა | | 12% მჟავა | | 15% მჟავა | | |
| | გაუფერ. %-ში | გაუფერ. ხარისხი | გაუფერ. %-ში | გაუფერ. ხარისხი | გაუფერ. %-ში | გაუფერ. ხარისხი | გაუფერ. %-ში | გაუფერ. ხარისხი | გაუფერ. %-ში | გაუფერ. ხარისხი | გაუფერ. %-ში | გაუფერ. ხარისხი | |
| ჩუნეში . . . | 56.4 | 2,23 | 66,4 | 2,58 | 7?,9 | 3,20 | 78,9 | 3,89 | 84,0 | 5,50 | 91,0 | 8,4 | ცდა წარმ. 20°-ზე |
| გუმბრინი . | 54,6 | 2,50 | 63,4 | 2,70 | 70, | 3,60 | 75,4 | 4,40 | 77,8 | 4,8 | 81,6 | 6,0 | |
| ბანოჯა . . | 54,8 | 2,4 | 62,9 | 2,68 | 68,6 | 3,50 | 74,5 | 4,50 | 76,9 | 4,80 | 80,4 | 6,35 | |

ეროვნული ბიბლიოთეკა




ნახ. 6

როგორც ზემოთმოყვანილი შედეგებიდან ჩანს, ჩუნეშის ბენტონიტური თიხის აქტივობა ყველა პირობებში აღემატება შედარებისათვის აღებულ სხვა ბენტონიტური თიხების აქტივობას.

ჩუნეშის თიხის სტრუქტურის შეცვლის შესწავლის მიზნით იგი დამუშავებულ იქნა სხვადასხვა ტემპერატურაზე. გასაუფერულებლად აღებულ იქნა სურახანის ნავთობის ხსნარი. ცდის შედეგები მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ტაბულაში.

ტაბულა № 9

| მჟავას კონცენტრაცია | ტემპერატურული ინტერვალი | | | | | | | | | | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 110° | | 150° | | 200° | | 300° | | 800—850° | | |
| | გაუფერ. %-ში | გაუფერ. ხარისხი | გაუფერ. %-ში | გაუფერ. ხარისხი | გაუფერ. %-ში | გაუფერ. ხარისხი | გაუფერ. %-ში | გაუფერ. ხარისხი | გაუფერ. %-ში | გაუფერ. ხარისხი | |
| 10% . . | 72,2 | 3,36 | 82,4 | 5,40 | 92,8 | 14,20 | 94,3 | 15,10 | 75,6 | 4,2 | ცდა წარმოებდა 20% |
| 20% . . | 89,8 | 9,60 | 98,8 | 12,60 | 100 | — | კვალი | | 95,6 | 11,5 | |
| ბუნებრივი თიხა | 42,3 | 1,73 | 50,9 | 2,00 | 60,9 | 2,56 | 62,8 | 2,69 | 49,8 | 1,9 | |

ეროვნული ბიბლიოთეკა




ნახ. 7

როგორც ცდის შედეგები გვიჩვენებენ, ჩუნეშის ბენტონიტური თიხა განსხვავდება სხვა თიხებისაგან შედარებით მყარი სტრუქტურით. როგორც ცნობილია, ბენტონიტური თიხების დამახასიათებელია შედარებით მაღალ ტემპერატურაზე (500—850°) სტრუქტურის მნიშვნელოვანი შეცვლა, რის შედეგად მათი შთანთქმითი აქტივობა ძლიერ უმნიშვნელო ხდება. ჩუნეშის ბენტონიტური თიხის მიმართ ასეთ მოვლენას არ აქვს ადგილი, რაც ფრიად საგულისხმო ფაქტია და შემდგომ შესწავლას საჭიროებს.

ჩვენ მიერ ამჟამად და ადრე ჩატარებული ექსპერიმენტები [7, 8] იმაზე მიუთითებენ, რომ ჩუნეშის ბენტონიტური თიხა როგორც ბუნებრივ, ისე მჟავური და თერმული გააქტივების შემდეგ შთანთქმითი ეფექტიურობით აღემატება ყველა სხვა ბენტონიტურ თიხას, რომლებიც აღებული იყვნენ შედარებისათვის. მაღალ ტემპერატურაზე შთანთქმითი უნარის შენარჩუნების გამო ჩუნეშის თიხა შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა პროდუქტების გასაწმენდად, ყალიბების ჩამოსხმის დროს, როგორც მწებავი ნივთიერება და სხვა.

ჩუნეშის ბენტონიტური თიხის საბადოს გეოლოგიური შესწავლა, ამ თიხის ფიზიკური და ქიმიური თვისებების დეტალური გამოკვლევა მნიშვნელოვანი საკითხია, რომლის გადაწყვეტით უნდა დაინტერესდნენ სათანადო სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Л. А. ЧЕЛИДЗЕ, В. А. БРЕГВАДЗЕ

# К ВОПРОСУ О КИСЛОТНОЙ И ТЕРМИЧЕСКОЙ АКТИВАЦИИ ЧУНЕШСКОЙ БЕНТОНИТОВОЙ ГЛИНЫ


## Резюме

Грузинская ССР богата месторождениями бентонитовых глин, среди которых более детально изучены физико-химические свойства глин Гумбрийского и Асканского месторождений.

В результате изучения адсорбционных свойств бентонитовых глин других месторождений выяснилось, что в природных условиях хорошим адсорбционным свойством выделяется Чунешская бентонитовая глина.

На основе многочисленных опытов установлено, что после кислотной и термической обработки Чунешская бентонитовая глина приобретает более повышенные адсорбционные свойства, чем другие глины. При этом, в отличие от других бентонитовых глин, Чунешская бентонитовая глина в незначительной мере теряет адсорбционную способность при повышенной температуре.

При одинаковых условиях большей адсорбционной способностью в отношении керосиновых растворов сураханской нефти и концентрата, а также бензолового раствора судан черного отличается Чунешская бентонитовая глина, которая превосходит гумбрин и флоридин. Дальнейшее исследование месторождения Чунешской бентонитовой глины и его физико-химических свойств является значительным вопросом, решением которого должны заинтересоваться соответствующие научно-исследовательские учреждения.


---

ლიტერატურა


1. Проф. Твалчрелидзе А. А., Бентонитовые глины ГрузССР и ближайшие задачи их освоения. Бентонитовые глины Грузии и их применение в народном хозяйстве. Сборник статей, Тбилиси, 1953 г.

Его же — Краткий очерк месторождений отбельных глин Грузинской ССР, Бентонитовые глины Грузинской ССР, вып. III, 1941 г.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2. Проф. Филатов С. С., Бентонитовые глины Груз. ССР, вып. III, 1941 г.

3. Киселёв А. В., Докторская диссертация. М. Г. У., 1950 г.
4. Красильников К. Г., Диссертация, Московский ордена Ленина хим. технол. инст. им. Д. И. Менделеева, 1952 г.

5. Тивадзе А. А., Диссертация, Инст. химии Академии Наук Груз. ССР, 1953 г.

6. ლ. ა. ჭელიძე, წყალტუბოს რაიონის ბენტონიტური თიხები, ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტომი XII, 1954 წ.

7. ვ. კოკოჩაშვილი, ვ. ბრეგვაძე, საქართველოს ბენტონიტური თიხების ადსორბციული თვისებების ზოგიერთი საკითხისათვის, ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტომი XII, 1954 წ.

(შემოვიდა რედაქციაში 15. X. 1956).

ბელი მიდამოები. კირქვის ფენები თითქმის ჰორიზონტალურადაა განლაგებული. შრეები მცირე კუთხით დაქანებულია ჩრდილო-აღმოსავლეთით (სურ. 1).



სურ. 1. ვკლარის კირქვის კარიერი.

საბადოს შემცველ ქანებს აშლილობა არ ახასიათებთ, ზოგ ადგილებში შესამჩნევია შრეთა მხოლოდ ტალღისებური, მცირე ზომის გაღუნვა. კირქვები წარმოდგენილია სხვადასხვა ფერის შრეებით, მეტწილად მოთეთრო-მონაცრისფრო, ღია წითელი და აგურისფერი ქანებით. მოთეთრო-მონაცრისფრო ფენას ტალღებრივი ზედაპირი აქვს, რის გამო მისი სისქე ცვალებადია. საერთოდ საბადოს რაიონში კირქვის ფენათა სიმძლავრე 0.5—4 მ ფარგლებში მერყეობს. ამ ქანებში შემჩნეულია ორი სისტემის ბზარები, ერთი მათგანი თითქმის შრეებრიობის მართობულია, მეორე სისტემის ბზართა მიმართულება კი შრეებრიობას ემთხვევა.

აღნიშნული განწევრების ბზარები აადვილებს საბადოდან 0,5—2 მ³ მონოლითების ამოღებას. 1947 წელს აქ მონაცრისფრო ფენიდან ამოღებულ იქნა რამდენიმე ბლოკი, თითოეული ზომით

ეროვნული ბიბლიოთეკა

2×2×5,20 მ; ერთი ასეთი ბლოკისაგან არის გამოკვეთილი ი. ბ. სტალინის ძეგლი, რომელიც დადგმულია ქ. ქუთაისში. ზოგან ქანებში შესამჩნევია ზედაპირული ბზარებიც, რომელნიც 0,6 მ ქვემოდ არ ვრცელდებიან.

ეკლარის ერთ-ერთ ქვისატეხ ძველ კარიერში შემდეგი ჭრილი გვაქვს (ზევიდან ქვევით):

1. რუხი ფერის თიხოვან-კირქვიანი გამოფიტული ქანი, სიმძლავრე — 0,80 მ;

2. ვარდისფერი მერგელოვანი კირქვის შუაშრე — 20 სმ სიმძლავრისა;

3. გამოფიტული, რბილი, თიხოვანი, მოთეთრო ფერის დამსხვრეული, საშენად უვარგისი კირქვა — 1 მ სიმძლავრის;

4. მონაცრო-თეთრი საშენად ვარგისი ქანი 1 მ სიმძლავრის;

5. მონაცრისფრო კირქვა, საშენად ვარგისი, სისქე 2 მ.

მოთეთრო-ნაცრისფერ და ნათლად ნაცრისფერ კირქვებს შორის საზღვარი მკაფიოდ არ არის გამოსახული. ამჟამად სამუშაო ქვასატეხები გახსნილია მოთეთრო-რუხფერისა და მოვარდისფრო კირქვებში.

## კირქვების პეტროგრაფია

გარეგნული შეხედულებით მოთეთრო-რუხი ფერის კირქვა, იშვიათად შეიცავს მცირე ზომის შავი ფერის წერტილებს. მიკროსკოპში — ქანი შემდგარია ფიროფიტოვანი კალციტისაგან. კალციტის ზოგი ფიროფიტა პელიტური ნივთიერების შემცველობის გამო მორუხო ფერისაა. მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი მიკროფაუნა და ლიმონიტის ლაქებრივი უბნები. უცხო ტერიგენი მასალა არ ჩანს.

ქანის მოვარდისფრო სახეობა ჩანართებს და ნაპრალებს არ შეიცავს. მიკროსკოპში — კირქვა ისეთივე შემადგენლობისაა, როგორც ზემოაღნიშნული ნიმუში, იმ განსხვავებით, რომ აქ კალციტის ზოგი უბანი წვრილკრისტალური აგებულებისაა, ზოგი კი პელიტომორფულ მასაში გადადის.

მკაფიოდ ვარდისფერი კირქვა შეიცავს ნიჟარების ნატეხებს, აქვს ძლიერ ხორკლიანი ზედაპირი. მიკროსკოპში — კირქვა პელიტური ნივთიერებით და ლიმონიტით გამდიდრებული ფიროფიტოვანი კალციტისაგან შედგება. ფიროფიტები ერთმანეთს მჭიდროდ ეხებიან და მათ შორის რაიმე შემცემენტებელი მასალა არც კი

ჩანს. შესამჩნევი რაოდენობით გამოიყოფა ლიმონიტი, ეფუზიური ქანის ნატეხები და ფორამინიფერების ნაშთები.

კირქვების სულ ზედა ფენა 0,5 მ სიმძლავრისაა, გარეგნული შეხედულებით რუხიფერის პოროვანი ქანია, ჟანგისფერი ლაქებით. მიკროსკოპში — ქანი აღწერილი ნიმუშებისაგან განსხვავებით შეიცავს კვარცისა და ქალცედონის მარცვლებს. უკანასკნელი აცემენტებს ფირფიტოვანი აგებულების კალციტს. საკმაო რაოდენობით შეიცავს წყალმცენარეების ნაშთებს და ეფუზივის კარგად დამრგვალებულ ნატეხებს. ჩანს თიხოვანი ქანის ნატეხებიც, რის გამო კირქვა ზოგ უბანში ბრექჩიულ აგებულებას იჩენს.

აღწერილ ტურონულ-სენონური კირქვები სოფ. ნაგარევის მიდამოებში, გზატკეცილის გასწვრივ გამარმარილოებულია, რაც გამოწვეულია ბაზალტური მაგმის შემოჭრით.

ნაგარევის გამარმარილოებული კირქვა ღია ყვითელი ფერისაა, შრეებრივი, ცალკეული ფენის სიმძლავრე 0,5—1 მ უდრის. ზედაპირზე ჩანს ორი პროდუქტული შრე. სამუშაო ფენებიდან ვერტიკალურ ჭრილში აღებული ნიმუშების მიკროსკოპული შესწავლა გვიჩვენებს, რომ ქანის მთავარი მასა კრისტალური კალციტისაგან შედგება. მარცვლების დიდ ნაწილს უსწორმასწორო დაკბილული ნაპირები აქვს, ხოლო მეორე ნაწილს კი რომბოედრული ჰაბიტუსი. ასეთ მარცვლებს ყავრიანობაც კარგად ემჩნევა, კარბონატულ მასაში ლაქებრივად (სურ. 2) არის გაბნეული ჟანგისფერი ნივთიერება, რაც ქანის მოყვითალოდ შეფერვას იწვევს.

ყურადღებას იპყრობს აქა-იქ მცირე უბნებად გამოყოფილი უფერო მაგრამ ჯვარედინ ნაკოლებში შედარებით მაღალი ინტერფერენციული შეფერვის მინერალი ბრუსიტი (ნიმ. 188).

ამავე ფენის ზედა ჰორიზონტი წარმოდგენილია რუხი ფერის წვრილმარცვლოვანი ქანით. მიკროსკოპში — ქანი შემდგარია უფერო და რუხი ფერის კარბონატული მასისაგან. რუხი ფერის მასა პელიტურ ნივთიერებას წარმოადგენს, რომელიც ჩართულია კალციტის ნაპრალებში. კარბონატული მასა კრისტალურია. კრისტალთა ზომა სხვადასხვაა (0,4—0,01 მმ). კრისტალური მარცვლები ერთმანეთს მჭიდროდ ეხება და შეხების ზოლში ზოგჯერ დაკბილულ ნაპირებს ქმნიან. დიდი რაოდენობითაა ორგანული (ნახშიროვანი) ნივთიერება. ქანში აღსანიშნავია მცირეოდენი ლიმონიტისა და კვარცის მარცვლების არსებობა.

ზედა შრე მკაფიოდ ყვითელი ფერისაა. მიკროსკოპში — ქანი შედგება წვრილმარცვლოვანი კალციტისა და მოჟანგისფრო

მასებისაგან (ნიმ. 191). უკანასკნელი შლიფში არათანაბრადაა გა-ნაწილებული, რის გამო კრისტალური კალციტი ზოგ [illegible]-ლიად გამჭვირვალეა. მცირე რაოდენობით გამოიყოფა [illegible] ზონები და მინდვრის შპატის წვრილი მარცვლები.



სურ. 2. მოყვითალო ფერის გამარმარილოებული კირქვა.
ნიმ. 188. გად. 80. ნიკ. ||.

მოხსენებული გამარმარილოებული კირქვები მკვრივია, კარგად კრიალდება და ლამაზი ფერისაა. იგი ვარგისია, როგორც სადეკორაციო და საპირნაკეთო ქანი. მით არის მოპირკეთებული ი. ბ. სტალინის ძეგლის კვარცხლბეკის ნაწილი ქ. ქუთაისში.

### საშენი კირქვის თვისებრივი დახასიათება

მიკროსკოპული შესწავლა ადასტურებს, რომ ეკლარის საშენ ქანებს თითქმის ერთნაირი მინერალოგიური შედგენილობა აქვთ, კირქვა წვრილკრისტალური აგებულებისაა, შემადგენელი მარცვლები ისე მჭიდროდ ეხებიან ერთიმეორეს, რომ მათ შორის რაიმე შემცემენტებელი მასალა არც კი ჩანს.

ქანის ვარდისფერი შეფერვა ლიმონიტის შემცველობით არის გამოწვეული. ეს აგურისებრ წითელი ფერის ქანი კარგი [illegible] საა, მაგრამ უფრო რბილია, ვიდრე მოთეთრო-რუხი ფერის [illegible] ქვა. ორივე სახეობა კარგად ემორჩილება დამუშავების პროცესებს.

აღნიშნული ქანების ქიმიური ანალიზი (1) შემდეგ მაჩვენებლებს იძლევა (ტაბ. 1):

ტაბულა 1.

| ნიმ. №№ | სიმკვრივე | გაზურგების დანაკარგი | $SiO_2$ | $FeO+Fe_2O_3$ | $Al_2O_3$ | $CaCO_3$ | MgO | $SO_3$ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1,97 | 32,38 | 21,96 | 1,96 | 2,53 | 40,27 | 0,58 | 0,11 |
| 2 | 1,89 | 23,20 | 19,97 | 1,45 | 2,74 | 41,78 | 0,07 | 0,01 |

ქიმიური შედგენილობის მხრივ საშენი კირქვები არაერთგვაროვანია, მაგალითად, მდ. ქეშურის მარჯვენა ნაპირიდან აღებული ნიმუშების ანალიზის შედეგები (ტაბ. 2) ვეიჩვენებს:

ტაბულა 2.

| ნიმუშები | $CaCO_3$ | MgO | FeO | $Al_2O_3$ | $SiO_2$ | $H_2O$ | ორგანული მინარევები | Σ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| წითელი კირქვა . . | 83,55 | 1,00 | 3,82 | 0,33 | 10,21 | 0,49 | — | 99,40 |
| მონაცრისფრო თეთრი კირქვა . . | 86,38 | 1,58 | 1,59 | ნიშნები | 8,26 | 1,86 | 0,58 | 100,25 |
| თეთრი კირქვა . . | 90,00 | 1,77 | 1,75 | „ | 5,10 | 0,63 | — | 99,25 |

1 და 2 ტაბულის შედარება ნათლად მიუთითებს, რომ ეკლარის უბნის კირქვები მეტი რაოდენობით შეიცავს $SiO_2$-ს, ვიდრე ქეშურის; სამაგიეროდ ქეშურის კირქვებში მეტია $CaCO_3$ და MgO რაოდენობა.

ეკლარის კარიერებიდან აღებული ნიმუშების ტექნიკური გამოცდა ჩაატარა ინჟ. ა. კობახიძემ, გამოცდის შედეგები მოცემულია მე-3 ტაბულით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაბულა 3.

| ნიმ. №№ | კარიერის № | კუთრი წონა | პორიანობა %-ში | საერთო ტენთვა %-ში (მოცულობით) | დრ. წინააღმდეგობა კუმშვადობისადმი კგ/სმ² | მოცულობითი წონა | გაყინვის რაოდენობა ბზარის წარმოშობამდე |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 9 | 2,671 | 23,14 | 20,47 | 570 | 2,053 | 6 |
| 2 | 9 | 2,558 | 22,40 | 18,72 | 645 | 2,047 | 6 |
| 3 | 9 | 2,677 | 18,64 | 16,05 | 532 | 2,164 | 5 |
| 5 | 9 | 2,638 | 18,95 | 17,46 | 660 | 2,138 | 13 |
| 6 | 9 | 2,664 | 20,31 | 17,22 | 360 | 2,123 | 5 |
| 7 | 8 | 2,659 | 26,29 | 25,35 | 202 | 1,981 | 9 |
| 8 | 8 | 2,701 | 24,[illegible]4 | 23,28 | 217 | 2,046 | 9 |
| 10 | 7 | 2,736 | 24,34 | 21,47 | 320 | 2,070 | 12 |
| 15 | 9 | 2,690 | 25,05 | 19,82 | 738 | 2,06 | 2 |
| 14 | 10 | 2,649 | 23,86 | 21,60 | 520 | 2,030 | 3 |
| 9 | 8 | 2,720 | 24,20 | 20,90 | 534 | 2,064 | 2 |

ზემოაღნიშნული ტექნიკური შემოწმების შედეგების მიხედვით ეკლარის კირქვები ყინვაგამძლეობის თვალსაზრისით არ ხასიათდებიან მაღალი თვისებებით. ქანი 18,64—26,29%-დე შეიცავს პორებს, რის გამო სინესტით ტენთვა მერყეობს 16,05—25,35%-მდე. ამიტომაც ამ კირქვების გამოყენება არ არის მიზანშეწონილი წყალქვეშა ნაგებობათათვის, საძირკვლებისათვის და საერთოდ ძლიერ ნესტიან პირობებში.

უკანასკნელ მოსაზრებას ადასტურებს ქ. ქუთაისის ნაგებობებზე დაკვირვებაც; ძველ შენობათა ჩრდილოეთით მდებარე კედლები, რომელნიც აგებულია ეკლარის კირქვით, საგრძნობლად გამოფიტულია, განსაკუთრებით მიწის ზედაპირიდან 2—3 მ სიმაღლეზე. ეს მკაფიოდ ემჩნევა მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე არსებულ შენობათა კედლებს, სადაც მდინარის გავლენაც აძლიერებს სინესტეს. მშრალ პირობებში კი ამ ქვით ნაგები უძველესი შენობებიც დღემდე სალად შენახულა. მოხსენებული ქანის ნაკლად ჩაითვლება ისიც, რომ იგი გამოფიტვის გამო ჰაერზე შავდება.

სხვა თვისებები ქანს მეტად მაღალი აქვს. ძირითადი თვისება, რომელიც ამ ქვას იაფ და კარგ საშენ მასალად ხდის ის არის, რომ იგი ადვილად მუშავდება, იხერხება ფოლადის ხერხითაც კი, რაც ყველა კირქვისათვის არ არის დამახასიათებელი. გარდა ამისა, ეკლარის კირქვა საკმაოდ მკვრივია და განსაზღვრულ პირობებში შეუძლია შეცვალოს აგური. ამ თვისებათა გამო მისი გამოყენება

მიზანშეწონილია არა მარტო ადგილობრივი მშენებლობისათვის, არამედ განსაკუთრებით ხელსაყრელია მისი გატანა ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში როგორც კომერციული, ისე სახელმწიფოებრივი თვალსაზრისითაც, რადგან ამ ქვის ფართოდ გამოყენება გამოიწვევს აგურისა და, მაშასადამე, საწვავი მასალის ეკონომიასაც.

გარდა იმისა, რომ ეკლარის კირქვა საუკეთესო საშენ-საპირნაკეთო ქანია, მისი გამოყენება წარმატებით შეიძლება აგრეთვე მონუმენტებისათვის, ბარელიეფებისათვის და სხვადასხვა რთულ არქიტექტურული დეტალისათვის. ამასთან, ვარდისფერი და თეთრი კირქვა საუკეთესო მასალას წარმოადგენს პორტლანდცემენტის წარმოებისათვის.

ამჟამად საბადოს დამუშავება მექანიზებულია, რამაც საგრძნობლად გაზარდა შრომის ნაყოფიერება და გაიიაფა ქვა. ეკლარის საშენი კირქვის მარაგი საკმაოდ დიდია.

---

И. А. САГИНАДЗЕ

## ЭКЛАРСКОЕ МЕСТОРОЖДЕНИЕ СТРОИТЕЛЬНОГО ИЗВЕСТНЯКА


### Резюме

Месторождение Экларского строительного известняка расположено к юговостоку от г. Кутаиси на расстоянии 7 километров, между реками Чишура и Цхал-цитела.

Экларские известняки состоят главным образом из пелитового вещества, лимонита и пластинчатого кальцита.

Порода легко обрабатывается, её можно пилить стальной пилой; она достаточно плотна и в определенных условиях может заменить кирпич.

Известняк используется как облицовочный камень, для монументов и других архитектурных целей.

Те же известняки в окрестностях села Нагареви в результате контактного воздействия базальтовой магмы превратились в мрамор, состоящий из мелкокристаллического кальцита и коричневой пелитовой массы, неравномерно распределенной в мра-

море. В небольшом количестве встречаются мелкие зерна плагиоклаза.

Порода имеет розовую окраску и является хорошим облицовочным и декоративным камнем.

---

## ლიტერატურა


1. Вачнадзе Н. Д. и др., Цементное сырье западной Грузии (Кутаисский район). Тр. Груз. отд. ВИМС, вып. 1938.
2. Меллер В., Полезные ископаемые и минер. воды Кавказского края. Мат. для геологии Кавказа. Сер. II, кн. 3-я, Тифлис, 1889.
3. Чарноцкий С. Н., Строительные материалы Кавказа. Изд. Научно-тех. отд. ВСНХ, Ленинград, 1924.


(შემოვიდა რედაქციაში 15. II. 1956).

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XV, 1956.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XV, 1956.

ეროვნული ბიბლიოთეკა

А. М. ГОЦИРИДЗЕ

# ВЛИЯНИЕ ГЛЮКОЗЫ НА ТЕЧЕНИЕ ВОЛНООБРАЗНОГО ТЕТАНУСА

## Введение

В физиологии нервно-мышечной системы определенное значение имеет закон соотношения силы с величиной эффекта. Если до исследований Н. Е. Введенского был известен закон прямого соотношения силы с величиной эффекта, то им был обнаружен и второй закон — обратного соотношения силы с величиной эффекта, именно, снижение эффекта с усилением раздражения и возрастание эффекта с ослаблением раздражения. Эффект, получающийся на раздражение первого рода называется пессимумом, эффект же получающийся на раздражение второго рода называется оптимумом. Н. Е. Введенский показал, что явления пессимума и оптимума обычно получаются во второй половине тетанизации, в первой же половине, т. е. в самом начале опыта, и раздражение силы пессимум и раздражение силы оптимум обычно дают максимальный эффект одинаковой величины (1885 г.).

Вместе с этим Н. Е. Введенский показал, что само течение тетанической кривой при этих двух видах раздражения носит различный характер: при длительном непрямом раздражении нервно-мышечного препарата лягушки силы оптимум кривая тетануса протекает равномерно, без повторных повышений, при длительном же раздражении силы пессимум (при частоте 100 кол. в сек.) кривая тетануса протекает волнообразно, обнаруживая фазы первичного поднятия и первичного падения, за которыми следуют вторичное тетаническое поднятие и вторичное тетаническое падение (1886 г.).

К сожалению, в литературе этому явлению уделяется мало внимания. Занимаясь изучением волнообразного тетануса при

разных условиях мышечной деятельности, мы решили также исследовать и влияние глюкозы на течение данного феномена. Результаты, полученные из наших опытов, изложены ниже.

## Методика

Исследование проводилось на лягушках: Rana esculenta, v. ridibunda. Опыты ставились на нервно-мышечном препарате в таких же условиях, в каких они проводились Н. Е. Введенским. Эффекты записывались на медленно вращающемся кимографе, путем прямого миографа, соединенного с мышцей. Обычно мы регистрировали икроножную мышцу, но часть опытов проводилась и на других мышцах.

Частота тетанизации была равна 100 кол. в сек. (камертоновый прерыватель, работающий равномерно), сила раздражения бралась эквивалентной силе пессимум, по скале Н. Е. Введенского, т. е. выше порога на 10—15—20 см. расстояния катушек (р. к.). Сила и частота тетанизации в ходе опыта не менялась т. е. оставались всегда в пределах тетанизации пессимум.

От одной и той же лягушки, хорошо упитанной и содержащейся в течение нескольких дней при комнатной температуре, т. е. лягушки с хорошим функциональным состоянием, приготавливались два нервно-мышечных препарата. Нервно-мышечный препарат помещался во влажную камеру во время опыта, но перед началом тетанизации между записями отдельных мышечных эффектов, он снимался и клался в рингеровский раствор на 30 минут. После 30 минутного отдыха препарат снова клали во влажную камеру, соединяли с приборчиком и регистрировали эффект. Так поступали с контрольным препаратом, а также и с опытным препаратом, с той лишь разницей, что в этом последнем случае к рингеровскому раствору была прибавлена глюкоза. Таким образом, мы старались соблюдать во время опыта одинаковые условия для обоих нервно-мышечных препаратов, но один из них подвергался влиянию глюкозы (опытный препарат), а другой не подвергался (контрольный препарат).

## Результаты опытов

Прежде всего следует напомнить, что, как указывает Н. Е. Введенский, волнообразное течение тетануса на лягушках обычно

получается лишь на свежем, еще не подвергшемуся длительной тетанизации, препарате. На несвежем нервно-мышечном препарате лягушки волнообразное течение тетануса в опытах Н. Е. Введенского отсутствовало.

Причина, почему в опытах Н. Е. Введенского повторное получение волнообразного тетануса на каждом нервно-мышечном препарате лягушки не оказалось возможным, заключалась, вероятно, в следующем. Н. Е. Введенский, интересуясь изучением эффектов пессимум и оптимум, возникающих во второй половине тетанизации, подвергал каждый раз нервно-мышечный препарат длительной тетанизации, от которой, даже в условиях длительного отдыха (полчаса, час) препарат не мог полностью оправиться и вернуться к первоначальному состоянию, тем более, что опыт ставился им не на целом объекте, в условиях сохранности кровообращения, когда восстановительные процессы протекают лучше и интенсивнее, а на изолированном нервно-мышечном препарате, т. е. в худших условиях протекания восстановительных процессов, В последнем случае, препарат в условиях длительной тетанизации даже после длительного отдыха не может вернуться полностью к своему первоначальному функциональному состоянию, что является совершенно необходимым для проявления волнообразного тетануса. Поэтому, понятно, что волнистость тетануса в опытах Н. Е. Введенского должна была отсутствовать при повторных тетанизациях (как это и получалось). Исходя из вышесказанного, мы предпологали, что глюкоза, как питательное средство и как фактор, участвующий в нормальных условиях в возникновении сократительного процесса в мышце, должна способствовать в той или иной мере восстановительному процессу и поэтому оказать определенное влияние на течение волнообразного тетануса при повторных опытах на одном и том же препарате. В этом направлении и были начаты наши опыты.

Так как целью наших опытов являлось изучение проявления волнообразного тетануса, то мы не подвергали мышцу длительному непрямому раздражению, как это требуется для наблюдения пессимальных и оптимальных эффектов, получаемых обычно после того, как течение волнообразного тетануса закончилось; обычно мы прекращали раздражение после начала вторичного тетанического падения.

Опыты, проведенные на нервно-мышечном препарате, в условиях погружения препарата между записями в рингеровский раствор без глюкозы (контрольные опыты), показали, что обычно при первом непрямом раздражении мышцы силы и частоты пессимум волнообразный тетанус выступает довольно рельефно, но при повторном непрямом раздражении кривая обычно не обнаруживает вторичного тетанического поднятия. Однако, ее течение при этом отличается от течения тетануса, получающегося при тетанизации силы и частоты оптимум и обнаруживает все признаки пессимального течения: после первичного тетанического поднятия выступает первичное тетаническое падение, достигающее той или иной глубины, после чего кривая долго протекает на этом низком уровне более или менее равномерно и только спустя некоторое время происходит ее дальнейшее падение. Иначе говоря течение кривой напоминает течение волнообразного тетануса, без признаков вторичного подъема (купол вторичного поднятия над уровнем первичного падения отсутствует). Те же опыты, проведенные нами на нервно-мышечном препарате, который опускался между записями в рингеровский раствор с глюкозой (подопытные препараты) показали, что волнообразное течение тетануса при непрямом раздражении мышцы силой и частотой пессимум выступает не только в первой пробе, но и при повторных пробах тетанизации. Таким образом, на основании этих опытов можно заключить, что сохранение препарата в рингеровском растворе с глюкозой способствует проявлению волнообразного тетануса.

Для иллюстрации сказанного приведем пример.

На рис. № 1 и № 2 эффекты получены на нормальном нервно-мышечном препарате (без глюкозы). После каждого раздражения препарату для отдыха дается 30 минут (за исключением 4-ой записи, где для отдыха дается 10 минут). Тут мы имеем следующую картину: при первой пробе непрямой тетанизации мышцы силы и частоты пессимум волнообразный тетанус со вторичным подъемом выявляется довольно явственно. Однако в дальнейших пробах (пробы 2, 3 и 4) при той же силе раздражения тетанус протекает без вторичного тетанического подъема. Тут он имеет как бы переходную форму между обычным, равномернопадающим и волнообразным тетанусом. Во второй




Рис. № 1. Нервно-мышечный препарат лягушки, помещенный во влажной камере. Икроножная мышца — седалищный нерв. Частота тетанизации 100 кол. в сек., порог = 34 см, раздражающая сила = 22 см р. к. Между пробами тетанизации препарат достается из влажной камеры и кладется в течение 30-и минут в обычный рингеровский раствор — без содержания глюкозы. Сигнальной линией записывается время в секундах. Движение барабана везде равномерное и одинаковое.

ეროვნული ბიბლიოთეკა



Рис. № 2. Продолжение предыдущего опыта. Интервал времени между окончанием 2-ой пробы и началом 3-й пробы —30 мин., между 3 и 4 же пробами проходит 10 мин. Условия тетанизации те-же.

пробе первичное тетаническое падение состоит как-бы из двух частей; вначале падение происходит быстро, затем оно начинает падать более медленно, что продолжается довольно долго. Это замедление первичного тетанического падения и является признаком того, что вторичный подъем или будет отсутствовать, или будет выступать с меньшей силой. В дальнейшем кривая тетануса долго удерживается на определенном, как-бы субпессимальном уровне и только после более или менее длительного времени начинает развиваться последующее замедленное падение (эквивалентное вторичному падению). Подобная картина получается и в третьей пробе. В четвертой же пробе, где перед этим препарат имел более короткий отдых, первичное тетаническое падение развивается быстрее и глубже, в его развитии не наблюдается два отдельных периода, субпессимальное состояние здесь глубже, вторичное падение начинается раньше. В общем, во всех четырех записях волнообразное течение тетануса проявляется только в первой пробе, в остальных же пробах пессимальная кривая тетануса протекает без вторичного тетанического подъема.

На рис. № 3 эффекты получены на нервно-мышечном препарате лягушки в условиях влияния на него глюкозы. Как перед началом первой тетанизации, так и в повторных ее пробах препарат помещался в рингеровский раствор с глюкозой на 30 минут. Тут мы имеем следующую картину. Особенно бросается в глаза, что волнообразный характер тетануса на раздражение силы и частоты пессимум выступает не только в первой пробе, как это происходит в контрольных опытах (рис. № 1 и рис. № 2), но во всех пробах тетанизации. В этом опыте мы получили шесть раз волнообразное течение тетануса (три последние записи опущены).

Таким образом, если в норме (в контрольных опытах) — без влияния глюкозы — волнообразное течение тетануса в ответ на непрямое раздражение мышцы силы и частоты пессимум выступает обычно лишь один раз, то в условиях влияния глюкозы в ответ на ту-же самую тетанизацию волнообразный тетанус выступает по нескольку раз. Это значит, что влияние глюкозы способствует проявлению волнообразного тетануса на нервно-мышечном препарате.

На этом-же рис. № 3 можно заметить и следующее.



Рис. № 3. Нервно-мышечный препарат лягушки, помещенный во влажной камере. Препарат приготовлен от того же объекта, от которого получены препараты рисунков № 1 и № 2 (Противоположная сторона) Икроножная мышца-седалищный нерв. Частота тетанизации 100 кол. в сек. Камертоновый прерыватель, работающий совершенно равномерно, плавно. Порог = 20 см, раздражающая сила = 18 см р. к. Между пробами отдельной тетанизации нервно-мышечный препарат кладется в рингеровский раствор с глюкозой на срок 30 минут каждый раз (как и перед началом первого раздражения).

Волнообразный тетанус, со всеми характерными своими частями, вырисовывается под влиянием глюкозы рельефнее, чем в контрольных опытах, а именно:

1. Первичная волна вырисовывается раньше, глубже и быстрее.

2. Вторичный тетанический подъем, т. е. разница между глубиной первичного тетанического падения и куполом вторичного тетанического подъема, выступает резче.

3. Вторичная волна протекает значительно быстрее, т. е. ее длительность меньше.

4. В связи с общим уменьшением длительности первичной и вторичной волн проявляется третичная тетаническая волна (Намек на это имеется в конце 1-ой, и в особенности в конце 3-ей пробы).

Кроме того, при повторных пробах непрямой тетанизации мышцы лягушки силой и частотой пессимум в течении волнообразного тетануса, возникающего в условиях влияния глюкозы, наблюдаются следующего рода изменения:

Рельефность волнистости постепенно убывает и в связи с этим кривая тетануса обнаруживает следующие особенности: а) начальное сокращение постепенно убывает, б) глубина первичного падения уменьшается, г) первичное падение происходит более медленно, д) вторичный подъем выступает менее отчетливо, т. е. разница между глубиной первичного падения и куполом вторичного подъема выступает менее четко.

Все эти признаки выступают и на рис. № 3, полученном в условиях влияния глюкозы.

Исследованиями А. Гоциридзе, проведенных на жабах, установлено, что для наблюдения повторного возникновения волнообразного тетануса следует соблюдать определенные условия. Из них особенное значение имеет следующее: 1. Препарат не должен подвергаться длительной тетанизации: чем меньше времени он раздражается, тем лучше. 2. Между отдельными пробами повторной тетанизации следует соблюдать определенный интервал времени для отдыха препарата: чем больше этот интервал времени, тем лучше. На нормальном препарате, в условиях сохранности кровообращения для этого требуется в среднем 3—5 минут; при возобновлении раздражения силы и частоты

пессимум после меньшего интервала времени обычно проявляется тетанус пессимального характера без вторичного подъема. Так как глюкоза способствует проявлению волнообразного тетануса на лягушках, то учитывая этот факт мы решили проследить роль интервала времени между повторными пробами пессимальной тетанизации на течение волнообразного тетануса при воздействии на препарат глюкозы.

Опыты, проведенные в этом направлении, показали, что минимальное время, между повторными пробами тетанизации, которое необходимо для получения волнообразного тетануса со всеми характерными частями, значительно сокращается под влиянием глюкозы. Более того, иногда стоит возобновить раздражение через несколько секунд, как получается волнистость несколько раз подряд, хотя с каждым новым возобновлением тетанизации через некоторое время она выступает с меньшей рельефностью. Примером сказанного являются рис. № 4 и рис. № 5.

На рис. № 4 мы имеем следующее. В части „а" первого опыта на непрямое раздражение мышцы силы (16 см при пороге 28 см), и частоты (100 кол. в сек.) пессимум выступает отчетливо волнообразный тетанус со вторичным подъемом; через несколько минут, не прекращая движения кимографа, в части „в" возобновляем то-же самое раздражение. В ответ на это получается пессимальная кривая, с быстрым падением, однако в дальнейшем она падает более замедленно, не проявляя каких-либо признаков вторичного подъема. Более того: несмотря на то, что между первым и вторым опытом препарату давался отдых 30 минут и он помещался в рингеровский раствор (без содержания глюкозы), кривая тетануса (во втором опыте) и при возобновлении тетанизации пессимум протекает без вторичного подъема. Тут в основном она имеет такое же течение, как и в части „в" первой записи, с той лишь разницей, что во второй записи кривая субпессимума сравнительно долго удерживается на одинаково высоком уровне, в то время как в части „в" первой записи кривая субпессимума (после окончания первичного падения) протекает не равномерно, а наклонно, обнаруживая замедленное падение. Однако, когда, как перед началом опыта 3, препарат был помещен на 30 минут в рингеровский раствор с содержанием глюкозы, кривая тетануса на непрямое



Рис. № 4. Нервно-мышечный препарат лягушки, помещенный во влажной камере. Икроножная мышца — седалищный нерв. Частота тетанизации 100 кол. в сек. Сила раздражения — 16 см при пороге 28 см р. к. Перед началом первого опыта, а также между первым и вторым опытами препарат помещается на 30 минут в рингеровский раствор без содержания глюкозы, а между вторым и третьим опытами рингеровский раствор с глюкозой на тот-же промежуток времени — 30 мин.



Рис № 5. Нервно-мышечный препарат лягушки, помещенный во влажной камере. Препарат приготовлен от того же объекта, как и на предыдущем рисунке. Частота тетанизации = 100 кол. в сек., сила раздражения = 17 см, при пороге 29 см р. к. Как перед началом первого, так и перед началом второго опыта препарат спускался в течение 10 минут в рингеровский раствор с глюкозой.

раздражение мышцы силы и частоты пессимум (в тех условиях)... принимает волнообразное течение. Мало того: здесь, в 3-м опыте, волнообразный тетанус вырисовывается более четко, чем в первой записи (в части „а“). Таким образом, нормально, без применения глюкозы, волнообразный тетанус со вторичным подъемом наблюдается на нервно-мышечном препарате лягушки лишь один раз, в повторных пробах тетанизации — при разных интервалах времени — вплоть до 30 минут, тетанус не обнаруживает характерной волнистости. После же применения глюкозы на раздражение той-же силы и частоты пессимум в повторных пробах тетанус принимает характерное волнообразное течение. Примером этого является рис № 5.

На рис. № 5 мы имеем следующую картину. В первом опыте, в части „а“, полученной на непрямое раздражение мышцы силой и частотой пессимум, возникает волнообразный тетанус с характерным первичным падением и вторичным подъемом. Вторичная волна вырисовывается очень скоро, затем, в фазе начала вторичного тетанического падения тетанизация временно прекращается. Через известный промежуток времени три раза возобновляется то-же самое раздражение, причем кимограф не останавливается. Характерно, что каждый раз, при повторном раздражении пессимум кривая тетануса за очень короткий промежуток времени, всего несколько секунд, все-же дает волнообразное течение. Однако тут следует отметить следующего рода особенности: с каждым новым возобновлением тетанизация первичное тетаническое падение протекает все более длительно и достигает меньшей глубины, а вторичное поднятие развивается более плавно (менее наклонно), достигает более высокого подъема. Но после 30-и минутного отдыха, препарат, помещенный предварительно в глюкозо-солевой раствор, дает на то-же раздражение тетанус с резко выраженным волнообразным течением.

Проведенный опыт доказывает, что глюкозо-солевой раствор, вернее глюкоза, способствует лучшему оправлению препарата в интервалах времени между отдельными пробами от испытанной тетанизации, а также проявлению волнистости через более короткие интервалы времени между тетанизациями. Таким образом, глюкоза способствует проявлению изучаемого феномена — волнообразного течения тетануса — в повторных пробах,

ეროვნული ბიბლიოთეკა

## Выводы

Изучалось влияние глюкозы на течение волнообразного тетануса при непрямом раздражении мышцы силой и частотой пессимум. Опыты ставились на нервно-мышечном препарате лягушки (с учетом общих условий возникновения изучаемого феномена). Контрольный препарат помещался в чистый солевой (рингеровский) раствор, подопытный же препарат — в рингеровский раствор с глюкозой. Оба препарата, как до начала опыта, так и в промежутках между отдельными тетанизациями, содержались в растворах в течении одного и того же промежутка времени — обычно в течение 30 минут.

В результате мы пришли к следующим выводам.

1. Волнообразное течение тетануса с первичным тетаническим падением и вторичным тетаническим поднятием (при одной и той же силе и частоте тетанизации) выступает на нервно-мышечном препарате лягушки (в определенных условиях) как и в опытах Н. Е. Введенского, только один раз, т. е. лишь на свежем, еще не подвергшемуся длительной тетанизации препарате. Таким образом, тетанус со вторичным поднятием обычно повторных опытах — (в определенных условиях) на лягушках отсутствует.

2. Если в норме волнообразный тетанус вырисовывается на нервно-мышечном препарате на раздражение силы и частоты пессимум лишь один раз, отсутствует при повторных пробах раздражения пессимум, то в условиях влияния глюкозы он проявляется как при первой, так и при повторных пробах тетанизации.

3. Под влиянием глюкозы в каждом отдельном опыте наблюдались следующие изменения течения волнообразного тетануса: а) первичное тетаническое падение вырисовывается раньше, глубже и быстрее, б) вторичный тетенический подъем выявляется резче, т. е. разница между глубиной первичного падения и куполом вторичного подъема увеличивается, в) вторичная волна протекает в более короткий срок.

4. Если на жабах волнообразный тетанус получается по несколько раз лишь при условии соблюдения определенного промежутка времени между отдельными пробами пессимальной тета-

низации, обычно не менее 3—5 минут, то на лягушках под влиянием глюкозы это время значительно сокращается вплоть до нескольких секунд.

5. Проведенные нами опыты доказывают, что глюкоза является фактором, способствующим развитию волнообразного тетануса. Иначе говоря, под влиянием глюкозы волнообразный тетанус на непрямое раздражение силы и частоты пессимум возникает легче, чем в норме.

(Поступила в редакцию 5. VI. 1956)

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XV, 1956.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XV, 1956
ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. აფრიდონიძე

# მთამსვლელობის ისტორიის საკითხისათვის*

საბჭოთა მთამსვლელობის აკვანი საქართველოში დაირწა 1923 წლის აგვისტო-სექტემბერში მყინვარწვერზე პირველი ორი მასობრივი ასვლით, რომელთაც ქართველი სახელოვანი მეცნიერები გიორგი ნიკოლაძე და ალექსანდრე დიდებულიძე ხელმძღვანელობდნენ. ამ მოკლე დროის მანძილზე სპორტის ამ ულამაზესმა და ვაჟკაცურმა სახემ ჯერ არნახულ განვითარებას მიაღწია ჩვენს ქვეყანაში. საბჭოთა სპორტსმენებმა შეძლეს ასვლებისათვის ტექნიკურად ურთულესი მწვერვალების დაძლევა და მათ სამართლიანად დაიმსახურეს მსოფლიოს უძლიერეს მთამსვლელთა სახელი.

საბჭოთა მთამსვლელობის წარმატებანი განპირობებულია ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მზარდი მატერიალურ-კულტურული პირობებით, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვითა და მთამსვლელობის მდიდარი ტრადიციით, რომელსაც ხანგრძლივი ისტორია აქვს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მოსახლე ხალხებში.

სპორტული მთამსვლელობა XIX საუკუნის პირმშოა, მაგრამ მთამსვლელობა სამეურნეო საქმიანობაში უძველესი პერიოდიდან იყო გამოყენებული იმ ხალხების მიერ, რომელთაც მთიან რაიონებში უხდებოდათ ცხოვრება. სამეურნეო მიზნით მთამსვლელობის გამოყენებამ ხელი შეუწყო მთამსვლელობის ტექნიკისა და ტაქტიკის გამომუშავებას, მთამსვლელობისათვის საჭირო საჭურვლის გამოგონებასა და მის შემდგომ სრულყოფას.

ჯერ არ დაწერილა სსრ კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხთა მთამსვლელობის ისტორია, ჯერ კიდევ შეგროვებული და

---

* წაკითხულია მოხსენებად ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა XIX სესიაზე 1955 წლის 14 აპრილს (თეზისები დაბეჭდილია).

შესწავლილი არ არის მთამსვლელობის ისტორიის მასალები; იმ მცირე მასალებმაც კი, რომლებიც ჩვენ მოვიპოვეთ ამ [illegible] დაკავშირებით, დაგვარწმუნა, თუ რაოდენ შორეული წარსული აქვს ჩვენს ქვეყანაში მთამსვლელობას. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ სსრ კავშირის, კერძოდ, კავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრებნი მსოფლიოში ერთ-ერთი პირველთაგანი იყვნენ, რომელნიც ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე იცნობდნენ მთამსვლელობის ტექნიკისა და ტაქტიკის საფუძვლებს და დახელოვნებით იყენებდნენ მთამსვლელობისათვის საჭირო ძირითად საჭურველს — წრიაპსა და რკინის პალოებს, წერაყინსა და ქანცს (ალპიშტოკს), თოკსა და ჯაჭვს, საცოც ტყავებსა და თხილამურებს და სხვადასხვა მიზნისათვის ახდენდნენ მაღალმთიან მწვერვალებზე ასვლებს.

სსრ კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხთა მთამსვლელობის შესახებ უძველესი ცნობები დაცულია ხალხურ თქმულებებსა და ზღაპრებში.

კავკასიის ტერიტორიაზე მოსახლე ხალხებში მრავალი თქმულება და ლეგენდაა დაცული მთამსვლელობასთან დაკავშირებით. ერთი ასეთი თქმულებათაგანი XIX საუკუნის მეორე ნახევარში ლ. გ. ლოპატინსკის ჩაუწერია. ამ თქმულებით, ვილაც გმირს იალბუზზე ასვლა გადაუწყვეტია, რათა მისი საუკუნოებრივი წყვდიადით მოცული საიდუმლოება გაეგო, რის გამოც ის მძიმე ჯაჭვებით მიუჯაჭვავს იმავე მთის კალთაზე მთების მეუფეს, უკვდავ თხას[1].

ასეთივე ხასიათის თქმულება ჩაუწერია ს. ვ. ფარფოროვსკის. ამ თქმულებით, იალბუზზე მთელი ათასი წელი ძევს მძიმე ლოდი, რომელზედაც მიჯაჭვულია თეთრწვერა მოხუცი: მას გადაუწყვეტია დიდი ღმერთის, თხის, ჩამოგდება, რისთვისაც იგი დაუსჯია ამ ღვთაებას. არც ერთ ადამიანს არ შეუძლია დაინახოს ეს ტანჯული ადამიანი. იალბუზზე ასვლის ყველა მცდელი, რათა დაენახა ტანჯული, დაიღუპა[2], მსგავსნი თქმულებებია თეთნულდის, უშბისა[3] და ყაზბეგის შესახებ[4].

---

[1] თხა ღმერთის ყაბარდოული სახელია, იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი პირველი, 1950 წ., გვ. 185—187.

[2] СМОМПК, т. 38, 1908, Г. Лопатинский, „Кавказския легенды об Эльбрусе".

[3] Д. М. Затуловский, „Советский Альпинизм", 1951, Москва, გვ. 26.

[4] გაზ. „ივერია", 1895, № 197, ს. ყაზბეგი, „ყაზბეგის მთა".

განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა ძველთაგან[illegible] ბამ კავკასიონის ქედზე პრომეთესა და ამირანის მიჯაჭ[illegible]
აღნიშნული თქმულებებიდან ცხადი ხდება, რომ ადამიანები ძველთაგანვე დაინტერესებულნი ყოფილან ცაში აზიდული, მუდმივი თოვლითა და ყინულით თეთრად შევერცხლილი მთების საიდუმლოებათა ამოხსნით.

ადრიდანვე მაღალმთიანი ასვლები ხალხის მიერ ვაჟკაცობისა და გამბედაობის საქმედ იქნა აღიარებული. ხალხს, როდესაც ამა თუ იმ, მისთვის საყვარელი გმირის ვაჟკაცობის, ფიზიკური ძალის, გამბედაობისა და სხვა თვისებათა დახასიათება უნდა, გმირის საქმიანობას მისი სიდიადის გამოსაკვეთად მთის ცნებას უკავშირებს და მთასავით ბუმბერაზად გვისახავს. ამ მხრივ დამახასიათებელია თქმულება ვახტანგ გორგასალზე:

„ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან შემოესმა რეკა,
იალბუზზე ფეხი შედგა,
დიდმა მთებმა შექმნეს დრეკა“.

სამეურნეო მიზნით კავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხთა მიერ ადრეული პერიოდიდანვე გამოყენებული ყოფილა მთამსვლელობა. კერძოდ, როგორც ეპიფანე (IV ს. ჩვ. ერამდე) გადმოგვცემს, სკვითთა მიერ მთასვლელობა გამოყენებული ყოფილა სხვადასხვა ძვირფასი ქვების მოსაპოვებლად. „დიდ სკვითეთში არის ხეობა, — წერს ეპიფანე, — ფრიად ღრმა, ადამიანისათვის მიუვალი, რომელსაც ორი მხრივ გარს არტყია კლდოვანი მთები ისე, რომ, თუ ვინმე ზევიდან გადაიხედება მთის სიმაღლიდან, როგორც კედლიდან, ვერ შესძლებს ხეობის ძირში რაიმეს გარჩევას, რადგან იგი, სიღრმის გამო, დაფარულია ბნელით, როგორც რაიმე უძირო. იქით ძალით აგზავნიან მეზობლად მცხოვრები მეფეების მიერ მსჯავრდადებულ დამნაშავეებს“[2], იქვე მოთხრობილია ქვების მოპოვების წესი.

აღნიშნული მეტად საინტერესო ცნობა ჩვენს ყურადღებას იქცევს ორი გარემოებით: ერთი, მთამსვლელობაში გამოყენებულია სკვითთა მეზობელი მეფეების მიერ მსჯავრდადებული დამნაშავენი,

---

[1] მიხ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, 1947 წ., გვ. 44—45.

[2] В. В. Латышев, Известия древних писателей о Скифии и о Кавказе, ჟურნ. Вестник древней историй, 1948, № 3, გვ. 247.

და მეორე, ძვირფასი ქვების მოპოვების საქმეში გამოყენებულია მთამსვლელობა. მეზობელი მეფეების მიერ მსჯავრდადებულ[illegible] შავეთა მთამსვლელობაში გამოყენება მიუთითებს იმაზ[illegible] თები მთამსვლელობაში არ უნდა ყოფილიყვნენ დახელოვნებულნი, ხოლო მეზობელ მეფეთა მიერ დასჯილ დამნაშავეებად უნდა ვივარაუდოთ სკვითების მეზობლად, კავკასიონის მთებში მცხოვრები ხალხები: ალანები, სოვრამატები, იბერიელები, ალბანელები, სანები და სხვა მთიელი ტომები, რომლებიც დახელოვნებული მთამსვლელები უნდა ყოფილიყვნენ ადრეული პერიოდიდანვე. ამასთან ერთად, ძვირფასი ქვების მოპოვება სიცოცხლისათვის სარისკო საქმესთან ყოფილა დაკავშირებული, ამიტომაც ამ საქმეში გამოყენებულია მსჯავრდადებულნი.

ცნობილია, რომ ლაზების საიმედო თავშესაფარს შემოსეულ მტერთან დამარცხების შემთხვევაში მტრისათვის მიუვალი მთები წარმოადგენდა. ბიზანტიელი მწერალი პროკოფი კესარიელი, აღწერს რა სპარსელების მიერ ლაზიკის სამეფოს ციხე-სიმაგრეების ქუთაისის და უქიმერიონის აღებას, გვაცნობებს, რომ ლაზიკის მეფე გუბაზი (540—554) იძულებული ყოფილა მიუვალი მთებისათვის შეეფარებინა თავი. „გუბაზი მთის წვერზე ავიდა“, — წერს პროკოფი კესარიელი[1].

ასევე, თეოდოსი განგრელი თავის მოგონებაში, ეხება რა ბიზანტიიდან ლაზეთში გადასახლებული მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრებას, აღნიშნავს, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებთან ერთად, მაქსიმე აღმსარებელი კავკასიის რომელიღაც მთაზე ასულა, რომ „მასთან იქ მყოფი, — წერს თეოდოსი განგრელი, — ერთი დღესაც ცოცხალია“. იმავე მთაზე ასვლა, როგორც მისივე ცნობიდან ჩანს, თვით განგრელსაც მოუწადინებია, მაგრამ სიძნელის გამო ვერ განუხორციელებია „ჩვენ კი ვერ შევძელით იქ მიღწევა, — წერს განგრელი, — რადგან მეტად ძნელია ასვლა იმ მთაზე, ესე იგი კავკასიონის მწვერვალზე — მასზე უფრო მაღალი მთა არ არსებობს დედამიწის ზურგზე“[2]. თეოდოსი განგრელის აღნიშნული ცნობა მეტად სანდო წყაროს წარმოადგენს იმდენად, რამდენადაც თვით ლაზეთში ნამყოფი ჩანს და მომხდარი ასვლის თანამედროვეა; მისი ცნობით, მაქსიმე კავკასიონის უმაღლეს მთაზე ადგილობრივ მცხოვრებლებს, ლაზებს, აუყვანიათ.

[1] გიორგიკა, ტ. II, 1934 წ., გვ. 173.

[2] მასალები საქართველოს ისტორიისათვის, ნაკვეთი I, 1941 წ., გვ. 53. იხ. აგრეთვე: კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ეტიუდები, III, 1955 წ., გვ. 308.

ქართველთა ძველთაგანვე დახელოვნებას მთამსვლელობაში [illegible] თული ლიტერატურული და ისტორიული პირველწყაროები [illegible] ტურებს. ამ მხრივ მეტად საინტერესო ცნობებია დაცული ბასილ ზარზმელის თხზულებაში „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ ღმერთ-შემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისა სერაპიონისი“ [1].

ბასილ ზარზმელის თხზულებაში აღწერილია სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებულ სამონასტრო მშენებლობასთან დაკავშირებით მოგზაურობა „უვალთა ადგილთა“. მოგზაურობის რაიონში, ბასილის აღწერით, ყოფილა ისეთი მაღალი მთები, რომ, ვინც იმ მთის მწვერვალს მიაღწევდა, თავის თავი ისე ეგრძნო, „ვითარცა სიმაღლესა ცისასა აღსრულნი“ ყოფილიყვნენ, ან იმდენად მაღალი, რომ მიუწვდომელი ყოფილიყო „კაცთა და პირუტყვთა სიმაღლისათვის მისისა“ [2].

სერაპიონ ზარზმელს მხლებლებით და გამყოლის თანხლებით მოუხდენია გოდერძის უღელტეხილზე გადასვლა (2025 მ) „აღვჰყევით პირსა მის მდინარისასა და მივიწიენით ხევსა რასმე ღრმასა და უღალსა (ძნელად სავალსა ვ. ა.), რომელსა გოდერძისა ეწოდების, და ფრიად ძლით შევედით მას შინა... აღვედით თავსა მის კევისასა [3]. „თავად კევისა“, როგორც ჩანს, ხევის უმაღლესი ნაწილი იწოდებოდა, ამ მნიშვნელობითაა ნათქვამი „აღვედით თავსა მის კევისასა“. „თავსა მის კევისასა“ ასვლის შემდეგ მათ გადაუვლიათ გოდერძის აღმოსავლეთით მდებარე, მეტად ძნელი სავალი მაღალი ტყითა და ლოდებით დაფარული ქედები და მოუხდენიათ ასვლა ამ ქედის „უმაღლესთა ადგილთა“. თუ რამდენად ძნელად სავალ ადგილებში უვლიათ, ჩანს იქედანაც, რომ მოგზაურობის დამთავრების შემდეგ, რომელიც ერთ დღეს მიმდინარეობდა, მათი „სამოსელი... „და ფერკნი დაჯეჯკილ და დაბძარულ იყვნეს“ [4]. ამსვლელთა ჯგუფი „უმაღლესთა ადგილთა“ ასვლისას ტოვებდა ასვლის დამადასტურებელ ნიშანს. კერძოდ, ავიდნენ რა მაღალი ქედის „უმაღლესთა ადგილთა“, რომელსაც ბაკი ეწოდებოდა, სერაპიონ ზარზმელმა „აღიღო კელითა თჳსითა ორთოხი რკინისაჲ და

---

[1] ბასილ ზარზმელი, „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ ღმერთ-შემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისა სერაპიონისი“, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, გამოსცა და ტაბულები და ლექსიკონი დაურთო ი. იმნაიშვილმა, ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1953 წ., გვ 218—236.

[2] იქვე, გვ. 225—226.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 229.

გამოაქანდაკნა ჯუარნი ლოდთა რათმე ზედა დიდ-დიდთა, რომელნი იგი იხილვებიან ვიდრე დღენდელად დღედმდე [illegible] განახორციელეს არსიანის ქედის უმაღლესი მთის არსიანის გადალახვა (3165 მ) „გარდავლეს მთაჲ იგი, არსიან წოდებული"[2] აღნიშნული ცნობებიდან ყურადღებას იპყრობს მთამსვლელობაში გამოსაყენებელი რაღაც სპეციალური იარაღი „ორთოხი რკინისაჲ". ი. იმნაიშვილის განმარტებით: „ორთოხი-ორპირი თოხი („წერაქვი")?"[3], ხოლო ს. ს. ორბელიანი, ეფრემ მცირის დამოწმებით, განმარტავს: „ორთოხი ორგნითვე სათხროლი"[4] მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ სერაპიონ ზარზმელი ორთოხს სათხრელად კი არ ხმარობს, არამედ ქვაზე (ამ შემთხვევაში ლოდზე) საკვეთებლად, მას, როგორც ამავე საკითხზე ნ. რეხვიაშვილი აღნიშნავს, „საკოდელი ჰქონია ხელთ", თუმცა ქვემოთ მას საბოლოოდ მაინც სათხრელ იარაღად მიიჩნევს[5]. ჩვენ ვფიქრობთ, რომ „ორთოხი" მაღალმთიანი ასვლებისათვის საჭირო სპეციალური იარაღი უნდა ყოფილიყო, ძნელად სავალ კლდეებსა და ფერდობებზე სვლისათვის გამოყენებული. ის თანამედროვე წერაყინის წინაპრად უნდა მივიჩნიოთ.

ქართველთა მთამსვლელობაში დახელოვნებას მემატიანებიც ადასტურებს, ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს თამარ მეფის ისტორიკოსის ცნობა. იგი, გადმოგვცემს რა თამარ მეფისაგან დიდოელთა, ფხოელთა და ღურძუკთა განდგომას, აღნიშნავს, რომ მეფეს მათ დასამორჩილებლად „დვალთა, ცხრაზმელთა, მოხევეთა, ხადელთა, ცხოვატელთა, ქართალთა და ერწო-თიანელთა" თანხლებით განთქმული ქართველი მხედართმთავარი ივანე მხარგრძელი გაუგზავნია. ივანე, საბრძოლო ოპერაციების გაადვილების მიზნით, ლაშქრით „აღვიდა მთასა ხადისსა, და წარვლო წვერი მთისა, და წარდგა მთასა ფხოელთა და დიდოთასა, რომელი ასე არავის ექმნა, არც პირველ და არც შემდგომად: ერთ კერძო

---

[1] ბასილ ზარზმელი, გვ. 226.

[2] იქვე, გვ. 231.

[3] ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, 1948-49 წ, გვ. 490.

[4] ს. ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, 1949 წ., გვ. 265.

[5] ნ. რეხვიაშვილი, „ქართული სამეურნეო იარაღი". საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVIII, 1954 წ., გვ. 104.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაურჩა დურძუკეთი და ერთ-კერძო დიდოეთი და ფხოელნი"[1] (ხაზი ჩვენია ვ. ა.).

ამ მეტად სანდო ცნობაში ყურადღებას იქცევს მთელი ლაშქრის ერთდროული ასვლა მთის წვერის გადავლით: „წარვლო წვერი მთისა", ე. ი. მოახდინეს მთის წვერის ტრავერსირება. აქვე ყურადღებას იქცევს ისტორიკოსის მიერ საგანგებოდ აღნიშვნა იმისა, რომ — „ასე არავის ექმნა, არც პირველ და არც შემდგომად"; ისტორიკოსს იმიტომ დასჭირდა ამის აღნიშვნა, რომ მიეთითებინა და ხაზი გაესვა ასეთი ასვლის სირთულისა და სიძნელისათვის. როგორც ცნობიდან ნათლად ჩანს, ასვლა მოწყობილა ფხოვში, კერძოდ, ივნისში. მთა, რომელზედაც ივ. მხარგრძელის ხელმძღვანელობით მოეწყო ლაშქრობა, უნდა იყოს ტებულოსი (4494 მ) ან დიკლოსი (4874 მ), რომელნიც მდებარეობენ თუშეთის ქედზე და მიემართებიან დასავლეთიდან აღმოსავლეთით. ეს მთები საქართველოს ტერიტორიაზეა და გრძელდება დაღესტნის ტერიტორიაზე, რომლის მარჯვნივ (სამხრეთ-აღმოსავლეთით) მოსახლეობდნენ დიდოელები და ფხოველნი, ხოლო მარჯვნივ (ჩრდილოეთით) — დურძუკნი[2].

ივანე მხარგრძელის აღნიშნულ ლაშქრობა-ასვლას არჩილიც ადასტურებს:

„ათაბაგს ლაშქრად აახლა სახლი ყოველთა მთიულთა,
დვალნი, ცხრაზმელნი, მოხევე, ხადელნი, ცხრავატიულთა,
ერწო-თიანელთ ყოველთა, არ ჩაუგდიათ იულთა.
და აღვიდეს მთას ხადისასა მუნითგან იქით წასულთა.

წავლეს მაღალი მთის თავი აღმოსავლეთათ
სიგრძეზე,
მარცხნივ დაურჩათ ძურძუკი, თუშეთი კვლავ მარჯვენაზე"[3].

როგორც აღნიშნული ცნობებიდან ირკვევა, ლაშქრობა-ასვლაში მონაწილეობას იღებდა არა ბარის მცხოვრებთა ლაშქარი, არამედ „დვალნი, ცხრაზმელნი, მოხევე, ხადელნი...", ე. ი. როგორც

[1] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 1941, კ. კეკელიძის რედაქციით, გვ. 138.

[2] იხ. ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, 1946 წ., რუკა „ქართული სამეფო-სამთავროები X საუკუნის შუაწლებში".

[3] არჩილიანი, ტ. II, გვ. 112.

თვით არჩილი აღნიშნავს, „სახლი ყოველთა მთიულთა“, და ეს შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო. ლაშქრობა-ასვლაში მათი მონაწილეობა ნაკარნახევი უნდა ყოფილიყო იმით, რომ მათ (მთიულებს) სათანადო წინასწარი მომზადება უნდა ჰქონოდათ ასეთი ლაშქრობა-ასვლისათვის. ასეთ მომზადებას ისინი ღებულობდნენ როგორც ნადირობით, ასევე ლაშქრობების დროს.

მაღალი მთის მწვერვალების სადაზვერვო მიზნით გამოყენება კავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხთა მიერ დამოწმებულია მე-10 საუკუნის არაბი მწერლის ალისტარხის მიერ, ქალაქ ბაბულ-აბჯაბის (დერბენდის) აღწერისას. ალისტარხი წერს: „ქალაქის გვერდით არის მაღალი მთა „დზიბის“ სახელწოდებით. ამ მთის წვერზე ყოველწლიურად აგროვებენ შეშას დიდი რაოდენობით და აუცილებელ საჭიროების შემთხვევაში მასზე ანთებენ კოცონს და ასე ამგვარად ადერბეიჯანის, არანის და სომხეთის მცხოვრებლებს აფრთხილებენ მტრის მოულოდნელ თავდასხმის შემთხვევაში“ [1]. აღნიშნული ცნობით, მთის წვერზე შეშის დაგროვება და მიტანილ შეშასთან მუდმივ მორიგეობა აიძულებდა ამ საქმისათვის სპეციალურად შერჩეულ პირებს მთის წვერზე ხშირ მიმოსვლას, რაც ხელს შეუწყობდა მათს დახელოვნებას მთამსვლელობაში.

ასევე, ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვაობაში დაცულია ერეკლე II-ის მიერ მაღალი მთის მწვერვალების სადაზვერვო მიზნით გამოყენება.

„ჯარს ეძახს ბატონიშვილი ერეკლე თავის ყმათაო:
პირი ქნან ფშაველ-ხევსურთა, თუშები მიდგას გზასაო,
გავიდეს ნაყვეჩოსა, მაღალს თუშეთის მთასაო,
გახედვენ გარმოსახედსა, ლეკ რომელს მოვალს გზასაო“ [2].

ამით ირკვევა, რომ თუშეთის ყველაზე მაღალი მთა ნაყვეჩო, გამოყენებულია სადაზვერვო პუნქტად, საიდანაც მზვერავები, იგივე მეწვერეები, „გახედვენ გარმოსახედსა“. აღნიშნულით ნათელია, რომ ერეკლე ბრძანებას იძლევა, რათა მზვერავები გავიდნენ თუშეთის მაღალ მთაზე, მთის წვერზე, მტრის ძალებისა და მოძრაობის მიმართულების დასაზვერად. ეს ღონისძიებანი ერთ-ერთ გზას

[1] Сведения Арабских писателей о Кавказе, Армении и Адербейджана. Сборник материалов для опис. мест. и племена Кавказа, том. 29, 1901 г., გვ. 13. იხ. აგრეთვე ზ. ედილი, საინგილო, 1947 წ., გვ. 173—174.

[2] პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ფ. გოგიჩაიშვილის რედაქციით, 1937 წ., გვ. 100.

წარმოადგენდა, ნადირობასთან ერთად, მთიულების მთამსვლელო-ბაში დახელოვნების საქმეში. ამიტომაცაა, რომ ივანე-მხარგრძელი ლაშქრობა-ასვლისას თან ახლდნენ მხოლოდ და მხოლოდ მთი-ულები.

XVI—XVII საუკუნეებში და შეიძლება უფრო ადრეულ პერიოდშიც ქართველ მეფეებს სპეციალური მომსახურე პერსონალი ჰყოლიათ, რომელთა ვალდებულებას კავკასიონის მუდმივი თოვლოვანი და ყინულოვანი მთებიდან ზაფხულში ყინულის ჩამოტანა შეადგენდა. ვახუშტი აღნიშნულის გამო წერს: „მთის ძირას არს ციფინეთი, სად დაასხნა მეფემან ლევან ლეკნი, რათა უზიდონ ზაფხულს კავკასიდამ ყინული და იყო არჩილამდე ეგრეთ"[1].

არჩილის გადმოცემით, მთამსვლელობით (ისევე როგორც ბურთაობით, ცხენოსნობით, ნადირობით და სხვა) დაინტერესებული ყოფილა თეიმურაზ პირველი, რომელიც სამეფო საქმეებისა და ნადირობა-შექცევისაგან თავისუფალ დროს ახდენდა მწვერვალებზე ასვლას. რის შესახებ არჩილი თეიმურაზს შოთა რუსთაველთან საუბრებაში ათქმევინებს:

„მოვიარით ტყეები და რაც მინდვრები გითხარ პირველ,
ვირ დრო მქონდა, სიხარულსა ხელი ვჰყარე,
მწვერვალს აველ"[2]

ამ ცნობით, მთაზე ასვლა არც თუ სასიხარულო და ადვილ საქმედ ჩანს ნადირობასთან შედარებით, რომ ის საძნელო და რთული საქმეა, ამ გაგებით ათქმევინებს არჩილი თეიმურაზს: „სიხარულსა ხელი ვჰყარე, მწვერვალს აველ".

მთამსვლელობაში ქართველი ხალხის დახელოვნების დამადასტურებელია მე-18 საუკუნეში მყინვარწვერზე (5047 მ) იოსებ მოხევის ასვლა, რომელსაც ასვლის რაღაც დამადასტურებელი ნიშანი ერეკლე მეფისათვის მიურთმევია. იოანე ბატონიშვილი (1768—1830 წ.) აღნიშნული ასვლის შესახებ მეტად საინტერესო ცნობას გვაწვდის: „იოსებ მოხევე, მღვდელი — ესე იყო ფრიად სიწმინდის მოყვარე და მემარხულე, რომელ ყოველგან განითქვა სათნოება მისი. ესე ნებითა ღვთისათა აღვიდა მყინვარის მთასა შინა, კაცთაგან შეუვალსა"[3] და იქვე დასძენს: "რომელ ჯერ-

[1] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 96.

[2] არჩილიანი, ტ. II, 1937 წ., სტრ. 357, გვ. 42.

[3] იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ტომი II, 1948 წ., გვ. 210.

ეთცა არვინ აღსრულ არს მთასა მას“[1] (ხაზი ჩვენია. ვ. ა.). უნდა აღინიშნოს, რომ სასულიერო პირის, ისიც „შემსრულებელი“ მყინვარწვერზე ასვლა ერთპიროვნული არ უნდა ყოფილიყო, საფიქრებელია, მას თან უნდა ხლებოდა ვინმე ადგილობრივი მცხოვრებთაგანი. მაგრამ იოანე ბატონიშვილი ისევე, როგორც მისი წინამორბედნი „მდაბიოთა“ საქმიანობის შესახებ სდუმან ან ძალზე ძუნწ ცნობებს გვაწვდიან. აქვე ყურადღებას იქცევს ბატონიშვილის მიერ საგანგებოდ აღნიშვნა იმისა, რომ მყინვარწვერზე „ჯერთცა არავინ აღსრულ არს“, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ყოფილა სხვა მთები, რომლებზედაც ასვლები უწარმოებიათ.

მაღალმთიან გადასვლებს ქართველი ელჩები იყენებდნენ რუსეთის სახელმწიფოსთან დაახლოებისა და კავშირურთიერთობის დამყარების მიზნით.

მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია იმერეთის მეფის ალექსანდრეს მიერ მოსკოვში 1650—52 წელს გაგზავნილი საელჩო 29 კაცის შემადგენლობით, რომელსაც ლომკაცი ჯაფარიძე ხელმძღვანელობდა, აღნიშნულ საელჩოს გადასვლა მოუხდა გეზევცეკის უღელტეხილზე, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 3.435 მეტრს უდრის. მათ მოუხდათ გადასვლა როგორც პროფ. პოლიევქტოვი აღნიშნავს: „კავკასიონის ქედის ყველაზე უფრო ძნელად გასავალ უბანზე — მის მთავარ თოვლიან მასივისაკენ იალბუზიდან ჩრდილოეთ-დასავლეთით ადაი-ხოხამდე სამხრეთ-აღმოსავლეთით. მას მოუხდა ქედის გადასვლა მყინვარებზე და მაღალმთიან უღელტეხილებზე“[2]. იმავე გზით 1650 წელს იმერეთში ჩამოვიდნენ მოსკოვის ელჩები: სტოლნიკი ტოლოჩანოვი და დიაკი ივლევი[3] ხოსია ჯაფარიძის ხელმძღვანელობით[4].

მის შემდეგ, რაც საქართველო შეუერთდა რუსეთს, მთამსვლელობა წინა პერიოდთან შედარებით უფრო ორგანიზებულ და რეგულიარულ ხასიათს ღებულობს. აღსანიშნავია 1829 წელს კავკასიის ხაზის უფროსის გენერალ გ. ა. ემანუელის ხელმძღვანელობით მოწყობილი ექსპედიცია იალბუზზე, რომელშიც რუსეთის მეცნი-

---

[1] იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ტომი II. 1948 წ., გვ. 211.

[2] სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი ივლევის ელჩობა იმერეთში (1650—1652 წ.) მ. პოლიევქტოვის წინასიტყვაობით, 1926 წ., გვ. გვ. 37.

[3] Полиевктов М., Экономические и политические разведки Московского государства, 1932, გვ. 37.

[4] ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს ცხოვრება 1469—1800 წ., გვ. 304—305.

ერებათა აკადემიის წევრები, აკადემიკოსები კუპფერი, ლენცი, მეიერი, მენეტრიე და გამყოლი მთიელი ქილარ ხაშიროვი [illegible]ნენ. ექსპედიციის წევრებმა 4.700 მეტრის სიმაღლის შემდეგ ვერ შესძლეს გზის გაგრძელება, იალბუზზე ავიდა ხაშიროვი[1]. იმავე წელს დერპის (ეხლანდელი ტარტუს) უნივერსიტეტის ექსპედიციამ პროფესორ პაროტის ხელმძღვანელობით მოაწყო არარატზე (5156 მ) ასვლა, ასვლაში მონაწილეობდა სომხეთის მწერალი და განმანათლებელი ხაჩატურ აბოვიანი, რომელმაც პირველმა მიაღწია არარატის მთის უმაღლეს მწვერვალს[2].

მთამსვლელობით დაინტერესებას იჩენდა საქართველოში 1837—1838 წლებში მყოფი მიხეილ ლერმონტოვი. ის ერთ-ერთ მეგობართან გაგზავნილ წერილში ეხება რა საქართველოს წარმტაც ბუნებას, წერს: „როგორც კი გავცდი მთაგრეხილს და გადავედი საქართველოში, მივატოვე ეტლი და შევჯექი ცხენზე. ავცოცდი ყველაზე მაღალ დათოვლილ ჯვარის მთაზე, ზედ წვერზე მოვექეცი, რაც არც ისე იოლი საქმე იყო. იქიდან ნახევარი საქართველო მოსჩანს, როგორც ხელის გულზე. მართალი გითხრათ, მე ვერ ვბედავ აგიხსნა, ან აგიწერო ის საოცარი გრძნობა. ჩემთვის მთის ჰაერი ბალსამოსია, მოწყენამ თავი დამანება. გული მიძგერს. მკერდი თავისუფლად ისუნთქავს ჰავას. ამ წუთში ქვეყანაზე არაფერი მენატრება. მინდა მხოლოდ მთელი ჩემი სიცოცხლე ვიყო ასე და გადავცქეროდე საქართველოს ბუნებას“[3].

კავკასიონის მთებზე ასვლებთან ერთად და პარალელურად მთამსვლელობა ისტორიის ადრეულ პერიოდში მოძმე სომხეთის ხალხშიც უნდა განვითარებულიყო. როგორც ისტორიული პირველწყაროებიდან ჩანს ჯერ კიდევ XII—XIII საუკუნეებში ყოფილა არარატზე ასვლის ცდები. აღნიშნულის შესახებ ცნობას გვაწვდის გუილიამ რებრიკვისი, რომელიც, აღწერს რა სომხეთის სარწმუნოების საკითხებს და ქ. ნახიჭევანის (ცემანიუმის) სახელწოდების წარმოშობას, წერს: „ამ ქალაქ ნაქსუას გვერდით ამართულია მთები, რომელზედაც როგორც ამბობენ, ნოეს კიდობანი გაჩერდა,

[1] Кавказский календарь на 1855 г. გვ. 255. ამავე საკითხზე იხ. А. М. Затуловский, Советский Альпинизм, 1951 г., გვ. 27,

[2] Кавказский календарь.. გვ. 256. იხ. აგრეთვე, Кавказский край... путевия впечатления и воспоминания Барона Августа фон Гексгаузена, часть I, С.-П., 1854 г.

[3] ი. გრიშაშვილი, ლიტერატურული ნარკვევები, 1952 წ., თბილისი, გვ. 136.

ორი მწვერვალი მოჩანს, ერთი უფრო მაღალია, ვიდრე მეორე, არაქსი მათ ძირში მიმდინარეობს... მრავალმა მოგზაურმა სცადა ამ მთაზე ასულიყო, მაგრამ ამაოდ. ამ ეპისკოპოსმა მითხრა აგრეთვე, ერთს ბერს ისეთი ძლიერი სურვილი ჰქონდა ეს ასვლა მოეწყო, რომ ანგელოზმა მას კიდობნის ძელი მოუტანა და უთხრა, თავს ნუღარ იტანჯავო, ეს ძელი მონასტრის ეკლესიაში ინახება, როგორც დამარწმუნეს"[1] (ხაზი ჩვენია. ვ. ა.).

მე-19 საუკუნის I ნახევრამდე მაღალმთიან მწვერვალებზე ამსვლელნი და ასვლის მცდელთა უმეტესობა, თუ ყველა არა, რომელთა შესახებ დაცულია ცნობები, სასულიერო პირებია: მაქსიმე აღმსარებელი, თეოდორე განგრელი, სერაპიონ ზარზმელი, იოსებ მოხევე, სომეხი ბერი და ეს ბუნებრივიცაა: სასულიერო პირთა დაინტერესება მაღალმთიან მწვერვალებზე ასვლებით გამოწვეული უნდა ყოფილიყო ხალხში რელიგიურ ცრურწმენათა განმტკიცების ხელის შეწყობის მიზნით.

ცნობილია, რომ ქართველ მთიელ (ასევე სხვა მთიელ) ხალხში გავრცელებული იყო რწმენა მაღალი მთის მწვერვალებზე მწვერვალთა მფარველ ღვთაებათა არსებობის შესახებ. „მფარველ ღვთაებათა შორის ცალკე ჯგუფს მწვერვალთა ღვთაებანი შეადგენდნენ. მათი თაყვანისცემის მკაფიო კვალი უმთავრესად მთიულურ სადიდებლებს ემჩნევა"[2].

ბუნებრივია, სასულიერო პირთა მაღალმთიან მწვერვალებზე ასვლებით დაინტერება.

სამღვდელოება საერო პირს არა თუ წააქეზებდა მაღალმთიან მწვერვალებზე ასასვლელად, არამედ, პირიქით, შიშის გრძნობას უნერგავდა, რათა არ ეცადა მათზე ასვლა, ამის მაგალითს იძლევა ჩვენ მიერ უკვე დასახელებული ლოპატინსკისა და ფარფოროვსკის ჩაწერილი თქმულებანი იალბუზის შესახებ, რომელთა მიხედვითაც, მთაზე ასვლის მცდელნი სასტიკად დაისაჯნენ მთების მეუფის — უკვდავი თხის მიერ. სამღვდელოება ირწმუნებოდა, რომ ასვლების განხორციელება შეუძლიათ მხოლოდ ღვთაებებთან ახლო მყოფ პირებს, სასულიერო წოდების წარმომადგენელთ. ამიტომაც აღნიშნავს იოანე ბატონიშვილი იოსებ მოხევის ყაზბეგის მთაზე

[1] გუილიამ რებრიკვისი, „მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში", მას. საქ. და კავკასიის ისტორიიდან, ნაკვეთი V, 1942 წ., თარგმანი ფრანგულიდან გ. ქიქოძის მიერ, გვ. 172—173.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი I, 1952 წ., გვ. 221.

ასვლის გამო, რომ ის „ნებითა ღვთისითა აღვიდა მყინვარის მთასა შინა“ და თუ საერო პირმა ვახტანგ გორგასალმა შეძლო [illegible] პუზზე ფეხის შედგმა“ ეს მოახერხა, ხალხის რწმენით, იმიტომ, რომ „ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა“. საერო პირთა მაღალმთიან ასვლების წინააღმდეგი იმიტომ უნდა ყოფილიყო სასულიერო წოდება, რომ მათი ასვლების შედეგად მწვერვალებზე ღვთაებათა და ანგელოზთა არსებობის მითს, ზღაპარს, საფუძველი გამოეცლებოდა.

როგორც ისტორიული, ლიტერატურული, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალები ადასტურებს, საბჭოთა კავშირის და კერძოდ, კავკასიის ტერიტორიაზე მოსახლე ხალხები უძველესი დროიდან იყენებდნენ მთამსვლელობისათვის ისეთ საჭირო აუცილებელ საჭურველს, როგორიცაა: წრიაპი და რკინის პალოები, ორთოხი და ქანცი (ალპინშტოკი), თოკი და ჩანგლები, თხილამურები და საცოცი ტყავები.

რკინის სატეხების (პალოების) გამოყენება დამოწმებულია ძველი წარმართული დროის თქმულების „მიჯაჭვულ ამირანის“ სვანურ ვარიანტში, რომლის მიხედვითაც უცნობი მონადირე მიუვალ კლდიდან ქალის კივილს გაიგონებს, შინ დაბრუნდება, მჭედელს სატეხებს გააკეთებინებს, კლდეზე საფეხურებად მიასობს და გამოქვაბულში შევა ამბის გასაგებად[1]. ასევე, მთამსვლელობაში რკინის სატეხების, ჩანგლების და ჯაჭვის გამოყენება დამოწმებულია თ. რაზიკაშვილის მიერ ქართლში ჩაწერილ ზღაპარ „ივანე ცისკარში“. ივანე ცისკარმა კლდეზე ასასვლელად „გამოკვეთა უზარმაზარი ჯაჭვი. ჩაასვეს ერთი დიდი მარგილი, დაამაგრეს იმაზე ერთი პირი ჯაჭვისა, მეორეზედ ჩანგლები მოაბეს, ცისკარმა მოავლო ხელი ჯაჭვს, ატყორცნა და აიყვანა წვერამდის. მოეჭდვნენ ყველანი, მოედო ჩანგალი კლდეს, გამაგრდა ისე, რომ ასვლა კარგად შეიძლებოდა“[2]. და ავიდნენ კიდეც. ზღაპარი წარმართული სარწმუნოების მრავალ გადმონაშთს შეიცავს (ციურ მნათობთა თაყვანისცემას და სხვა) და ამდენად ქართველთა უძველეს ყოფაცხოვრებაში განმტკიცებულ წესებს უნდა გადმოსცემდეს ზღაპრულ ფორმებში.

წრიაპს, როგორც მაღალმთიან მწვერვალებზე ასვლისათვის აუცილებელ საჭურველს, ადრეული პერიოდიდანვე (ჯერ კიდევ

---

[1] მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, 1947 წ., გვ. 73.

[2] რჩეული ქართული ზღაპრები, ელ. ვირსალაძის რედაქციით, 1949 წ., გვ. 217—225.

ჩვ. წელთაღრიცხვამდე) იყენებდნენ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხები. კერძოდ, სტრაბონი (I ს. ჩ. ერამდე) აღნიშნავს რა ალბანების, იბერების, კოლხებისა და ჰენიოხების საზღვრის გასწვრივ კავკასიონის ყველაზე მაღალი მთების არსებობას, იქვე მიუთითებს, რომ ზამთარში მაღალმთიანი მწვერვალები მიუვალია, ხოლო ზაფხულში ადიან მათზე, „подвязывая подошвы из сырой ... кожи с железными шипами, широкие, как литавры. Подвязывают их по причине снегов и льдов“ [1] (ხაზი ჩვენია. ვ. ა.).

აღნიშნული ცნობით ჩანს, რომ ასვლები წარმოებდა მუდმივი თოვლითა და ყინულით დაფარულ მაღალმთიან მწვერვალებზე, რომლებზედაც, სტრაბონის ცნობით, ზაფხულშიაც თოვლი იდო და რომელზედაც ასვლებისათვის გამოყენებული ჰქონიათ წრიაპები. წრიაპები რკინისაა, რომლებიც დამაგრებულია ხარის ტყავზე და მთამსვლელს ამოკრული აქვს ფეხის გულებზე. რკინის წრიაპების გარდა, მთამსვლელობაში, იმავე სტრაბონის ცნობით, სომხეთში გამოყენებული ყოფილა მრგვალი, ხის წრიაპიანი თხილამურები „там подвязывают под подошвы деревянные колесца с шипами“ [2] წერს სტრაბონი. მრგვალი თხილამურები, თხილის წნელებისაგან დაწნული დღემდე შემორჩენილია საქართველოს მთიან რაიონებში თოვლზე სავალად. სტრაბონის ცნობით ირკვევა, რომ მთამსვლელობაში გამოყენებული ყოფილა ორი სახის წრიაპები: რკინისა და ხისა. რკინის წრიაპებს ამაგრებდნენ ტყავზე, ხოლო ხისას კი — მრგვალ თხილამურებზე. რკინის წრიაპები გამოიყენებოდა ყინულოვან, ხოლო ხისა — თოვლოვანი მთის მწვერვალებზე ასვლებისათვის. ამასთან ერთად, იგივე სტრაბონი მიუთითებს მთებიდან ჩამოსვლისათვის საცოცი ტყავების გამოყენების შესახებ: „спускаюися же с гор, лежа на шкуре“ [3].

რკინის წრიაპების მთამსვლელობაში გამოყენება დადასტურებულია მე-17 საუკუნის ქართველი ლექსიკოგრაფის, დიპლომატისა და მწერლის ს. ს. ორბელიანის მიერ, რომელიც სიტყვა წრიაპს ასე განმარტავს „წ რ ი ა პ ი ეს არს რკინა შემზადებული კბილე-

---

[1] Латышев В. В., известия древних писателей о скифии и о Кавказе, ჟურნ. Вестник др. истории, 1947 г., № 4, გვ. 224.

[2] იქვე, გვ. 224.

[3] იქვე.

ბიანი ტერფთა ამოსაკრავად, რათა ფრიალოთა მავ[illegible]
ფეხი არა მოუცურდეს[1].

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიელი ხალხისათვის ალპინშტოკიც ადრეული პერიოდიდანვე უნდა ყოფილიყო ცნობილი და გამოყენებული მთამსვლელობის დროს, რაზედაც მიუთითებს არჩულ ენაზე დღემდე დაცული ალპინშტოკის ძველი სახელწოდება „ქანცი“[2].

ისტორიული, ლიტერატურული, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალები, რომლებიც წინამდებარე ნაშრომშია მოტანილი, მოწმობს მთამსვლელობის მდიდარ ტრადიციას ჩვენს ქვეყანაში. ჩვენ ხალხს მრავალი შრომა და ენერგია მოუხმარებია ამ საქმის დანერგვისა და განვითარებისათვის, ამან სათანადო ნაყოფი გამოიღო: ჩვენი ქვეყნის მთამსვლელები უძლიერესნი არიან მსოფლიოში.

---

В. М. АПРИДОНИДЗЕ

## К ВОПРОСУ ИСТОРИИ АЛЬПИНИЗМА


Резюме

Высокогорное восхождение в нашей стране достигло исключительно больших успехов. Советские альпинисты заслуженно считаются самыми сильными в мире среди покорителей вершин.

Достижения советского альпинизма обусловлены ростом материально-культурных условий населения нашей страны, заботой о нем Коммунистической Партии Советского Союза и Советского правительства и той богатой традицией, которая сложилась исстари у наших народов в области высокогорного восхождения.

За сравнительно молодым „спортивным альпинизмом“ (возник в XIX веке) кроются высокогорные восхождения, используемые с древних времен в хозяйственных и военных целях тех народов, которые населяли горные районы. Такая необходимость в свое время потребовала изобретения нужного оснащения и содействовало его дальнейшему усовершенствованию. Наряду


[1] ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, გვ. 453.
[2] А. М. Дырр, Арчинский язык, გვ. 203.

ეროვნული ბიბლიოთეკა

с этим возникали основы техники и тактики высокогорного восхождения.

Как показывают исторические, этнографические, фольклорные и литературные данные, народы, населяющие территорию СССР и особенно Кавказ, с раннего исторического периода были знакомы с основами техники и тактики высокогорного восхождения. Они знали и успешно применяли такие основные снаряжения и инвентарь, как кошки, альпшток („ქანცი“), скальные крюки, вилы, лыжи, недубленную (необделанную) шкуру для скалжения и др.

Восхождения на Кавказские горы были в древности произведены в разное время с различными целями.

По историческим первоисточникам видно, что в XII—XIII веках были попытки восхождения и на вершину Арарат.

(შემოვიდა რედაქციაში 13. III. 1956).

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური
ინსტიტუტის შრომები, XV, 1956.
Труды Кутаисского Государственного Педагогического
Института имени А. Цулукидзе, XV, 1956.

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

### დოც. არჩ. ჯანაშვილი, „ხერხემლიანთა ზოოლოგია“, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამოცემა, თბილისი, 1956.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხერხემლიანთა ზოოლოგიის სწავლებისა და შესწავლის საქმეს ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში სერიოზული ბაზა მოეპოვება ძირითადი სახელმძღვანელოების სახით.

ქართულ ენაზე ამ დისციპლინაში ჯერ კიდევ 1933 წელს გამოქვეყნებული იყო პროფ. გ. ჯავახიშვილის „ზოოლოგია, ნაწ. II, სისტემატიკა“, ხოლო 1937 და 1939 წლებში დაიბეჭდა ორ წიგნად ლ. კაშკაროვისა და ვ. სტანჩინსკის „ხერხემლიან ცხოველთა ზოოლოგიის კურსის“ თარგმანი, რომელმაც 1952 წლამდე თავისი დანიშნულება გაამართლა როგორც ერთერთმა უახლესმა და ძირითადმა სახელმძღვანელომ. გარდა ამისა, საგნის სწავლების მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა და დღესაც აკმაყოფილებს არჩ. ჯანაშვილის „ხერხემლიანთა ზოოტომიის მოკლე კურსი“ (1941 წ.) და ე. პავლოვსკის „პრაქტიკუმი ზოოლოგიაში“ (1946 წ.), რომლებიც უკვე ძნელი მისაწვდომი შეიქნა წიგნის ბაზარზე უქონლობის გამო და ხელმეორედ გამოცემას მოითხოვს. კერძოდ, ე. პავლოვსკის წიგნის ქართული ტექსტი საფუძვლიან გადასინჯვას საჭიროებს მრავალი სტილისტიკური და ზოგიერთი ფაქტობრივი უხერხულობის თავიდან აცილების მიზნით.

საფუძვლიანი შრომა აქვს გაწეული დოც. არჩ. ჯანაშვილს ხერხემლიანთა ზოოლოგიის ორიგინალური სახელმძღვანელოს შედგენისათვის, რის შედეგად 1952 წელს გამოიცა სახელმძღვანელო „ხერხემლიანთა ზოოლოგია“.

დოც. არჩ. ჯანაშვილის სარეცენზიო სახელმძღვანელო 1956 წლისა (რედაქტორი დოც. ლ. კუტუბიძე) წარმოადგენს ზე-

მოხსენებული სახელმძღვანელოს გადამუშავებისა და შევსების შე-დეგს. იგი შეიცავს ტექსტის 640 გვერდს 317 სურათით; [illegible] უმრავლესობა ამოღებულია სხვადასხვა ავტორის კაპ[illegible] ხელმძღვანელოებიდან, ხოლო ნაწილი ორიგინალურია. წიგნს აცო-ცხლებს ფერადებით შესრულებული 8 ტაბულა. სახელმძღვანელოს დართული აქვს 61 წყაროს შემცველი ლიტერატურის სია და სარ-ჩევი. სახელმძღვანელოს წინ უძღვის ავტორის მოკლე წინასიტყვა-ობა, საიდანაც ჩანს, რომ წინამდებარე შრომა ავტორის „ხერხემ-ლიანთა ზოოლოგიის“ მესამე გამოცემას წარმოადგენს. წინასიტ-ყვაობას მისდევს „შესავალი“ 6 გვერდზე, რომელსაც, ავტორის შეხედულებით, მკითხველი უნდა შეჰყავდეს ქორდიანთა ტიპის ცხოველთა შესწავლის სფეროსა და ამოცანებში და, აგრეთვე, აცნობდეს ამ დისციპლინის განვითარების საქმეში ღვაწლდადებულ მკვლევართა მიღწევებს. წიგნის ტირაჟი 2000 ეგზემპლარია, დაბეჭ-დილია კარგ ქაღალდზე.

სარეცენზიო შრომა წარმოადგენს საფუძვლიან სახელმძღვანე-ლოს. იგი შედგენილია საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებ-ლებში ამჟამად მიღებული საუკეთესო სახელმძღვანელოების მიხედ-ვით, როგორიცაა, მაგალითად, კაშკაროვისა და სტანჩინსკის, ოგ-ნიოვის, ბობრინსკისა და მატვეევისა, დემენტიევის და სხვათა. მაგ-რამ ჯანაშვილს გამოყენებული აქვს კიდევ მთელი რიგი სხვა წყა-როებიც როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკულ-მეთოდური ხასი-ათისა და, რაც მთავარია, პირადი ხანგრძლივი პედაგოგიური გა-მოცდილებაც. ამის შედეგია, რომ ჯანაშვილის სახელმძღვანელო თავისი სტრუქტურით, მასალის მოცულობითა და წყობით, მეთო-დურად და მეთოდოლოგიურად ძირითადად აკმაყოფილებს უმაღ-ლესი სკოლის დღევანდელ საჭიროებას და ამით კარგ სახელმძღვა-ნელოთა რიგში დგას.

სახელმძღვანელოში მოცემული მასალის წყობის გასაცნობად შეიძლება ერთი რომელიმე განაკვეთი ავიღოთ, მაგ., „კლასი ამ-ფიბიები“ (გვ. 203—256).

განაკვეთის მასალა დაყოფილია ორ მთავარ ნაწილად. პირვე-ლია — ზოგადი დახასიათება, მეორე — სისტემატიკა. ზოგადი და-ხასიათება თავის მხრივ შეიცავს კლასის შედარებით-ანატომიურ აღწერას და ბიოეკოლოგიას ფილოგენეზით. ეს ზოგადი ნაწილი დაყოფილია თავებად, მაგალითად: სხეულის ფორმა, კანი, კუნთო-ვანი სისტემა, ჩონჩხი (რომელიც საკმაოდ დეტალურადაა მოცე-მული), ნერვული სისტემა, სუნთქვის ორგანოები, სისხლის მიმოქ-

ცევის სისტემა, გამომყოფი ორგანოები, გამრავლების ორგანოები, განვითარება (იგულისხმება ინდივიდუალური განვითარება), შემდეგ მიჰყვება: ფილოგენეზი, ეკოლოგია (რომელშიც ავტორი ეთოლოგიასაც გულისხმობს), გეოგრაფიული გავრცელება და, დაბოლოს, ეკონომიური მნიშვნელობა. ამით მთავრდება ზოგადი დახასიათება. ავტორი ყველგან აღწევს მასალის შემჭიდროებას და გადმოცემის ლაკონიურობას, რაც დიდი მოცულობის სახელმძღვანელოსათვის დადებით მხარეს შეადგენს.

ზოგად ნაწილს მიჰყვება სისტემატიკური ნაწილი. იგი შედგენილია ჩვეულებრივი წესის მიხედვით. გადმოცემული მასალა მოცულობით იმდენია, რამდენიცაა საჭირო კურსისათვის მოქმედი სასწავლო პროგრამების მიხედვით. დადებით მხარედ ჩაითვლება ის, რომ ავტორი ცდილობს ჩართოს ამ ნაწილში ფორმები, რომლებიც საქართველოშიცაა გავრცელებული, ან საერთო გავრცელების ფორმებს დაურთოს ცნობები მათი მოპოვების პუნქტების შესახებ საქართველოდანაც. ამასთანავე ავტორი არ ივიწყებს ასეთი ფორმების შესახებ ბიოეკოლოგიური ცნობების მოყვანას (გამრავლების ვადები, სიცოცხლის ხანგრძლივობა, მასიური მოპოვება, ეკონომიური მნიშვნელობა და სხვ.).

ასეთი გეგმითაა აგებული სახელმძღვანელოში სხვა კლასების განაკვეთებიც.

ყურადღებას იქცევს სახელმძღვანელოს კარგი ქართული ენა. თხრობა სადაა, გასაგებია, წინადადებები გამოკვეთილია, სახელმძღვანელოში ადგილი არა აქვს მრავალსიტყვიანობას, ზედმეტ ფრაზეოლოგიას, გამოყენებულია მრავალი ხალხური სიტყვა და გამოთქმა.

ჯანაშვილის სახელმძღვანელოში უდავოდ კარგადაა მიღწეული ნომენკლატურის უნიფიკაციის ცდა, რაც, როგორც ცნობილია, ძნელ საქმეს წარმოადგენს. ავტორი ოჯახის აღსანიშნავად ქართულ ნომენკლატურულ წესად ყველგან იცავს სიტყვის დაბოლოებას -ებრ-ზე (მაგ. გომბეშოსებრთა ოჯახი), გვარი მართებულად მხოლოობით რიცხვში აქვს მოცემული (მაგ. გვარი გომბეშო) და სხვ.

ჯანაშვილის ამ სახელმძღვანელოში, მისივე წინა გამოცემასთან და ქართულ ენაზე არსებულ სხვა ავტორების სახელმძღვანელოებთან შედარებით, ცხოველების ქართული სახელწოდებები უფრო დაზუსტებულია. იმ ცხოველებისათვის კი, რომელთა ქართული სახელები დღემდე არ შემონახულა ან არ შექმნილა, ჯანაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელწოდებათა დაძებნას ცდილობს ხალხურ სიტყვიერებაში ან ძველ ლექსიკონებში და სახელმძღვანელოში შეტანით მათ ლაქეობრივ უფლებებს ანიჭებს.

იმ შემთხვევაში, როდესაც ქართულში რომელიმე ცხოველის რამდენიმე სინონიმი (კუთხური ან ხატოვანი) მოიპოვება, სახელმძღვანელოს ავტორი ერთ-ერთ სინონიმს მართებულად იყენებს სახელწოდებად ისეთი ცხოველისათვის, რომელსაც აქამდე იგი არ ჰქონია. მაგალითად, ქართულში ცნობილია Bufo-ს სინონიმები: გომბეშო, გომბიო, მყვარი და სხვ. ჯანაშვილმა „გომბიო“ გამოიყენა Bombinator-ის, „მყვარი“ — Pelobates-ის აღსანიშნავად.

ქართულ ენაზე არსებული ორიგინალური და თარგმნითი ზოოლოგიური ლიტერატურის ნიმუშებთან შედარებით, ჯანაშვილის სარეცენზიო სახელმძღვანელოში ყველაზე ზუსტადაა მოცემული ზოოლოგიური და ანატომიური ტერმინები. უდავოდ კარგად გამოიყურება ტერმინები: „ტიპობრივი“, „ტიხტიხი“ და სხვ.

მოსაწონია, რომ ტაქსონიმური ერთეულის Ordo-ს აღსანიშნავად ჯანაშვილმა უკუაგდო არასწორი სიტყვა „რაზმი“ და ურყევად „რიგი“ მიიღო.

სამართლიანად მოიქცა ავტორი, რომ თევზების გარეგანი აგებულების გასაცნობად სახელმძღვანელოში კობრის სურათი შეიტანა (სურ. 60), როგორც საქართველოში უფრო გავრცელებული და ყველასათვის უკეთ ცნობილი თევზისა, ნაცვლად ტრადიციულად მიღებული მდინარის ქორჭილასი, რომელიც ჩვენში უფრო იშვიათია.

დაბოლოს. დადებით ნიშანთა შორის, უნდა აღინიშნოს ის სასიამოვნო მოვლენა, რომ ჯანაშვილის სახელმძღვანელოში თითქმის არაა კორექტურული შეცდომები, რაც მეტ ღირებულებას ანიჭებს მას, როგორც სასწავლო წიგნს.

მაგრამ ზოგიერთი შენიშვნა მაინც მექნება, უმთავრესად ტერმინოლოგიურ-ნომენკლატურული ხასიათისა.

ჯერ რამდენიმე სხვა საკითხის შესახებ:

1. ხერხემლიანთა ყოველი კლასის აღწერის დროს ჯანაშვილი ისეთი თავების განხილვას, როგორიცაა ეკოლოგია, გეოგრაფიული გავრცელება და ეკონომიური მნიშვნელობა, ათავსებს კლასის ზოგად დახასიათებაში და სისტემატიკის ნაწილის წინ. ამით ავტორი მისდევს მასალის იმ წყობას, რომელიც მიღებული აქვს ო გ ნ ი ო ვ ს ხერხემლიანთა ზოოლოგიის სახელმძღვანელოში.

მიუხედავად იმისა, რომ ასეთ წესს ერთგვარი გამართლება აქვს

კლასის ზოგადი მიმოხილვის მთლიანობის დაცვის თვალსაზრისით, მას ნაკლიც დაჰყვება, სახელდობრ ის, რომ ზემომოყვა[illegible]ათის ზოგადი დასკვნები და კანონზომიერებები სტუ[illegible] შეისწავლოს მანამდე, სანამ ამ კლასის ცალკეულ წარმომადგენლებს, მათ ბიოეკოლოგიას, მათ გეოგრაფიულ გავრცელებას გაეცნობოდეს. აქ ერთგვარი მეთოდოლოგიური უხერხულობა იქმნება.

ჩვენი აზრით, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ ეს თავები განხილული ყოფილიყო კლასის სისტემატიკური გადმოცემის შემდეგ. ამით, ვფიქრობთ, მიიღწევოდა ზოგადი მოვლენებისა და კანონზომიერებათა უფრო შეგნებული და თანმიმდევრული ათვისება, რადგან ეს წყობა წაიყვანდა სტუდენტს ფაქტებიდან განზოგადებისაკენ ინდუქციური გზით. მოვაგონებთ, რომ მასალის ასეთ განლაგებას ვხვდებით კაშკაროვისა და სტანჩინსკის, ბობრინსკისა და მატვეევის და სხვათა სახელმძღვანელოებში.

2. მტევანფარფლიანების ქვეკლასის განხილვის დროს (გვ. 197) ამ თევზების მეორე სახედ მოყვანილია 1952 წელს აღმოჩენილი მალანია (Malania anjuanae). შესაძლოა სახელმძღვანელოს შემდგომ გამოცემაში ავტორს დაჭირდეს ამ თევზისა და მთელი აბზაცის ამოღება, რადგან ამ ახალი გვარისა და სახის თევზის არსებობა არ დასტურდება (იხ. Природа, № 9, 1954, გვ. 120).

3. სახელმძღვანელოს ერთგვარ ნაკლად სდევს საგნობრივი საძიებლის უქონლობა. ჩვენი აზრით, კარგი იქნებოდა, რომ წიგნს დართული ჰქონდეს ასეთი საძიებელი როგორც ქართული, ასევე ლათინურიც, პირველი, ყოველ შემთხვევაში, აუცილებლად. მართალია, საძიებლების დამატება წიგნის მოცულობის გადიდებას გამოიწვევდა, სამაგიეროდ წიგნი მოიგებდა გამოყენების გაადვილების მხრივ. რაც შეეხება ლიტერატურის სიას, ცნობილია, რომ სახელმძღვანელოსათვის იგი იმ სახით, როგორც ეს ავტორს აქვს მოცემული, სავალდებულო არ არის.

4. ზოგიერთი ტერმინი და ნომენკლატურა, ჩემი აზრით, სადაოდ შეიძლება ჩაითვალოს. მოვიყვანთ ზოგიერთს:

**ძვლისხრტილიანები** (გვ. 175) უმჯობესი იქნებოდა შეცვლილიყო ასე — ხრტილიანძვლიანები, რაც ლათინიზებულ Chondrostei-ს პირდაპირ შეესატყვისება.

**კობრისკბილისნაირნი** (Cyprinidontiformes) (გვ. 188) ვერ გამოიყურება ნატიფად. განა უმჯობესი არ იქნებოდა, რომ ავტორს დაეტოვებინა 1952 წლის გამოცემაში მოცემული სახელწოდება

კბილიანი კობრისნაირნი (გვ. 160), რომელი სახელწოდებაც სავსებით გასაგებად ხდის ამ რიგის თევზების დამა[illegible] ანატომიურ თავისებურებას და ყურთასმენისათვისაც [illegible]ლებია?

**ჰომოცერკალური, ჰეტეროცერკალური, ცრუჰომოცერკალური, დიფიცერკალური** უმჯობესია შემსუბუქდეს უკვე გავრცელებული წესისამებრ, და შეიცვალოს ასე: ჰომოცერკული და სხვ., რადგან ასეთ შემთხვევაში ამ ტერმინის ბერძნულ ფუძეს cercos-ს მაშინ დაემატებოდა არა ლათინიზებული ზედსართავის დაბოლოება — alis და კიდევ ქართული დაბოლოებაც **-ურ**, არამედ უშუალოდ ქართული სუფიქსი **-ულ** (= **-ურ**).

**მქსოველისებრთა** ოჯახი; **მქსოველი** (გვ. 457) — მგალობელი ბეღურების ქვერიგიდან. მე მგონია, რომ ამ ფრინველებს ფეიქრები რომ ეწოდოს, უკეთესი იქნებოდა. მაშინ მივიღებდით: ფეიქართა ოჯახი, წარმომადგენელი — ფეიქარი.

**მარაოკუდიანები** და **ხვლიკისკუდიანები** (გვ. 406) არ მიმაჩნია კარგ სახელწოდებად. თუ პირველი სახელწოდება ასე თუ ისე მისაღებია, მეორე სახელწოდებიდან გამოდის, თითქოს ამ ამონათხარ ფრინველებს ხვლიკის კუდი ჰქონდათ, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. მათ კუდი გააჩნდათ გრძელი, როგორც ეს საერთოდ აქვთ ხვლიკებს, ე. ი. ხვლიკისებური. ამიტომ უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ ამ ფრინველებს ხვლიკისებრკუდიანები ეწოდოს, ხოლო ორივე სახელწოდებას უნიფიკაციის მიზნით პირველიც აღინიშნოს, როგორც მარაოსებრკუდიანები.

**მოცურალი ფრინველები** (გვ. 406, 409). ესენია პინგვინები, რომლებიც, მართლაც, ზღვის წყალში ფრთების მოსმით დაცურავენ. მაგრამ ფორმა „მოცურალი" უხერხულად გამოიყურება. თუმცა გასაგებია, თუ რად შემოიღო ავტორმა, ქართული ენის კარგმა მცოდნემ, ეს უცნაური სახელწოდება: უდავოდ **მორბენალი** ფრინველების ანალოგიით. განა უფრო მარტივი და გასაგებიც არ იქნებოდა რომ არ უკუგვეგდო ხალხური სიტყვა „მცურავი" და პინგვინების მეორე სახელწოდებად მცურავი ფრინველები დაგვეტოვებინა?

**მილკბილები** (გვ. 633) ვერ გამოხატავს ძუძუმწოვართა ამ რიგის მთავარ დამახასიათებელ ნიშანს, რომ მათ ძირითადი კბილები მილისებური აქვთ. უკეთესად გვეჩვენება სახელწოდება: მილკბილიანები.

**ცხვირფართო** და **ცხვირვიწრო** მაიმუნები (გვ. 636, 638). ამ სახელწოდების ნაცვლად უმჯობესად მიგვაჩნია ფართოცხვირა და ვიწროცხვირა მაიმუნები. მართალია, შინაარსი ამით არ შეიცვლება, მაგრამ წარმოების მხრივ უფრო შეესაბამება თანამედროვე ქართული ენის ნორმებს (ა. შანიძე, ქართ. გრამატ. საფუძვლები, ნაკვეთი პირველი, 1942, გვ. 149).

ტროპის შესახებ: **მკერდის ტროპი** (გვ. 346, 347), **ტროპიანი ფრინველები** (გვ. 406). ვერ დავეთანხმებით ავტორს ამ ტერმინის ვარგისობაში. ტერმინის ბერძნული წარმოშობა და ქართულში მისი გადმოტანა ჯერ XI საუკუნეში და შემდეგ ჩვენს დროში ისევ ხმარებაში უსაფუძვლოდ შემოტანა მაშინ, როდესაც არსებობს ყველასათვის გასაგები ქართული სინონიმი — ქედი, ნაჩვენები იყო სპეციალურ ნარკვევში (ქუთაისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XII, 1954).

**შიგნითა ყური, შიგნითა ნესტო** (გვ. 77 და სხვ.) და სხვანი (მაგ. **გარეთა...**) ტერმინებად უფრო გამოდგებოდნენ, თუ მივიღებდით კომპოზიტ ფორმას. მაშინ გვექნება მართლაც ტერმინთა რიგი: შიგაყური, შუაყური, გარეყური; შიგანესტო და სხვ.

**სახეობა.** ლათინური species-ის ქართულად გადმოცემაში ჯანაშვილი მისდევს ქართველ მეცნიერთა წრეების ახალ ტრადიციას. ჩვენ მიგვაჩნია უფრო სწორად ტერმინი სახე. საკითხი ამ სადავო ტერმინების შესახებ გაშუქებული იყო ნარკვევში (ქუთაისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, X, 1950—1951), რომელშიც უპირატესობა „სახეს“ ეძლევა. სახელმძღვანელოს ამ მესამე (1956 წლის) გამოცემაში ჯანაშვილის მიერ „სახეობის“ ხმარება იმის მაჩვენებელია, რომ მისთვის ზემოხსენებული ნარკვევის დასაბუთებანი დამაჯერებელი არ შეიქნა, თუმცა მოსალოდნელი იყო, რომ ასეთი ავტორიტეტული ბიოლოგი, როგორიც არის სახელმძღვანელოს ავტორი, თავის შეხედულებას კრიტიკულ წერილში გამოთქვამდა.

5. ვერ გამოიყურება კარგად ისეთი გამოთქმები, როგორიცაა: **უფილტვებო სალამანდრისებრთა** (გვ. 218, 240) და **ძაფებრი გამონაზარდები** (გვ. 254). უფრო მარტივი იქნებოდა: უფილტვო..., ძაფისებური...

6. ზვიგენის ანატომიის სურათი (გვ. 138) არამკაფიოა და ძნელი გასარჩევია.

აღნიშნული ნაკლოვანებანი არ ამცირებენ დოც. არჩ. ჯანაშვი-

ლის სახელმძღვანელოს ღირებულებას. მათი უმრავლესობა, თუ ჩვენი შენიშვნები ავტორისათვის მისაღები იქნა, ადვილად გამოსასწორებელია. დოც. ჯანაშვილის „ხერხემლიანთა ზოოლოგიის“ სახით ჩვენ გვაქვს საფუძვლიანი სახელმძღვანელო, რომელიც სტუდენტობას, საშუალო და უმაღლესი სკოლის მასწავლებლობას დიდ სამსახურს უწევს.

დოც. გ. კოკოჩაშვილი.

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XV, 1956.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XV, 1956.

თ. ახვლედიანი

# ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი 1951—1955 წ. წ.

## ბიბლიოგრაფია[1]

### შინაარსი

I. ზოგადი ხასიათის სტატიები ინსტიტუტის მუშაობის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 561

II. პარტორგანიზაცია. კომკავშირი . . . . . . . . . . 562

III. მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებისა და სკკპ ისტორიის შესწავლა . . . . . . . . . . . . . . . . . . . 565

IV. სწავლების ორგანიზაცია . . . . . . . . . . . . . . 566

1. სწავლების ორგანიზაცია . . . . . . . . . . . . . 566
2. სტუდენტთა მიღება . . . . . . . . . . . . . . . 568
3. საგამოცდო სესიები. სახელმწიფო გამოცდები . 569
4. დაუსწრებელი სწავლება . . . . . . . . . . . . 570

V. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. დისერტაციები . . 571

VI. ასპირანტურა . . . . . . . . . . . . . . . . . . 588

[1] წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს გაგრძელებას ბიბლიოგრაფიისა, რომელიც გამოქვეყნებულია „ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწ. პედაგოგ. ინ-ტის შრომებში", 1955, ტ. XIV, გვ. 393—478.

ამ ტომში ნაშრომი მთლიანად ვერ იბეჭდება. გაგრძელება (VII—XVI თავები) და ანბანური საძიებელი გამოქვეყნდება XVI ტომში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Т. И. АХВЛЕДИАНИ

# КУТАИССКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ ПЕДАГОГИЧЕСКИЙ ИНСТИТУТ ИМ. АЛ. ЦУЛУКИДЗЕ 1951—1955 Г. Г.

## Библиография[1]

СОДЕРЖАНИЕ

стр.

I. Статьи общего характера о работе института . . 561

II. Парторганизация. Комсомол . . . . . . . . . . . 562

III. Изучение основ марксизма-ленинизма и истории КПСС . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 565

IV. Организация учебы . . . . . . . . . . . . . . 566

1. Организация учебы . . . . . . . . . . . . 566

2. Прием студентов . . . . . . . . . . . . . 568

3. Экзаменационные сессии. Государственные экзамены . . . . . . . . . . . . . . . . . . 569

4. Заочное обучение . . . . . . . . . . . . . 570

V. Научно-исследовательская работа. Диссертации . 571

VI. Аспирантура . . . . . . . . . . . . . . . . . 588

[1] Настоящая работа является продолжением библиографии, опубликованной в „Трудах Кутаисского Гос. педагог. ин-та им. Ал. Цулукидзе, 1955, т. XIV, с. 393—478.

В этом томе печатается часть работы. Продолжение (VII—XVI гл.) и алфавитный указатель будут опубликованы XVI томе.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## I. ზოგადი ხასიათის სტატიები ინსტიტუტის მუშაობის შესახებ

1. **ახალი** ამოცანების დონეზე ავიყვანოთ პედაგოგიური ინსტიტუტების მუშაობა. [მოწინავე]. (სახ. განათლება, 1954, № 40, 6 X, გვ. 1).

ახალგაზრდა მასწავლებელთა კადრების მომზადების შესახებ პედაგოგ. ინ-ტში.

2. **ბუნებისმკვლევართა** საზოგადოების განყოფილება ქუთაისში. (სტალინელი, 1955, № 130, 3 VII, გვ. 3).

3. **გვარამაძე ს.** პედაგოგიურ ინსტიტუტში [ახალი სასწავლო წელი]. (სტალინელი, 1953, № 173, 4 IX, გვ. 1).

4. **დავითაშვილი დ.** უმაღლესი სასწავლებლები ამ დღეებში. (სახ. განათლება, 1951, № 35, 29 VIII, გვ. 2).

5. **დევდარიანი გრ.** საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ქუთაისის ფილიალი. (სტალინელი, 1954, № 41, 27 II, გვ. 3).

6. **ვარლამიშვილი ივ.** მეთოდური სემინარი მასწავლებელთათვის. [მათემატიკის და ფიზიკის მეთოდიკის კათედრასთან შექმნილ მუდმივ მოქმედი სემინარის მუშაობის შესახებ ქალაქის სკოლების ფიზიკისა და მათემატიკის მასწავლებლებთან]. (სახ. განათლება, 1952, № 13, 26 III, გვ. 1).

7. **ვარლამიძე ს.** პედაგოგიურ ინსტიტუტში [ახალი სასწავლო წელი]. (ინდუსტრ. ქუთაისი, 1951, № 176, 7 IX, გვ. 2).

8. **მესხენგისერი ზ.** მკითხველების შეხვედრა ვ. ლაცისთან. [ენისა და ლიტ. ფაკ. ფრიადოსანი სტუდ. სტუმრად წყალტუბოში ლატვიელ მწერალთან]. (ლიტერატურული გაზეთი, 1955, № 13, 19 V, გვ. 3).

9. **რიჟინაშვილი მ.** გეოგრაფიული საზოგადოების ქუთაისის ფილიალი შეუდგა მუშაობას. (ინდუსტრ. ქუთაისი, 1951, № 238, 2 XII, გვ. 2).

10. **ჰელიძე ლ.** ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის 20 წლისთავი (1933—1953). (შრ.[1], 1952—1953, [ტ.] XI, გვ. IX—XXIV).

11. **ჰელიძე ლ.** პედაგოგთა ახალი კადრების მომზადება. (სტალინელი, 1954, № 140, 17 VII, გვ. 2).

---

[1] ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები შემდგომ შემოკლებულია "შრ.".

12. **ჭელიძე ლ.** პედაგოგთა სამჭედლო. (სტალინელი, 1953, № 79, 22 IV, გვ. 3).

13. **ჭელიძე ლ. და ბოჭორიშვილი ა.** ხალხის კეთილდღეობისათვის. (ინდუსტრ. ქუთაისი, 1951, № 85—86, 1 V, გვ 2).

14. **ხაზარაძე ი.** ქუთაისის უმაღლეს სასწავლებლებში [ახალი სასწავლო წელი]. (სტალინელი, 1955, № 177, 7 IX, გვ. 3).

15. **Азербайджанские** студенты в Кутаиси [в педагог. ин-те]. (Заря Востока, 1953, № 307, 30 XII, с. 2).

16. **Бочоришвили А.** К новому подъему. (Кутаисская правда, 1954, № 155, 26 XII, с. 3).

17. **20-летие** Кутаисского педагогического института им. А. Цулукидзе. (Заря Востока, 1953, № 108, 8 V, с. 1).

18. **Кутаисский** филиал общества испытателей природы. (Кутаисская правда, 1955, № 78, 30 VI, с. 4).

19. **Чарквиани В.** После зимних каникул — снова за учебу. (Мол. сталинец, 1951, № 17, 10 II, с. 4).

20. **Челидзе Л. А.** Подготовка завершена. Беседа с директором Кутаисского педагог. ин-та им. А. Цулукидзе Л. А. Челидзе. (Кутаисская правда, 1955, № 91, 31 VII, с 2).

* * *

21. **ახვლედიანი თ.** ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი 1945—1950 წ.წ. ბიბლიოგრაფია. (შრ., 1955, ტ. XIV, გვ. 393—478).

## II. პარტორგანიზაცია. კომკავშირი

### პარტორგანიზაცია

22. **ბეჟანიძე გრ.** პარტიული კრება მაღალ იდეურ დონეზე ჩატარდა. (სტალინელი, 1953, № 238, 8 XII, გვ. 2).

23. **ბუხაიძე ივ.** გავაძლიეროთ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა სტუდენტთა შორის. პედაგოგიური ინსტიტუტის პარტორგანიზაციის საანგარიშო საარჩევნო კრებაზე. (სტალინელი, 1955, № 226, 16 XI, გვ. 2).

24. **ბუხაიძე დ.** სტუდენტი აგიტატორი [ლეილა კოდუა]. (სტალინელი, 1954, № 47, 7 III, გვ. 2).

25. **გავაუმჯობესოთ** სასწავლო-სამეცნიერო და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა. [საანგარიშო კრებაზე]. (სტალინელი, 1954, № 239, 4 XII, გვ. 2).

26. **დიადი** თარიღის აღსანიშნავად. [საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 30 წლისთავის აღსანიშნავად სტუდ. აგიტატორების მუშაობის შესახებ]. (ინდუსტრ. ქუთაისი, 1951, № 39, 23 II, გვ. 2).

27. **თვალჭრელიძე გ.** გადაჭრით გავაძლიეროთ სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობა. [ანგარიშგება-არჩევნები პედაგოგ. ინ-ტის პარტორგანიზაციაში]. (ინდუსტრ. ქუთაისი, 1952, № 62, 26 III, გვ. 2).

28. **იდეოლოგიური** მუშაობა — კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა დონეზე. ქუთაისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე. (სტალინელი, 1954, № 230, 21 XI, გვ. 2).

29. **იდეოლოგიური** მუშაობა — მაღალ დონეზე. ქუთაისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე. (კომუნისტი, 1954, № 280, 26 XI, გვ. 2.

30. **მაღალკვალიფიციური** კადრების აღზრდისათვის. [პედაგოგ. ინ-ტის პარტორგანიზაციის კრებაზე]. (სტალინელი, 1952, № 164, 28 XI, გვ. 2).

31. **მეფისაშვილი გ.** ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდის მნიშვნელოვანი საშუალება. [პედაგოგ. ინ-ტის პარტბიუროს მუშაობის შესახებ]. (კომუნისტი, 1951, № 161, 11 VII, გვ. 2).

32. **მეფისაშვილი გ.** გავაძლიეროთ პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა. ქუთაისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის XVIII კონფერენცია. (კომუნისტი, 1955, № 9, 12 I, გვ. 2).

33. **მეფისაშვილი გ.** სწორად შევახამოთ პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობა. ქუთაისის საქალაქო პარტიული [XVII] კონფერენციაზე. (კომუნისტი, 1953, № 306, 29 XII, გვ. 2).

34. **მუშკუდიანი ქ.** ფაკულტეტის პარტიული ორგანიზაცია. (სტალინელი, 1955, № 238, 3 XII, გვ. 2).

35. **საკანდელიძე ჯ.** ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდას შეუნელებელი ყურადღება. (ინდუსტრ. ქუთაისი, 1952, № 11, 15 I, გვ. 2).

36. **საკანდელიძე ჯ.** პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა. (ინდუსტრ. ქუთაისი, 1951, № 209, 23 X, გვ. 2).

37. **საკანდელიძე ჯ.** პარტიული ორგანიზაცია საარჩევნო კამპანიის დღეებში. (ინდუსტრ. ქუთაისი, 1951, № 239, 4 XII, გვ. 2).

38. **საქართველოს** კომუნისტური პარტიის ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციის XVIII კონფერენცია. (სტალინელი, 1955, № 7, 11 I, გვ. 3).

39. **ჭარხალაშვილი ს.** საბჭოთა მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის. [პედაგოგ. ინ-ტის პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე]. (სტალინელი, 1953, № 92, 13 V, გვ. 2).

40. **Идеологическую** работу — на уровень задач коммунистического строительства. На собрание актива Кутаисской городской партийной организации. (Кутаисская правда, 1954, № 140, 21 XI, с. 2).

41. **XVIII конференция** Кутаисской городской организации Коммунистической партии Грузии. (Кутаисская правда, 1955, № 5, 11 I, с. 2).

### კომკავშირი

42. **აბუთიძე ო.** გავაუმჯობესებთ კომკავშირელთა პოლიტიკურ სწავლებას. (ინდუსტრ. ქუთაისი, 1952, № 9, 12 I, გვ. 2).

43. **ბიწაძე დ.** კომკავშირულ ორგანიზაციებს მეტი მუშაობა მართებთ. კომკავშირულ კონფერენციებზე. (ახ. კომუნისტი, 1955, № 136, 12 XI, გვ. 2).

44. **თარგამაძე გ.** მეტი ყურადღება საყოფაცხოვრებო საკითხებს. [პედაგოგ. ინ-ტის კომკავშირის კონფერენციაზე]. (ახ. კომუნისტი, 1951, № 128, 23 X, გვ. 2).

45. **კისკეიძე ზ.** კომკავშირელთა ინიციატივით. (ახ. კომუნისტი, 1951, № 4, 11 I, გვ. 4).

46. **კისკეიძე ზ.** სტუდენტები მოსწავლეებთან. [ისტორიის ფაკ. III კურს. კომკავშირელ სტუდ. ურთიერთობა სოფ. გეგუთის საშუალო სკოლასთან]. (ახ. კომუნისტი, 1951, № 144, 29 XI, გვ. 2).

47. **კომკავშირის** ქუთაისის XV საქალაქო კონფერენცია. (სტალინელი, 1955, № 216, 1 XI, გვ. 2).

48. **მაისურაძე ო.** ერთი ჯგუფის კომკავშირლები და მათი საქმეები. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედაგოგოგიური ინსტიტუტის 24-ე ჯგუფის კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ. (ახ. კომუნისტი, 1955, № 70, 11 IV, გვ. 2).

49. **მესხენგისერი ზ.** ზრუნვა სტუდენტთა პოლიტიკური აღზრდისათვის. [პედაგოგ ინ-ტის კომკავშირის კომიტეტის მუშაობის შესახებ]. (სახ. განათლება, 1953, № 39, 17 IX, გვ. 4).

50. **მესხენგისერი ზ.** სტუდენტთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის. [პედაგოგ. ინ-ტის კომკავშირის კომიტეტის მუშაობის შესახებ]. (სტალინელი, 1953, № 190, 27 IX, გვ. 2).

51. **პედინსტიტუტის** კომკავშირული ორგანიზაციის მე-10 კონფერენცია. (ინდუსტრ. ქუთაისი, 1951, № 211, 26 X, გვ. 2).

52. **სალუქვაძე ე.** ყურადღება გამახვილდა ნაკლოვანებებზე. უმაღლესი სასწავლებლების კომკავშირული ორგანიზაციების მდივნების თათბირ-სემინარზე. (ახ. კომუნისტი, 1951, № 152, 20 XII, გვ. 3).

53. **შარაბიძე ს.** საბჭოთა ახალგაზრდის მორალური სიწმინდისათვის. (ახ. კომუნისტი, 1955, № 58, 14 V, გვ. 2).

54. **Леквинадзе Д.** Студенческая молодежь перед выборами. (Кутаисская правда, 1955, № 20, 15 II, с 3).

55. **Улучшить** воспитательную работу среди студентов. XIV конференция комсомольской организации пединститута. (Кутаисская правда, 1954, № 128, 24 X, с. 3).

56. **Чарквиани В.** Учебе студентов — повседневное внимание. [X комсомольская конференция]. (Мол. сталинец, 1951, № 127, 25 X. с. 3).

## III. მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებისა და სკკპ ისტორიის შესწავლა

57. **ასლანაძე შ.** მეცნიერ მუშაკები ეუფლებიან თეორიას. (სტალინელი, 1953, № 194, 4 X, გვ. 2).

58. **ბუხაიძე ი.** გულდასმით სწავლობენ. (სახ. განათლება, 1953, № 6, 4 II, გვ. 2).

59. **გაბრიჭიძე ვ.** თეორიული კონფერენცია [ისტორიის ფაკ-ზე]. (სტალინელი, 1953, № 2, 4 I, გვ. 2).

60. **გუჯაბიძე პ.** უმაღლეს სასწავლებლებში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების ზოგიერთი საკითხის შესახებ. (ბოლშევიკი, 1952, № 2, გვ. 43—58).

61. **თეორიული** კონფერენცია [კულტურის სახლში]. (სტალინელი, 1953, № 75, 17 IV, გვ. 2).

62. **თეორიული** კონფერენციები [მეცნიერ მუშაკთა [illegible]მის ინიციატივით]. (სტალინელი, 1953, № 59, 24 III, [illegible]).

63. **თვალჭრელიძე გ.** გამოამჟღავნეს მარქსისტულ-ლენინური თეორიის ღრმა ცოდნა. (ინდუსტრ. ქუთაისი, 1951, № 121, 22 VI, გვ. 2).

64. **კობეშავიძე შ.** იმაღლებენ თეორიულ ცოდნას. (ინდუსტრ. ქუთაისი, 1951, № 64, 1 IV, გვ. 2).

65. **ლელაძე ა.** ღრმად ეუფლებიან მარქსიზმ-ლენინიზმს. (სტალინელი, 1953, № 126, 30 VI, გვ. 2).

66. **მარქსისტულ-ლენინური** თეორიის დაუფლებისათვის. წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგების თეორიული კონფერენცია. 11 მაისი 1952. რედ. დოც. ლ. ა. ჭელიძე. [ქუთაისი, ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწ. პედაგოგ. ინ-ტის სტ-ბა, 1952]. [5] გვ. 250 ც.

მოხსენებები: 11 V. თავმჯდომარე ჯ. საკანდელიძე. ჯ. საკანდელიძე — შესავალი სიტყვა. 1. ასისტ. ა. მიშველაძე — ფრ. ენგელსის შრომა „სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ. 2. ასისტ. თ. ნიჟარაძე — ი. ბ. სტალინი სოციალისტური სახელმწიფოს შესახებ. 3. დოც. ქ. ძოწენიძე — ი. ბ. სტალინის შრომები ენათმეცნიერების საკითხებზე ბაზისისა და ზედნაშენის შესახებ.

11 V. თავმჯდომარე ვ. ბენიძე. 4. დოც. კ. მეძველია — ი. ბ. სტალინი ლიტერატურის შესახებ. 5. დოც. ფ. გოკიელი — საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობების როლის შესახებ. 6. ასპირ. ვლ. გულუა — ლოგიკა და დიალექტიკა.

67. **სირბილაძე მ.** თეორიული ცოდნის დონის ამაღლებისათვის. (სტალინელი, 1953, № 112, 10 VI, გვ. 2).

68. **მეცნიერ** მუშაკები ეუფლებიან ბოლშევიზმის თეორიას. (სტალინელი, 1952, № 44, 10 VI, გვ. 2).

69. **ჩხეიძე გ.** სტუდენტთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის მაღალი დონისათვის. (ინდუსტრ. ქუთაისი, 1951, № 101, 25 V, გვ. 2).

## IV. სწავლების ორგანიზაცია

### 1. სწავლების ორგანიზაცია

70. **ავამაღლოთ** საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების დონე, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების

რესპუბლიკურ თათბირზე. [პედაგოგ. ინ-ტის საზოგადოებრივ მეც-ნიერებათა კადრების და სხვ. მუშაობის შესახებ]. (ინდუსტრ. ქუთაისი, 1955, № 160, 8 VII, გვ. 2).

71. **ბასილაძე ს.** აღვზრდით მაღალკვალიფიციურ კადრებს [ფიზიკური აღზრდის ფაკ-ზე]. (სტალინელი, 1954, № 141, 18 VII, გვ. 2).

72. **გენძეხაძე შ.** სტუდენტები საველე-საწარმოო პრაქტიკაზე. [გეოგრაფიის ფაკ.]. (სტალინელი, 1953, № 144, 25 VII, გვ. 3).

73. **გიგიაძე გ.** პედაგოგიურ პრაქტიკაზე [გეოგრაფიის ფაკ. IV კურს. სტუდ.]. (სტალინელი, 1954, № 235, 28 XI, გვ. 3).

74. **გიგიაძე გ.** სტუდენტები პრაქტიკულ მეცადინეობაზე. (სტალინელი, 1953, № 113, 12 VI, გვ. 2).

75. **გიგიაძე ჯ.** სტუდენტთა შორეული პრაქტიკის შესახებ. (სტალინელი, 1954, № 217, 2 XI, გვ. 2).

76. **გიორგაძე ე.** აღმოვფხვრათ ჩამორჩენა. [ქიმიის მეთოდიკაში მუშაობის შესახებ]. (სახ. განათლება, 1955, № 6, 9 II, გვ. 3).

77. **დვალი დ.** სტუდენტი გეოგრაფები საწარმოო პრაქტიკაზე. (სტალინელი, 1955, № 103, 3 VI, გვ. 3).

78. **დვალიშვილი ი.** მხოლოდ ფრიადები და კარგები. [ენისა და ლიტ. ფაკ. ლოგიკა-ფსიქოლოგიის განყ. III კურს. სტუდ. შესახებ]. (ახ. კომუნისტი, 1952, № 29, 6 III, გვ. 3).

79. **კირკიტაძე დ.** და **გაჩეჩილაძე დ.** ნაყოფიერად გატარებული დღეები [პიონერთა ბანაკებში, პიონერული მუშაობის შესასწავლად]. (სტალინელი, 1955, № 169, 27 VIII, გვ. 2).

80. **კობეშავიძე შ.** აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი პოლიტიკური ეკონომიის სწავლების საქმეში. (ინდუსტრ. ქუთაისი, 1951, № 55, 18 III, გვ. 2).

81. **მიშველაძე ა.** სტუდენტთა პედაგოგიური პრაქტიკა. (ინდუსტრ. ქუთაისი, 1952, № 29, 9 II, გვ. 2).

82. **ნიკოლეიშვილი ა.** სტუდენტები საწარმოო პრაქტიკაზე. (სახ. განათლება, 1955, № 23, 8 VI, გვ. 4).

83. **ნიჟარაძე თ.** რა გვიჩვენა პედაგოგიურმა პრაქტიკამ. (სტალინელი, 1955, № 67, 5 IV, გვ. 3).

84. **რამიშვილი ნ.** სპორტსმენტთა ახალი კადრები. (ინდუსტრ. ქუთაისი, 1951, № 143, 22 VII, გვ. 2).

ეროვნული ბიბლიოთეკა

85. **ფიზკულტურის** მასწავლებელთა მაღალკვალიფიციური კადრები. (სახ. განათლება, 1952, № 34, 19 VIII, გვ. 2).

86. **ყიფშიძე დ.** ჩვენი გამოცდილება მომავალ მასწავლებელთა მომზადების დარგში. (სახ. განათლება, 1952, № 11, 12 III, გვ. 2).

87. **ჯორჯაძე ალ.** ფიზკულტურის კადრების სამჭედლო [პედაგოგ. ინ-ტის ფიზიკური აღზრდის ფაკ.]. (სტალინელი, 1952, № 73, 20 VII, გვ. 3).

88. **ჯლარკავა ი.** და **მიშველაძე ა.** პედაგოგიური პრაქტიკის მტკივნეული საკითხები. (სახ. განათლება, 1953, № 27, 1 VII, გვ. 2).

89. **ჯლარკავა ი.** და **მიშველაძე ა.** პოლიტექნიკური სწავლება და სტუდენტთა პედაგოგიური პრაქტიკის ამოცანები. (კომუნისტური აღზრდისათვის, 1955, № 11, გვ. 16—22).

90. **Выше** уровень преподавания общественных наук. На республиканском совещании преподавателей общественных наук высших учебных заведений Грузии. (Заря Востока, 1955, № 160, 8 VII, с. 2).

91. **Лисичник И.** Из опыта студенческой практики. (Кутаисская правда, 1954, № 55, 5 V, с. 2).

92. **Марцинюк Н.** Первокурсники [фак. языка и лит-ры]. (Кутаисская правда, 1954, № 119, 3 X, с. 4).

93. **Педагогическая** практика студентов [фак. языка и лит-ры]. (Кутаисская правда, 1954, № 131, 31 X, с. 3).

94. **Стрельцов К.** и **Гуссейнов А.** В студенческой аудитории. Первый день нового учебного года. (Кутаисская правда, 1955, № 106, 4 IX, с. 2).

95. **Учебно-производственная** практика студентов географов. (Заря Востока, 1953, № 162, 4 VIII, с. 1).

96. **Хурцидзе Р.** Закончили педагогическую практику [студ. III кур. фак. языка и лит-ры). (Кутаисская правда, 1954, № 37, 25 III, с. 2).

## 2. სტუდენტთა მიღება

97. **ბუხაიძე ი.** პასუხის ნაცვლად დუმილი. მისაღები გამოცდები უმაღლეს სასწავლებელში. (სახ. განათლება, 1954, № 31, 4 VIII, გვ. 2).

98. **გვერდწითელი ი.** ალვზარდოთ პედაგოგთა ახალ [illegible] უმაღლესი სასწავლებლები მოელიან ახალ შევსებას. (სახ. განათლება, 1952, № 27, 2 VII, გვ. 1).

99. **თვალჭრელიძე გ.** პედაგოგიურ ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებზე. (ინდუსტრ. ქუთაისი, 1951, № 152, 4 VIII, გვ. 2).

100. **იამანიძე ს.** პედინსტიტუტში იწყება მისაღები გამოცდები. (ინდუსტრ. ქუთაისი, 1951, № 150, 1 VIII, გვ. 2).

101. **მისაღები** გამოცდები უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში. [მოწინავე]. (სტალინელი, 1953, № 149, 1 IX, გვ. 1).

102. **ჭელიძე ლ.** სტუდენტთა ახალი შევსება. (სტალინელი, 1951, № 127, 30 VI, გვ. 2).

103. **Михеилидзе К.** В Кутаисском педагогическом институте [приемные экзамены]. (Мол. сталинец, 1951, № 95, 11 VIII, с. 1).

104. **Педагогический** институт. Приемные экзамены в институтах города. (Кутаисская правда, 1955, № 93, 4 VIII, с. 2).

105. **Петров Г.** Приемные экзамены в Вузах. (Кутаисская правда, 1954. № 97, 12 VIII, с 3).

106. **Романовская К.** Педагогический институт. Приемные экзамены в Вузах. (Кутаисская правда, 1954, № 96, 10 VIII, с. 2).

107. **Челидзе Л. А.** К итогам приемных экзаменов в Вузах. Беседа с директором Кутаисского педагог. ин-та им. А. Цулукидзе Л. А. Челидзе. (Кутаисская правда, 1954, № 100, 19 VIII, с. 3).

### 3. საგამოცდო სესიები. სახელმწიფო გამოცდები

108. **ბოჭორიშვილი ა.** ზამთრის საგამოცდო სესიების შედეგები პედაგოგიურ ინსტიტუტში. (ინდუსტრ. ქუთაისი, 1952, № 26, 5 II, გვ. 2).

109. **ბუხაიძე ი.** პედაგოგიური ინსტიტუტი მომზადებული შეხვდა ზამთრის სესიებს. (სტალინელი, 1954, № 4, 6 I, გვ. 3).

110. **გაგიშვილი შ.** საზამთრო სესიები პედინსტიტუტში. (ინდუსტრ. ქუთაისი, 1951. № 257, 29 XII, გვ. 2).

111. **გამოცდები** პედაგოგიურ ინსტიტუტებსა და სასწავლებლებში. [მოწინავე]. (სახ. განათლება, 1951, № 23, 6 VI, გვ. 1).

112. **ზამთრის** სესიების წინ. (სახ. განათლება, 1953, № 1, 1 I, გვ. 4).

113. **სახელმწიფო** გამოცდების შედეგები საქართველოს უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებში. (სახ. განათლება, 1951, № 3[illegible], 1 VIII, გვ. 1).

